ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114/3
2002

3-4

2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

წელიწადი 78-ე № 3-4 2002 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია

შინაარსი

პროზა, პოეზია

ემზარ კვიტაიშვილი – დღიურები 3
ლია მოლარიშვილი – მოთხრობები 13
თენგიზ სვანიძე – ლექსები 32
მიხეილ ანთაძე – მარიონეტი. ნოველა 35
აქვსენტი კვირტია – თეთრი გვიმები. მოთხრობა 71
გიორგი პაპუაშვილი – რომანეთში. მოთხრობა 75
ბორის პასტერნაკი – ლექსები რომანიდან „ექიმი ჟივაგო“.
თარგმნა ბათუ დანელიმ 82

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გიორგი ცქიტიშვილი – „წრე გაწყდა... მარტონი დავრჩით“ 101
ნინო ფირცხალავა – კარნავალი – ანტიკარნავალი 108
თეიმურაზ ნადარეიშვილი – ლიტერატურული ჩანახატები 112

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი
(გაგრძელება)

ინტერვიუ

ინესა ნასარიძე – „როგორ ვთქვა ანკი ყოველი“ 116

მეცნიერება

ვახტანგ ითონიშვილი – ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის ბრძოლა ფეოდალიზმის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში 122
ნომადი გართაია – ზაბიჰოლა საფას – „ლიტერატურის ისტორია ირანში“ – ერთ ადგილთან დაკავშირებით 129
დავით ნონკოლაური – ვაჟა-ფშაველა გუნებასთან მხატვრული აზროვნების კავშირის შესახებ 130
სელმა დე ვიეირა ველჰო – „სევდის ხე“
ინგლისურიდან თარგმანა **ნიკოლოზ კენჭოშვილმა** 135

ხელოვნება

მანანა თევზაძე – სცენური სივრცის ათვისების პირველი ცდები ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში 140
გვანცა ღვინჯილია – ქართული კლასიკური რომანსის როგორც მუსიკალური ჟანრისა და სტილური პლასტის თავისებურებანი 143

რეცენზია

ანდრო ბუაჩიძე – ფიქრი ერთი კრებულის გამო 147
მიხეილ მახარაძე – აღმოსავლეთის ფილოსოფია 149

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ღღიურები

●

09.09.75. რა უგემოვნობას აღარ შეხვდები ქუჩებში. რამდენსაც არ ცდილობენ, თბილისს თანამედროვე კულტურული ქალაქის იერი შესძინონ, არ ხერხდება. ჩემს გარდა ამას, ალბათ არავინ მიაქცევდა ყურადღებას. ვაკეში, სხვაგანაც — მინისქვეშა გადასასვლელის კუთხეში დამინახავს რომელიღაც არტელის ტლანქი ნამუშევარი — კიბეზე გაფარჩხულად ჩამავალი შავკოსტუმიანი მამაკაცის ფიგურა. თითქოს თავისივე ლანდი აკრთობს და უკან მიხედვა უნდა. ჩემს გულში მას „გადასასვლელის კაცს" ვეძახი. მეჩვენება, შავი ხელთათმანებიდან სისხლი წვეთავს. მახსენდება სიყმაწვილეში წაკითხული დეტექტივები, კონან დოილის პატარ-პატარა მოთხრობები, ჭრელი სერიით რევოლუციამდე რომ სცემდნენ. იქ გამოყვანილი ყოვლის გამშფრავი გამომძიებლები — ნატ პინკერტონი, შერლოკ ჰოლმსი, ნიკ კარტერი. ამ მოუხეშავ ფიგურას შავი, ბოლოებაწეული შლაპა ახურავს. ისე გაჩქარებული მიეშურება, თითქოს ვიღაცის მოკვლა თუ გაძარცვა აცნობეს. არ ვიცი რა მჭირს, უმალ ამოძრავდება ხოლმე ჩემი, ისედაც აღგზნებული ფანტაზია. ჩემზე ყველაფერი, თვით უნიჭო ნაჯღაბნიც მოქმედებს და ათასნაირ ფიქრს აღმიძრავს, უცნაურ, ზოგჯერ დაუჯერებელ სურათებად ლაგდება. მერედა, ვის ჭირდება ეს? თავს ვიწვალებ.

●

08.08.80. ვიხსენებ 1975 წლის აგვიტოს. მე და სოფიკოს ბავშვები ზღვაზე, ციხისძირში გვყავდა წაყვანილი, უნივერსიტეტის დასასვენებელ კორპუსში. იქ ბევრი რამე იყო ყურადღებამისაქცევი; ზოგი — სასაცილო, ზოგიც — სამწუხარო. უმეტესობა იმისა, რამაც ჩემზე იმოქმედა, ჩაწერილი მაქვს. ნაწილი ფურცლებისა გამეფანტა და დამეკარგა. დამამახსოვრდა უნივერსიტეტელი მოხუცი კაცი, ჩია ტანის, გამხდარი, მოშავო პირისახის პროფესორი, რომელიღაც ტექნიკური დარგის კათედრის გამგე. ნასადილევს გასართობად გამოდიოდა ეზოში, ხელაკანკალებული ისროდა სერსოს რგოლებს ჯოხზე ჩამოსაცმელად. იშვიათად უმართლებდა და ამ დროს მოღუშულ სახეზე კმაყოფილება მოეფინებოდა. სიძე-ქალიშვილი, ფსიქოლოგიის კათედრის წევრები თან ახლდა. ერთხელ პატივი დამდო და სერსოს თამაშში მეც შემიამხანაგა. ორიოდე რგოლის სროლა მოვასწარი. შემომხედა და მკითხა, რომელ კათედრაზე ვმუშაობდი და როცა ვუპასუხე, არცერთ კათედრაზე არა ვარ-მეთქი, მაშინვე დაეკარგა ჩემთან ურთიერთობის ყოველგვარი სურვილი, თამაშის ხალისიც; რგოლები იქვე, ფიცარზე დააწყო, ამასთან რა საერთო უნდა ვიპოვოო, გაიფიქრა და მკვირცხლად შემაქცია ზურგი, სხვა პარტნიორს დაუწყო ძებნა. იმ ზაფხულის მერე აღარ მინახავს, შეიძლება ახლაც ცოცხალია. რაც არ უნდა მომხდარიყო, მისგან განაძღოლი კათედრა ხომ მაინც ადგილზე იქნება, არავინ გააუქმებდა. სიტყვას მოვაყოლე, თორემ აქ მე სულ სხვა რამე მაქვს მოსაყოლი.

ის საღამო არასოდეს დამავიწყდება. კლუბში გამოკრულ რუსულ აფიშაზე ეწერა, რომ ჩატარდებოდა ლექცია ორ განყოფილებად, მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია „შოთა რუსთაველი". იქვე იყო აღნიშნული მონაწილეთა ვინაობაც.

ზუსტად 5 საათზე ავტობუსმა ამოიყვანა დაბალი, ჩადგმული, წითური, ხუჭუჭთმიანი კაცი და ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, იმ კაცის შვილები. კაცი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. ამაღლებული განწყობილებით, დიდი პათოსით დაიწყო საკმაოდ ბანალური ლექციის კითხვა „ვეფხისტყაოსანზე". რუსულად მეტყველებდა, ვინაიდან მონტაჟი, ძირითადად, რუსულენოვან დამსვენებლებზე იყო გათვლილი. მომხსენებელი ანუ პროგრამის წამყვანი — მამა — ნამოყვანილ შვილებს ასისტენტებად იყენებდა, გაწვრთნილი ჰყავდა ორივენი. გვარ-სახელი დავიმახსოვრე მათი, სულაბერიძეები იყვნენ, ზრდილი, წესიერი ხალხი. მხოლოდ დედა, ოჯახის დიასახლისი, არ ახლდათ თან.

წინასწარ უნდა განვაცხადო, მოგვიანებით ვიფიქრე — ცოლ-ქმარ სულაბერიძეებს კიდევ ერთი ქალ-ვაჟი (ალბათ ტყუპები აჯობებდა) რომ გაეჩინათ და გაეზარდათ — თინათინისა და ავთანდილის როლების სავარაუდო შემსრულებლები, სიუჟეტური ქარგა უფრო შეივსებოდა და საკურორტო ლექცია-წარმოდგენასაც [illegible]

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილი იერი ექნებოდა, მაგრამ რაც იყო, ჩემზე იმანაც, დასტურ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

კურორტზე მყოფნი, ვახშმის მოლოდინში, ისმენდნენ, როგორ შეხვდა გემზე რუსთაველის მთარგმნელი კონსტანტინ ბალმონტი მარჯორი უორდროპის ძმას ოლივერ უორდროპს, როგორ დააკავშირა ისინი რუსთაველის გენიამ. აქ მუსიკამ იმძლავრა და მომხსენებელმაც, შესაბამისად, ხმას აუწია, არტისტული მგზნებარებით ჩაათავა ეს ამაღელვებელი ეპიზოდი. აქაიქ ტაშიც გაისმა.

კედელზე გაკრულ ზეწარზე დროდადრო სხვადასხვა დიაპოზიტივები გამოჩნდებოდა (უმეტესად ზიჩისა და თოიძის ილუსტრაციები), რასაც უმალ მოსდევდა საჭირო განმარტება. გრძელნაწნავიანმა ქალიშვილმა (მანანამ) ოდნავ მისუსტებული და სასიამოვნო ხმით წაიკითხა ნესტანის წერილი. ვაჟი (ამირანი) ტარიელს განასახიერებდა, თავისი მხრიდან მანაც წაიკითხა ერთი სამიჯნურო უსტარი. მისი შემხედვარე, უსათუოდ იფიქრებდი, რომ ძალიან ჰგავდა ახალგაზრდობისდროინდელ მამას.

მონტაჟის დასასრულს უფროსმა სულაბერიძემ, ბატონმა პეტრემ, მაჟორული მუსიკის ფონზე (ხმას კიდევ უფრო აუწია) დააამთავრა სათქმელი. ისე იყო გაანგარიშებული, მსმენელისათვის სხეულში ჟრუანტელს უნდა დაევლო. ასედაც მოხდა. ბოლო ხუთი წუთი იმ წარმოდგენისა იყო ერთ-ერთი ყველაზე დამთრგუნველი და დამანაღვლიანებელი ჩემს ცხოვრებაში, ხუთი წუთი და მთლიანად ის საღამო. კედლისკენ მივტრიალდი და ავტირდი. კიდევ კარგი, კლუბის დარბაზი ჩაბნელებული იყო. მალე სინათლე აინთო. წამოშლილი მაყურებელი ტაშს უკრავდა. ოჯახის მამამ ყველაფერი კოხტად ჩაალაგა ერთ მოზრდილ ყუთში, წარმოდგენის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს შეკრებილთ და მალევე დატოვეს იქაურობა. საკურორტო სამმართველოს პატარა ავტობუსი გარეთ ელოდებოდათ.

ჩემი გულის აჩვილება, ამათ მორიდებულ საცოდაობასთან ერთად, ეტყობა, იმანაც გამოიწვია, რომ ჩემი უბედური, ტრაგიკულად დაღუპული ძმა, ვახტანგი, ახალი დასაფლავებული გვყავდა (იმ წლის მარტში მოისწრაფა სიცოცხლე). ვინ იცის, ეგებ ახალ, მოსალოდნელ საშინელებებსაც წინასწარ ვგრძნობდი...

●

20.09.83. მე ლექსები მიყვარს და პიროვნებები იშვიათად დგანან წინა პლანზე. ოცნებად მაქვს, შევადგინო კრებული იმ ლექსთაგან, მე რომ მომწონს, სახელი და გვარი შეიძლება სადღაც უკან ეწეროს, ცნობისმოყვარეთა დასაკმაყოფილებლად. მიხარია, პოლ ვალერი უავტორობის თეორიას რომ ემხრობა. რამდენი გენიალური ქანდაკება თუ ფრესკაა, რომელთა ავტორები არ ვიცით. საერთოდ, მაღელვებს, იდუმალების განცდას მიმძაფრებს ანონიმი ავტორი.

შექსპირის ერთი ბიოგრაფი ამბობს ამ კოლოსალურ ფიგურაზე, ყველა დროის გიგანტზე, რომ იგი დასახელებული არ არის მისი თანამედროვე თვრამეტი წამყვანი დრამატურგის სიაში და ეს საბუთად მიაჩნია, განაცხადოს, შექსპირი არ არსებობდაო. ეს არც ისე ძნელი ასახსნელია. ჩვეულებრივი ამბავია, როცა ადამიანები სხვის მაგივრად სხვას ასახელებენ, მას მიაგებენ არც მთლად კუთვნილ პატივს. თანაც ეს იმნაირი რიხით კეთდება, თითქოს მათ ეკითხებოდეთ პირველობის პრობლემის გადაჭრა. სამომავლოდ კვლავ არაერთხელ გაკეთდება ასეთი მცდარი, მატყუარა სიები, რაც თავსატეხს გაუჩენს შთამომავლობას. ისე, გრაფ რეტლენდთან დაკავშირებული არაერთი არგუმენტი მის სასარგებლოდ და სინამდვილესთან ახლო მდგომად გამოიყურება. დამაფიქრებელია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ (1612 წ.) შექსპირის ხელმოწერით არაფერი შექმნილა (ამ თვალსაზრისით მეტისმეტად საინტერესოა შექსპიროლოგ გილილოვის გამოკვლევები). გაოცებს თავად შექსპირის ხელმოწერით არსებული ანდერძი, რომელშიც ძნელია, „ჰამლეტის" ავტორი შევიცნოთ.

უავტორობა, ანონიმად დარჩენა კარგი რამ არის და მხიბლავს, მაგრამ მაინც ადამიანები ვართ და როგორღაც გვსიამოვნებს, ჩვენს ნაცოდვილარზე კარგ რამეს რომ იტყვიან. თუმცა ესეც პარიკმახერის მასაჟებს გავს და უმჯობესია, ასეთ არასაკადრის სიამოვნებაზე უარი ვთქვათ, ჩვენს თავში როგორმე დავძლიოთ პატივმოყვარეობა.

●

05.06.84. რა უწვალია, რამდენი მილიარდი წელი დაუხარჯავს ბუნებას, რომ ჩემს თვალწინ გაქვავებული შავი, მომრგვალებული მშვენიერი ხოჭო გამოეჩარხა. პირველად მეგონა, შავ, კუს მცირე ბაკანივით ამობურცულ ღილს დავყურებდი, ისეთს, ქურთუკებზე რომ აკერებენ. მალევე მივხვდი, ხოჭო ეგდო, მუცელი ბრტყელი, მოსწორებული ჰქონდა. ეტყობოდა გადაჭიმული, მჭიდროდ შეკრული სეგმენტები. თავ-ფეხი ჯავშანში შეეკეცა. უფრო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სრულყოფილ ფორმას ძნელად თუ წარმოიდგენ. საათის მექანიზმივით მწყობრად ჰქონდა ჩალაგებული თავ-კისერი, ხელფეხი, შიგნეული. ჩვეულებისამებრ გავიფიქრე, ნეტავი შეცნობილი თუ აქვთ ამნაირ არსებებს თავიანთი სინატიფე, მოხდენილობა?! ვინ იცის... მე რომ ვნახე ვერის დაღმართზე, კიბესთან, ცალი ბარძაყი ნაეგლიჯათ, მოკლული იყო.

●

10.08.86. „დეზერტირების" ბაზრის კიბეზე, მარჯვენა მხარეს, დავინახე ბადურიანი, სათვალეაკრული, ასე, ორმოცდაათამდე წლის ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი. ელეგანტურად, მსუბუქად და თან სწრაფად ჩამოდიოდა. ბადურაში ორ კილომდე შავი ლეღვი კონწიალობდა, ირწეოდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ის კაცი ლეღვის მეტს არაფერს იდებდა პირში და იმიტომ იყო ასე შემსუბუქებული, ჰაეროვანი. ისიც წარმოვიდგინე, ოჯახის წევრები როგორ ხელდახელ გაფქცვნიან მის მიტანილ ლეღვს. შეიძლება, ამ საწყალს სულაც არაფერი ერგოს. რა ხდება, ჩემს გარდა არავის მიუქცევია იმ კაცისთვის ყურადღება, თუმცა ყველასაგან განირჩეოდა გარეგნობითაც და ნავაჭრითაც. თვითონ მას სულაც არ ედარდებოდა, უყურებდნენ თუ არა; ასეთი დაიბადა და გაიზარდა. როდისმე, ალბათ კიდევაც მოკვდება და გულდასაწყვეტია.

●

25.06.86. შავი, ერთი ციცქნა ფრთიანი მწერი, რომელიც ჩემი პატარაობიდან შემჩნეული მყავს და გამოჩენისთანავე ვცნობ, ჩემს მაგიდაზე დაცოცავს. საკვირველად თვინიერია, არ ეშინია. გადაუარა ფურცლებს; მოკლე მანძილებზე კიდევაც ფრენს და იქვე დასკუპდება. აშკარად არ უნდა სადმე წასვლა. მეც, სანამ იგი ცხვირწინ ტრიალებს, ჩემს საქმეს ვერ ვაკეთებ. თავისი არსებობით, როგორღაც, საკუთარ უმწეობას მაგონებს. ვთქვათ, გულქვაობა, სიბოროტე გამომეჩინა და გამესრისა — რას მიხვდებოდა. ცხადია, რაღაც ძალა მაკავებს, რომ ეს არ ჩავიდინო. თითზე ავიცოცე, ღია ფანჯარასთან მივიყვანე და გავაფრინე; ვერ ვიტყვი, ვის მიაშურებს, ვისი ღამეული სტუმარი იქნება. ჩემი გაქრობაც (საბოლოოდ გარდაუვალი) იმ მწერივით შეიძლება, ვის შევჩივლებ ან რას შევცვლი ამხელა, ყურმოყრუებულ სამყაროში?

●

15.07.89. ბაზალეთისა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში, საპარიკმახეროსთან, ერთი პეპელა რამდენიმე წამით გადავარჩინე — მის უკან დადევნებულ ბელურას შევუშახე, დავაფრთხე და თითქმის ნისკარტიდან გამოვაცალე უმწეო მსხვერპლი. საწყალი გაფრინდა წყვეტილი, შენელებული ფარფატ-ფარფატით, ცოტა ხანს მზეზე უბრწყინავდა ლიმონისფერი ფრთები. ძალაგამოცლილი, მთავარი ქუჩის ცხელ ასფალტზე დაეშვა, ფეთქავდა. ათიოდე წამსაც არ გაუვლია, რომ გამოქანებული მანქანის ბორბალმა გადაუარა. სიცოცხლის ძაფები, ალბათ ისედაც დაწყვეტილი ჰქონდა, დაიშრიტა. ჯობდა, ისევ ჩიტს ჩაეყლაპა.

ესეც იმხანად მოხდა, თითქმის იმავე ადგილას, ცოტათი ზემოთ. ბელურა მისდევს პეპელას შუა ქუჩაში, მანძილს ამოკლებს, ლამობს მოიქციოს ნისკარტში და ამით ყველაფერი გაათავოს. საალერსოდ არ დადევნებია, რა თქმა უნდა. მზიანიდან ჩრდილიან მხარეს გადავიდნენ. ამის გამო აღარ ჩანს, უკვე ჩაყლაპა თუ ისევ მისდევს. დევნა მაინც გრძელდება. ისევ გაკრთნენ მზეში. პეპელა გრძნობს სასიკვდილო საფრთხეს და დიდი ვერხვის მიმართულებით სივრცეს აწყდება, იქ ინთქმება. ასეა თუ ისე, თვალთაგან მეკარგება...

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲕᲘᲜ ᲔᲠᲔᲕᲐ...

18.08.89. (კეჩხობი). სანატორიუმის სანახევროდ გაველურებულ ეზოში ვილაცის შინაური ქათმები იკენკებიან. ორი მამალიც ურევია. ერთი, დეზებდაშვებული, მძიმედ დადის მინაზე, ჩასუქებულია. ამ დილით ბოროტად გამოენთო პაწია ვარიას. ძლივას გაასწრო საწყალმა, უეჭველ სიკვდილს გადაურჩა. დაყვავილებულ ყვერში მიიმალა. მამალმა აღარ შესდია, თავი არ დაიმცირა. ცოტა ხნის მერე ვარია გამოვიდა საფარიდან, კენკვა დაიწყო. ახლა სხვა სურათი გადაიშალა. გულგახეთქილი შევყურებდი — იქვე, ველურ ყვავილზე ულამაზესი პეპელა ფეთქავდა, ზაფრანისფერი პერანგი მოუჩანდა სუნთქვისას. ეს მაიმუნი წიწილა ახტა და კინაღამ ნისკარტში მოიქცია. ძლივს გადაურჩა დაფეთებული პეპელა — ვერ შესწვდა თუ ვერ მოზომა წიწილამ ნახტომი. პეპელა ფაცხა-ფუცხით ტყემლის ხის უკან გადაიკარგა. ჩანს (მე მგონი, ასეცაა), იმასაც აქვს თავის გადარჩენის ინსტინქტი. წიწილამ გულგრილად განაგრძო ნამცეცების ძებნა. პეპელა მაშინვე დაავიწყდა. ეტყობა, ამ დაწყევლილ, უბედურ ქვეყანაზე ყველაფერი, მართლაც მორევაზეა. მამალიც და წიწილაც ამჯერად და ცალ-ცალკე განბილებულები დარჩნენ. პეპელა არავის ერჩის, წუწნის გაშლილ ყვავილს, რომელიც ისედაც უნდა დაჭკნეს მზეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისქვეშეთში ერთ-ერთი ყველაზე უცოდველი არსებაა. ასე ვფიქრობ. არა მგონია, ვცდებოდე.

●

13.08.89. რამდენ საოცრებას შეესწრება კაცის თვალი, თუ დაკვირვების უნარი გაქვს. კეჩხობში, დასასვენებელი სახლის წინ, გაველურებული მინდვრის თავზე ორი თეთრი პეპელა მიფარფატებდა მაღლა-მაღლა, თამაშით, ერთი მეორეს მისდევდა. ალბათ, საალერსოდ, საფერებლად (იმათ ხომ კილომეტრებზე, მთათა გადაღამა შეუძლიათ შეიგრძნონ ერთმანეთი). უეცრად, მინიდან დაახლოებით ას მეტრზე, მდევნელი ჰაერში გაშეშდა და ძირს მოწყვეტით დაეშვა, ეტყობოდა, გული გაუსკდა. მეორეს არც მიუხედავს და განაგრძო ცაში ნავარდი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მომხდარა ასეთი რამ თვითონ ადამიანთა ცხოვრებაში (ვერიდები კონკრეტული მაგალითების მოტანას). ნიკო ლორთქიფანიძის ერთი მოთხრობა მახსენდება, გიტარის ჰანგივით ნაღვლიანი. როცა იქნება, ალბათ, მოვიცლი და მის პროზაზეც დავწერ დიდი ხნის ჩაფიქრებულ წერილს. ძალიან კი გავაჭიანურე. მწერლის ვაჟი, მერაბ ლორთქიფანიძე მთხოვდა, ნიკო ლორთქიფანიძის გამოსაცემად განზრახული ხუთტომეულისათვის წინასიტყვაობა დამეწერა.

●

01.08.90. ამ დილით ნელა დავეშვი წყნეთის აღმართიდან. გზის კიდეს დავუყევი. ულამაზესი დღე იყო. ოდნავი ნიავი უვლიდა ფოთლებს, მზეზე აელვარებულს. ფიჭვის ტყის პირას, ჩანაგვიანებულ კვალში, თვალი მოვკარი მკვდარ, პირქვე ჩამხობილ შაშვს. შევწუხდი. წლევანდელ ზამთარსაც ამ მიდამოებში ვიყავი ბავშვთან ერთად. ვინ იცის, დილა-საღამოს, რამდენჯერ შევუჩერებივარ ამჟამად ჩემს წინ გაუნძრევლად დაგდებულ შავ შაშვს, რომელიც ადრე, ტოტებში მიმალული, თავდავიწყებით გალობდა და სმენას მიტკბობდა... დავიხარე და ჩხირით ამოვატრიალე გაქუცული თავი. გრძელი ნისკარტი ოდნავ ჰქონდა დაღებული. ჭიებითა და პეპლებით ნასაზრდოებ ყელში, საიდანაც ცოტა ხნის წინ ღვთაებრივი ჰანგები იღვრებოდა და აქაურობას ეფინებოდა, ახლა ჭია-მატლები ჰყავდა დასეული. მერამდენედ გეწამლება გუნება — ესაა ყველაფრის ბოლო, ასე ვერაგულად არის ჩასაფრებული სიკვდილი და ვერაფრით ვერ აიცდენ.

მანამდე, ცოტათი უფრო ადრე, ცალფრთამოწყვეტილ ღამურას დავადგი თვალი (ის საცოდავი რაღამ მოკლა). ... ... უსხეულო, გამოფურფუტებულ არსებას ზურგი გამოვუჩინე. ჰაწია წრუწუნას გავდა. ბოლოსკენ, იქეთ-აქეთ, ჰაწია, კვირტებივით წანაზარდები უჩანდა, შიგ შეკეცილი ანტენების მსგავსი (შესაძლოა, თავისებური ლოკატორები. ღამურა ხომ უკიდურესად მგრძნობიარეა, ჰაერის უმცირეს რხევასაც იჭერს, არაფრით არ შეეჯახება რაიმე მკვრივ საგანს). წინ ორი მინიატურული, სამუდამოდ დახშული, ყური აცქვეტილიყო. ვინ ჩასწვდება ქვეყნად ბუნების ურიცხვ იდუმალებას, ვინ შეიცნობს და ახსნის — რამ გააჩინა ამდენი უცნაური არსება. ყველაფერზე მხოლოდ თამამი ვარაუდებია გამოთქმული, რომელთა დადასტურებაც საეჭვოა და მთლად უარყოფაც ჭირს.

ღმერთმა უწყის, რამდენს წვალობდნენ ურიცხვ საოცრებათა ამოსაცნობად — ჰიპოკრატე, არისტოტელე, ავიცენა, ლეონარდო და ვინჩი, კარლ ლინეი, ჟოფრუა დე სენ ილერი, პასტერი და სხვები. რამდენ რამეს გადააწყდები, დღისით თუ ღამით, სახეტიალოდ გამოსული და რამდენი კიდევ უნახავი დაგრჩება. ტყუილად ფიქრობ, რომ ეს თვალუწვდენელი, უკიდეგანო სამყარო შენი უფროა, ვიდრე რქებწამახული, მობზუილე უზარმაზარი ხოჭოსი, რომელიც სოფლად მყოფს, შებინდებისას, შეიძლება შუბლზე შეგასკდეს და გვარიანად დაგაფეთოს, გული გადაგიქანოს.

●

10.07.91. ღამეს, რომელიც მომეწონებოდა (უძილოს, საწოლიდან წამომდგარს), სამუდამოდ ვიტოვებდი და საკმაოდაც დამიგროვდა, რადგან ხშირად ვიყავი უძილო და მთლად უსაქმოდაც დარჩენა არ შემეძლო — რაღაცა ხომ უნდა მეკეთებინა?! არავის გაუკვირდეს, ეს ღამეები (შეჰერაზადას მსგავსად), ჩემი სიმდიდრეა და მათი მოყოლა, აღწერა ბევრს გააოცებდა, დაარწმუნებდა ჩემი წარმოსახვის სიძლიერეში, რაც სრულიადაც არ გახლავთ პირადი დამსახურება. რამდენი ფასეული რამის შექმნა შემეძლო, დაუდევრობა, სიზარმაცე რომ არ მიშლიდეს ხელს. ასევე ჩაკეტილი და ჩატოვებული მაქვს ხსოვნაში რამდენიმე ულამაზესი საღამო (მზის ჩასვლამდე) და როცა მსგავსი საღამოები დგება, ისინიც მახსენებენ თავს. სულ ახლახან ვიხილე ალვისხის ჩრდილების უცნაური დაწვრილება (ალბათ ნიავზე რხევის გამო) ვაკეში, პატარა ბაღთან. ეს იყო ოცი წლის წინანდელი საღამოს ხელახლად აშრიალება ჩემს თვალსა და ყურში. მომეჩვენა, რომ ის მზე სულ სხვა დროიდან ჭიატებდა. აწი და აწი გახსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო და უფრო მეტ ადგილს დაიკავებს მისანავლებლად გამზადებულ ჩემს აფორიაქებულ ტვინში.

●

03.01.91. ზღაპრულად უხდება მრგვალი, სავსე მთვარის მოყვანილობის ყვითელი (ოქროვანი) ლამპიონები ზამთრის შავ, ჩაბნელებულ, გაყინულ ცას, უფრო ძველი თბილისისკენ, რიყის მხარეს. ამ დროს ჯობია დეკემბერი იყოს ანდა იანვარი – ყინავდეს, კოსმოსის ყურყუმა ხავერდზე ბრწყინავდნენ რძისფერი შუშის გარსში მოქცეული, მომრგვალებული, შიგნიდან ამონთებული ბრდღვიალა შარები. როგორ გინდა, შეეღიო ამ მუხლისმომკვეთად აჩახჩახებულ სურათს და სადღაც ნესტიან, სუნთქვის დამხუთველ კლდის ნამსხვრევებში ჩაეჭედო (თბილისში საფლავის მიწაც კლდიანია). თუმცაღა მაშინ შენს თავთით დაყრილი იმ კლდის ნაპობებივით უძრავი და გალიგვებული იქნები.

●

06.02.91. ყველაზე სანატრელი, გამთანგავი და მომაჯადოებელი მოლანდება ჩემთვის ქარვისფრად შეჩირჩხლული საადრეო ბლებია, მწვანე ფოთლებში ძვირფას თვლებად აელვარებული. მაისის დამლევს, ივნისის პირველ კვირაში დავინახავ თუ არა, იქავე მაქვავებს; გინდა ხელი მივაწვდინო, გინდ მოვწყვიტო, გინდ დანერწყვილ ენაზე გადასრიალდეს და კურკებიც გამოვისროლო, მაინც ვერ ვირწმუნებ მათ არსებობას. ისედაც მოლანდებასავით ხანმოკლეა ეს ბრწყინვა და ყოველთვის მოულოდნელია გაზაფხულის შრიალში მათი მაცდური გამოჩენა. ამ საოცრების მხილველი იოლად ირწმუნებს – რამდენად უფრო ჰაეროვანი, გამაოგნებელი და დაუჯერებელია სოფლად, მთვარიანი ღამით, დაცვარულ ეზოში გამობიჯებული, მაჯებიან, მკლავებიან, გულ-ყელიანა უფაქიზესი ნაქარგებით აყვავილებული, გადათეთრებული ბლის ხე. შემიხედავს, დავრეტიანებულვარ და დავმუნჯებულვარ, ენა ჩამვარდნია. ბედნიერია, ვისაც იგი ყოველღამე ესიზმრება. გაწამებულ დედამიწაზე სად ნახავ ასეთ ადამიანს... მე სულ თვალწინ მიდგას აპრილის ღამეში ყვავილებით გადაფიფქული ის სამი ბლის ხე, მაგრამ ბედნიერებას ახლოსაც ვერ გავეკარე.

●

15.II.91. როგორღაც შემაკრთობს, ფიქრს გამაწყვეტინებს ხოლმე მაცივრის ძრავის წამიერი წაბორძიკება, უეცარი გამორთვა. გულის გაჩერებას გავს. ეს უფრო [illegible] ბით არის საგრძნობი და ამ დროს [illegible] ლება, ზემოქმედებაც მეტია.

ცოტა სხვაგვარად ჩერდება ელემენტზე მომუშავე სამზარეულოს მრგვალი კედლის საათი. ერთ დღეს დააკვირდები და ხედავ, ისარი აღარ იძვრის, თანდათანობით გაჩერებულა, ცალი, დიდი ფრთა ჩამოვარდნია. მიხვდები, რომ ზურგს უკან მავთულით ჩაწნული ციცქნა ბატარეა უსარგებლო გამხდარა, ელემენტი (მუავა) გათავებულა, გამოლეულა. ალბათ, ტვინსაც იგივე მოსდის, სხვა რამეებსაც.

დღეს ზემელთან ამოვიარე (როდის აღარ მიწევს იქ გამოვლა. ესეც თავისებური ბედნიერებაა, დასაფასებელი). ფილაქანზე, ჭადრის ხესთან, ჩაღრმავებულ ალაგას, ნაცრისფერი პეპელა, მოზრდილი ფარვანა ეგდო, გულაღმა ამობრუნებული ფართხალებდა. სულთმობრძავს, აქეთ-იქით დააქანებდა სიცოცხლის მისუსტებული ძრავა, თუმცა გონება, ალბათ გამოთიშული ჰქონდა (გონიერება იმისი კი არა, ჩემიც საეჭვოა).

ამ ძაგძაგსა და ფხოკიალში პეპელა პაპიროსის ცარიელ კოლოფს შეეფარა, ინსტინქტურად შიგ შეძვრა. მეშინოდა, ვინმეს ფეხი არ დაედგა მსუქან მუცელზე, არ გაესრისა. ეს იყო ზუსტად პანტომიმის თეატრის წინ (ის პეპელაც უხმოდ, მსახიობურად მოძრაობდა). ცოტა ხანს ვიდექი და წამოვედი. რა უნდა მექნა, განწირული იყო, სულერთია, მაინც ვერ გადავარჩენდი. რატომღაც ძალიან მაწუხებს უმწეო არსებებისა და, მათ შორის, მწერების ბედი. ამ მხრივ ინდოელების მიმდევარი ვარ. ისინი ხომ მწერების დახოცვას ადამიანის მოკვლასთან ათანაბრებენ. ბუზი, აბეზრობისა და სიბიძნურის გამო, მეზიზღება და იოლადაც ვიმეტებ. პეპლებზე მრავალი ლექსი მაქვს დაწერილი. ვფიქრობ, ყველაფერი თავს რომ მოიყრის, საბოლოოდ წიგნადაც შეიკვრება. ვერ ვიტყვი, როგორი გამოვა.

●

25.08.92. ძალიან მიყვარს ლუის კეროლი, არა იმიტომ, რომ ჩემსავით 27 ნოემბერს არის დაბადებული; მისი პიროვნება უფრო იმის გამო მხიბლავს, ბოლომდე რომ შეინარჩუნა ბავშვობა, ხასიათის სამაგალითო სიწმინდე (ამას ჩემს თავზე ვერ ვიტყვი), უზომოდ უყვარდა ბავშვები, ცხოველთა სამყარო. ერთი მისი თანამედროვე ირონიულად წერს: „მის უახლოეს მეგობრებს შორის რამდენიმე ლოკოკინა და გომბეშოც იყოო“.

დასანანია, რომ ეს დიდი ადამიანი თავის დროზე ვერ შეიცნეს, ალბათ, ზედმეტი თავმ-

დაბლობისა და იმის გამოც, ეპოქას რომ დიდად გაუსწრო. რამდენი დამცირება და უხერხულობა აგემა თუნდაც ფოტოგრაფიით გაატაცებამ. დარჩენილია მისი უბრწყინვალესი ფოტოშედევრები. მეტწილად, როგორც ამბობენ, გამოჩენილ პიროვნებებსა და ულამაზეს ბავშვებს ირჩევდა მისი ობიექტივი. ძალზე დამენანა ის უკმეხობა და მედიდურობა, რაც ალფრედ ტენისონმა გამოიჩინა მის მიმართ — სურათის გადაღება დაამადლა. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე ასეთი გაუგებრობანი. არასოდეს არ უნდა წარმოიდგინო შენი თავი სხვაზე დიდად. საერთოდაც, არ უნდა დაგჭირდეს მსგავსი რამე. მითუმეტეს, პოეტს არ ეკადრება ასეთი ამპარტავნობა და ქედმაღლობა. ტენისონს უსათუოდ უნდა შეეცნო, მის წინ გამორჩეულად ნიჭიერი კაცი რომ იდგა.

მინაწერი (01.05.96): ამას წინათ შევიძინე მეტად საინტერესო თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსის ჟილ დელიოზის ძნელად წასაკითხი, მაგრამ ძალზე ღრმა წიგნი „აზრის ლოგიკა", რომელიც თითქმის მთლიანად კეროლის პარადოქსულ აზროვნებაზე, მის ცალკეულ გამონათქვამებზეა აგებული. დასანანია — კეროლის ერთი წიგნი, უფრო მათემატიკური ხასიათისა, გავაჩუქე, ერთიც, ინგლისური, დამეკარგა, მომპარეს. ამჟამად მზადდება ალისას (ელისის) თავგადასავალის ახალი გამოცემა. ზოგიერთი თავი დაიბეჭდა და არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას. ლუის კეროლის ფენომენი, როგორც დიდი და მეტად თავისებური მოაზროვნისა, ბოლომდე არ არის შეცნობილი და სხვადასხვა ენებზე დროდადრო საჭირო ხდება მისი წიგნების ხელახლა თარგმნა. სასიხარულოა, რომ საქართველოშიც იციან მისი ფასი და ეს პოპულარობა, ალბათ, თანდათან გაიზრდება.

●

20.07.93. ღმერთო, რამდენი და რა სასწაულებრივი ფორმები აქვს სიცოცხლეს. ვერის ბაღში შევლილმა, საზიზღარ, უბინძურეს საპირფარეშოში დავინახე თეთრი ფერის პატარა (3-4 სანტიმეტრი, ასანთის ღეროზე ოდნავ მომსხო, მაგრამ, ცხადია, ოვალური) მატლი. ძირს მიხოხავდა, გასასვლელისაკენ, ტანში მოკლე-მოკლე, ტალღოვან ბიძგებს ატარებდა. სიგრძეზე რაღაც ლორწოვან ძაფს ტოვებდა. ერთ სწორ ხაზს მიჰყვებოდა, მერე შარდის მღვრიე გუბეში შეცურდა და იქ განაგრძო კლაკვნა და კუმშვა, მყრალ სითხეში ატივტივდა და ისე სწრაფად ვეღარ მიხვედრნენ. მანამდე შავი ბუზი იჯდა მის გვერდზე და ველოდე, რა მოხდებოდა. ბუზმა უტია, გაერიდა.

შეიძლება შეიშალო — მაინც რაა იმ მატლის არსებობა, ვის და რას ჭირდება, ადამიანსაც არავინ აგდებს ძაღლად. სისულელეა იმ მატლის გონიერებაზე ფიქრი, მაგრამ სიცოცხლის ინსტინქტი ნამდვილად უნდა ჰქონდეს. რანაირად შეიძლება მიგიზიდოს ან მოგხიბლოს ასეთმა რამემ, მაგრამ ალბათ მართლები იყვნენ ნეტარი ავგუსტინე და ბოდლერი, როცა ასეთ სისაძაგლეშიც უმაღლეს ჰარმონიას, შემოქმედის ნების გამომხატველ სილამაზეს ხედავდნენ. როგორ მოახერხებ — ყველაფერი აღნუსხო და შეიმეცნო, ვინ მოგცემს ამის უნარსა და დროს. იძულებული ხარ, შეურიგდე მოკვდავის არცთუ სახარბიელო ხვედრს — უმეცარი უნდა გაშორდე აქაურობას.

●

02.11.93. განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს ვატოს ფერწერული ტილოების რეპროდუქციათა თვალიერება. მეფურად დახვეწილი მოძრაობები აქვთ მისი ფუნჯით შემოგარსულ ადამიანებს. აბრეშუმი და ხავერდი. ვერცხლის ნაკადულივით ევლება ზაფხულის ფოთლებს სერენადების წკრიალი. ჩამესმის მუხლზე გადაწვენილი გრძელი გიტარის გაბმული კვნესა. თითქოს მეც ტყეში ვიმყოფები მოპიკნიკეებთან ერთად, სახეზე კოცონის ალი მედება, თვალს მჭრის ოქრონარევი, ულალი ფერები. მთვარის ფერმიხდილი სიმკრთალე დაჰკრავს ხელთა შორის ამომართულ, შემოფეთებულ ქანდაკებებს. თავბრუს გახვევს ვატოს უნაზესი ქალების მოწყენილი, სევდაშეპარული მზერა. მის ძაღლებზე მოზრდილი წიგნი შეიძლება დაიწეროს. ზღაპრული სიმშვიდე და იდილია, ამავე დროს სიცოცხლის, სილამაზის შესრუტვის დაუოკებელი ჟინი იგრძნობა ამ კაცის სურათებში. ბედნიერია ხელოვანი, ვინც ასეთი განუმეორებელი სამყაროს შექმნა მოასწრო. რაოდენ დასანანია, რომ მან ორმოც წელსაც ვერ მიატანა. ცხოვრებაში გაუხარელმა და უქონელმა, ქვეყანას რამოდენა სიხარული და განძი დაუტოვა. ადამიანებზე ნაკლებ შთაბეჭდილებას არ ახდენს ტანმაღალი, ცისკენ დაძრული ხეები, რომელთა ტოტებს თითქო ცეცხლი უკიდიაო. აქ ალბათ შუაგული შემოდგომაა, როცა პირის გემოთი ცნობილი ფრანგები ვეება ტაფებზე წვავენ მსხვილი, ჯიშიანი ნაბლის ნაყოფს, ზეთი რომ უპოხავს შიშხინში დახეთქილ კანს. მუქი ნაბლისფერი მომნუსხველ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმალ იერს აფენს ამ ფანტასტიურ ხილვებს. ალაგ-ალაგ იგრძნობა რუბენსისეული სიმსუყე — მის ფაშფაშა ქალებსაც გადაჭკრავთ სახესა და გულმკერდზე ჯანმრთელი სიწითლე. ალბათ, იშვიათია მხატვარი, ფერებს მასავით მუსიკალური ბგერის სინატიფეს და ჟღერას რომ შეუწონიდეს. ყველა დიდი ხელოვანის მსგავსად, ვატოს ქმნილებებში გამოსჭვივის ფარული მწუხარება, სილამაზის შეუჩერებელი ჭკნობისა და წარმავლობის გამო და ამიტომაც გადაწყვიტა დაეტყვევებინა სიცოცხლის დაუვიწყარი წამები, რათა თვალით ნანახი თუ ოცნებით წარმოსახული მშვენიერების ხელუხლებელ, გაურღვეველ ნრეში მოექცია.

●

23.01.94. სასტუმრო „ივერიისკენ" მივდივარ. ლოყაზე ცივი ქარი მცემს. ცალი თვალით გაღმა, არსენალის მთისკენ ვიყურები. დიდი, ჭრელი მილიდან ამოსული თეთრი კვამლი მკვეთრად იტოტება ლურჯი ცის ფონზე. ბავშვობიდანვე მიყვარდა იქით მხარეს ცქერა, როცა მატარებლები მიზოზინობდნენ კახეთისკენ. ამ ზამთრის დღეს ეს ცივი ქარი რატომღაც მსიამოვნებს, მაცოცხლებს, მაფხიზლებს. მებრალებიან ისინი, ამის შეგრძნება რომ დაკარგეს და მიწაში არიან დაფლულები, დამდნარნი. როდისმე მეც იმათ დღეში აღმოვჩნდები და დიდი საცოდაობა იქნება ვინმემ, მინის ზევით დარჩენილმა, რომ არ შემიბრალოს. ახლა ქარი ძვლებში ატანს, თოშავს; ორ-სამ თვეში დათბება, მერე ასიცხდება. გრძელბარძაყება რუხი კალიები დაიწყებენ ამ ფილაქნებზე ხტომას. დროდადრო მზეზე გაყუჩდებიან. დააღამდებათ. ბევრს მანქანა გადაუვლის, ბევრს ფეხსაცმელი გასრისავს. ლამპიონების გარშემო მობორიალე პეპლების გუნდიც ნელ-ნელა იწყებს დაბლა ცვენას. ისევ აცივდება და თავიდან დაიწყება ყველაფერი. მე ახლა დავუყვები რუსთაველს, ჩავუხვევ მარცხნივ, გადავჭრი ბაღს, გადავივლი მშრალ ხიდს და მტკვრის აქეთა ნაპირზე, ვორონცოვის ხიდთან, დამრეც ფერდობს ჩავივლი, მივადგები ჯებირს, სადაც შაბათ-კვირას ვაჭრობაა გამართული — ათას ხარახურას (შიგადაშიგ მშვენიერ ნივთებსაც) და ნიგნებს ყიდიან. მე ერთი ნიგნი მჭირდება, გუშინვე შევუთანხმდი ერთ მოვაჭრეს და ალბათ დამახვედრებს. ნამეტანი ძვირი კი დამიფასა, მაგრამ რას ვიზამ. ეტყობა, ესეც თავისებური ავადმყოფობაა, თანაც მოურჩენელი. სანთლებც უნდა ვიყიდო. ტრანსფორმატორი, ვინ იცის, მერამდენედ გადაიწვა. მესამე ღამეა, ბნელში გვიწევს ყურყუტი. ჩვენი ტელეფონიც გამოთიშულია. ბევრი რომ აღარ გვაგვიანდეს, კარგად ვართ. გული ოდნავ ოხრავს, კიდევ უფრო კარგად ვიქნებით.

მზოდელა

20.05.2000. რის თქმასაც აქ ვაპირებ, ყოვლად ჩვეულებრივი, უმნიშვნელო რამაა, მაგრამ იძულებული ვარ, მოზრდილი, თვით ძირითად ნაწილზე მეტი შესავალი წავუმძღვარო, ვინაიდან არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს ერთი საცოდავი არსების დამცირებას ვცდილობდე.

უპირველეს ყოვლისა, ძველისძველი, მითოლოგიური შეფერილობის უავტორო ჩინური ტრაქტატი მახსენდება. იმ ტექსტში ასეთი რამ ეწერა: სამყაროში ყველაფერი წმინდა და სუფთა იყო, სანამ დედამინაზე შემოგარსულ ცას მატლები (იგულისხმება ადამიანები) დაეხვეოდნენო. არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ სამყაროდ, ცისქვეშეთად ძველი ჩინელები მხოლოდ ჩინეთს მოიაზრებდნენ.

ადამიანის მატლთან, ჭიასთან გაიგივება უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და ეს მხოლოდ მსგავსებაზე დამყარებული მეტაფორული სახე სრულებითაც არ გახლავთ, უფრო მოვლენის შინაგანი არსის მიმანიშნებელია.

ებრაელთა სწორუპოვარი მეფის, წინასწარმეტყველისა და „პოეტთა მამის" დავითის ოცდამეერთე ფსალმუნის მეშვიდე მუხლი თავზარდამცემი პირდაპირობით გვამცნობს: „ხოლო მე მატლ ვარ და არა კაც..."

რაღა გასაკვირი იყო, რომ ბიბლიური დავითის კვალდაკვალ, პეტრე დიდს, დროდადრო, გულჯავრიანად ემეორებინა — მე მატლი ვარო. მაშინ რა ეთქმოდათ თავად მრისხანე იმპერატორის ფერხთით საცოდავად გართხმულ ხელქვეითებს, მისი წარბის ყოველ შექანებაზე მართლაცდა მატლებივით რომ ხოხავდნენ.

მუცლით შობილთაგან ერთ-ერთი ყველაზე აღმატებული პიროვნება, ჰიპონის ეპისკოპოსი ნეტარი ავგუსტინე, თავის სულმდუღარე „აღსარებაში" ერთგან აღტაცებას ვერ ფარავდა ჭიის აღნაგობის, სეგმენტების (რგოლების) უზადო პროპორციის გამო და იგი შემოქმედის გასაოცრად სრულყოფილ ქმნილებად მიაჩნდა. მართალია, ცოცხალ ორგანიზმთა თვალგაუწვდენელ ნაირგვარობაში ჭიები უხერხემლოთა კლასს განეკუთვნებიან, მაგრამ ჩვენთან შედარებით (ამის აღიარება არ დაგვამცირებს), ბევრად მოქნილნი და თავმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალნი არიან და მათი ეს უპირატესობა სულ უნდა გვახსოვდეს.

ჭიას, მატლს არაერთი გამოჩენილი მოაზროვნე, ფილოსოფოსი ადარებს ადამიანს, მაგრამ არ მეგონა თუ ის გამონათქვამები ოდესმე დამჭირდებოდა და, ამდენად, ცალკე არ ამომიწერია. უფრო პოეტების თითო-ოროლა ფრაზა და ლექსი შემორჩა კლანჭებმოცვეთილ მეხსიერებას და ისევ მათ მოვიხმობ.

თავის უმნიშვნელოვანეს, მძლავრად ნაჭედ ოდაში „ღმერთი" გავრილ დერჟავინი შემაშფოთებელი ტეხილებით ამბობს: „მე ვარ მეფე, მე ვარ მონა, მე ვარ მატლი, მე ვარ ღმერთი!" – და აშკარად გრძნობს, რომ ეს აღმა-დაღმა და წრეზე მოწრიალე აზრი ღრმად იყო გამჯდარი ოდის ავტორის მშფოთვარე, დაუდეგარ ბუნებაში.

აქვე მახსენდება ვაჟა-ფშაველას საკვირველი, მისტიური ხილვებით დაქსელილი ლექსი „სიზმარი", სადაც იგი ოქროს ტახტზე „ჭია-ღუების მეფედ" ხედავს თავის თავს, გარშემო კი, ათასგვარი მწერები და ქვეწარმავლები ახვევია. აქვე არის ნახსენები ჩემთვის ამჯერად ყველაზე საყურადღებო მზომელა ჭია, მოყავისფრო, თითქოსდა ოქროს მტვერში გავლებული, ზაფხულობით ფოთლებზე რომ დაცოცავს და, წელში შეზნექილი, პაწია კუზს ამობურცავს, მორკალავს, რათა მარჯვედ გადაადგილდეს; ვაჟა თანდათან ხუნძლავს შემზარავ სურათს და ამ სტრიქონების წაკითხვაზე შეუძლებელია, ტანში ცივმა ჟრუანტელმა არ დაგიაროს:

კისერზე მზომელა მზომავს
და ჭიაყელა ხელზედა,
ბუჭყა კი, რწყილების დედა,
დამკიდებია ყელზედა!..

ასეთი შემაძრწუნებელი ვიზიონის აღმწერს, ცხადია, არ ავიწყდება, რომ სამეფო ტახტზე მჯდომი მბრძანებლის შეობებულ ყბებზე ობობა ბადეს ჭიმავს; გულშეღონებული მონარქი გაქცევას ლამობს; ისეა შეჭირვებული, ემუდარება აფუთფუთებულ ქვეშევრდომებს – სხვა დასვან იმ ავბედით ტახტზე, იხვეწება, არ მინდა ხელმწიფობა, „მაცხოვრეთ თქვენ შორის, ვით ჭია თქვენებრ ჭირითა..." აქ აშკარად ილანდება გულნამცეცა თანამედროვეთა შორის მოხვედრილი, თავ-ბედის დამაწყევარი გენიოსის პირადი ტრაგედია. ლექსის ფინალური სტროფი სასოწარკვეთილ შეძახილად გაისმის. ეს არის მარადი და ამდენადვე გადაუჭრელი კითხვა, უთვალავი ცოდვით დამძიმებულ დედამიწაზე ადამიანთა გაუსაძლისი ყოფა რომ ბადებს:

მუხლებიც მოკვეთილი მაქვს,
საით ვინ მომცემს ძალებსა?
ვინ უშველს, ვინ ეწამლება
ჩვენს ყოფნას შესაწყალებსა?!

ვინ მოთვლის, კაცობრიობის არსებობის მანძილზე, რამდენი ტიტანური პიროვნება–ფილოსოფოსი, ხელოვანი თუ მეცნიერი – უტრიალებდა ამ მტანჯველ თავსატეხს და აუღებელ ციხე-სიმაგრეს ვერავინ უპოვა კარი.

ფანტაზიის აწყვეტაში ნუ ჩამომართმევთ, ვაჟას ამ უცნაური ლექსის კითხვისას, სრულიად უნებურად, ჩურლიონისის იდუმალებით აღსავსე სურათი („მეფეები") ცოცხლდება ჩემს თვალწინ – ჩრდილოეთის ციალის გამომცემი ქარვაშერეული კეთილშობილი ქვებითა და მინერალებით ანთებული, გამოქვაბულში ალიცლიცებულ უცხო, სხივმოსილ შუქზე მწუხარედ თავდახრილი მდუმარე გვირგვინოსნები... მეორე დიდი მხატვრის, აგრეთვე სილატაკეში გარდაცვლილი ფილონოვის ასევე მისტიურ, უფრო შიშისმომგვრელ სურათზე („მეფეთა ღრეობა") აღარაფერს ვამბობ.

●

რუსთაველზე, დილაობით, მზიან მხარეს, ტაატით მიჩლახუნობს სამოცდაათ წელს კარგა გადაშორებული, წინ წახრილი, გულისშემძვრელად დაუძლურებული ლურჯსამოსიანი, ჩინდრიკა მოხუცებული. ნაქსოვი, მოშავო ჩაჩი ხურავს. როცა დაცხება, საზაფხულო, რეზინშემოჭერილ თეთრ ქუდს იფხატავს თავზე. ის რეზინი სათვალის ბოლოებზეა გამობმული და, ამავე დროს, კეფაზეც არის შემოსალტული. სიცხეში ქუდის შესაფერი თეთრი ბოტასები აცვია. ისე მოსავებული მიირწევა, მეეჭვება, დიდხანს იბუნგალაოს სამზეოზე იმ საბრალომ. არ ვიცი, უცნაურ ცთომილივით საიდან ამოდის თუ ჩამოდის (ღამის გასათევი უთუოდ ექნება, ისე ვერ გაძლებდა). რატომღაც მეტწილად მთავრობის სასახლესთან წამოვეწევი და ვასწრებ. ზოგჯერ ნაირნაირი ტრანსპარანტებით მდგარი უკმაყოფილო, მომიტინგე ჯგუფის გარღვევა მიწევს, ყურს აღარ ვუგდებ დიქტოფონში გახმიანებულ მჭახე ბგერებს, ტვინამორეცხილი ბრბოს მიერ უკვე ყოფილად შერაცხილ თავისუფლების მოედანზე გავდივარ, რომ მერე მწერალთა კავშირისკენ ავუხვიო. ის ხეიბარი მათხოვარი კი ზოზინით მოიწევს. კისერზე ვეება ფანერის ფირფიტა აქვს ჩამოკიდებული. ზედ წარწერაა – თავის წართმეულ დანაზოგს, ნაოფლარს თხოვს ხელისუფლებას. ვინ რას დაუბრუნებს. არაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთხელ დამიხედავს, შემითვალიერებია. წარწერის ტექსტი (ზეპირად ვიცი) ზუსტად ასე გამოიყურება: „მოგვეცით ჩემი 40 წლის ნამუშევარი ფული ვკვდები დამეხმარეთ". ზრდილობის, მოწიწების ფორმა მთავრობისადმი, იმედგაცრუებულის კვალობაზე, აშკარად დაცულია.

იკეცება და იშლება და ვინ იცის, მერამდენედ ზომავს უბედური რუსთაველის გამზირს; მერიას მიტანებული, პუშკინის ქუჩისკენ დაუხვევს (ალაგ-ალაგ კიდევაც ჩამოისვენებს, საცა ჩამოსაჯდომს ნახავს), მიიწევს მზის მოძრაობის საწინააღმდეგოდ და უკვე აღარ ვადევნებ თვალს, რომელ მიწისქვეშეთში ჩადის. ასე მეორდება ყოველდღე. უამისოდ, ალბათ სულს გააცხებდა.

მიფორთხავს ღვთისგან და კაცისგან მოძულებული და თან არავის უყურებს. ჯიბეში ხურდას თუ ჩაუგდებ (რამდენჯერმე ასეც მოვიქეცი), მადლობას ამოილუღლღებს. თავისი განუხრელი მარშრუტი აქვს, მთავარ ხაზს მიჰყვება. ის შედარება, ადრე რომ მიგანიშნეთ, ახლა უნდა გამოვიყენო. როგორც გითხარით, მე თვითონ მინახავს, ხელისგულზედაც დამისვამს, ყავისფრად ბზინავს, ერთგვარი მატლი არსებობს, პაწია, ფოთლებზე უყვარს გადავლა, მზომელას ეძახიან, წელში იცის აზნექა და ისე გადაადგილდება ხოლმე. სიდიდეს, მასშტაბს თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, სწორედ იმ მატლს მიაგავს კისერზე ფიცარჩამოკონწიალებული ის საცოდავი კაცი. ჭაპანწყვეტით, სიმწრით მიღოღიალობს და არ იცის, ვერაფერს რომ ვერ მიადგება. ასეთ ყოფაში იქნება, სანამ სულ არ გამოვცლება ქანცი. ტყუილად კი არ უთქვამთ გზაზე პოეტური, მაცდური და თანვე უსასრულობის დამტევი გამოცანა: ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე... უმალ საკუთარი ფეხები და კისერი მოეკეცება, ვიდრე ბოლოში გავიდოდეს. დიდი-დიდი, ორი-სამი წელი იჩარჩალოს გამზირზე და მერე ნისლივით გაქრება, აღარ მოუწევს მზედაჩერებული, უგულო ფილაქნების გაზომვა... მზომელა-მატლი!... ამ ჭიას უთუოდ ექნება ლათინური სახელწოდება, შემეძლო ის ტერმინი კიდეც მომეძებნა, მაგრამ ენტომოლოგობაზე თავს ვერ დავდებ და თანაც ეს ვერაფერს შემატებს ამ ზერელედ ნაფიქრს.

ახლა უკვე დაჩეკილები იქნებიან ხსენებული უცნაური არსებანი და ისევე უაზროდ იკლაკნებიან ტყისპირებზე, ბაღვენახებში, აბრეშუმივით გასრიალებულ მწვანე, დაძარღვულ ფოთლებზე, როგორც დანაზოგწართმეული, მოწყალების მთხოვნელი, გაზინტლულ, ლურჯ პიჯაკში მოყანყალე გამხდარი ბერიკაცი.

მომავალი ანუ ბოლო სახარებელს არცერთ ჩვენგანს არაფერს პირდება. რა დიდი წინასწარგანჭვრეტა და ვარაუდი ჭირდება ამას — გაივლის მცირე ხანი („ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა...") და დედაქალაქის უმთავრეს ქუჩაზე, რუსთაველზე, რის ვაი-ვაგლახით მობოგინე, ბოგანოდ ქცეულ მზომელას, თუკი ჭირისუფალი ეყოლა, გარეუბნის მიგდებულ სასაფლაოზე (ცხადია, დროებით) იქეთ მიუზომავენ ორიოდე მეტრ მიწას და სამადლოდ დაფლავენ. ისიც საეჭვოა, თუნუქის შავი, დანიმრილი ფირფიტა (ზედ მიცვალებულის დათარიღებული, ინიციალებიანი გვარია თეთრი საღებავით წარწერილი) დაარჭონ ამობრუნებულ, მოფომფლოებულ მიწას. გვირგვინების მთა რომ არ დადგება ცხენის ფერდივით ამობურთულ აყალოზე, ამის თქმა ახლავე შეიძლება.

ამ უსიხარულო ჩანაწერმა, შვების, გათავისუფლების მაგივრად (მეგონა ტვირთს ვიშორებდი), უსიამო ნალექი დამიტოვა გულის ფსკერზე. უკვე მერამდენედ მიტრიალდება პასუხგაუცემელი, ყვედრებიანი კითხვა — ან მე რატომ ვიმძიმებ ისედაც დათრგუნულ განწყობილებას, ან სხვებს, პატიოსან ადამიანებს რას ვერჩი, რაღაზე ვუშხამავ გუნებას?!. რა მინდა, რისთვის ვჩირთიფირთობ ამდენს?!. ნეტავი რითი ვჯობივარ დილის მზეზე გაჩანჩალებულ, კისერწადრეკილ მოხუცს?!. ჩემს უკან წარსული მიკეცილია და მტვერწაყრილი. ამჟამად, დღეის დღეს, ადგილზე ვტკეპნი მიწას; უკიდურესად ბუნდოვან და მიხვეულ-მოხვეულში გაწოლილ მომავალს კი, რამდენჯერ მითქვამს, რა უნდა გაუგოს ჩემნაირმა უნიათომ და მიუხვედრელმა, რანაირად უნდა გაზომოს?!.

●

05.01.2001. ამ დილით რატომღაც გამახსენდა გიორგი ლეონიძის საყვარელი დისწული ეთერ გედევანიშვილი, პოეტის უფროსი დის ევგენია ლეონიძის (მან ასწავლა პატარა გოგლას წერა-კითხვა, რუსულიც) ქალიშვილი, ეთიკო, როგორც შინაურობაში მოფერებით ეძახდნენ.

ეთერის ძმა, გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი, ვახტანგი გაგრაში ცხოვრობდა და მუშაობდა, ხიდების მშენებელი ინჟინერი იყო. ერთ საბედისწერო დღეს, რესტორნიდან გამოსულს ვიღაცეებთან შელაპარაკება მოუხდა, ერთმა მთვრალმა (მისი ვინაობა ცნობილია, მაგრამ ახლა ამის თქმას მნიშვნელობა არა აქვს) კეფაში შამპანურის ბოთლი ჩაარტყა და ეს მთაკაცი, ორმოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაათიანი წლების ბოლოს, სისხლის ჩაქცევით დაიღუპა. ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს. ახლაც თვალწინ მიდგას, მხრებაწურული გიორგი ლეონიძე რა საშინლად დაღვრემილი მიჰყვებოდა სამგლოვიარო პროცესიას. თავისი დიდი, ნაცრისფერი კეპკა ზურგს უკან ეჭირა და ზღვა ხალხში მიირწეოდა...

ეთიკოს ბიძამისისნაირი ცისფერი თვალები და უცნაურად პოეტური სული ჰქონდა. გიტარაზე დაკვრა და სიმღერაც მშვენიერი იცოდა. არაფერი სჯობდა მის ოჯახში სტუმრობას. თან გადაგყვებოდა, სულ იმას ცდილობდა, რითი ესიამოვნებინე.

მე კარგად მახსოვს ეთერის მამა, რევაზ გედევანიშვილი, დიდაც ცნობილი, განათლებული აგრონომი, მაღალი, გამხდარი, იმჟამად მოურჩენელი სენისგან დასუსტებული — სიკეთისა და კეთილშობილების განსახიერება; გიორგი ლეონიძეზე ექვსი-შვიდი წლით ადრე გარდაიცვალა. ოცდაერთ წელს იარაღით იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას და დახვრეტას სასწაულით გადაურჩა იმჟამად.

რის თქმასაც ახლა ვაპირებ, საქართველოსთვის ცოტათი უჩვეულო და საჩოთირო ამბავი კია: გიორგი ლეონიძის მეუღლე ქალბატონი ეფემია (ფეფუცა) „ძია რეზოს" (ასე ეძახდნენ რევაზ გედევანიშვილს ახალგაზრდა ნათესავები) თითქმის ალალი და გახლდათ, დედები ჰყავდათ სხვადასხვა; ეთერისთვის იგი, იმავდროულად მამიდაც იყო და ბიცოლაც. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, რევაზ გედევანიშვილი და გიორგი ლეონიძე (გიორგი ლეონიძეს საამისოდ ეკლესიის ნებართვა დასჭირდა) დაქორწინებულები იყვნენ ერთმანეთის დებზე, რაც ჩვენში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ამდენად, რევაზ გედევანიშვილი და გიორგი ლეონიძე ერთმანეთისთვის სიძეებიც იყვნენ და ცოლისძმებიც. ამან არ უნდა დაგვაბნიოს — ისინი სიამტკბილობით ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. ქალბატონ ფეფუცას ეთიკო ძმისწულად და ქმრის უახლოეს ნათესავად მოხვდებოდა.

დიდად დასანანია, რომ ეთიკო თითქმის არსად და არავისში არ არის განსახიერებული — არც შვილებში, არც შვილიშვილებში და, კაცმა რომ თქვას, არც მიკვირს, მისი განმეორება შეუძლებელი იყო. ისე, ცოტათი მაინც, შავგვრემანია, მაგრამ მისი ქალიშვილი ნანა ჩამოგავს, მასავით ეხერხება ხუმრობა. სწორედ ეთერისნაირ ღვთისნიერ არსებებს გულისხმობდა გიორგი ლეონიძე თავის უკვდავ „ნატვრის ხეში", რამდენი ვინმეა ამ ქვეყანაზე, ლექსებს რომ არ წერს და პოეტად არის დაბადებულიო.

ეთერს ქმარი თავის სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე გარდაეცვალა, კიბოთი; სამაგალითო პატიოსნების პედაგოგი, პურმარილიანი მცხეთელი კაცი ალე ბარისაშვილი. წელიწადნახევრის განმავლობაში თავგადაკლული უვლიდა ლოგინად ჩავარდნილს და ამ მოვლისას, ეტყობა, თვითონაც დაავადდა. მალე კიდევაც მიჰყვა მეუღლეს. ეს სიცოცხლით სავსე ქალი ბიასავით გაყვითლდა, ღვიძლის სიმსივნე უღებდა ბოლოს. თავს ძალას ვატანდით და ვანუგეშებდით.

1967 წლის შემოდგომა იდგა. ჩემი ნინო ახალი დაბადებული იყო. რამდენადაც შეეძლო, გაიხარა. როცა უთხრეს, ნინო დაარქვესო, გაიღიმა, ცუდი სახელი არ არის, მაგრამ იცოდეს, მე იმას ნამიას დავუძახებ, ჩემთვის იგი ნამია იქნებაო. ალბათ, წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ეს იშვიათი სახელი. საუცხოო კერვა იცოდა, ოქრო გამოსდიოდა ხელიდან, სანამ დაუძლურდებოდა. უამრავ ლამაზ-ლამაზ კაბებს შევუკერავ ჩემს ნამიას, ნაქარგებით დამშვენებულსო, მითხრა სულ ბოლოს სანახავად მისულს. ამაზედაც ეტყობოდა, როგორი პოეტური ბუნებისა იყო. მერე ღრმად ამოიოხრა — თუ სოფიკოს ბავშვს ბედი აქვს, მე არ უნდა მოვკვდეო, გვერდზე მიაბრუნა ცრემლდაგორებული ლოყა...

ამდენი წელია მას მერე გასული და დღემდე არ გამნელებია წუხილი, უზომოდ მენანება ის სხივიანი ქალი. ქმრისა და დედამის გვერდით არის დასაფლავებული ვაკეში. რკინის ჩაჟანგებული მესერი აკრავთ გარშემო და იქ არიან ჩაჭედილები. სასაფლაოებზე სიარული არ მიყვარს და ძალიანაც რომ ვეცადო, მარტოკა ვერ მივაგნებ ძვირფასი ეთიკოს სამუდამო განსასვენებელს. მე ეს არც მჭირდება, ყველას ხსოვნას თან დავატარებ და დროდადრო ჩემებურად გამოვხატავ მწუხარებას ამქვეყნიდან წასულთა სახელზე.

ლია მოლარიშვილი

მოთხრობები

მესამე შვილი

ფატი, სკოლის მასწავლებლის ცოლი, ისეთი პატარა იყო და სუსტი, გეგონებოდათ, ქარის ოდნავი შემოქროლება ჰაერში აიტაცებსო, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა ასე. ვის შეეძლო იმდენი ტვირთი გადაეტანა, რამდენიც ფატის...

და განა ეს ტვირთი ქმრისა და ორი მოზრდილი, გაუგონარი ბიჭის მოვლა-პატრონობას, ან სოფლის ოჯახის გამუდმებულ საქმეს ნიშნავდა მხოლოდ.. ხშირად დაინახავდით, რა ჩქარი ნაბიჯით, მარდად მიუყვებოდა ქალაქის გზას, დიდი-დიდი, მაგრად დატენილი მძიმე ჩანთებით. მკლავები დაგრძელებოდა თითქოს. იშვიათად, რომ ავტობუსში ჩამჯდარიყო. ალბათ, იმ საცოდავ კაპიკებს იზოგებდა...

უკანაც სავსე ჩანთებით ბრუნდებოდა. გადამყიდველებს აბარებდა ყველსა თუ კვერცხს, სიმინდს, ხან ქათამსა და ინდაურს... იქედან სხვა სანოვაგით იტვირთებოდა.

ოფლგადამსკდარ სახეს მაინც ღიმილი უშუქებდა, მაინც ხალისიანად ესალმებოდა ყველას. იმისგან გაწბილებული მეზობელიც არავის ენახა. თუმცა, ბოლო დროს ძალიან გაუჭირდათ.

ქმარი, გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელსაც ბავშვები გრაფს ეძახდნენ, სახლს გარეთ გუნება-გახსნილი, ხალისიანი და ენამჭევრი იყო, შინ — უკმეხი და სიტყვაძვირი. მგონი, გარიგებით მოეყვანა ცოლი და ამას ვერ პატიობდა, თუ რა იყო... არც თავის სწორად მიაჩნდა.

— სად მე და სად შენო. — ეტყოდა სიმთვრალეში. — ეჰ, პატრონი რომ მყოლოდა, ნამდვილად დიდი მეცნიერი გავხდებოდი. შენ კი, სოფლელი ხარ, სოფლელი... არაფერზე ფიქრობ, სადილ-ვახშმის, სარეცხისა და ბატ-იხვის გარდა. აბა, რაზე უნდა გელაპარაკო. შეიძლება განა შენთან ლაპარაკი?

ასე კი ამბობდა, მაგრამ ცოლს ერთი წუთითაც რომ დაეგვიანებინა სადილი, მაშინვე ჩხუბს აუტეხდა, შიმშილით მკლავო. გაქათქათებული პერანგებიც ნებავდა და უნაკლოდ დაუთოებულიც — ამ უშუქობაში.

ფატის გული ამოუჯდებოდა, მაგრამ ტირილით, როგორღაც, მაინც არ ტიროდა. ითმენდა.

იმას ადრე ძალიან უყვარდა თავისი ქმარი. ეამაყებოდა, სულ თვალებში შესცინებდა. ახლაც უყვარდა, როგორ არა, მაგრამ ის აღარ იყო, რაც ძველად... მაინც ყველაფერს პატიობდა, ქართველი ქალის გულუბრყვილო თუ ბრძნული სიჯიუტით.

„მართლაც არა ვართ შესაფერისები", — გაიფიქრებდა ოხვრით.

მასწავლებელი, მაღალი, ერთ დროს ძალიან ახოვანი, ახლა ისე რა (შესამჩნევად გახდა), მაგრამ მაინც წარმოსადეგი კაცი იყო, შავგვრემანი, ლამაზი სახით.

ფატი კი — სარკეში თითქმის არ იხედებოდა, ისე აშინებდა ნაადრევი ნაოჭები თვალებთან, შუბლზე... არადა, ჯერ მხოლოდ ოცდათექვსმეტისა იყო.

მერე ჭაღარა... შეღებვასაც რომ ვერ ახერხებდა... როგორ უნდა გადაერჩინა ამისთვის ფული? ოდესღაც ნაზი, თხელი თითები ახლა გაუხეშებოდა და ფრჩხილებიც საბრალობლად ჰქონდა: ზოგი მომტვრეული, ზოგი გაშავებული (აკი, კაცისა და ქალის საქმეს სულ ის აკეთებდა და ერთხელ თითებზე ჩაქუჩი დაირტყა, საღორის კარის შეკეთებას რომ ცდილობდა).

ფატის, სახელის გარდა, თვალებიც აღმოსავლური ჰქონდა: დიდი, ნამდვილი შავი, ალერსიანი გამოხედვით. ერთი, ეს თვალები ლა შემორჩა ძველი. არა, ლამაზი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ასე რომ არ დაეგლახავებინა ცხოვრებას, ერთი რიგიანი, ნაზი ქალი ხომ მაინც ერქმეოდა.

„არა, არა ვართ შესაფერისები". — გულს მწარედ უსერავდა ეს ფიქრი, როცა ადრიანი დილის ცრიატ სინათლეზე მძინარე ქმრის სახეს უყურებდა. თუ ამ დროს კაცი ოდნავ შეიშმუშნებოდა, ფატი დამნაშავესავით შემკრთალი აარიდებდა თვალს. წუთით გაუყუჩდებოდა საბნის სითბოს და მერე ფრთხილად, მარდად წამოხტებოდა სანოლიდან.

ასე იყო მუდამ. ყველაზე ადრე დგებოდა. ალბათ, ამ სოფლის ყველა ქალზე უფრო ადრეც...

შვილები — აი, რა იყო ფატის მუდმივი საზრუნავი. ორივე ბიჭი უკვე მამლაყინწობდა. უამათოდ არ ჩაივლიდა სკოლაში არც ერთი ჩხუბი. თუმცა, მამის ხათრით ბევრს პატიობდნენ.

უფროსი, თხუთმეტი წლისა, ცოტა ნაკლებ თავგამოდებული იყო ამგვარ ამბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბში. მისი ცამეტი წლის ძმა კი — წარმოუდგენელი ჩხუბისთავი — ყოველ ფეხის ნაბიჯზე თითქოს ერთი-მეორეზე უფრო მაღალ წინაღობას ახვედრებდა დედას და ურთულებდა ისედაც ათასი საფიქრალით დამძიმებულ ყოფას.

ორივე ბიჭი — ტანმაღალი, უფროსი და ასაკთან შედარებით ცოტა დაბალი, მაგრამ ძლიერი და კარგად მოყვანილი უმცროსი — მამას ჰგავდა, მაგრამ მასავით ფაქიზად როდი უყვარდა ჩაცმა. იშვიათი არ იყო, როცა შინ პერანგშემოხეულები ბრუნდებოდნენ. ფეხბურთს თამაშობდნენ კარგად და მოედანიც ხომ იქვე იყო, მათი სახლის უკან.

ყოველთვის, როცა კი ბურთზე ფეხის დარტყმის ხმასა და უეცრად მოვარდნილ გამაყრუებელ ყიჟინას გაიგონებდა, ფატი ცუდად ხდებოდა. აკი, ყოველ ამ თამაშს თან მოსდევდა შვილების მთლად დალილავებული წვივები, არაიშვიათად გატეხილი წარბი და გადაყვლეფილი იდაყვები.

სიტყვა — „დედიკო", „დედა", წლების განმავლობაში დამოკლდა, გახდა „დე"... მერე კი სრულებით მიეცა დავიწყებას და ახლა ფატის ესმოდა მხოლოდ „ქალო!" ჯერ უხეშად გაიჟღერა ამ მომართვამ, როგორც კარზე ფეხის მორტყმამ. ბოლოს მაინც შეეჩვია. ან რაღას აღარ ეჩვევა ადამიანი, როცა მას სხვა ხელჩასაჭიდი არაფერი გაჩნია, თუ არა ისევ შვილები, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი.

ოდესღაც კი... ოდესღაც ფატი მეოცნებე იყო.

ახლო მეზობელი, მარტოხელა ქალი, ხშირად ელაპარაკებოდა ფატის ეკლესიაზე, იმის მადლზე, თუ როგორ შველოდა თავის მარტოობაში ღვთის რწმენა და მარტოც ხომ არ იყო და არა: ეკლესიის მრევლი, განა ყველა სულიერი და და-ძმა არ იყო მისი? ახლა მოძღვარი?

მამა იორამი, ამ ქალის თქმით, ნამდვილი მალამო იყო, ცხოვრებისაგან მოყენებული მწარე ჭრილობების უებარი მკურნალი.

ქალი, უცნაური სახელი — მანდოლინა რომ ერქვა, ერთხელ, ოდესღაც გათხოვილიყო, მაგრამ უიღბლოდ. ქმარს გაშორებული, მამის სახლში კი აღარ დაბრუნებულიყო, საკუთარი სახლი აეშენებინა და ცხოვრობდა მარტო. ავკარგიანი ქალი იყო, მარჯვე, ისევ მხნედ გამოიყურებოდა. ხმაც მშვენიერი ჰქონდა. ადრე გიტარაზედაც მშვენივრად უკრავდა, ახლა ეკლესიაში გალობდა. ასე თუ ისე, ამართლებდა თავის სახელს, მაგრამ როცა მოინათლა, მართად იწოდა.

ფატიცა და სხვა მეზობლებიც, მაინც მანდოლინას ეძახდნენ, მანდოლინა დეიდას.

— იარე, შვილო, ეკლესიაში. კვირაში ერთი დღე გამონახე რამენაირად, — სთხოვდა იგი ფატის, — ძალიან შორს რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ აგერ არ არის, ყურისძირში?

ასე დაიწყო ფატიმ ეკლესიაში სიარული და სულ მალე იქცა გულმხურვალე აღმსარებლად, მამა იორამის ერთ-ერთ ყველაზე მორჩილ სულიერ შვილად.

გვიანი შემოდგომის წვიმიანი დილა გათენდა. მონაცრისფრო, ბინდბუნდიანი. თითქოს რიჟრაჟთან ერთად ფეხაკრეფით შემოიპარა თვით საღამო. უღიმღამო, თან კი ცივი დღე დადგებოდა, ჩანდა.

ფატიმ, როგორც ჩვეოდა, გაღვიძებისთანავე წამოსწია თავი ბალიშიდან და მიმოიხედა, მაგრამ მკვეთრ მოძრაობაზე ისე ცუდად გახდა, ეგონა გული მიღონდებაო. ამიტომ მორჩილად დახუჭა თვალები. ოთახი ჯერ ისევ ტრიალებდა მის წარმოსახვაში.

სასოწარკვეთა, აი, რა ერქვა იმას, რასაც განიცდიდა ახლა. თავად უქეიფობა როდი აღონებდა, არამედ მიზეზი შეუძლოდ ყოფნისა: გუშინ საბოლოოდ დადასტურდა მისი ეჭვი, რომ ფეხმძიმედ იყო.

ამ დღიდან სრულიად შეიცვალა ფატი. სახეზე დაეწერა ისეთი გულგრილობა, რომელიც აშინებდა თვით მის ქმარსაც კი. ადვილად იღლებოდა. საქმეს ისევ ისე აკეთებდა, მაგრამ იძულებით, მოშვებული... ადრე კი ხელიდან სულ ნაპერწკლებს ჰყრიდა.

კვირა კვირას მისდევდა და რაც უფრო იზრდებოდა ნაყოფი მის სხეულში, მით უფრო სუსტდებოდა და თვალდათვალ ილეოდა თვითონ. გაფრეცილ სახეზე მარტო თვალები უელავდა, ისიც ავადმყოფურად, სიცხიანივით.

ბავშვს ვერ მოიშორებდა... ეს წარმოუდგენელი იყო. მოძღვარი დიდხანს ელაპარაკა და დაარწმუნა ქალი, რომ ამაზე დიდ ცოდვას, ორი სიცოცხლეც რომ მიეცა ღმერთს, ვერაფერს ჩაიდენდა. ბოლოს კი მკაცრად გააფრთხილა, რომ თუ მაინც გადაწყვეტდა ბავშვის მოკვლას, დაე, ნულარ ეშინებოდა მისგან შენდობის მიღების იმედი, რადგან „ვისაც შევუნდე ღვთის სახელით, მერე კიდევ გაიმეორეს ეს საშინელება, ისევ ჩავარდნენ ცოდვაში და ამაში ჩემს დანაშაულს ვხედავო".

ხოლო ბიჭები უკვე დიდები იყვნენ... ხის ძველი ოდა-სახლი კარგა ხანია შესაკეთებელი იყო და ფატის სტანჯავდა ფიქრი, როგორ და სად დაესახლებინა უფროსი ბიჭი. ძმები ერთ სახლში ხომ ვერ იცხოვრებდნენ მუდმივად. წესით კი მამისეული სახლი უმცროსს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან როგორ შეხვდებოდნენ ისინი ამ ახალ ამბავს?

უფროსი მალე სკოლას დაამთავრებდა. შეყვარებულიც კი ჰყავდა. მშობლები ალბათ უკვე ისე ხნიერებად მიაჩნდა, რომ ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა გაეჩინათ იმათ ბავშვი... ცხადია, საერთოდ არც კი უფიქრიათ ასეთი რამ. როგორ შეიძლებოდა, ამაზე ეფიქრათ?

ფატის ეჩვენებოდა, რომ ყველანი დასცინოდნენ. ან კიდევ უარესი — იბრალებდნენ. მას თვითონვე ებრალებოდა საკუთარი თავი.

— რამ გაფიქრებინა ბავშვის გაჩენა. ისედაც ათასი გაჭირვება გადგას, შე სანყალო, — უსაყვედურა დამ. — ან ექიმთან მისასვლელი ფული თუ გაგაჩნია, ან წესიერი საჭმელ-სასმელი... არ იცი, რამდენი რამე სჭირდება ფეხმძიმე ქალს? ეჰ, ნეტა რას გეჩიჩინებიან ეკლესიაში. თუ კარგია, ადგეს და მღვდელმა გირჩინოს პატარა ბავშვი.

— იმას თვითონვე ექვსი შვილი ჰყავს, ერთიმეორეზე პატარები, — სუსტი ღიმილით უპასუხა ფატიმ.

ყოველი ასეთი ლაპარაკის შემდეგ მას საშინელი, მტანჯველი ეჭვები იპყრობდა, უძილოდ ათენებდა ღამეებს და ამან კიდევ უფრო დაასუსტა. ისე, რომ, ფეხმძიმობის ბოლო თვეებში მისი შეხედვა მარტო სიბრალულს კი არა, გაოცებასაც იწვევდა: როგორ უნდა მიეცა ახალი სიცოცხლისათვის დასაბამი ამგვარ შესაბრალის ქმნილებას?

ის კვლავ დგებოდა სისხამ დილით, როგორც ადრე, ჩვეულებისამებრ. არწმუნებდა თავს, რომ არაფერი შეცვლილა. მადლობა ღმერთს, ზაფხული იდგა და ბიჭები დასასვენებლად იყვნენ ქმრის მშობლებთან. ეს შვება იყო, თუმცა არც ისე დიდი, რადგან კვლავინდებურად უნდა მიეხედ-მოეხედა სახლში, ეზოში...

ინდაურმა თავისით დაჩეკა ნინილები. მარტო ჭინჭრის დაკრეფას და იმის ხარშვა-მზადებას ძლივს აუდიოდა. ეზოში ახლაც არ გააჭაჭანებდა სარეველას. პატარა ჯორკოს გაიტანდა, ჩამოჯდებოდა და ისე თხრიდა მოძალებულ ბალახს.

„გრაფი" დამნაშავის იერით მიმოდიოდა სახლში. ის ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობდა, რომ ფატი ვერ გადაიტანდა მშობიარობას. და რაღა ეშველებოდა მაშინ? ეს პატარა ქალი ხომ მისთვის ძალიან საჭირო იყო და თან... ძვირფასიც...

ის, როგორც კაცების დიდი უმრავლესობა, არ შეუწუხებია კიდევ ერთი შვილის გაჩენის მოლოდინს. პირველად ცოტა შეცბა, როცა ცოლის გადაწყვეტილება შეიტყო. გაუჯავრდა კიდეც, შენ სარწმუნოებას რას დაეძებ, საკუთარ გაჭირვებას გადახედეო, მაგრამ ეს ისე — მოსაჩვენებლად, რადგან წესად ჰქონდა, ყველაფერზე შედავებოდა ცოლს. მეტად არაფერი უთქვამს. უფრო შვილებისა ერიდებოდა. ეშინოდა, ნეტავ რას მოიმოქმედებენ, როგორ შეეგუებიან დაუპატიჟებელ სტუმარსო?

მისდა გასაკვირად, ბიჭებს არ გამოუხატავთ წყენა, გაჯავრება. მხოლოდ უმცროსი, რამდენიმე დღე ზედიზედ, საშინელი ნაჩხუბარი მოდიოდა სკოლიდან და შეკითხვებზე არ პასუხობდა გაღიზიანებული. დუმდა და ემდუროდა მშობლებს, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ უთქვამს, რატომ. ის კი, საერთოდ, ხშირად იყო ასეთ გუნებაზე.

ფატი ერთხელაც არ მისულა ექიმთან. არც ფული ჰქონდა და არც სურვილი, თუმცა თავს ძალიან სუსტად გრძნობდა. ბავშვი კი მაინც ჯიუტად განაგრძობდა სიცოცხლეს და მაშინ ფატიმ დაიწყო ოცნება გოგოზე.

ამაზე აქამდე არც კი უფიქრია. თითქოსდა ამაში რაიმე არაჩვეულებრივი იყო. ასე ეგონა, ჩემი შვილი აუცილებლად ბიჭი იქნებაო. სხვანაირად ვერც კი წარმოედგინა. მაგრამ, რატომაც არა? იქონებ გოგო დაიბადოს...

გოგო თუ გაჩნდება, ეგებ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალოს. ცხოვრებაც სხვანაირი გახდება. გოგოები ხომ მგრძნობიარენი და შემბრალენი არიან. აი, ვინ იქნება დედის მაამებელი შვილი. ნაზი, მინდვრის ყვავილივით სათუთი... დედის ყველა სატკივარს გულთან ახლოს მიიტანს.

ამგვარმა ფიქრებმა უფრო ასატანი გახადეს უძილო ღამეები. თუ ცოტა ხნით ჩათვლემდა, წამიერ სიზმარშიც პატარა გოგონას ხედავდა.

ივლისის მიწურულს საშინელი, გულისშემაღონებელი სიცხეები დაიჭირა. წყლებმა არათუ ღელეებსა და პატარა შენაკადებში, არამედ ჭებშიც კი საგრძნობლად იკლო. ზოგან კიდევაც ამოშრა. ასეთი გვალვა მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ.

ფატის თავისი თავი ნაპირზე ამოგდებული, სულის მღაფავი თევზი ეგონა. არ ჰყოფნიდა ჰაერი. სვამდა უამრავ წყალს და მაინც გამუდმებული წყურვილი სტანჯავდა.

ერთ საღამოს განსაკუთრებით ცუდად იგრძნო თავი. თუმცა ჩამობნელდა, სიგრილე მაინც არ იყო. არ იყო შუქიც და ანთებული ლამპა ედგათ აივანზე. მეზობლის ქალი წნევას უსინჯავდა.

— მთლად დავარდნილი გაქვს წნევა. — უთხრა მან ფატის. — საკვირველია, ფეხზე როგორ დგახარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფატიმ მხოლოდ სუსტად გაუღიმა.

წასვლისას ქალი ისევ მიუბრუნდა:

— არა, შვილი ძალიან კარგია... თუ კი ადამიანს შვილის ყოლის საშუალება აქვს, შვილს რა ჯობია... მაგრამ შენ, აგერ, ფეხად რომ კვდები? უნდა კი ღმერთს შენი საცოდაობის ყურება?

ფატი დაწვა და ყურებში თითქოს ზარივით უგუგუნებდა: „უნდა კი? უნდა?!"

ის მარტო იყო სახლში, როდესაც ტკივილები დაეწყო. ქმარი ჯერ კიდევ წინდღით გაემგზავრა ბავშვებთან და ასე ადრე არ მოელოდა.

ფატი ძლივს მივიდა ღობესთან, რომელიც ჰყოფდა მეზობლის ეზოსაგან და ხმადაბლა დაუძახა ჰამაკში მწოლიარე ახალგაზრდა ქალს.

მანქანაში, ფატი, თუმცა ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ნაძალადევად იღიმებოდა. დარცხვენილი უფრო იყო ვიდრე შეწუხებული. თითებს ჩუმად იმტვრევდა, აცრემლებული თვალები დაეხარა. სახეზე კი ღიმილი შეჰყინვოდა. მეზობლის ქალი ამხნევებდა. ხოლო იმისი ქმარი დროდადრო თავს მოაბრუნებდა უკან და ეხუმრებოდა. ალბათ, ისიც ცდილობდა ამგვარად მის გამხნევებას.

როგორც იქნა, გათავდა ოღრო-ჩოღრო გზა.

სამშობიაროს მისაღებში დიდი ჩოჩქოლი იდგა.

ფატის მოეჩვენა, რომ ყველას თვალებში გაკვირვება გამოესახა.

აქ მან თითქოს შორიდან დაინახა თავისი თავი: ნაადრევად მობერებული, ჩამომჭკნარი, გაცრეცილი უბრალო კაბით. რა მარტო იყო... არც დედა ჰყავდა, ქმარ-შვილიც კი არ ედგა გვერდით. მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა ლოყებზე. შევიდა კარში და მოუბრუნდა მეზობლებს, უნდოდა მადლობა გადაეხადა, მოებოდიშებინა შეწუხებისთვის...

მათ ხელი დაუქნიეს.

— ყველაფერი კარგად იქნება, ფატი! — დაუძახა მეზობლის ქალმა.

რკინის მძიმე, თეთრად შეღებილი კარი დაიხურა. ფატიმ ორი ნაბიჯი კიდევ გადადგა და უეცრად გრძნობადაკარგული დავარდა...

— ბიჭია! — თქვა ექიმმა. — გენერალი დაიბადა.

ბიჭი ყურისწამღებად ჩხაოდა.

— აი, ყოჩაღ, ახლა სამი ვაჟკაცის დედა ხარ! — გაუცინა ბებიაქალმა.

მშობიარემ სახეზე აიფარა აკანკალებული ხელები.

ბიჭები... ველური ბიჭები, რომლებიც არასოდეს, არასოდეს არ ფიქრობენ დედაზე. უკანასკნელი იმედიც გაუქრა. ასევე ება პატარა გოგოზე შეუბრალებლად დაიმსხვრა და მას მოეჩვენა, რომ ისევ გრძნობას კარგავდა. ამაოდ... ყველაფერი ძალიან ცხადი იყო. ისეთი ნამდვილი, რომ ამის შეგრძნებას წინანდელი ჯოჯოხეთური ტკივილებიც ერჩია. ეს სამყარო მისთვის ნაცნობი იყო: შეთეთრებული ჭერი და კედლები, ნიკელის გაკრიალებული იარაღები, სისხლისა და ქლოროფორმის სუნი... იგივე ექიმი, იგივე ხნიერი ბებიაქალი... მხოლოდ არ იყო უწინდებურად შიშნარევი განცდა ბედნიერებისა.

ის იმდენად იყო დასუსტებული, იმდენად მძიმედ ჩაიარა ყველაფერმა, რომ ეგონათ შემდგომი გართულებებიც უნდა მოჰყოლოდა მშობიარობას, მაგრამ მთელი დღე მშვიდობიანად გავიდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ფატი ძილად მივარდა. ეძინა იმ დღეს და მეორე დღესაც, თითქმის საღამომდე.

პალატაში კიდევ ორნი იყვნენ. ისინი შვილად შეჰფერიოდნენ ფატის. ორივეს პირველი შვილი, გოგო შესძენოდა.

ფატის არ უნდოდა გამოფხიზლება. რა სიამოვნებით დაიძინებდა კიდევ მთელი დღე-ღამე. ან იქნებ სამუდამოდაც... მოსვენება და გარინდება სწყუროდა. მაგრამ ამ დროს მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა მომვლელი ქალი და პირდაპირ მისკენ გამოსწია. ხელში ბავშვი ეჭირა, ბიჭი...

ფატიმ თვალები დახუჭა და კედლისკენ მიაბრუნა თავი.

— გამომართვი, რა გაუნძრევლად წევხარ. შენი შვილი არ არის, თუ რაშია საქმე? — უთხრა მომვლელმა და ფუთასავით გამოკრული ბავშვი ლოგინზე დაუწვინა.

ფატი ნელა გადმობრუნდა. ჯერ მიმოიხედა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა: ბავშვები სხვებთანაც შემოიყვანეს. მაშინ მან ხელში აიყვანა შვილი.

მკლავები უკანკალებდა, როგორც რაღაც მძიმე ტვირთის დაჭერისას. საოცარი ის იყო, რომ რძე კიდევ შერჩენოდა, ასე გატანჯულს. თვალდახუჭული, თითქმის რულში ნასული აწოვებდა. კარგა ხანი გავიდა, ალბათ, რომ ბავშვმა ჭამა შეწყვიტა. მაშინ მან გაბედა და დახედა...

დახედა და შეკრთა.

— ეს... ეს ჩემი შვილია? — წამოსცდა ფატის.

მომვლელმა ქალმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და გაეცინა.

ფატის შერცხვა, მაგრამ უფრო მეტად იყო გაოცებული. მან თავი ისევ დახარა და ბავშვის მრგვალ თეთრ სახეს დააცქერდა.

კარგად ახსოვდა... რა დაავიწყებდა, რომ მისი ორივე ბიჭი შავთმიანი დაიბადა და ის-

ეთი წითელი, რომ მეტი ხასხასა ფერის წარმოდგენა ბავშვისთვის შეუძლებელი იყო. ატირებულები მაინც, ნამდვილ კიბორჩხალებს ემსგავსებოდნენ. ეს კი, საიდან, რა სასწაულით, ასეთი თეთრი...

მან სახვევები შემოხსნა ბავშვს და გაუთავისუფლა რძისფერი, ფუნჩულა, მკვრივი ხელ-ფეხი. ჰოი, საკვირველებავ – ნამდვილი ოქროსფერი თმა ჰქონდა. ნაზი, ღინღლივით მსუბუქი, მაგრამ ისეთი ბზინვარე, რომ გეგონებოდათ, ხელის შეხებისას, ან ნიავის წამობერვისას ნკრიალს დაიწყებდა. ფატიმ შიშით შეახო ტუჩები თავზე და თმის სინაზემ გულის სიღრმემდე შესძრა.

ბავშვები რომ გაიყვანეს, ფატიმ მოსვენება დაკარგა. რაღაცას იხსენებდა, მაგრამ რას? შეწუხებული იყო, ფიქრობდა... გათენებას ნატრობდა.

დილით ფატიმ აჩქარებით ჩამოართვა ბავშვი.

ის ისევ ჩუმად იყო, წყნარად და ნელა წოვდა ძუძუს. ფატი დასცქეროდა და ფიქრობდა ბედის უცნაურობაზე. „ვინ იცის, იქნებ!..“ გაუელვა გონებაში, მაგრამ ფიქრი ვერ დაასრულა. მოჯადოებულივით შეჰყურებდა შვილს.

როგორც ყველა ახალშობილს, ამასაც ცისფერი თვალები ჰქონდა, ოღონდ ჩვეულებრივ ბურუსიანი კი არა, კამკამა და წმინდა. თანაც ის იხედებოდა... ფატის ხატზე შეეძლო დაეფიცა, რომ ბიჭი ხედავდა. აი, მზერა მიაპყრო დედას... გაოგნებული ქალი სუნთქვასაც ვერ ბედავდა. ბავშვმა უყურა, უყურა და უცებ გაულიმა. მერე კი დახუჭა ის საოცარი ლურჯი თვალები და მშვიდად ჩაიძინა.

ფატის რაღაც მოაგონდა... ბუნდოვნად. დიდხანს ლოცულობდა. ჩუმად იმეორებდა ერთსა და იგივეს. ეს იყო ლოცვა ღვთისმშობლისადმი, ეკლესიაში რომ ასწავლეს. სიტყვების აზრი მის გონებამდე არც კი აღწევდა ახლა და მათი წარმოთქმა მაინც დიდ შვებას ანიჭებდა.

გზა სახლისაკენ ფატის აღარ მოეჩვენა ისეთი დამღლელი და სევდიანი. ბავშვი ქმარს ეჭირა.

– ცოტა ხნით ჩემი და დარჩება ჩვენთან და მოგეხმარება, – უთხრა ქმარმა.

– არა, არ არის საჭირო, – შორს დაიჭირა ფატიმ. – მე უკვე კარგად ვარ.

მაგრამ მული შინ დახვდა. მაღალი, მსუქანი, ხმაურიანი ქალი. ისეთი ვიშვიშით შემოეგება, თითქოს ფატის რაღაც უბედურება შეემთხვა და ეს დამშვიდებას ცდილობდა. ჩამოართვა ბავშვი, არ დაუხედავს კი და საწოლ ოთახში შეუძღვა.

როგორც იქნა, ფატი მარტო დარჩა ბავშვთან.

ღონიერი და ჯანმრთელი ბიჭი ესეთუნელი ნეტარებით იზმორებოდა, რომ ფატიმ ამოუჯდა და ცრემლი მოსწყდა. ცრემლი ბავშვს დაეცა სახეზე. იგი შეკრთა, პატარა ხელები ჰაერში გაუშეშდა, გაოცებით ახამხამებდა თვალებს. ფატი უფრო შემკრთალი მისჩერებოდა. ბიჭმა დედას შეხედა და შეწუხებული სახე უეცარმა ღიმილმა ერთიანად გამოუცვალა, გაუბადრა.

ქალმა ვეღარ მოითმინა, ხელში აიყვანა და მაგრად მიიკრა გულზე.

– ღმერთო დიდებულო! აი, შენი სასწაული: ოქროსქოჩრიანი ვაჟი, უმცროსი შვილი... უმცროსი შვილი!..

ამ დროს მული შემოვიდა.

– შენ კიდევ არ დაწოლილხარ? – აქოთქოთდა მაშინვე, – ასე მაგრად ნუ მიიხუტებ ბავშვს, რამე არ ატკინო!

– ვერიკო, შენ გახსოვს ზღაპარი უმცროს ვაჟიშვილზე? – ჰკითხა ფატიმ.

– ზღაპარი?!.

– ჰო, „სამი ძმა“. გახსოვს მესამე ძმა? ნუთუ ბავშვობაში ზღაპრებს არ კითხულობდი?

მაგრამ მული აღარ უსმენდა, აჩქარებით ფერთხავდა ღია ფანჯარასთან რაღაც საგნებს, თან გაფაციცებული იყურებოდა გარეთ. უცებ შეჰყვირა, ძაღლს შეუწყრა, რომელიც, ალბათ, წიწილს თუ გამოედევნა.

ფატი დააკვირდა მას. მული ელაპარაკებოდა, როგორც ჩვეოდა, ჩქარ-ჩქარა და თან ასწორებდა თეთრ ფარდას უკმაყოფილო სახით. ეს იყო მუდმივ მოძრაობაში მყოფი ქალი. უბრალოდ ფუსფუსა და მშრომელი კი არა, არამედ კარგად მომართულ ხელსაწყოსავით მოქმედი. იგი, ალბათ არასოდეს, თვით შორეულ ბავშვობაშიაც კი არ წასულა ფიქრისა და გარინდების ტკბილ ბურანში და რაღა თქმა უნდა, არც არავითარი ზღაპრები სწამდა. სრულიად ზედმეტი იყო, მისთვის გული გადაეშალა... ვერ გაუგებდა, ოდნავადაც ვერ მიუხვდებოდა ფატის ბუნდოვან, მაგრამ მშვენიერ, გაბედულ ოცნებებს...

ღამით, ძალიან გვიან, როცა ყველას, ყველას ეძინა, ფატი ადგა და შიშველი ფეხებით ჩავიდა ეზოში, გაიარა ნამიან ბალახზე თეთრპერანგიანმა, მოჩვენებასავით. თან სიამოვნებით ფიქრობდა, რა დაემართებოდა მის მულს, ახლა ეს სურათი რომ დაენახა. ღამე კი იყო მეტისმეტად დახუთული დღის შემდეგ მოულოდნელად გრილი, მშვენიერი, ვარსკვლავიანი და ნაზი. ფატი უყურებდა ამ უცნაურ, ნათელ სიბნელეს. თავს კარგად გრძნობდა, მშვიდად.

დიდი ხანია, გადავიწყებოდა სწორედ ეს სიმშვიდე. თვით ის ფიქრები, რომლებიც

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბადებოდნენ ამ წუთში, თითქოს მასში კი არა, მკრთალი შუქით მთრთოლვარე ჰაერში ჩნდებოდენენ, რათა დაჰკვირვებოდა მათ მდინარებას.

ერთი წუთით გაუელვა აზრმა, რომ შეიძლება, წინ უფრო მეტად ძნელი დღეები ელოდა, ვიდრე ოდესმე გამოუვლია. ოჯახური ცხოვრების ყოველდღიური ერთფეროვნება, შიში, წვრილმანი უსიამოვნებები... ეს ყველაფერი იყო და რჩებოდა, მაგრამ ახლა ამის გახსენება აღარ აღონებდა.

მან იცოდა, რომ დიდი იმედების რამდენიმე წელი მთელ სიცოცხლეს უდრის. დედურ სიყვარულთან ერთად გული სავსე ჰქონდა გამოუთქმელი მადლიერებით იმ პატარა არსებისადმი, ვინც დაუბრუნა ეს იმედები, ვინც იყო დაბადებიდან ... ნაირი, მრავლისმთქმელი...

მართლაც, რამდენს ელოდა... და თუნდაც ეს მოლოდინი გრძელი და უსასრულო ყოფილიყო, მერე რა, ის მაინც იმდენ ხანს მოიცდიდა, რამდენიც დასჭირდებოდა.

იგი იდგა ღამეში მარტო. სუსტი, სუსტი... და კიდევ, ვინ იცის, რა ბევრი უნდა აეზიდა ამ სუსტი მხრებით. მაგრამ იქნებ, ერთი შეხედვით ჩანდა ასე... იქნებ, ეს იყო დიდი სინაზე, რომელიც მხოლოდ წააგავს უმწეობას და სინამდვილეში კი ერთადერთია, რაც არყევს სიბეცისა და გულქვაობის ყრუ კედლებს. ისე, როგორც ახლა, შორეული, თითქმის უჩინარი ვარსკვლავები მუსრავდნენ შეღამების სიბნელეს.

სურვილების ტბა

ჩემს წინაშეა ძველი ფოტოსურათი. სქელ მუყაოზე დაკრული შავ-თეთრი გამოსახულება ახალგაზრდა ქალისა. მას მკაცრი, ყელამდე შეკრული კაბა აცვია, მაგრამ დაკვირვებული თვალით მაინც ვკითხულობ ნაზი მხრების მოყვანილობას, უჩვეულოდ წერწეტ წელს... და ეს გულდაგულ დაფარული მშვენიერება უფრო მატყვევებს, ვიდრე ყველაზე დაურიდებელი სიშიშვლე ქუჩაში გამოფენილ სარეკლამო პანოებზე.

ღმერთო ჩემო, მე რომ მამაკაცი ვიყო, არასოდეს შევჩერდებოდი იქ, სადაც არაფერია იდუმალი...

მგონი სულსაც ასე ემართება: ლამაზი სული, რაც უფრო ღრმაა და საიდუმლო, მით უფრო გამჭვრვალეა და სუფთა, ხოლო ზოგჯერ ისეც ხდება – ერთი სიტყვით, ერთი მოქცევით, კაცი გადაგიშლის მთელ თავის სამყაროს და ის მაინც უძირო, ბნელ ჭად მოგეჩვენება, სადაც არაფერია საძიებელი.

ამიტომ უნდა გავახვიოთ სული მსუბუქ ნისლში, როგორც მთის დილა, სამოსელივით დავიფაროთ ჩვენი სიშიშვლე.

აი, ეს ქალიც, გაყვითლებული, გაცრეცილი ფოტოდან, ნაზი ხელით რომ ეყრდნობა რაღაც თეჯირის მაგვარს, მთელი სიცოცხლე იდუმალების ბურუსში ხვევდა თავის სულს, სურდა გამოუცნობი ყოფილიყო ყველასათვის, მიმზიდველი, საბედისწერო... მაგრამ პირიქით კი მოხდა: სწორედ ამიტომ; იგი ჩემთვის ასეთი ახლობელი და ნაცნობია ამდენი ხნის შემდეგ, როცა მთელი საუკუნე გვაშორებს, როცა საფლავიც კი აღარ არსებობს მისი და ეს არც არავის აღელვებს.

მას სქელი, ხვეული და ძალიან გრძელი ქერა თმა აქვს. შავი კაბის ფონზე ეს თმა ლამაზ კონტრასტს ქმნის. თმით ჩვენ ერთმანეთს ვგავართ. კიდევ რით? თვალების ჯიუტი და თან უმწეო გამომეტყველებით... შესაძლოა. ეს არც არის საკვირველი – იგი ხომ მიკავშირდება შორეული და უხილავი, მაგრამ მტკიცე ნათესაური ძაფებით.

თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს...

სურათის უკანა მხარეს, ჯერ კიდევ იკითხება ასი წლის წინათ მელნით დაწერილი, უცნაური, გულისშემძვრელი სიტყვები:

„ძვირფასო ნინო, ყველაფერი, რაც კი ოდესმე გვისწავლია და ჩაგვაგონეს, ჩემს მილმა მიდის, ხოლო ის, რაც ჩემშია ...

მე ოკეანის წყალივით ვარ, გესმის? უფრო სწორედ, მე ვარ სურვილების ტბა. წარმოიდგინე, რომ ბობოქარი ტბის ფსკერზე უამრავი სურვილი არის, მე კი არც ერთის დაჭერა და დაუფლება, ანუ აღსრულება არ შემიძლია.

იქნებ, ოდესმე...

მარად შენი მოსიყვარულე მაიკო“.

მაიკო იყო შვილი სოფლელი დიაკვნისა. ღარიბი. რიგით, არც მეტი, არც ნაკლები და – მეცამეტე ქალიშვილი.

ძნელია უფრო მეტად მოსიყვარულე და შვილებზე გადაგებული მამის წარმოდგენა, ვიდრე ეს დიაკვანი იყო. ვერც სილატაკემ, ვერც განგებისგან და ვერც კაცთაგან თავს დატეხილმა განსაცდელმა ვერ შესძლო გაეუხეშებინა დიაკვნის რბილი ხასიათი, ლმობიერი გული...

ოთხი ძუძუთა ბავშვი სახადმა თუ რაღაც უცნობმა ავადმყოფობამ გამოაცალათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიდან. ხანი გამოხდა და თორმეტი წლის, გამორჩევით ლამაზი და გონიერი უფროსი ქალიშვილი დაეხრჩოთ მდინარეში. დანარჩენები, ყველანი ჯანმრთელები და ღვთის თვალიც თითქოს საგულდაგულოდ იფარავდა ამათ, ფრჩხილიც არასდროს წამოსტკენიათ. მერე უმცროსებიც გაჩნდნენ...

გაადევნებდა თვალს დიაკვანი ჯარგვალთან მოთამაშე გოგონებს და გული ეწურებოდა სიბრალულით და სიყვარულით.

– ღმერთო, ღმერთო! – პირჯვარს იწერდა და ჩუმად, მხურვალედ ლოცულობდა, – ამათ ნურაფერს გაუჭირვებ, ნურაფერს... ისევ მე შემეყაროს ყველას მაგიერ სატკივარი, მე დამაკუნტე, ოღონდ აგენი იყვნენ კარგად... არა, უფალო, ნურც მე... ჯერ არა. საპყარი და ავადმყოფი რას წავადგები შვილებს?

და ისიც ძალ-ღონეს არ ზოგავდა. თუ ეკლესიაში არ იყო, ნახავდით პატარა მამულში მომუშავეს, გულდაგულ, დაუჩივლებლად. ეს იყო და მთელი ნადი. მარტოც კარგად აუდიოდა ყველაფერს. ნეტა კი ჰქონოდა იმდენი, ვინმეს ხელის წაკვრა დასჭირვებოდა.

სამაგიეროდ, საღამოები ჰქონდათ კარგი. განსაკუთრებით ზამთრის. სევდიანიც და რაღაც ჩუმი სიხარულით გამთბარი. ბავშვებს ამბის მოსმენა უყვარდათ. განსაკუთრებით, თუ წაუკითხავდნენ რამეს. წიგნი ბევრი არ ეშოვებოდათ, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი" კი იყო, რაც მთავარია, ძველი, მაგარყდიანი და ესეც კარგად ჰყოფნიდათ. ლოცვებსაც სწავლობდნენ, მაგრამ ისე ხალისით არა, რა დასამალია...

უმცროსი, მაიკო, თითქმის არ ერეოდა საუბარში. ოღონდ თვალებგაბრწყინებული უსმენდა მამის ყველა სიტყვას, ხოლო წიგნი სიცოცხლეს ერჩია. ფურცლავდა დაუსრულებლად, სურათებს უცქერდა და უფრო უყვარდებოდა ყველა გმირი.

საიდან, როგორ აღმოჩნდა მაიკო დიდ ქალაქში, დღემდე ბუნდოვანია... სავარაუდოა, მამის სიკვდილის მერე. ასე ვერ აუხდა საწადელი დიაკვანს – ადრე გამოეთხოვა ამ წუთისოფელს და მისი ნაშიერებიც დაიფანტნენ აქეთ-იქით, ქორისაგან დარბეული წინილებივით.

თვრამეტი წლისა, მაიკო უკვე ცოლი იყო ძალზე კეთილი, ხანშიშესული გეოლოგისა, რომელიც გამუდმებით დადიოდა სხვადასხვა ქანების საძიებლად, ღმერთმა უწყის, სად აღარ... კარგად კი უხდიდნენ ამაში, მაგრამ მაიკო ისე ხშირად რჩებოდა მარტო, რომ აღარ იცოდა, რით მოეკლა დრო.

თეთრ კაბაში გამოწყობილი, მუდამ დავარცხნილი და მორთული დააბიჯებდა გაკრიალებულ დიდ დარბაზში და საუბრიანი ფეხის ხმა აშფოთებდა. აღიზიანებდა მოსამსახურე ქალიც, ვისზეც ცოტა კიდეც ეჭვიანობდა.

გამუდმებით სწერდა წერილებს ვინმე ნინოს და ისიც ერთგულად პასუხობდა. როგორც ჩანს, ერთმანეთი საზღვარგარეთ, საკურორტო ქალაქში გაიცნეს. რომ დაქორწინდნენ, ქმარმა მაიკო შვეიცარიაში ნაიყვანა. მართალია სულ ორი კვირით, მაგრამ მაინც... ამას ხომ ადრე, ოცნებაშიაც ვერ წარმოიდგენდა. ახლა კი მოწყენილობისგან სული ხდებოდა.

სახლში როიალიც ედგათ. იმაზე, ადრე, გეოლოგის პირველი ცოლი უკრავდა. მერე, რა კარგად. კონცერტებსაც მართავდა თურმე. ეს ქალი ჭლექით გარდაიცვალა. მაიკომ დაკვრა არ იცოდა. არც ფრანგული. გამართული რუსულითაც ვერ მოიწონებდა თავს. ამიტომ გაურბოდა ხალხმრავალ საღამოებს.

მაგრამ მოწყენა კლავდა.

„შვილი რომ მეყოლება, – წერდა თავის ერთადერთ, შორეულ მეგობარს, – ვაჟს ავთანდილს დავარქმევ, ქალს – ნესტანს".

შვილზე ისე ოცნებობდა, ავადაც კი გახდა.

ასე გავიდა ცხრა გრძელი წელიწადი და მეათე ზაფხულს, მაიკო თან გაჰყვა ქმარს მთაში, სადაც საექსპედიციო ჯგუფი ელოდათ. აქ ციოდა, ნისლი და სინოტივე დახვდათ, მაგრამ მაიკო მაინც კარგად გრძნობდა თავს. ყოველგვარი ცვლილება ღვთის წყალობად ესახებოდა.

იმან ხომ არ იცოდა, წინ რა მოელოდა, რომ სანატრელი გაუხდებოდა ადრინდელი სიმყუდროვის ბედნიერება, მდორე მდინარესავით აღუშფოთველი ცხოვრება.

სულ რამდენიმე დღე დაჰყვეს მთაში და ერთხელაც, ვიწრო ხეობაში რომ მიდიოდნენ, გეოლოგი წინ მიუძღოდა ყველას და რაღაც ამბავს ჰყვებოდა გაცხოველებით, დროდადრო თავს მოაბრუნებდა და მაშინ პენსნეს შუშები გაიელვებდა ქარაფებს ძლივს გადმოღწეულ მზის სხივებზე.

უცებ გეოლოგი შედგა, ხელები უცნაურად აიქნია და პირქვე დაეცა. მიცვივდნენ, გადმოაბრუნეს. პირიდან სისხლი სდიოდა.

– გული გაჰხეთქვია. – თქვა ექიმმა. დაჩოქილს, გეოლოგის მკერდზე ედო ხელი. – აკი გავაფრთხილე... მისთვის სულ არ შეიძლებოდა მთაში ყოფნა, მაღალი წნევის გამო. მე ვაფრთხილებდი...

უკან დაბრუნება ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. მაიკოს კი მაინც სიზმარი ეგონა ყველაფერი: უგზოობაც, ლაბადაგადაფარებული სახელდახელო საკაცეც. მერე დასაფლავების განელილი ცერემონიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი აღმოჩნდა მხოლოდ სიმარტოვე. ახლა უკვე საბოლოო, დაუსრულებელი ჩანდა იმისი მარტოობა. აღარავის მოელოდა არსაიდან და საშინელმა შიშმა შეიპყრო.

დები სად იყვნენ? ზოგი საით და ზოგი საით (ერთი მათგანი — ბებიაჩემის დედა — თავის სოფელში დარჩა. გათხოვდა იქ. ეს კი დანამდვილებით ვიცი), მაგრამ მთავარი ის იყო, რომ უკვე სავსებით გადაეჩვია მათ. თითქოს უფსკრული აშორებდათ.

კიდევ რამდენი წელი უნდა ეცხოვრა ახალგაზრდა ქალს, ამგვარად, ასე... სრულიად მოკლებულს ვისიმე მზრუნველობას?

ისეთი დრო იყო... ვითომ მშვიდი. დუნე, უემოციო ცხოვრებას უჩიოდნენ ყველანი, მაგრამ ჰაერი დამუხტული იყო მღელვარებით. რაღაც უნდა მომხდარიყო აუცილებლად. წლები კი მიდიოდა...

მაიკოც, გარეგნულად თავშეკავებული და მშვიდი, შინაგანად ჰატრუქივით ანთებული, იწვოდა, იფერფლებოდა.

„ნუთუ აღარაფერი მოხდება ისეთი, რომ უკან მოხედვად მიღირდეს... სად გადავიხვეწო?"

რა უნდა მომხდარიყო? დაქვრივებულს რაღაზე უნდა ეოცნება?

დისშვილი, ათი წლის გოგო გამოუგზავნეს სოფლიდან. უპატრონეო, ასწავლეო. ამაზედაც აფეთქდა ერთი აფეთქება. საკუთარ ბედს სწყევლიდა გულში: „სხვა აღარაფრისთვის ვვარგივარ, ხედავთ? თურმე მხოლოდ ნათესავებს უნდა ველოლიავო, სანამ ვჭირდები!"

მაგრამ დისშვილს, თუმცა განსაკუთრებული სიხარულის გარეშე შეხვდა, თან ჰყვებოდა.

„ჩვიდმეტი წლის რევოლუცია რომ მოხდა, — იგონებდა ბებიაჩემი, — მაშინ დეიდა სადილებს მართავდა ობოლი და უპატრონო ბავშვებისთვის. ბათუმიც ისეთი კი არ იყო, ახლა რომაა. იმდენი უცხოელი ირეოდა, თვალი მიჭრელდებოდა. ბაღანა ვიყავი, სოფლიდან ახალი ჩასული და ყველაფერს პირდაღებული მივჩერებოდი. დეიდა მწარედ მიბწკენდა ამისთანა დროს. მით უფრო, თუ ვინმე გარეშე იყო ჩვენთან ერთად.

საცოდავი დეიდა... არ ვიცოდი, რანაირად მეამებინა მისთვის. არაფერი არ მოსწონდა ჩემი, სულ შენიშვნას მაძლევდა. მოქცევაში ყოველნაირ სიგლახეს აღმომიჩენდა, მაგრამ მაინც ვხვდებოდი, რომ ვუყვარდი და არ ვჯავრობდი. ზოგჯერ, რაღაცა წამოუვლიდა, გიჟივით ჩამიკრავდა გულში, მკოცნიდა და თან კურცხალს მაყრიდა.

ახალგაზრდა იყო და შნოიანი. ჩემი ნენა უფრო ლამაზი იყო. სოფლის თვალი, სოფლის... მაგრამ დეიდას მაინც ... ეჯავრებოდა. მე მეტად აღარ მინახავს ქალი ისეთი თეთრი პირისახით. რომ ვთქვათ — არც საგულდაგულოდ უვლიდა თავს. საამისო ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, მაგრამ არა... მაინც დედოფალივით გამოიყურებოდა. იფიქრებდი, რძეში უბანავიაო.

სიარულითაც... ისე დადიოდა, ყველა იმას აშტერდებოდა უნებურად. ამაზედაც გაჯავრება იცოდა, ოღონდ, კარგად ეტყობოდა, რა სასიამოვნოდ ხვდებოდა მის გულს ამგვარად გამოხატული ყურადღება.

ქვეყანაში შიმშილობა იყო. საწყალი ჩემები, რას მიგზავნიდნენ... ორი ჩემზე პატარა ჰყავდათ გამოსაკვები. დეიდასთან კი, არც მშიოდა, არც მციოდა.

ის ზამთარიც, ცხრაასჩვიდმეტის თოვლი და ბუქი, მოგონილი მეგონა. დავაორთქლავდი მინებს და თითით ვხატავდი ყვავილებს და კაცუნებს. ქარბუქში გაჩქარებით მიმავალი ადამიანებიც სასაცილო კაცუნებს ჰგავდნენ, თბილი ოთახის ფანჯრიდან.

ახალი წელი შემოდიოდა. ვის რა ეზეიმებოდა... მე კი ძალიან ვხარობდი.

თოთხმეტი იანვრის დილას (სოფელში ამ დროს კალანდას ულოცავდნენ ერთმანეთს), კარზე უცნაური, მორიდებული კაკუნი გაისმა. მაიკომ გაჯავრებით — ჯერ კარგად არც კი გათენებულიყო — გააღო კარი. ზღურბლთან მაღალი, ცოტა წელში მოხრილი უცნობი ახალგაზრდა კაცი იდგა. სახეზე ფერი აღარ ედო სიცივისაგან. რაღაცის ახსნას ლამობდა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

— შემოდით, შემოდით. სახლში ვილაპარაკოთ. — საჩქაროდ შეაწყვეტინა მაიკომ და შინ შეუძღვა შეფიქრიანებული.

სტუმარი ძლივს იდგა ფეხზე. ძალისძალით გაახდევინა მძიმე შინელი და რა დაინახა: სამოსი, მხართან, მთლად გაჟღენთილი ჰქონდა სისხლით.

გაოგნებული მიაჩერდა.

— თქვენ... დაჭრილი ხართ?

იმან საპასუხოდ მხოლოდ თავი დაუქნია.

მერე ჭრილობას უხვევდნენ. უცნობს, სრულიად უცხოს. მაგრამ არა... თვალს ვერ სწყვეტდა: ვიღაცას ძალიან აგონებდა. მართლა არასოდეს ენახა (ეს კარგად იცოდა) და რატომღა ჰქონდა ასეთი ნაცნობი სახე?

„ვინა ხარ? ვინ ხარ? და ან ჩემთან ვინ გამოგგზავნა ასეთ ყოფაში... თუ გზა აგებნა მიუსაფარს... ამ ყიამეთში..."

მხოლოდ ფიქრობდა. კითხვით კი არაფერი უკითხავს.

მოსამსახურე ქალმა, უკვე კარგად შებერებულმა, ბეცი თვალებით შეათვალიერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა სტუმარი, ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა: ვახტანგი, ვახო!

ვახტანგი იყო, მართლაც... გეოლოგის ერთადერთი ვაჟიშვილი, რუსეთს გადახვეწილი წლების წინათ.

„მე რატომ არაფერი ვიცოდი მისი არსებობის შესახებ!" — უფრო მეტად გაოგნდა მაიკო.

განა არ იყო საოცარი: გეოლოგს ბავშვები ისე უყვარდა... ცოლსაც კი მამაშვილური მზრუნველობით ექცეოდა, თითქოს მისდამი მშობლიური გრძნობა უფრო სძალავდა და როგორ შესძლო საკუთარი სისხლისა და ხორცის უნახობა. რატომ არ ახსენებდა, თუ შვილი ჰყავდა. ან ეს, შორეთიდან მოჩვენებასავით რომ გამოეცხადათ, რას სჩადიოდა, როგორ ცხოვრობდა ამდენი ხანი?

მძიმე ზამთარი იდგა... და თოვლში ჩამალული ქალაქი, მთლად შეძრული იმ ამბებისაგან, რაც ყრუდ აღწევდა მის სმენამდე, ისე უჩუმრად იყო... ზღვა კი აფოფრილი შავი ტალღებით ეხლებოდა ჯებირებს.

კანტიკუნტად მოადგებდნენ პორტს გემები — პატარა, სიძველით შელახული, სხვადასხვაფრად დაკერებული — და ისინიც მალევე, შეშინებული, გზაკვალარეული ფრინველებივით შორდებოდნენ ნაპირს, რომ საჩქაროდ მიმალულიყვნენ თვალუწვდენელ ზღვაში. უკან ტოვებდნენ, მორუხო ტალღებში, თეთრ კვალს. ეს გამურული, კუპრივით გემები — მაინც წმინდა კვალს.

მაიკო, თავაწეული, გაბრწყინებული თვალებით, წუთით გახედავდა ფერშეცვლილ ზღვას. შავი თავშალი ეხურა და სახე იმ თოვლზე უფრო თეთრი ჰქონდა, რომელზედაც აბიჯებდა ფეხს. უკვე ორი კვირაა, რაც აჩქარებით მიმოდიოდა ექიმსა და სახლს შორის.

ვახტანგი, ვახო, უგონოდ იწვა...

ექიმი იმედს იძლეოდა. ამბობდა, რომ აქ სიცოცხლისათვის სახიფათო არა იყო რა. ძველი ჭრილობა, თუმცა მსუბუქი, მაგრამ მოუვლელობით, ყინვით გამიზეზებული, სწორად წამლობასთან ერთად ითხოვდა დროს, ზრუნვას.

დრო ჰქონდათ... და ჯერ კიდევ ქალალდივით ფერნაკლული ვახტანგი მთელი დღეები იჯდა, თუნუქის დიდ ღუმელთან, სავარძელში. უძრავად ეჭირა ლამაზი შავთმიანი თავი და ფართოდ გახელილი თვალების გუგებში უელავდა, უხტოდა ცეცხლის ანარეკლი — სიცოცხლის ნიშანწყალი.

რამდენს ფიქრობდა მაინც... მაიკოს ცნობისმოყვარეობა სულ არ კლავდა, არც არაფერს ეკითხებოდა, მხოლოდ ამბავი გაივლებდა გულში ხანდახან — როდემდე იქნებოდა ეს კაცი ასე, მდუმარების აღთქმა მიცემულივით.

და როცა ვაჟი ალაპარაკდა — ესეც ისე მოხდა, თანდათან, ნელა, შეუმჩნევლად (ან რა ხმა ჰქონდა: ყრუ, დაბალი, საიდუმლო) — ყველანი უნებურად მიეჯაჭვნენ იმ ადგილს, ცეცხლთან.

ხოლო მერე გამოზაფხულდა, ამინდებიც მშვენიერი იდგა, მაგრამ ვახტანგი მაინც არ გადიოდა შინიდან არსად.

მაინცდამაინც ხალისიანს ვერ დაარქმევდი, ვერც ენაწყლიანს და ვეღარც შენიშნეს, როგორ მოხდა — ყველაზე მთავარი შეიქნა, ყველაზე მნიშვნელოვანი. ახლა ისე გრძნობდნენ თავს შინ, როგორც საგულდაგულოდ დაცულ ციხე-სიმაგრეში.

უწინდელი შფოთიანი, უძილო, დამქანცველი ღამეები სადღაც გაქრა და მაიკო, თავს მიდებდა თუ არა ბალიშზე, მშვიდად იძინებდა.

არადა, დრო იყო მართლა საშიშარი... დაუნდობელიც.

იმ სისხლისმღვრელი ბრძოლების შუაგულიდან როგორ გამოაღწია თეთრმუნდირიანმა ოფიცერმა? დაუჯერებელი ჩანდა, რასაც ყვებოდა თავისი ყრუ ხმით, წყნარად: როგორ მიატოვა უნივერსიტეტი, როგორ შევიდა გვარდიაში და შტაბსკაპიტანი გახდა.

„ჰმ, ოფიცერი... რუსეთის მეფის ოფიცერი!"

მაიკოს შეჭმუხვნილი წარბების დანახვაზე გაელიმა მხოლოდ.

— ასე მოხდა. — თქვა აღუშფოთველმა. — ფილოსოფოსი ჩემგან არ გამოვიდოდა, არა. ხოლო იქ, სროლას მაინც ისწავლი ხეირიანად...

ძალ-ღონესთან ერთად უბრუნდებოდა თავდაჯერებულობა, გაბედულება.

არსად წასვლას არ ვაპირებ, თუ არ გამაგდებთ, ამბობდა. თქვენ არაფერს შეგეცილებით, აი, ავიშენებ ერთ პატარა ქოხს გარეუბანში, ზედ ზღვის პირზე და მორჩა, ამით წერტილს დავუსვამ მოლაშქრის უთავბოლო ცხოვრებასო.

— რას ამბობთ, არა, არა. — დაბნეული იმეორებდა მაიკო. — ეს სახლი თქვენც გეკუთვნით. რომელი ოთახიც მოგწონთ... — და სულ უწყდებოდა ხმა, როცა შეხვდებოდა ვაჟის თვალებს, გამომცდელი, თან ალერსიანი მზერით რომ სწვავდნენ მის სახეს.

ზღვის ნაპირას გულმშვიდად დასახლებაზე ფიქრი კი ბავშვურ ოცნებას ჰგავდა, მიუღწეველს. თუმცა, რა იყო ამაზე უფრო უბრალო, თითქოს... მაგრამ ამ არეულ ქვეყ-

ანაში ერთ პატარა ადგილსაც ვერ იპოვიდი თავშესაფარებლად, საიდანაც წყნარად გაადევნებდი თვალს ცხოვრების მდინარებას და სადაც არ მოგწვდებოდა დრო-ჟამის მსუსხავი სუნთქვა.

მთელი წელი გავიდა ასე... რა ხდებოდა სახლის კედლებს გარეთ? მაიკო ხან უსაქმოდ გამოდიოდა შინიდან, დისშვილთან, ზეინაბთან ერთად. ხანგრძლივი გასეირნების მერე კარგი იყო უკან დაბრუნება. ახლა, როგორც არასდროს, ისე მოუხაროდა სახლში.

მალე მისი და, ზეინაბისა და კიდევ ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა, ციებით დაიღუპა და ორმოციც არ იყო გასული, რომ იმისმა ქმარმა ქალაქში ჩამოაკითხა: უფროსი შვილი თან უნდა წავიყვანოო.

არ გასჭრა არც მუდარამ, არც ჩხუბმა: „სად მიგყავს, სად, შე უბედურო! ესეც უნდა დააგლახოთ, გააციოთ სოფლის სიბნელეში?"

— მეცამეტე წელიწადშია უკვე. რა ვქნა, ბაღნებს მიმხედავი ხომ უნდათო, — გაიძახოდა კაცი.

ზეინაბი ტიროდა: მორჩა, აწი ვეღარ გნახავ, დეიდა, ვერც აქაურობას. მირჩევნია, ზღვაში დავიხრჩო თავიო.

მაინც წაიყვანეს.

„გათავდა, იმის მერე მე სახალისოდ გული არ გამიხსნია. — ხშირად უთქვამს ბებიაჩემს, — წვალების მეტი რა შემხვდა... ჩემი ძმები (შალვა მაშინ ხუთი წლის იყო, ნიკო სამის, მეტის არა) მყავდა მობარებული მთელი დღე, მარტოს, აქით სადილ-ვახშამი, იქით ყურისგდება — ცეცხლში არ ჩავარდნილიყვნენ, რამე არ შემთხვეოდათ... ეჰ, ნეტა კი მაშინ ანგელოზად წაეყვანა ღმერთს ორივე და უარეს ცეცხლში არ ჩავეგდეთ... რომ საფლავიც კი აღარ ვიცი იმათი... პირველ წელს კი გზავნიდა ორივე წერილებს, მერე შეწყდა... გაწყდა ომის მომგონი და ამოვარდა...

მაშინ რომ ბათუმიდან არ წამოვეყვანე ცხონებულ მამაჩემს, ვინ იცის, ასე არ წარმართულიყო ჩემი ბედისწერა... აღარც საწყალი დეიდაჩემი მინახავს მეტად. გული ამოიგლიჯა და თან გამომაყოლა ტირილით. აბრეშუმის რუშებიანი კაბა მეცვა სამგზავროდ. სასოებით ვინახავდი. თუ ამ კაბას წკიპს არ მივაკარებ, ისევ მეღირსება დეიდასთან წასვლა-მეთქი, ვფიქრობდი. მიმდგარიყო ერთ დღეს და შალვას მთლად დაეჭრა. კინაღამ მოვკალი. მამამ ძლივს გამომგლიჯა ხელიდან. ეჰ, რაზე არ გამიხმება ხელი... მაგრამ მაშინ გიჟს ვგავდი. ამ კაბასთან ერთად დავასამარე დეიდას ნახვის და უწინდებური ცხოვრების იმედი. მართლაც, დიდი დრო არ გასულა და იმასაც შემთხვა ის უბედურება. მესმოდა, როგორ ჭორავდნენ: ქალი რომ გერს გაეკიდება, იგი შესაბრალებელი არ არისო. არ უყვარდათ სოფელში დეიდაჩემი. ამპარტავანია, თავს არ გვიყადრებსო. რა იცოდნენ მისი ჩვილი გულის ამბავი. არავის ძალით არ შეაბეზრებდა თავს. მით უმეტეს, კაცს რავა აგრძნობინებდა, შენი ლაპარაკი მესიამოვნებაო. არ მჯეროდა, რასაც ლაპარაკობდნენ, არც ერთი სიტყვა. ისე კი, დიდხანს მტკიოდა გული, ჩემს სანახავად რომ არ მოდიოდა. გვიან გავიგე, რა ჩემი თავი ექნებოდა საწყალს და ამაყი, ამაყი, რას იკადრებდა, ვის გააგებინებდა თავის დამცირებას, გალატაკებას..."

ოცდაერთში, მარტის ცივ, მოწყენილ დღეს, გაოცებული თოლიები კივილით დასტრიალებდნენ თავს ცარიელ სანაპიროს, ხოლო შორს, ზღვაში, სუსტი, ჩამავალი მზის მოვერცხლისფრო დისკოზე წერტილივით ჩანდა გემი.

ოცდაერთის გაზაფხულზევე ჩამოართვეს მაიკოს (და განა მარტო მას) სახლი, ესოდენ მყუდრო თავშესაფარი, მოვლილი პატარა ბაღით, ოთხივე მხრივ აივნიანი. მიუჩინეს საცხოვრებლად ერთი ოთახი, რომელსაც ადრე საკუჭნაოდ იყენებდა თვითონ. უფანჯრო, ვიწრო გალიასავით. პატარა ზეინაბს უყვარდა აქ შემოსვლა, ღვინის ძმრისა და ნესტის სუნი მოსწონდა. მაიკო უჯავრდებოდა: ახირებულო ამ ბნელ სოროში რა მოგარბენინებსო. რას იფიქრებდა, თვითონ თუ შიგ მოუწევდა შესახლება.

ტანისამოსი რა არის, ტანისამოსიც კი არ დაუტოვეს. მხოლოდ ორი ხელი და მოწყალებასავით — მდიდრული თბილი შალი, ზამთრის საღამოებისთვის. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერ სიცივე მაინც არ შეაწუხებდა, უიმისოდაც თითქოს ყინვით გულგანგმირულს.

მთელი ზაფხული სანაპიროზე ხეტიალში გაატარა. შუაღამისას ბრუნდებოდა სახლში. სადღა იყო სახლი... ცეცხლს რომ შთაენთქა, მოქცევას რომ წაელეკა, ასე არ ინაღვლებდა.

იმ ღამით („დაუვიწყარი, ყველა ღამეთა შორის საუკეთესო ღამე..."), ძილში ვიღაცამ ფრთხილად შეახო ხელი სახეზე და წყნარად დაუძახა სახელი. დაქანცულმა ძლივს გაახილა თვალი.

— ნუ გეშინია, მე ვარ... ვახტანგი.

მაშინვე პირზე ააფარა ათრთოლებული თითები:

— სუ, ჩუმად, ჩუმად! დასაჭერად დაგეძებენ... აქ როგორ გაჩნდი, სად იყავი გადამალული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად აღელვებული, ზურგით მიეყრდნო ნესტიან, ცივ კედელს, გაფართოებულ თვალებს არ აშორებდა ვახტანგს, რომელიც რაღაცას უამბობდა გაბზარული, დაბალი ხმით. ალბათ, თავის ამბავს ჰყვებოდა... ახსენებდა საფრანგეთს.

მერე ვახტანგი მისკენ გადაიხარა, რათა ეუწყებინა:

— მე ხვალ მივდივარ. გადაწყვეტილია. აუცილებლად მივდივარ ხვალ. — და როცა ქალი უსიტყვოდ მოეხვია, ჩუმად უთხრა: — შენც ჩემთან ერთად წამოდი, კარგი?

სადაცაა ირიჟრაჟებდა. ვახტანგი საჩქაროდ გამოეთხოვა.

მაიკოს გული ჩიტივით უფრთხიალებდა.

„ხვალ საღამოს ვნახავთ ერთმანეთს... ხვალ ამ ბოროტ ხალხს და გულქვა ქვეყანას ვეტყვი: მშვიდობით! სამუდამოდ, სამუდამოდ...“

გემბანზე გრილოდა. მაიკომ მკლავებზე მაგრად შემოიხვია შალი. შორიახლოს იდგნენ ორნი. ქალის ხელივით თმა ბრწყინავდა ბინდბუნდში. ქალი და მაღალი, მსუქანი კაცი შავი პიჯაკით, ერთმანეთს მხრით მიკრულები, ჩუმად იყვნენ, თავისთვის...

მაიკო შესცქეროდა შორს დარჩენილ ქალაქს. აქა-იქ ბჟუტავდა სინათლეები რომელიც საოცრად ჰგავდა წყალზე არეკლილ ვარსკვლავიან ზეცას...

მაგრად მოუჭირა თითები ბოგურას და ღრმად ამოიოხრა. სულ ერთ წამში გაურბინა თვალწინ შორეულმა ბავშვობამ, ნახევრად მშიერმა და მაინც სანატრელმა. გაახსენდა მამა, საბრალო, იხტიბარგაუტეხავი, ღვთის მადლიერი ყოველი უბრალო წყალობისათვის. ბოლოს კი მაინც დამარცხებული. უწყლოდ შემუსრილი სიკვდილის ცელით.

დები... მათზე, ნლებია, არ უფიქრია.

მოაგონდა ღრიჭოებიანი ფიცრული კედლები ჯარგვალში, ფუჩეჩით რომ გმანავდნენ და იქედან კი მაინც მოსინსილებდა ცივი ქარი სტვენით.

„ყველაფერი კარგი იყო... ყველაფერი, რაც თავს გადამხდა...“

და რაც უფრო შორს რჩებოდა მიწა, მით უფრო უახლოვდებოდა ნარსულის ლანდი, თითქოს ნაღვლიანად მღიმარი.

რა იყო მაინც, რა მშვენივრად ეჩვენებოდა აქედან ის წყნარი დღეები, ქმრის მოლოდინში და შვილზე ოცნება.

კაიუტის განათებულ მინებში თვალი მოჰკრა ვახტანგს. ვიღაც ორ ბატონთან ერთად იდგა, ლაპარაკისას ლამაზად და მხიარულად იცინოდა.

ვინ იცის, იქნებ კიდევ შეიძლებოდა ბედნიერი ყოფილიყო. ვინ იცის, ოდესმე... შვილიც...

გაულიმა თავის ფიქრებს და იქვე, ...ბოლოს, აუტანელმა ტკივილმა შეუცვალა სახე: როგორ ჰგავდა ვახტანგი იმას... რატომ ჰგავდა ასე ძალიან? თითქოს სულ არა და მაინც, როგორ...

მთლად შთაინთქა შავ-ნაცრისფერ ბურუსში მიწა. ამიერიდან ვეღარასდროს ნახავდა მას, ვეღარასდროს... ხოლო იქ, იმ შორეულ ქვეყნად, უცხოობაში სამუდამო ცხოვრებამისჯილს რა მოელოდა?

სასტიკმა ნაღველმა მოსწინკნა გული, ბასრი ბრჭყალივით.

ვახტანგი ისევ სიცილით ლაპარაკობდა, სამშვიდობოს გასული.

„ამ სიგიჟეს თვითონ ღმერთიც არ მაპატიებს! რატომ არის... — გაუელვა ფიქრმა. — რატომ არის მისი ცქერა თან მტანჯველი, თან საამური? თითქოს ყელზე მძიმე ლოდი უნდა შემაბან. ცოდვის ტვირთი დამამძიმებს და თან ჩამითრევს!“ — და ხმამაღლა გაიმეორა: — ცოდვის ტვირთი!..

„შენ ხომ გიყვარვარ, ძვირფასო მამავ!“ — მოჯადოებულივით დაჰყურებდა ზევიდან წყალს, სიბნელეში ასე ცივად რომ გადასდიოდა ბრწყინვა. უფრო გადაიხარა წინ. ხარბად, მწყურვალედ ჩაისუნთქა საღამოს ნოტიო ჰაერი. თითქოს ზღვის სიღრმიდან დაძახილი შემოესმა, ისე დაძაბული უგდებდა ყურს ტალღების შხაპუნს. ერთხელ კიდევ მიჰხედა ვახტანგს, უკანასკნელად... ნელა გადაიწერა პირჯვარი და გაოგნებული წყვილის თვალწინ გადაეშვა წყვდიადით შებოჭილ ზღვაში.

ყოველივე ამას ვწერ ძველ, ტყავის ყდიან წიგნაკში, ბებიაჩემმა რომ მისახსოვრა (ოდესღაც კი იმის დეიდას ეკუთვნოდა). მშვენიერი, სქელი წიგნაკია, მშვენივრად შენახული. გადაუშლელი. ვინ გადაშლიდა... ვის რად უნდოდა... ერთი მე ვდევდი სიძველეთა შემგროვებელივით ამგვარ ნივთებს.

შიგ არაფერი არ ეწერა. მხოლოდ შუაში რაღაც უცნობი მცენარის ორი ფოთოლი იდო, მთლად ქარვისფერი. ერთი მათგანი მყისიერად დაიფშვნა და მიმოიბნა ქაღალდზე, თითქოს ფერფლი და მტვერი წაეყარა ისედაც არავისგან მნდომ წარსულს.

ეე, როდის იყო, რა დიდი ხნის წინ, ეს ყველაფერი...

საწერ მაგიდაზე მიდევს ძველი, ძველი, ლურჯი მინის სამელნე. ამ სამელნეში ვაწებ ძველ, წვრილ ვერცხლისფერ კალამს (კალმისტარი მთლად შემოღრღნილია და ისედაც, რა ფერის უნდა ყოფილიყო, ვეღარც გაარჩევ).

ასე რომ წერდნენ... ალბათ, დიდხანს, სასოებით არჩევდნენ სიტყვებს და წვეთიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ დამჩნეოდა ქალალდს, რა ფაქიზად ეჭირათ ხელი.

მერე კი წერდნენ ერთიმეორეს: „ძვირფასო ნინო... სანატრელო ჩემო მაიკო... დაუვიწყარო... უამრავ სალამს გიგზავნიან ქალაქიდან. მოგიკითხა N-მაც ნატვრით...“

და სხვათა შორის, ასეთ რამეს:

„მე ოკეანის წყალივით ვარ, გესმის?..“

შორეული და მივიწყებული

მახსოვს (მაშინ სულ პატარა ვიყავი), შემოვარდა ჩემი ბიძა სახლში, სახეზე ხელაფარებული. მეორე ხელით ბრმასავით მოიკვლევდა გზას. კინაღამ ზედ გადამაწყდა. შემეშინდა, ავღრიალდი. მან მაშინვე ჩემთან ჩაიჩოქა და ის ცალი ხელი მომხვია.

— ნუ გეშინია, ნუ, პატარავ! არაფერია. შეგაშინე მე სულელმა?

სახეზე აფარებული თითებიდან კი სისხლი წვეთავდა, ჩამოსდიოდა თეთრი პერანგის გულისპირზე.

შემოიჭრა ბებიაჩემიც. ფერწასული, სრულიად შეცვლილი სახით, მაგრამ უხმოდ. მანაც ჩვენთან ჩაიმუხლა და სახეს უსინჯავდა შვილს. ბიძაჩემს წარბი ჰქონდა გახეთქილი. ღრმა, ჩემთვის საზარელი პირღია ჭრილობიდან ახლა უკვე ღვარად სდიოდა სისხლი.

ამას დავაკვირდი. კარგად, გულდასმით და გრძნობა დავკარგე.

სულ არაფერი გამიგია, როგორ ამიყვანეს, ან როდის დამაწვინეს ჩემს საწოლში. შესაძლოა, მერე დიდხანს მეძინა. არ ვიცი. არ მახსოვს.

დედაჩემის ხმამ გამომიყვანა ძილბურანიდან. იგი გაჯავრებით ლაპარაკობდა. უკვე საღამოსპირი იდგა. დედამ ჩქარა შემოაბრუნა ჩემსკენ თავი და სანთლების ლიცლიცა შუქზე მისი თვალები, ცრემლებით აკრიალებულნი, ისეთი დაფეთებულნი მეჩვენნენ, რომ გული ამომიჯდა და ნელა ტირილი დავიწყე.

დედამ გულში ჩამიკრა. მანანავებდა, მაწყნარებდა და ახლა იგი ბუდის კიდეზე მჯდარ დედა ჩიტს ჰგავდა.

— ხომ ხედავ, — უთხრა ბიძაჩემს, მკაცრად კი არა, უფრო მწუხარედ, — თვითონაც ხედავ, რომ საფრთხეს მარტო შენს თავს კი არა, ჩვენც გვიქმნი შენი სულელური საქციელით. გესმის თუ არა?

როგორ არ ესმოდა, აქვე არ იყო? შეხვეული შუბლით... მან ნელა ჩაიცინა.

— რა გაცინებს? — ვიგრძენი, როგორ აენთო დედა, მაგრამ ხმისთვის მაინც არ აუწევია. — გახსოვდეს, რასაც ახლა გეტყვი: იცოდე, ქალები დაგღუპავენ. გესმის? დაიღუპები.

— ოცდაორი წლისა ხარ. — განაგრძობდა დედა. — ამ ხნისა ჩემი ქმარი უკვე აღარც იყო ცოცხალი, — ხმა აუთრთოლდა. — შენ კი, ჯერ არაფერი გაგიკეთებია, გარდა იმისა, რომ გადაიკიდე ახლომახლო ყველა, ყველა...

— ვინ ყველა? — ცხარედ შეესიტყვა ბიძაჩემი, მაგრამ ჩემს შეშინებულ მზერას წააწყდა და გულიანად გამიღიმა.

— რა ჩემი ბრალია, თუ ქალებს მოვწონვარ, — წყნარად დასძინა მან. — იმათ მოვწონვარ და მე რა ვქნა?

მართალი იყო... ბიძაჩემი ლადო, ან როგორც ჩვენ ვეძახდით, ლადიკო — ქალებს მოსწონდათ. ეს მეც კარგად ვიცოდი. მესმოდა კიდევაც ამ ქალებისა: როგორ არ უნდა მოსწონებოდათ, ის ხომ ასეთი ალერსიანი და მხიარული იყო, გაგიჟებით მიყვარდა და რასაც აკეთებდა, მუდამ აღტაცებაში მოვყავდი. სხვებს რატომღა არ უნდა ჰყვარებოდათ ნეტავი?

როგორც ჩვენების ლაპარაკიდან შევიტყვე იმ საღამოს, ბიძაჩემი ქვრივ ეთერის ესაუბრებოდა თურმე ჭიშკართან. მანამდე რაღაც ტვირთის წაღებაში მოეხმარა... ამ დროს გამოჩენილა ეთერის მაზლი შალვა და რატომღაც გაჯავრებულა. წალაპარაკებას ჩხუბი მოჰყოლია და ასე გაუტეხავთ წარბი ბიძაჩემისთვის.

თვალწინ დამიდგა ეთერი. შავებიანი, ჩუმი, სევდიანი. მაგრამ მაინც ერთიანად გაშუქებული სახე ჰქონდა. არ ვიცი, იშვიათი ღიმილით, არ ვიცი — მოელვარე თვალებით... ყველას ეცოდებოდა. ასეთი ახალგაზრდა, ლამაზი. მე იმის ქმარი არ მახსოვდა. ის კი ვიცოდი — ნადირობის დროს ძველი თოფი აჰფეთქებია ხელში და თვალისდახამხამებაში მოუკლავს.

ვითომ მეძინა. არადა, ნახევრად ღია ქუთუთოებიდან ჩუმად ვუმზერდი ჩემებს. ბიძია ისევ იმართლებდა თავს. არაფერი ისეთი არ ყოფილაო, იმეორებდა. გავბრაზდი. რას ერჩოდნენ ბიძაჩემს? მერე რა, რომ ეთერი ასეთი ლამაზი იყო. ბიძაჩემისთანა კარგი ხომ არავინ დადიოდა ამ სოფელში. ის ყველა ქალს მოსწონდა. თვითონაც ყველას ეხუმრებოდა. რატომ არ შეიძლებოდა ნეტავ ეთერისთან დალაპარაკება?

ამას ვფიქრობდი, რომ დედამ თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება, არაფერიც არ ყოფილა... მაგრამ ხომ იცი, ქვრივი ქალია და... ახლა მე რომ ვინმემ მომაცილოს სახლამდე, არც შენ მოგეწონება... არაა ლამაზი.

ბიძაჩემმა არ უპასუხა.

დედამ ამოიოხრა.

მეორე დღეს, როცა გავიღვიძე, მზე კარგა ხნის ამოსული იყო. მაშინვე წამოვხტი საწოლიდან. დედა და ბებია დაღამებამდე მუშაობდნენ კოლმეურნეობაში. მე მათ ისე იშვიათად ვხედავდი დღისით, რომ შემეძლო თითებზე დამეთვალა ის დღეები, რომელთაც ისინი სახლში ატარებდნენ.

ამგვარად, მე ვიყავი სრულიად თავისუფალი და რაკი ბუნებით მოუსვენარს ერთ ადგილას დიდი ხნით გაჩერება არ შემეძლო, უფრო ხშირად დავეხეტებოდი, როგორც ნამდვილი პატარა მაწანწალა. მას შემდეგ, რაც ბიძაჩემი სამხატვრო აკადემიიდან გარიცხეს და სოფელში დაბრუნდა, უმეტეს დროს მასთან ვატარებდი, ძველ ნანისქვილარში. ეს მიტოვებული შენობა მან გადააკეთა და ისე მოაწყო, როგორც სურდა. აქაურობას სახელოსნოს ეძახდა. სოფელში ძალიან ათვალწუნებით უყურებდნენ ბიძაჩემის საქმიანობას, უფრო სწორად, უსაქმურობას, მაგრამ მერე, ბელადებისა და შრომაში მოწინავე გლეხების დახატვა დაავალეს და ისეთი კარგი გამოსდიოდა ეს პორტრეტები, რომ ახლა უფრო ლმობიერად ექცეოდნენ. ახალგაზრდა არისო, რა ვუყოთ მერე, ყველა მხატვარს თავში ქარი უქრისო, — რამდენჯერ გამიგონია.

მხოლოდ ბებია ვერ ისვენებდა. მუდამ ეომებოდა შვილს. წუხდა, სულ ჭკუას არიგებდა... ამაოდ...

მდინარეზე გადადგმულ „სახელოსნოს“ კარი ღია ჰქონდა. ბიძია, ფეხშიშველი, გარეთ იჯდა და ვინ იცის მერამდენედ, ფანქრით ხატავდა ამ პატარა მდინარესა და მის პირას ჩარიგებულ თხმელებსა და აკაციებს. მან გამიღიმა. თავი ისევ შეხვეული ჰქონდა.

— გტკივა? — თითი მივადე შუბლზე.

მან ხელი დამიჭირა და თითზე მაკოცა. მერე კი ახალდახატული ქაღალდი მოჭმუჭნა და მდინარეში მოისროლა. რაღაც დაბნეული და მოწყენილი ჩანდა. ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი. მაშინვე გულში ჩამიკრა.

— აი, შენ ასეთი პატარა ხარ და ჭკვიანი. რატომ ყველა შენნაირი არ არის? ან მე რატომ არა ვარ ამ ხალხისნაირი, აკი აქ დავიბადე, აქაური ვარ... ძალიან ძნელია, როცა შენი არ ესმით.

— ძნელია. — დავეთანხმე მეც. გადმომედო მოწყენა, მაგრამ ამაზე ბიძაჩემს მხიარულად გაეცინა. მერე ხელი ჩამჭიდა და სახელოსნოში შემიყვანა.

მიყვარდა აქაურობა. დიდ-დიდ ჩარჩოებზე გადაკრული ტილოების ტევა აღარ იყო. სახლშიც, საწოლი ოთახი სულ სავსე ჰქონდა ნახატებით.

ამდენს ხატავ და შრომადღეებს რატომ არ გიწერენ-მეთქი, ვკითხე.

„შრომადღე“ და „შრომადღე“... სულ ეს მესმოდა და დიდ უსამართლობად მიმაჩნდა, რაღა ბიძაჩემს არ აძლევდნენ ამ შრომადღეს.

მან კი ამაზედაც სიცილი დაიწყო.

ტილოების დათვალიერება დავიწყე, ვინ იცის, მერამდენედ. მათზე გამოსახულ ადამიანთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. ზოგს ზეპირად ხატავდა, მეხსიერებით, მაგრამ ზოგი კი (მე ეს ვიცოდი), აქ მოდიოდა, სახელოსნოში. ყველაზე მეტი მერის პორტრეტი იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარის შვილის. სხვა შვილი არც ჰყავდა ამ კაცს, რომლისაც ძალიან მეშინოდა. არ ვიცი კი, რატომ. შეიძლება, ძალიან მაღალი რომ იყო და კოშკივით ზედ წამოგადგებოდათ, თუ რა ვიცი... ბავშვის ახირება ხომ გამოუცნობია.

მერი კი ძალიან მიყვარდა. მომწონდა მისი ხმამაღალი სიცილი, გულითადი გამომეტყველება, წითური გრძელი თმა და ჭორფლით დაწინწკლული მრგვალი, ლამაზი სახე. ის და ბიძაჩემი კარგი მეგობრები იყვნენ ბავშვობიდანვე.

აქაც, ნახატებშიაც ძალიან გამორჩეოდა მერის ცეცხლივით წითელთმიანი თავი. დათვლა კარგად ვიცოდი. თოთხმეტი სხვადასხვანაირი მერი დავითვალე. აქეთ-იქით ვწევდი ნახატებს და მეთხუთმეტეც გამოჩნდა, სხვა ნახატებს ქურდულად მოფარებული.

კისკისი ავტეხე.

მერი აქ მთლად შიშველი იყო დახატული... ოქროსფერ სხეულში თითქოს თბილი სისხლი მოძრაობდა. მეგონა, აგერ-აგერ შეირხეოდა და ისიც გადაიკისკისებდა. აკი, თვალებითაც და მთელი სახით იღიმებოდა.

— სულ არ რცხვენია! — შევყვირე აღტაცებულმა. — რა ლამაზია!..

ბიძიას ჯერ თვითონაც გაეცინა, მერე საჩქაროდ აიღო ნახატი და ტახტის ქვეშ შემალა.

— არავის არაფერი უთხრა, კარგი? — მთხოვა ტახტთან დაჩოქილმა. — შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ.

მე მაშინაც კი შემეძლო საიდუმლოების გულში დამარხვა. დამალული ამბის ცოდნა სიამაყით მავსებდა. ავიღე ფანქარი და ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალდი და ჩუმად დავიწყე ხატვა, თან ვუთვალთვალებდი ბიძაჩემს, რომელიც თითქოს აღარ ჰგავდა თავის თავს. ჩაფიქრებული, თვალებმილულული იჯდა ღია კარში და შეუჩერებლად ეწოდა პაპიროსს.

ჩქარა მომწყინდა აქ ყოფნა და წამოვედი. გადავირბინე ღელეზე გადებული წიფლის მორი. აქედან სულ ახლოს იყო ჩვენი სახლი. ბილიკის აქეთ-იქით სიმინდის ყანა ღაღანებდა ლურჯ-მწვანედ. უცებ ჩემს წინ მერი გამოჩნდა ბილიკზე. ეტყობა, ისიც აჩქარებით მოდიოდა, რადგან სახე ძალიან ატკრეცოდა.

— ა, ეს შენ ხარ! — შეჩერდა და ხელი მიიდო გულზე, თან აღელვებით სუნთქავდა, — ლადო ბიძია სახელოსნოშია?

როდესაც ის გამშორდა და თვალს მიეფარა, მე ისევ დიდხანს ვიდექი ერთ ადგილას. ქარმა წამოუბერა სიმინდებს. ამინდი იცვლებოდა. თითქოს მეც ქარმა ამიტაცა უცებ, რომ უკანვე გავიქეცი იქით, საითაც მერი წავიდა. გული მასთან და ბიძაჩემთან მიმიწევდა... მაგრამ სახელოსნოს კარი დახურული დამხვდა. სხვა დროს არ დავერიდებოდი, კარზე ბრახუნს ავტეხდი, ახლა კი რატომღაც ვერ გავბედე და გულიც შეშინებულივით მიცემდა. ჩუმად, ქურდულად შემოვუარე შენობას. ხმამაღალი ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. აქ, ერთგან, პატარა სარკმელი იყო დატანებული და მის ახლოს გავიტრუნე.

— რაც მოხდა, იმას ნუღარ გამახსენებ. — ამბობდა ბიძაჩემი.

— ასე გეზიზღები? — ჰკითხა მერიმ ხმის კანკალით.

— დაწყნარდი, ზიზღი რა შუაშია...

— შენ ის ქალი გიყვარს... მე კი მომატყუე. სულ მატყუებდი.

ბიძაჩემი დუმდა.

— მივხვდი... მართალი ვყოფილვარ... მაგრამ რატომ მაინცდამაინც ეთერი? არასდროს იმისი ხმაც კი არ გაუგონია არავის. გაუცინარი, გაყინული, მუდამ თავდახრილი... შენ... შენ ყოველთვის სიცოცხლესა და ხალისზე მელაპარკებოდი. ნუთუ ლანდი არჩიე ნამდვილ სიყვარულს?

ბიძაჩემი კვლავ არ იღებდა ხმას. კარგა ხანს ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა და ფრთხილად შევიჭვრიტე სარკმელში. ისინი ისხდნენ გვერდი-გვერდ. ბიძაჩემი ზურგით კედელს მიყრდნობილი, თავჩაღუნული იჯდა. მერის მის მხარზე ედო თავი.

— წადი, არავინ დაგინახოს. ისედაც უკვე ეჭვი აქვს მამაშენს, — უთხრა ბიძიამ, — წადი.

მერიმ ფიცხლად ასწია თავი და სახეში შეხედა.

— შენ უკვე მაგდებ... — მწარედ წარმოთქვა მან, — მაგრამ სულ ერთია... მე ვიღუპები, ჩემს თავს აღარ ვგავარ. ყველაფერი შემოგწირე. სწავლასაც თავს დავანებებ, ქვეყნის დასალიერამდე თან წამოგყვები, მაგრამ რად გინდა... მე ვიღუპები. — გაიმეორა ისევ.

— მეც, — თქვა ბიძაჩემმა, — მეც ვიღუპები. ახლა კი, წადი.

— იცოდე, ეს არ შეგრჩება, არ გაპატიებ! — სიძულვილით უთხრა მერიმ.

— აბა, შენ იცი. — აუღელვებლად უპასუხა ბიძაჩემმა.

— დამცინი კიდევაც? — მერი ფეხზე წამოდგა და ახლა ზევიდან დასცქეროდა. — მწარედ განანებ, მწარედ! შენ კიდევ არ მიცნობ... არც მამაჩემს იცნობ. იმას შეუძლია, სულის ერთი შებერვით გაგაქროს.

— ვიცი, — გაიცინა ბიძიამ, — როგორც უკვე გააქრო საწყალი მიხაკო, არა? ყველამ კარგად ვიცით... რაც იყო, იყო!

მერი გაოგნებული შესცქეროდა. მერე უცებ მივარდა და ჩაეხვია.

— ლადო, ლადიკო, საყვარელო! — თან საშინლად კანკალებდა, ციებიანივით.

ბიძაჩემმა გულგრილად მოიშორა ყელიდან მისი მკლავები.

აქ გაჩერება აღარ შემეძლო. — და გავიქეცი. ამ დროს წვიმაც წამოვიდა. ჯერ ნელა წამოწინწკლა, მერე კი უცებ ისეთი თავსხმა დაიწყო, კოკისპირულს რომ იტყვიან. ერთი კიდევ მივხედე ძველ ნაწისქვილარს, რომლის ქვეშ ღელე ცოფიანივით ტრიალებდა. კარი გაიღო, მერი გამოვიდა. ერთ წამს შედგა და მერე უყოყმანოდ გამოიჭრა წვიმაში. მან სულ ახლოს ჩამიქროლა, მაგრამ ვერ შემნიშნა. რას შემნიშნავდა: სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა წვიმაც და ცრემლებიც.

მთელი კვირა გასტანა გადაუღებელმა წვიმებმა. ეს ერთი კვირა ჩემთვის დიდი სატანჯველი იყო: ძალაუნებურად ჩავიკეტე სახლში, მაგრამ საბედნიეროდ, ყველანი ერთად ვიყავით, მთელი ოჯახი. ბიძია, მართალია, სულ ერთთავად იწვა და რაღაცაზე ფიქრობდა. არც ჭამდა, თითქმის. ის და ბებიაჩემი გაუთავებლად კამათობდნენ.

— შენ არა ხარ ჩემი შვილი, — ერთხელ ესეც კი უთხრა ბებიამ, როცა ძალიან გაჯავრდა, — ჩემი გაზრდილი შვილი იმას არ გააკეთებს, რასაც შენ აკეთებ.

ბიძაჩემმა კი უცნაური რამ უპასუხა:

— დედი, სიზმარი ვნახე... ბამბასავით თეთრ ბალახის ველზე ვიწექი, თეთრი მეცვა, ცა იყო და ისიც თეთრი ღრუბლებით დაფარული. იქედან შენი ხმა მესმოდა: ჩემი შვილი ხარ, ჩემთან წამოდიო... შენს ხმას ჰგავდა. შენ კი რას მეუბნები.

მეგონა, ხუმრობს-მეთქი, მაგრამ არა, სერიოზული და სევდიანი ლაპარაკობდა. ბებია დაიბნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე იყო. თვალები დასაძინებლად მელულებოდა. ამათი ლაპარაკი კი გულზე მწარედ მომხვდა და გამოვფხიზლდი.

– ეტყობა, კარგად ვერ გაგზარდე. – თქვა ისევ ბებიამ, მკაცრად. – ვერ მოვიცალე შენთვის. ჩემი ხელი სულ გაკლდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი... აღარც მუშაობა გინდა, აღარც სწავლა... ანდა, ვინ გადაეკიდება მეზობლის ქვრივ ქალს, შენს გარდა... რა ვაჟკაცის საქმეა, მიპასუხე. სად გაგიგონია, ვის მოსწრებია?

ახლაც თვალწინ მიდგას იმ შორეული შემოდგომის ღამის სურათი. ცეცხლის ალით განათებული ჩემი დედის, ბებიისა და ბიძის დაუვიწყარი სახეები. ფანჯარაზე ასხამდა გუთავებელი წვიმა გულისშემაღონებელი ხმაურით. შიგნით კი მაინც რაღაც ტკბილი მყუდროება სუფევდა, კერასთან. ყველანი დუმდნენ და თუკი პატარა ბავშვს საერთოდ აქვს წინათგრძნობა, ის უსათუოდ უტყუარია, რადგან ამ მოჩვენებით სიმყუდროვეში მე მაშინ პირველად ვიგრძენი ნამდვილი, დიდი მწუხარების მოახლოება.

მაინც, რა მდუმარედ ისხდნენ... როცა ისინი, აი, ასე გაჩუმდებოდნენ, გარინდებულები, უფრო მეტად მიპყრობდა სევდა და შიში. მერჩია, კვლავ წაკიდებოდნენ ერთმანეთს.

დადგა შუა შემოდგომა. ცივი. ქარწვიმიანი. ერთ დღესაც ფოსტალიონმა რაღაც უწყება მოუტანა ბიძაჩემს. სამხედრო კომისარიატში იბარებდნენ. ბიძიამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა – ჯარი ხომ გამოვლილი ჰქონდა.

მაგრამ ეს იყო ძალიან საშიში წლები და დედამ მოინდომა, გაერკვიათ მაინც, რაში იყო საქმე, ერთად წასულიყვნენ ქალაქში... რამდენიმე დღე გავიდა ამ ყოყმანსა და ბიძაჩემის დარწმუნებაში.

ამასობაში რაიონის ცენტრიდან ჩამოვიდნენ ვიღაც პარტიული მუშაკები. გაიმართა დიდი კრება, კლუბში. ამ კრებას, მგონი, მარტო მე და ბიძაჩემი არ დავსწრებივართ.

დედა და ბებია გვიან საღამოს დაბრუნდნენ. აღელვებულები და კმაყოფილები. მერე გავიგე, რომ ბებია სიტყვითაც გამოსულა შეკრებაზე, როგორც საუკეთესო მეჩაიე. მისი გულახდილობა სტუმრებს ძალიან მოსწონებიათ და დიდი ტაშითაც დაუჯილდოებიათ.

ვვახშმობდით, როცა საათმა თეთრმეტი დარეკა. მშვიდი ღამე იყო, მაგრამ ძალიან ბნელი, ერთი ვარსკვლავიც კი არ კიაფობდა არსად. გავიგონეთ, რომ ჭიშკარში ვიღაც ჩამოვიდა და დაიძახა. დედა გაეგება და დაბნეულმა შემოიყვანა სტუმრები: სამი უცხო კაცი. ორი ახალგაზრდა იყო და ერთი ხანშიშესული, მაგრამ ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ის ხნიერი ლაპარაკობდა. სასიამოვნო, დაბალი ხმა ჰქონდა. გამოირკვა, რომ ბიძია თან უნდა წაეყვანათ რაიონში, მანქანით.

„ბარემ... ჩვენთან ერთად... კომისარიატში იყო დაბარებული... გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ხომ იცით...“ მესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვები და აზრი კი ვერ გამოვიტანე.

ქაღალდივით გაფითრებული ბიძაჩემი უძრავად იდგა. მახსოვს, თეთრი ხელით ნაქსოვი სვიტერი ეცვა. დედამ მოუქსოვა და ძალიან უხდებოდა. თვალს ვერ ვწყვეტდი, ისეთი ლამაზი მეჩვენებოდა. შუბლზე ჩამოყრილი ხშირი თმა გრძელი თითებით ნელა გადაიტანა უკან და რაღაც იკითხა.

დედაც, რა ხანია, ეკითხებოდა ამ ხალხს...

– კი, მაგრამ, რისთვის... – იმეორებდა დაბნეული და იმტვრევდა თითებს, – რატომ, რის გამო... მაინც ვერაფერი გავიგე...

ერთი მაღალი ახალგაზრდა მივიდა მასთან და მხარზე დაადო ხელი. რაღაცას უხსნიდა და თან დაჟინებით აცქერდებოდა სახეში. მეორე იჯდა ჩვენს მრგვალ მაგიდასთან, ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს. დასიებული, დაგუდული ქუთუთოები ჰქონდა, როგორც დიდი ხნის უძინარ კაცს.

ბოლოს ბიძაჩემმა ჩაიცვა თავისი ძველი თბილი ქურთუკი. შევამჩნიე, რომ ხელები უკანკალებდა, მაგრამ ცდილობდა, მშვიდად დაეჭირა თავი. მგონი, კიდევაც გამიღიმა. ამ უცნაურმა გაღიმებამ საბოლოოდ შემაშინა.

–... როდის დაბრუნდები? – ვკითხე, თან ვექაჩებოდი ქურთუკის კიდეზე. – სად მიდიხარ?

მან მხოლოდ შემომხედა, არაფერი უთქვამს. თავზე კი გადამისვა ხელი.

– დედი, ეს არის, ალბათ, სავაჟკაცო საქმე, – უთხრა ბებიას, კარში გასვლისას.

ბებიამ შეჰყვირა, გულის გამგმირავი ხმით, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. დარჩა გაშეშებული, როგორც ლოდი. ის მხოლოდ საშინლად გაფართოებული თვალებით მიაცილებდა ღამის წყვდიადში მიმავალ შვილს.

– ყველაფერი კარგად იქნება, დე!.. – ეს იყო ბოლო, რაც გავიგონეთ.

მაშინვე, დაუყოვნებლივ გამოვედევნე სიბნელეში ამ ხმას. მანქანა მოსახვევში ელოდათ. კარგა ხანს ვერ დაქოქეს. მე გარშემო ვურბენდი და ვცდილობდი, რამე გამერჩია შავ მინებს მიღმა. ამაოდ, იქ არავინ და აღარაფერი ჩანდა .

მეტად აღარასოდეს გვინახავს ბიძაჩემი. არც ერთს, აღარასოდეს...

იგი არ იყო „სანდო ელემენტი“ (ზუსტად ასე უთხრეს დედას, როცა ის შეეცადა, გაეგო რამე ძმის შესახებ) და „ამგვარი ახალგაზრდა კაცის არსებობაც კი მრავალ უსიამოვნებას უქმნიდა მშრომელ ადამიანთა კლასს“.

შემდეგ წაიღეს რამდენიმე ნახატი ჩვენი სახლიდან. ალბათ იმიტომ, რომ საბუთად სჭირდებოდათ, ბიძაჩემის არასანდოობის მტკიცებულებად.

მაინც, რა მოხდა, რა?..

ბებია და დედა დაბრმავებული ფრინველებივით ეხლებოდნენ სახლის კედლებს. ისინი თითქმის აღარც ლაპარაკობდნენ და მერე, რამდენ ხანს გასტანა ამგვარმა ყოფამ...

ხოლო ზამთარი, თითქოს იმისათვის, რომ ჩვენი მდგომარეობა გაეხადა უფრო აუტანელი, დადგა სუსხიანი, ცივი, თოვლ-ჭყაპიანი.

ყოველი დღე იწყებოდა შავ-ნაცრისფრად მოღრუბლული დილით და თავდებოდა გამთოშავ წვიმაში არეული თოვლით. მე მაინც დავდიოდი სკოლაში, პირველ კლასში და თუმცა ხელ-ფეხი სულ მეყინებოდა, ხოლო მასწავლებელი კი, ხნიერი მკაცრი ქალი, ზოგჯერ სახაზავს მირტყამდა თითებზე, მაინც არასოდეს ვაცდენდი გაკვეთილებს, რადგან სახლში დარჩენა ჩემთვის აუტანელი გახდა.

მაშინ რა ვიცოდი... და ვერც ვერაფერით დავიჯერებდი, რომ ბიძია აღარ იყო. ვითომ, გადასახლებაშიაო, მაგრამ ხალხი ჩუმად, ერთმანეთში ამბობდა, დახვრიტესო. დახვრეტდნენ... ალბათ.

რა შეიძლება ითქვას კიდევ ამ ამბის შესახებ? თითქოს ყველაფერი დამთავრდა და უარესიც რაღა უნდა მომხდარიყო. მაგრამ არა: ჩემი ბავშვური, შთაბეჭდილებიანი ბუნება შეარყია იმის შეცნობამ, რომ ბიძაჩემის გაქრობას, აღარარსებობას, სათავე დაუდო იმ ცხარე ლაპარაკმა, მე რომ ქურდულად მოვისმინე ნაწისქვილარის კედელთან ატუზულმა.

და აი, ერთხელაც – კვლავ თოვდა, თოვდა, სახეში მეყრებოდა სველი თოვლი – სახლში ვბრუნდებოდი, გათოშილი ხელები ჩაკიდებული მქონდა ჩემი კლასელისათვის. ჩვენს წინ, როგორც მოჩვენება, უეცრად გამოჩნდა მერი. დაუდევრად ახვეული თმა მთლად სველი ჰქონდა თოვლისგან.

ფერმიხდილი, თითქმის ჩამქრალი თვალებით, ის ჩემთან მოვიდა და ძლივსგასაგონი უსიცოცხლო ხმით მკითხა:

– რა ისმის... რა ისმის ბიძაშენისგან?

მე მხოლოდ თავი გავაქნიე უარის ნიშნად და მივბრუნდი.

– მაგის ბიძია გადაასახლეს! – წამოიძახა ჩემმა ამხანაგმა. მხიარული ბიჭი იყო. საოცარია, სანახევროდ შიმშილობდნენ იმის ოჯახში, ფეხზედაც, ამ თოვაში, სველი, სველი, წყლით გაჟღენთილი ძველმანი ფეხსაცმელი ეცვა და ის კი მაინც სულ იცინოდა.

– გადაასახლეს!.. – გაიმეორა მერიმ უფრო ხმადაბლა და წავიდა ნელი ნაბიჯით, ბილიკზე კი არა, უკვალავ თოვლში.

მეორე დღეს, გამთენიისას, ისეთი კივილი შეიქნა, გულგახეთქილები წამოვცვივდით საწოლებიდან. მე ფეხშიშველი გავიჭერი კარში, დედამ დამიყვირა, მაგრამ თვითონაც ჩაუცმელი, ღამის პერანგზე წამოსხმული ხალათისამარა გარბოდა, თხელი თოვლით დაფარულ წუმპეებში უცდებოდა ფეხი და ტალახის შხეფებით იწუნებოდა.

მერი შუაღამისას მორევში გადავარდნილა. ეს ღრმა და საშიში მორევი მისი ეზოს უკან იყო. ზაფხულობით, მთელი სოფლის ბიჭ-ბუჭობა ცურავდა უწყინარი გუბურის მომწვანო წყალში, მაგრამ ახლა, გაუთავებელმა წვიმებმა გადარეულ უფსკერო ჭად აქცია იგი.

იმასაც ამბობდნენ, რომ მამასა და შვილს შორის ატეხილ ჩხუბს მოჰყოლია ეს სამწუხარო ამბავი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე იჯდა ტალახიან თოვლში, ზედ სახლის კართან, გაშეშებული, გამართული ზურგით და საშინლად გაფართოებულ თვალებს აცეცებდა ირგვლივ. კაცები თავს ესეოდნენ, ვერა და ვერ წამოაყენეს. მის გვერდით წაქცეული ხელის ლამფა მაინც ენთო, ბოლავდა. ჩანს, ამ ლამფით დაეძებდა შვილს...

გული ამომიჯდა. ასე ძალიან არავინ შემცოდებია, არასოდეს...

გაივლის დრო და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისევ ითავმჯდომარევებს, ისევ ჩაივლის სოფლის გზას, სათვალთვალო ბოძივით მაღალი და წელგამართული, მაგრამ ყველაზე საშინელი მარტოობისთვის განწირული, კუშტი, სამუდამოდ გაუღიმარი...

და არც ეს არ იყო ყველაფერი...

ძალიანაც არ მსურს, მეხსიერების ჯურღმულებიდან გამოვიხმო იმ შორეული და დავიწყებული დღეების ჩვენება, ძველი სურათები და სახეები, ისინი კი თვითნებურად ცოცხლდებიან, ლანდებივით რიალებენ ჩემს თვალწინ.

აჰა, ცივი შემოდგომის ღამე. უმთვარო, ბნელი... თეთრსვიტერიანი ბიძაჩემი, ლამაზი, მომავლის შიშით შეძრწოლებული... მისი გრძელი, აკანკალებული თითები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა ვიცოდე, რა სახით შეხვდა დამიზნებულ სიკვდილს და როგორადაც არ უნდა წარმოვიდგინო — შეშინებული, მომღიმარი, ელდით გახევებული თუ ბოლო წამამდე სიცოცხლისთვის მებრძოლი, — სულ ერთია, ყველა ეს წარმოდგენილი სახე მტანჯავს, მტკივა და მებრალება.

მერი?

მერიც... მერი კიდევ უფრო ძალიან... ვინც დაღუპა ბიძაჩემი, მაგრამ ვისაც უყვარდა იგი იმაზე მეტად, ვიდრე ამის ატანა შეეძლო. რა უცნაურია... ბებიამ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. იმას კი, რა სათქმელია, სუნთქვას ერჩია უმცროსი შვილი.

ხოლო ეთერი, ჩუმი, უსიტყვო პერსონაჟი სიყვარულის დრამისა, ძალიან მალე გათხოვდა, გაჰყვა ცოლად ვიღაც მეტყეველს მეზობელი სოფლიდან.

მერედა, რა... როდის ვუკავშირებთ ერთმანეთს ყველა მომხდარ ამბავს? გვიან, ძალიან გვიან, როცა უკვე ყველაფერი მთავრდება...

წერილი ზეცაში, კაცებს

ძალიან მინდა აგიწერო დეკემბრის ეს პირქუში სურათი: სიცივით აბაბანებული გაშიშვლებული ხეები, ტყვიისფერი, მუქი, მუქი ცა, ეკლებივით ჩხვლეტია წვიმის წვეთები და ქარის დაუღალავი ზუზუნი. რა საწყალობლად გადახრილა გვერდზე მეზობლის პატარა სამზადი. თითქოს კრამიტიც გაჰხუნებია...

ალბათ, მალე გათოვდება.

გუშინ უფრო ძლიერ ქროდა ქარი. სტვენით, ხმაურით დაძრწოდა, ნელში ღუნავდა ხეებს. ძეძვის ღობეზე შაშვი ცდილობდა დაჯდომას და ეკლებს ეხლებოდა ულონოდ. ბოლოს, დიდი წვალებით შეძვრა ბარდებში და გაუჩინარდა. ის-ის იყო, შეშისთვის გამოვედი, მაგრამ ქარაშოტმა მეც ჩიტივით მიმანარცხა კიბეს. მაშინ დავინახე სწორედ, როგორ გაიღო აი, იმ საცოდავი სამზადის ფარღალალა კარი და მოხუცი კაპიტოს შალწაკრული თავი დავლანდე. ხელი აიქნია და უკანვე შებრუნდა.

ფრრ!.. ქარმა რაღაც თეთრი გამოაქროლა ჩემსკენ და ხელებში ჩამივარდა ქაღალდის ფურცელი.

ახლა სიტყვა-სიტყვით წაგიკითხავ, რა ეწერა ზედ:

„ბატონო ქარო! დიდი ბოდიში ამ წერილის მოწერიზა, მაგრამ წუხელი მთელი ღამე არ მძინებია, ძალიან ზუზუნებდი და შევწუხდი, შევწუხდი მეტი რომ აღარ შეიძლება. რა ამბავია, რას გასწავლიან მაღლა, ცაში?

შენ თავისუფალი კაცი ხარ, მე წელკავიანი, მოხუცი, გაჭირვებული, მომერიდე პატარა, მეშინია, ღამეები არ მძინავს. წადი, ვინ გიშლის და სადაც უკაცრიელი ადგილებია, იქ იქროლე, რამდენიც გინდა. დამეთხუე, შემიცოდე, ამას გეხვეწები.

თუ შემისრულებ ამ თხოვნას, შენ იცი. თუ არადა, ჩამომექცევა თავზე სახლის დირე და დავრჩები ღია ცის ქვეშ ამ სიბერეში. ან მოვირაგვები თაგვივით შიგ და შენზე იყოს ჩემი ცოდვა. რომელ ერთს გავუძლო: უსახლობას, უკარობას, მოხუცებულობას, სიცივეს თუ ქვეყნის დაქცევას?

ახლა, იმედი მაქვს, რომ ჩემს უმორჩილეს თხოვნას არ დამიტოვებ ყურადღების გარეშე".

ჩემმა დებმა ბევრი იცინეს, როცა კაპიტოს ეს უცნაური წერილი ვუჩვენე. და კაპიტოც ხომ უცნაური ბედის კაცია.

თვითონ განსაჯე: მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა ხუთი წელი, ისე, რომ ერთი ნაკაწრიც არ ჩამოჰყოლია. აქ კი, მდინარეში გადახტა და ქვას დაარტყა თავი. ვითომ არაფერი, მაგრამ შერყევა კი მიიღო. მეხსიერება ღალატობდა. სხვანაირი გახდა, სინამდვილესა და მოგონილს შორის, ბეწვის ხიდზე დადიოდა კონწიალ-კონწიალით. ცოლიც არ შეირთო თურმე, თამარ მეფეზე ნაკლები ქალი სახლში როგორ შეიყვანებაო.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სხვისი ნაამბობით ვიცოდი. ახლა კი კაპიტო კარგა ოთხმოცდახუთი წლისაა და ამ ხნის კაცს, ისეც რომ ღალატობდეს გონიერება, რა გასაკვირია.

ხანდახან, ცხელ საჭმელს რომ გადავუტანდი, ვხედავდი, როგორ იჯდა მოხუცებული მარტო, აფუტებულ ბუხართან, მის წინ გროვად ეყარა ქაღალდები. აიღებდა ერთს, მეორეს, გახედავდა ცეცხლის შუქზე და მერე ამოირჩევდა საუკეთესოს.

წერილი უნდა მივწეროო, მეტყოდა.

ვის-მეთქი, კაპიტო ბაბუა?

— ზეცაში კაცებს. — ასეთი იყო უცვლელი პასუხი.

საწერად ფანქრები სულ მე გადამქონდა. მლოცავდა ამისთვის.

სხვაფრივ კი, მით უმეტეს, თუ სითბო იყო, ზაფხული ან ადრეული შემოდგომა, კაპიტო ჩვეულებრივად იქცეოდა. ზამთარს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტანდა საწყალი. ზამთარში წერდა და წერდა საჩივარს, სიცივით შეწუხებული.

ახლა, უნდა გამოგიტყდე და (თუ გაგიგია ასეთი რამ) — შეყვარებული ვარ კაპიტოს ახალგაზრდობაზე... უცნაურია, არა? მაგრამ ალბომში რამდენიმე იმისთანა სურათი უდევს... ერთი განსაკუთრებით — ფრონტზე გადაღებული. როგორია, იცი? მხრებგაშლილი (რაც ასე იშვიათია დღეს), ლაღად მოცინარი, ხელგადახვეული ვიღაც ორ რუსის სალდათზე. კეფაზე მოგდებული ვარსკვლავიანი პილოტურა უხდება, უხდება, ხატავს... ლამაზიც არის და ვაჟკაცურიც.

ჩემს მეტს, მგონი, არავის აწუხებს კაპიტოს ბედის უკუღმართობანი. სოფელი დიდია... და როგორღაც გაგულგრილებული.

ნეტავი, როგორ წაიკითხავდნენ მეზობლები ასეთ წერილს (მე იგი შენახული მაქვს. შარშანდელია. რა თქმა უნდა, მის შესწორებას აქ არ შევუდგები).

„ძვირფასო და ყოვლად მოწყალე ანგელოზო. ჭერის, ფუძის კეთილო სულო, ვიცი, რომ არსებობ, მაგრამ ეტყობა, ჩემთან მოსვლამდე გზა-კვალი აგერია და ვინ იცის, რომელი უცხო კაცის ოჯახში დეიბუდე.

ამ წერილს ახლა ვატან აღმოსავლეთის ქარს. იმედია, რომ ზევით ააფრიალებს და შენამდე ასე ამგვარად მოაღწევს.

თუ იკითხავ, რის მოთხოვნა მინდა და რაღა უნდა მჭიროდეს ამ ხნის კაცს, გეტყვი, რომ მოსვენება. არასდროს არ მიცხოვრია ჩემს გემოზე და თუ აქ, მიწაზე არა, იქით მაინც მეღირსოს რამე.

არის, ხომ არის ცაში ცხოვრება? ამის იმედი მასულდგმულებს ამდენ ხანს. შენ თუ ჩემი ანგელოზი ხარ — ხომ ყავს ყველა კაცს საკუთარი ანგელოზი განგებისგან? მაშინ ამიტანე ამბავი ზეცაში, კაცებთან. ასეა და ასეა ამისი საქმე-თქვა, უთხარი. ის წმინდა კაცები კიდევ, არ იზამენ ისე, რომ სულ საცოდავად დავრჩე. რა ვიცი, რამდენი რამე მინდოდა ამ პატარა ცხოვრებაში, მომესწრო. ახლაც, რამდენი რამის მოწერა მინდა, მარა მეშინია, გრძელი წერილით თავი არ შეგაწყინო.

პასუხს, ვიცი, შენ ვერ მომწერ, ვერც დამენახვები, ოღონდ ეგება მაგრძნობიო რამეთი, რომ გესმის ყველაფერი“.

ეს წერილი მეზობლის ბიჭმა იპოვა, ჩხართვებზე რომ ნადირობდა კაპიტოს ეზოში. წამაკითხა და ერთად მოვიფიქრეთ, როგორ გაგვემტკიცებინა მოხუცის რწმენა ანგელოზის არსებობის შესახებ. სულ უბრალოდ: დაჭრილი შეშის პატარა მარაგი დავუწყვეთ ღამით კართან და სანაცვლოდ გავაჩერეთ მარი, გამოფუღუროებული მსხლის ხე, რომელიც ზედ კარის წინ ერგო, მოვურთეთ ცისფერი და ალისფერი ბაფთებით.

(ეს ბაფთები დედას მოვპარე საკერავი მანქანის უჯრიდან და შავი დღე მაყარა).

რა ბედნიერი დადიოდა კაპიტო, გაიბღინძა კიდევაც. ამაყად გველაპარაკებოდა.

ხოლო, როდესაც წვიმასთან მიწერილი გრძელი უსტარი ვიპოვე... რა დღე იყო მაინც... ისეთი უცნაურწვიმიანი, რომ მართლაც დაეჭვდებოდი: წვიმა იქნებ განგებ სცრის, ირიბად, ასე? იქნებ ესმის ჩვენი და თან არც გვიბრალებს, რაკი ყინულის წვეთები ატანს ტანისამოსში და თვით გულამდე აღწევს...

შემპარავი, ქარისგან წაფერდებული წვიმა წამომეწია შარაზე. თეთრი ქაღალდი საცოდავად ფრიალებდა ღობეზე. იფიქრებდი ქარს სარეცხი გაუტაციაო. არადა, ეკლებზე საგულდაგულოდ იყო წამოგებული წერილი. უკვე სველი, ნაწერი აქა-იქ წაშლილიყო, მაგრამ სახლში შევიტანე, გავაშრე და მაინც ამოვიკითხე.

იმას აღარ მოვიტან ახლა მაგალითად. ჯერ ერთი, ძალიან გრძელია და ვაითუ დაგღალო, მერე კიდევ — არც ის მინდა, დაგაღონო...

ამ წერილზე ჩემმა დებმაც ბევრი იტირეს. მე ის შენახული მაქვს, როგორც კაცის უმწეობის, მიუსაფრობის ერთი საბუთი.

დღეს უსათუოდ გათოვდება...

— სულაც არ არის სევდის მომგვრელი აქ არაფერი, — ამბობს ჩემი უფროსი და. ის მხატვარია. — შეხედე, დიდ წაბლის ხეს ჯერ კიდევ არ გასცვენია ფოთლები. მერე, რა ლამაზად ჩანს ეს წითელ-ყვითელი ლაქები გამჭვირვალე ნაცრისფერ ფონზე. ხოლო მეწამული ნაყოფი კარალიოკისა — რა სასაციოლოდ ჟღერს ეს სახელი. თუმცა, იდუმალიც კია — ხატავს პეიზაჟს, ხატავს და მერე როგორ...

ქარის დამაღონებელი სისინი და წვიმის უწყვეტი ნაკადი, როგორც ჩანს, მის გუნებაგანწყობილებაზე არ მოქმედებს. მე კი თვალს ვერ ვაშორებ ჩამომტირალ მინებში გამოხატულ სურათის ნაგლეჯს და უფრო მიპყრობს სიცივე, თუმცა ღუმელში დიდი ხანია ტკაცუნით იწვის წიფლის შეშა.

არა, უსათუოდ ითოვებს და ვიცი, დღეს არა, ხვალ, თოვლზე ვიპოვი სიცივითა და ტანჯვით ათრთოლებულ ქაღალდის ფურცელს. იქ ეწერება სიტყვა-სიტყვით ასე:

„ძვირფას ბატონ თოვლს...“

იქნება ისევ სათხოვარი მაღლიდან ასე კრძალვით მობრძანებულ ფიფქებთან, ყური ათხოვონ მოხუცის მუდარას, უშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამდგომლონ ზეცაში, კაცებთან, ან იყვნენ ცოტათი უფრო თბილნი, ნუ შეაწუხებენ სიცივით ზამთრის მოშიშარ მარტოხელა ადამიანს...

აჰა, კიდევაც დატრიალდა ქარბორბალა. ამოჰყარა წვრილი, ხოროში თოვლი. როგორ შევძლო, როგორ დაგანახო ის, რასაც ახლა შევყურებ ფართოდ გახელილი თვალებით, მაგრამ გაოცების გარეშე? მეჩვენება, რომ უამრავი თეთრი ბარათი თოვს.

ღვთის გულისათვის, ნუ მიწოდებ ნურც უცნაურს და ნურც მატყუარას, რადგან არასოდეს არ ვიტყუები. არც ის მსურს, ზღაპარივით მოგეჩვენოს ეს ყველაფერი.

ბევრი მინდოდა მეამბნა კიდევ, მაგრამ, იცი, გადავიფიქრე. ეს ახლა მოხდა, ამ წუთას, რადგან წვიმა სულ შეწყდა. აღარც ქარი დათარეშობს ღმუილით, ჩადგა... და თოვლი, თოვლი ისე ფრთხილად, ისე ალერსით ეფინება ნელ-ნელა ცისფრად ციმციმა მოუვლელ ეზოს, რომ სუნთქვა მეკვრის. იქნებ თბილია იქ თოვლი? იქნებ წვიმაც და ქარიც სადმე ახლოს დგანან მოფარებული, ერთმანეთს მიკრულნი, ჩუმად და რცხვენიათ თავიანთი დაუნდობლობის?

მინანქარივით თხელ, უმწიკვლო თოვლში ნაფეხურები ჩნდება: თეთრად შემოსილი კერის ანგელოზი დადის საწყალი კაცის ქოხის გარშემო. ნეტავი კი წაიყვანდეს ამ სახლის ეულ პატრონს უკეთეს ადგილას.

– შეხედეთ ერთი, რა სილამაზეა ამ უბრალოებაში. – ამბობს ჩემი და, მხატვარი. – ყველა ფერი ერთმანეთს ავსებს. დიდებულია ეს სითეთრეც. არა, მე ძალიან მიყვარს ხედი აქეთა მხარეს. ნამდვილი სოფლური იდილიაა.

შესაძლოა, მართლაც...

არ ვიცი, იქნებ ცრემლისგან დაბინდულმა თვალმა შეთხზა ყოველივე ეს..

თენგიზ სვანიძე

პოეტ თენგიზ სვანიძეს 65 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ, ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.

●

დარდი, გულში გავლილი, —
მზეა, მზე უკარება...
გაუხედნელ ქარივით
სულ, სულ, სულ მეჩქარება.
ჩქარა, ჩქარა! — ჩამძახის
მუდამ ხმა იდუმალი...
ვინ, ვინ უნდა დამძრახოს
წუთისოფლის სტუმარი.
ერთგულება მოკეთის
დამდევს უტკბეს ზმანებად...
რტოს მივტირი მოკვეთილს,
რა ვქნა თუ მენანება.
მზემდე კიბეს ვაშენებ
და ჩემთვის არ მეთმობა...
სულით, ხორცით შენი ვარ,
ჩემო ერთადერთობავ!
სრბოლა ცისფერ ქარების —
ბუნების საოცრება...
სულ, სულ, სულ მეჩქარება
ჩემი დღე და მოსწრება.

●

ვგავარ ჩამავალ მზის გაბრძოლებას,
ბედის უფსკრულში გადაჩეხილი...
ქარად ჩავლილი ჩემი ცხოვრება,
თავზე მატყდება ახლა მეხივით.
ცის გახსნას ვეღარ დაველოდები,
არც არვინა ჩანს ჩემდა მხმობელად...
ღამე, შემკრთალი შენზე ბოდვებით,
ელის ჩემსავით მზის სახრჩობელას.
ვის მივუყარო დარდის ძონძები,
ქარს ვგავარ, შეშლილს და ფეხშიშველას,
როცა მოკვდები, ანგელოზები
ცად წაიღებენ შენზე სიმღერას.

თოვლის სიზმარი

მარტო სურვილი ქროლვაა ქარის, —
აღარ თენდება დღე საკალმახო...
დარდის მომგვრელი მოდის ზამთარი,
თბილი ზამთარი ჯერ მე არ მახსოვს!
შელეწილი აქვს აწმყოს ფერდები,
ფიქრში წარსული ამოიზიდა!..
დრო სულ ჭაბუკობს, გული ბერდება
და ვერ გამოდის თოვლის სიზმრიდან.

აგვისტოს წვიმა

მზე, გასაოცრად უცხო და ფიცხი,
ქალაქის თავზე ლესავდა მახვილს...
დაჭიხვინებდა ქალაქში სიცხე,
ცხელი ქარები ღეჭავდნენ აღვირს.
ცას მოეფინა ღრუბლების ჯოგი, —
გადააშავა ზეცის მარმაში...
ვით ფეხშიშველა, სოფლელი გოგო,
შემოგოგმანდა წვიმა ქალაქში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თებერვლის თოვლი

წვიმანარევი ჩამოდის თოვლი,
ფროებს ისველებენ თოვლში ქარები...
თვალებში რჩება თოვლის სისველე, —
ჩუმი ტკივილის ცივ მდუმარებით.

რა ვნახე? ახლაც კარგს რას მოველი!
ვდგავარ, — ნისლოვან სივრცეს გავცქერი...
თებერვლის თოვლი, წვრილი და სველი —
ჩამოდის, როგორც კლდიდან ჩანჩქერი.

●

დილა თვალს ახელს ცვარდანამული,
ირეკს იისფერს ცის გაბაცება...
ჩემი სიმდიდრე არის მამული, —
ჩემი ტკივილიც და აღტაცებაც.
ზეცას შევხარი თეთრღრუბლებიანს,
ვერ დავიოკე ფრენის წყურვილი...
ჩემი სიმდიდრე მეგობრებია,
რომ ვუფრთხილდები მტკივან გულივით.
უნდა გაშალო ფრთები სრულიად,
რომ გესმას ჩემი სულის გალობაც...

ჩემი სიმდიდრე სიყვარულია,
უფალმა ჯილდოდ რომ მიწყალობა.
სულის ტკივილებს ვეღარ შველიან,
ვინახავს კაცი გულგამოცლილი?!
ჩემი სიმდიდრე მოძმის ხელია,
სასოწარკვეთის ჟამს გამოწვდილი.
გზები წვალების ვერ შევიმოკლე,
ვეღარ ჩავიდგი მკერდში სხვა გული...
ჩემი სიმდიდრე არის სიცოცხლე,
პატიოსნების ჯვარზე გაკრული!

სიმარტოვე

თოვლის სიმღერა თოვლს უნდა ეთქვა,
მოვიდა თოვლი და ქალაქს ათოვს...
ო, ნეტავ ახლა შენ იყო ჩემთან
და არასოდეს არ ვიყო მარტო!
მოფრინდე ნეტავ... ვით ანგელოზმა
გზა გამიკვლიო ცისკენ მუზებით...
შენ ვარდისფერი ცეცხლით შეგმოსა
ღმერთმა და დარჩი ხელშეუხები!

გუშინ არ იყო?! გემახსოვრება, —
თვალი გეფერა და მიგატოვა...
გუშინ არ იყო?! მაშ რად მგონია,
მთელი ცხოვრება სულ, სულ მარტო ვარ?!
გული ოხერი, გული ვინ გასცა,
ვინ დაუკარგა სულს მოსვენება?..
მაინც მახსენებს ერთხელ ვილაცა
და შენ შეგაკრთობს ჩემი ხსენება
და ჩაიწვები შენშივე ჩუმად,
როგორც ლოცვაში წმინდა სანთელი
და გამოყვები ფიქრსა და გუმანს
და მოხვალ ჩემთან, ვით ჟრუანტელი.
მოხვალ და მერე გაქრები უმალ,
რომ სულ შემშალო და გამახელო...
ო, სანამ გჭვრეტდე, ვით უცხო სტუმარს,
ვიცვალო როლი სახელდახელოდ.
და მე ვარ შენთან, არასდროს სხვასთან,
შენთან ვარ ბედის გარდუვალობით...
სულ უფრო ახლოს მოვდივარ ნაღმთან,
რომ მწვანე ბორცვად ვიქცე მაღლობის.
და მე ვიქნები სიკვდილშიც შენთან,
მინდოდეს კიდეც, ვერ მიგატოვებ...
უცხო ქალაქში დავდივარ სევდა
და თეთრად ათოვს ჩემს სიმარტოვეს.

თრობა ხორბლისფერ თმათა სურნელით
არ მომწყინდება, ალბათ, არასდროს...
შენა ხარ ერთი და შეუცვლელი —
ახლობელიც და უმისამართოც.
ფიქრის სარკმლიდან მე გითვალთვალებ, —
არ გამაჩნია მყუდრო სხვა სახლი...
მოალებ მალვით ოთახის კარებს
და ტყვიასავით ღიმილს დამახლი.

გული ვისთვის გაქვს გადანახული —
მზედ ვის უცინი მაღალ სერიდან?!
შენ მოყვავილე ხარ გაზაფხული,
ვარდს მოღადანეს ვინ განერიდა?!
.....
ქარში აშლილი პურის ყანები
ლომის ფაფარს ჰგავს ოქროს ფერებში...
მე ეს ლამაზი დღე მენანება
ატირებული ჩემს სიმღერებში.

მოგზაურობა ცის საუფლოში

მივყვები აღმა ოცნების კიბეს,
თითქოს ღმერთამდე ვიმოკლებ სავალს
და გზებს ვიგნებ და... ვერაფრით ვიგნებ
და გულში დაჭრილ ტოროლას ვგავარ.
თვალწინ კრთებიან უცხო ხილვები,
იკარგებიან მერე უმალვე...
ღვთიურ ნათელის ამომძივება
თვალებს ვერაფრით ვერ დავუმალე.

შორით გამოჩნდა სემირამიდას
ბაღი, ნისლებით შემონაფენი...
კაცს გული, მარტო გული რად გინდა,
თუკი დაგცვივდა ფრთები საფრენი!
სივრცე სავსეა მზის მიმოზებით,
სული ასე რომ გამიფერადეს...
გზებს მინათებენ ანგელოზები, —
ერთი გაფრენა რჩება ღმერთამდე!

მიხეილ ანთაძე

მარიონეტი

მოთხრობა

ქალბატონებო და ბატონებო!

მე გახლავართ...

მოითმინეთ — ცოტა მოგვიანებით წარმოგიდგენთ საკუთარ თავს, ჯერჯერობით კი გავიმხელთ, რომ პატივი გაქვთ ყური მიაპყრათ არა ძე ხორციელს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თოჯინას — თოჯინების თეატრის საქვეყნოდ განთქმული დასის ერთ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ წევრს.

ჩვენი დასი, მართლაცდა, ზღაპრულად სახელმოხვეჭილია, ყოველ შემთხვევაში, მშობლიური ქალაქის მასშტაბით. ქალაქი, თავის მხრივ, ცნობილია მთელს ქვეყანაში, ქვეყანა მსოფლიოში, მსოფლიო თავის მხრივ... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მაპატიეთ ეს უნებლიე მაღალფარდოვნება, ჩემი ბრალი არ გახლავთ — პროფესიული ჩვევაა. რას იზამ — მივეჩვიე სხვისი დაწერილი ტექსტით მეტყველებას.

რასაკვირველია, თქვენც კარგად მოგეხსენებათ: თეატრალური თოჯინები ორი სახისაა. პირველნი ეგრეთ წოდებულ „ხელთათმანის" ტიპს განეკუთვნებიან, მათ ხელზე ჩამოცმულთ ამოძრავებენ.

ჩვენ ამ ტიპს არ განვეკუთვნებით.

ჩვენ ხელ-ფეხზე და საერთოდ ყველა მოძრავ ორგანოსა თუ ნაკვთზე უხილავი, მაგრამ მტკიცე თოკები გვაქვს გამობმული. ამავე თოკებით ვკიდივართ კედელზე, უფრო ზუსტად, ამ კედლებში ჩარჭობილ ლურსმნებზე, მუდამ, როცა არც სპექტაკლია და არც რეპეტიცია.

ჩვენს ოთახს ოთხი კედელი აქვს და მხოლოდ ერთ მათგანშია დატანებული პაწაწინა სარკმელი, საიდანაც მოჩანს მუქი ლურჯი ცა და ხასხასა მწვანე ველი.

ველზე თეთრი კაცუნები ხან ფერხულს უვლიან, ხან მოლზე კოტრიალებენ, მოესურვებათ — ვიოლინოს უკრავენ, მოესურვებათ — ბარბითს.

ეს ყველაფერი ძალიან შორს მოჩანს, ლურჯი ცის ქვეშ, სარკმლიდან.

ჩვენს ოთახში კი, კედლებზე ფართო ასორტიმენტით ჰკიდია თოჯინების განსაკუთრებული ტიპი, რომლებსაც სპეციალისტები მარიონეტებს უწოდებენ.

ეს ჩვენ გახლავართ.

მობრძანდით, ქალბატონებო და ბატონებო, დაეკიდეთ ყოველ ცისმარე დღეს ასე უმოქმედოდ ლურსმანზე და ნახავთ, თუ არ გაფილოსოფოსდებით. ჩემი კოლეგებისა რა მოგახსენოთ და მე კი დიდი ხანია სიბრძნისმეტყველი გავხდი და ჩემთვის სადღეისოდ შესაფერისი მსოფლმხედველობრივი კონცეფციაც ჩამოვიყალიბე.

მარიონეტული ტიპის თეატრალური თოჯინები ორ სამყაროში არსებობენ. პირველი — მცირესარკმლიან ოთახში, ლურსმნებზე თოკით უძრავად და... „და" კი არა — ჩა-მოკიდებულნი; მეორე — სცენაზე, თეატრის რეპერტუარით.

პირველ სამყაროში დრო გაყინულია, მეორეში — მოდის და მოედინება.

პირველი უხმოა, როგორც გასაღებით დაკეტილი როიალი, მეორე — მხიარული, როგორც გალიიდან გამოფრენილი იადონი.

ორივეს საკუთარი მტკიცე წესები და კანონები გააჩნია და, რაც მთავარია, ორივე არსებობს.

ეს ფაქტია, ფაქტს კი ვერსად გაექცევი.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი უფრო არსებობს, ანუ, ჯერ რომელი არსებობს — ეს საკითხი, ჩემდა სამარცხვინოდ, დღემდე ვერ გადამიწყვეტია.

პირველი სამყაროს კანონებით ჩვენ ოთახში ვკიდივართ. ოთახი, თავის მხრივ, მდებარეობს თოჯინების თეატრის შენობაში. შენობა, თავის მხრივ, აღმართულია ჭადრებიან ქუჩაზე, ქუჩა თავის მხრივ, ქალაქის ერთ-ერთ რაიონშია, რაიონი თავის მხრივ მდებარეობს ქალაქში, სადაც ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, თავადვე ცხოვრობთ. ქალაქი თავის მხრივ... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თქვენს მონა-მორჩილს ფოლაქისთვალთსაწიერი ამაზე შორს აღარ მიუწვდება, ის კი არა, ლურსმნიდან არც ქუჩა მოჩანს, არც თეატრის შენობა და არც არაფერი, გარდა ერთი მწვანე მდელოსი, სადაც თეთრი კაცუნები ხან მხიარული ფერხულით ტრიალებენ, ხანაც ვიოლონჩელისა და ბარბითის სევდიან ჰანგებს უსმენენ. ამინ.

მეორე სამყაროში კი პანორამა შეუდარებლად ვრცელია. პირველ ყოვლისა, ამ შემთხვევაში ქალაქს გადაერქმევა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი და მოინათლება ბევრად უფრო კეთილხმოვნად: საჭიანჭველო. კეთილხმოვანება მართებს ქალაქს, სადაც ღრმად კეთილშობილი ქალბატონები და ბატონები კი არა, თოკგამობმული თოჯინების მიერ განსახიერებული გმირები სახლობენ და მოღვაწეობენ.

საჭიანჭველოში მრავლისმომცველია ჩემი ფოლაქისთვალთსაწიერი — აქ სრულფასოვანი ძე ხორციელიც ვარ, ღმრთის ხატიც, ქაჯი და ეშმაკიც, კაციც გახლავართ, ქუდიც მახურავს და, რაღა თქმა უნდა, მშობლიური ქალაქი ძალიან მიყვარს. მიყვარს თუნდაც იმიტომ, რომ ასე არა ჰგავს თავის პირველსამყაროსეულ ორეულს, არა ჰგავს იმით, რომ საოცრებებითა და სასწაულებითაა სავსე.

საჭიანჭველოში ჭადრების გარდა კვიპაროსებიც იზრდებიან; როგორც ყველა ქალაქში, აქაც ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ სიტყვებს „ეგზისტენციალიზმი" ან „ბიორიტმები"; ზაფხულობით აქაც იყიდება და იჭმება ტონობით პლომბირი; მცხოვრებთა უმრავლესობამ არ იცის, რით განსხვავდება კინოლოგი კინომცოდნისაგან ანდა როიალის დამკვრელი — როიალისტისაგან და, მიუხედავად ამისა, ბრძნულად, ტკბილად და კეთილმოწყობილად ცხოვრობს, ცხოვრობს რაგინდარა ჯურის, სტილის, სახელის, ასაკის, სქესის, წარმოშობის, წარმომავლობის, ზომის, წონის, ფერის, თვალტანადობის, გამჭრიახობის და კვალიფიკაციის ხალხი, გაცილებით მეტი, ვიდრე შეიძლება დაეტიოს ერთი ოთახის კედელზე ლურსმანი და ლურსმანზე — მარიონეტი. ჩვეულებრივი არითმეტიკის საქმეა, ქალბატონებო და ბატონებო!

ახლა კი დროა, ჩემი თავიც წარმოგიდგინოთ. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ჩემზედაც ვრცელდება ორი სამყაროს საყოველთაო კანონი, უფრო ზუსტად კი, პირველ რიგში, ჩემზე ვრცელდება და მერეღა, ჩემგან გამომდინარე, სხვა ყველაფერზე, რადგან ზემოთგანმარტებული ორი განზომილება მხოლოდ მარიონეტის ტიპის თეატრალური თოჯინისათვის გამოდგება და არავითარი კავშირი არ გააჩნია არც მსახიობებთან, რეპეტიციებსა და სპექტაკლებზე თოკების საშუალებით რომ გვაცეკვებენ და გვახტუნებენ, არც მაყურებელთან, ტაშს რომ გვიკრავენ (უფრო ზუსტად — მსახიობებს რომ უკრავენ) და საერთოდ, არცერთ ადამიანთან... მაპატიეთ. გადავუხვიე — ძნელია რიტორიკულ ცდუნებას არ აჰყვე. ჰო. პირველ სამყაროში...

რაა სალაპარაკო პირველ სამყაროზე? რაა სალაპარაკო ხელ-ფეხსა და სხვა მოძრავ ნაკვთებზე თოკგამობმული თოჯინის შესახებ, რომელიც დღენიადაგ ლურსმანზე ჰკიდია „თანამეინახეების" გვერდით?..

მეორე სამყაროში სულ სხვაა. აქ უამრავია სათქმელი, მოსათხრობი, გასაზიარებელი და აკი ამიტომაც ვლაქლაქებ ასე გულმოდგინედ და ჩემი თავგასაბეზრებელი ექსცენტრულობით ჩვეულ იდილიას გირღვევთ.

თოკზე დაკიდულ თოჯინას სახელი არა ჰქვია, მწვანე ტანისამოსი აცვია და ზედ სამფეროვანი: წითელ-ყვითელ-ალისფერი ღილები აკერია. საჭიანჭველოში კი, იმის და მიხედვით, თუ როგორ ათამაშებს მსახიობი, ხან არლეკინო ჰქვია და ხან პიერო. ორივე სახელი იტალიური წარმოშობის გახლავთ და ვინაიდან საჭიანჭველო იტალიიდან შორსაა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა არკადი ან პეტრე მრქმეოდა, მაგრამ რას იზამ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს და მიუხედავად ჩემი წმინდა საჭიანჭველოური წარმოშობისა და მშობლიური ქალაქისადმი მგზნებარე პატრიოტული გრძნობისა, ორივე სახელი უცხოური მქვია.

ასეა ეს, ქალბატონებო და ბატონებო.

რაც შეეხება სხვებს, ჩემს თანამეინახეებს, მეგობრებსა თუ მტრებს, მათ თავიანთი სახელებითა და სხვა ნიშან-თვისებებით გზადაგზა, წინასწარი ჩამოთვლისა და დახასიათების გარეშე წარმოგიდგენთ. ისინი ყველანი, ჩემი არ იყოს, პატრიოტები არიან და ბრძნულად, ტკბილად, კეთილმოწყობილადაც ცხოვრობენ, თუმცა ყოველმა მათგანმა როდი იცის, რომელი უფრო არსებობს — კაცუნებიანი სარკმელის გასწვრივ ჩაჭედებულ ლურსმნებზე გამობმული თოკები თუ მზითა და სასწაულებით დღენიადაგ აფუთფუთებული საჭიანჭველო.

ფერია ნა

1. ფერიების ალბომი

დილაადრიან გამოვედი ქუჩაში.

რატომ?

მიზეზს რა მნიშვნელობა აქვს.

შესაძლოა იმიტომ, რომ ჩემს საწოლთან, კედელზე სევდიანი ფერიას პორტრეტი ჰკიდია და გავიღვიძე თუ არა, ლექსი წავუკითხე, მერე კი ველარ გავჩერდი შინ და გამოვედი გარეთ.

ჰო, დამავიწყდა მეთქვა — ყვითელი ავტომატების ქუჩაზე ვცხოვრობ, ფეიხოას ხეებით გარშემორტყმულ შვიდსართულიან სახლში, პირველ სართულზე.

ახლადამოსულ მზეს გრძელი, მოწითალო სხივებით დაესერა ტროტუარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც აუჩქარებლად მივუყვებოდი. ქალაქისა არ იყოს, რიგიანად არც მე გახლდით გამოღვიძებული. ისევ ვფიქრობდი ნახატზე, რომელიც საწოლთან მეკიდა და რომელსაც ხშირად შევცქეროდი ხოლმე; მახსენდებოდა ფერიას ნაღვლიანი სახე.

როგორც სისხამ დილას სჩვევია, საჭიანჭველო ნედლ, ხასხასა ფერებს აევსო. მივსეირნობდი და მესმოდა: იღვიძებდა ქალაქი, ივსებოდა მონოტონური, მაგრამ არაერთფეროვანი ხმაურით.

მერე ნაცნობი ტაკიმასხარა შემხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ, გავუღიმეთ, გავესაუბრეთ. ის გაციებულიყო და ცხვირს მალიმალ იხოცავდა, მე კი მის ზურგს უკან კიოსკს ვუყურებდი — მომეჩვენა, თითქოს ვიტრინაში წიგნი იდო: „კეთილი ფერიების პორტრეტები". ალბათ იმიტომ მომეჩვენა, რომ მთელი დილა მათზე ვფიქრობდი და ლექსიც კი წავუკითხე სევდიან ფერიას. შესაძლოა, არც მეჩვენებოდა და წიგნი ნამდვილად იდო კიოსკში. მყისიერად დავივიწყე თანამოსაუბრე.

– მაპატიე, — ვუთხარი და ნათლად წარმოვიდგინე, როგორ მივიტანდი ალბომს შინ, მოვიკალათებდი სავარძელში და სიამოვნებით, ნება-ნება დავათვალიერებდი სურათებს.

ჩემი ნაცნობი შეწუხდა.

– ავად ხომ არა ხარ?

კითხვა უპასუხოდ დავტოვე და კიოსკისაკენ გავემართე.

– ფერიების ალბომი გაქვთ?

– რა მაქვს?

გავიმეორე.

– არა, არა, — ეტყობა ვერ მიმიხვდა, რა მინდოდა.

ტაკიმასხარას დავემშვიდობე და გზა განვაგრძე.

შესამჩნევად ჩამოცხა.

დილის სიგრილე ჩვენებური შუადღის ხვატმა შეავიწროვა.

დაიწყო დღე.

2. კოჭლი ფერია

გინახავთ, როგორ ემზადება ნახტომისათვის საბრალო მსხვერპლზე თავდასასხმელად შემართული გეპარდი?

არ გინახავთ? არც მე.

ამიტომ გიამბობთ იმას, რაც ჩემი საკუთარი ორი ფოლაქის თვალით ვნახე.

იმ სიცხიან დღეს, ქუჩისპირა კორდის მიღმა შუახნის ფერია მოდიოდა. თავდაპირველად მხოლოდ წამით შევავლე მზერა და მყისვე მომინდა კარგად შემეთვალიერებინა.

ასეც მოვიქეცი და აღმოჩნდა, რომ...

აღმოჩნდა, რომ ფერია კოჭლი იყო. ლამაზი, ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

— „როგორ შეგიძლია ბედნიერი იყო, როცა ქვეყნად ამდენი უბედურია?!" — რატომღაც გამახსენდა რომელიღაც პიესიდან მეხსიერებას შემორჩენილი სენტიმენტალური თუ ირონიული შეგონება.

ფერია ნელა, კოჭლობით მიუყვებოდა ქვაფენილს.

უეცრად ტროტუართან მოცურდა რაშებშებმული ეტლი, შეჩერდა. გაიღო კარი და ტანმაღალი, გარუჯული, ოდნავ თმაშეჭალარავებული მოგზაური გადმოხტა, ფერიას გზა გადაუღობა, თამამი ღიმილით და ძალდაუტანებელი ჟესტით შეაჩერა. ფერიამ გაოცებით ახედა. მოგზაურმა რაღაც უთხრა — გვერდით ჩავუარე და მისი ხმა მომესმა, თუმცაღა ერთადერთი სიტყვა გავარჩიე მხოლოდ — პირველი სიტყვა — უცნაურად დაიწყო მოგზაურმა:

„თუკი"...

მერე რა უთხრა, ველარ გავიგე.

უკან მოვიხედე — ფერია იღიმებოდა, ნდობით შეჰყურებდა მოგზაურს, ის კი, ჩანს, რაღაც უჩვეულოს ეუბნებოდა.

მიკვირდა, ქალბატონებო და ბატონებო, რომ ყველაფერი ასე უბრალოდ ხდებოდა — ჩვეულებრივად და თან რაღაც განსაკუთრებულადაც. მივდიოდი და უკან ვიხედებოდი: ფერია გულიანად იცინოდა და უკვე ძველი მეგობარივით ესაუბრებოდა მოგზაურს, რომელიც ეტლს სთავაზობდა მოხდენილი ჟესტით. ფერიამ უარის ნიშნად თავი გააქნია, გაუღიმა და ასე ღიმილით დასცილდნენ ერთმანეთს. ეტლი მსუბუქად აცურდა და თვალს მიეფარა.

ფერიამაც განაგრძო გზა.

3. სამფეხა ძაღლი

სიცხე ცუდად მოქმედებს ადამიანებისა და თოჯინების გონებაზე.

ვიდექი მშვიდი ნერვების მოედანზე, მზე კინკრიხოს მიხვრეტდა, ირგვლივ ერთი ხეც არ იყო წამლად, რომ ჩრდილში დავმალულიყავი.

ეჰ, რა მომთენთავად აჭერდა და აცხუნებდა...

(ბუღავარდნილი ასფალტი...

ლექსი უცნობი ფერიას პორტრეტს...

თამამი ღიმილი...

მზე...

სიცხე...

შუადღე...

გახურებული აბრები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვრიანი ვიტრინები...

ბუზების ძლივსგასაგონი ზუზუნი...

სადღაც წყალი წვეთავს დიდი ინტერვალებით...)

მახლობელი სახლის გამომშრალი ჩრდილი კი ნელა მიიზლაზნებოდა ასფალტზე და მზეს ადგილს უთმობდა.

ისე მცხელოდა, თავი წუხანდელი ნამთვრალევი მეგონა.

უეცრად ძაღლი დავინახე: სასხვათაშორისოდ მათვალიერებდა.

მეც შევხედე და შევამჩნიე, რომ სამ ფეხზე იდგა.

„აი, კიდევ ერთი სენტიმენტალური ინდივიდი".

უკანა მარჯვენა კიდურის ნახევარი საცოდავად ეკიდა შავ მენჯზე და ვიღაცის მზრუნველ ხელს ნაჭრით გულდაგულ შეეხვია. ნაჭერი ოდესღაც თეთრი უნდა ყოფილიყო.

„ყავარჯენი სჭირდება".

ასეთი ახირებული აზრი სიცხემ იცის.

„ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო, ნათქვამია".

მაგრამ „კოჭლობა" რა შუაშია — ძაღლი უბრალოდ სამ ფეხზე იდგა, რადგან მეოთხეს მიწას ვერ უწვდენდა.

მარჯვენა თვალში მწვანე წირპლი უბზინავდა.

შემზარა ამ ცხოველმა.

მერე საიდანღაც მრგვალსათვალიანი, დაბალი როკაპი გაჩნდა და საკმაოდ გრძელი წინადადება წარმოთქვა, ოღონდ ვერ მივხვდი, ძაღლს მიმართა თუ მე.

ჰოდა, თავისი გზით წავიდა.

სიცხე კი ახირებული აზრებით არ მეშვებოდა — მომინდა მენახა, როგორ დადიოდა ეს ძაღლი, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ადგილზე ტრიალებდა და ძალიან ჰგავდა ფარგალს — უკანა მარცხენა ფეხი ადგილზე რჩებოდა და საწყალი ცხოველი წინა თათებით ნრეს ხაზავდა.

ალბათ, სტკიოდა ფეხის ნარჩენი, რომლითაც ცხელ ასფალტს ეხახუნებოდა.

იქაურობას გავცილდი...

4. ლექსი ფერიას პორტრეტს

მართლაც ძალიან ცხელოდა.

მე კი იმ დიდებულ დღეს დილაადრიან გამოვედი შინიდან...

მართლა იმიტომ გამოვედი, რომ დილით გულუბრყვილო ფერიას ვუთხარი:

„ჩიტების ბაზარს ვიყავ,
ჩიტი გიყიდე,
სულო,
ყვავილთა ბაზარს წავედი,
ვარდი გიყიდე,
სულო,
ბორკილებს ჰყიდდნენ,
გიყიდე
მძიმე ბორკილი, სულო,
მონების ბაზარს წავედი,
გძებნე,
ვერ გპოვე, სულო!"*

5. სიმონ გიბონი

იმ ხვატიან დღეს სიცხემ ასტრების პარკისკენ მაქნევინა პირი. ამ მშვენიერ ბაღს „ასტრებისა" იმიტომ ჰქვია, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, იქ მართლაც უხვად ჰყვავიან ვეება, ლამაზი ასტრები.

თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა იქაურობა კვიპაროსების ბაღადაც მოგვენათლა, რადგან ყვავილებზე არანაკლებ წარმტაცი იქ ამ გოლიათი ხეების კენწეროებით მონახაზი კარდიოგრამაა.

მთავარი კი ისაა, რომ ქალაქში გულისშემაღონებელი პაპანაქება ნებივრობს, ასტრების პარკში კი ისე გრილა, როგორც ცნობილ მაღალმთიან კურორტზე.

სანამ სიგრილე გამომაფხიზლებდა, ხეივანში მოთენთილი და ჩაფიქრებული დავსეირნობდი, უფრო სწორად, უცხო თვალისათვის, ალბათ, ჩაფიქრებულს ვგავდი, თუმცა არაფერსაც არ ვფიქრობდი და გონებაში რომელიღაც სპექტაკლიდან გამოყოლილ აკვიატებულ კადრილს ვატრიალებდი გაუთავებლად.

ასტრების ბაღმა უნებურად პოეტური განწყობა მომგვარა და, ამიტომ, სულ არ გამკვირვებია, პოეტი სიმონ გიბონი რომ დავინახე.

გაკვირვებით არც მას გაკვირვებია ჩემი დანახვა, გაუხარდა კია ძალიან, გრძელი, ორმეტრიანი ხელები გაშალა და შესძახა:

—ღ-მ-ე-ე-ერ-თოოო!!!—ისე შესძახა, ღმერთი რომ არსებულიყო, უეჭველად გადმოხედავდა ციდან, რა ხდება, ვინ მეძახისო.—ღმერთო, ამას ვის ვხედავ!—და გულში ჩამიკრა.

სანამ ამ ორმეტრიან ხელებს ხვევნით ვყავარ დატყვევებული, ნება მიბოძეთ, ქალბატონებო და ბატონებო, სახელგანთქმული ეპიკოსი და ვოდევილისტი, პოეტური ავტორიტეტის გიგანტი სიმონ გიბონი წარმოგიდგინოთ.

---

*ლექსი ჟაკ პრევერისა, თარგმნა თინათინ სიხარულიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გახლავთ შუა ხნის, წითურსახიანი, კიტელში გამოწყობილი, ორ ხელზე მოსიარულე, შავი ხშირი ბეწვით დაფარული კომპეტენტური სტილისტი და პოპულარული მოლექსე.

სიზუსტისათვის დავძენ, რომ მანძილი ფეხის ქუსლიდან კისრის მეხუთე მალამდე ამ მოღვაწის სხეულის გიბონურ ნაწილს შეადგენს, ხოლო ზემოთ დარჩენილი ორგანო კოხტად დავარცხნილი ქოჩრის ჩათვლით, — სიმონურია.

გამოგიტყდებით, დარვინიზმში ცუდად ვერკვევი და ვერ გეტყვით, როგორ მოახერხა დედაბუნებამ ერთი შეხედვით განსხვავებული ორი საწყისის შერწყმით ესოდენ პოეტიზირებული ჰიბრიდის გამოყვანა, ანდა რაში დასჭირდა ეს ექსპერიმენტი.

დავიხსენი თავი შეხვედრით აღფრთოვანებული სიმონ გაბონის მკლავებიდან და მეც მივესალმე:

– გამარჯობა, როგორა ხარ?

– რა ვქნა, ბურნაკუს თოჯინასავით სამი კაცი არ მემსახურება და სხვაგვარად არა მიშავს.

– ბურნაკუ რაღაა, სიმონ? — დავინტერესდი და შევნიშნე, რომ პოეტი კარგა გვარიანად მთვრალი იყო. გამიკვირდა, სად მოასწრო დალევა-მეთქი.

– ბურნაკუ აზრია, რომელიც არსებობს. არსებობენ აზრები, აზრების მთელი სამყარო და კიდევ არსებობს ჩვენი ძვირფასი ქალაქი, საჭიანჭველო, — ამიხსნა მან.

აზრზე ვერ მოვედი, რა აზრები აწუხებდა ასე უაზროდ მთვრალ სიმონ გიბონს.

–ჩვენც ვარსებობთ, — დაუმატა ბოლოს.

– ჰო.

– ყველაფერს აქვს თავისი ფორმა, ბოროტებასაც და სიყვარულსაც. მაგრამ ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ, — ეს უცნაური სიტყვები არ გამკვირვებია, რადგან ჩვენს ქალაქში ყველამ იცის, რომ ავტორიტეტის გიგანტს იეროგლიფებით საუბარი სჩვევია.

გავყევით ფერადკენჭებიან მოკირწყლულ ბილიკს.

– პიერო, მალვინა როგორაა? — მკითხა უცებ სიმონ გიბონმა.

– ვინ მალვინა? — გამიკვირდა, რადგან პოეტის მოსაკითხი მალვინა და საერთოდ, ვინმე მოსაკითხი მალვინა მე არავინ მყავს. ალბათ, ჩემს მეგობარ მიხაკო ვაცში თუ ავერიე — იმის ცოლს ჰქვია მალვინა. — ვინ?

პოეტმა არ მიპასუხა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

– პიეტრო, შენი საქმეები როგორაა? ახლა რას აკეთებ?

ამ გამოკითხვას მერჩია ფილოსოფიური აბრაკადაბრა გაეგრძელებინა.

— ისეთს არაფერს, ახალ კონცერტს ვამზადებთ. აპოლონი დგამს.

— რაზეა?

— ისეთი არაფერი, ფანტასტიკაა თანამედროვეობის თემაზე.

— ლიბრეტო ვისია? — ჩამეძია სიმონ გიბონი და ცხადი შეიქმნა, რა საღერღელიც აშლოდა.

— ვაცის.

— რას შვრება ვაცი, თუ წერს რამეს? — მწარე ირონიით გაიცინა სიმონ გიბონმა, აქაო და სადაა სამართალი, ვინ უნდა იღებდეს და ვინ კი იღებს ჰონორარებსო.

— წერს ალბათ, — მხრები ავიჩეჩე, არ მეამა საუბრის ასეთი გაგრძელება.

— პეტრე, იცი, მე რა მიყვარს? — ხმამაღლა მკითხა ანაზდად სიმთვრალემორეულმა.

ვიცოდი, რაც უყვარდა: ღვინო, არაყი, მუქარა და ტრაბახი, თუმცა მისთვის რომ გეკითხათ, ყველაფერი ეს ბანანივით უცხო ხილი იყო სიმონ გიბონისათვის.

— რა მიყვარს, იცი, პეტრე? გულით მინდა სათქმელი გითხრა, მისმინე, — მისი ლაპარაკი პროვინციული დეტექტივივით ბანალური იყო და მე გადავწყვიტე აღარ მომესმინა.

სიმონ გიბონის ლექსებს იმხანად არ ვიცნობდი, გაგონილი მქონდა, არაფრად ვარგაო.

— ბედი არა მაქვს, ბედი, — ჩიოდა გიბონი, მე კი კვიპაროსების კენწეროებს ვუცქერდი და ვფიქრობდი, მაინც ბედნიერი ხარ, თუ მარტო ის გაწუხებს, რომ ფურცელი შენი ტალანტივით მეტად მცირეფართიანია, ხოლო გამომცემლობათა მავანი დირექტორები — მამაძაღლები.

„მიდი, წერე, სიმონ გიბონო“.

— და ამ დროს, — გული მოუვიდა პოეტს უეცრად, — ვიღაც მეჯინიბე, გამომცემლის თანამდებობაზე გაქაჩული, გბეჭდავს, რათა ექვსიოდე გროში ფული გადმოგიგდოს. ესაა სინდისი და სამართალი?! აი, ავგაროზი — სიმონ გიბონმა ჯიბიდან „ავგაროზი“ ამოიღო — ასე ერქვა მომცრო წიგნაკს, — ეს სტრიქონები, ძმაო, ჩემი ლექსების გარდა გამომცემლის უგულობაცაა და ასოთამწყობის შეცდომებიც. ლექსის თანაავტორია სტამბა, — წიგნი გამომიწოდა, — ჩემგან სახსოვრად გქონდეს. წაიკითხე სტრიქონები, რომლებიც ღამით, მთვარის შუქზე დაიბადნენ, რომლებიც კალმით ვქარგე, მერე კი მითხარი, თუ ვარგა რამედ ეს ჩემი ნაცოდვილარი.

რაკიღა საშუალება მეძლეოდა ყბედი გიბონის ლაქლაქი შემეწყვიტა, იქვე გავშალე „ავგაროზი“ და ხმამაღლა ამოვიკითხე ლექსის სათაური:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „დისპუტი და დესპოტი“.

— რაღა მაგ ლექსს კითხულობ. ეგ არც ისე კარგია, — დაირცხვინა სიმონ გიბონმა.

სერიოზული სახით დავხურე წიგნი.

პოეტი უეცრად აპათიამ შეიპყრო, თავჩაქინდრული დასცქეროდა ასტრების გაზონს.

„ავგაროზი“ ჯიბეში ჩავიტენე და უაზრო სიცარიელის, უიმედო ვაკუუმის გრძნობამ ამიტანა.

— ნახვამდის, სიმონ გიბონო, — ვუთხარი და პირი საჭიანჭველოს ცენტრისკენ ვიბრუნე.

— კარგად იყავი, პიერო, — მომიგო მთვრალმა პოეტმა და ორმეტრიანი ხელების სწრაფი მოძრაობით ვეება კვიპაროსს კენწეროსკენ აუყვა.

მე კი, ამასობაში, ქალაქისა არ იყოს, გამოვფხიზლდი.

6. ნანატრი როლი

მოგეხსენებათ, ჩვენი მშობლიური საჭიანჭველოს ცენტრალური მოედანი მისი უდიდებულესობის, ათასთავიანი ჰიდრას რეზიდენცია გახლავთ.

ჰიდრა ქალაქის ხალხმრავალ ბრბოს ეწოდება, დღენიადაგ რომ ფუთფუთებს, ირევა, დუღს და ხმაურობს. ვეება მოედანზე განუწყვეტლივ, ყოველ წამს შემოდის ვინმე ახლადმოსული, მოედნიდანაც ასევე ყოველთვის გადის ვიღაც და ჰიდრა ამის გამო მუდამ ცისარტყელასავით მრავალფეროვანია. მისი ორგანიზმის უმთავრესი ბირთვი მაინც ადგილის მტკეპნელებისაგან შედგება. ქოსატყუილები, ბრძენთა ბრძენები, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები, ჯადოსნები, წითელქუდები, მოკლედ ყველა ისინი, ვისაც „საქმის ხალხი“ ჰქვია და კიდევ ბევრი სხვა გაურკვეველი ყალიბის ტიპი, მათ შორის, ცნობილი ყაჩაღები და ნაცარქექიები, დილიდან საღამომდე ცენტრალურ მოედანზე ტრიალებენ.

აქ მუდმივად ელიან ვიღაცას, ხვდებიან, ემშვიდობებიან, მოდიან და მიდიან ქვეყნის ოთხივე მხრიდან. უფრო სწორად, კი არ „მი-მოდიან“, არამედ „მი-მოცურავენ“, რადგან ზღვა ხალხში მხოლოდ ცურვით თუ შეიძლება გადაადგილება. ამიტომაც სხვაგვარად ამ ადგილს ჰიდროცენტრსაც ეძახიან.

იმ ხვატიან დღეს, მეც სხვებთან ერთად შევცურე ამ ზღვაში, მეც გავჰიდროვდი და მალე ჩემი მეგობარი — ბატონი მაჟორი შემხვდა, თავზე სომბრერო ეხურა, ხელში ტრომბონი ეჭირა და ჩემს შესახვედრად მოარღვევდა ბრბოს.

— გამარჯობა, — სომბრეროს მოხსნა მაჟორმა.

— გაგიმარჯოს, მომაწევინე, თუ გაქვს.

მაჟორმა ჯინსის ჯიბიდან ორი ღერი სიგარა ამოიღო, ერთი გამომიწოდა.

— რას შვრები? — მკითხა.

— არაფერს.

— რამდენ მოქმედებიანია თქვენი კონცერტი? — მე ცეცხლი შევაგებე და გავაბოლეთ.

— ჯერჯერობით ექვსი. შეიძლება ერთიც დავუმატოთ.

— მაესტრო აპოლონი როგორაა? — ეს მესამე შეკითხვა იყო, რომელიც ბატონმა მაჟორმა შეხვედრის შემდეგ დამისვა.

— აზრზე არა ვარ.

— ავად აღარ არის? — ესეც მეოთხე.

— ავადმყოფობს.

სად იყო და სად არა, ჰიდროცენტრის სიღრმიდან ჩემი კოლეგა, ფრიად ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა ლირიკოსი ენერგიული ენერგიულის ძე პოზა ამოყურყუმალავდა და მოგვესალმა.

პოზას იმდღევანდელი გაზეთებისაგან შეკერილი პიჯაკი ეცვა და მარცხენა თვალზე მონოკლი უელავდა.

— არლეკინო, — მითხრა ენერგიულმა პოზამ, — ყურადღებით მომისმინე. თუ არ ვცდები, ჩვენს სპექტაკლში კარგა მოზრდილ როლზე აგვყავხარ.

— რა როლზე? — დაინტერესდა მაჟორი.

— სულთანი ახალ წარმოდგენას ამზადებს, წუხელ თქვა შენზე, უნდა ავიყვანოო, — პოზამ მაჟორის კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— შენც თამაშობ, ენერგიულო? — ჩაეკითხა მაჟორი და თანდათან კითხვის ნიშნის ფორმა მიიღო.

— არა, მე სულთნის პაჟი ვარ დროებით და მინდა დავეთხოვო. სასტიკად მომბეზრდა ეს პაჟობა, ათასი სხვა საქმე მაქვს. ჰოდა, გავიქეცი ახლა, ჩემს საქმეებს მივხედავ, — ენერგიულმა პოზამ ჰიდროსიღრმეში ჩაყვინთა.

სამაგიეროდ იმავე წამს მაესტრო სულთან-შამანმა ამოყვინთა.

— არლეკინო, როლზე აგიყვანე მგონი. ხვალ მოდი ჩემთან.

მე თავი დავუქნიე მხოლოდ და შევეცადე სახეზე არ შემტყობოდა, რომ ეს ამბავი მეამა, თუმცა ღიპიანმა, ჩალმით თავშემკულმა, ვეებაწვერიანმა მაესტრომ აღარც შემომხედა — ისევე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც წუთის წინ მისი ახალგაზრდა პაჟი.

რა დასამალია, ამ ახალმა ამბავმა ფრიად გამახარა. ვერ გეტყვით, რამ უფრო მომხიბლა — მოსალოდნელმა შემოქმედები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმა სიამოვნებამ თუ სოლიდური ჰონორარის შანსმა. იმ წამს მთავარი იყო ბატონ მაჟორს, რომელიც დიდი ინტერესით მომჩერებოდა, ჩემი სახიდან მინიმალური ინფორმაცია ამოეკითხა.

– მდა, – თქვა მან, – გილოცავ!

– გმადლობ, – მშრალად მივუგე.

– მაშასადამე, პრიმადონა ფერიასთან მოგიწევს სცენაზე გამოსვლა.

– ჰო-ო? – კიდევ ერთი სიგარა გამოვართვი მოსაუბრეს.

– ჰო. სულთნის ასული ნა. ფრიად ფოტოგენური ფერიაა.

– საიდან იცი, რომ მომიწევს?

– თუ როლზე აგიყვანა, მოგიწევს.

– შენ რა, პიესა წაკითხული გაქვს? – ვკითხე და მივხვდი, რომ მაჟორმა თავისას მიაღწია – საუბარში ჩამითრია.

– დიახ, წაკითხული მაქვს, – სხვათაშორის თქვა.

– რაზეა? – ესეც ჩემი მეორე შეკითხვა.

– კარგი პიესაა. იცი, როგორ იწყება... – მივხვდი, რომ ნაწარმოების თავიდან ბოლომდე მოსმენის საშიშროება დამემუქრა. ამიტომ სასწრაფოდ შევაწყვეტინე:

– იცი, აჯობებს ნუ მიამბობ, მაინც მომიწევს წაკითხვა და თავს ნუ შეიწუხებ.

ჰიდროცენტრიდან ისევ ენერგიული ენერგიულის ძე ამოტივტივდა, მარცხენა ხელში სინი ეჭირა, სინზე ცხელ-ცხელი როსტბიფი იდო და პოზა მარჯვენა ხელით შეექცეოდა.

– მორჩა, აღარ გახლავარ მაგის პაჟი, მაგის სულთნობა შევარცხვინე, – განაცხადა, ტუჩები მოიწმინდა პიჯაკის კალთით, დაგვემშვიდობა და მხარულით გასცურა ჩრდილოეთისაკენ.

ერთხანს გავყუჩდი ჩაფიქრებული. ყოველ შემთხვევაში, უცხო თვალისათვის ჩაფიქრებულს ვგავდი.

მაჟორიც უხმოდ აბოლებდა სიგარას და მოფუსფუსე ჰიდრას ათვალიერებდა, აქა-იქ ესალმებოდა კიდეც გამვლელ-გამომვლელს.

– ეჰ, მაჟორო, იცი, როგორი როლი მინდა ვითამაშო, – ვთქვი და შევჩერდი აზრის მოსაკრებად. მინდოდა მაჟორისათვის ამეხსნა, რომ ხშირად, როცა მახსენდება წარსულის სურათები, მაგონდება სახეები, ხან ისტორიული, ხან მხატვრული პერსონაჟებისა და ხანაც ნამდვილი პიროვნებების, ანდა, როცა კედელზე დაკიდულ ფერიაზე ვფიქრობ, მაშინ ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა მოხდეს, ან იქნებ უკვე მოხდა, ან არც მომხდარა და არც მოხდება. და ამ დროს ორლანის ლამაზი ჰანგები მესმის და იმგვარი განცდა მეუფლება, რომელსაც ბატონ მაჟორს ვერა და ვერ აუხსნიდა. ბოდა, რაკი აუხსნელის ახსნა მოვინდომე, სიტყვების ნაცვლად ერთადერთი გაურკვეველი, მაგრამ გრძნობით აღსავსე ჟესტით გამოვხატე სათქმელი, მერე ჰიდრას ქერცლიან ზურგზე ჩამოვჯექი. მოსაუბრეც მომისკუპდა გვერდით.

– გაიგე, ბატონო მაჟორო? აი, ასეთი როლის თამაში მინდა.

– გასაგებია. ოღონდ მაგ როლს კარგი დაწერა უნდა, – მიპასუხა მაჟორმა და ამით შემახსენა, ნუ დაივიწყებ, მეც მწერალი ვარო.

სიტყვა ბანზე ავუგდე:

– ნუ დარდობ, დამწერიც მოინახება.

– მოინახება, – უხალისოდ დამთანხმდა ბატონი მაჟორი, მერე ჰიდრას ზურგიდან ჩამოხტა.

– მაშ კარგი. მე წავედი, შუადღისას ნირვანაში უნდა გამოვცხადდე, – ხელი ჩამომართვა და ჰიდროფსკერისაკენ ჩაეშვა.

მე კი გახალისებულმა მივაშურე სულთნის უზარმაზარ, ბედნიერი ბილეთებით მოვარაყებულ საკონცერტო დარბაზს.

7. ულიმლამო გაცნობა

ჰიდრომოედნიდან წამოსულმა ბევრი ვიარე თუ ცოტა, ცხრა მთა გადავიარე და მეორე დილით სულთნის უზარმაზარ, ბედნიერი ბილეთებით შემკულ საკონცერტო დარბაზს მივადექი.

ეს ფეშენებელური შენობა ცენტრალურ კაზინოსა და იზოტოპების ლაბორატორიას შორის მდებარეობს, სახალხო ვამპირის მემორიალის მახლობლად. შენობა, მართალია, პარალელოპიპედის ფორმისა გახლავთ, მაგრამ მე, რატომღაც ანაბიოზში ჩაძირულ დინოზავრს მაგონებს. დარბაზს სულთნის სურვილის თანხმად „შაპიტოატელიე" ჰქვია და ირგვლივ ზამთარ-ზაფხულ მარადნითელი ტიტების კორდი აკრავს.

ატელიეში შევაბიჯე, ლიფტით მეშვიდე სართულზე ავსრიალდი და სულთანს ვეახლე.

ეტიკეტის თანახმად უუუმდალესად დავხარე თავი.

ამ პაუზით ვისარგებლებ, რათა თქვენი ნებართვით მოკლედ წარმოგიდგინოთ მისი უდიდებულესობა სულთან-შამანი.

ეს ფრიად ძლევამოსილი პირი ხელოვნების სამყაროში ცნობილია, როგორც სამამულო აბსურდიზმის ფუძემდებელი, კლასიკურ-თეატრალურ-ბიუროკრატიული მექანიზმის მამოძრავებელი ბერკეტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლარული ვარსკვლავის ორდენის კავალერი, საჭიანჭველოს დამსახურებული ჟონგლიორი, ქორეოგრაფიული სიმფონია „რუმბას“ ავტორი და ლიქიორის მოყვარულთა საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი.

მის გასაცნობად, ვგონებ, ეს ანკეტური მონაცემები სავსებით საკმარისი უნდა იყოს.

თუმცა, მეტი არც არაფერია სათქმელი.

– მოდი, მობრძანდი, არლეკინო, – მითხრა სულთანმა, როდესაც უუმდაბლესი სალამის რიტუალი მოვამთავრე, – ახლა ჩემს ასულს გაგაცნობ. შენი პარტნიორი იქნება.

– ძალიან სასიამოვნოა, – სავარძელში უცერემონიოდ ჩავეშვი და სულთნის კაბინეტი მოვათვალიერე.

კედლებზე ეკიდა დეფიციტური გობელენები, მომავალი სპექტაკლის ესკიზები და შემსრულებელთა პორტრეტები, მათ შორის – ჩემიც. ცოცხალი ყვავილების, ფოთლებისა და ტოტების გირლანდებით დამშვენებული სამეფო ტახტი შუაში იდგა, საწერ მაგიდასთან. სულთანი ქაღალდებში ჩაფლულიყო და ყურადღებას არ აქცევდა მორიგე კორდებალეტის გულმოდგინე ცეკვას. ამ ტრივიალურ, ყოველი სულთნის ტახტისათვის აუცილებელ, შაბლონურ ქალებს არც მე ვუმზერდი. ესკიზებს ვათვალიერებდი.

ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტში წითელქუდა შემოვიდა.

– გამარჯობათ, – თქვა მან.

– გამარჯობათ, – ვთქვი მეც.

– არლეკინო, გაიცანი: წითელქუდა, ჩემი ასისტენტია, – თქვა სულთანმა.

– სასიამოვნოა, – ვთქვი მე, თუმცა არაფერი სასიამოვნო არ მომხდარა.

– წითელქუდა, წაიყვანე, ნომენკლატორული ბლანკი შეავსებინე, – ბრძანა სულთანმა.

– წამოდი, არლეკინო.

გრძელ, ვიწრო ტალანში გავედით. წითელქუდა დაწინაურდა. შვიდი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, უეცრად ძალიან ლამაზი ფერია დავინახე – ერთი შეხედვით მართლა ლამაზი მეჩვენა.

წითელქუდა მიესალმა ფერიას.

მე შევჩერდი.

– ჰო, ბარემ იცნობდეთ ერთმანეთს: ეს არლეკინოა, შენი პარტნიორი, – თქვა წითელქუდამ.

– ძალიან სასიამოვნოა. პიერო, – ვთქვი მე.

– ნა, – ხელი გამომიწოდა ფერიამ.

– ჩვენ მგონი შეყვარებულებს ვთამაშობთ, – ვთქვი მე.

– მამა ტახტზეა? – წითელქუდას ჰკითხა სულთნის ასულმა, ყური არ ათხოვა ჩემს ხუმრობას.

– ჰო, ტახტზე გახლავთ, – მოუგო ასისტენტმა, მერე მომიბრუნდა, – წავიდეთ, არლეკინო.

რაღაცის თქმა მომინდა, მაგრამ ვერაფერი ვთქვი.

საშინლად უღიმღამო გაცნობა იყო.

ტალანში სვლა განვაგრძე...

ქალბატონები და ბატონები ვიმედოვნებ მაპატიებენ, რომ წითელქუდას შესახებ დაწვრილებით არაფერი მითქვამს, რადგან მივიჩნიე, რომ ეს მეტად პოპულარული არსება დაუხასიათებლადაც ცნობილი გახლავთ თქვენთვის.

ხოლო, რაც შეეხება სულთნის ასულს, პრიმადონა ფერია ნას...

თუმცა აჯობებს მოვლენებს დინჯად და თანამიმდევრულად მივდიოთ...

8. დაუმთავრებელი პასეანსი

ქალბატონებო და ბატონებო! მე ვლაპარაკობ, თქვენ კი ყურს მიგდებთ. მაშასადამე, მე ავტორი ვარ, თქვენ აღმქმელნი ბრძანდებით.

ჰოდა, ამიტომ განვაგრძობ ჩემს არამხიარულ კომედიას:

ერთ მშვენიერ დღეს აგრესორების ბაზარში, აუქციონზე, ჯადო-სარკე შევიძინე და შინ მივიტანე.

ჯადო-სარკე თანამედროვე კომუნიკაციის უახლესი საშუალება გახლავთ და ჩვეულებრივი ვიდეოტელეფონისაგან იმით განსხვავდება, რომ თქვენი სურვილისამებრ კი არ გაკავშირებთ ვინმესთან, არამედ ის გამოჩნდება სარკის ზედაპირზე, ვისაც გაახსენდებით.

ჰოდა, დიდ, მრგვალ მაგიდაზე მიდგას ჯადო-სარკე. ოთახის ფანჯრები ფეიხოას რტოებში ჩაფლულ აივანზე გადის.

გარეთ ბნელა. ფანჯრის გვერდით, ოთახის კუთხეში რბილი ტახტია, მეორე კუთხეში ანატომიური ტაბულა, წიგნებით გატენილი მომცრო კარადა. კედელს ნახატები და ფოტოები ფარავს. მერე დგას დასაქოქი არღანი, ვარდისფერაბაჟურიანი ტორშერი, მერე ფურცლებით, წიგნებით, ფანქრებით დაზვინული ძველებური საწერი მაგიდა. მერე შემოსასვლელი კარია.

ეს არის ჩემი ციხე-დარბაზი.

არღანი წყნარ, მელანქოლიურ მელოდიას აჟღერებს.

მე მრგვალ სასადილო მაგიდასთან ვზივარ, სარკის უაზროდ ცარიელ ზედაპირს აღარ ვუყურებ, პასეანსს ვშლი. წინ სარკის, ბანქოს, ჭიქა ჩაის, სიგარეტებისა და საფერფლის მეტი არაფერი მიდგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მეტი ან კი რაღა უნდა იყოს?

უცებ სარკის ზედაპირი აკრიალდა, აციმციმდა და განათდა.

მივხვდი – პასეანსი აღარ გამომივიდოდა.

ნეტავ ვის გავახსენდი? – გავიფიქრე.

ჩარჩოში წითელქუდა გამოჩნდა, ხელში მაღალფეხა ჭიქა ეჭირა.

წითელქუდას უკან ლამაზი გობელენი ეკიდა. გობელენზე გაშლილი სუფრა და მოქეიფე კურდღლები იყო გამოსახული.

აი, ეს გახლდათ სულ, რასაც ჩემი ჯადო-სარკის დიაპაზონი მოიცავდა.

– საღამო მშვიდობისა, ელეგანტურო არლეკინო.

– სულთან-შამანის მშვენიერ ასისტენტს მივესალმები.

„ნეტავ რად გავახსედი?" – გავიფიქრე ჩემთვის.

– ძალიან სასიამოვნოა, რომ მომიგონე.

– ჰო-ო? – თქვა წითელქუდამ და გაჩუმდა.

მეც ვდუმდი და ვფიქრობდი, აბა ვნახოთ, რას იტყვის-მეთქი.

„მოდი, ვნახოთ თხა" – გამახსენდა ანაზდად.

წითელქუდამ გაიცინა, ჭიქა ასწია, თვალი ჩამიკრა, სასმელი მოსვა და ვაფლის ნაჭერი მიაყოლა.

– რა გვეშველება ჩვენ ახლა, წითელქუდა? – დავარღვიე სიჩუმე, – იქნებ...

– ჰო, რა „იქნებ", რას გაჩუმდი? – დამეხმარა წითელქუდა.

– იქნებ დაგეღწია თავი სარკის ჩარჩოდან და შევხვედროდით ერთმანეთს.

უცებ ჩემი თანამოსაუბრე სარკიდან გაქრა და მის ნაცვლად ფერია ნამ გაიელვა წამით. მერე ისევ აღდგა კავშირი წითელქუდასთან.

– იცი რა, არლეკინო, ახლა ბევრი სამეცადინო მაქვს. მომავალ კვირას გამოცდას ვაბარებ ზედაპირულ იმპერიალიზმში და ხომ გესმის... თუმცა, ცოტა არ იყოს, მეზარება, იცი რა, მოდი, მოვიფიქრებ...

– სადა ხარ, წითელქუდა?

– მეგობართან ვარ. კალმარების ქუჩაზე.

– ჰო-ო, კარგა შორს ყოფილხარ. კარგი, მოიფიქრე. რამდენ ხანში მოიფიქრებ?

– მალე.

– კეთილი.

წითელქუდა გაუჩინარდა.

„პასეანსის გაშლას განვაგრძობ. არაფერზე არ უნდა ვიფიქრო" – გავივლე აზრად და იმწამსვე აციმციმდა სარკე.

ოჰო, თვით სულთან-შამანს გავხსენებივარ: კლოუნის საშინაო სამოსში გამოწყობილი ფეხმორთხმით ზის და მომჩერებია.

– არლეკინოს კოსმონავტური სალარი. წითელქუდას თუ გაახსენდი?

– დიახ, შეფო.

„საიდან იცის ნეტავ? რა ხდება?" – ამაფორიაქა სულთნის გულთამხილაობამ.

– გითხრა, რომ ხვალ შუადღისას სასახლეში უნდა მობრძანდე? – კოსტუმი უნდა მოირგო.

– არა, არ უთქვამს... უფრო სწორად, როგორ არა, – მითხრა: ხვალ შუადღისას, სასახლეში...

„სულელია ეს წითელქუდა, არაფერი უთქვამს," – გავბრაზდი.

სულთანი გაქრა.

სიგარეტი გავაბოლე, გაციებული ჩაი მოვსვი და პასეანსს უიმედოდ დავხედე.

სარკე ისევ აციმციმდა.

წამით ფერია ნა გაკრთა – მამამისის სასახლის ლოჯიადან ქუჩას გადმოჰყურებდა.

მერე კვლავ წითელქუდა გამოჩნდა, სავარძელში ჩასკუპებულიყო და სიგარეტს ეწეოდა.

– იცი, არლეკინო, სულ დამავიწყდა: ხვალ შუადღისას სასახლეში უნდა გამოვცხადდე, შენ და ნას კოსტუმები უნდა შეგირჩიოთ სულთანმა.

– ჰო, ეგ უკვე ვიცი. შენ რა მოიფიქრე?

– საიდან იცი, არლეკინო?

– საიდან და შეფსაც აქვს ჯადო-სარკე, თანაც გაუმჯობესებული მიკროფონით. ჰოდა, მეც ავიღე და გავიხსენე, – რატომ ვიცრუე, თავადაც ვერ გეტყვით.

– არლეკინო, მითხარი, როგორ მოგეწონა შენი პარტნიორი?

– მომეწონა, – მოკლედ მივუგე და ფიქრში დავძინე:

„მართლა მომეწონა. ათასჯერ გჯობია, როგორც ოაზისი უდაბნოს: თუმცა ახლა სულ ერთი ხართ ჩემთვის ყველა. არა, არა, ფერია ნა მომწონს".

ამის გაფიქრება იყო და წითელქუდა სასწრაფოდ გაქრა სარკის ზედაპირიდან.

ამოვიხვნეშე და პასეანსს მივუბრუნდი, სულმთლად გაციებული ჩაი მოვსვი და სკამის საზურგეს მივესვენე.

„რა მოხდა!"

ისევ აციმციმდა სარკე.

„ფიქრის დრო არ არსებობს".

ჩარჩოში მიხაკო ვაცის წვერცანცარა, კაუჭრქებიანი, მწვანეთვალება დრუნჩი გამოჩნდა – თავის კაბინეტში, წითელხავერდგადაკრულ ტახტზე წამოწოლილიყო, იცოხნებოდა და მიხსენებდა.

მიხაკო ვაცზე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ეს თხისთავა კაცი, პროფესიით ლიტერატურული პაროდიების მთხზველი, ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რას შვრები? – შემომკიკინა.

– რა ვიცი. შენ?

– მეე... მეე.. მეე...

ყურს აღარ ვუგდებდი მეგობრის პეტელს. „რა დროს ეს იყო?!"

მიხაკო ახლა იმითაა გატაცებული, მე ოდნავადაც რომ არ მაღელვებს. მელაპარაკება პოლიტიკის სიახლეებზე, პროვინციალიზმსა და მეშჩანობაზე, მერე მამცნობს, რომ ახალი რაკეტოდრომი გაიხსნა, რომ ძველი სანატორიუმი დაინგა, ახსენებს დიალექტიკურ სპირალს, ნიგვზისა და შოკოლადის ტორტს, ვიღაც ცნობილ ეტრუსკ ფილოსოფოსს, მიხსნის დღემდე ამოუხსნელი ჯადოსნური შიფრის საიდუმლოს და ბოლოს მიმხელს, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან დაკავშირებით გუშინ დაუწერია მოთხრობა, რომელსაც „ჰიპოპოტამი" ჰქვია და რომელსაც აი, ახლა წამიკითხავს...

– ვაცო, მალვინა შინაა? – ვანყვეტინებ და ვცდილობ კარგად გავიხსენო, მართლა მითხრა მიხაკომ, რაც მითხრა, თუ რაიმე სხვაზე მესაუბრებოდა.

– კი, შინაა. კარგი, მაშინ სხვა დროს წაგიკითხავ. მშვენიერი მოთხრობა გამომივიდა, – „აჰა, მაშასადამე ნამდვილად უთქვამს. მაგის თავი მქონდა ახლა", – ვფიქრობ ჩემთვის და მეგობარს ვუცინი.

– პატარა ბეკეკა როგორ გყავთ?

– ძინავს. აბა, ნახვამდის.

– ნახვამდის, მიხაკო ვაცო.

სარკე მოცარიელდა.

წამოვდექი და მექანიკური არღანი გამოვრთე.

9. ველოგასეირნება

ნეტავ იცოდეთ, რა მოწიწებით ვიხრი ქედს თქვენი მარადიული მოთმინებისა და ცნობისმოყვარეობის წინაშე. ვინ მოთვლის რამდენი ამგვარი, ამაზე ვრცელი და ამაზე მოსაწყენი მონოლოგი მოგისმენიათ. რაღა თქმა უნდა, უფრო მხიარული და საინტერესოც ბევრი შეგხვედრიათ. ალაპარაკდა თუ არა ადამის მოდგმა, იმ წუთშივე მოესურვა ერთ მოლაყბეს რაღაც ეამბნა სხვისთვის და იმ პირველი სიტყვის ოსტატიდან მოყოლებული, ქალბატონებო და ბატონებო, მორჩილად უსმენთ ნიჭიერსა და უნიჭოს, ჭკვიანსა და ბრიყვს, მტირალასა და ხუმარას.

... რამდენიმე წუთის წინ მეორედ შევხვდით ერთმანეთს, მოვირგეთ კოსტუმები, დავსხედით სამთვლიან, მსუბუქ, დიდბორბლიან ველოსიპედებზე და მარადიული ადმინისტრატორის ფართო, მოცარიელებულ, მზით გაჩახჩახებულ ასფალტს სტრალს გავუყევით, მე და ფერია ნა.

ვგრძნობდი, რომ ერთადყოფნის პირველ წუთებში დუმილი აჯობებდა ყველაფერს.

ტრიალებდნენ ვეება ბორბლები.

ახალი, მახვილგონივრული ანეკდოტივით მხიარული იყო ქუჩა.

მხარდამხარ მივაქროლებდით ველოსიპედებს, ისეთი საზეიმო იერი გვედო, თითქოს არენაზე გამოსული ცირკის მსახიობები ვყოფილიყავით.

ნიავი სახეში მცემდა და მზე თვალებში მიძვრებოდა, წვრილი, გამჭოლი სხივებით ბორმანქანასავით მიღიტინებდა ნერვებზე.

მზემ, ეტყობა, ნაც შეაწუხა და წითელი და თეთრი კამელიების ხეივანში ჩავუხვიეთ შეუთანხმებლად.

მივაგორებდი ველოსიპედს, ტრიალებდნენ ბორბლები და მიხაროდა, რომ ნა, ჯერ სავსებით უცნობი ფერია, ჩემ გვერდით იყო. მაგრამ სწორედ ამ უცნაურობის წყალობით მტანჯველი უხერხულობის გრძნობა დამეუფლა.

უხერხულობა უზარმაზარი, ბანჯგვლიანი და მახინჯი იყო – გორილას ჰგავდა, ველოსიპედზე შემომჯდომოდა და მებურდღუნებოდა:

– რა იცი, ვინ არის ეგ ფერია. არ იცნობ. ველოსიპედით სეირნობთ ერთად, ეს კი, ლოგიკურად, არ უნდა იყოს ასეთი ხელაღებული სიხარულის მიზეზი. ცხოვრებაში ათას ასეთ სიახლეს შეხვდები, ასე რომ, არ ღირს ამაზე ფიქრი და ლაპარაკი.

– გაჩუმდი, – ვუყვირე გორილას.

– რა იცი, ვინ არის ეგ ფერია, – თავისას არ იშლიდა უხერხულობა...

მივქროდით წითელი და თეთრი კამელიების ხეივანში.

ფერია ნამ უმიზეზოდ გაიცინა.

– ნეტავ რა აცინებს, – მყისვე გამოცოცხლდა გორილა, – რა საერთო გაქვს სიცოცხლით აღსავსე ამ ელექტროფერიასთან, ხომ არ გავიწყდება, პიერო რომ ხარ?

– სხვათა შორის, არლეკინოც მქვია, – შევახსენე მაიმუნს, – გარდა ამისა, გუშინ ორჯერ გამოჩნდა ჩემს ჯადო-სარკეში, ესე იგი, ჩემზე ფიქრობდა.

– ასე გგონია? – გაეცინა გორილას.

ტრიალებდნენ ვეება ბორბლები. კამელიების ხეივანი ჩავათავეთ და მიმოზების პროსპექტზე გავედით.

– ხომ არ დაიღალე? – შევეკითხე.

– არა, პირიქით, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

უცებ მეხსიერებაში რაღაც აფუთფუთდა და ერთმა მკრთალმა მოგონებამ ნელნელა, ფაკირის ტომრიდან ამოცოცებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობრასავით ამოჰყო თავი: მგონი ადრეც შევხვედრივარ ფერია ნას ქუჩაში. სიზმარივით მახსოვს – ვიდექი... სად ვიდექი, არ მაგონდება. ჩამიარა ფერიამ, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია და მალე თვალს მიეფარა.

– სიმღერა იცი, ნა? – ვკითხე.

– ვიცი, – მიპასუხა.

იცით, როტომ ვკითხე? იმიტომ, რომ ნას სირინოზის მზერა და მიმზიდველობა ჰქონდა და ანაზდად ვიფიქრე, სიმღერაც ეცოდინება-მეთქი.

– სად ცხოვრობ, ნა? – ვიცოდი, რომ მამამისის სასახლეში არ ცხოვრობდა.

– ყვითელი ავტომატების ქუჩაზე.

– ბიჭოს? მეზობლები ვყოფილვართ.

– უცნაურია, – თქვა ნამ.

მართლა უცნაური იყო: თურმე შესაძლებელია მთელი სიცოცხლე ფერია ნას მეზობლად გაატარო და არასოდეს შეხვდე.

მართლაც რომ უცნაურია – არასოდეს შევხვედრივარ, ახლა კი ერთად მივაგორებთ ვეებათვლებიან ველოსიპედებს ჩვენი ქალაქის მზიან ქუჩებში.

გორილას წყეული აჩრდილი კი ვერ იქნა ვერ მოვიშორე, თუმცა დიდი ძალდატანებით რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე განვდევნე ჩემგან და აკი თითოოროლა სიტყვაც ვუთხარი ფერიას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ განვდევნე ჭრიჭინასავით აბეზარი და სპორტსმენივით ენერგიული უხერხულობა და როდესაც საჭიანჭველოს რატუშასთან დაქანცულები ჩამოვქვეითდით, რათა ცოტა ხნით სკამძელზე ჩამოვმსხდარიყავით და მუხლი დაგვესვენებინა, საშინელი მოწყენილობა მომეძალა.

იმ თავხედმა გორილამ კი სულ მასხრად ამიგდო:

– რატომ ხარ ასე მოღუშული, პიერო? ფერია ნას არ უყვარს სევდიანი რაინდები. არც წითელქუდას უყვარს და საერთოდ ფერიები ვერ იტანენ ყურებჩამოყრილ ბრიყვებს. ფერიებს მოსწონთ, როცა მათი გულისათვის გმირობას სჩადიან, შეურაცხყოფლებს პასუხს სთხოვენ, ლაქარდიანი ენით ემუსაიფებიან, თავს ევლებიან. შენ კი ენა ჩაგიყლაპავს და ხელ-ფეხი შეგბორკვია.

– ბავშვურად მსჯელობ, – შევედავე მაიმუნს.

– რატომ?! სავსებით სერიოზულად გელაპარაკები.

– სისულელეებს მელაპარაკები.

უცებ, სად იყო და სად არა, რატუშის წინ ტრამვაი მოგორდა, ტრამვაიდან კი წითელქუდა გადმოვიდა და გახარებული გამოექანა ჩვენკენ.

– როგორც იქნა, გიპოვეთ. მე კი ბევრ მოვიწყინე უთქვენოდ. დღეს გაზრდა ჩავაბარე, „შპარგალკა" გამოვიყენე. თქვენ როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს? შენი პარტნიორი როგორ მოგწონს, ნა?

– შესახედავად მშვენიერი პიეროა, – ქათინაური მესროლა ნამ.

– შენ, არლეკინო? – ახლა მე მკითხა წითელქუდამ.

– ძალიან ლამაზი თვალები აქვს, – ამის თქმა და იმ ხეპრე გორილას აორთქლება ერთი იყო. წამოვდექი, გავიმართე და ვთქვი, – იცით, რა, ფერიებო, მე ახლა ერთ ადგილას გავფრინდები და სულ მალე მოვფრინდები. თქვენ კი აქ დამიცადეთ, კარგი?

– მე ვერ დავიცდი, არლეკინო, სასახლეში მიმეჩქარება, – მითხრა წითელქუდამ.

– ნა ხომ დამიცდის?

– დაგიცდი, პიერო.

– მაშინ გავფრინდი, – ვთქვი და გავფრინდი კიდეც.

ზედმეტია თქვენი ირონიული ღიმილი. საჭიანჭველოში თუ საამისო გუნება და განწყობა გაგაჩნია, გაფრენაზე იოლი არაფერია.

10. ბრწყინვალე კომბინაცია მინდვრის ყვავილებისათვის

მოკლედ, მივფრინდი მიხაკო ვაცთან.

– ოჰო? – შემომეგება მასპინძელი.

მე უსიტყვოდ შევფარფატდი დერეფანში, დერეფნიდან კი – ოთახში.

– გინდა ანთროპომორფიზმის უკანასკნელ სიახლეს გაგაცნობ? – შემომთავაზა ჩემმა მეგობარმა.

– არ მინდა. მე ყვავილები მაინტერესებს, – ვუპასუხე და თვალი პიანინოსკენ გამექცა.

– კეთილი და პატიოსანი, მაშინ ყვავილებზე გადავიტანოთ აქცენტი.

– მინდვრის ყვავილების ძალიან დიდი თაიგული მჭირდება.

– სასწრაფოდ?

– სასწრაფოდ.

– მაშ ერთი წუთი და ოცდაცხრა წამი მომეცი მოსაფიქრებლად.

– სხვა რა გზა მაქვს. – ოთახს მოვავლე თვალი. ოთახში საწერი მაგიდა, რამდენიმე სკამი, ფორტეპიანო, გასაშლელი ტახტი და ძველებური შირმა იდგა. კედლებზე პრიმიტივისტული ნახატები ეკიდა. პიანინოზე, თიხის ჭურჭელში მინდვრის ყვავილების ულამაზესი თაიგული იდო. ეს იყო და ეს მიხაკო ვაცის აპარტამენტი.

წუთნახევარი გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვიფიქრე, — დაიკიკინა ვაცმა, — გექნება თაიგული.

— ვიცოდი, რომ მოიფიქრებდი, — გამეხარდა მე.

— ოღონდ მოგიწევს მოცდა კიდევ ცხრა წუთს, სანამ ბოცმანი შინ მოაღწევდეს.

— მოვიცადოთ, სხვა რა გზა მაქვს. ოჯახობა სად არის, მიხაკო ვაცო?

— შინ არ არიან, სტუმრად წავიდნენ. წუხელ საოცარი სიზმარი ვნახე, პიერო: თითქოს უცნაურად დაგრეხილი კიბით ხელის მოსაჭრელად მივყავდი მონადირეებს. გზაში სიმონ გიბონი შემხვდა და ათასობით ვერცხლის მონეტა მაჩუქა. რა უაზრობაა, არა. ჰო, სადაცაა, ბოცმანი შინ მივა. ხუთი წუთის შემდეგ ბოცმანს დავუკავშირდები და შევპირდები, რომ ჩემს ძველ გრამაფონს, რომელსაც დიდი ხანია თვალი დაადგა, მავანი და მავანი მხატვრის ერთ უნიჭო გრავიურაში გავუცვლი. გრავიურას შევისწავლი მხატვრულ ასპექტში და დითირამბს მივუძღვნი მის ავტორს, რომელსაც ვერანდაზე აქვს საუკეთესო ელექტრული მაგნიტი. დითირამბით ნასიამოვნები ინდივიდუუმი უეჭველად მიმიწვევს კომპანიაში თავის კოლეგებთან, შემდეგ კი, როდესაც მათი წრე კრიზისის ეტაპზე გადავა და ელექტრომაგნიტი თავის მოქმედებას დაკარგავს, ხოლო მინორულ ხასიათზე დამდგარი კოლეგების სახეები ოვალურ ფორმებს მიიღებენ, მაშინ გაახსენდება მხატვარს ჩემი სიკეთე და უეჭველად მაჩუქებს თავის შესანიშნავ ფერწერულ პასტორალებს, რომლებსაც კვების მრეწველობის დირექტორი, სახვითი ხელოვნების დიდი მოყვარული ულაპარაკოდ გამიცვლის ცისტერნა პორტვეინსა და ცენტნერ რახათლუხუმში. ღვინოსა და ტკბილეულს ოქრომჭედელთა ღორმუცელა კაპიტანს ას კარატ ლურჯ და თეთრ საფირონში გავუცვლი, თუ ვაჭრობა დამიწყო, ერთ ჩემს ძველ სტატიასაც ვუფეშქაშებ და ძვირფასი თვლებით დატვირთული ზოოპარკის დირექტორს მივადგები, დავცინცლავ ხუთ წყვილ მოვარდისფრო, გრძელკისერა ფლამინგოს. ფლამინგოებს დირიჟორს მივუტან. ის მაჩუქებს ფლეიტას. ფლეიტას ჩემპიონს გავუცვლი შტანგაში. შტანგას აღვწერ ჩემს ჰუმანიზმის სახელმძღვანელოში და მიღებული ჰონორარით შევიძენ მინდვრის ყვავილების ახალ ვეება თაიგულს. ასე, რომ შენ შეგიძლია ახლავე წაიღო შეკვრა, რომელიც პიანინოზე დევს. ოღონდ მითხარი, ვის უნდა მიართვა? ალბათ, რომელიმე წითელქუდას, არა?

— არა, არა, სწორედ წითელქუდას არა. ფერია ნას.

— ოჰო, ეს სერიოზულია, ბატ, ეს ... არებული ხარ?.. — და მიხაკო ვაცმა მონოტონური კიკინით დამიწყო საუბარი სიყვარულზე, მის შემადგენელ ნაწილებსა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ამიხსნა, რომ თუ ფერია ნა მენდობა, ეს ძალიან კარგია, რადგან ნდობა სიყვარულის უპირველესი ნიშანია და აბსოლუტური ნდობა აბსოლუტური სიყვარულია. თუ ნდობა არაა, არც სიყვარულია, ნდობის გარეშე სიყვარული არ გამოვა, თუმცა შეუძლებელია დადგინდეს, პირველადი ნდობაა თუ სიყვარული, მით უფრო, რომ ნდობასა და ნდომას შორის ტოლობის ნიშანი დგას ანუ: თუ გინდა — ენდობი, თუ არ გინდა, არ ენდობი, თუ გიყვარს — გინდა, თუ გინდა — გიყვარს და ასე შემდეგ. მერე ამავე კუთხით განიხილა შიში, მალვა, შორით კვდომა, რიდი, კრძალვა, ბავშვური სიმორცხვე, გამოუცდელობა, ზიზღი და დრო, როგორც ფილოსოფიური კატეგორია...

მაგრამ მე უკვე დიდი ხანი იყო, აღარ ვუსმენდი მას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირველივე თეზისის გაგონებაზე შეუმჩნევლად გამოვფრინდი ჩემი ყვავილებიანად მიხაკო ვაცის ოთახიდან და ფერია ნას მივაშურე. ჩემს მეგობარს კი ჩემივე წარსული დროის აჩრდილი შევატოვე, რადგან ვიცოდი, რომ მჭევრმეტყველებით გართული ვაცი ვერაფერს შენიშნავდა.

როგორ თუ წარსულიო, მეკითხებით.

რა მიამიტი კითხვაა.

ნურასოდეს დაივიწყებთ, რომ ყოველ წუთს, ყოველ აწმყოსა და ყოველივეს, რაც აწმყოში ხდება, თავისი წარსული გააჩნია, რომელსაც ხშირად ჩვენს მაგივრად ვაჩეჩებთ ხოლმე ხელში ვინმეს.

მაგალითად, ჩვენთან, საჭიანჭველოში უცხო ქალაქელები რომ ჩამოდიან, ძირითადად წარსულით ვეტრაბახებით. აწმყოთი ბევრს ვერაფერს დაიკვეხნის კაცი.

ასე არ არის?

რანი ვიყავით და რანი ვართ, ქალბატონებო და ბატონებო?!

11. ფანტასტიკური კოლიზია

საჭიანჭველოს მცხოვრებნი თამამად შეგვიძლია სამ სახეობად დავაჯგუფოთ: თავიანები, გულიანები და სულიანები.

თავიანები, რომელთა ძირითადი თვისება განსჯა-ბჭობის სიყვარული და გამჭრიახობა გახლავთ, არც ისე დიდი ხნის წინ აღმოცენდნენ ჩვენს ქალაქში.

გულიანები, რომელთაც სწამთ ყველაფერი, რაც უნდა სწამდეთ ან არ უნდა სწამდეთ, საჭიანჭველოში თავიანებზე გაცილებით ძველ ბინადრებად ითვლებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენი მიწა-წყლის ნამდვილი აბორიგენები მაინც სულიანები არიან — მეოცნებე, წარმოსახვას მინდობილი ხალხი.

შესაბამისად, საჭიანჭველოში სამ ღვთაებას სცემენ თაყვანს: ჭკუალმერთს, ისეღმერთს და ფანტაზიას.

ამათგან პირველი დღითი დღე ძლიერდება, ვითარდება და ზეაღმავალ ევოლუციას განიცდის.

მეორე არ ვითარდება, მაგრამ ხან გაქრება, ხან გამოჩნდება, ხან ფერს იცვლის, ხან ზნეს და ხან სახეს.

აი, ქალღმერთი ფანტაზია კი დღიდან საჭიანჭველოს გაჩენისა ერთნაირია, უცვლელი, მშვენიერი და ძლევამოსილი.

ალბათ მიმიხვდით: მეც მის მლოცველთა რიცხვს ვეკუთვნი, სწორედ ამიტომაა, ასე აღტკინებით რომ გიამბობთ ჩემს უღიმღამო თავგადასავალს.

იმ მშვენიერ დღეს ჰიდრას სიღრმეში ჩავყვინთე და ენერგიულ პოზასთან მოსაუბრე ანტიმე დავინახე.

ეს ანტიმე რამდენიმე წლის წინ, ერთ ასეთსავე მშვენიერ დღეს გადმოხტა სარკიდან, როდესაც მე იმ სარკეში ჩემი გამოსახულება შევათვალიერე. ამოსკუპდა ანარეკლი, ხორცი შეისხა და ამგვარად გამიჩნდა ორეული, რომელსაც ანტიმე ჰქვია.

მასთან ურთიერთობა არასოდეს გამრთულებია. არც მაინცდამაინც დავმეგობრებივარ, არც უთანხმოება გვქონია.

მაგრამ იმ დღეს ყველაფერი თავდაყირა დადგა:

ენერგიულ პოზასთან გაცხარებით მოსაუბრე ანტიმე ხმამაღლა და მოურიდებლად ლანძღავდა სულთან-შამანს.

მისალმების შემდეგ წყნარად მივდექი გვერდით და ყური მივუგდე: ანტიმე ჩემს შეფს იდიოტად, მოარულ ავანტიურად, ანონიმური წერილების ჰომეროსად იხსენიებდა, ამტკიცებდა, სულთნის აშუღური სტილი ბრაუნინგის სისტემის ნაგანივით მოძველებული და დრომოჭმულიაო, და მაესტროს უნიჭო, დამპალ გრაფომანთა დინასტიის უკანასკნელ ნასხლეტს ეძახდა.

მერე ფერია ნასაც გადასწვდა: ემანსიპირებული ყვავი, ვესტერნივით იაფფასიანი ინდუსტრიული თოჯინა უწოდა, შემდეგ კიიმდენად გაკადნიერდა, რომ საჯაროდ (ამასობაში ჩვენს ირგვლივ კარგა ბლომად ცნობისმოყვარემ მოიყარა თავი) წარმოადგინა, თუ როგორ ცეკვავს ფერია ნა „კანკანს" და რა ურცხვ მოძრაობებს აკეთებს ცეკვისას.

აქ კი აივსო ჩემი მოთმინების ფიალა: თავხედ მასხარას ზრდილობიანად ვთხოვე წამით შეჩერებულიყო და საზოგადოების წინაშე სილა გავაწანი.

ანტიმემ დამცინავად გამოაცხადა, ეს გამოხდომა, რომელიც მისტიფიკატორი მაესტროს კრიტიკამ გამოიწვია, ძვირად დაგიჯდებაო, მერე კი უპატრონო ოკუპანტი და პოტენციური რეაქციონერი მიწოდა.

პასუხად ვუთხარი, თავი საქველმოქმედო საზოგადოების სალაროსავით ცარიელი გაქვს-მეთქი. შემდეგ კი გასაშველებლად გამზადებულ ენერგიულ პოზას ვთხოვე ჩემი ნათქვამის სტენოგრამა ჩაეწერა და თუ აუცილებელი შეიქმნებოდა, ამ ბრიყვის ტრაფარეტული ბილწსიტყვაობაც დაეფიქსირებინა.

შემდეგ მხრებში გავიშალე, საზოგადოებას ამაყი მზერა მოვავლე, ნირწამხდარ ანტიმეს თვალი თვალში გავუყარე და სახეში ხელთათმანი ვესროლე.

მოვტრიალდი და თავაწეულმა ამოვყვინთე ჰიდროცენტრის მორევიდან ზედაპირისაკენ.

დამიჯერეთ, ერთი შტრიხიც კი არ გამიმუქებია, ქალღმერთ ფანტაზიის დიდ სახელს გეფიცებით, ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად მოგახსენეთ.

12. ახალი ამბავიც ასეთი უნდა

იცით, რა მაყბედებს ასე გაუთავებლად — ის, რაც ჩემი ფოლაქის თვალით მინახავს და ჩვრის გულით განმიცდია. ასეა ეს, რადგან ჩემი მონოლოგის მასალა, ანუ ჩემი სევდიანი დღეების ქრონიკა შთამაგონებს. სხვა არაფერი მაინტერესებს. მაგალითად, ავიაციასთან არასოდეს მქონია საქმე, ამიტომაც არაფერს გეუბნებით ამ ფრიად ღირსშესანიშნავი მეცნიერების შესახებ.

ჰიდრას ფსკერზე, ანტარქტიდის ჩასახვევში წითელქუდა შემხვდა.

— არლეკინო, გამარჯობა.

— აქ რას აკეთებ, წითელქუდა?

— ფერია ნას ველოდები, ბადმინტონი უნდა ვითამაშოთ.

„ასეც ვიცოდი. იქნებ მეც ჩავება თამაშში. არა, არ ღირს, რატომ? ვერ ვბედავ. ადრეა".

— არლეკინო, სანამ ნა მოვა, მოდი, ერთ ახალ ამბავს გიამბობ.

— მიამბე, წითელქუდა.

ფერიები ჩვეულებრივ ჭორიკნები არიან. ზოგიერთი მათგანი ამასთანავე განათლებული და გონებაგახსნილია. ყველაფერი ეს კი ქმნის ლაქლაქა ფერიას გულისშემაღონებელ ტიპს და ჩემდა ჭირად, წითელქუდა სწორედ ასეთი გახლდათ.

— არლეკინო, ერთი ჩემი მეგობარი ფერია ზღვაზე ისვენებდა და მირაჟი ნახა. ჰო, სხვათა შორის ახლა ამას აფრიკა სულაც აღარ სჭირდება. ჰოდა, თურმე პლაჟზე ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა სოვდაგარმა ჩინებული ბრილიანტები ჩამოატარა. ჩემს მეგობარს ყიდვა უნდოდა, მაგრამ ხელი იმან შეუშალა, რომ გრიპი ჰქონდა. გრიპი ნაცნობმა დიპლომატმა ჩამოუტანა ჰონკონგიდან. სხვათა შორის მეც მივიღე საჩუქარი ამას წინათ ავსტრალიიდან — ემუს კვერცხები. გუშინ სასახლის ინვენტარიზაცია რომ ჩაატარა სულთანმა, სწორედ იმ დროს მოვიდა ის ჩემი მეგობარი ფერია და მითხრა, ჩვენთან გასტროლებზე კაპელა ჩამოვიდა, საკმაოდ კოლორიტული ხმები აქვთ, თუ გინდა, წავიდეთო. უჰ, რომ იცოდე, რამდენი ვირბინეთ ბილეთებზე, პირდაპირ მარათონული კროსი გავმართეთ. ბილეთები ვერ ვიშოვეთ. სამაგიეროდ გზადაგზა მშვენიერი იტალიური მაკარონი და ფრანგული საძილე მიქსტურა ვიყიდეთ, სასაუზმეში ომლეტები მივირთვით, საპარიკმახეროში პედიკური გავიკეთეთ. ჰო, იცი, არლეკინო, კიდევ თვით პრეზიდენტი დავინახეთ, თავისი სახლის წინ მოვკარით თვალი. რა მომხიბლავი მამაკაცია, გენიალური რეგლანიანი პალტო ეცვა. უჰ, რა გამახსენდა, არლეკინო — დუელში გამოგიწვევია ვიღაც. ვინ გამოიწვიე? სეკუნდანტად ვინ გეყოლება? მე გირჩევ ენერგიული პოზა წაიყვანო, ძალიან კარგი ყმაწვილია, ამას წინათ მშვენივრად ამიხსნა სტერლინგის დევალვაციის პრობლემა, თანაც მალე ტრესტის პატრონი გახდება, უ-უხ, რა ფონდი ექნება?! არლეკინო, იცი, რას ვფიქრობ, ალბათ, შენ ჩვენი სულთნის არ იყოს, სახეზე ჩალმა მოგიხდება. არასოდეს არ დაგიხურავს?

ღმერთო დიდებულო, შენ დამიფარე! წარმოგიდგენიათ — წითელქუდას არც ერთხელ არ გახსენებია მგლის მიერ შეჭმული საკუთარი ბებია და სანამ არ გაახსენდებოდა, ალბათ ენასაც არ გააჩერებდა, უცებ ფერია ნა რომ არ გამოჩენილიყო ბადმინტონის ორი ჩოგნით ხელში.

— გამარჯობა, — მითხრა.

— გამარჯობა, — ვუთხარი.

მეტი აღარაფერი უთქვამს.

ვერც მე ამოვიღე ხმა.

— არლეკინო, ითამაშე ჩვენთან ერთად, — შემომთავაზა წითელქუდამ.

— არა, არ მცალია.

ჰიდრას სიღრმიდან ამოვყვინთე, ისე გამოვიქეცი, ენა ვერ მოვაბრუნე.

ამბობენ დიდ, ნამდვილ გრძნობას სიტყვები არ ყოფნის და დუმილი უხდებაო.

13. ფრაქტატი ანტიპოდის შესახებ

ავტობიოგრაფიაზე მუშაობისას ანტიპოდის საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის თაობაზე მე ჩემი ვრცელი, ქრელი და საყურადღებო [illegible] საზრე.

მაშ ასე — ვინ არის ანტიპოდი?

ეს არის ის, ვინც არ აკეთებს იმას, რასაც აკეთებ შენ და აკეთებს იმას, რასაც შენ არ აკეთებ.

მაგალითები:

შენ ქრონიკული ბრონქიტით გატანჯული ახველებ, ის კი ბაიანის აკომპანიმენტით შაირებს მღერის; შენ თვალისდასანახად ვერ იტან გუბერნატორებს, ჰეგემონებსა და დიქტატორებს, ის კი მეფის საიუბილეოდ გამართულ ზეიმზე დირიჟორობს ბრბოს ყვირილს: „დიდება ხელმწიფეს!"; შენ ენერგიულად იღვწი შავისა და თეთრის განსაცალკევებლად, ის, პირიქით, კეთილისა და ბოროტისაგან ვინეგრეტს ამზადებს; შენ ინკვიზიციის მსხვერპლი ხარ, ის — ინკვიზატორთა კაპიტანი; შენ თეატრში კულისები გაინტერესებს ყველაზე მეტად, ის მხოლოდ კომედიების საცქერლად დადის; შენ, მისტირი მამონტივით გადაშენებულ წარსულს, ის კი მოდურ იდეებს ქადაგებს; შენ ონტოლოგიური დილემა გაფიქრებს, მას გუშინდელ მატჩში გაუტანელი პენალტი; შენ გადარდებს ის, რომ პრესა ტყუის, მას — მეორე წრეში აიღებენ თუ არა ჩვენები რევანშს; შენ არ მიგაჩნია სენსაციად ის, რომ მოწინააღმდეგის სტოპერმა გოლი გაიტანა, მას მიაჩნია; შენ გესმის ფეხბურთი, მას არ ესმის; შენ, მიუხედავად მეტად უხეში შინაარსისა, კეთილხმოვნად მიგაჩნია სიტყვა „ტრინიტრიტოლუოლი", ის ამისათვის ფორმალისტს გიწოდებს. შენ მას დუელში იწვევ...

ანტიმე, რა თქმა უნდა, ასეთი ვინმე გახლდათ...

ჰიდრას მორევში ბატონი მაჟორი რომ დავინახე, ვინატრე, ნეტავ მოსალოდნელ ორთაბრძოლაზე არაფერი მკითხოს-მეთქი.

თავიდან იმედი გამიმართლდა:

— პიერო, მისმინე. როგორ გგონია, ურითმო კარგი ლექსი ჯობია თუ გარითმული ბრძნული აზრი.

— მე პოეზიაში არაკომპეტენტური ვარ, ბატონი მაჟორო.

— კომპეტენცია რად უნდა, მარტივი კითხვაა. ჰო, მართლა, რა მოხდა შენსა და ანტიმეს შორის, წეღან შემხვდა და უხეშად გლანძღავდა.

— რაო, რა თქვა?

— ნუ გამამეორებინებ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, რახან ასეა, — ჩავილაპარაკე, — დამაცადოს, რა დღეს დავაყრი.

— მაინც რაში მდგომარეობდა კონფლიქტის არსი? — ჩამეძია მაჟორი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებისამებრ კითხვის ნიშნის ფორმა მიიღო.

– არაფერში.

– მაშ, მე გავცურე, თორემ სასტიკ ცაიტნოტში ვარ, – თქვა მაჟორმა და მხარულით გააპო ჰიდრას ტალღები.

14. მოგზაურობა

ქალბატონებო და ბატონებო! მინდა შეგასხენოთ, რომ თქვენ სახელგანთქმული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მარიონეტის მონოლოგს ისმენთ. მარიონეტი თავის მხრივ თოკებზე ჰკიდია, თოკები თავის მხრივ ლურსმანზე, ლურსმანი თავის მხრივ კედელშია, კედელი – თეატრში, თეატრი – ქალაქში, ქალაქი – სამყაროში, სამყარო კი... არსადაც არ გახლავთ. დიახ!

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უძრავად ვკიდივარ კედელზე, მაინც ვცხოვრობ მშვენიერ საჭიანჭველოში, რამეთუ საჭიანჭველო და საერთოდ, მთელი ეს წარმოსახვითი სამყარო (ეს მე მიმაჩნია წარმოსახვითად, თორემ სულთნებს, ენერგიულებს, გუბერნატორებსა და დიდაქტიკოს-ადმინისტრატორებს იგი ერთადერთ სინამდვილედ დარეალობად აქვთ გამოცხადებული) თავისი წარმავლობით, ბუტაფორიულობით, თეატრალური სიყალბითა და პომპეზურობით მაინც ძალიან მიყვარს, თუმცა მაშინებს და სურვილს მიჩენს რომელსამე მხარეს: მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით ან ქვევით გავიქცე, გავექცე ჰიდრას ფუთფუთს და უაზრო რია-რიას, გავარღვიო ცა, მიწა, დრო და... არ ვიცი, რა. არ ვიცი, რას მიველტვი, ალბათ, კაცუნებიან სარკმელს, რადგან, როცა ამ გაქცევასა თუ გარღვევაზე ვფიქრობ, მაშინ მახსენდება, რომ მხოლოდდამხოლოდ კედელზე მილურსმული თოკგამობმული თოჯინა ვარ და ჭეშმარიტების ხატად ერთადერთი სარკმელი გამაჩნია, რომელშიც მწვანე მდელო და მხიარული, თავისუფალი კაცუნები ჩანან. ნეტავ როგორია იქაურობა? ნეტავ არ საზღვრავდეს ჩემს ფოლაქისთვალთსაწიერს სარკმლის ჩარჩო. თუმცა ვგრძნობ – როგორიც არ უნდა იყოს იქაურობა, თოჯინური, საჭიანჭველოური, ხელშესახები და მყარი იქ არაფერი იქნება. მართალია თეთრ კაცუნებს ჩამოყალიბებული ფორმა აქვთ (ამიტომაც ვუწოდებ „კაცუნებს"), მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მე მეჩვენება, რადგან ჩემს ფოლაქის თვალებს სხვაგვარი ხედვა არ შეუძლიათ. სამაგიეროდ ჩემი ჩვრის გული კარგად გრძნობს, რომ სარკმელი მარიონეტისათვის უმნიშვნელოვანესი არსის სურათია და ეს სურათი ყველაზე უკეთ ნათელყოფს კედელზე მილურსმული თოჯინისა და საჭიანჭველოში მცხოვრები პიეროს ურთიერთპირისპირობას: ფართო მნიშვნელობით სარკმლისმიღმური სამყარო ლურსმნიანი ოთახის ანარეკლია საჭიანჭველოდან დანახული, ანდა საჭიანჭველოს ზოგადი გამოხატულებაა თოკზე ჩამოკიდებული თოჯინის თვალთახედვითა და თვალსაზრისით. სარკმელი თავად არის ლურსმნებიანი კედელი, ხოლო კედელში ჩარჭობილი თითოეული ლურსმანი და მასზე დაკიდული თოკი, თავის მხრივ, სარკმლის ნაწილია. მაგრამ თუ კედელზე მილურსმული არსებობა მუდამ უცვლელი და უძრავია, ანუ, როგორც იტყვიან, რაც არის, ეგ არის, სამაგიეროდ სარკმელში კაცუნები ჩანან და თავიანთი მოძრაობით გვავიწყებენ კედელსაც და თოკებსაც, ლურსმნებიან ოთახსაც, საკუთარ სასაცილო თეთრ სხეულებსაც და საჭიანჭველოში გვტყორცნიან. ასე რომ, სარკმლისმიღმა სამყარო, ჩვენთვის ყოვლად მიუღწეველი, ერთდროულად მოიცავს ორთავე ჩვენებურ, მარიონეტულ სამყაროებს – ოთახსა და ჩვენს საყვარელ ქალაქს: საჭიანჭველოს გარეშე აზრს დაჰკარგავდა ჩვენი მუდმივი ჩამოკიდებულება, უსულო საგნებად გვაქცევდა, ხოლო ოთახში დაკიდულები რომ არ ვიყოთ, მაშინ საჭიანჭველოში ცხოვრება ქაოტურ უაზრობად გადაიქცეოდა. ამ ორ პოლუსს კი ჩვენი საიდუმლო სარკმელი აერთიანებს, ამიტომაცაა მისი არსი შეუცნობელი და გაუგებარი, მისი გაშიფრვა არ შეიძლება, მთელი არსებით თუ არ მიუერთდი. ამით განსხვავდება იგი რომელიმე ჩვეულებრივი ჭუჭრუტანისაგან, როგორც დიდებული ლექსი – საგაზეთო სტატიისაგან.

დიახ, დიახ, ქალბატონებო და ბატონებო! ამ მცირე ფილოსოფიური ანტრაქტის შემდეგ ჩემი ნაღვლიანი ისტორიის უბედნიერეს მოვლენას გადმოგცემთ: მე და ფერია ნა იმ ულამაზეს, უთბილეს, უტკბილეს დღეს ცაში ავფრინდით და მთელი ცხრა დღის განმავლობაში არ დავბრუნებივართ მიწას.

მოგზაურობა ჩემი სახლის წინ დაიწყო. ვეებერთელა, ბალერინასავით მსუბუქი საჰაერო ბურთი ასაფრენად მზად იყო.

ჩვენ კაბინაში ვისხედით.

საათები ორივემ მოვიხსენით და მიწაზე დავტოვეთ.

საგზაოდ მოვიმარაგეთ ხილი, შოკოლადი, სიგარეტი და საღეჭი რეზინი.

ნა ილუმინატორიდან ათვალიერებდა ქუჩას – სერიოზულად, დაკვირვებით, როგორც ბუკინისტი დეფიციტურ წიგნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, დევრიშის სამგზავრო კოსტუმში გამოწყობილს, ყინულიდან ახლახანს-ამოღებული, *შეორთქლილი შამპანურის* ბოთლი მეჭირა.

ის იყო, ჰაერბურთი ოდნავ აცდა მიწის ზედაპირს, ბოთლმა ზათქით ამოისროლა საცობი ჩემს დაუხმარებლად, თითქოს მიხვდა, რაც ევალებოდა და ფერია ნამ ბოთლიდან ამოხეთქილ ქაფს ჭიქა მიაგება.

— ამ ბრძენ ბოთლს გაუმარჯოს. ბედნიერი ყოფილიყოს ჩვენი მოგზაურობა, — ვთქვი მე. ასე დაიწყო ზეციური ოდისეა.

ო, რამდენი რამ ვნახეთ იქ, სადაც ერთი შეხედვით არაფერი ჩანს — ზეცაში.

მარტო ის რად ღირს, ორი ვეება ღრუბლის დისკუსიას რომ დავესწარით: მაღალ-მაღალ მატერიებზე დაობდნენ და ენციკლოპედიური ცოდნის პატრონები იყვნენ. ამ კამათს მეხამრიდებით შეიარაღებულნი ვუსმენდით მე და ფერია ნა და, უნდა გამოგიტყდეთ, ლამის იყო, დავყრუვდით.

კიდევ რა იყო?

ჰო, დიდხანს ვუცქერდით ზემოდან, აღელვებული ზღვის ვირტუოზულ ცეკვას.

რომ იცოდეთ, როგორ მიხაროდა, როგორ არ მინდოდა, რომ სიხარული ოდესმე დამთავრებულიყო.

ჩვენი ჰაერბურთი თავისუფლად მიქროდა ღრუბლებს შორის, არც ცუდი ტრასა გვიშლიდა ხელს, არც ინსპექტორის დარდი გვქონდა.

მეშვიდე ცას რომ მივაღწიეთ, ჩვენი ჰაერბურთი ვეება, თეთრაფრიან კარაველად იქცა და გეზი მთვარისაკენ აიღო.

ზემოდან საჭიანჭველოს ფრიად კომიკური იერი ჰქონდა — მესამე კლასის კუპესავით მოუწყობელი და ვიტრინაში გამოდგმული შიშველი მანეკენივით უაზრო ჩანდა. მე კი სულაც არ მქონდა ქალაქის დარდი — მე ჩემს ასრულებულ ნატვრას შევხაროდი. ნეტავ ყველა ნატვრა ისე აგსრულებოდეთ, როგორც მე ამისრულდა მაშინ.

რა ნატვრაა ასეთიო? მკითხავენ ცნობისმოყვარე ქალბატონები და ბატონები.

გიპასუხებთ:

ის, რომ მე და ფერია ნამ მეშვიდე ცაზე ერთად ვიმოგზაურეთ. მეტი რაღა გნებავთ. თანაც მთელი მომხიბვლელობა იმაში გახლდათ, რომ ნატვრა თავისთავად ახდა, ყოველგვარი ჯადოსნობისა და ნატვრისთვალის გარეშე. მე ხელოვნური სასწაულები არაფრად მჭირდება — ჯადოქარი არ გახლავართ, ვერც სასწაულმოქმედობით დავიკვეხნი. თავისთავად, ბედნიერებაა მთავარი, ისეთი, როგორიც ის წარმტაცი მოგზაურობა იყო — ოპიუმის ბოლივით გამაბრუებელი, ბრძენივით უპრეტენზიო, საესტრადო რევიუსავით ხალისიანი, ესპანურ სერენადასავით ვნებიანი, შედევრის სტროფივით სრულყოფილი და ტროპიკულ ტყესავით საინტერესო.

მიაპობდა ჩვენი საჰაერო კარაველა ცისფერ სივრცეს, მიფრინავდა და რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო მეტად ავსებდა არემარეს რბილი, ფაფუკი ბინდი. ცარგვალი ჩამუქდა და მალე ვარსკვლავებით მოეჭედა გუმბათი. ღამე იყო ჩუმი, თუმცა ასობით მიძინებული ბგერისა და ჰანგის შემცველი მდუმარე ფორტეპიანოსავით.

ქვემოთ კი ცელულოიდისაგან დამზადებული სათამაშო ქალაქივით მოჩანდა შუქებაციმციმებული საჭიანჭველო.

15. მოგზაურობის გაგრძელება

როდესაც მე და ფერია ნამ მომარაგებული სანოვაგე თითქმის სულ გამოვლიეთ, საფერფლე ნამწვებით ავავსეთ, სიგარეტის კოლოფები და შამპანურის ბოთლები დავცალეთ, ხილი და შოკოლადი გავანადგურეთ — მერვე ცასაც მივაღწიეთ.

მერვე ცის შესასვლელთან განცხადება გვაუწყებდა: „ათეისტებსა და აპენდიციტიან სნეულებს ვემსახურებით რიგგარეშე".

ჩვენ ნელა შევცურდით ბუტაფორიული ანგელოზებითა და ბარბაროსებით მოხატული თაღის ქვეშ და დინჯად შევუდექით ათას საოცრებათა ცის თვალიერებას.

იქაური სიმსუბუქე და ლაჟვარდი მათრობელა ღვინოსავით გვაბრუებდა, თუმცა მე თითქმის ფხიზელი გახლდით, სამაგიეროდ ფერია ნა იყო თითქმის მთვრალი.

რა არ ვნახეთ მერვე ცაზე.

მაგალითად:

დეგენერატების ფაბრიკაში მთელ საწარმოო პროცესს გავეცანით. მართალი გითხრათ, ტექნოლოგიაში რიგიანად ვერ გავერკვიეთ, მაგრამ დიფერენციაციის საამქრო წარუშლელად დაგვამახსოვრდა — აქ განასხვავებდნენ და ცალ-ცალკე ფუთავდნენ ათასი ჯურის იდიოტებს, სნობებს, პიჟონებს, კარიერისტებსა და მისთანებს.

ფერია ნამ გაიხსენა: ბადმინტონის თამაშისას რომ შევხვდით და სიტყვაც რომ ვერ ვუთხარით ერთმანეთს.

გაგვაცინა ამ მოგონებამ.

ამასობაში საშუალება მოგვეცა აუდიენციაზე ვხლებოდით მის ბრწყინვალება დიდ ვოლუნტარისტს. პირადად ჩემზე მხოლოდ მისმა ბრჭყვიალა ეპოლეტებმა მოახდინა შთაბეჭდილება.

შემდეგ და შემდეგ შემცირდა ინტერვალები იქაურ საოცრებათა შორის, ერთმან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთს მიჰყვა კომპრომისების კარნავალი და ბიუროკრატ-მარიონეტების ლაბორატორია, მონუმენტურ ორგიათა აკადემია და პერპეტუუმ-მობილეს მოსალოდნელი შექმნის პროგნოზირების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სიგარეტი „საქორწინო რექვიემი" და გაზეთი „ცივილიზაციის ფრაგმენტები", ბრძოლა სურდოლოგიის განვითარებისათვის საყოველთაო დაყრუების ეპოქაში და ცრემლსადენი გაზის წარმოების რენტაბელურ დარგად გადაქცევისათვის მარილის მიღების მიზნით.

მართალი გითხრათ, მე და ფერია ნას ამ უცნაურობებისათვის ნაკლებად გვეცალა. მოზღვავებული იმედით მივიწევდით მაღლა, მაღლა და არაფერი გვქონდა ერთმანეთთან მოსარიდებელი და დასამალი. ის, რაც ჩვენ ორმა ვიცოდით, დაე, მსოფლიოს სცოდნოდა. ბედნიერები ვიყავით და წყნარი, ოდნავ დუნერიტმიანი, ბავშვური ჰანგი მიგვაცილებდა მეცხრე ცისაკენ. თანდათან ბინდით ივსებოდა სივრცე, ზემოდან გადმოღვრილი ბნელის ნაკადი თბილი და განიერი საბანივით გვეხურებოდა და სულ მალე მეცხრე ცაზე აღმოვჩნდით. იქ კი, ქალბატონები და ბატონები...

16. მოგზაურობის დასასრული

სარკმელი, რომელშიც თავისუფალ კაცუნებს ვხედავ, მარიონეტისათვის უმნიშვნელოვანესი არსის სურათია, კედელზე მილურსმული თოჯინისა და საჭიანჭველოში მცხოვრები პიეროს ერთობლიობაა. თავის მხრივ ქალაქი საჭიანჭველოც მთლიანობაში ასეთივე სარკმელია, ხოლო ქალაქის თითოეული კუთხე, ნაწილი თუ ბინადარი კი შეიძლება შეედაროს სარკმელს, შეიძლება კი ვერ შეედაროს, სწორედ ამიტომ ისინი (ქალაქის ცალკეული ფრაგმენტები) არც არიან მთლიან საჭიანჭველოს დარად მნიშვნელოვანნი, რადგან პიეროობას მხოლოდ სრულიად საჭიანჭველოში აქვს ფასი. რატომ? იმიტომ, რომ სარკმელი გულისხმობს გარკვეულად მოაზრებულ პიერობას, უფრო ზუსტად, პიეროს მარიონეტული ბუნების წიაღში აზრობრივი სიღრმის, პერსპექტივის არსებობას. სარკმლის აზრი მრავალფეროვანია და მისი გაშიფრვა უსასრულოდ შეიძლება. მისი რაობის, არსის ამოკითხვა გონებით, ლოგიკით შეუძლებელია. მის გასაგებად, მის საწვდომად საჭიროა მასთანვე მიერთება, შენივთება, შესისხლხორცება, შერწყმა ემოციითა და გონებით, ქვე, შუა და ზე ცნობიერებით. ამით განსხვავდება სარკმელი თოკისაგან, კედლისაგან და სხვა ყველაფრისაგან, ქალბატონებო და ბატონებო...

მეცხრე ცაზე, სრულ სიბნელეში, თეთრი, ქათქათაზეწარგადაფარებული საწოლივით მთვარე დაგვიხვდა მე და ფერია ნას. ჰანგი კვლავ მოგვყვებოდა და ფრთხილად ერთოდა შემოჯარულ სიცივეს.

მე ფერია ნას ხელი გავუწოდე, თავი დავუკარი და საცეკვაოდ გამოვიწვიე.

ფერია ნა წამოდგა და ჩვენ დავიწყეთ მთვარის ცეკვა:

ზღვის თბილ და ლურჯ ნყალში ჩაშვებული აკვალანგისტებივით ჩავყვინთეთ ხავერდისფერ სიბნელეში. სინათლის სისწრაფით შემოვიქროლეთ გრძელი, ვიწრო ტალანი, რომლის კედლებზე შეჭრილ ნიშებში სამუზეუმო ექსპონატებად ჩამწკრივებულიყვნენ ნაირნაირი ღვთისმეტყველები და ერეტიკოსები, ჯალათები და აპოლოგეტები, ცინიკოსები და მორწმუნე ფანატიკოსები, მეფეები და მონები, ბარონები და მარკიზები, თავადები და პატრიარქები. თვით დერეფანი ვარდისფერი, ბლანტი, ტკბილი გაზით იყო სავსე. ჩვენმა სულსწრაფმა ქროლვამ მცირედი დეზორგანიზაციაც ვერ მოახდინა ამ მარადიული წესრიგის სამეფოში, სადაც, ეტყობა, ბედისწერას ერთხელ და სამუდამოდ დაემყარებინა ურყევი დიქტატურა, რომელსაც ვერანაირი ეროტიზმი ვერ აამღვრევდა, თუნდაც ვნების ვულკანი ამოფრქვეულიყო. ჩვენი ვნება კი, მიუსაფარი იყო ინტერნატში გაზრდილი უნახავი ობოლივით, სულ უბრალო კომფორტიც კი კარუსელივით თავბრუს რომ დაახვევს და აამსუბუქებს. მივქროდით ლათინური დევიზებითა და ათასგვარი ღერბით დამშვენებულ თაღქვეშ საზეიმო მარშის რიტმში. ვარდისფერი, ბლანტი გაზი ისე მოშხუოდა ვიწრო ტალანში, როგორც მორფინი ნემსის წვერში. თანდათან ვკარგავდით ორიენტაციას, ვეშვებოდით, როგორც პესიმიზმი და ვენთებოდით, როგორც რწმენა. ჩვენი სილუეტები იზრდებოდნენ და მცირდებოდნენ, ფოტოგრაფიული სიცხადით იკვეთებოდნენ და მყისიერად სქემატურდებოდნენ, მიმოირხეოდნენ ულტრამოკლედან ინფრაგრძელის დიაპაზონში და უახლოვდებოდნენ კულმინაციურ წერტილს, როდესაც თავის ქალა ყოველგვარ ფრენოლოგიურ ფორმას კარგავს და რომლის შემდეგ ცინიკურმა განწყობილებამ უნდა იძალოს. მთვარის ქათქათა შუქით განათებულ ბნელში კიდევ კარგა ხანს ისმოდა სიცივეშეპარული ჰანგი... ტკბილი... ბედნიერი... ბნელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. დუელი ათ რაუნდად

მარიონეტი, მოგეხსენებათ, მსახიობია, მსახიობს კი ორი რამ სჭირდება – ნიჭი და გამოცდილება, ამასთანავე სასურველია გააჩნდეს პლასტიკა, დიქცია, გარდასახვის უნარი, ბუნებრიობა და შეუზღუდობა.

ყველა ეს ძალა, ჩემში მიმალული, მოვიკრიბე, როდესაც მე და ჩემი დაუძინებელი მტერი ანტიმე ორთაბრძოლის დასაწყებად ერთმანეთის პირდაპირ წარვსდექით ნაირფერი ლამპიონებით გაჩირაღდნებულ, ლითონის მესრით შემოღობილ გრძელ გალერეაში, რომელშიც საყოველთაო ნაციონალიზაციამდე სულთან-შამანის ჰარამხანა იმყოფებოდა.

მე და ჩემი მეტოქე საბრძოლველად გამოყვანილი მამლებივით ვუბღვერდით ერთმანეთს და ძარღვებს გვივსებდა საომარი ბრში. დუელის საჭიანჭველოურ წესებში ორი თითქოსდა ურთიერთწინააღმდეგობრივი პუნქტია – დუელი უმუსიკოდ დაუშვებელია, არადა, მოწმეების დასწრებაც აკრძალულია, მაგრამ ეს პრობლემა ადვილად წყდება ისეთი უბრალო მექანიზმების დახმარებით, როგორიცაა გრამოფონი, პატეფონი, მაგნიტოფონი და მისთანანი.

ჩვენს ორთაბრძოლას საუცხოო პიანოლა უწევდა აკომპანიატორობას.

იწყებოდა პირველი რაუნდი: ერთმანეთისათვის მომწამლავი ბაქტერიების ფრქვევა.

ანტიმე, როგორც დუელში გამოწვეული, იყენებდა დამწყების უფლებას. მან თავაზიანი ღიმილით დამიკრა თავი და მითხრა, რომ ვერა და ვერ მიმხვდარა, ფერია ნას ხსენებამ ასე რად ამაღელვა და ირონიასთან ერთად ინგლისური ინფლუენციის ვირუსებით გამიმასპინძლდა.

პირველი დარტყმა ქოლერის ვიბრიონით მოვიგერიე და ვურჩიე, სხვას ნუ დააბრალებ საკუთარ მიუხვედრელობას-მეთქი.

მან აშკარა ირონიით მომიბოდიშა და კოხის ჩხირებით დამსეტყვა.

შემდეგ ერთმანეთს ორივე მხრით შეენაცვლა სტაფილოკოკები და სახადის ბაცილები, ყივანახველის, პარტახტიანი ტიფის, ბოტკინის ინფექციური სხეულაკები და რაუნდის დასასრულს მეც და ჩემს მოქიშპესაც აშკარად ავადმყოფური იერი დაგვედო.

მეორე რაუნდს მე ვიწყებდი – ერთმანეთი რამდენიმე დეკალიტრი წყლით უნდა გაგვეწუნა.

პირველ შეშხურებასთან ერთად ანტიმეს ლაწირაკი ვუწოდე (ალბათ, გესმით: სიტყვა ფსიქოლოგიური შეტევის იარაღი გახლდათ).

მან გამაფრთხილა, რომ უეჭველად მომკლავდა და ყინულივით ცივი ჭავლი პირდაპირ სახეში დამიმიზნა.

რაუნდის ბოლოს ამაყი, მებრძოლი მამლები ჭაში ჩაცვენილ ყვინჩილებს დავემსგავსეთ.

მესამე რაუნდში ერთმანეთისათვის გამანადგურებელი, ძირგამომთხრელი დოკუმენტები უნდა შეგვედგინა.

ანტიმემ დაიწყო ანონიმური წერილით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მე პირწავარდნილი გადმონაშთი, გარყვნილი ესთეტი ვიყავი და სულთნის ოჯახთან საეჭვო კავშირში მდებდა ბრალს.

პასუხად ღია ბარათი გავუგზავნე. მივწერე, რომ მისი ყაიდის არამზადებისაგან, რომელთაც ცხოვრებაში ყველაზე სწორ გზად ზიგზაგი მიაჩნიათ, შეუძლებელია რაიმე გეწყინოს.

ანტიმემ აქტი შემიდგინა და ინტრიგანობისათვის ჩოქბჯენში გადამიყვანა, თან სიტყვიერად ქეციანი ნაგაზი მიწოდა.

მე სამედიცინო დასკვნა დავუწერე და დავუმტკიცე, რომ არანორმალური იყო.

მცირეოდენი უპირატესობით გადავედით მეოთხე რაუნდზე – ორთაბრძოლის ყველაზე მძიმე ეტაპზე. ორთავემ კასეტები მოვირგეთ და ერთმანეთის ძვლები სათანადო კონდიციამდე მივიყვანეთ. არაქათგამოცლილები მაშინღა შევჩერდით, როდესაც ჩვენი სახეები ახლადდაკეპილ საკატლეტე მასალას დაემსგავსა.

– ერთი შენ თავს შეგახედა, – გადაიხარხარა ანტიმემ.

– ნუ შიშობ, არც შენა ხარ ლამაზი, – ვუპასუხე და დუელი განვაგრძეთ.

მეხუთე რაუნდში მასტეხინებით ვფხიკეთ ერთმანეთი.

მეექვსეში – მოტოციკლებით შევეჯახეთ.

მეშვიდეში – ორქიდეებით ვიფარიკავეთ.

მერვეში – პროვოკაციები მოვუწყეთ ერთმანეთს.

მეცხრეში – რენტგენით დავასხივეთ ერთიმეორე.

ამ გრანდიოზულ ფრონტზე ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თუმცა თანდათან გამარჯვების სასწორი ჩემს მხარეს გადმოიხარა. მეტოქეს ზურგიდან მოვუარე და, რაკიღა დამარცხების სიმპტომები შევატყვე, ტაიმ-აუტის გამოყენების საშუალება აღარ მივეცი. თითოეული ჩემი დარტყმა ურანის ბომბივით ანადგურებდა ანტიმეს და ბოლოს, მეათე რაუნდში, ძიუ-ჯიცუს სტილით ჭიდილში აშკარად დავანარცხე მიწაზე.

გაჭირვებით წამოდგა. ისევ დავანარცხე და ვუთხარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ახლა კი გეყოფა.

ანტიმე აღარ წამომდგარა, წყნარად იწვა და მეკითხებოდა, ვერ გამიგია, რას მერჩოდიო.

ვერ გაგიგია და ვერც გაიგებ, ჰოდა, ენა მუცელში ჩაიგდე-მეთქი, ვუპასუხე.

სამოსი შევისწორე, დახეთქილი სახე ცხვირსახოცით მოვიწმინდე – მტკიოდა.

ანტიმემ მითხრა, რომ ვეცოდებოდი, რომ მას მალე გაუვლიდა დამარცხების წყენა, მე კი აღარაფერი მეშველებოდა.

არაქათგამოცლილი შევევეედრე დადუმებულიყო, რადგან ნამდვილად აღარ მქონდა მისი თავი.

მან კი მითხრა, რომ ვეცოდებოდი, რადგან ხედავს – ფერია ნა შემყვარებია.

ამის თქმა იყო და ისევ ვეცი, საშინელი ძალით დავანარცხე მიწაზე, ავიღე და ისევ დავანარცხე და ძალ-ღონის უკანასკნელ წვეთამდე ვიმეორებდი ამ მოქმედებას, სანამ ჩემი ავმტერი ორეულისაგან ძლივსშესამჩნევი ლანდივით კვალიც კი აღარ დარჩა იმ ცუდადმოსაგონარ ბრძოლის ველზე.

18. გავშალოთ პასიანსი

მდინარე კალეიდოსკოპი მდორედ მიაგორებდა ტალღებს.

ტალღების თავზე ალბატროსი დალივლივებდა.

მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი მიხაკო ვაცი მივსეირნობდით სველ, თითქოს აკვარელით მოხატულ სანაპირო ქუჩაზე.

მიხაკოს დუელის ამბავი ვუამბე. გამარჯვებით გაამაყებული ფიცარნაგზე გამოსული ძალოსანივით ვიბღინძებოდი, თუმცა, რა დასამალია, მაგრად მტკიოდა დათეთქვილი სახე.

– გინდა გითხრა, რა გაგახარებს ახლა ყველაზე მეტად, – ჩაიკიკინა მიხაკომ, – ფერია ნა რომ გაიგებს შენ გმირობას.

– საიდან გაიგებს? – თავი მოვიკატუნე.

– სულთანმა რომ გაიგოს, თუ როგორ გამოექომაგე, – ხუმრობას არ წყვეტდა ვაცი, – მთავარ ბედუინად დაგნიშნავდა და ალბათ ჩაგისიძებდა კიდეც, – და ჩემს მეგობარს საკუთარ ხუმრობაზე სიცილი აუტყდა – ბლანჟე წვერი და გალიფე შარვლიდან გამოყოფილი მოკლე, თეთრი კუდი მხიარულად აუცანცარდა.

– მართალი ითქვას, ძალიან ლამაზია ფერია ნა, – წამით დასერიოზულდა მიხაკო და მერე მყისვე აკიკინდა, – ისე, შენც ლამაზი ხარ მაგ დალილავებული სიფათით. გნახოს ნეტავ.

– მნახავს, – მივუგე.

– ნაღდად მოეწონები.

– რა თქმა უნდა, მამაკაცს ამშვენებს ნაოტარი სახე, ჭრილობები, – დავცინე ჩემს თავს.

დეკორაცია შეიცვალა: მე და ჩემმა თანამგზავრმა სანაპიროდან დომინოს გამზირზე გადავინაცვლეთ და ახლა თეთრწერტილებიანი ქვებით მოკირწყლულ ქვაფენილს გავუყევით.

რაღა დაგიმალოთ, ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი ვიყავი გამარჯვებით, ფერია ნას სიყვარულით, მიხაკო ვაცის მეგობრული ირონიითაც კი.

შეყვარებული გახლდით – აი, რაში იყო საქმე. ფერია ნა – ქვეყნად ყველაზე ლამაზი, ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე მომხიბვლელი ფერია მიყვარდა და შემეძლო საუკეთესო მეგობრისათვის გამეზიარებინა ეს საიდუმლო, ხოლო მტერი კი მომესპო მისი სახელის ავადხსენებისათვის.

ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?!

დომინოს გამზირზე, ზოოპარკის შესასვლელთან პატარა ესტრადაზე კონცერტი მიმდინარეობდა. ვიღაც ამფიბიასმაგვარი ორ ფეხზე მოსიარულე ურჩხული, რომელსაც ხელში წიგნები ეჭირა და ცხვირზე სათვალე დაეკოსებინა, ორ ხმაში ასრულებდა კლასიკურ დუეტს გრძელულვაშა, სასაცილო ოფიცერთან ერთად, რომელიც მუხლებზე დაჩოქილი შეჰყურებდა იქვე, ესტრადაზე „კლასობანას" მოთამაშე ლამაზი ფერიების კორდებალეტს.

– ოჰო, ეს ცნობილი ანსამბლია: „კაპიტანი და ჰუმანოიდი". მოდი, მოვუსმინოთ, – გადმომილაპარაკა მიხაკომ.

ესტრადის ირგვლივ შეგროვილ მაყურებელს შევერიეთ და დიდხანს ვუსმენდით ამ შესანიშნავ მუსიკოსებს.

– ლამაზია ღამის შავი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, – მღეროდნენ ისინი, – უამრავი ვარსკვლავია ცაზე. თითოეულ ჩვენგანს თავისი ვარსკვლავი აქვს. ამიტომაა, რომ ყველას ჩვენი საკუთარი სურვილები, აზრები, ნატვრა, ჭირი და ლხინი გაგვაჩნია. გამუდმებით გვაღელვებს რაღაც, გამუდმებით გვაშინებს. ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ სადღაც შორს, შორეულ გალაქტიკაში მოციმციმე ვარსკვლავზე – ჩვენს ვარსკვლავზე ცხოვრება თავისი გზით მიდის. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ვარსკვლავები გაცილებით უკეთესები გამოჩნდნენ სხვის თვალში, ვიდრე თავად ჩვენ ვართ. ჩვენი ჩრდილია ჩვენი ვარსკვლავი და ვცდილობთ ამ ლამაზ ჩრდილს დავემსგავსოთ. სხვადასხვაგვარია ვარსკვლავები. ერთზე სინდისი არ არსებობს, სხვა მეტისმეტად მოწესრიგებულია, ზოგი ბედნიერია და ზოგი უიღბლო. ჩვენი ვარსკვლავები ჩვენი ოცნებებია და ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ პაწაწინა ჯადოქრები ვართ, ყველანაირი სასწაულის მოხდენა შეგვიძლია ამ ვარსკვლავებზე, რომლებზეც ძაღლივით, ერთგული ძაღლივით ვართ გამობმული დიდი, მძიმე ჯაჭვით. დრო კი მიდის და ჩვენი ვარსკვლავები გზას გვიჩვენებენ სიბნელეში...

კიდევ რამდენიმე სხვა სიმღერაც დამამახსოვრდა კაპიტნისა და ჰუმანოიდის რეპერტუარიდან. მხოლოდ სათაურებს მოგახსენებთ: „ოჰ, ეს ყოველდღიური ერთი და იგივე ინფორმაცია", „კატორღელის კონვოის სევდიანი სიმღერა", „იყიდე ლატარიის ბილეთი, მოიგებ მაჰარაჯას საგანძურს", „პიკნიკებით გატანჯული ოფიციანტის ტირილი" და სხვა.

გატაცებით ვუსმენდით ამ მშვენიერ კონცერტს მე და მიხაკო.

ჯადოსნური მუსიკით გატაცებული ცხადში სიზმარს ვხედავდი — თითქოს კეთილი წითელქუდა მოფარფატდა ჩემთან და მითხრა, რომ ფერია ნა მოუთმენლად ელოდა ხელახალ მოგზაურობას მეცხრე ცაზე.

სხვაც ბევრი კარგი სიზმარი ვნახე და მივხვდი, რომ ჩემს სათქმელს ამ ლაყბობაზე უკეთ მაშინ მოგახსენებდით, მუსიკოსი რომ ვყოფილიყავ, რადგან მუსიკაა ნამდვილი ხელოვნება და თუ ჩემი მონოლოგი რაიმეში ტყუის, მუსიკა არამც და არამც არ მოგატყუებთ.

მუსიკით მთვრალები გამოვბრუნდით შინისაკენ მე და მიხაკო. ვგრძნობდი, რომ შეიძლება ამქვეყნად ყველა სურვილი ასრულდეს. დავხუჭე ფოლაქის თვალები და გადავწყვიტე მენატრა სრულიად გასაოცარი რამ — რომ მთვარე, საჭიანჭველოს თავზე მხიარულად ანთებული, ჩემს ხელისგულზე დაშვებულიყო.

ნატვრაც არის და ნატვრაც, არა?

ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ვინატრე თუ არა, მნათობი ოდნავი რწევით დაეშვა ძირს და სულ მალე ჩემს პეშვში მოექცა ბობილი, ნათელი და მრგვალი, ბილიარდის ბურთისოდენა.

მიხაკო გაოცებული შემომცქეროდა და ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვიდგებოდით ამ სასწაულებრივი წამით გაოგნებულები, უეცრად, საიდანღაც, ნაცნობი ღრიალი შემოგვესმა. სიმონ გიბონის ხმა იყო. მყისვე ავისროლე მთვარე ცაზე და ისიც თამაშ-თამაშით დაუბრუნდა თავის ძველ ადგილს.

სულზე მოასწრო მთვარემ, რადგან ქუჩის კუთხეში უკვე გამოჩნდა მთვრალი პოეტის გრძელხელებიანი ფიგურა.

— პიეროს და ვაცს ვახლავარ ოცდახუთი ცხენოსნით!

— გამარჯობა, სიმონ გიბონო, — ვუთხარით ჩვენ.

— აბა, აბა, უკაცრავად პასუხია და კარგა ხანია სახელი გამოვიცვალე. ახალი ფსევდონიმით მომმართეთ, თუ შეიძლება.

— არაფერი ვიცოდით. როგორ მოგმართოთ? — ვკითხეთ ჩვენ.

— ამიერიდან მე გახლავართ არა სიმონ გიბონი, არამედ საიმონ მაიმუნი, — განაცხადა პოეტმა, — ახლა მე წაგიკითხავთ ჩემი ახალი პოემის პროლოგს. ჯერ მოკლედ გიამბობთ თვით პოემის შინაარსს. მთავარი გმირები ერთი ბალერინა და თავად მე გახლავართ. მე მაყეყეჩებს მისი ცეკვა, ვესწრები მის ყველა რეპეტიციას, ხოლო სპექტაკლზე მთელი ხმით ვყვირი ბრავოს, თან გული მიცემს, აი ასე, ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ. საზოგადოება ყვავილებს ესვრის მოცეკვავეს. ამ ეპიზოდს დაერქმევა „ყვავილების თოვლი". მე მას ჩემი გულიდან მოწყვეტილ წითელ მიხაკს ვტყორცნი. ეს იქნება სიყვარულის აპოთეოზისა და მეყვავილეობის სინთეზი. მიხაკი ვარდება სცენაზე. ანგელოზები კრეფენ ნატყორცნ ყვავილებს და ფერხთით უწყობენ ჩემს ბალერინას, მაგრამ, ავაი, ჩემი მიხაკი შეუმჩნეველი რჩება. აქ თავდება პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი ვიღაც მომღერლის გამოსვლით იწყება. მეორდება „ყვავილთა თოვა" და ავაჰაი, ჩემი მიხაკი ამ მომღერლის ხელთ ხვდება. ფინალში მარტოობას ტანგოს ვეცეკვები და ვეკითხები, თუ რატომაა, რომ სიყვარულსა და, საერთოდ, სურვილებს სხვები გვიგებენ და არა ადრესატები. საბოლოოდ მე ვხვდები შრომის უზენაესობას და ბედნიერების ფაბრიკის შენებას ვიწყებ და როცა მშენებლობას ვამთავრებ, ვკივი: „შეჩერდი წამო, შენ ხარ, რაცა ხარ"!. — ფსიქოპათიურად აღგზნებული პოეტი საიმონ მაიმუნი, ანუ ძველებურად რომ ვთქვა, სიმონ გიბონი, გრძელ ხელებს იქნევდა, ტანზე ჯემპრს იგლეჯდა და უკვე პოეზიის იმპროვიზირებულ კითხვას იწყებდა, როდესაც უჩუმრად გამოვეპარეთ და მის ირგვლივ შეჯგუფებულ უსაქმურ ცნობისმოყვარეთა ვეება ბრბოს შევატოვეთ.

რომ მკითხოთ, რატომ გვიამბობ ყოველივეს ამას, რა აზრის აქვსო, — ვერ გიპასუხებთ.

განა შეიძლება ამ მონოლოგის აზრამდე დაყვანა?

ჯობს პასეანსი გავშალოთ, ქალბატონებო და ბატონებო.

19. სასიძოს გამოჩენა

იმ დღეს ალერგიით გატანჯული სულთანი ყბედობის ხასიათზე დამდგარიყო: ტახტზე მიწოლილი, ფეხიფეხზე გადადებული, თვალების ფშვნეტით აგერ უკვე მერამდენე უცნაურ იგავს მიამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასაფლაოზე, ჩემო პიერო, ერთი ქვა იყო. ქვას სახელი ეწერა. სახელის პატრონი ცოცხალი იყო. იგავი გვეუბნება: არავინ იცის, ცოცხალი იყო იგი თუ მკვდარი. ჰოო. აი, კიდევ ერთი არაკი („ეს მეოცე იყო თუ ოცდამეერთე", — ვითვლიდი გონებაში): ერთ მდიდარს ბრილიანტი ჰქონდა, ბრილიანტი ათასფერად ბრწყინავდა, მაგრამ ბნელში ბრილიანტი არა ჩანდა. მეორეს, ღარიბს ფოსფორი ჰქონდა. სინათლეში ფოსფორი მკრთალი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ბნელს ანათებდა. იგავი გვეუბნება: დაე, ცოტა გქონდეს, მაგრამ ანათებდე. გვეყო, ზღაპრები. ახლა ვიმღეროთ! — და სულთან-შამანმა შეასრულა პოპულარული საჭიანჭველოური არიოზო „დავბერდი, ძმაო, დავბერდი". მერე, ჩანს, სიმღერამ დარდები აუშალა და წარმოათქმევინა:

— ე-ჰ! აკი, მართლა დავბერდი, ძმაო. ხანდახან დავუფიქრდები და ვგრძნობ: ფაფუ, წავიდა ახალგაზრდობა. მემკვიდრე ვაჟი მაინც მყოლოდა. შვილიშვილის დროც მოდის უკვე და ნას იმედზე ვარ.

რა უნდა მეთქვა? სულელურად დარცხვენით გავიღიმე.

— ჰოდა, აგერ, სასიძოც გამომიჩნდა, პიერო, გუშინწინ მეწვია. დიდებული ოჯახიშვილი — ხვარაზმშას ვაჟი გახლავს. საჩუქრებიც მომართვა — ოქრომკედით დაქარგული ბერეტი და ოქროსმინანქრიანი სასადილო გარნიტური. თავად სასიძო თვალტანადია, განათლებულიცაა: დემაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. რიგი ეფექტური თეზისების ავტორია. მაგრამ მაინც ძნელია ეს ყველაფერი. ხომ გესმის, პიერო.

რაღა დასამალია, ქალბატონებო და ბატონებო, რა გუნებაზე დავდგებოდი. ძლივს მოვახერხე გუნებაწამხდრობა არ დამტყობოდა. უგერგილოდ გავიღმიჭე და, ქორწილს როდის აპირებთ-მეთქი.

რა მეჩქარებაო, მიპასუხა სულთანმა.

მე მეჩქარება-მეთქი, მივუგე და დავემშვიდობე.

20. ლეგენდა კაქტუსზე

ღრუბლებმა დაფარეს მზე.

თავზარდამცემმა ცნობამ მწვავე იპოქონდრიის შეტევა დამმართა.

ქუჩაში გავედი და შიშმა ამიტანა: ახლა, ამ წუთში მოვკვდები-მეთქი.

მთელი ძალით ამოვარტყი წიხლი ქვაფენილზე მიგდებულ კონსერვის ცარიელ ქილას, რომელიც ამაზრზენი ჟღრიალით გარახრახდა და სულთნის სასახლის კედელს შეენარცხა.

სად იყო და სად არა — წითელქუდა მეტ ხვდა — ხელში კაქტუსი ეჭირა.

— გამარჯობა, პიერო!

— გამარჯობა. ეგ რა გიჭირავს?

— კაქტუსი. — წითელქუდამ გამიცინა და მზემ ოდნავ გამოიჭყიტა ღრუბლებიდან.

რა კარგია, რომ მზიანი ქალაქია საჭიანჭველო-მეთქი, გავიფიქრე და სევდიანად გავიღიმე.

— რას იღიმები, პიერო?

— რა? რა მკითხე?

— არაფერი. იცი, პიერო, ამ კაქტუსს ფრენა შეუძლია. გინდა გავფრინდეთ? გავისეირნოთ.

— არა, წითელქუდა, გუნებაზე არა ვარ რაღაც.

— გინდა, რაიმე კარგი წიგნი გაჩუქო? მაინც რატომ იღიმები?

— ვიღიმები? რა ვიცი.

რატომ ვიღიმებოდი? ალბათ, სიმხნევისათვის.

— წითელქუდა, ფერია ნა ხომ არ გინახავს?

— როგორ არა, პიერო. ჰიდროცენტრშია. მეც იქ ვიყავი წეღან.

— კარგი. მაშ, მეც ჰიდროსკენ წავალ, — ვუთხარი წითელქუდას და წავედი. ქალბატონებო და ბატონებო, ალბათ, გიკვირთ, რატომ გიამბობთ ყველაფერს ასე დაწვრილებით. რატომ მოკლედ არ მოვჭრი... განა კაცი თუ მოკლე სათქმელს გრძლად ამბობს, ჭკვიანია? არა. კაცი თუ ჭკვიანია, რაც მოკლედ შეიძლება ითქვას, გრძლად არ უნდა თქვას.

ჩემი სათქმელი კი, ვატყობ, გრძლად სათქმელი გახლავთ...

21. ნერვული დიალოგი

ჰიდროცენტრის ფსკერზე, პირატების მოედანზე, რომლის შუაწერტილზე ცალთვალა, ნაგანით შეიარაღებული მეკობრის ქანდაკება აღმართულა, მე და ფერია ნამ ცუდად მოსაგონარი საუბარი გავმართეთ.

— რატომ ხარ, ფერია ნა, ასე მოწყენილი?

— არა ვარ მოწყენილი. მე შენი ძალიან მადლობელი ვარ.

— უკმაყოფილო ხომ არა ხარ ჩემით?

— არა, პიერო.

— მამაშენმა ყველაფერი მითხრა, ფერია ნა.

— მივხვდი, პიერო.

— მერე, ფერია ნა, მართალია, რაც მითხრა?

— მართალია.

— შენ რა გადაწყვიტე, ფერია ნა?

— არ ვიცი, პიერო. შენ?

— მეც არ ვიცი, ფერია ნა. მე რა შემიძლია? შენი საქმისა შენ უკეთ იცი.

— მართლა გულგრილი ხარ?

— მართლა გინდა ხვარაზმშას ვაუს გაჰყვე?

— არ ვიცი. წუხელის დამესიზმრა, რომ გავყევი.

— სულელური სიზმარია, ფერია ნა.

— სულელური სულაც არ არის. ავიღებ და მივთხოვდები.

— კარგი, ჯანდაბას ეს ლაპარაკი. არ გინდა მეცხრე ცაზე გავისეირნოთ?

— გავისეირნოთ, შენ თუ გინდა, პიერო, ოღონდ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

— რატომ?

— მე მგონი, მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებ ჩვენს მეგობრობას, პიერო.

— ეს შენ აძლევ მეტისმეტ მნიშვნელობას გათხოვებას.

— არა.

— კი, აძლევ.

— მე გათხოვება მინდა, ხვარაზმშის დედოფლობა.

— თუ გინდა, მე როგორ დაგიშლი. გახდი დედოფალი, გათხოვდი.

— ჰო!

— იცი, ფერია ნა, მე არ მჯერა, რასაც ახლა მეუბნები. მე მინდა, რომ ჩვენ ისევ ვიმოგზაუროთ მეცხრე ცაზე. მისმინე. ნუ გამიჯავრდები. მოდი, ხვარაზმშას შვილს მოვკლავ, მერე მამაშენს ვეახლები და ვეტყვი, მე ვერ ავიტან, საჭიანჭველოში ვიღაც დუშმანმა და მომხვდურმა იბოგინოს-მეთქი.

— შენ ხომ არ გაგიჟდი?!

— შესაძლოა, მაგრამ ასე ვიზამ!

— აბა, შენ იცი. მშვიდობით, პიერო.

— არა, ფერია ნა, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, — მივაძახე საბოლოოდ და ჰიდროსიღრმიდან აცურებულს თვალი ავადევნე. მერე მედალიონი, რომელშიც მისი პატარა სურათი მესვა, ხელში ჩავბლუჯე და საკუთარ აჩრდილთან შევასრულე გააფთრების პა-დე-დე, სასოწარკვეთის პა-დე-ტრუა და სევდის პა-დე-კატრი. ასე ცეკვა-ცეკვით მოვიარე აჩრდილთა სამეფო და მხოლოდ გვიან ღამით, ბნელზე-ბნელი ღამით დავბრუნდი შინ, მბჟუტავი პროჟექტორებით განათებულ ყვითელი ავტომატების ქუჩაზე, დიდი ხნის დაძველებულ, სარესტავრაციო სახლში.

ქარი ქროდა და კვიპაროსების ჩრდილები ტარანტელას ცეკვავდნენ ხავსმოდებულ კედლებზე.

სინოპტიკური ნიშნებით სახვალიოდ ქარიშხლიანი ამინდი იყო მოსალოდნელი.

22. უსაშინლესი ანგარიშსწორება

სულთან-შამანის სასახლეში სასიძოს შესახვედრად ამტყდარი ფორიაქი საყოველთაო ქაოსში გადაზრდილიყო. მოსამსახურენი, კარისკაცები, აზნაურები და უაზნონი, მოკლედ, ყველა უკლებლივ, დიდიან-პატარიანად რაღაცას საქმიანობდა — ერთი საქორწინო ჯოკერისათვის ბანქოს ურევდა, მეორე თამადისათვის მისართმევი გოჭის სატრეპანაციოდ ქირურგიულ მოწყობილობას ამზადებდა, მესამე და მეოთხე ნეფე-პატარძლისათვის საქორწინო ჰამაკს აბამდნენ, სხვები მენადიმეებისათვის ალკოჰოლიან სასმელს ხდიდნენ, კიდევ სხვები დარბაზებს მუშკის, ამბრის და ფრანგული სუნამოს არომატით ავსებდნენ. მოკლედ, დუღდა და გადმოდუღდა ზეიმის მომლოდინე სასახლე.

თვით სულთანი, მე და წითელქუდა დარბაზის ცენტრში ვისხედით, როდესაც ხვარაზმშას პეპლისფრთებიანი დესპანი შემოფარფატდა სარკმელიდან და სამახარობლო დასძახა: აბა, დაუხვდით, სასიძო ახლოვდებაო!

სულხან-შამანი ამ დროს მორიგ იგავს მიამბობდა და, თუმცაღა იქიდან გაქცევა მეწადა, სიტყვას ვერ ვაწყვეტინებდი. დესპანის მოსვლით კი ვისარგებლე და სასწრაფოდ განვერიდე ყბედ მბრძანებელს, რომლის მხიარულ განწყობილებას არ ვიზიარებდი და არც მისი ლაქლაქის ხასიათზე გახლდით.

ბეჰემოთივით მძიმე დარდი მაწვა გულზე და, სასახლის ერთ-ერთ ბნელ ტალანში მიმავალი, ამ ბეჰემოთის გენეალოგიის დადგენას ვცდილობდი. გარკვეული თვალსაზრისით, ეს ცხოველი დემონური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ბოროტ, მაგრამ თავისთავად საინტერესო საფუძველს ბედმა ისეთი დრამატურგია მოარგო, რომ ზოოპარკის ბინძურ აუზში გამოკეტილი ეგზემპლარივით აუშვა საკუთარი ექსკრიმენტის სუნი.

ვიგრძენი, რომ ამ საშინელი, მძიმე, მოუხეშავი და ბეცი ცხოველით გაწამებულს, სიცხემ ამიწია.

სასახლის ექიმთან მივედი და თერმომეტრი ვთხოვე — ოცდახუთი გრადუსი ცელსიუსით! საჭიანჭველოს ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე მარიონეტს ასეთი მაღალი სიცხე ჰქონოდა. რა თქმა უნდა, ექიმს ეს ამბავი არ გავუმხილე — წამსვე საავადმყოფოში მიკრავდა თავს. ვუთხარი, რომ თექვსმეტი გრადუსი და სამი ხაზი, სავსებით ნორმალური ტემპერატურა მქონდა და სასახლიდან სანაპიროზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედი, მდინარე კალეიდოსკოპის მოდუდუნე ტალღების პირას ფიქრთგასართველად.

მოვწიე. მერე ქალაქცნობის სტენდზე გამოკრული განცხადებები ჩავიკითხე, დიეტური სასადილოს ვიტრინა დავათვალიერე და ისევ სასახლეში შევბრუნდი.

შევადგი თუ არა ფეხი მთავარი დარბაზისაკენ მიმავალ ტალანში, წითელქუდა შემომეფეთა.

– არ გაინტერესებს ხვარაზმშას ვაჟის ნახვა?

– მაინტერესებს, – მივუგე და დარბაზისაკენ დავიძარი.

„არ ვიცი, რას ვიზამ", – გავიფიქრე.

მძიმე და მოუქნელი ბეჰემოთი ოდნავ გამაღლდა, გამკვრივდა, დრუნჩი წაუგრძელდა და გონებაამღვრეულ, მრისხანე მარტორქად იქცა.

მარტორქა კიდევ უფრო ბეცი გახლავთ, ჰოდა, ველარაფერს ვხედავდი ირგვლივ მკვეთრად.

ჩემმა გონებამ ელვის სისწრაფით იწყო საშინელი და გულქვა ანგარიშსწორების ათასგვარი გეგმის კონსტრუირება.

საღათას ძილივით ღრმა სიჩუმე გამეფდა (იქვე მივხვდი: ეს მე აღარ მესმოდა აღარაფერი), ერთიმეორეს მიყოლებით უკუვაგდე მეტოქის განადგურების რამდენიმე მეთოდი: ფეხებში ხელის წავლება და სვეტზე თავის შეტაკება მეტისმეტად ნატურალისტურად მეჩვენა, ირონიული პათოსით შემუსვრა კი მეტისმეტად ხელოვნურად. ყოველი შემთხვევისათვის, პიჯაკი გავიხადე და დარბაზში შევიჭერი.

ქალბატონებო და ბატონებო, საჭიანჭველოში თურმე ყოფილა ერთი დრო, წინაპართა მიერ ოქროს საუკუნედ წოდებული, როდესაც ღვთაება, უფრო ზუსტად კი, ღვთაების წარმოსახვითი ხატი სხვა არა იყო რა, თუ არა ჩემისთანა უბრალო თოჯინა. ამ უძველეს პერიოდს მეცნიერები ანტიკას ეძახიან. ნეტავ იმ დროს. მაშინ ხომ ვერ გაბედავდა გადამთიელი ხვარაზმშას შვილი ჩემთვის ყველაზე სანუკვარსა და წმინდას შეხებოდა ტურტლიანი ხელით.

სასიძოს ვეძგერე და, სანამ გონს თავადვე მოვეგებოდი, უცებ ვიგრძენი, თურა საოცარი, ჯადოსნური ძალით აღვივსე.

არ ვიცი, რანაირად მივხვდი, რომ ამ წუთში ყველას თვალწინ გამობრძმედილი, სასწაულმოქმედი ფაკირივით შემეძლო ერთი საგნის მეორედ გადაქცევა. აზრმა გამიელვა: ეს უნარი რომ ადრე აღმომეჩინა, პროტექციის გარეშე მოვეწყობოდი მაგიის ინსტიტუტში-მეთქი, რაც მოგეხსენებათ, ზღაპრულად ძნელმისაღწევი მიზანი გახლავთ. ეს აზრი დამთავრებულიც კი არ მქონდა – ჩემი საბრალო რაყიფი ფეხზე ტარა, უბეწვო ფინიად იყო ქცეული, თანაც ქვედა ყბასა და მუცელზე ფისტულები ჰქონდა, რეფლექსების შესასწავლად რომ იყენებენ ფიზიოლოგები. ფისტულებიდან ნერწყვი და კუჭის წვენი მოწვეთავდა.

ავიქნიე ხელი და ფინია სიროფით სავსე ჭიქად ვაქციე, ჭიქას ფეხი წავკარი და იატაკზე დავღვარე.

შემდეგ რაყიფი ფერად ტელევიზორად ვაქციე და ვაქციე თუ არა, იმწამსვე გამოვრთე.

ამას ერთი-ორი წვრილმანი ოპერაცია მოვაყოლე, რომელთა შინაარსის გადმოცემაც ქალბატონებისა და ბატონების წინაშე, ცოტა არ იყოს, მეუხერხულება და ბოლოს, როდესაც ქალღმერთმა ფანტაზიამ მიბრძანა, კმარაო, ხვარაზმშა თავის მაყრიანძღვენიანად გავაქრე პირისაგან მიწისა.

ამ სასწაულებით გამოთაყვანებული მსახურებისა და კარისკაცების წინაშე ვიდექი და ვგრძნობდი, როგორ ვკარგავდი საოცარი გააფთრებით შეძენილ ჯადო უნარს.

დარბაზში გაალმასებული სულთანი შემოიჭრა და მიღრიალა:

– შენ რა, შეიშალე?! რა დაგეტაკა?! ეგ რა ჰქენი?! როგორ გაბედე?!

– როგორ გავბედე? – პათეტიურად შევძახე და რაკიღა ანტიმეს მიერ გამოთქმულ ლანძღვაზე უკეთესი არაფერი მომაგონდა, ყველას გასაგონად დავუმატე, – როგორ გავბედე და როგორც დაგიბარებია, შემოარულო ავანტიურავ, ანონიმური წერილების ~~ჰ~~ომეროსო და უბრალოდ იდიოტომეთქი.

ვუთხარი ეს და ამაყად გამოვიჯახუნე კარი, სამუდამოდ, ერთხელ და სამუდამოდ დავტოვე იქაურობა.

ვიცოდი, რომ იმ სასახლეში აღარასდროს შევადგამდი ფეხს...

ასე შეწყდა ჩემი და ფერია ნას უცნაური სიყვარულის ამბავი, თუმცა, იმედია, დროებით, ქალბატონებო და ბატონებო.

23 იანვარი

... ბოლოს, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასახლეში აღარ დაბრუნდები? — მკითხა, მან.

— არა.

— კი, მაგრამ, რატომ შეტრიალდა ასე უკუღმართად ყველაფერი?

— რა ვიცი.

— გიყვარს, არა?

— გუშინ გაემგზავრნენ სამოგზაუროდ, — ვაცნობე მიხაკოს, — მიატოვეს საჭიანჭველო.

— საით?

— ჯერ ზღვათა სამეფოში, მერე მთებში — ქაჯეთში.

— არ გერჩია წაჰყოლოდი?

— რა ვიცი. ეჰ, რას ვიზამთ, თავს ხომ არ მოვიკლავ?!

— აი, ნახავ — მერე წასვლა მოგინდება, — გამაფრთხილა მიხაკომ.

— თუ მომინდება, წავალ კიდეც.

— იმ ნერვიული დიალოგის მერე აღარც კი გინახავს, მგონი, არა? — მკითხა ვაცმა.

— არა.

— წითელქუდაც წაჰყვა სამოგზაუროდ?

— კი, ისიც წავიდა, — ვთქვი და ამოვიხვნეშე.

— ნუ ხვნეში, — გამიწყრა მიხაკო, — თავი ასწიე ვაცურად. წამო, თუ გინდა, ჩვენც ვიმოგზაუროდ სადმე, უფრო საინტერესო ქვეყნებში.

— ეჰ.

მიხაკო სითბოსაც მიყოფდა, ფიქრსაც, მაგრამ მე იმდენი მაკლდა, რომ ეს არ მყოფნიდა.

მაინც ვერ მოვიშორე მტანჯველი სიცარიელე. მთელი ღამეებისა და დღეების მანძილზე ვიჯექი ჩემს ჯადოსნურ სარკესთან და ვუცქერდი ფერია ნას, ზღვათა ქვეყნის მშვენიერ, მზითა და წყლით გაჟღენთილ დედაქალაქში, პლაჟზე — ისვენებდა, ერთობოდა. გამოსახულება სარკეში ოდნავ მკრთალი იყო, რაც იმაზე მიმანიშნებდა, რომ ფერია ნა ჩემზე მხოლოდ ქვეცნობიერადღა ფიქრობდა. მაგრამ მე მაინც უზომოდ მახარებდა ეს ფაქტი.

ვიჯექი სარკესთან და ვუმზერდი ზღვის პირას მჯდომ ფერია ნას, ოდნავ მღელვარე ტალღებს რომ შეჰყურებდა. გვერდით განუყრელი წითელქუდა ეჯდა. პლაჟზე ახლომახლო არავინ ჩანდა.

უეცრად გამოსახულება გამკვეთრდა — ეტყობა, ფერიას გავახსენდი.

— რაზე ფიქრობ, ნა? — ჩაეკითხა იმ წამსვე წითელქუდა.

— რაზე?

— გინდა, გამოვიცნო, — თქვა წითელქუდამ, — პიერო გახსენდება. ხომ გამოვიცანი?

— ჰო, — თქვა ფერია ნამ, — თუმცა დიდი ხანია ვცდილობ არ ვიფიქრო პიეროზე და ასეც ვიქცევი.

უცებ, სად იყო და სად არა, ზღვის ტალღებიდან სულთნის ერთ-ერთი თანამგზავრი, გენერალ-ფელდმარშალი ამოცურდა გვარიანად გათოშილი — ეტყობა წყალი ცივი იყო, — ნაპირზე გამოვიდა, ნასა და წითელქუდას მიუახლოვდა, წყალი წურნურით ჩამოსდიოდა, პირსახოცს სწვდა და შემშრალება დაიწყო.

— საკვირველია პირდაპირ, რამხელა სიამოვნება შეიძლება მიიღო ზღვაში, — პათოსით განაცხადა გენერალმა, — დღეს ჩვენი იალქნიანი გემით უნდა გავისეირნოთ, ძვირფასო ფერიებო. მზად ხართ? — ომახიანად განაგრძობდა ლაპარაკს.

მერე ზღვიდან კიდევ ორი პერსონაჟი ამოცურდა, ორივე სულთნის ამალიდან: დენდი, თავისი განუშორებელი სტეკით და სასახლის ექსპონატთუხუცესი პალეოზავრი.

— მართალია, რომ საღამოს იალქნიანი გემით ვისეირნებთ? — ჰკითხა მათ წითელქუდამ.

— მართალია, სულ მალე გემი თქვენს განკარგულებაში იქნება, — ელეგანტურად უპასუხა წითელქუდას დენდიმ.

— მე არ მიყვარს გემით სეირნობა, მეშინია, — გამოაცხადა ფერია ნამ.

— რის გეშინია? — გაუკვირდა პალეოზავრს.

მართლაც ასე მოხდა და რამდენიმე ხნის შემდეგ არქაული სტილის განიერაფრიანი ხომალდი მიაპობდა ზღვის ტალღებს.

კაიუტ-კომპანიაში ნადიმი გაემართათ მოსეირნეებს. სუფრას უსხდნენ: ფერია ნა; წითელქუდა; გენერალ-ფელდმარშალი — სულთნის იუბილეების გადამხდელი კომისიის დირექტორი; პალეოზავრი — როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, სასახლის ექსპონატთუხუცესი; დენდი — სულთნისადმი მიძღვნილი ჰიმნების შემსრულებელი კვარტეტის სოლისტი; აგრეთვე კიდევ რამდენიმე წარჩინებული პირი: სულთნის პირადი კონტაქტების მინისტრი მეუღლითურთ; სულთნის მემუარების ავტორი, პროფესორი; სულთნის პლასტიკისა და ტემპერამენტის შემსწავლელი ინსტიტუტის რექტორი და სასახლის მთავარი ფარმაცევტი.

დენდის ხელში მანდოლინა ეჭირა და იმპროვიზირებული ტექსტით მღეროდა ცნობილ ჰიმნს „სულთანმა შეგვაკავშირა ჩვენ!" მართალი გითხრათ, ეს სიმღერა კი არა, ნახევრად დეკლამაცია იყო, რადგან დენდის მუსიკალური სმენა აშკარად ღალატობდა, მით უფრო, რომ შეზარხოშებული ჩანდა.

პროფესორი მზის, ვარსკვლავების, მოთმინების, პირფერობის, მლიქვნელობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილამაზის, ბედნიერების, სიხარულის, სურვილის და სხვა დანარჩენის შესახებ ბრძნულ აზრებს გამოთქვამდა.

მინისტრი ფერიების სადღეგრძელოებს სვამდა გაუთავებლად.

ფარმაცევტი სულთნის სახოტბო სტატიებს კითხულობდა.

რექტორი ამტკიცებდა, გუშინ საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყოო და მაძიებელი ექსპედიციის გამოყოფას ითხოვდა.

პალეოზავრი წითელქუდას ესაუბრებოდა:

– იმ დაღრეჯილ კომედიანტს რა ჰქვია, აი, თქვენთან, თეატრალურ განყოფილებაში რომ ვხედავ ხოლმე ხშირად?

– ვისზე მეკითხები? – ვერ გაიხსენა წითელქუდამ.

– აი, დაბალ-დაბალი რომაა, ჯმუხი.

– რომელი, ქერათმიანი?

– არა, არა, შავგვრემანი, შემკრთალი სახე აქვს.

– ვერასგზით ვერ მივხვდი, ვისზე მეკითხები.

– აი, თქვენთან არის თეატრალურ განყოფილებაში.

– რას ჩააცივდი, – ჩაერია საუბარში გენერალ-ფელდმარშალი, – არის და იყოს, რა გენაღვლება. რას ჩააცივდი წითელქუდას?

– არ ვიცი, ვისზე მეკითხება, ვერ მივხვდი, – საგონებლიდან ვერ ამოდიოდა წითელქუდა.

აი, ასეთი აზრიანი საუბრით იყო სავსე ნადიმი.

იალქნიანი გემი კი მიაპობდა ზღვას.

პალეოზავრი ექსპონატთუხუცესი მეზოზოური ხანის სტილით აღრიალდა, მითხარით, ვინ არის ის დაღრეჯილიო. პროფესორი მოთქმით უჩიოდა უფულობას. ფელდმარშალმა ქალაქი საჭიანჭველო ადღეგრძელა და საზოგადოების ნებართვით მის დედოფალს, ფერია ნას მოწიწებით ეამბორა ხელზე.

მე მთელი ღამე ვიჯექი და ჯადოსნურ სარკეს ჩავცქეროდი.

ჩავცქეროდი კვირების, თვეების განმავლობაში. გამოსახულება სულ უფრო და უფრო იშვიათად მკვეთრდებოდა, მეტწილად ბაცი და მიმქრალი იყო – ნას მეხსიერებას ღრმად და გაუცნობიერებლადღა შემოვრჩენოდი. მაგრამ მაინც დავცქეროდი სარკეს, დავცქეროდი და ვამჩნევდი, როგორ ვიცრიცებოდი, ვფერმკრთალდებოდი და ვქრებოდი ფერია ნას არსებაში.

ვივსებოდი სიცარიელით, უაზრობით და სიცივით.

24. დეპრესია

ქალბატონებო და ბატონებო!

რა მოხდა მერე?

ფერია ნა დიდი ხნით მიეფარა ჩემს ფოლაქისთვალთსანიერს, წარიტყუენა ქაჯეთის მიუვალ ქვეყანაში და ჩემამდე მისი დაუვიწყარი არსების მკრთალი გამოსხივებაღა აღწევდა.

დიახ, დიახ – ალქიმიის უკანასკნელ მიღწევათა თანახმად, თეატრალურ თოჯინას თავისი გამოსხივება აქვს, მათ შორის მარიონეტული ტიპის ეგზემპლარებსაც – იმათ, ვინც დღემდე ჰკიდია ლურსმანზე, რათა საღამოობით სპექტაკლში იმონაწილეოს და იმათაც, ვინც უკვე დიდი ხანია დაიფლითა და მხოლოდ ხსოვნაღა დატოვა თანამსგავსთა შორის. ეგ კი არა, ხარახურის იმ სხვენსაც კი აქვს გამოსხივება, სადაც ჩამოწერილ და გაფუჭებულ მარიონეტებს ჰყრიან და მთელი ეს გამოსხივება, ჩემი წარმოდგენით თეთრკაცუნებიანი ლამაზი სარკმლისკენაა მიმართული, იქ იკრიბება და იქ, იმ სარკმლის მიღმა ყველა და ყველაფერი ერთია.

ნეტავ თუ მოვენატრე ფერია ნას?

ეჰ, მეტი საქმე არა აქვს...

არა, იქნებ...

ფუი – ხედავთ – გავსენტიმენტალურდი კიდეც.

თუმცა მე ისედაც სენტიმენტალური გახლდით... ყოველთვის...

უჰ, რა სულელი ვარ...

●

ნელა მივუყვებოდი დიდი ქირომანტის გამზირს, ბილიარდის კომფორტულ ბურთულაზე ამხედრებული.

სიცხით გათანგული საჭიანჭველოს არქიტექტურამ ისე დამამშვიდა, თითქოს ამ ქალაქში არ გამეტარებინოს ჩემი დღე და მოსწრება...

ასე მივსეირნობდი მზიან გამზირზე და ამ სეირნობა-სეირნობაში რამდენიმე დღე შეუმჩნევლად გავიდა...

ერთგვარად წყნარ და დაუნჯებულ გუნებაზე გახლდით.

თითქოს სასურველსა და სანატრელ სულიერ მდგომარეობას მივაგენი – შინაგანად მშვიდად ვიყავი.

თუმცა ერთი კი იყო – წყალი მწყუროდა, თითქოს უდაბნოში ვყოფილიყავ...

საშინლად ცხელოდა.

ნეტავ სველ ქვიშაზე ვწოლილიყავ პლაჟზე...

მშვიდად ვიყავი, მაგრამ, გამოგიტყდებით, ხანდახან ისეთი საშინელი ხასიათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომივლიდა, სიკვდილი მინდოდა ხოლმე. ყველა მაღიზიანებდა, ყველა უნიჭო მეგონა, არაფერი არ მიყვარდა.

ფერია ნა მენატრებოდა მხოლოდ.

რა იქნება სასწაული რომ მოხდეს და უცებ შემხვდეს ამ გამზირზე...

არ არსებობს სასწაულები...

ჰო, არ არსებობს...

სასწაულის არ მეშინია...

მენატრება?

მერედა, თუ მენატრება, რატომ არ მივდივარ ქაჯეთში თუნდაც ერთი დღით?..

რა მაცინებს, ვითომ არ გაუხარდება?!

ნეტავ რატომ არ მესიზმრება?

ჰო, არ მესიზმრება...

ისე კი, სულ ფერია ნაზე ვფიქრობ...

ლამაზი ფერიაა...

საჭიანჭველოში, ალბათ, იწვიმებს...

იქნებ მოთოვოს კიდეც...

კარგი იქნება, თუ კი მოთოვს — აცივდება...

სიამოვნებით დავლევდი ცივ ღვინოს...

მენატრება... მენატრება...

ბილიარდის ბურთულა მიგორავს დასიცხულ გამზირზე...

●

დავცქერი ჯადოსნურ სარკეს...

ქაჯეთში, მთავარ მოედანზე პოეტი სიმონ გიბონი დგას თავის მეგობრებთან ერთად და თვალს ადევნებს შორიახლოს მოსეირნე ფერია ნას და მის განუყრელ წითელქუდას. სიმონი და მისი მეგობრები, რა თქმა უნდა, შექეიფიანებულები არიან, საუბრობენ ხელოვნებაზე, ვერ გაურკვევიათ, რომელი უფრო დიდი ხელოვნებაა — პოეზია თუ არქიტექტურა. ატრიალებენ სიტყვებს: „არქიტექტორი ქვის პოეტია. პოეტი სულის არქიტექტორია“...

შემდეგ: „ნახე, რა მშვენიერი ფერიები მოსეირნობენ. მართლაც თვალწარმტაცები არიან... ვაჰ, ვაჰ... სულთნის ამალაა, ერთ-ერთი, ვგონებ, მისი ქალიშვილია. ნეტა პიეროც ხომ არ ჩამოსულა — მახსოვს, ამალაში იყო ერთხანს“, — გავახსენდი სიმონ გიბონს.

ამასობაში ნა და წითელქუდა მოახლოვდნენ.

— როგორ მოგწონთ ქაჯეთის ციხე, ფერიებო? — გამოელაპარაკა სიმონი.

ფერიები მთვრალ არშიყს არ გაეპასუხნენ, გზა განაგრძეს.

ჩემი ჯადო-სარკე ახლა მათ გაჰყვა.

— მართლაცდა, როგორ მოგწონს აქაურობა? — ეკითხება წითელქუდა.

— ზღვათა სამეფო მერჩია, — პაუხობს ნა.

უცებ მოედანზე რაშმა ჩაირბინა — დაიწყო ქაჯური რომანტიკა. ნა კი, როგორც ვატყობ, სულ არაა რომანტიკის უმსგავსად დაღლილია, ტირილის გუნებაზეა — ამას მისი გამოსხივება მაგრძნობინებს.

წითელქუდა კი მხიარულადაა.

ნას ზღვაზე ყოფნა უნდა, ნასაც უნდა გამხიარულება.

წითელქუდა კი დროებით საჭიანჭველოში უნდა დაბრუნდეს სულთნის დავალებით.

მათ წარმოდგენაში, ჩემს მაგივრად ახლა ერთი ქაჯი თოჯინაა მიწვეული როლზე, რომელიც ჩემთვის იყო განკუთვნილი, ნას პარტნიორად...

ნა კი ვერ იტანს ქაჯებს...

ნეტავ თუ ვახსოვარ ნას?

ჰო, თუმცა, რომ არ ვახსოვდე, სარკეში როგორღა დავინახავდი...

◐

ვზივარ საჭიანჭველოს ერთ-ერთ ცნობილ ფუნდუკში მიხაკო ვაცთან ერთად (მეგობარი არ მტოვებს გასაჭირში) და ცივ ღვინოს შევექცევით.

ბნელა.

დილიდან ვსვამთ...

ეტყობა, მალე დაღამდება...

ვერ გამიგია, რა მომდის, დავთვერი თუ რაშია საქმე — ტირილი მინდა. მერე ვინ მიშლის? რა, ვერ ვიტირებ? მეტირება და რა ვქნა? ვერა. ვერა...

გარეთ ღრუბლიანი საღამოა...

დღეს დილით ქუჩაში, ჩემს სახლთან წითელი კატა შემხვდა, იცით, როგორი წითელი, ქალბატონებო და ბატონებო? ძალიან მკვეთრი — პომიდორივით. ალბათ, თავიდან თეთრი იყო კატა და ვიღაცამ შეღება. ამის დანახვაზე ხარხარი ამიტყდა...

მიხაკო ვაცი მეუბნება, წადი, რადაც უნდა დაგიჯდეს, ფერია ნა ნახე, თორემ, გატყობ გაგიუებამდე აღარაფერი გაკლიაო.

ვნახო?

არა.

სინათლე მაინც აანთონ ამ ოხერ ფუნდუკში. სინათლე... იმედი... მოდი, იმედს გაუმარჯოს, რაღაც იმედი რომ გაქვს და არ იცი, რისი, მაგრამ იმ იმედით რომ ცოცხლობ.

გაუმარჯოს!

თითოც წავუქციოთ...

ცხელა... ნეტავი ახლა ცივ წყალში ჩამაგდო... რა ოხრად მინდა წყალი, ღვინოა ცივი... უჰ...

◐

ჩემს ჯადოსნურ სარკეში ჩანდა, როგორ ცდილობდა ქაჯეთის კინოთეატრში ფერია ნას გვერდით დარდიმანდად ნამოკოსებული, ორმეტრიანხელებგაშლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ გიბონი ევაჟკაცა და სულთნის ასულის გული მოენადირებინა.

ქალბატონებო და ბატონებო, სულს მითუთქავდა და ეჭვით მავსებდა სცენა ესე:

აი, თავხედმა ბანჯგვლიანი ხელი გააცურა და ფერიას პატარა თითები მოიმწყვდია, თუმცა ამჯერად ნამ ხელი წაართვა.

საიმონ მაიმუნს არ მოსწონდა ფილმი, მობეზრდა.

„გადით გარეთ", ვკარნახობ მე აქედან, საჭიანჭველოდან...

რა უნდა გააკეთონ გარეთ?...

გადით, შეხედეთ ქაჯეთის ციხეს, ამბობენ, ღამით ანათებსო. მაგრამ ნას არ სურს გასვლა, ფილმს უცქერიან. საიმონ მაიმუნი მორიგ შეტევაზე გადადის.

რატომ აწვალებ გამიჯნურებულ პოეტს, ფერიავ, ხომ არაფერი გაწყენინა, ზედ აღარ უყურებ.

ეჭვიანი ხომ არა ხარ, საიმონ მაიმუნო? არა, თავი ისე გიჭირავს... და შენც ფერიავ, ისე იქცევი, თითქოს ვერ ამჩნევდე, რომ გიბონს შენ... რა? არაფერი.

ისევ აიღო პოეტმა მისი ხელი. არ გინდა, სიმონ... ჰა, ისევ წაართვა. რას ქვია არ უნდა?! უნდა.

— გავიდეთ გარეთ, ამბობენ ქაჯეთის ციხე ანათებსო ღამით, — ამბობს პოეტი საიმონ მაიმუნი.

— კარგი, ვნახოთ, როგორ ანათებს, — დგებიან და კინოთეატრიდან გადიან. ჯადოსნური სარკე ქრება... ფერია ნა, მგონი, ქვეცნობიერადაც მივიწყებს...

●

გვიანი საღამოა.

მე და მიხაკო ვაცი მივყვებით ნაქეიფრები ელვა დეპეშათა ქუჩას, გადავდივართ კონნიალა ხიდზე.

მდინარე კალეიდოსკოპში, ეგზალტირებულად მღელვარე ტალღებზე ნავით მოცურავს ვიღაც უცნობი. ამ სიბნელეში სად მიცურავს, ვიღაცაა? რა? უცნაურია? ეჰ, წავიდეს თავისი გზით...

წავედით...

— მადლობა ღმერთს, — ვამბობ ხმამაღლა.

— რა „მადლობა ღმერთს?" — მეკითხება მიხაკო ვაცი კიკინით.

ღმერთს? არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს, რატომ ვთქვი. უნებურად ვთქვი, ეტყობა, მთვრალი ვარ.

●

ჰო, მერე რაღა ჩანს ჯადო-სარკეში.

ქაჯეთის ციხის წინ, ვეება ქვაზე სხედან ფერია ნა და სიმონ გიბონი. მთვარე ანათებს ვეება ციხეს და პოეტის ხელის ვეება ჩრდილი ეფინება ფოლადისფერ კედელს.

ზღაპარს გიამბობს საიმონ მაიმუნი, ფერიავ, გინდა?

უნდა.

ვარდისფერი ბადის ზღაპარს, ოღონდ თუ გაინტერესებს.

— მაინტერესებს.

და პოეტი ყვება ზღაპარს, ძალიან ცნობილ ზღაპარს იმის შესახებ, თუ როგორ გაება მებადურის ბადეში ლამაზი, ჯადოსნური თევზი. მებადური იმისაა, რომ თევზი გააბას. თევზიც იმისაა, რომ გაებას და ბადეც ხომ საამისოდაა მოგონილი. ერთია მხოლოდ — ზღაპარში ბადე ვარდისფერია — სილამაზისათვის. სინამდვილეში ბადე, ალბათ, რუხია, ჭუჭყიანი, შლამით დასვრილი და მღვრიე წყლით გაუღენთილი.

მერე?

მერე პოეტი ზღაპარს ამთავრებს, ფერია ნას კი სიცივე აკრთობს და ამიტომ ორივენი უჩინარდებიან ქაჯეთის ციხის ვეებერთელა და იდუმალი კარის მიღმა... ნა...ნა...ნა... შავდება ჯადო-სარკის კრიალა ზედაპირი... ნა... ნა... მეძინება...

●

მერე მესიზმრება, თითქოს სულთნის სასახლეში ახალი გაზეთების ფრაკში გამონყობილ ენერგიულ პოზას ვხვდები, ჩემი კუთვნილი ჰონორარი უნდა გადმომცეს, ოღონდაც ჯერ საჭიროა მან დეკორატიულ კიოსკში დაიჭიროს ჩემი ჰონორარი — ენერგიულმა პოზამ ენერგიულად შეაგდო კიოსკში ანკეტი — გრძელი ბამბუკი სამწვერიანი კავით... უცებ გაირკვა, რომ ფერია ნას ჩემი ანკეტა არ გადაუცია ბულალტერიაში. დავიღუპე — ვხედავ, რომ ფერია ნა ქაჯეთში მიდის და არ სურს ანკეტა დამიტოვოს, მეუბნება: „არა მაქვს" და გარბის. მივდევ. ის კი მიისწრაფვის, მიილტვის საჭიანჭველოდან. მივძახი: „ფერიავ, ფერიავ!" ის კი „დამანებე თავი. მამაჩემი გაიგონებს. აგერ მისი მფრინავი ხალიჩა. რა გაყვირებს?!" დაღონებული ვბრუნდები შინ, ყვითელი ავტომატების ქუჩაზე. თოვს. თოვლში ორი დათვის ბელი თამაშობს, ერთი ყვითელია, მეორე — ყავისფერი. მომდევენ და უნდათ ჩემი ჭინჭის სხეული დაფლითონ, დაარღვიონ ფერადი ძაფით ამოკემსილი ნაკერები — მეთამაშებიან თავიანთი ჭკუით. მე კი გავრბივარ, შევდივარ შინ. იქ წითელქუდა მხვდება და მეუბნება: „ახლავე ბოდიში მოუხადე სულთანს შენი უმსგავსი საქციელისათვის. თუმცა ესეც არ გიშველის. ფერია ნა სამუდამოდ დარჩა ქაჯეთში"...

●

მერე გამომელვიძა — თურმე, ნაბახუსევს, მიხაკო ვაცის სახლში ჩამძინებია.

— ეგ სულთანი, ბოლო-ბოლო, რა კაცია? — უცებ მეკითხება ჩემი მეგობარი — ეტყობა, შეწყვეტილ საუბარს განაგრძობს.

— რა ვიცი, კარგი ფერიას მამაა, — უილაჯოდ ვხუმრობ მე.

— ისე ხუმრობ, თითქოს მართლა აგრე არ ფიქრობდე... ახალი რა არის შენს შემოქმედებაში?

— ამჟამად კოლომბინასთან ვმუშაობ, ახალ წარმოდგენას ამზადებს.

— ჰო, კოლომბინა ძალიან სიმპათიური ფერიაა, — კიკინებს ვაცი.

— მეც მომწონს. ჰა-და-ჰა — შემიყვარდება.

— ოღონდ, პიერო, — სერიოზულად მირჩევს მიხაკო, — თუ ჩემი მეგობარი ხარ, ამ ახალ რომანს მაინც ნუ დაამთავრებ სკანდალებითა და აურზაურით.

— არა, მიხაკო, სკანდალები აღარ იქნება... ამჯერად ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაივლის.

●

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო — ასეც მოხდა.

არლეკინოების ბედი კოლომბინაა — ასეა დადგენილი როლთა განმრიგეს მიერ.

მეც კოლომბინა მეწერა შუბლზე.

ჩემს კოლომბინას ყავა უყვარს და როცა უნდა შევთავაზო, თითო ფინჯანს შევექცეთ-მეთქი, მუდამ თანახმაა...

ჰო, კიდევ ყველაზე მეტად იმის გახსენება უყვარს, თუ როგორ მივიპატიჟე პირველად ყავის დასალევად... სიამოვნებით ხითხითებს და ბავშვურად ხარობს ამის მოგონებისას...

თუმცა ჩემს კოლომბინას არც სადარდელი აკლია: შემატყობს თუ არა უგუნებობას, წამსვე გაფაციცდება.

— არლეკინო, რა გჭირს, რა ხასიათზე ხარ?

— არა, არაფერი.

მერე კი მოჰყვება წუწუნნარევ მტკიცებას, რომ მას, კოლომბინას ჩემგან არაფერი არ უნდა, არაფრით არ მავალდებულებს.

მე ვდუმვარ ხოლმე, რასაც მოსდევს ბრალდება, თითქოს მასთან ლაპარაკი არ მინდოდეს.

მე ვეუბნები, რომ თავი მტკივა და, როგორც წესი, მსგავს საუბარს მივყავართ განცხადებასთან:

— ვიცი მე შენი თავის ტკივილი. ალბათ, რაღაც მოგაგონდა.

— რა მომაგონდა?

— ძალიანაც კარგად ვიცი, რაც... ვინც!

ასეთ წუთებში ვფიქრობ ხოლმე, ღმერთს მოეწყინა, რომ კარგად მამყოფოს, ავად ვარ და ვერაფერი მიშველის-მეთქი.

— შენ გგონია, ვხუმრობ? აბსოლუტურად მართალი ვარ, — განაგრძობს კოლომბინა.

— წამო, კოლომბინა, თითო ფინჯანი ყავა დავლიოთ.

კოლომბინა მშვიდდება, ყავა სასარგებლო, საამო სასმელია.

●

თუმცა, იმაშიაც გამოგიტყდებით, ქალბატონებო და ბატონებო, რომ კოლომბინა ძალიან მიყვარს და მის გარეშე ჩემი მარიონეტული არსებობა გაცილებით მძიმე იქნებოდა.

●

კოლომბინას ნამდვილად ვაკვირვებ: მე ხომ ისევ ჩემს წარსულზე ვფიქრობ და თუ ასეა, მისგან რა მინდა?!

კოლომბინა ვერ მალავს ამ გაკვირვებას და ამით მამწარებს.

ნეტავ რას ვწვალობ? რას ვემდური ღმერთს თუ ბედს? რა მიშლის ხელს, რაც მინდა, ის გავაკეთო?

მაგრამ რა გავაკეთო?

მოვნახო ფერია ნა! სად არის, ისევ ქაჯეთშია? არ ვიცი.

დავინტერესდე? არა.

— რას ჩაფიქრებულხარ, მოგაგონდა რამე? — მეკითხება კოლომბინა.

●

ო, რა ხშირად მეორდება ეს კითხვა!

მაგრამ ხანდახან დავასწრებ ხოლმე — ხომ გაგიგონიათ, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო...

— რა იყო, კოლომბინა? რაღაც გუნებაზე ვერა ხარ.

გამომცდელი თვალით მიყურებს.

— გითხრა, რატომ ვარ ცუდ გუნებაზე?

— ჰო, რა მოხდა?

— ერთი აზრი ამეკვიატა.

ქაჯეთზე იტყვის რამეს.

— იცი, არლეკინო, მე ძალიან მიყვარხარ.

— მერე? ეგ აზრი აგეკვიატა?

— არა. წადი, მონახე ფერია ნა. იცი, სად არის?

— არ ვიცი.

— სანამ ყველაფერს არ გაარკვევ...

— არ მესმის, რა გინდა.

— არც მე მესმის.

— კოლომბინა, ხომ იცი, რომ მიყვარხარ. სხვა არაფერი ვიცი.

— უნდა წახვიდე, არლეკინო და ის უნდა გააკეთო, რასაც გეუბნები. გააკეთებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არ ვიცი.

– შეგიძლია ახლავე წახვიდე, – ყვირის კოლომბინა და ტირის.

მე ვაწყნარებ.

ის არ წყნარდება და მოითხოვს სასწრაფოდ წავიდე...

ვგრძნობ, რომ კოლომბინას ადვილად ვერ დავამშვიდებ, ამიტომ ჯადო-სარკეს ვიღებ და მიხაკოს ვუკავშირდები.

– ვაცო, – ვეუბნები, – ქაჯეთში წასვლას ვაპირებ, ხომ არ გამომყვები. – თან თვალს ვუკრავ, ვანიშნებ, ყასიდად ვამბობ-მეთქი.

– ქაჯეთში? რა გინდა ქაჯეთში? – გაკვირვებით კიკინებს ვაცი.

– ფერია ნას ნახვა მინდა.

– რას ლაზღანდარობ. არ იცი, რომ ქაჯეთი მიუვალია.

– ვიცი.

– გარდა ამისა, დარწმუნებული ხარ, რომ ფერია ნა ისევ ქაჯეთშია?

– არა, დარწმუნებული არა ვარ.

– იქნებ საჭიანჭველოშია.

– შესაძლოა.

– ჰოდა, ჩემგან რაღა გინდა?

გაღიმებული მიხაკო თვალს მიკრავს და სარკის ზედაპირიდან ორთქლდება.

– ესე იგი აქ არის, ქალაქშია, – ტირილს უმატებს კოლომბინა, – ახლავე მონახე, ახლავე!

– კარგი, კარგი, აი, ბატონ მაჟორს ვკითხავ, – ვამშვიდებ კოლომბინას და სარკიდან წამსვე კითხვის ნიშნად ქცეული მაჟორი მიცქერის.

– პიერო, როგორ ხარ? რას შეუწუხებიხარ?

– შემთხვევით, თუ იცი, სულთნის ამალა ისევ ქაჯეთშია?

– მე მეკითხები? განა შენ არ იცი? შენ გგონია, რომ მე უნდა ვიცოდე? – კითხვა კითხვაზე დამაყარა მაჟორმა.

– მე არ ვიცი და, გამოდის, რომ არც შენ გცოდნია, ბატონო მაჟორო.

– მე ვიცი, რომ სულთნის ამალა საჭიანჭველოში დაბრუნდა, ერთი კვირაა უკვე.

– მაშ, საჭიანჭველოში არიან?

– ეგ კი აღარ ვიცი.

– არ შეგიძლია, დამიზუსტო?

– რაშია საქმე, ფერია ნასთან რომანის აღდგენა ხომ არ გადაწყვიტე?

– არა, უბრალოდ საქმე მაქვს.

– გადაწყვიტა, გადაწყვიტა, – ერევა საუბარში კოლომბინა.

– მერედა, თუ საქმე გაქვს, ეგ სარკე რისთვისაა? – შეკითხვის ფორმას არ ღალატობს მაჟორი.

– ჰო, კარგი, აგრე მოვიქცევი.

– აბა, შენ იცი, – მაჟორი, როშელიც ყვავლაფერს მიხვდა, შეთქმულივით მირიმის და სარკის ზედაპირს ათავისუფლებს.

– ახლა კი ფერია ნასთან დავრეკავ, – ვამბობ შეფარული მუქარით.

– მოიცა, ჯერ მე წავალ და მერე, – თვალცრემლიანი კოლომბინა გარბის. მე კი ვხითხითებ და, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მომდის ფერია ნას ვესაუბრო. რა უნდა ვუთხრა? რა მაქვს სათქმელი, ქალბატონებო და ბატონებო? მირჩიეთ – რა ვქნა?

●

მე და პოეტი სიმონ გიბონი შექეიფიანებულები აღმა მივუყვებით ვეებერთელა კვიპაროსის ტანს.

ვცდილობ არ ჩამოვრჩე თანამესუფრეს, რომელიც ორმეტრიან ხელებს ღონივრად ამუშავებს და თან პოეტიკის პრობლემებზე ლექციას მიკითხავს:

– პოეზია უზარმაზარი, გიგანტური ხეა, ძმაო პიერო, – ვცდილობ ბახუსმა ხელი არა მკრას და ამ სიმაღლე ხიდან ძირს არ გადმომისროლოს, – ფორმით გიგანტური ხეა, ფორმით. კალამს მიუგავს ღერო, რითმები აქვს ფოთლებად და ლამაზია. ჰო, რაგინდ სიმახინჯეზე უნდა წერდე, ლამაზად უნდა წერო მაინც. მწერლის შესახებ თავფურცელზე დახატული პორტრეტით კი არა, თავად წიგნით მსჯელობენ. სტრიქონებშია შემოქმედის ჭეშმარიტი სახე. ყველაზე მეტად შეცდომის უნდა ეშინოდეს კაცს – დაწერ, დაბეჭდავ და მორჩა – ვეღარ ამოშლი. გახსოვდეს, პიერო, ლექსია თუ მოთხრობაა თუ სპექტაკლია – უფრო კეთილი, სუფთა, ლამაზი, ვიდრე მისი დამწერია, არასოდეს არ არის.

– სწორია, სიმონ, სწორი, სწო-ო-რი, – თავდავიწყებით ვყვირი უაზრო, მთვრალი სიხარულით აღტკინებული და მაღლა მივუყვები ვეება კვიპაროსის მერქანს.

●

მეორე დღესაც ჩავსკდით და პოეტმა საიმონ მაიმუნმა ლექცია განაგრძო:

– რატომ ვწერ? რა, საქმე შემომლევია? ხშირად ვეკითხები ჩემს თავს ამას, უფრო სწორად, ჩემი თავი მეკითხება და ვგრძნობ, რომ ცუდი ვინმეა, ვინც ამას მეკითხება, რადგან სურს უსაგნო საგნად მაქციოს, სურს ეს ჩვენი საჭიანჭველო დაინგრეს, არ სურს, რომ ვინმე მიყვარდეს, სილამაზე არ სურს, ბოროტი თვალები აქვს იმ მეორე „მეს“, არ სურს რომ ვარსებობდე, ბოროტი სულია იგი და სიამოვნებს თავისი ბოროტება, არ სურს, რომ ვიყო, ვიყოთ, გვიხაროდეს – იცინის, ხარხარებს ბოროტი სული, ებრძვის დროს, სივრცეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, რომ მოგვკლას... – და პოეტი საიმონი განაგრძობს პათეტიკურ ლაყაფს. მე კი, ზარხოშმორეულს, მინდა წავიდე აქედან, სადმე მიყრუებულ მხარეში – ქაჯეთში, ჯანდაბაში ანდა ჩრდილო პოლუსზე, მივატოვო აქაურობა, ვეტყოდი ყველას, ყველა საჭიანჭველოელს: აბა, თქვენ იცით, მე მივდივარ! ჩემს ნაცვლად, დავუშვათ, ბატონ მაჟორს დავტოვებდი, ვიტყოდი: ამიერიდან ეს იქნება თქვენი არლეკინოც და პიეროც-მეთქი. გამაცილებდა მადლიერი საჭიანჭველო. მე კი ვიტყოდი – კმარა, წადით თქვენი თოკებიანად... ანდა საერთოდ უჩუმრად გავიპარებოდი. ბატონი მაჟორი ჩემს მინორულ ანდერძს გამოაქვეყნებდა, თქვენ კი მხრებს აიჩეჩავდით და იტყოდით: „წავიდა? ძალიანაც კარგი, კეთილი და პატიოსანი...“

– მოდი, პოეტო საიმონ მაიმუნო, გაგიმარჯოს! შევსვათ და შევსვათ...

●

საჭიანჭველოს შემოგარენში არის პატარა დაბა კიბერნეტოპოლი. ჰოდა, იმ მშვენიერ დღეს მე და მიხაკო სატრანსპორტო რითმოსტატით გავემგზავრეთ ამ ლამაზ დაბაში.

რატომ გავემგზავრეთ, თავადაც არ ვიცოდით.

მალე მივხვდით, რომ ძალიან გრძელი და სულელური გასეირნება გამოგვივიდა, თუმცაღა მთავარი მაინც ის იყო, რომ საჭიანჭველოს საზღვარი გადავლახეთ.

– კოლომბინას რომ დაცილდი, არ გიჭირს? – შემომკიკინა მიხაკომ.

არ ვუპასუხე.

ფერია ნა ვერსად ვიპოვე, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ შევიტყე. ვის აღარ ვკითხე.

ამბობდნენ, ცხრაკლიტულში ჰყავს გამოკეტილი სულთანს, რათა რომელიმე სხვა ხვარაზმშას მიათხოვოსო.

საუკუნე იყო, ფერია ნა არ მენახა... საუკუნე და მეტიც...

რითმოსტატის სარკმლიდან უცნაური პეიზაჟი ჩანდა...

რატომღაც კოლომბინა მომაგონდა.

– დავბრუნდეთ? – მკითხა მიხაკომ.

– არ ვიცი, რა ვქნა!

რა ვქნა, ქალბატონებო და ბატონებო? თქვენ მიპასუხებთ, რაც მოსახდენია, მოხდებაო...

ალბათ, სწორი ხართ...

და უცებ ვხვდები, რომ საშინელი შეცდომა დავუშვი, როდესაც ანტიმე გავანადგურე...

მე ახლა ვეძებ ანტიმეს, კარგა ხანია კვალდაკვალ მივსდევ და არ მეშინია, რომ ერთმანეთს რაიმე ხიფათს შევამთხვევთ...

– დავბრუნდეთ საჭიანჭველოში, – ვთქვი.

– დავბრუნდეთ, – დამიკრა კვერი მიხაკომ.

გინდ კიბერნეტოპოლში წადი, გინდ მარსზე – საჭიანჭველოს ვერსად გაექცევი.

დავბრუნდით...

●

დაბრუნებულს, წითელქუდა შემხვდა.

გამოგიტყდებით, დიდად თბილი, დაძმური შეხვედრა გახლდათ.

ერთის ამბით შემომეგება წითელქუდა, ფარვანასავით მევლებოდა თავს.

თუმცა მე მაინც ვერაფერი ვკითხე ფერია ნას შესახებ.

სულელი ვარ, არა?

გადავწყვიტე, ჯადოსარკისათვის მიმემართა და ნას დავკავშირებოდი, მაგრამ გაუბედაობა ხელ-ფეხს მიბორკავდა.

მიხაკოს მოსწყინდა ჭკუის დარიგება. აღარაფერს მეუბნებოდა.

●

რამდენიმე ხნის შემდეგ მხნეობა მოვიკრიფე, წითელქუდას დავუდარაჯდი ულრან ტყეში და როდესაც იგი ბებიასთან ხაჭაპურებიანი კალათით მიდიოდა, წინ გადავუდექი – ფერია ნას ადგილსამყოფელი ვკითხე.

წითელქუდამ მირჩია სისულელეებისათვის თავი დამენებებინა და ჩემი გზით მევლო, რამეთუ ფერია ნასთან აღარაფერი მქონდა საერთო და საერთოდაც, აზრი არ ჰქონდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ავუტირდი, დავუჩოქე წითელქუდას, შევთხოვე დახმარება.

დიდი ყოყმანის შემდეგ გაურკვეველი იმედი მიწყალობა: მითხრა, რომ რაიმეს იღონებდა, თუკი მე მორჩილი და ერთგული მსახური ვიქნებოდი მისი, წითელქუდასი.

– ვნახოთ, როგორ მოიქცევი, – მითხრა და გამარჯვებული სახით დამტოვა ულრან ტყეში.

„ნეტავი მგელი ვყოფილიყავი, ბებიაშენს მიგაყოლებდი-მეთქი“, ვიფიქრე.

●

მაგრამ მე მგელი არ ვიყავი, უბრალო ჭინჭის თოჯინა გახლდით და ამიტომ მეორე დღესვე ისევ ჩავსკდით მე და საიმონ მაიმუნი.

ვადღეგრძელეთ სიზმრები... ფერიები... მეგობრები... ცრემლი... გაგება... ხსოვნა... თავდავიწყება... გატანა... სევდა... დუმილი... და ყველაფერი ერთად.

ბოლოს სიყვარული ვადღეგრძელეთ და ხეზე ავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გამოხდა მცირე ხანი და კვლავ გავუყევით მე და ჩემი მეგობარი პოეტი კვიპაროსის მერქანს ნუნუას წყალობით.

თვალდახუჭული მივირწეოდი კენწეროსაკენ და ვფიქრობდი წინასწარმეტყველ ავტომატზე, რომელიც შესძლებდა გამოეთვალა მომავალი და რომელიც უეჭველად გამაფრთხილებდა, რომ ჩემი ბოლოა საშინლად დაჩაჩანაკებული, ფერგახუნებული, ნაკერებზე ჩარღვეული, მრავალ ალაგს ჩამოფხრეწილი და ჩრჩილთაგან გამოჭმული მომისროლონ ხარახურის სხვენზე. მეცოდებოდა ჩემი თავი და მზად ვიყავ ახლავე საკუთარი ხელით ჩამომეგლიჯა თოკები, რომლებიც მამოძრავებენ და რომლებითაც კედელზე ვკიდივარ. მაგრამ იქვე ვხვდებოდი, რომ ეს არ მიშველიდა – თოკზე მაინც ხელახლა დამკიდებდნენ, ხოლო ეს უაზრო და ნაადრევი თვითმკვლელობა კიდევ უფრო დამასახიჩრებდა და გამწენდა, რის გამოც უეჭველი შეიქმნებოდა წინასწარმეტყველური განაჩენის გარდუვალობა და ხარახურის სხვენზე გადაგდებული, ჩემს თავს დავაბრალებდი საკუთარ უბედურებას, რადგან მომავლის გამომთვლელ ავტომატს არაფერი შეეშლებოდა და კიდევ კარგი, საჭიანჭველოში ასეთი ავტომატები არ არსებობდა.

მე ისევ ვსვამდი და ცუდად ვიყავი, გონებას ვკარგავდი და ვტიროდი, გაუთავებლად მივბობღავდი კვიპაროსის კენწეროსაკენ პოეტ სიმონ გიბონთან ერთად და ქვემოთ ვტოვებდი მზიან საჭიანჭველოს.

ერთ დღეს კი ინვიმა და მივხვდი, რომ ქალაქის ცქერას ზემოთ ცქერა მერჩია, რადგან მახარებდა კენწერო, ცა და სინათლე... ცოტაც და გაპოეტებას აღარაფერი მაკლდა.

წვიმამ გადაიღო და მძიმე, სხივგაუვალი ბურუსი შემოეჯარა კვიპაროსს.

აღარაფერი ჩანდა...

●

ერთხელაც ვსვამდით მე და სიმონი...

მინდოდა წასვლა, მონახვა, ლაპარაკი... ფერია ნა მენატრებოდა. შემეძლო და თან არ მინდოდა...

როდემდე უნდა ვიფიქრო ამაზე...

ჰო, სულ, ერთთავად ამაზე ვფიქრობ, არასოდეს არ ვტოვებ ამ ფიქრს, სულ თან დამაქვს... მშხამავს ეს ფიქრი...

მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია...

პოეტი სიმონი რეალური მითების სადღეგრძელოს სვამს...

●

ნეტავ არ ვცხოვრობდე საჭიანჭველოში, ქალბატონებო და ბატონებო.

უფრო ზუსტად, კარგი იქნებოდა, საჭიანჭველოელი არ ვიყო... ჰო, რა დიდებული იქნებოდა.

– არ ჩამაბარებ ანგარიშს, სად იყავი დაკარგული? – მეკითხება კოლომბინა.

მართლა, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა: კოლომბინას დავუბრუნდი.

ვსვამდი...

ჰო, ვსვამდი, მაგრამ განსჯის უნარი ჯერ არ დამიკარგავს... თუმცა შესაძლოა, დავკარგე კიდეც. მეტიც – მოთხოვნილება დავკარგე განსჯის.

დასახევი ვარ...

არა, არა, მე კიდევ დახევა მინდა, ისედაც საშინლად ვგრძნობ თავს. სიამოვნებით წავიდოდი სიმონთან ერთად...

არა, არა...

ჰო...

არა...

ჰო...

არა...

როგორც ხედავთ, საშინლად ვარ გაორებული, თუმცა ანტიმე ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ გაორებას მაინც ვგრძნობ – თუ რაიმეს გამო ვღელავ, ღელვა საშინლად მაწუხებს და სიმშვიდე მინდა. საკმარისია დავმშვიდდე, რომ ახლა სიმშვიდეს ვეღარ ვიტანს.

მაინც დავუბრუნდი კოლომბინას... თავაზიანად მიმიღო, ისტერიკას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, დავბრუნდი და ერთგვარად დავწყნარდი. საბოლოოდ გადავწყვიტე, ხეზე ფორთხვა მიმეტოვებინა... და ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მოუსვენრობამ შემიპყრო... საერთოდ მოუსვენრად ვცხოვრობ და არ ვიცი, ოდესმე თუ დავკარგავ ამ მოუსვენრობას.

„არაფერია, მთავარია გული არ გაგიტყდესო", – დამამშვიდებთ თქვენ.

ვაი, სირცხვილო, ქალბატონებო და ასე შემდეგნო, სადა მაქვს ნაჭრის თოჯინას გული, მით უმეტეს, გასატეხი...

უჰ, ბრძნული აზრები მაწუხებს, არა?

●

ისევ შემოვუსხედით მე და საიმონ პოეტი, უკაცრავად პასუხია და, სუფრას.

დავიწყეთ საჭიანჭველოს დღეგრძელობით.

განვაგრძეთ ჩვეულებრივ...

●

დაძინებით როგორ ვიძინებ, არ მახსოვს.

გაღვიძებით – კოლომბინა მაღვიძებს ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადე, გაიღვიძე, არლეკინო.
— არ გავიღვიძებ.
— მზე ამოვიდა, არლეკინო.
— არ გავიღვიძებ.
— ბუნებამ გაიღვიძა, არლეკინო.
— არ გავიღვიძებ.
— საჭიანჭველომ გაიღვიძა.
— ჰო, კარგი რა. ნუ მანჯღრევ, ვიღვიძებ.
— ავდგეთ, დილის ლოცვა ვთქვათ, არლეკინო...

მე კი ვერასდიდებით ვერ ვიხსენებ, წუხელ სადა ვსვამდით — იურისკონსულტის დღეობაზე თუ პლებეების დუქანში, ანდა რასა ვსვამდით — პუბლიცისტურ ლუდსა თუ ქრონიკალურ ლიქიორს... ფუი, სკლეროზი...

— იქით მიტრიალდი, — კოლომბინა დგება, შიშველია და რცხვენია.

ვტრიალდები და ისევ ვიძინებ.

●

მე და პოეტი საიმონ მაიმუნი ისევ და ისევ იქა ვართ.

— ნეტავ ნატვრისთვალი მქონდეს, — ვნატრობ.

— ჩემისთანა ჯიუტის ხელში ნატვრისთვალი არ შეიძლება, — ამბობს საიმონი, — ცოდვა-მადლის ტირილს დავატრიალებდი.

— მოდი, ოფიციანტს რაიმე წიგნი მოვატანინოთ და წავიკითხოთ, — შემომაქვს წინადადება.

— შემწვარი სჯობია თუ ჩაბასტურმებული? კარგ რომანზე რას იტყოდი ტყემლით.

— კარგი იქნებოდა.

მერე ჩვენი მეგობრობისას ვსვამთ.

— ჩვენს ძმობას გაუმარჯოს. მარიონეტი მარიონეტითაო, ნათვქამია. ერთმანეთის ცხოვრებით გვეცხოვროს, ერთმანეთის ტკივილი გვტკენოდეს, საკუთარ საქმეზე უფრო ერთმანეთის საქმემ შეგვაწუხოს, საკუთარ ტკივილზე უფრო ერთმანეთის ტკივილი გვტკენოდეს, საკუთარ ყოფაზე უფრო ერთმანეთის ყოფა გვძულებოდეს. გაგვიმარჯოს.

ვყლურწეთ.

●

მერე ხეზე ავდივართ ბანცალით, ძალიან მთვრალები.

ვღიღინებ რაღაცას გაურკვეველად.

ნეტავ სად მივდივართ? პირდაპირ, ანუ ზემოთ. ასე ვიაროთ, ზემოთ. სწორია. სწორი გზაა. გუშინ წითელქუდა ვნახე... არლეკინო დაიკარგა, პიეროც დაიკარგა.

— დავიკარგე, საიმონ მაიმუნო! გესმის?
— სწორი ხარ, დაიკარგე.
— წასვლაა საჭირო, საიმონ მაიმუნო, მოსაძებნად წასვლა.

— ისედაც მიყვარხარ, პიერ, ... უფლება მაქვს კიდეც... ვინ ამიკრძალავს, რომ მიყვარდე... მწამდე, რადგან სიყვარულის ნიჭი რწმენაა. ნუ დამიშლი, პიერო, შენდამი რწმენას და სიყვარულს... ერთად ვებრძოლოთ ბოროტებას და მოვსპოთ...

— ბოროტება რომ არ იყოს, საიმონ გიბონო, სიცარიელე იქნებოდა ბევრი.

მივიწევთ კენნეროსაკენ...

◐

მერე ქარი უბერავს, კენნეროდან მომაფრიალებს შინისკენ და ყვითელი ავტომატების ქუჩაზე — ჩემს ოთახში მიმაფარფატებს. ბინის კარს ვაღებ. ბნელა. ხელისცეცებით ვპოულობ სასანთლეს, ვანთებ სანთელს და... ჩემს წინაშე ვეება სარკეა. სარკიდან კი — ჰოი, — სარკიდან ანტიმე შემომცქერის, მზერას არ მაცილებს და წყნარად მეუბნება:

— გიპოვნე. როგორც იქნა, შეგხვდი. დაგამშვიდებ ახლა მე შენ. გაგამხნევებ. არ გინდა? უარი არ მითხრა, თორემ... შეგაშინე? ახალი რა არის შენსკენ? ყველა სიახლეს ტკივილით ხვდები ხოლმე. ეს ტკივილია, უტვინოვ, სიცოცხლე და, ღმერთმა ნუ ქნას, ანესთეზიით გაიყუჩო ტკივილები... — ვათვალიერებდი ანარეკლს, თვალს თვალში ვუყრიდი, — ახლა მომისმინე, — ჩაახველა ანუ ჩავახველე, — სიტყვით უნდა მოგმართო, მოისმინე მსოფლიოს უდიადესი მოაზროვნის, ინტელექტუალის, ყველა დროის ბრძენთა-ბრძენის, აზროვნების ტიტანთა სიმბოლური ნაკრების ლიდერის, სოლომონ ბრძენის, ნათან ბრძენის და სხვა მრავალი ბრძენის სულიერი მამის, მისი უზარმაზარ-უბრწყინვალეს-უხუმარეს-უჭკვიანეს, უნიჭიერეს-უპირშიმთქმელეს-უდიდებულესობის ანტიმეს მიმართვა მეგობრისადმი, მეგობარ პიეროსადმი, მეგობარ არლეკინოსადმი, მიმართვა, რომელშიც ავტორი მეტისმეტი პირდაპირობით, ერთგვარი ტენდენციურობითა და მრავალი სენტენციით, ლანძღვით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ მიმართავს ადრესატს, — აქ პაუზა დაიბადა, — ეჰ, შე ვირო — მაიმუნო! რაც გითხრა, კარგად გაიგონე, ყურები დაჭყიტე და თვალები არ დაცქვიტო, აიღე ნემსი და თვალის უპეებზე დაიწერე, რაც გითხრა. თუ შეიგონებ, შეგონება იქნება შენთვის, თუ არა და, ხელი დამიბანია. შე-ყვა-რე-ბუ-ლი ხარ? ესე იგი, თავის ქალის შიგთავსში გოგირდმჟავას ანუ H_2SO_4-ის და შილა-ფლავის განზავებული ხსნარი გისხია, ხოლო ცენტრალური ნერვული სისტემის ანუ ჭინჭის ტვინის ნაცვლად მოშლილი კარბიურატორი გაქვს. გაიგე? გაიგე, შეიგნე, რომ შენ, ჩვეულებრივ მარიონეტს, ნაჭრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკინას არ შეგიძლია, უფლება არ გაქვს განიცდიდე იმას, რასაც რომეო მონტეგი, ევგენი ონეგინი, ტარიელ სარიდანის ძე და შმაგი როლანდი განიცდიდნენ მავანი ჯულიეტების, ტატიანების, ნესტანების და დარეჯნების მიმართ. ვაი, შენ, რა გააჭირე საქმე! თავი ანებე ამ სისულელეს. ისე, კაცმა რომ თქვას, არც შენა ხარ დიდად გა-ხელე-ბუ-ლი. რას მივაწეროთ თქვენი ესოდენი პასიური მოკრძალება, შორით ბნედა, შორით დაგვა? არ მითხრა, გაუბედავი ვარ, ფრთები მაქვს, ანგელოზი ვარ და პირზე რძე არ შემშრობიაო. ასეთი აშკარა დემაგოგიური გამოხდომა ანუ ტყუილი არ გაგივა. ისე კი „სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის". ჰო, სასახლეზე გამახსენდა — დინოზავრივით ჭკუამოკლე და გრამაფონივით უნიჭო რომ იყავი, კი ვიცოდი, მაგრამ მთლად მხეცი და პირუტყვი თუ ბრძანდებოდი, არ მეგონა. რას ერჩოდი უდანაშაულო ხვარაზმშას? რას არივ-დარიე სასახლე? Homo homonis lupus est ანუ მარიონეტი მარიონეტისათვის მგელია. ამიტომ ერთიც იქნება და ხვარაზმშაზე შურისმაძიებელი ვინმე წაგაცლის ზედა კიდურს. კარგი იქნება? გაგიხარდება? ახ, არ გეშინია? ეეჰ... გიჯობს, რასაც გეუბნები, შეიგონებდე იმას სახელითა ჭკუისათა, ისე ღმერთისათა და ფანტაზიისათა, შე ბრიყვო თოჯინავ, ამინ!

●

ოთახისაკენ მივბანცალებ, შევდივარ და კატას ვხედავ, მაგიდაზე წამოსკუპულა. ერთხანს უაზროდ ვუცქერი, რადგან კატა არასოდეს მყოლია და არ ვიცი, აქ საიდან გაჩნდა. მერე ვუახლოვდები, ხელს ვუსვამ ფაფუკ ზურგზე. კატა არ უკადრისობს ალერსს და მეც ვეფერები... ვეფ... კატისტყაოსანი... ყველაფერი დაკნინდა...

საიდან გაჩნდი? აბა, მიამბე საკუთარი ბიოგრაფია და მერე მე საინტერესო პარალელებს გავავლებ ჩემს ბიოგრაფიასთან. ვინ ხარ, ფერიავ? კატა ხარ თუ შენა ხარ? არ ვიცი, ვინ ხარ. ჩემთვის უბრალო ცნებად ხარ ქცეული. ჰოდა, მე მგონი, ეს ცნება უფრო მნიშვნელოვანია, ასე ვფიქრობ — ერთხანს ვეალერსები კატას, — არა, კაცმა რომ თქვას, რაში მჭირიხარ. — კატა პროწიალით და ხმამაღალი სიცილით გამყავს წინკარში, შემოსასვლელ კარს ვაღებ და გარეთ ვისვრი.

კარს ვხურავ და ხელებს ვიფერთხავ.

●

ოთახში ვბრუნდები თუ არა, კარზე აკაკუნებენ. ნუთუ კატა მობრუნდა?

ისევ მივბანცალებ დერეფანში და კარს ვაღებ. არა, კატა არ გახლავთ, ნითელქუდაა. წითელქუდას შინ შევუძღვები.

— მობრძანდი, ძვირფასო, — ვეუბნები.

— როგორ ხარ, პიერო? — მეკითხება.

— ძალიან მთვრალი გახლავარ, მშვენიერო, — ვეუბნები.

— რატომ გაქვს ასეთი თვალები?

— იმიტომ, რომ კარგად დაგინახო, ლამაზო.

— რატომ გაქვს ასეთი ყურები?

— იმიტომ, რომ კარგად გავიგონო.

— რატომ გაქვს ასეთი ტუჩები?

— იმიტომ, რომ... — და ვკოცნი. კოცნა ერთხანს გრძელდება. მერე ის მიშორებს და მეუბნება, რომ გულისამრევი არსება ვარ, რომ გული არა მაქვს, რომ მთელი ჭკუა ტუჩებში მაქვს. წითელქუდა ცახცახებს, ისე ირწევა, თითქოს მიწისძვრა იყოს და მე რომ არ წავიქცე, დივანზე ვეშვები. ის კი აღელვებული მახსენებს რაღაცა წმინდას, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება, მკიცხავს და მლანძღავს, მაგრამ მალე პასუხად ჩემი ფშვინვა ისმის. მძინავს და მცირე ხნით გამოთიშული ვარ ორთავე მარიონეტული რეალობიდან.

●

კარზე ბრახუნი მაფხიზლებს. ვდგები. წითელქუდა აღარსადაა. დერეფანში გავდივარ და კარს ვაღებ. პოეტი საიმონ მაიმუნი დგას ბოთლით ხელში და იღიმება.

— რა მექნა? ხომ არ დავიძინებდი?

— მოდი, სიმონ გიბონო, გამახარე.

— ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, — ამბობს პოეტი და ოთახში შემოდის, — მოდი, დავლიოთ, ვიმღეროთ, ვარსკვლავებს ვესაუბროთ, ცხოველების საუბარს მივაყურადოთ, — ბოთლს ხსნის. მე ჭიქები მომაქვს და ვავსებთ.

სიმონი გრძელ მსჯელობას იწყებს მატარებლისა და ცხოვრების ურთიერთმიმსგავსების შესახებ... ვუსმენ და მესმის ანტიმეს ჩურჩული: რაც უნდა მოხდეს, აუცილებლად მოხდება. ესაა, ერთადერთი სიმართლე ქვეყნად: ამიტომ, სულერთია, რა გზას აირჩევ. მარცხნივ წახვალ, მარჯვნივ თუ პირდაპირ. სულერთია, გაიხარებ ანდა ინანებ — ის აგვიხდება, რაც გვიწერია.

ვატყობ, ისევ მომიწევს ანტიმეს ლიკვიდაცია.

●

ბოთლი ძირამდეა დაყვანილი. საიმონ მაიმუნს ორმეტრიანი მკლავები გაუშლია, ტახტზე გადაგორებულა და ძინავს. მე კი ვზივარ და უაზროდ ვუცქერ ერთ რომელიღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერტილს სივრცეში. მერე გადაწყვეტილად ვიღებ სარკეს, ჩემს ჯადო-სარკეს და...

— გამარჯობა, პიერო...

ჯერ მესმის მისი ხმა.

— გამარჯობა, ნა, — ვამბობ და ვხედავ. ვხედავ და მეტი არაფერი, თითქოს მხოლოდ გუშინდელს აქეთ არ მენახოს. — როგორ ხარ, ნა?

— არა მიშავს, პიერო. შენ?

— ისე, რა. რა ხანია, არ მინახიხარ.

— რა ხანია მაინც?

— იქნება ასე 170 დღე.

— 176, — მისწორებს ფერია ნა.

— დიდი ხანია არ მინახიხარ, — ვეუბნები და ვხვდები, რომ თითქმის ყოველდღე თუ ყოველწამს ვხედავ, რომ ყოველ სიზმარში მესიზმრება და ამ ფიქრს მივყავარ შორს — ვგრძნობ, რომ სიზმარი მირჩევნია ცხადს და ვიძინებ. ბურანში წასული, ამის თქმასღა ვახერხებ მხოლოდ:

— ახლა მთვრალი ვარ... ნა... ნა...

და ძალიან შორიდან ჩამესმის:

— კარგი, ხვალ ვისაუბროთ, როცა ფხიზელი იქნები, თუ ამას რაიმე აზრი აქვს. ნახვამდის.

მხრებს ვიჩეჩავ და მხრებაჩეჩილს მეძინება.

●

დილით კოლომბინამ გამაღვიძა. პოეტი საიმონ მაიმუნი აღარსად იყო.

— თავი მტკივა, — ვთქვი მე.

— გალოთდები, — მოკლედ მომიგო კოლომბინამ.

— უკვე გავლოთდი, — მივუბრუნე მე და კვლავ დაძინებას შევეცადე.

კოლომბინამ შემანჯღრია.

— არლეკინო, მოდი, პირდაპირ მითხარი, რას წარმოვადგენ შენთვის?

— ყველაფერს, — სერიოზულ პასუხს თავი ავარიდე.

— ყველაფერს, ანუ არაფერს... — ასკვნის კოლომბინა.

მე კი ძილს ვუბრუნდები.

●

ერთ გვიან საღამოს, არ ვიცი, რატომ, ცხრა ზღვა გადავიარე და წითელქუდას მივაკითხე ბებიასთან. გავულიმე, ოდნავ შეზარხოშებული გახლდით... ჩავკიდე ხელი, მივიყვანე შინ, ჩემთან, ყვითელი ავტომატების ქუჩაზე, დავაბჩინე ქვეყნად ყველა მგელზე მეტად გამგელებული ვეება პირი და ყლაპ... გადავსანსლე პატარა წითელქუდა...

●

გათენდა და გამეღვიძა.

წითელქუდა წყნარად იჯდა ჩემ წინ და მივხვდი, რომ სანამ მეძინა, მონადირე მოსულიყო, გაეჭრა ჩემი გაუმაძღარი მუცელი და ამოეშვა პატარა წითელქუდა.

ესაა მხოლოდ, მისი წითელი ქუდი აღარსად ჩანდა.

მე კი უნდა გამოგიტყდეთ, ძილში არც კი მიგრძვნია კეთილი მონადირის მიერ ჩემს ნაჭრის სხეულზე ჩატარებული უმძიმესი ოპერაცია, რადგან მთელი ღამე ფერია ნა მესიზმრებოდა — თითქოს ხელში ამეყვანა და საჭიანჭველოდან მეცხრე ცაზე გავრბოდი, გავრბოდი, უნდა გავქცეულიყავი აქედან, იმიტომ, რომ აქ მოწყენილობა ბოგინობდა, რადგან ვარსკვლავები ძაღლებივით ყეფდნენ, გზას გვიღობავდნენ, მაგრამ მაინც გავიქეცი და შორს აღმოვჩნდი ამ საზიზღარი, მშობლიური გარემოსაგან. ჩვენ აღმოვჩნდით მწვანე მდელოზე, იქ, სადაც თეთრი კაცუნები მხიარულობენ, მდელოზე, რომელიც წითელკედლებიანი ოთახის სარკმლიდან მოჩანს. მე მიხაროდა და ახლაც მიხარია, ქალბატონებო და ბატონებო, თუმცა ვიცი, ცხადში ვერასდროს შევძლებ, რაც სიზმარში შევძელი, იმიტომ, რომ გვიანაა...

მაგრამ ბედს მაინც არ ვემდური.

●

კოლომბინამ ჰაერი შეისუნთქა და გაფაციცდა:

— წითელქუდას სუნი მც-ე-ე-მს!

ფანჯრიდან ვიცქირები არაფრისმთქმელი თვალებით, ფეიხოას ხეებს ვუმზერ და არხეინად ვუსტვენ.

— ეგღა გვაკლდა, წითელქუდაღა გვაკლდა, — ფოფინებს კოლომბინა.

— გინდა, თითო ფინჯანი დავლიოთ.

— არა, მორჩა, დაემშვიდობე ფინჯნებს, — ყვირის და გარბის.

ფეიხოა ლამაზი ხეა.

●

ისევ მე და პოეტი საიმონ მაიმუნი.

ისევ აღმასვლა კვიპაროსის კენწეროსკენ...

მოსაწყენი და უაზრო ერთფეროვნება.

დაუსრულებელი...

●

— როგორა ხარ, პიერო? — სარკეში მკრთალად მოჩანს ფერია ნას სახე, შორიდან ისმის მისი ხმა.

— არა მიშავს, ხელიდან არ წავსულვარ, — ვლუღლუღებ.

— მე, ალბათ, მალე დავბრუნდები, პიერო.

— როდის? — განურჩევლად ვეკითხები.

— არ ვიცი, როდისმე.

—...

— კარგად იყავი, პიერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადა ხარ, ნა?

— არსად... არსად... არსად... არსად...

ეპილოგი

დიახ, ასე იყო და ასეა, ქალბატონებო და ბატონებო.

მაგრამ ჰიდრა? ჩვენ ხომ სულ გადავიწყეთ ქალაქის ხმაურიანი და აფუთფუთებული, ზღვაებრ მღელვარე ჰიდროცენტრი.

მე ახლა მის მორევში ვცურავ. როგორც ყოველთვის — შფოთავს და ბობოქრობს ათასთავიანი ჰიდრა, თითქოს ათასერთი ღამის ზღაპრის ურჩხული იყოს და ჩვენი შეჭმა სურდეს. აღრჭენს ელექტროფარნებს — კბილებს, ქშინავს, ხახიდან ბული ამოსდის, ნიკოტინით და ბენზინით გაჟღენთილი; იფურთხება და მისი დორბლი — ათასი ლიტრი მორფინი მიედინება ქუჩაში, როგორც ვეება ნემსის წვერში და ქალაქის ვენაში შედის და საოცარი, უაზრო ნეტარებით ივსება ქალაქი. რამდენია ორჯერ ორი? ოთხი... არა, ხუთი... მე კი ისევ შეყვარებული ვარ, ქალბატონებო და ბატონებო... პიერო აბა რისი პიეროა... ვესალმები ნაცნობებს. აგერ ჩემი საუკეთესო მეგობარი მიხაკო ვაცი მოარღვევს ტალღებს, სახე უცინის და კიკინებს მხიარულად:

— პიერო, რომ იცოდე, სულ მალე ვის შეხვდები...

რაო? ვის შევხვდები? რას ამბობთ?..

ჰიდროცენტრის მთრთოლავი სხეული განუზომელი სიხარულნარევი პანიკით ივსება: ... ვის შევხვდები... მეწყინება... მეშინია... წადი, თავი დამანებეთ, ქალბატონებო და ბატონებო...

მიხაკო ვაცის რქიანი თავი იკარგება ათასობით სხვა რქიან თავთა ორომტრიალში.

მინდა მხარულით მოვუსვა აქედან, მაგრამ საიდანღაც გამომტყვრალი ანტიმე არსად მიშვებს... ნეტავ სად გაქრა მიხაკო?... საით წავიდა?... რატომ მიმატოვა?..

ანტიმე იქედნურად ხითხითებს და ერთდროულად მიაგავს ყველა დროის ავსულს, მაცდუნებელ სატანას, მეფისტოფელს და ტარტაროზს... ხარხარებს და საოცარ ფოკუსს აკეთებს — ხელისგულზე აქრობს და აჩენს ჩემი მეგობრის, მიხაკო ვაცის თხის თავს და თავი კიკინებს — შეხვდები, შეხვდები, შეხვდები — და ვნატრობ სამელნეს, რომ ანტიმეს ვესროლო, რამეთუ ყოფნა, არ ყოფნა, საკითხავი ისევ ეს გახლავთ, ქალბატონებო და ბატონებო, ხოლო ანტიმე და ვაცის თავი ორ ხმაში მიმღერიან ირონიულ სერენადას და ცხელა, გაუსაძლისი სიცხე ჩამოწვა, თითქოს ჰიდრა ერთიანად აალდა... იწვის... ცეცხლი უკიდია ჰიდრას... საჭიანჭველო ხანძარმოდებულ ჭაობად იქცა... დგას მყრალი სუნი და ხმაურიანი სიჩუმე, რაღაც უხამსი დუმილი, მოდუნებული, გარყვნილი და დაღლილი... და მე რაღაცის მოლოდინში ვარ, ქალბატონებო და ბატონებო... რისიო, იკითხავთ თქვენ. რა ვიცი, ალბათ, დარდის, ბოღმის და შურის... გავიქცეოდი, მაგრამ მიჭირს აქედან წასვლა... ცხელა და მე არ ვიცი, რა იქნება ასი, ორასი და ათასი წლის შემდეგ, როდესაც დიდი ხნის დახეული და ხარა-ხურის სხვენზე გადაგდებული ვიქნები და ეს მონოლოგიც დავიწყებული გექნებათ, რაღა თქმა უნდა... მე სიზმარში ვარ და მესიზმრება, რომ მუშაითივით მივცოცავ იმ თოკზე, რომლითაც თავადვე ვკიდივარ ლურსმნებიან ოთახში, ხოლო ჩვენი სახელოვანი თეატრი ბანალურ სავაჭროდ ქცეულა თავისი ზღაპრებით, წვიმებით, სანთლებით, ტკივილებით, სევდით და არტისტული სულისკვეთებით... ისმის სევდიანი საგალობელი და ნეტარ არიან მორწმუნენი... ჰიდრა კი დუღს და გადმოდის და საჭიანჭველო ზეიმობს... ზეიმობს და კვდება, ზეიმობს და კვდება და უცებ ჩემს წინაშე — თითქოს არაფერია განსაკუთრებული ამაში — ფერია ნა დგას და ძველებურად „მშობლიურად", ჰო, მშობლიურად — შესაფერისზე შესაფერისი სიტყვაა, ქალბატონებო და ბატონებო, ილიმება...

— პიერო, რას აკეთებ?

— არაფერს, ნა, ვაწვები ცხოვრებას ოთხსავე მხრიდან.

— გასაგებია.

— გასაგებია.

ვიღიმით.

მერე წითელქუდამ ამოყვინთა ჰიდრომორევიდან.

მოგვესალმა და უხერხული სიჩუმე ჩამოაგდო... რაო? არაფერი.

— ისევ იწყება თავიდან? — ამბობს წითელქუდა.

და ორივენი უჩინარდებიან. სამაგიეროდ, მყისიერად ჩნდებიან ბატონი მაუორი და ენერგიული პოზა, მეპატიჟებიან სადღაც წვეულებაზე, უარს ვეუბნები და ქრებიან. მერე ამოყვინთავს მიხაკო ვაცი, შეთქმულივით მიღიმის, ხომ შეხვდით, მიკიკინებს და ისიც ქრება...

მერე მოცურავს კოლომბინა, მიამბობს ერთ-ორ ახალ ჭორს, ვსვამთ თითო ფინჯან ყავას და კოლომბინა ჰიდრატალღებში უჩინარდება. მერე ერთხელაც იელვებს ფერია ნას სახე... ხელს მიქნევს და მიდის არსად... არსად... არსად... არსად...

ჰიდროცენტრი კვლავინდებურად ფუსფუსებს... ირევიან და მიდი-მოდიან ბრძენთა-ბრძენნი და ქოსატყუილები, რაინდები და დავრიშები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და, რა თქმა უნდა, მთვრალი პოეტი სიმონ გიბონი, ანუ საიმონ მაიმუნიც აქაა, ორმეტრიან ხელებს შლის – ხელისგულები კვიპაროსებზე პერმანენტული ფორთოხლით გადაჰყვლეფია, – და დიდის ამბით მეგებება ჩვეულებისამებრ. მჩუქნის თავის ახალ წიგნს – მემუარებს ანუ დღიურებს და მე მესახება იდეა წინამდებარე მონოლოგით მოგმართოთ თქვენ, ქალბატონებო და ბატონებო, ვარჩევ სათანადო ფორმას და შეძლებისდაგვარად მოგითხრობთ ყველაფერს, რაც საჭიანჭველოში ხდება, უფრო სწორად კი, რასაც ჩემი ფოლაქისთვალსაწიერი და ნაჭრის გული სწვდება... და მე მოგმართავთ თქვენ, ქალბატონებო და ბატონებო, და ვხვდები, რომ ჯერ ერთი, ცხოვრებაში არაფერი არ თავდება და ათასჯერაც რომ დავასრულო ეს მონოლოგი, დასასრული არ იქნება ნამდვილი, რადგან ის, ი-ს გრძელდება, და მეორეც – ყველაფერი წამიერია და ერთადერთი, რაც ჭეშმარიტია – მიბაძვაა – რაღაცის, იმის მიბაძვა, გნებავთ კაცუნებიანი სარკმელი დაარქვით, გნებავთ ღმერთი და გნებავთ – ეშმაკი... ოღონდ უკვე დროა შევჩერდეს, რადგან აზრს ვეღარ ვიკრებ და მარიონეტული სამყარო კი ისეა მოუწყობელი, რომ ძალმიძს დაუსრულებლივ ჩამოგითვალოთ ცნობილი და სახელმოხვეჭილი თოჯინები, რომლებსაც არაფერი შერჩათ ამქვეყნად, მაგრამ თვითონ კი სამარადისოდ შერჩნენ ლურსმანზე დაკიდულ თოკებს. მე არ მრცხვენია მზერა გაგისწოროთ, თვალებში შეგხედოთ, მაგრამ აღარ ღირს – სჯობს მივყვე დინებას და თვალი გავადევნო ვეებაბორბლიანი ველოსიპედებით მეცხრე ცისკენ მიმავალ წყვილს, ყური მივუგდო ნაღვლიან მსუბუქ მუსიკას და დავასრულო ჩემი მონოლოგი, ვითა სიზმარი ღამისა, ხოლო თქვენ კი გთხოვთ, რომ მცირე ხნით მაინც ნუ დამივიწყებთ, მე კი, საჭიანჭველოელ პიეროს, არასოდეს დამავიწყდება თოკებით კედელზე მილურსმული მარად უძრავი ნაჭრის თოჯინა, იმ ნაჭრის თოჯინას კი, კედელზე მიკრულს და მწვანემდელოიან სარკმელში მოცქირალს, მუდამ ეხსომება ფერადი და მხიარული ქალაქის, საჭიანჭველოს მკვიდრი არლეკინო, რომელიც მოუსვენარი და საოცრად მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს.

მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ქალბატონებო და ბატონებო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვსენტი კვირტია

თეთრი გვიმები

ნოველა

თომა ტრიალ მინდორში წევს. ხელები თავქვეშ ამოუდვია და ცას უყურებს. თუმცა ცას კი არა, ქალს ხედავს. ქალი ჩამუხლულა და კაბის კალთაში ბალახს აგროვებს.

ეს ქალი თომას დედაა. თომამ იცის, რომ დედა დიდი ხნის გარდაცვლილია, მაგრამ მაინც არ უკვირს მისი დანახვა.

„მერე რა, რომ მოკვდა. ახლა ბალახს აგროვებს. რა მოხდა მერე?"

წყურვილი კლავს. აქეთ-იქით იხედება. წყალი არსად ჩანს.

— აქ წყალს რა უნდა... მხალი კიდევ უპუროდ უნდა ჭამო — არც პური მაქვს... ეუბნება ქალი.

„საწყალი დედა..."

გარდაცვალების დღე ახსენდება. ვიღაცები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მოდიოდნენ და მიდიოდნენ. თითქოს ყველა მოუთმენლად ელოდა, როდის მოკვდებოდა დედა, რომ მერე ამდგარიყვნენ, მოსულიყვნენ და წასულიყვნენ.

თომა დერეფანში იწვა და სამძიმარზე მოსულებს ხელს ართმევდა. უკვირდა — ფეხზე რატომ არ ვდგავარო, რცხვენოდა კიდეც. ხალხს არ უკვირდა. ვითომც აქ არაფერიო — ჩამოართმევდნენ ხელს და მიდიოდნენ.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თვითონ იყო მკვდარი.

იქნებ მართლა მოკვდა? იქნებ თავისი სიკვდილის დღეები ახსენდება, ახლა კი დედასთან ერთადაა და ელოდება, როდის მოუმზადებს დედა საჭმელს...

თომა წევს და ფიქრობს:

„ნუთუ მეც მოვკვდი?.. დერეფანში რატომ ვიწექი ან ხელს როგორ ვართმევდი?.."

უცებ ვიღაცას მისი ხელი გაყვა. ისე ლონივრად ჩამოართვა, რომ კიდური მთლიანად მოძვრა.

— „უკაცრავად..."

— „ბატონო?.."

— „ხელი დამიბრუნეთ, თუ შეიძლება..."

— „ახ! უკაცრავად, უკაცრავად..."

— „ნეტავ მკვდარს თუ ძვრება ხელი?"

გასვენებაში ხალხი ისე ჩქარა მიდიოდა, რომ თომა ჩამორჩა კიდეც. ბოლოს სულ განმარტოვდა. ირგვლივ მიმოიხედა და გული შეუხტა — მიწაზე ბალახით ამოვსებული კუბო იდგა.

თომა ორივე ხელს პირთან მიიდებს და ყვირის:

—„კუბო დაგრჩათ, კუბო!.."

—„ეს კუბო კი არა, მხალის მოსაზელი ვარცლია..."

ეუბნება დედა და ბალახით სავსე კალთას კუბოში ჩაბერტყავს. თომა ქალის მკვდარ მუხლებს ხედავს და ტანში სცრის. ბალახები ჭიაყელებივით არიან — დაცოცავენ, ერთმანეთში იზილებიან, კუბოდან მიწაზე ცვივიან. დედა დაჩოქილა და ბალახებში ხელებს ურევს, თან თომას ულიმის:

— „აქაური მიწის და ცის ნაყოფია..."

თომა წევს და უყურებს.

„დედაჩემი კი არა, ვიღაც ოხერია..."

— „დედაშენი ვარ, შვილო, მოგიკვდეს ჩემი თავი. ვერც წყალს გასმევ, პურიც არა მაქვს, რომ საჭმელს დააყოლო..."

„მკვდარი ხარ, აბა რა ხარ..."

თომა დგება. მარჯვენა ხელი საშინლად ტკივა. პირი ისეთი მშრალი აქვს, რომ ენასაც ვერ ამოძრავებს.

— „მიირთვი!.."

დედა ბალახით სავსე ხელს უწვდის. თითებიდან მოშავო ლორწოვანა ეღვენთება. თომა უკანმოუხედავად გარბის. დედა ეძახის, ეძახის. საშინელი ხმა აქვს, საყვირივით. თომა გარბის და გრძნობს, რომ ყველაფერი ლორწოდ ქცეულა — მიწა, ჰაერი, დედა, თვითონაც კი. ფეხი მიწაზე უსხლტება. უკვე თვითონ კი არა, მიწა გარბის ფეხქვეშ.

„მე მკვდარი კი არა, ლორწო ვყოფილვარ. მოშავო ლორწო..."

— „მიირთვი, მიირთვი!.."

საშინელი ხმით ყვირის დედა

მატარებელმა საყვირის გუგუნით ჩაიქროლა და ნაგავი ააფრიალა. წუთით გამოაცოცხლა რკინიგზის უკაცრიელი მონაკვეთი. თითქოს სანამ მატარებელი მიდიოდა, ისე არ ცხელოდა.

ჩამიჩუმი არ ისმოდა ირგვლივ. ამიტომ, თითქოს უფრო ცხელოდა. მზე გადამხმარ ბალახებში ტკაცუნობდა, კალიები კუთავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორებით ძაღლების ხროვა გამოჩნდა. თავჩაქინდრულებმა მდუმარედ გადაჭრეს ლიანდაგები და თვალს მიეფარნენ.

შორს, ყვითელ გორაკზე, ნახირი შავ წერტილებად მოჩანდა. საქონელი ნელა მიიწევდა, საათის ისარივით.

სულიერი არავინ ჩანდა.

ლიანდაგებთან ბეტონის გვიმები ეყარა. ქათქათებდნენ მზეზე. ზოგი მთელი იყო, ზოგს პირი ჰქონდა ჩამოტეხილი. იქვე გამხმარი ნერგი იდგა. ნერგზე დაფხრეწილი, ჟანგისფერი პერანგი ეკიდა. ჩამოშლილ, ორფა ძაფზე ღილი ირხეოდა ოდნავ.

ერთ-ერთ გვიმში თომა იწვა. ძილგამფრთხალს თავი წამოეწია და ნესტოებს ბერავდა. მატარებლის სუნი სცემდა — შარდის და მაზუთის სუნი, ერთმანეთში არეული. პური, კიტრი და ნახევარი ბოთლი არაყი ჰქონდა. პარკში გახვეული პური თავქვეშ ამოედო. კიტრები და არაყი თავთან დაეწყო.

წუხელ ღამის ცვლაში იმუშავა. დილით ჭიქა არაყი დალია, ცოტა პური დააყოლა და წამოვიდა. სადგურში მატარებელმა გაასწრო. ცოტა ხანს ბაქანზე იჯდა. ისე, უაზროდ. ნათვლიმა კიდეც. მერე ადგა და ლიანდაგებს გაუყვა. ქალაქამდე ხუთი კილომეტრი იყო. გვიმებთან ისე დაიღალა, ისე მოერია ძილი, რომ მეტი არ შეიძლებოდა. არაყი და საჭმელი თან წამოეღო.

გაჩერდა. გვიმები დაათვალიერა. სათითაოდ, ყველგან შეიხედა — არავინ იყო. ან ვინ უნდა ყოფილიყო... თვალები ებლიტებოდა და თავი უსკდებოდა მზისგან. გაიხედ-გამოიხედა. ერიდებოდა — პირველად იქცეოდა ასე. მერე შეძვრა, შემყუდროვდა. გვიმში გრილოდა და ესიამოვნა. კიტრები და არაყი თავთან დაილაგა. პური თავქვეშ ამოიდო. ცოტა ხანს იწვა ასე, გაშტერებული. მოთენთილი ღიმილით უყურებდა ჭერს. თავის თავზე ეღიმებოდა — რამ მომაფიქრაო. ბალახებში ფაჩუნობდა რაღაც. მიაყურადა. წამოჯდა, გამოსვლა დააპირა. გადაიფიქრა. არც უგრძვნია, ისე ჩაეძინა.

თითქოს მაშინვე გააღვიძა მატარებლის ხმამ. მარჯვენა ხელი ისე დაბუჟებოდა, რომ კიდურს საერთოდ ვერ გრძნობდა. წამოჯდა. სულმთლად ოფლში იყო გაწუწული. ბეტონსაც მუქად ეტყობოდა სისველე. პარკი რძისფრად ჩაორთქლილიყო და პური არ ჩანდა.

ცოტა ხანს ვერ გამოერკვა — თავი ისევ სიზმარში ეგონა.

„რამ დამასიზმრა ეს უაზრობა...“

უცებ დედა გაახსენდა. გული შეეკუმშა.

„საწყალი...“

არყის ბოთლს გახედა. დამტვერილ ყელზე ჭიანჭველა მიცოცავდა.

„ნეტავ ვინმე გამოივლიდეს...“

უსათუოდ დაუძახებდა. ჯერ მოუბოდიშებდა, მერე დალევდნენ. ჭიქებს კიტრებისგან გააკეთებდა — დასაკეცი დანა მოისინჯა ჯიბეში.

„ოღონდ ვინმე გამოივლიდეს... პურს გავტეხდით... თუ რამე არსებობს, მიუვა...“

გვიმიდან გამოიხედა. კაციშვილი არ ჩანდა. კალიებს ზეიმი ჰქონდათ.

„რად უნდა კაცს სახლი... კაცის სახლი მიწა და ცაა...“

თავის თავს მაშინვე შეეპასუხა.

„ქარში, წვიმაში, თოვაში რაღა ქნას შენმა კაცმა, არაფერს შეეფაროს? ხომ დაიღუპება!..“

„ქარში, წვიმაში და თოვაში რომ არაფერს შეეფარება, მაშინ იქნება ღვთისშვილი...“

„თუ ღვთისშვილი იყავი, რაღას მიძვრებოდი გვიმში. შუაგულ მზეზე ვერ დაიძინე?..“

„ეხ, რა ვიცი... ალბათ უნდა სახლი...“

„ალბათ კი არა, უნდა...“

ლიანდაგების მეორე მხარეს, მოშორებით, ვიღაც გამოჩნდა.

თომა დაფაცურდა, გვიმიდან გამოძვრა. ხელით მოიჩრდილა. დააკვირდა. ქალი მოდიოდა. ახალგაზრდა ჩანდა, მსუქანი. დიდი ფუთა მოჰქონდა, ეტყობა — მძიმე. მალ-მალე ჩერდებოდა, ხელს უნაცვლებდა. თეთრი ხილაბანდი წაეკრა თავზე.

თომა იდგა და უყურებდა დაღონებული.

„როგორ დავუძახო. რა ვუთხრა...“

ცოტაც და ქალი გაუსწორდებოდა.

„ქალია. კაცი რომ იყოს...“

გვიმში შეიხედა. ბოთლს დააკვირდა — ნახევრამდე ესხა არაყი. კიტრები დათვალა — ხუთი კიტრი იყო. გაიმართა და მობრუნდა. ქალი უკვე ოციოდე ნაბიჯზე იდგა. ხილაბანდი წაეძრო და ოფლს იწმენდდა. კაცს თითქოს ვერ ხედავდა.

„გვიმში რომ ვიხედებოდი, მაშინ შემამჩნევდა...“

ხელით იჩრდილავდა და მოჭუტული თვალებით უყურებდა ქალს. თითქოს აქ ესმოდა მისი მძიმე სუნთქვა.

„ნეტავ რა მიაქვს ამსიმძიმე, სად მიდის... მივეხმარო?.. არა. არ დამიხმარებს — შეეშინდება. ქალია...“

ქალმა ხილაბანდი ისევ წაიკრა. ერთი ხელით ფუთას დაწვდა, მეორე მკერდზე მიიფარა.

„დავუნახივარ...“

ტვირთი მძიმედ ასწია და წავიდა. თომას გული შეუხტა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა — დაძახება დააპირა, მაგრამ... მობრუნდა. გული უცემდა და უცემდა. ისევ მიტრიალდა, გახედა. მზისგან გათანგულ არემარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნერვი უფეთქავდა მხოლოდ — თეთრხილაბანდიანი ქალი.

არაყი თბილი იყო. ბოთლი მოიყუდა. დალია — ნახევარი დატოვა. კიტრი მოკბიჩა — ისიც თბილი იყო, უგემური. ცოტა ხანს იჯდა გვიმის კიდეზე. ძალით იღეჭებოდა. უცებ სახლი, ოჯახი გაახსენდა. გაბრაზებული წამოდგა. თითქოს აქამდე სიზმარში იყო და ახლა გამოფხიზლდაო. კალიების ხმაც თითქოს დამცინავად მოესმა.

„კაცი სულელია...“

გვიმში შეიხედა. პურის დატოვება დაეწანა, აიღო. დანარჩენისთვის ხელი არ უხლია. პერანგი გაისწორა და წავიდა.

ჩქარა მიდიოდა. ნაბიჯებს ითვლიდა გულში:

„ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. კაცს სახლი უნდა...“

გრძნობდა, როგორ ეკიდებოდა არაყი.

„ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი, ოცდაორი. სახლი უნდა კაცს...“

შუბლზე ოფლი გადაასკდა. მზე უმოწყალოდ აჭერდა.

„სამოცდასამი, სამოცდაოთხი, სამოცდახუთი. უნდა კაცს სახლი...“

ქალაქში რომ შევიდა, ოფლში იყო გახვითქული. ჩახუთულ, აქოთებულ ტრამვაიში, უზურგო სკამზე იჯდა. ცხვირის წვერზე ოფლის წვეთი ეკიდა. ვიღაცის ჭუჭყიან ხელს ხედავდა — ფრჩხილები ვარდისფრად ანათებდნენ.

— სახლი თუ გაქვს, მაშინ ხარ ღვთისშვილი...

წამოდგა. იქვე კაცები იდგნენ. გაკვირვებულებმა შეხედეს. უცებ მიხვდა, რომ ხმამაღლა დაილაპარაკა.

მერე შინ იყო. ცოლი პერანგს ხდიდა. რაღაცებს ეკითხებოდა გაბრაზებული და გაოცებული. ქალმა ტანი რომ გაუმშრალა, დაწვა და დაიძინა.

შუაღამისას გაეღვიძა და გაეღვიძა. აღარც მიკარებია ძილი. ჩუმად ადგა. ბავშვებსაც ფეხაკრეფით ჩაუარა და სამზარეულოში შევიდა. შიოდა. სუფრა უხმაუროდ გაიწყო და დაჯდა, პური გატეხა. უცებ რაღაც გაახსენდა. დერეფანში გავიდა. კარადაზე პარკში გახვეული პური იდო. გაეღიმა, სითბოთი აევსო გული. პური გამომშრალი იყო, სიმჟავეშეპარული. მაინც გემრიელი იყო. სოფელში წასვლა გადაწყვიტა კვირის ბოლოსთვის — წელიწადზე მეტი იყო, რაც საფლავზე არ ყოფილა.

მაგიდა რომ აალაგა, თენდებოდა უკვე. აივანზე გავიდა, სიგარეტი გააბოლა. ალვებში ბელურები ჟივჟივებდნენ.

საძინებელში ჩუმად შევიდა. ქალს ეძინა. მშვიდად, მშვიდად სუნთქავდა. თხელი პერანგიდან ძუძუები უჩანდა.

ფრთხილად მიუწვა.

საოცარი, ქალური სურნელი იგრძნო. სახე ახლოს მიუტანა და ღრმად ჩაისუნთქა.

ინვა ასე და ბედნიერი იყო.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახსენდებოდა გუშინდელი დღე: სიზმარი, მატარებელი, რკინის და ფოლადის ჯახანი, შარდის და მაზუთის სუნი, გვიმები, არაყი, ხილაბანდიანი ქალი...

უეცრად ცოლის ღია თვალები დაინახა. ქალმა დიდხანს უყურა, მერე ჩუმად ჰკითხა რაღაც.

სიტყვები ვერ გაარჩია, მაგრამ მაინც დაუქნია თავი. ქალს სახე შეეცვალა, გადაბრუნდა და ზურგი შეაქცია. კაცმა ინანა.

— მაპატიე... მაპატიე... არ გისმენდი...

ქალმა პასუხად მხარი გააქნია. თომა აღარ ჩააცივდა. გადმობრუნდა და საბანი წაიხურა. მოთენთილი იყო. უსიამოვნოდ აურჟოლებდა ტანში.

ცოტა ხანში ქალი გადმობრუნდა. მერე წამოჯდა. კაცი სხეულით გრძნობდა მის ყოველ მოძრაობას. მხარზე ხელის შეხება რომ იგრძნო, სასიამოვნოდ გასცრა. გადმობრუნდა. ქალს პერანგი გაეხადა და ანთებული თვალებით უყურებდა...

თომა ერთი კვირა ლოგინიდან არ ამდგარა — ავად გახდა.

მაღალი სიცხე მისცა. რამდენიმე ღამე თეთრად გაათენა. გაჭირვებით იძინებდა.

ძილში ხილაბანდიანი ქალი ესიზმრებოდა.

ვითომ ისევ იქ იყო, გვიმებთან. ქალიც ისევ იქ იდგა, ლიანდაგებთან.

დაუძახებდა — მოდი, მოდიო. ისიც მივიდოდა.

ქალი ჰკითხავდა — გინდა გითხრა, ფუთით რა მიმაქვსო? მინდაო — პასუხობდა. არაყი დამალევინე და გეტყვიო. ესეც დაფაცურდებოდა — აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა, გვიმშიც შეიხედავდა — სად იყო არაყი?!

ქალი იცინოდა, კვდებოდა სიცილით.

მერე გატრიალდებოდა და მიდიოდა. ტვირთი არ მიჰქონდა.

თომა მივარდებოდა ფუთას — ნასკვებს ეჯაჯგურებოდა.

ამასობაში ეღვიძებოდა კიდეც.

ასე, სულ ერთნაირად, რამდენჯერმე დაესიზმრა.

დედა არ დასიზმრებია... არცერთხელ...

ნემსს მეზობელი ქალი უკეთებდა. იმ ქალს ხელები სულ ცივი ჰქონდა და ხახვის სუნით ქოთდა.

მარტო ამიტომ ღირს გამოჯანმრთელებაო — ეუბნებოდა ცოლს და იცინოდა.

ერთი კვირის თავზე ადგა, გაიარა. მეორე დღისთვის სამსახურში წასვლა გადაწყვიტა. ცოლი გაუბრაზდა — ხომ არ გაგიჟებულხარო. აღარაფერი მიჭირსო — დაამშვიდა. საღამოს პირი გაიპარსა, მოწესრიგდა. ქალმა დაუთოვებული პერანგი შემოუტანა ოთახში. უცებ, თვითონაც რომ არ ელოდა, ისე ჰკითხა:

— მარტო რომ მიდიოდე გზაზე და უცხო კაცმა არყის დასალევად მიგიპატიჟოს, რას იზამ?

— ???

— არაფერი. ისე, გეხუმრე...

მატარებელი ხალხით იყო სავსე. დულდა და ქოთდა იქაურობა. ხალხი ყაყანებდა. მატარებელი რომ დაიძრა, უფრო აყაყანდნენ. მერე ნელ-ნელა მიჩუმდნენ. დაზეპირებულ ხედებს თვალი გაუშტერეს.

თომა ღია ფანჯარასთან იდგა. გული გაჩქარებით უცემდა.

„აი, ახლა გამოჩნდება და...“

მოლოდინი ხან მოზომილ, ხან სასაციოლოდ ეჩვენებოდა. ბავშვივით ვარო — თავს დასცინოდა. ბოლოს მაინც გულმა გაიმარჯვა — თავიც კი გაყო ფანჯარაში.

„ჯერ არა... ცოტაც და გამოჩნდება...“

უცებ ცოლი გაახსენდა. თვალწინ დაუდგა ქალის გუშინდელი სახე. გაოცებული თვალები, ცოტა ეჭვიანიც.

გაელიმა. გუნებაში ცოლს მოეფერა.

გვიმები გამოჩნდა. მაინც და მაინც იქ მოუმატა მატარებელმა სიჩქარეს.

თომა აფორიაქდა. თავი ისევ გაყო ფანჯარაში. გადიდებული თვალებით იყურებოდა.

გვიმები ქათქათებდნენ. ჟანგისფერი პერანგი ნერგზე ისევ ეკიდა.

იქაურობა თვალს რომ მიეფარა, თავი შემოყო და მობრუნდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც სასწაული დაინახა. რაც აქამდე არ უგრძვნია, თითქოს ახლა იგრძნო და შეიცნოო.

გაღიმებულმა მგზავრებს გადახედა.

„ახლა ვიღაცაზე ოდნავ მდიდარი, ოდნავ ბედნიერი ვარ... ალბათ... ალბათ...“

ფანჯარას მოსცილდა და გაოფლილ ხალხს შეერია.

„კვირის ბოლოს სოფელში, სოფელში... აუცილებლად!..“

გიორგი ჯაჯუაშვილი

რომანეთში

მოთხრობა

გზა ცისკენ მიედინებოდა. ჩემი მანქანის თანამგზავრნი: ნათელა, პეტრე და ჩემი ლამაზი ქალიშვილები თავიანთი საფიქრალით იყვნენ დაკავებულნი. პეტრეს ის აწუხებდა, მასპინძელთან რომ მივაღწევთ, მაშინვე ჭურს მოგვიხდის თუ ამ მთისას და იმ ბარისას მოგვიყვება და საუბარში ჩამოგვაბერებსო. ნათელას ერცხვინებოდა, ამ სიშორეზე რომ წამოვიყვანე ეს კაცი (მე), ეგების მანქანამ ვერც ააღწიოს ბოლომდე და შუაგზიდანაც დავბრუნდეთო. უფროს ქალიშვილს თავისი პირმშო და ერთადერთი ვაჟიშვილი აწუხებდა, რომელიც განუწყვეტლივ თუ არა, ნახევარ გზაზე მაინც ტიროდა. წელიწადნახევარი ამ დღეებში შეუსრულდა, ფეხის თანდაყოლილი ამოვარდნილობა შეამჩნიეს და ურეკის ქვიშაზე ურჩიეს მკურნალობა. სწორედ ურეკიდან, უფრო კი წყალწმინდიდან მოდიან ახლა რომანეთში პეტრე და ნათელა, ნათელას დასთან, ვისგანაც სანათლობო ღვინო უნდა წაიღოს, თუ მისცა.

ოქროს კულულებიანი ბიჭია ჩემი ერთადერთი შვილიშვილი აჩიკო, მზესავით ნათელი, მაგრამ ახირებული. შეიძლება ტკივილი აწუხებს და იმიტომაც. ყველა სოფელში შესვლისას და ახალი გარემოს დანახვისას ტირილს იწყებს და გასვლისას წყნარდება. ერთადერთი სოფელი, სადაც მას არ უტირია, ფერეთა იყო, ამიტომაც ჩავინიშნეთ უბის წიგნაკში მისი სახელი. სოფელში შესვლა-გასვლის გარდა, მანქანის მოძრაობაზეც იყო დამოკიდებული მისი გუნება-განწყობა. როგორც კი მანქანას შევაჩერებდი, ტირილს იწყებდა. ძალიან ლამაზი და მოხდენილი ბიჭი რომ არ იყოს, შუაგზაზე მივატოვებდი სადმე.

ჩემს უმცროს ქალიშვილს კი, რომელსაც ეს არის თოთხმეტი წელი შეუსრულდა, მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ ვინ დაგვხვდებოდნენ, სადაც მივიდოდით. ეყოლებოდათ მისი ასაკის გოგონები თუ არა. და თუ ეყოლებოდათ, როგორები იქნებოდნენ: მაღლები თუ დაბლები, ცელქები თუ დაბრძენებულნი და, რაც მთავარია, მათთანაც თუ იქნებოდა სკოლები და გულისგამაწვრილებელი ჯაჯღანა გაკვეთილები, სარაიონო წერები. იმით ტვინის ხეთქვა, განიცდიან თუ არა იტალიაში სასკოლო ინვენტარის ნაკლებობას და სახლიდან დააქვთ თუ არა სკამები, რათა იატაკზე დასხდომა არ მოუწიოთ.

მე?.. რაც მთავარია, მე ვფიქრობ ყველაზე მეტს. ჯერ ერთი, იქ, სადღაც ქვემოთ, დიდი პოეტის სახლ-მუზეუმის მაჩვენებელი იდგა და გადახვევა რომ დავაპირე, ერთბაშად იუარეს, უკან რომ დავბრუნდებით, მაშინ შევიაროთო. ჩემს ქალიშვილებსაც საკმაოდ აწუხებდათ ეს ამბავი, მაგრამ არ შეიმჩნიეს.

მეორე, რაც მე მაღელვებდა, საწვავის საკითხი იყო. საქმე იმაშია, რომ სანამ რომანეთის აღმართებს შევუდგებოდით, ათასი სოფლები მომატარეს. მკითხავთ, რატომო? ჩემი ნლინახევრის შვილიშვილს თავისი მეგობარი უნდა ენახა, რომელიც ექვსი თვისამ გაიცნო თბილისის ტრამვაიტროლეი... უკაცრავად, ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში მუშაობის კი არა, მკურნალობის დროს. მართალია, შვილიშვილს სულაც არ გამოუთქვამს თავისი მეგობრის ნახვის სურვილი, მაგრამ სამაგიეროდ დედამისმა გამოხატა ძალიან მძაფრად, თუმცა ახლა დედამისი უფრო ჩემზე მეტად წუხდა ბაკში დაცოტავებული ბენზინის გამო.

არანაკლებ წუხდა ნათელა: ვაითუ ფერეთაგამოვლილმა მანქანამ რომანეთამდე ვეღარ ააღწიოსო. მაგასაც რომ თავი დავანებოთ, ვაითუ შემოგვაღამდეს და უკან დავბრუნდეთო. ისიც ეხათრებოდა, გზები რომ ოღროჩოღრო და მიუვალი იყო საჯიხვე ბილიკივით. შიგადაშიგ შიშსაც გამოთქვამდა ხმამაღლა, მაგრამ პეტრე მაშინვე უქარწყლებდა: შენ ფიქრი ნუ გაქვს, რაც ამ მანქანამ უკვდავების წყალზე წასვლისას მთები გადალახა, შენი რომანეთის გზა მასთან შედარებით სტადიონის სარბენ ბილიკად მოგეჩვენებაო.

პეტრეს ლაშიჭალაში მგზავრობა ჰქონდა მხედველობაში, ათი მთა რომ გადავიარეთ.

— კიდევ დიდი გზა დარჩა? — ვიკითხე სხვათაშორის.

შეკითხვა ნათელას გასაგონად იყო, მაგრამ ხმა არ ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ დიდი გზა დარჩა, ნათელა? — პეტრემ ჩამომართვა შეკითხვა.

— აღარ მახსოვს, პეტრე, მგონი, დიდი გზა აღარ უნდა იყოს.

— შე კაი ქალო, აქ გაიზარდე და ის აღარ იცი, დიდი გზა დარჩა თუ არა?

— აქ კი არ გავიზარდე, ჩემო პეტრე, აქ ჩემი და არის გათხოვილი. მე კი სულორში გავიზარდე.

— აჰ, სულორში... შორსაა სულორი?

— იქით მთაზეა. სხვა გზით უნდა წავიდეთ სულორში.

— ყველა სოფელი მთაზე ყოფილა აქეთ.

— ყველა სოფელი მთაზე არ არის. მხოლოდ რომანეთია მთაზე, საპრასია, სულორი და ზოგიერთი სხვები. დანარჩენი კი ბარის სოფლებია. შენც ხომ დაინახე გამოვლისას და რატომ მეკითხები?

— კი დავინახე. მანქანას ხომ არ გაუჭირდება, გიორგი? — მომიბრუნდა პეტრე.

— თუ ამაზე უარესი გზები არ არის, არ გაუჭირდება.

— უარესი არ უნდა იყოს. — ამბობს ნათელა და თვითონაც არ სჯერა თავისი ნათქვამისა.

— ამან რო გზებზე იარა უკვდავების წყალზე წასვლისას... — მამხნევებს თუ მაქებს პეტრე, — მოსახვევთან ცოტა ხანს ხომ არ გაგვეჩერებინა, ჩემო გიორგი, ხეობისთვის გადაგვეხედა.

— სიამოვნებით. — ვეთანხმები მაშინვე.

მანქანას ცოტახნით ვაჩერებთ, გადმოვდივართ და იქაურობას ვათვალიერებთ.

აჩიკო ტირილს იწყებს.

— არჩილ! — ცდილობს, შეძახილით დაამშვიდოს პეტრემ.

— მშვენიერი ბუნებაა! — ვამბობ კმაყოფილებით.

— გადასარევი სიმინდია! — მითითებს პეტრე ხეობის გაღმა, — ვაზიც კარგი ჩანს.

— კი, ყველაფერი მშვენიერია. საინტერესოა, სხვა ქვეყნებიც თუ ასე ლამაზებია, რომლებიც ჩვენ არ გვინახავს!

— სხვა ქვეყნები რატომ იქნება ასე ლამაზი? თუმცა...

— რა გვეშველება, ჩვენ ხომ არ გვინახავს?

— არ ვიცი. — ისეთი ტონით მპასუხობს პეტრე, თითქოს მისი ბრალი იყოს.

ხეობაში დიდი ლოდები ეყარა და პატარა მდინარე მოიპარებოდა.

ნათელა არ გადმოსულა: ეჩქარება, მალე წავიდეთო და ჩვენც ამიტომ ვჩქარობთ, თორემ იქაურობის თვალიერებას რა შეედრება?!

წვიმა წამოვიდა. ჩავსხედით.

— წვიმა ხელს ხომ არ შეგვიშლის: — კითხულობს ნათელა.

— თუ ასეთი ქვიანი გზები, ალბათ ფუ თიხიანია, ვაი, ჩვენი ბრალი!

— თიხიანი არ უნდა იყოს. — ვარაუდობს ნათელა, თუმცა ჩვენზე უკეთ იცის.

— ვნახოთ. — მინდა ვირწმუნო მისი ვარაუდი.

რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო მატულობს ბურუსი და ზუნგლი.. მზემ დიდი ხანია, პირი აგვარიდა და ჩვენი დანახვა აღარ ნებავს. ან რაში დავაინტერესებთ, კლდე-ღრეში მოხეტიალე უსაქმო ხალხი. თუმცა ეს რომ ნათელამ გაიგონოს, მეტიც აღარ უნდა: ქალს სწადია, საგანგებო ღვინო ჩამოიტანოს რომანეთიდან და მე კიდევ უსაქმობას ვწამებ. ამბობს, რომანეთში და მყავს გათხოვილი და საუკეთესო ღვინოს გამომატანსო. საუკეთესო ღვინის შოვნა კი უსაქმობას არ ნიშნავს.

— აქეთ შეუხვიეთ, მგონი აქეთ არის. — მითითებს ნათელა ყოყმანით.

— ამის მეტად არ ყოფილხართ? — მაკვირვებს მისი შეკითხვა.

— კი, ვყოფილვარ.

— შვილები ჰყავს თქვენს დას?

— მგონი, კი... კი ყავს. — დაამატა ცოტა ხნის შემდეგ.

— ალბათ როცა გაათხოვეთ, მაშინ იყავით!

— მას შემდეგაც ვყოფილვარ. ყავს, შვილები კი ყავს. — დაასკვნა საბოლოოდ.

გზა თანდათან თიხიანი ხდება და მანქანა კუდს იქნევს აქეთ-იქით.

— თუ ასე გაგრძელდა, მისვლა გაგვიძნელდება.

თანდათან გაჭირდა სვლა.

— აქ შეგვიძლია გავაჩეროთ და ფეხით წავიდეთ. აქვეა. — რჩევას იძლევა ნათელა.

— თუ მართლა აქვეა, ასე ვუყოთ. მანქანას ხომ არ გაგვიძარცვავენ?!

— არა. აი, აქ კოლმეურნეობის ეზოში შევიყვანოთ და იქ გავაჩეროთ. — მითითებს პირდაპირ მდგარი შენობისკენ.

კოლმეურნეობის ეზოში უკეთესია: ყველაფერი საერთოა და ხელს არავინ ახლებს.

— პირიქით, ყველა შიგ ჩაჯდება. — ჩაერია ჩემი უფროსი ქალიშვილი.

— ჩავკეტავ.

— ჩაკეტვა აჯობებს. — მეთანხმება პეტრე.

მანქანას კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ვაჩერებ. გადმოვდივართ, ვკეტავ და ეზოდან გადმოვდივართ. იქვე ყორეზე კაცები და ბიჭები სხედან, ზუნგლს რომ არ უშინდებიან. საბედნიეროდ, არცერთის სახეზე არ იკითხება მანქანასთან მისვლის სურვილი.

მერე პატარა აღმართს ავდივართ და ვიწრო, მოლინჭყულ ორღობეს მივუყვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი გვიცურს, მაგრა თან ისე ეწებება, წაქცევის ნებას არ იძლევა. მარჯვნივ შაბიამნით შეწამლული, ჭიგოზე აკრული მსხმოიარე პამიდვრის ბაღჩა და საღორეა, მარცხნივ — სამი სახლი, პატარა ეზოებით და თითოოროლა ხეხილით.

— ეს სახლია! — პირველივე სახლზე გვითითებს ნათელა.

ეზოში შევდივართ. ბრეზენტის პალტონამოსხმული მხცამორეული შუახნის კაცი დაბალ სკამზე ზის და კალათას წნავს. ჩვენს დანახვაზე ხელის მოძრაობა გააჩერა, დაგვაკვირდა და, როცა წინმიმავალი ნათელა შეიცნო, სკამიდან წამოდგა. წამოდგა და უფრო ნათლად დავინახე შუატანის ჩაკირული ლოყებღაჟღაჟა კაცი.

— მიკვირს, გაგხსენებივართ?

— რად გიკვირს, შე კაცო, არც შენ მიტალახებ კარს!.. მობრძანდით! — მოგვხედა უკან.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მიგვიპატიჟა მასპინძელმაც და ამ ხმაზე ორსართულიანი პატარა სახლის პირველი სართულიდან ორი გოგონა გამოვიდა: ერთი მათგანი მეშვიდე კლასში გადასული იქნებოდა და მეორე — მეათეში.

— გაიცანით, ჩემო ბატონო, ჩემი დისქმარია! — კვლავ მოგვიბრუნდა ნათელა.

პირველი პეტრე მივიდა.

— პეტრე, შენი ჭირიმე! — გაეცნო ალერსიანი ხმით.

— პავლე, ჩემო ბატონო! — ხელი ჩამოართვა მასპინძელმა და ახლა ჩვენ ჩამოგვიარა სათითაოდ.

პეტრე-პავლეს ხსენებაზე ოდნავ გამეღიმა. პეტრესაც ესიამოვნა ეს ფაქტი და პავლესაც.

— მობრძანდით, სახლში მობრძანდით!.. კაი დროს კი ვერ მოხვედით, შენი და ზღვაზეა წასული. — დამნაშავესავით მიუბრუნდა ნათელას.

— რა მითხარი?! — იწყინა ნათელამ.

— გუშინ წავიდა. ადრე რომ ცდილიყავით... თუთხმეტი წელია, არსად დაუსვენია საწყალს და... ვიფიქრე, დაისვენოს-მეთქი.

— თხუთმეტ წელიწადში ერთხელ წავიდა და ისიც მაშინ, მე რომ ჩამოვედი?!

— ასეა... ხშირად რომ ამოხვიდეთ, ხშირად დაისვენებს.

— ასე რომ მცოდნოდა... — აღარ დაამთავრა ნათელამ სათქმელი, მერე გვერდით მდგარ პეტრეს რაღაც გადაულაპარაკა, რაკი მასპინძლის ყურადღება მოდუნებულად ჩათვალა და უმიზნოდ დაუწყო თვალიერება ეზოს.

— რაო? — ჰკითხა პეტრემ ხმამაღლა, როცა პავლე შიგნით შევიდა.

— არ ვიცი. არაფერი არ ვიცი.

— მაინც რას აპირებ?

— მე ვერაფერს გეტყვი. თავისით თუ ინამუსებს და გამატანს რასმე...

— იქნებ არაფერი გაგვატანოს?

— რა ვქნა. ჩემი და რომ შინ იყოს, სხვა საქმე იყო. იმას ვეტყოდი.

აჩიკო ტირის, მაგრამ დეიდას მავთულხლართთან მიჰყავს, ღობის მაგივრობას რომ ასრულებს და მეზობლის ეზოში ახედებს, სადაც რამდენიმე ბავშვი დატანტალებს. ჩვენს დანახვაზე ერთი, შედარებით მოზრდილი ბიჭი, შინ შედის და ხმას უმაღლებს მაგნიტოფონს, რომელიც მედოლემეგარმონის რომელიღაც ტლანქ სიმღერას უკრავს, თუ მასაც შეიძლება, რომ სიმღერა ეწოდოს.

— შენი და რაღაა, ეგეც ხომ ამ ოჯახისაა?! — ამხნევებს პეტრე.

— არ ვიცი, — იშმუშნება ნათელა.

ოთახიდან პავლე გამოდის. პეტრეს თვალები უნათდება ხაპის დანახვაზე და ათიოდე წლით მაინც ახალგაზრდავდება.

— კარგ ადგილას გქონია ჭურები, მე და ჩემმა ღმერთმა! ზოგიერთს მზვარეში აქვს და მალე უჭანგდება.

— კი. მზვარეში თუ გაქვს, მაშინვე მოჭანგდება. დალოცვილს ისეთი მოვლა უნდა, რავარიც ცოლსა და ცხენსაო, ასე გამიგონია, — პავლე ხაპს კომშზე აყუდებს და ქვევრს ნიჩბით აცლის მიწას.

სამზეოს პირი არ უჩანს და კვლავ სცრის ძველებურად. აჩიკო თქორს არ უშინდება და კვლავ მეზობლის ეზოსკენ იყურება, სადაც ორი იმხელები და კიდევ უფრო მოზრდილი ბალღები დატანტალებენ და საიდანაც კვლავ მოისმის მაგნიტოფონის ხრიალი.

პავლემ სუფთად გადააცალა მინა, გადაგავა კიდეც, სახურავს ფრთხილად მოჰკიდა ხელი, ცალი მხრიდან ასწია და ნელ-ნელა ააცალა საგულდაგულოდ დაზელილ თიხას, რომლითაც ქვევრის სარქველი იყო დაწებებული.

ნათელა თავის დისშვილებთან შევიდა ოთახში. ჩემმა უფროსმა ქალიშვილმაც მათთან ყოფნა ირჩია. მხოლოდ აჩიკო და დეიდამისი ჩალიჩობდნენ ეზოში.

ზეთივით იდგა ღვინო. არავითარი ბრკე არ მოეგდო.

— ცოლიკოურია? — იკითხა პეტრემ.

— კი, — პავლემ ჭიქა ჩაყო და პეტრეს გაუწოდა.

პეტრეს გაეღიმა, ჭიქა ჩამოართვა და პირის მაგივრად ცხვირთან მიიტანა. მერე ტუჩიც შეახო, დაიგემოვნა, „იყოს მშვიდობაო!" — თქვა და დალია.

— ცოტა ტკბილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კი. ტკბილია. დადულება ვერ მოასწრო.

ვიფიქრე, ბევრ შაქარს იზამდა-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ სიტკბო შაქრის ბრალიც სულაც არ არის, მართლა დადულების ბრალია. ვერც იმას იტყვით, ყურძენი ძალიან დამწიფებულიყო და სიტკბოს მიზეზი ეს არისო. ერთხელ მთელი ბადაგი ღვინოდ გვექცა და იმაზე მჭახე დასალევი არაფერი შემხვედრია.

ახლა მე გამომიწოდა ჭიქა პეტრემ.

– ვერ დავლევ.

– აუცილებლად უნდა მიირთვათ. ოჯახში შემოსულ სტუმარს ისე არ გავუშვებ.

– საჭესთან ვზივარ.

– ჭიქა ღვინო საჭეს რას დაუშლის.

– ინსპექტორისთვის სულერთია. სუნი თუ ამოგდის, მეტი არაფერი უნდა.

– ამ მიუსავალში ინსპექტორს რა ამოიყვანს.

– აქ კი არ ამოვა, მთავარ გზაზე იდგება, აქედან რომ წავალთ.

– ამაღამ არსად გაგიშვებთ და მთავარ გზაზე რა გინდა?

– ეგ შეუძლებელია.

– მოსვლა შენი სურვილი იყო, წასვლა ჩემზეა.

– დალიე ერთი ჭიქა, არაფერი მოხდება, – მირჩია პეტრემაც, რაკიღა პავლეს ამგვარმა განცხადებამ ერთგვარად გაამხნევა. მერე მიუბრუნდა და გადაუჩურჩულა:

– ნათელამ არა გითხრა რა?

– არა. რა უნდა ეთქვა?

– ღვინო გვინდა ცოტა, წასაღებად.

პავლემ ხმა არ ამოიღო.

– რას იტყვი? – ისევ პეტრემ გაბედა.

– მაგაზე მერე ვისაუბროთ. – თვალს არ მაშორებდა პავლე და შევატყვე, ჩემს შუბლზე ცდილობდა ამოეკითხა, როგორი ღვინო ჰქონდა. მომწონდა თუ არა. ვერ მოითმინა და, როგორც კი ჭიქა გამოვცალე, თვითონვე დამასწრო: – რავარია!.. კახურთან არ მოგეწონება, მარა...

– რატომ?.. კარგია! – შემატყო, დავნაყე სიტყვა.

– კარგი არაა, მარა.... სხვა დროს უკეთესი ღვინო მქონია.

– ქმარი ჰყავს ნათელას ავად, ხომ იცი. – ისარგებლა პეტრემ პავლეს გამოთავისუფლებული ყურადღებით.

– ვიცი.

– გასაქანი არა აქვს, რომ იყიდოს.

პავლეს ხმა არ ამოუღია. ქვევრიდან დოქი აავსო ხაპით, მერე სახლისკენ დაიძახა, ერთი ხელადა კიდევ წამომიღეთო და მე მომიბრუნდა:

– გვიან დავკრიფე. მოწეული კარგად იყო, მარა მალე აცივდა და დადულება ველარ მოასწრო. კახეთში კარგ-კარგი იცის.

– თქვენ საიდან იცით.

– ხშირად ჩავდივარ... ისე, ამბობენ, თითქოს კახეთიდან ვიყვნეთ გადმოსულები.

– რა გვარი ბრძანდებით?

– გამეზარდაშვილი.

– მაგ გვარის ხალხი მგონი არ ცხოვრობს კახეთში. ვინც არის, ყველა იმერელია.

– კახეთიდან აქ გადმოსახლდნენო და რავა ესახლებიან.

– შესაძლებელია.

გოგონამ ხელადა მოუტანა. პაკლემ ხაპით ღვინო ამოიღო და გავსება დაუწყო.

კარგა ხანია, საბოლოოდ დამშვიდდა აჩიკო. ეტყობა, ჰაერმა არგო. მისი ყურადღება ჩვენ მივიქციეთ და დეიდასთან ერთად თავზე წამოგვადგა.

– ღვინოს არ მიირთმევ, ბიძია? – ეკითხება პავლე ჩემს უმცროს ქალიშვილს.

ჩემმა ქალიშვილმა ღიმილით შემომხედა გაკვირვების ნიშნად. დღეს პირველად სთავაზობენ ღვინოს და თანაც მირთმევით.

– ჰა, მიირთვით! – ასხამს ჭიქაში.

– არა ვსვამ, – იღიმის დარცხვენით.

– ა, ბატონო! – აწვდის პეტრეს.

– ო, რა ქალია, ეს თქვენი ცოლისდა! – ართმევს ჭიქას პეტრე, – მეოჯახე ხომ არის და არის, მარა ჩაის კრეფაში ბადალი არა ჰყავს.

– ცოლისდის სიკეთეს რავა მასწავლი, შეკაცო!

– არა, პავლე, თქვენ იშვიათად ხვდებით და ჩვენ აგერ, ოცდასამ წელზე მეტია, მეზობლად ვცხოვრობთ და ამისთანა ქალი მეორე არ მეგულება წყალწმინდაში.

– ვიცი, ჩემო პეტრე.

– ახლა ცოტა ჩამორჩნენ, თვარა... რაც ქმარი ავად ჰყავს, ხან იქით დაჰყავს სამკურნალოდ, ხან აქეთ და... იკარგება დრო... დრო კი, მოგეხსენებათ, ფული ღირს, ჩემო ბატონო.

– ვიცი, ჩემო ბატონო.

პეტრემ დალია.

– კაი ღვინოა! კი შეიძლება ამით ქეიფი... – კიდევ რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ პავლემ დაასწრო:

– ჩქარა ქენი, გოგო! – იძახის დერეფნისაკენ, სადაც მის უფროს გოგონას ერთი ქათმის გაპუტვა მოუთავებია, ქვაბშიც ჩაუდვია მოსახარშად და მეორეს ეწვალება.

– ნამეტანი კაი გოგუნა გყავს! – აქებს პეტრე ამ გასხენებაზე, – მაგხელა ბავშვებმა ცხვირსახოცის გარეცხვაც არ იციან... ნათელასაც ნამეტანი კაი შვილები ჰყავს, მარა... უჭირთ და... ახლა ოთხი-ხუთი ფუთი ნამეტანი მონათლავდათ. დღეობა არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხადოს, არც ეგ შეიძლება, შე კაცო, მძახლები მოდიან.

— რავა შეიძლება. — უპასუხა პეტრეს და სარქველს გადაჰხედა.

— არადა, ვეღარ არიან ძველებურად, ფული რომ მოსდევდეთ. დაკარგული დრო, მოგეხსენებათ, ფულია, ჩემო ბატონო.

— ფულია. — დაემოწმა პავლე, როცა ჭიქა გამოცალა და პეტრეს შეუვსო. მერე ხელადა ქვევრის პირიდან მოაშორა, ცარიელი ორშიმო კომშზე მიაყუდა, სარქველი ციმციმ აიღო, ქვევრის პირს უპირისპირა და ნელნელა დაუშვა. დადო, გაასწორა, მერე ზემოდან ფეხებით შედგა და ისე გულიანად დატკეპნა, საეჭვოა, ოდესმე ახდიდა თუ არა.

პეტრემ ღრმად ამოისუნთქა და ჩემკენ გადმოინაცვლა. მე რამდენიმე ნაბიჯით კიდევ გავეცალე იქაურობას და პეტრეც თან მომყვა.

— მაგისგან არა გამოვა რა, — მიჩურჩულა დუმილის შემდეგ.

— ვითომ არ გაგვატანს? — ვცადე ხავსს ჩაჭიდება.

— გამტანებელი კაცი ასე გულდაგულ არ დატკეპნიდა მიწას! — მიმითითა პეტრემ ქვევრისკენ, რომლისთვისაც პავლეს უკვე მიწა დაეყარა და მართლა საგულდაგულოდ ტკეპნიდა, — ხომ ასეა?!

— კი.

— არ ყოფილა კაცი და ეგაა!

— იქნებ რაშია საქმე, ჩვენ ხომ არ ვიცით! — ვცადე პავლეს გამართლება.

— რაშიც უნდა იყოს, კაცი არ ყოფილა. თავად თქვა, თხუთმეტფუთიანიაო, როცა მოხადა, და ხუთი ფუთი რომ ჩვენთვის გაეტანებინა, ამით არაფერი დაშავდებოდა. ყურძენი, აგერ, კარზეა მომდგარი და რთველიც ორ თვეში იქნება. არ ეყოფა ათი ფუთი?

— კი ეყოფა. — სხვა გზა არ მქონდა, რომ არ დავთანხმებულიყავი.

— არ ყოფილა კაცი!

— მაინც ვერ ვიტყვით მაგას.

— რა დაგვიშლის?.. რომ არ უჭირდეს, ამხელა მანძილზე ხომ არ წამოვიდოდა, შე დალოცვილო. მოვიდა, ვერ გაბედა. ვთხოვე მის ნაცვლად და ეს კი... ფუი მაგის კაცობას!.. ჩემი ცოლის და რომ მოვიდოდეს ჩემთან, ქვევრიანად გავატანდი.

— ღვინო გაქვს?

— არა... რომ მქონდეს.

— მაშინ მაგას აღარ იტყოდით! — ვცადე იუმორში გადამეყვანა საუბარი.

— ვიტყოდი. ამას კი არ ვგავარ, ამ უცხვირპიროს.

— ვენახი გაქვს?

— ვენახი კი მაქვს, მარა ქათმებმა გადენეს.

— ვენახში ქათმებს რა უნდა!

— კიბეზეა ასული და რავარც შეთვალდება, ქათმები უწინ კენკავენ. ქეც დაამთავრებს მომწიფებას და ქეც ათავებენ ის შეჩვენებულები.

— არა, ნამდვილად უნდა გაეტანებინა. ხუთი რომ ცოლისდისთვის მიეცა, ათი ფუთი თვითონ დარჩებოდა, — დავადგინე შინაგანი ანალიზისა და ანგარიშის შემდეგ, — რთველი მართლაც კარზეა მომდგარი და თვეში ხუთი ფუთი კი უნდა ეყოს, სხვა რამ მოულოდნელობა თუ არ არის.

— წამობრძანდით შინ! — გაგვიპატიჟა პავლემ და დოქებით ხელში და იღლიაში ამოჩრილი ხაპით წინ გაგვიძღვა, — ახლა შინ ვისაუბროთ!

— ვისაუბროთ, თორემ შაქარი გადმოგცვივა პირიდან, — ჩაიბუტბუტა თავისთვის, — ზეთი ჩამოგდის თავ-პირიდან, შე დალოცვილო! — მერე მე მომიბრუნდა და დაამატა: რავარც დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ ღვინის გამტანებელი კაცი ეგ არ იყო.

— იქნებ გვატანს, — კიდევ ვცადე ხავსს ჩაბღაუჭება.

— ისე აშენდა მაგისი ოჯახი!.. სკამიდან ისე ნელა წამოდგა ჩვენს დანახვაზე და წარბსქვემოთ ისე ალმაცერად გამოგვხედა... — აღარ დაამთავრა სათქმელი.

ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოვიდა პავლე, რაკი უკან არ მივყევით.

— ა, გამოვიდა. ეშინია, ვაითუ, არ შემოვიდნენო... მთლად ცუდი კაცი არ ჩანს.

— ვენახი აქეთ მაქვს, — გაიშვირა ხელი სახლის უკან, — ბაღჩა — ქვემოთ... გნებავთ, დავათვალიეროთ, სანამ სადილი გამზადდებოდეს.

— სიამოვნებით, ჩემო ბატონო. მინდოდა, მეთქვა, მარა ვერ გაგიბედე, — მიუგო პეტრემ.

ჯერ ვენახში შევედით. თავში არეული ვაზი ედგა, სარზე აყვანილი, შემდეგ მავთულგაბმული ვენახი. ღონიერი და კარგად მოვლილი.

— მშვენიერია. — ვეღარ დავფარე კმაყოფილება, რაკიღა არ ველოდი ასეთ ვენახს.

— გასულ წელს უკეთესი მქონდა. ჭრაქი გაუჩნდა წელს, დაინაცრა კიდეც...

— არა, კარგია!

— მართლა ამბობ?

— კი.

— სასიამოვნოა... ქვემოთ უკეთესია, მარა, დაისვრებით და არ ღირს ჩასვლა.

მაინც გავიარე რამდენიმე ნაბიჯი და სიამოვნებით დავათვალიერე არა მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზები, პრასი და ოხრახუშიც. კიდევ უფრო ქვემოთ მივიწევდი.

— არ გინდა, არა, თიხაა ქვემოთ და დაისვრები.

მართლა თიხა იყო და დავისვრებოდი. შემოვბრუნდი და ვენახის თავში გავჩერდი. ამასობაში მეზობლის ბავშვებმა ისეთ სიმაღლეზე აუწიეს მაგნიტოფონის ხმას, რომ გაღმა მთაზეც არ მოასვენებდა, თუ ვინმე ჩემისთანა იყო.

— აჰ, რა კაი სიმღერაა, ეს დალოცვილი! — მოისმა ქალის აღტაცებული ხმა და ამან უფრო გადამრია.

პეტრემ და პავლემ ვაზის მოვლა-პატრონობაზე ერთმანეთს რაღაც აუხსნეს და ბოლოს ისინიც გამობრუნდნენ. მოდიოდნენ და ისე ტკბილად მოსაუბრობდნენ, წუთითაც ვერ იფიქრებდით, თუ მათ შორის რაიმე უთანხმოება იყო.

— ახლა ბოსტანი უნდა დაგათვალიერებინოთ.

— დიდად დამავალებთ, — ვუპასუხე გულწრფელად.

ვენახიდან გამოვედით, ეზო გადავიარეთ, ორლობე გადავჭერით და გზის მეორე მხარეზე გადავედით. ჯერ სათხე მოგვხვდა თვალში, მერე — საღორე, მერე კი... ღმერთო, ჩემო... ლურჯად მოხასხასე პამიდვრის პლანტაცია, სხვა სახელს ვერ ვაკადრებ. ასეთ საოცრებას სულ არ მოველოდი ამ მთის კორტოხზე და ღმერთების საუფლოში.

— მოგწონთ? — შემნიშნა პეტრემ.

— შესანიშნავია! — მივუგე აღტაცებით.

— ათას სამასი ძირია. გამწყვიტა ამისმა შაბიამანმა. ვენახი იმდენჯერ არ მომიწამლავს, რამდენჯერაც ეს შეჩვენებული. თუმცა დალოცვილი მოსავალიც იცის. ნახეთ, რა სიმსხოა?!

— გადასარევია! — თქვა პეტრემ და ხელით შეეხო ყველაზე ლამაზ პამიდორს, რომელიც კინალამ შეთვალულიყო კიდეც, — ერთ კვირაში იქნება.

— კი იქნება ერთ კვირაში.

— ბეე, — დაიკიკინა ერთმა თიკანმა და გვანიშნა, ჩვენკენაც მოიხედეთ, როგორები ვართო. მივხვდი, რომ პამიდვრებს ეს არ შეეძლოთ და პავლეს უნდა გაეწია მათი მაგივრობა.

— კარგები არიან! — ვთქვი თიკნების მისამართით და მერე ღორებიც შევაქე.

— ნათელას ქმარი რომ ავად არ გამხდარიყო, ორი კაძახი ვერ აჯობებდა მთელ გურიაში, — თქვა პეტრემ პავლეს გასაგონად, — გლახად წაუვიდათ ეს წელი, თორემ კახეთიდან ჩამოვიტანდით ღვინოს.

— ეს ღორები სულორელმა კაცმა მომყიდა. ძალიან მიქო, მარა არ გამოდგა იმ ჯიშისა, როგორიც მეგონა. ეს ბეღურები უფრო სჯობია. ამათ გაასწრეს. — გვესაუბრება საღორესთან.

— რატომ? ესენიც კარგები არიან.

— კი არიან კარგები, მარა... რაც ამათ საჭმელი შეჭამეს...

— გუშინ ნათელასთვის გოჭი ვიყიდეთ, ვერ წარმოიდგენთ, რავარი იაფად... ინდოური კი, ის შეჩვენებული ინდოური, თითო ორმოცი მანეთი ღირს. ღვინო ვერ ვიშოვნეთ, თორემ... — ეტყობა, ჯერ კიდევ იმედი არ დაუკარგავს პეტრეს.

— ინდოური აქაც ძვირია. ჩემი ბიძაშვილის ცოლისძმამ მომიყვანა ძალიან იაფად.

— ღვინო ჭირს, ღვინო, კაი ღვინო, აი, შენგვარი, თორემ გლახა ყველგანაა.

— ე, კუტიკარი ვერ ჩამოვაბი კარგად. პამიდვრის წამვლას ვერ ავუდივარ. ახლაც დაყენებული მაქვს შაბიამანი, დღეს უნდა დავწამლო.

— გაცდენთ? — ვკითხე მობოდიშებით.

— რავა მაცდენთ, დასვენება ქე მინდოდა და სადილი. თქვენისთანა სტუმარი მომივიდეს ყოველდღე და არას ვინატრებ. დაუწამლავს მაინც არ დავტოვებ, რაც უნდა მოხდეს.

ეზოში შევედით. მაგიდა დერეფანში გამოეტანათ და გამზადებული ჩვენ გველოდა.

— შენ აგაშენა ღმერთმა, — ჩაილაპარაკა პეტრემ თავისთვის.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მიგვიპატიჟა პავლემ.

გაშლილ მაგიდას შემოვუსხედით.

„სუფრავ, გაშლილო, ლხინი ხარო“, გამახსენდა ხალხური სიმღერა.

— საინტერესოა, რატომ ჰქვია თქვენს სოფელს რომანეთი, — იკითხა პეტრემ, როცა დავსხედით.

— ალბათ რომანი ჰქონდა გაბმული იმერელ ქალ-ვაჟს და იმიტომ, — ვუპასუხე ვარაუდით, ღიმილიანი, მაგრამ უნდობელი ტონით, რომელიც ღიმილსაც იწვევს მსმენელთაგან, დაცინვასაც და ზიზღსაც, გააჩნია, ვინ როგორ შემოხედავდა ჩემს ნათქვამს.

— არა! — თავი აიღო პავლემ, როგორც კი პირველი ლუკმის ჩაყლაპვა მოახერხა, — ამბობენ, ქმარს თურმე ცოლი გაუხდა ავად, აქედან ვანამდე ერთი მანეთი სჭირდებოდა ჩასაყვანად, მაგრამ ვერსად იშოვნა... ამასობაში ქალი დაეღუპა. ჰოდა, ნათესავები როცა მოსვლია, უთქვამს, რო მანეთი მქონოდა, ვანში ჩავიყვანდი და გადავარჩენდიო.

— საინტერესოა!.. მანეთი უჭირდა, არა როდის უნდა მომხდარიყო ეგ ამბავი?

— ძველ დროში. — პავლემ სადღეგრძელო თქვა და სუფთად ჩამოცალა. მას პეტრემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბაძა, — ასე კი ყოფილა. ახლა, შე კაცო, თითო გლეხი ყოველწლიურად მარტო ათასი-ორიათასი მანეთის ყურძენს აბარებს. მეურნეობის შემოსავალი რომ არ ვახსენოთ.

სამი-ოთხი ჭიქა რომ დაილია, ავშურდით წასასვლელად, მაგრამ პავლემ ახლა გამოიდო თავი.

— ჯოლორიასი არ იყოს, რაკი ხელში ჩამივარდით, ასე იოლად ვეღარ გამეშვებით.

— ვინ არის ჯოლორია? — ვიკითხე სხვათაშორის.

— აქ, ჩვენს სოფელში ცხოვრობს. ვინმეს თუ ჩაჰკიდა ხელი და შინამდე მიათრია, დაუთრობელს აღარ გამოუშვებს.

— თუ ბევრი ღვინო გაქვთ, ნათელას გაატანეთ! — ჩაილაპარაკა პეტრემ პავლეს გასაგონად, მაგრამ პავლემ ვერ „გაიგონა“.

ხუთ-ხუთი ჭიქის შემდეგ ერთმანეთს ხელი გადახვიეს და სიმღერა წამოიწყეს.

— პამიდორი დაგრჩებათ შესაწამლი, ბატონო პავლე! — შევახსენე მოკრძალებით.

— რატომ?

— თუ დათვრებით, როგორღა შეწამლავთ?

— მთვრალი უკეთესად ვმუშაობ. თუ არადა, რა დროს სიმთვრალეა, ჯერ ზარფუში არ გამხურებია.

პავლეს მაგივრად პეტრემ შეისმინა ჩემი აჯა და წამოიწია:

— მივდივარ, პავლე!

— ცოცხალი თავით არ გაგიშვებ. სამი სადღეგრძელო კიდევ უნდა დავლიო.

— შეუძლებელია.

— სულაც არ არის შეუძლებელი. სამივე ისეთია, ვერცერთზე ვერ იტყვი უარს.

— ვიტყვი.

— წინაპრების სადღეგრძელო არ დავლიოთ? ეს ხომ ჩვენი სირცხვილია, ჩემო პეტრე. ჯერ ერთი, დროებითა ვართ მამები და პაპები, წინაპრებად კი სამარადჟამოდ უნდა ვიქცეთ და, თუ ჩვენ არ გავიხსენეთ, აღარც ჩვენი შთამომავლები გაგვიხსენებენ. გახსენების გარეშე კი... შენ თუ იცი, იქ, საიქიოში თითო დოქი რომ უდგას თითო კაცს...

— ეგ როგორ?

— როგორ და, ჩემო პეტრე, ჯერ დაჯექი!

პეტრე დაემორჩილა:

— ისეთი სადღეგრძელო წამოიწყე, წასვლა შეუძლებელია. მეტს კი აღარ დაგითმობ. დოქში რა აქვთ, შენ ეგ მითხარი.

— რა თქმა უნდა, ღვინო.

— კაცური კაცები ყოფილან.

— ჰოდა, სადღეგრძელოს რომ ვამბობ, იმ დოქებში ღვინო ემატებათ. თუ დავივიწყებთ, უცარიელდებათ. ამბობენ, ერთ კაცს დოქი წამოუწევია, ღვინო აღარ სდგმია და დაუკვნესია: ახლა კი მოვმკვდარვარო. მომგონი რაკი აღარა მყავს, ჩანს, შთამომავლობა ამომიწყდაო.

— რა ენა გქონია, ჩემო პავლე. რაღა შენა და რაღა ჯოლორია? დავლიოთ!

დალიეს.

— მორჩა, მორჩა, მეტს აღარ დავლევ. — ხელი გაასავსავა პეტრემ და წამოიწია.

— მომისმინე, ჩემო პეტრე! წინაპრის გახსენებას რა აზრი აქვს, თუ შთამომავლობას არ დავულოცავთ. მთავარი მომავალი თაობაა წინაპრებისთვისაც, ჩვენთვისაც და ქვეყნიერებისთვისაც. ახლა ეს ბაღნები არ დავლოცოთ?!

— რა ენა ჰქონია ამ შეჩვენებულს!

— ვტყუივარ? თუ ვტყუივარ, ნუ მიირთმევთ.

— არა, ამ ერთსაც დავლევ როგორმე და... თუ არ გეზოგებოდა, ნათელასათვის გაგეტანებინა, შე კაცო! — ჩაიდუდუნა პეტრემ, მაგრამ პავლემ „ვერ გაიგონა“.

წამოვდექი და მანქანისკენ გავემართე იმ ვარაუდით, რომ პეტრეც მალე გამომყვებოდა. დიდხანს მესმოდა კიდეც, გამიშვი-გამიშვის ხვეწნა-მუდარა და ბოლოს უკან რომ მივიხედე, ვახტანგურს სვამდნენ პეტრე და პავლე.

მანქანაში რომ ჩავჯექი, გამოვიყვანე და გზაზე დავაყენე, კიდევ დიდხანს ველოდე პეტრე-პავლეს გამოჩენას. ყველანი ჩასხდნენ, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ. ვიფიქრე, პავლემ უთუოდ ინამუსა და ღვინის ამოღებას შეუდგა-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... მსგავსი არაფერი მომხდარა.

როდის-როდის გამობარბაცდნენ ხელიხელგადახვეული პეტრე და პავლე.

პეტრემ გადაჰკოცნა, დაემშვიდობა, მანქანაში ჩაჯდომა მოახერხა და როგორც კი დავძარი, ღია ფანჯრიდან გადააფურთხა:

— გაფუჭებული კაცი ყოფილა და მეტი არაფერი... დალევით უნდა გამაკვირვოს?! მერჩია, ერთი ფუთი ღვინო გაეტანებინა და აქ კი ამდენი ქათმები არ დაეხოცა და არც წვეთი ღვინო დაელევინებინა. ამდენი ვეხვეწე, გაატანე მეთქი და... არა, ახლა მაგან უნდა თქვას, კაცი ვარო. ფუი მაგის კაცობას! აწი მძიმე იყოს ჩემი ფეხი რომანეთში! შენც შეგარცხვინა ღმერთმა, ნათელა, თუ ერთხელ მაინც ამოსულხარ ამის შემდეგ.

ბორის პასტერნაკი

ლექსები რომანიდან „ექიმი ჟივაგო“

სიცოცხლეს მოაკვლევინეს

დავამთავრე ამ ლექსების თარგმნა და ჩავიფიქრე, არასდროს არაფერი ვთარგმნო... ოცდახუთი წელია ვთარგმნი რუსი და საზღვარგარეთელი პოეტების ლექსებს და პასტერნაკივით ძნელად სათარგმნი პოეტი არ შემხვედრია. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ბოლოდროინდელი ლექსების გარდა, მის პოეზიაში სირთულე და სიმარტივე არასდროს შორდებიან ერთმანეთს – ყოველთვის თანამგზავრნი არიან. პასტერნაკს იშვიათად აქვს ლექსი – თავიდან ბოლომდე მარტივი, ან თავიდან ბოლომდე – რთული, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ლექსებს, რომლებიც შექმნა სიცოცხლის ბოლო წლებში. დიახ, სრულ უბრალოებას პასტერნაკმა სწორედ ბოლოდროინდელ ლექსებში მიაღწია, მანამდე უბრალოება მისი პოეზიიდან ისე გამოანათებს ხოლმე, როგორც სანახევროდ მოღრუბლული ციდან – მზე... მის ზოგიერთ პოეტურ ქმნილებაში უდავოდ იგრძნობა რილკესეული ცნობიერება. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი – ის ხომ უზომოდ იყო გატაცებული რილკეს პოეზიით...

პასტერნაკის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკასა და ფილოსოფიას... მართალია, მან ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ, კლასიკურ გიმნაზიაში სწავლისას, ექვსი წლის მანძილზე, გაიარა კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტის საგნები, ორკესტრირების გარდა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს კი, ერთ ხანს სწავლობდა მარბურგის, იმ დროისთვის საყოველთაოდ ცნობილ, ფილოსოფიის სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფილოსოფოსი ჰერმან კოჰენი. პასტერნაკი უეცრად თავს ანებებს ფილოსოფიას და მიემგზავრება იტალიაში... მუსიკისა და ფილოსოფიის სწავლას უკვალოდ არ ჩაუვლია – ორივემ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მის შემოქმედებაში.

1914 წელს პასტერნაკმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული „ტყუპისცალი ღრუბლებში“, რომელსაც საზოგადოების დიდი ყურადღება არ მიუქცევია. იმ წიგნში შესულ და იმ წლებში დაწერილ ლექსებს, შემდგომში „დაწყებითი ხანა“ დაარქვა. 1922 წელს გამოდის მისი მეორე პოეტური კრებული „ჩემი და – სიცოცხლე“, რომელმაც უმალვე გაუთქვა სახელი.

წინამდებარე ციკლი 1946-1953 წლებში დაიწერა. ამ ციკლში არის სახარების თემებზე შექმნილი ლექსებიც, სადაც არამცთუ მთარგმნელი, თავად ავტორი არაა თავისუფალი – განზე გახედვის ნებაც არ აქვს, რადგან მაცხოვარს, ღვთისმშობელს, მოციქულებს თუ მაგდალინელს, ახალს ანუ სახარებაში რაც არ წერია, იმას, როგორ ათქმევინებს ისე, მკრეხელობად რომ არ მოინათლოს!..

როცა მოსკოვის ლიტერატურულ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ერთხელ, პოეზიის სემინარზე მოვიწვიეთ ბორის პასტერნაკის ვაჟი – ევგენი პასტერნაკი, ვინც მამის თხზულებათა ახალგამოცემული ორტომეული მისახსოვრა ავტოგრაფით. შეიძლება იმანაც განაპირობა ამ დიდი პოეტის თარგმნით ჩემი დაინტერესება. 1986 წელი იყო. მას შემდეგ ვთარგმნი ლექსების ამ ციკლს, რაც, იმ ორტომეულის გამოცემამდე, შევიდა მხოლოდ საზღვარგარეთ გამოცემულ და ნობელის პრემიაზე წარდგენილ რომანში „ექიმი ჟივაგო“. როგორც ვიცით, პასტერნაკი დააჯილდოვეს პრემიით, ოღონდ ნობელის პრემიების კომიტეტში, თურმე ეწერა, რომ ბორის პასტერნაკს ეს პრემია მიენიჭა ლირიკის განვითარებისათვის. გამოდის, რომ მას ჯილდო „ექიმ ჟივაგოში“ შესული ლექსებისთვისაც მიანიჭეს. მერე რაც მოხდა და რა დღეც დააწიეს იმ „ლირიკის განვითარებისათვის“, მძიმე ინფარქტგადატანილ, სამოცდაათ წელს მიტანებულ და უკურნებელი სენით დაავადებულ, იმ დროის ცოცხალ პოეტებს შორის ყველაზე დიდ პოეტს რუსეთში, ამაზე ვრცლად საუბრის საშუალებას ეს პატარა წინასიტყვაობა არ იძლევა. თანაც ეს ამბავი, ასე თუ ისე, ცნობილია საზოგადოებისათვის. მე მოვიყვან მხოლოდ ნაწყვეტს წერილიდან, რომელიც 1990 წლის 1 აპრილს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა ქართული პოეზიის ანთოლოგიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა, ან განსვენებულმა, ქალბატონმა ვენერა ურუშაძემ, ვინც 1958 წელს, პერედელკინოს მწერალთა დასასვენებელ სახლში „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა. წერილში გადმოცემული ამბავი სწორედ იმ დღეს ეხება, როცა მოსკოვში მწერალთა კავშირიდან რიცხავდნენ პასტერნაკს. სასოწარკვეთილი პასტერნაკი კი პერედელკინოშია, მოსკოვში არ მიდის. მაშინ შეხვდა ქალბატონ ვენერა ურუშაძეს. იმ შეხვედრას იხსენებს ქალბატონი ვენერა თავის წერილში. აი, ნაწყვეტი იმ წერილიდან: „აღარ ვიცოდი რა მეთქვა. თითქოს მიმიხვდაო და თვითონვე გამომელაპარაკა:

– ვენერა გიორგიევნა, მოსკოვში არ წავედი და არც წავალ, რაც უნდათ ის ქნან. ძალიან დავიღალე. თუ ნობელის პრემია მომანიჭეს, ჩემი რა ბრალია?! ხომ მათქმევინეს უარი, ახლა რაღას მემართლებიან? ჯერ იყო და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ლექსები ჩირადაც არ ღირს, შენივე ხელით დაწვიო. მერე იყო და, „ჟივაგოს" გამო ჯვარს მაცვეს. თუ მაინცდამაინც არ იშლი წერას, რამდენიც გინდა თარგმნე სხვისი ლექსები, საკუთარს თავი დაანებე და საერთოდ, მწერლობა შენი საქმე არ არისო. კაცს, რომელიც რაღაც დიდ რამეს დააშავებს, ან დახვრეტენ, ან ჩამოახრჩობენ, ან თავს მოკვეთენ, ან ელექტრონის სკამზე დასვამენ, ან წყალში გადააგდებენ, ან ხეებს შორის გამოკიდებენ და გაგლეჯენ, მე კი ერთი რომელიმეს ღირსიც არ გამხადეს, ყველაფერი ერთდროულად მომისაჯეს და ასე ნელ-ნელა უნდათ მიწასთან გამასწორონ და დამაჩოქონ... — და გულზე ხელი დაიდო, ჩაიმუხლა და აქვითინდა..."

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ეყოლებოდათ ზემოაღნიშნული სიტყვების ამომთქმელი პოეტი. არც ისაა ძნელი წარმოსადგენი, რა დღეშიც ჩავარდებოდნენ ის ნიჭიერი მწერლები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ მწერალთა კავშირიდან პასტერნაკის გარიცხვაში და მერე სინდისი შეაწუხებთ ისე, როგორც ბორის სლუცკის, ვინც იმ სამარცხვინო ამბის შემდეგ, პერედელკინოში, პასტერნაკის აგარაკის ახლომახლო, ცრემლმორეული დადიოდა რამდენიმე დღე...

ბლოკი შიმშილით მოკვდა... ესენინმა და მაიკოვსკიმ თავი მოიკლეს თუ მოკლეს ისინი, დღემდე გაურკვეველია... მხოლოდ დიდ პოეტებს აქვთ ასეთი ბედი. პასტერნაკიც დიდი პოეტია, ოღონდ არც შიმშილით მომკვდარა, არც თავი მოუკლავს და არც მოუკლავთ, იგი „ოტეპელოს „შესაფერისად" დასაჯეს — სიკვდილამდე სიცოცხლეს მოაკვლევინეს («Но быть живым, живым и только, живым и только до конца») ... როგორ აუხდა შეგონება!.. სამაგიეროდ გაურკვეველი აღარაფერი დარჩენილა...

როგორც იქნა, ამდენი წლის შემდეგ, ვთარგმნე ეს ლექსები, მაგრამ განა შეიძლება სრულყოფილად თარგმნო ლირიკული პოეზია — სხვისი სუნთქვა და გულისცემა, სხვისი ალერსი და ტკბობა, სხვისი სიხარული და მწუხარება?!

ცნობილი მთარგმნელებიც კი წინასიტყვაობას, დაახლოებით, ასე თავმდაბლურად ამთავრებენ ხოლმე: ბედნიერი ვიქნები, თუკი ეს თარგმანები ორიოდე მკითხველს მაინც მიანიჭებს სულიერ სიამოვნებასო! არამც და არამც არ ვიტყვი ასე... დღეს საქართველოში თარგმანებით კი არა, გალაკტიონის ლექსითაც ჭირს ვინმესთვის სულიერი სიამოვნების მინიჭება... ხალხს პოეზიისთვის აღარ სცხელა. ხალხს დღეს, უპირველესად შიმშილი და მერე სხვა მრავალი პრობლემა აწუხებს. ხალხისთვის ახლა პოეზია ისეთია, ჭაობში მკერდამდე ჩაძირულ კაცს, ამოსაყვანად, ვარდისფერი ძაფი გაუწოდო... მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე ამ თარგმანების გამოქვეყნება, რადგან, როცა ეს — გააფთრებული მხეცის ბალანივით აძაგრული ცხოვრება დალაგდება, მაშინ, იქნებ ვინმეს გაახსენდეს და მათი წაკითხვის სურვილიც გაუჩნდეს.

მთარგმნელისაგან

ჰამლეტი

ხმაური მიწყდა. მე სცენაზე გაველ მაშინ~~ვე~~.
მივეყრდენ კარს და არ ვაპირებ ვინმეს ბრალდებას.
შორეულ ხმების ექოთიც ვგრძნობ, ამ ჩემ საშინელ
საუკუნეში რა ცოდვებიც დატრიალდება.

ღამის სიბნელე, რაც გარშემო ისევ მატულობს,
პირდაპირ ჩემკენ მოშვერილა ურიცხვ ჭოგრიტით.
ამ სასმისს თუ არ მომაწოდებ, მამავ ბატონო,
სიამოვნებას, ცოტაოდენს, ალბათ, მომგვრიდი.

მე მომწონს შენი ჩანაფიქრი დღეს და ამავე
დროს უნდა გითხრა, რომ თანახმა ვარ ამ როლზედაც,
ისე, ამჟამად ეს პიესა სულ სხვა დრამაა
და ჯობს, დამდგმელი თუკი წასვლის ნებას მომცემდა.

მაგრამ წინასწარ გათვლილია აქ ყოველივე
და ველი ბოლოს — ამ უშავეს დღეთა ნადავლად...
მარტო ვარ. ყველა პირფერია და მლიქვნელია.
სიცოცხლის გავლა — არ ყოფილა მინდვრის გადავლა.

1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტი

მზე იკბინება — არაფერს ზოგავს:
ხევხუვს აგიუებს, ხეივნებს აბნევს
და, ვით მეჯოგეს, ჯეელს და ზორბას,
გაჩარხული აქვს გაზაფხულს საქმე.

და მიდის თოვლის სნეულ ოცნებად —
გადაჭრილ ვენებს სისხლისგან იცლის,
მაგრამ ცხოვრება ღვივის ბოსლებთან,
ჯანზე არიან კბილები ფიწლის.

დღე-ღამე წვეთავს დაუსრულებლივ,
ნაჟური წყალი კუთავს და კუთავს,
კრამიტებს ცრემლი სდით ლოლუების
და ლაქლაქია უძინარ რუთა...

ბომურებს ლამის კარები შეხსნან,
მტრედები თოვლში კენკავენ შვრიას,
სუფთა ჰაერის სუნი აქვს ნეხვსაც
და ამ ყველაფერს სიცოცხლე ჰქვია.

1946

ვნების კვირა

გარშემო ჯერაც ღამე ხასხასებს,
ჯერაც ვერაფრით დათვლი ვარსკვლავებს,
ჯერაც დუმს ზეცის ყველა სართული,
ღამეს დრო კიდევ დარჩა წასვლამდე,
და ზოგჯერ რომ არ განზე მიხედვა,
მიწა, ფსალმუნის კითხვით გართული,
აღდგომის მოსვლას ვერც გაიგებდა.

ისევ ღამეა ირგვლივ მედინი,
მოედანი კი, ღამის ძლეული,
წევს კუთხისა და გზაჯვარედინის
ძლიერ მკლავებზე მარადისობად... —
ჯერაც ციცრამდე ათასწლეული
დარჩა და ბინდი ძალას იზოგავს.

მიწა შიშველი არის ჯერ კიდევ
და შესამოსელს ვინ უწყალობებს,
თუ ღამღამობით ზარს დაეკიდა,
ან თუ აუბა მხარი მგალობლებს!..

თუმცალა ვნების ოთხშაბათიდან,
სწორედაც ვნების შაბათის ჩათვლით,
ყველა მდინარე ისე ადიდდა,
რომ ნაპირები უომობენ ადგილს.

და ტყე, გახდილი, შეუმოსველი,
მუდამ, იესოს ვნების კვირისთვის,
ვითარცა გუნდი გულწრფელ მლოცველთა,
ფიჭვების ბრბოდ დგას დროის პირისპირ.

ხოლო ქალაქში, ხენი, ყრილობის
მონაწილეებს ჰგვანან მეტადრე —
მჭიდროდ დგანან და იმას ცდილობენ,
საყდრის გალავანს მაინც ხედავდნენ.

შიშისგან ყველა იქითკენ იწევს...
ბაღებს არ უნდათ ეზოში დარჩნენ —
იქნებ იპოვონ ადგილი მარჯვე...
წყობა-წესრიგი ინგრევა მიწის,
რადგან იქ, თურმე, მარხავენ გამჩენს.

საკურთხეველთან ხედავენ მწუხარ
უამრავ სახეს და სანთლებს უხვად
და შავ თავსაფარს ნახავენ ოდეს —
მოპირდაპირე მხარიდან ჯვარი
გარდამოხსნითურთ აქეთკენ მოდის
და ორი არყი, კარებთან მდგარი,
ცოტათი განზე გადგება როდის!

და კარიბჭეში შემოაქვთ გზიდან
და მერე ჩააქვთ კიბეზე, ქვემოთ —
საგაზაფხულო ხმები და თვითონ
ის, რითაც ჰაერს სუნი და გემო
აქვს სეფისკვერის და კიდევ მხუთრის,
რაც გაზაფხულის სუფევას უდრის.

და კარიბჭესთან, სად ხეიბრებმა
იციან დგომა, თოვლს ფანტავს მარტი,
თითქოს კაცია მთლად არხეინი,
ვინც სკივრი გახსნა და სახეიროდ
გასცა ყოველი და დარჩა მარტო...

და აისამდე გალობა ისმის
და ნამტირალნი, საკმაოდ მწარედ,
წაიკითხავენ ფსალმუნებს ღვთისთვის,
და ჩუმად აღწევს მათი ხმა გარეთ,
ფარნამდე, ვიდრე სამრეკლო დარეკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შუაღამ დუმდება ყოვლი,
და გაზაფხულის ჰქრის რახან სიო,
და რახან მიდის ყინვა და თოვლი,

და რახან ავდარს ძლევს დარი ბრიალი
შესაძლო არი, რომ სიკვდილს სძლიო,
იესოს მკვდრეთით აღდგომით მხოლოდ.

1946

თეთრი ღამე

მე მელანდება დაკარგული გზა
და თითქოს პეტრეს ქალაქს ვუმზერდე.
ასულო, ღარიბ მემამულისავ,
კურსკელი ვოგო სწავლობ კურსებზე.

თავყვანისცემა ბევრისგან არი...
და ცა თეთრ ღამეს როცა შეირთავს,
შენს სიახლოვეს სარკმელთან მდგარი,
მე გავცქერ შენი ცათამბრჯენიდან.

დილამ შეაკრთო თეთრი სიქუფრე,
ფარნები ჩანან გაზის პეპლებად...
და მე შენ რასაც გესაუბრები,
მძინარ სიშორეს თუ შეედრება.

ჩვენ საიდუმლო როდი გავეცით,
შეპყრობილი ვართ მისით თავიდან,
ვით პეტერბურგი ნევას მკლავებზე
ფართოდ გადაშლილ პანორამითა.

ამ თეთრ ღამეში, ამ გაზაფხულზე,
დღის მოლოდინით მაშვრალ ღვიებთან,

ზედმეტი ხოტბით გამოაყრუეს
ვრცელი ტყეები მაფშალიებმა.

სტვენა მიგორავს და ის ნამცეცა
ჩიტი სიჩუმეს სადღაც მიაფშვნის
და მიძინებულ თეთრ აღტაცებას
აღვიძებს ულრან ტევრის წიაღში.

იმ ადგილებში როს ღამე მკრთალი
ღობეს ფეხშიშველ მწირად ჩაურბენს,
ფანჯრიდან უკან გაჰყვება კვალი —
მოყურადებულ ჩვენი საუბრის.

ო, ხმები ჩვენი საუბრის, ყავრით
შემოკავებულთ ესმოდათ ბალებს
და იმ ბლებმა და ვაშლებმა, ჯავრის
შესამოსავად, ის ხმები გაჰყვეს.

და ხენი, როგორც თეთრი ლანდები,
გამოსცვივიან გზაზე ბრბოსავით —
რომ გააცილონ, ხელის დაქნევით,
ღამე — სითეთრის გვირგვინოსანი...

1953

გაზაფხულის უგზოობა

დაისი შრეტდა ცეცხლის ზიგზაგებს.
უსიერ ნაძვნარს, ხვნეშით და ქშენით,
ურალის შორი ხუტორისაკენ,
ძლივს მიიკვლევდა კაცი და ცხენი.

ცხენი შმაგობდა და აწყდებოდა
გან-გან ყველაფერს ნალთა წკარუნით,
რომელსაც, როგორც დღის სამრეკლოდან,
ესიტყვებოდნენ ლაღი წყარონი.

მხედარი ლაგამს რომ მიუშვებდა,
გადადიოდა ცხენი ჩორთზე და
ადიდებული და მოქუშული
მდინარე ზვირთებს მოაბორცვებდა.

იყო სიცილი, ვილაც ტირიოდა,
აქუცმაცებდნენ ლოდებს მთისოდენს
და მორევებში, სანაპიროდან,
ძლივს ამოძირკულ კუნძებს ისროდნენ.

ხოლო დაისის ნახანძრალებზე,
მაღალ ხეებთან, მთელი სულ-გულით,
როგორც განგაშის ხმა უმწარესი,
გაშმაგებული ყეფდა ბულბული.

ქვრივი ტირიფი სადაც თავსაკრავს,
ხევში ჩაკიდულს, ხრიდა გულწრფელად,
ის იქ, ძველ ბულბულ-ავაზაკივით,
მუხებში მჯდარი, მწარედ უსტვენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაყიფისათვის თუ სატრფოსათვის —
ვისთვის დადვარა ეს მგზნებარება ?
მსხვილი საფანტი ვისკენ გასტყორცნა?
მის გრძნობებს ვისკენ მიეჩქარებათ?

თითქოს გამოვა ის — გამოქცეულ
კატორღელივით, როგორც ტყისკაცი
და გუშაგების რაზმს თუ ოცეულს
შეეგებება ჩვეულ კისკასით.

ამ ცოდვა-მადლის, სალბუნ-ტკივილის
ამ დღიურ ხვედრებს — იშვიათ ბგერებს
უსმენდნენ: ზეცა, მიწა, ტყე-ველი
და როგორც პეპლებს, იჭერდნენ მერე.

1953

ახსნა

უმიზეზოდ კვლავ დაბრუნდა სიცოცხლე,
როგორც ერთ დროს უცნაურად შეწყდა.
მე იმავე ქეჩაზე ვარ, იცოდე,
როგორც მაშინ, იმ ზაფხულის დღეს და...

არც ახლა ვარ ცუდი, არც უკეთესი...
და მზე მწუხრში იხანძრება ჯერაც,
როგორც მაშინ, როს მანეჟის კედელზე
მიალურსმნა ის სიკვდილის მზერამ.

და ქალებიც კვლავ, უბრალო კაბებით,
ღამით ცვეთენ ფეხსაცმელებს მარჯვედ,
ერთ დროს ყველა სხვენში გაინაბება,
კვლავ სხვენები გააკრავენ ჯვარზე.

იმ ქალთაგან ერთი, დაღლილ ნაბიჯით,
ნება-ნება გადაივლის ზღურბლზე,
ამოსული ნახევარ-სარდაფიდან,
აქეთ მოდის, ჩემკენ მოდის, ვუმზერ.

მე ვაპირებ კვლავაც მომიზეზებას,
კვლავ ერთია, ვხალისობ თუ ვდარდობ.
თითქოს საქმე გაახსენდა მეზობელს,
მიდის, გვტოვებს ჩვენ პირისპირ, მარტო.

.....

ნუ იკვნეტ ბაგეს, არ შემომესმას
კვნესა, დამრღვევი შენი პროფილის,
ნუ იმიზეზებ ტუჩებს, რომლებზეც
ეს გაზაფხული გაქვს შეხმობილი.

ნუ გამიჩერებ მკერდზე ხელისგულს,
ჩვენ ძაბვიანი ვართ მავთულები
და გავიტყორცნოთ იქნებ ღელვისგან
ერთიმეორის მიმართულებით!

წლები წარვლიან და ღვთის წყალობით
შენ გათხოვდები ლაღი სრულიად, —
დიდი ნაბიჯი არის ქალობა,
მაგრამ გმირობა — სიყვარულია...

მე კი წინაშე ამ სასწაულის —
ქალის მკლავების, მხრების, ყელ-კისრის,
საუკუნეა ვდღესასწაულობ
და სხვა რამისთვის დღემდი ვერ ვიცლი.

მაგრამ როგორც ~~ა~~ر დაუსრულებლივ
მავლებდეს ღამე თავის ჯეებირებს,
მაინც წასვლით და განზიდულობით
და განშორებით დავისჯები მე.

1947

ზაფხული ქალაქში

ლაპარაკი დაბალი ხმით
და საჩქაროდ, გზადაგზა,
თმების შეკვრა თავის მიღმა,
თავზეც ხელის გადასმა.

უმძიმეს და უზარმაზარ
თმებით, ნაქსოვ სამოსში,
ქალი ისევ ქუჩას გამზერს,
არაფერი გამოსდის.

ქუჩაში კი დადის ხვატი,
ვიდრე ავდარს შეირთავს
და მიდიან ფრატუნ-ფრატუნ,
შინ მავალნი ქვეითად.

გრგვინვა ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტ,
მკვერთ და ნაირ-ნაირ ხმად,
და ფანჯარას ქარმაც დასცხო,
ფარდა ოდნავ დაირხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმაური თვალებს წკურავს
და სიჩუმეს ითავსებს,
ხოლო ელვა ძველებურად
დაფათურობს ცის თაღზე.

და როს ცხელი დილა შტორებს
კვლავ რთავს სხივთა ფარჩებით
და ბულვარში აშრობს ტბორებს,
ღამის წვიმით გაჩენილს,

უძილონი გაჰყურებენ
მაშინ, დარდით, დარცხვენით,
წელს ვერაყვავებულები,
ასწლოვანი ცაცხვები.

1953

ქარი

მე წაველ, შენ კი ისევ მზელაღის
ქვეშ ხარ და უსმენ ქარის ლაპარაკს,
და ქარი არხევს ტყეს და აგარაკს,
და ქარი არხევს ტყეში ყველა ხეს,
თითოეულ ფიჭვს ცალკე კი არა,
არამედ ყველას ერთად, ზიარად,
ვით აფრებს, რაიც წლებმა შელახეს
და ნავსადგურში უკრთით იარა...
ამას იქმნს ქარი არა თარეშით
და არც იმით, რომ რისხვას განიცდის,
არამედ უნდა: სიმწუხარეში
სიტყვები ჰპოვო იავნანისთვის.

1953

სვია

ვდგავართ სუროთი შემოსილ წნორქვეშ
და ავდარისგან შესაფარს ვეძებთ
და მხრებს გვიფარავს ლაბადა სწორფრებს
და ორთავს ხელით გეხვევი წელზე.
და ვცდები, რადგან ბუჩქებს, ბიბინას,
ერთმანეთს აწნავს სწორედაც სვია...
მაშ ეს ლაბადა სუბუ გავიფინოთ
ქვეშ, ვიდრე კიდევ არაა გვიან...

1953

დედაბრის ყვავილობა

მოცხრის ფოთოლი გაუხეშდა ბაღში, ხაკივით.
შინ — ხარხარისგან ზანზარებენ ფანჯრის მინები.
გაუჩნდათ საქმე: მარინადში დებენ მიხაკებს,
ჭრიან, კეპავენ და ამწნილებენ.

ტყე დამცინავის დარად, თითქოს გასაქცევს ეძებს.
ხმაა ფლატეზე, სადაც სივრცე მოჩანს ნაცრისფრად,
ხოლო თხილნარი, დაბუგული მცხუნვარე მზეზე,
შეტრუსულია, თითქოს, ხანძრისგან.

აქ გზა ხევისკენ ეშვება და ხედავ დახოცილ
უთვალავ ფოთოლს და აქა-იქ — კუნძებს წვეტიანს
და გენანება შემოდგომის ნაფლეთ-ნაკუწი,
ქარებს რომ ღრეში ჩაუხვეტიათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც — სამყარო რომ იმაზე მარტივი არი,
ვიდრე მავანი ქლესა ფიქრობს, მავანი ტრელი,
და რომ კორომი თითქოს წყალში ჩამდგარა და რომ
ერთ დროს ყველაფერს გაქრობა ელის,

და რომ უაზრო არის პირის დაღება ბოლოს,
როდესაც თვალწინ სუყველაფერს დანაცრულს ამჩნევ
და შემოდგომის ქათქათა და რძისფერი ბოლი,
ვით აბლაბუდა, ედება ფანჯრებს.

ღობეში გადის გზა ბაღიდან გამოსასვლელი
და იკარგება არყიანში თუ სივრცეს ფატრავს.
სახლი კი სიცილ-ერიამულის ხმებით სავსეა
და ასევეა შორეთში, სადღაც.

1946

ქორწილი

მხიარულნი ესოდენ,
ლაღნი, ტკარცალ-ტკარცალ,
გარმონითურთ, ეზოდან
შევლენ პატარძალთან.

და ქეჩაგადაკრული
კარის მილმა, გზნებით
გაისმოდა ზღაპრული
დროსტარების ხმები —

რიჟრაჟამდე. დილით კი,
ძილი ფრთებს რომ ისხამს,
ისევ გაიქილიკებს
აკორდეონის ხმა.

და ხმა დროსტარებისა —
ხეებს ისევ მისდით,
კვლავ დააფრენს ფრთებისდარ
ჰანგებს გარმონისტი.

და შაირი ისევე
გრიალებს და გრგვინავს,
საწოლებს დაესევა,
გაალვიძებს მძინართ.

ერთი ვოგო, თეთრგულა,
სტვენისნაირ ჰანგით,
მოცურავდა გვერდულად,
როგორც ფარშევანგი.

მერე თავის გაქნევით,
ხელის ქნევით ტოკავს,
ცეკვავს ფარშევანგივით.
როკავს, როკავს, როკავს

უცებ ხმათა ლუსკუმა,
თითქოს გადარეცხეს,
თითქოს შთანთქა უფსკრულმა,
ანდა — გაჰყვა მეწყერს.

და როს გაქრა ხვავი ხმის,
საქმიანმა ექომ
და ხარხარმა თავი მყის
საუბარში შეჰყო.

ცად ღრუბლების ხეტება,
ხუნდებისგან ლანდად,
სიზმრად ნახულ მტრედების
მფრინავ გუნდად ჩანდა.

თითქოს ნამძინარევზე,
სურვილების მოძღვნით,
ის ღრუბლები, ქარისებრ,
გაადევნეს ქორწილს...

ყოფნაც წამთა ხვითოა,
ოღონდ განზავებით
ყველაფერში, ვითომდა
ყველაფერს ვეძღვნებით.

და ქორწილიც — ფერადად
ფრქვევა არის ბედის
და — სიზმარი, მღერა და
ფანჯარაში მტრედი.

1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა

მე ჩვენებს ნება დავრთე წასვლაზე.
ვერც ახლობლებზე ვიტყვი სამდურავს...
და მარტოობამ, თავის ლასლასით,
მთლად შინ და გარეთ დაისადგურა.

აი, ერთად ვართ საგუშაგოზე...
ტყეში ნეტარებს უდაბურება.
სარეველებმა გზები დაკოცნეს
და მხოლოდ წარსულს თუ დავურეკავთ.

ახლა თვალს მხოლოდ ჩვენ გვაყოლებენ
სახლის კედლები, როგორც ტყუპები...
ვერ გადავლახავთ ამ დაბრკოლებებს,
მაგრამ გულწრფელად დავილუპებით.

ავდგებით ღამის სამზე... დროებით
მე — კითხვას, შენ კი ქარგვას გადადებ
და ვერ შევამჩნევთ, უძილოები,
რომ ვეკოცნავებთ განთიადამდე.

ფოთლებო, სუნთქვა უფრო შრიალა
ხმით გააგონეთ ჩემს პერგამენტებს
და გუშინდელი სევდის ფიალას
დღევანდელ დარდით გადაამეტეთ!

ჩვენ აქ ვიპოვით ლტოლვის დასაყრდენს,
აქ გავიფანტოთ, ფოთოლთ კრეფისას,
ფოთლების ხმაში უნდა დავსახლდეთ,
გონიც დავკარგოთ გარინდებისგან.

შენ იხდი კაბას, როგორც მიმოზა
ფოთოლს და თითქოს სიმორცხვეს მალავ,
როცა უზომო ალერსს იმოსავ,
ვით აბრეშუმისფოჩოვან ხალათს.

შენ ხარ დამლუპველ ნაბიჯის მადლი,
როცა დაბნელდეს უნდა ბედის მზე...
მშვენიერება გმირობას ბადებს
და ეს გვიზიდავს ერთმანეთისკენ.

1949

ზღაპარი

ზღაპრულ მხარეში, ძველისძველ
დროში, მას ჟამსა შინა,
მხედარი ველით ველისკენ
მიისწრაფოდა ჟინად.

ის საბრძოლველად ილტვოდა
და ამტვერებულ დროში,
მის შესახვედრად, მინდორთან
ტყე იზრდებოდა ნორჩი.

ხმა ჩაესმოდა მგზნებარე
და ბასრი, როგორც ჭვილთი:
„წყაროებს არ გაეკარო,
უნაგირს გაუფრთხილდი!“ —

არ შეისმინა მხედარმა
და მთელი ძალის თქეშით,
მძვინვარე ვეფხვს დაედარა
ბორცვზე შეფენილ ტყეში.

ბორცვს გაცდა გულის ფართქალით,
გამოვლო შორი გზანი,
მთანი მაღალნი გარდავლო,
მაგრამ ვერ ნახა ფშანიც.

და შეეხეტა ღარტაფში
და იქ ბილიკზე ჩქარობს,
გაჰყვა ნადირის, გადაშლილ
კვალს და მიადგა წყაროს.

და მან, ურჩმა და გუმანის
არად ჩამგდებმა თანაც,
ცხენი კბოდედან უმალვე
წყაროზე ჩაიყვანა.

წყაროსთან ახლოს მღვიმეა,
მღვიმის წინ ფონი — ელდა...
რაღაცა ალი, სიმივით
მოჩანდა შესასვლელთან.

მეწამულ ალში, რომელიც
მზერამ ბადურად დაწნა,
ძახილი უუშორესი
გაეხმიანა ნაძვნარს.

და მაშინ შეკრთა და ხევ-ხევ
მიდის მხედარი რწმენით,
იმ ძახილისკენ ახერხებს
წასვლას იმისი ცხენი.

და მხედარს ხელი შუბისკენ
მიაქვს, რადგანაც ნახავს:
ურჩხულს, საწვიმარ ღრუბლისფერს,
დაეღო შავი ხახა.

ხახიდან იგი აფრქვევდა
სინათლეს, ცეცხლის ალით,
ქალწულს ეხვია ნაღვერდლად
და უელავდა თვალი.

ქალწულის ტანს სამ მოზრდილ წრედ
ეხვია და კუდს გრეხდა,
ხოლო თავს, როგორც შოლტის წვერს,
უტრიალებდა მხრებთან.

იმ ქვეყნად წესის გადავლა
იყო დაკარგვა გეშის...
ქალწულს აძლევდნენ ნადავლად,
ქალწულს უცვლიდნენ ტყეში, —

ასე უხდიდნენ დღეობას
ურჩხულს, ავსულს და ოხერს,
იმ ხარკით მოსახლეობა
გამოისყიდდა ქოხებს.

და, აი, კვლავ გაიზმორებს
ურჩხული, ყოვლისშემძლე...
და ახვევია ის მორიგ
მსხვერპლს ხელებზეც და ყელზეც.

ზე აღიხილა მხედარი —
ღმერთს შეევედრა ბოლოს,
შუბი შემართა, მხნედ არი,
რომ ურჩხულს შეებრძოლოს.

თვალები დახუჭულები.
წყალი. მდინარე. ფონი.
სივრცენი. ცანი. ღრუბლები.
საუკუნენი. დრონი.

მხედარი მუზარადშია,
გამობრძმედილი ბრძოლით,
მიწას სცემს მისი რაში და
მიწიდან ასდის ბოლი...

და განიგმირა ურჩხული
ცხენი დავარდა სიმწრით.
მხედარი ძლივსღა ჩურჩულებს...
ქალწულიც აღარ იძვრის.

განაზებულა ცა სულაც,
ულხინს ლაჟვარდით მოსილს.
ქალწული ვისი ასულ არს? —
მეფის თუ მდაბიოსი?

ხან სიხარულის სიჭარბით
ცრემლები მოსდით ღვარად,
ხან ორთავ — ძილით ივაბნის
სულს და სიმშვიდე ფარავთ.

გმირს აზრი ხან უბრუნდება,
ხან კი — არც არხევს სამოსს
და არ უტოკავს კუნთები
სისხლის დაკარგვის გამო.

და მაინც ქალ-ვაჟს, ორთავეს,
ისევ უფეთქავს გული,
გონზე მოვლენ და შფოთავენ,
და კვლავ ერევათ რული.

თვალები დახუჭულები.
წყალი. მდინარე. ფონი.
სივრცენი. ცანი. ღრუბლები.
საუკუნენი. დრონი.

1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტო

არ მოგვატყუა: როგორც დაგვპირდა,
მზე დილით ადრე ისევ ანათებს, —
ზაფრანისფერი ზოლით, ფარდიდან,
შემოაღწია კვლავ დივანამდე.

გარეთ, ტყე-ველი ვიდრე შეთეთრდა,
ცხელი ჟანგმიწით მორთო ყოველი,
შინ — ლოგინი და თარო კედელთან
და სასთუმალი, ოდნავ სოველი.

და მე ვიხსენებ, რად დამისველა
ბალიში ცრემლმა გრძნობის სიოთი:
ჩემი ცხედარის გასაცილებლად,
წუხელ სიზმარში, თქვენ მოდიოდით.

თქვენ მოდიოდით ერთად, ნაღვლისფრად,
ერთს გაახსენდა, რაღაც მიზეზით,
რომ დღეს ექვსია, ძველით, აგვისტო —
ფერისცვალება ჩვენი ქრისტესი.

დღეს თაბორიდან შუქი უალოდ
მოდის და თითქოს ხმაა მიწიდან...
დღეს შემოდგომა, გარდაუვალი,
თავისკენ ურიცხვ მზერას იზიდავს.

თქვენ ხმელ ხეების ნახეთ ქაოსი,
ნახეთ ალაგი ჩრდილდაფენილიც,
სადაც ტყე ენთო სასაფლაოსი,
ქაღალდზე ნაბეჭდ თაფლაკვერივით...

იქ მეზობლობდა ცა კენწეროებს,
ხმაგაკმენდილებს. და ეახოდა
სივრცე საკუთარ თეთრ სიშორეებს
უხსოვარ მკვდრების სამოსახლოდან.

ტყეში სიკვდილი იდგა მედგარად
და თუმც გათვლილი ჰქონდა ყოველი,
საჩემო ორმო რომ გაეთხარა,
მიცქერდა, როგორც მიწისმზომელი.

კიდეც გრძნობდნენ და კიდეც ამჩნევდნენ
მშვიდ ხმას, რომელიც ფრენდა თითქოსდა, —
ჩემი ყოფილი, წინასწარმეტყველი
ხმა შეუხებელ ხრწნით გაისმოდა:

„მშვიდობით, ცაო ფერისცვალების!
შენ უპირველეს ოქროდ ციმციმებ...
შემიმსუბუქე, ქალის ალერსით,
საბედისწერო ჟამის სიმძიმე!

მშვიდობით, ჟამო, ავად მოლაშქრევ!
მშვიდობით, ქალო, ვინც ყოველივე
შექმენ და ჩაგვრას იწვევ ბრძოლაში
და შენთვის გავხდი ბრძოლის ველი მე!

მშვიდობით, ფრთებო! — თქვენი მიცავდა
მოქნევა — ყველგან სამოგზაუროდ...
მშვიდობით, სიტყვავ — ხატო ღვთისავ და
შემოქმედებავ და სასწაულო!"

1953

ზამთრის ღამე

ქარი და თოვლი დაიტაცებს
ციხქვეშეთს ერთობ.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

და როგორც შუქთან არხეინი
ქინქლები გროვად,
ისე მოჩანდა სარკმელიდან
ფიფქების თოვა, —

ეკვროდნენ სარკმლის პალიტრას და
ავსებდნენ ერდოს...
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

ჭერზე მოჩანდა, შეჩერებულ
ღრუბლების ელდად,
ჩრდილები ბედით შეჯვარებულ
ფეხთა და ხელთა.

და იატაკზე ფეხსაცმელი
ცვიოდა წყვილი
და კაბას, ცხელი ცრემლებივით,
ცვარავდა ცვილი.

თოვლი, ქათქათა შალითასებრ,
მოსავდა ფერდობს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ალი, თითქოს, ამბორისაგან
ტოკავდა შვებით,
ბოლს, თითქოს, ჰქონდა ანგელოსის
ჯვრისებრი ფრთები.

და თებერვალი აგელვებდა
ქარ-თოვლის თეთრონს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

1946

განშორება

კაცი ზღურბლიდან გასცქერის,
როგორღაც ვერ გრძნობს თავს შინ.
ჰგავს ქალის წასვლა — გაქცევას.
ნგრევის კვალია სახლში.

კაცი ვერა სცნობს ოთახებს,
ვერ გრძნობს სიშმაგის ზღვარსაც,
ვერც შაკიკს უძლებს ცოტა ხნით,
სიმშვიდე არ ჩანს არსად.

რისი ჩაესმის ვიშვიში —
ხსოვნის, ნატვრის თუ ფიქრის?!
რატომ არის, რომ ფიქრშიაც
მხოლოდ ზღვას ხედავს ირგვლივ?! —

სევდის ორმაგი სიმძიმე
უდაბნოს მოჰგავს ზღვისას,
როცა ჭირხლს მილმა ციმციმი
არ ჩანს სარკმელში ღვთისა.

ო, იყო მისთვის ძვირფასი,
იმ ქალის ნაკვთი ყველა,
როგორც ახლოა ზღვისათვის
ნაპირი, როცა ღელავს.

როგორც მშფოთვარე ტალღიდან
ქრება ლელქაშის კვალი,
მის სულში ისე დაინთქა
მთელი არსება ქალის.

როცა მათ ჭირი სისინით
ასმევდა შხამს და ბალღამს,
მაშინ ერთმანეთს ისინი
მიაკრა ბედის ტალღამ.

და გაცდნენ ჭირის კირთებას
და ლხინს უთმობდნენ დიდ დროს,
ქალი წაიღეს ზვირთებმა,
გარს შემოეკრნენ მჭიდროდ.

და ქალის წასვლა დღეს იქნებ
ნაძალადევი არის! —
მათ განშორება შეილევს,
მათ დახრავს დარდის ქარი...

და კაცი ავლებს ცვარიან
მზერას, ვარამით დაღლილს:
ქალმა საშინლად არია
წასვლის წინ მთელი სახლი.

და კაცი გვიან ღამემდი
ალაგებს უჯრებს, ყუთებს,
შეუკერავი კაბების
ნაჭრებს და გული უტევს

და მიბნეული რაღაცას,
ნემსი რომ უჩხვლეტს, უმალ
ის ყველაფერში ნახავს ქალს
და ტირის, ტირის ჩუმად.

1953

პამანი

აღარ მისცა საშველი
თოვლმა ამინდს, აღარ.
გავლა მინდა. გავშეშდი:
შენ კარს იქით დგახარ.

მარტო, თხელი პალტოთი,
უქუდ-უფეხსაცმლოდ,
ტანს ღელვისგან ატოკებ,
თოვლს ღეჭავ და გასცქერ.

ხეები და მესერი
შორს მიდიან ბნელთან.
შენ მარტოკა ესწრები
თოვას, როგორც სპეტაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდილიდან წყალი გდის
თუ ცრემლია მლაშე,
შუქი, თოვლის პალიტრის,
გიბრჭყვიალებს თმაში.

კულულები, ქერა თმის,
გინთებს თოვლის ნალტობ:
მანდილს, სახეს, მეტადრე —
შემოდგომის პალტოს.

თოვა თვალებს გიმშვენებს
და შენს განცდას ერთვის,
მთელი იერი შენი
ქმნილებაა ღმერთის.

შენ თითქოს გაგატარეს
სისხლის შესამუსვრელ
შხამში ნაწობ სატევრით
დასერილ ჩემ გულზე.

ეგ ნაკვთები ჩარჩა იქ
და მე მიტომ ვწვალობ,
რომ ქვეყანა, არეული,
არის უმოწყალო.

იმიტომაც საზარლად
გაორმაგდა ღამე
და ჩვენს შორის საზღვარსაც
მიტომ ვერ გავავლებ.

ვინ ვართ, რა სიშორიდან?
იმ წლებიდან მართლაც
დარჩა ჩვენზე ჭორი და...
ჩვენ კი აღარ ვართ აქ.

1949

ქრისტეშობის ვარსკვლავი

ქარი, ყველაფრის თავზე დამტყდარი,
კვლავ განაგრძობდა ქილიკს,
მღვიმეში იწვა ჩვილი
და ჩვილს სცივოდა, იდგა ზამთარი.

და ჩვილი ხარის სუნთქვით თბებოდა
და ცხოველების ნასუნთქს,
მაღლა თბილ კვამლად ასულს,
ბაგას აფენდა ქარი ზემოდან.

ჩამოიფერთხეს რა ქურქებიდან
მტვერი, ფეტვი თუ ბრელო,
ღამის სივრცეში იცქირებოდნენ
მწყემსები მთიდან ქვემოთ.

ჭვრეტდნენ საფლავის ქვებს და მესერებს
და მინდორს, თოვლით სავსეს,
და სასაფლაოს თავზე
ზეცა ვარსკვლავებს გადაესერა.

და სადარაჯოს სარკმელს, ბაზმაკის
სიმორცხვით, სხივებს ნაზებს,
ჰფენდა — ბეთლების გზაზე —
მანამ უცნობი ერთი ვარსკვლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ენთო, როგორც ზვინი ჩალისა,
განზე გამდგარი ცისგან,
ის ენთო, როგორც ცეცხლი კალოზე
და ღამე ჰგავდა ცისკარს.

ზვინივით ენთო მთელ კიდეგანად,
ქვეყნის შუაში, მაღლით
და ახალ მნათის ნახვით —
გაოცებული იყო ქვეყანა.

და მზარდი იყო შუქის წყარო და
შთაგონებული ამით,
ვარსკვლავთმრიცხველი სამი —
იმის ნიშანზე მოიჩქაროდა.

და იმათ უკან, აქლემებით მიჰქონდათ ძღვენი
და ჩოჩორები, შეკაზმული, მთიდან, პატარა
ბიჯებით ქვემოთ ეშვებოდნენ, ნამქერის ცვენით...

და უცნაური სახილველი, სანთო და ბრძენი,
შორეთის მიღმა ჩანდა, ვიღა მოთვლის, რა და რა:
მომავლის ყველა ზარი, ფიქრი, ღამენი, დღენი,
მომავლის ყველა მეზეუმი, ფერთა მგზავრობა,
ფერების ყველა ჯადოქრობა და ონავრობა,
ყველა ნაძვის და ბავშვის სიზმრის უტკბესი წვენი,

და მოცახცახე სანთლების და ზიზილ-პიპილთა
მთელი სიჭრელე-სიბრჭყვიალე, თბილი და მლხენი,
ყველა ვაშლი და ოქროს ბუშტი კრთოდა იქიდან,
აქ კი ველიდან ჰქროდა ქარი, სიავის მჩენი...

თხმელის ტოტები ტბორის ნაწილს ფარავდა, მაგრამ
ჭილყავთ ბუდეებს და კენწეროთ შორის, აქედან,
მკაფიოდ ჩანდა სხვა ნაწილი და სივრცის ქარგაც
და ის მწყემსები, რამდენიმე აქლემ-სახედარს,
ერთად მიმავალს, ტბორის გასწვრივ, ხედავდნენ კარგად.

— მოდით, წავიდეთ ჩვენც იმათთან, ჩვენც იმ ლაღებთან
ერთად, თაყვანი ვცეთ სასწაულს, დროს ტყვილა ვკარგავთ! —

თქვეს და ტყაპუჭთა აიკეცეს კალთები ზანტად...
შუქი ხალიჩად გაეფინა ბზად ქარსის ფურცლებს...
ქოხთან შიშველი ფეხის კვალი გამოჩნდა უცებ,
იმ კვალზე, რაიც სანთლის ნამწვის ალივით ჩანდა,
იღრინებოდნენ ნაგაზები ვარსკვლავის შუქზე...

და ზღაპარს ჰგავდა სუსხიანი ღამე და ვიღაც,
ქარით დაზვინულ თოვლის თეთრი კედლიდან, მათ რიგს
უერთდებოდა უხილავად, ზეციურ მადლით...
ძაღლები, შიშით გამხედავნი მიდამოს მიღმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსებს ეკვროდნენ, თითქოს ცუდი ხდებოდა მათთვის.

იმავე გზას და იმავ არე-მიდამოს უცბად —
ანგელოზები მოევლინენ ღვთიური ძალით,
უსხეულობით, უხილავად ვიდოდნენ თუმცა,
მაინც რჩებოდათ ფაფუკ თოვლში ტერფების კვალი.

ჯგროდ შეგროვილმა ხალხმა ახლოს გაბედა მისვლა.
კედრები, ღამის დამალულნი, მოჰქონდა ცისკარს.
— ვინ ხართ? — იკითხა მარიამმა, ვინ იცის, როდის.
— ჩვენ ვართ მწყემსების ჯილაგი და ელჩები ცისგან,
უნდა გადიდოთ ორივენი... თქვენ შვებას გვიზღავთ...
— ყველანი ერთად ნუ შემოხვალთ, რიგრიგად მოდით!

და ქვეითები საუბრობდნენ მხედრებთან იქვე,
ნაცრისფერ ბინდში, როცა ღამის ბნელი შეჩერდა...
მწყემსები სტოდნენ ერთ ადგილას, გავთბეთო იქნებ!
და მობღავილე აქლემები იდგნენ გეჯებთან
და სახედრებიც მათ მახლობლად ისროდნენ ტლინკებს.

ცისკარი, დღის და ღამის შორის გამქრალ ტიხართან,
ბოლო ვარსკვლავებს მიიგვიდა ფერფლის მარცვლებად
და მარიამმა შინ შეუშვა მოგვებიღა და
იქ ორთქლი ბაგას, როგორც აკვანს, ისე არწევდა.

და მას, ერთიან გაბრწყინებულს, ეძინა მუხის
ბაგაში, როგორც ფულუროში მთოვარის ციაგს...
და ცხვარის ტყავის მაგივრობას უწევდა ბუღი
ხარის და ჩოჩრის ნასუნთქისა, საამო ფრიად.

იდგნენ მოგვები ბოსლის ბინდში ნეტარი გრძნობით,
ნაჩურჩულევი ძლივს ესმოდათ, მაგრამ ქარიანს
ვერ აბრალებდნენ ჟამს და უცებ სიამე მოგვრილ
ერთ მოგვს ვიღაცა შეეხო და მობრუნდა მოგვი
და ღია კარში დაინახა: ქალწულ მარიამს,
როგორც სტუმარი, ისე ჭვრეტდა ვარსკვლავი შობის.

1947

განთიადი

შენ იყავი ყველაფერი ჩემთვის,
მაგრამ ომმა მოიტანა ნგრევა,
ამიტომაც დიდხანს ვერსად შემხვდი
და უშენოდ დავემგვანე მძევალს.

წლების შემდეგ ისევ ისე მანთებს
შენი ხმა და შეშლილივით დავალ...
წუხელ, შენსას, ვკითხულობდი ანდერძს
და, თითქოსდა, დავიბადე კვლავაც.

და მინდება — გავიფანტო სადღაც,
მინდა ხალხში დავიკარგო უცებ,
ყველაფერი მტვრად ვაქციო, მზად ვარ,
მთლად ქვეყანა დავაყენო მუხლზე.

და ჩავრბივარ კიბეებზე, თითქოს
სულ პირველად გავდიოდე კარში,
რომ ქუჩებში ვიგრძნო თოვლის სითბო,
სულ ერთია, პირდაპირ თუ მარჯვნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით ადრე დგებიან და ყველა
ჩაის სვამს და ტრამვაისკენ გარბის
და ქალაქი სახეს იცვლის ხელად,
ხდება უფრო ლამაზი და კარგი.

და ქარბუქი ალაყაფთან უღრან
ფიფქებისგან ქსოვს უწვრილეს ბადეს,
ეჩქარებათ... მირბიან და სწუხან,
მოსასწრებად ყველაფერი სცადეს.

თითქოს მათ ტყავს შევაფარე ბალიში,
მიტომ გრძნობა მათ მაგიერ მარბევს,
ვგრძნობ, თოვლივით მე თავადვე ვდნები,
დილასავით თავად ვჭმუხნი წარბებს.

და ბავშვებს და შინაყუდებს ვუცქერ,
გავცქერ მწკრივებს თოვლით მოსილ ხეთა
და ამათთან რომ დავმარცხდი უცებ,
გამარჯვებას მე ამაში ვხედავ...

1947

სასწაული

ჯერ წინათგრძნობით მწუხარებას გულთან მიიტანს,
იერუსალიმს ელტვის მერე — ბეთანიიდან...

გადამხმარიყო ეკლიანი ჩირგვნარ-ბუჩნარი,
ქოხმახებიდან არ ერთვოდა კვამლი მაღალ ცას,
ჰაერი ხურდა და ლერწამნი, ვით უჩინარნი,
დუმდნენ და ზღვაზეც არ იძვროდა წყალი აღარსად.

ზღვასავით დარდი მიჰყვებოდა, მწარე ესოდენ
და ღრუბლებს ქვემოთ, იმ საქაცვე-საეკლნაროდან,
მოკლეზე, მტვრიან გზებითა და ეზო-ეზოთი,
მოწაფეების შეკრებაზე მიიჩქაროდა...

გზად აზრებს ისე ჩაუღრმავდა, რომ გარეშემო
ღვრიდა აბზინდის სუნს უმწარეს ფიქრთა ამალით.
იქ არაფერი იყო ოდნავ მოშარიშურეც,
ის იდგა მხოლოდ და მიდამო ბელტივით იწვა,
არეულიყო ერთმანეთში სითბო, ტრამალი,
ნაკადულები და ხვლიკები და მწირი მიწა.

და უნაყოფო იდგა ლეღვის ხე შორიახლო,
მხოლოდ ფოთლები მოუჩანდათ ტოტებს ბინდებად.
მან უთხრა: „შენგან სარგებელი რაღა ვიახლო,
რითი მაამებს მე ეგ შენი ცრუ გარინდება?

რა შენ და რა ქვა, ფშუტყვავილავ! ზედმეტ ბარგივით
ხარ და რომ მშია, რაღა უნდა მასვა-მაჭამო?!
რა საწყენია, რომ ვერ ვხედავ შენგან სარგებელს!
ასეთი დარჩი ბოლო დღემდი... სამარადჟამოდ!“ —
ლეღვის ხეს ტანში დაუარა განკითხვის ჟრჟოლამ,
როგორც მეხამრიდს ნაპერწკალმა ელვა-მეხისამ
და მყის დაიწვა — გადაიქცა ნაცრად და ბოლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების წუთებს ამ დროს რომ გაელვიძათ
ხის ტოტ-ფოთოლში, ფესვებში და ტანში ერთიან,
მაშინ ჩარევას მოასწრებდა ხელი ბუნების,
მაგრამ ეს არის სასწაული, რაიც ღმერთია,
და რაიც, როცა გვიდავია, მაშინ უვნები
ძალით გვწვევია და ჩვენს ყოფნას უცებ შერთვია.

1947

მიწა

ამ მოსკოვურ სახლებს, მუდამ,
გაზაფხული ურცხვად უტევს,
ჩრჩილი გარდერობის უკან
ფრთხიალებს და კოცნის ქუდებს,
მიტომ ქურქებს სკივრი უყვართ.

ოთახები, ჭერზე ჭაღით,
ყველა არის ძალზე ლაღი,
მტვრის სურნელი ასდის სხვენებს,
ანტრესოლზე, იქით-აქით,
ყვავილები არ იწყენენ.

ფანჯრების და ქუჩის ამო,
ძმაბიჭური ბჭობა ისმის,
დაისი და თეთრი ღამე
ერთდებიან მდინარისპირს.

დერეფანში ისმენ იმას,
რაც კი გარეთ მოხდა ბოლოს
და რასაც კი ამცნობს წვიმას
ეს აპრილი, რადგან მხოლოდ
აპრილმა თუ იცის კაცთა
დარდის ყველა მხარე ზეპირ...
და გზისპირა ღობის ხახთან
შეშდებიან აისები.

კვლავ იგივე ჩანს ნახავი
თავზარისა ცეცხლთან, თანაც
ჰაერიც კი არ ჰგავს თავის
თავს და იგივ ბზები ჩანან.
კვლავ იმდენი კვირტი ჰყვავის,
რომ ხე, ქუჩა თუ ფანჯარა
კვლავ მათგან გვაქვს დასაცავი...

მაშ, სიშორე რატომ ტირის
ნისლში და რად ასდის ნეშოს
მწარე სუნი? მეც ხომ ჭირის
გამო მზად ვარ, ვიუხეშო,
რომ არ კვნესდეს მიწა მწირი
ქალაქს იქით — უნუგეშოდ!

ამისათვის, კვლავ ადრიან
გაზაფხულზე, თავს იყრიან
ჩემთან მეგობრები ჩემი
და ის მცირე სუფრაც, კდემით
გამოთხოვებაა მაინც
და ანდერძის დატოვება,
რომ გვათბობდეს ტანჯვის ჭავლი,
დარჩენილებს მარტოებად.

1947

შავბნელი დღეები

ის, ბოლო კვირას, იერუსალიმს
მიუახლოვდა ზეციურ შუქად,
შემოეგებნენ მას ოსანები,
ბზის ტოტები რომ მოსდევდათ უკან.

მკაცრი დღეები გრძნობებს არბევდნენ,
გულებს დაშორდა გრძნობა სრულიად...
ეჭმუხნებოდათ ზიზღით წარბები:
ეს უსათუოდ დასასრულია!..

ცა მიდამოებს ავდარს მიაგებს,
ფარისევლები არ გრძნობენ ავდარს —
სამხილს ეძებენ... იულია კი
იმის წინაშე მელიას ჰგავდა...

და განსასჯელად, ბნელი ძალების
ხელით მიეცა ავაზაკ ლანდებს...
და ამცირებდნენ იმ მგზნებარებით,
რომლითაც ადრე აჰყავდათ ცამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბრბო ღელავდა და ალაყაფის
კართან ქცეული იყო თვალებად,
სასრულს ელოდა ავი ყბედობით
და წინ და უკან დაწრიალებდა.

და გაისმოდა დრტვინვა მეზობლად,
ხმა ტრიალებდა, როგორც ნამქერი,
მას სიზმარივით ახსენდებოდა
ყრმობა, ეგვიპტე... და ყველაფერი.

მას გაახსენდა დიდებული მთა
იმ უდაბნოში და კლდე ფრიალო,
სადაც სატანამ მის საცდუნებლად
სიავის დროშა ააფრიალა...

მას გაახსენდა მექორწინენი,
გაოცებულნი ერთად, ზიარად...
და ზღვა, რომელზეც, როგორც მიწაზე,
ნისლში, ნავისკენ, გადაიარა.

მას გაახსენდა კრება გლახაკთა,
მღვიმე... სანთელი, რომელიც მზემდე
შეტოკდებოდა, როცა ნახავდა
მას, გაცოცხლებულს სამი დღის შემდეგ.

1949

მაგდალინელი

I

მოვა ღამე და დემონიც მოვა,
რომ მახლეევინოს წარსული ცოდვილს.
მრუშობის ხსოვნა დაიწყებს გლოვას
და გულს თავისი ნისკარტით მკორტნის:
ავხორც კაცების მეხვია გროვა,
მათი საცლური — ეშმაკის ქოთნით
მედგა და მივეც, ვინცა კი მთხოვა,
არ გავაწბილე ქურდნი და ლოთნი.

და ასე, ბინად გადმექცა ქუჩა...
მაგრამ ორიოდ წუთიღა დარჩა,
ვიდრე დადგება სიჩუმე ლურჯი,
მანამ კი — ბევრის ყოფილი ხარჭა,
დარჩენილ ყოფნას, ვით ამბრის ჭურჭელს,
მე შენს წინაშე ვამსხვრევ და ვხარჯავ...

სად წამიყვანდა, ცოდვებით დასჯილს,
დღეს, მაცხოვარო, გზა ჩემი გვემის,
რომ არ მელოდეს შინ, აფრის გაშლით,
მარადისობა, ვითარცა გემი,
როგორც ახალი ხელობის ხლართში
შეტყუებული მუშტარი ჩემი!

მაგრამ ამიხსენ, რას ნიშნავს ცოდვა,
კვდომა, შავეთი, გეენას ალი,
როს ყველას თვალწინ, ვითარცა ყლორტი
ხეს, სწორედ ისე, ბუნების ძალით,
შენ შეგეზარდე მე, გრძნობით მორთულ
ჩემს კაეშანში, სუსტი და მკრთალი,

ან, როს, იესო, ტერფები შენი
მუხლებზე მიდევს და ის ძალა ვარ,
ვინც მათი ხვევნით უდიდეს რწმენას
ვლებულობ ჯვრისას და ვინც ალალად
მოვილტვი შენკენ ცრემლების ცვენით,
რომ მოგამზადო დასაკრძალავად!

1949

მაგდალინელი

II

დღესასწაულებს მზად უნდა შევხვდეთ,
მაგრამ მე მათგან მივიწევ გან-გან.
სათლს ვიღებ და შენს უწმინდეს ტერფებს
ნელსაცხებელით განვბან და განვბან.

ხელის ფათურით დავეძებ სანდლებს,
ვერაფერს ვხედავ ცრემლების გამო...
თმის კულულები მეხვევა ლანდად,
თითქოს თვალებზე ვიფარებ სამოსს.

შენთა ფერხთ ვიწვენ კალთაში სწორედ,
იესო, ცრემლით გისველებ იმათ,
თმების ბურნუსში გავხვიე ორივ,
და ყელის მძივიც მოვხვიე მძივად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალს ისე მკაფიოდ ვხედავ,
თითქოს შენს ხელში ჰყვაოდეს იგი,
სიბილასავით ვჭვრეტ დიად დღეთა
გზას მომავალში და უფრო იქით...

ხვალ დაეშვება ტაძარში ფარდა,
წრედ შეეკვრებით გარშემო ფარდის,
მიწას შეარყევს ბღავილი ქართა,
გამოწვეული იქ — ჩემი დარდით...

ცვლა დაეტყობათ ბადრაგებს მყისვე,
აირევიან მხედრებიც ცვლაში...
ვით ქარბორბალა გრიგალში, ცისკენ
სწრაფვას დაიწყებს ეს ჯვარი მაშინ.

და დავემხობი მე ჯვარცმის ფერხთან,
დავიფლეთ გულს და დავიჭამ ტუჩებს,
შენ კი, ყველა რომ ჩაგვიკრა გულში,
ჯვარზე ორივე ხელს გაშლი უცებ... —

რა საჭიროა ამდენი სივრცე,
ანდა ამდენი ტანჯვა და ძალა,
როცა ამდენი არაა ცისქვეშ —
სული და ხორცი, წყალი და ჭალა?!

მაგრამ მე გავლა იმ სამად სამ დღის,
ცრემლებს ისეთი სიმწრით მომადენს,
ისეთ საშინელ ლოდინით გამზრდის,
რომ მივაღწიო შენს აღდგომამდე.

1949

გესთიმანიის ბაღი

ძლივს ანათებდა გზას და ხეობას
ვარსკვლავთა შუქი შორი შეთრთოლვით.
გზა ზეთისხილის მთას ეხვეოდა,
ედინებოდა ქვემოთ კედრონი.

და მთავრდებოდა მდელო ფლატეთი
ირმის ნახტომის ქვემო მიჯნებთან...
და ზეთისხილის ხენი ნათელნი —
ცდილობდნენ ცაში გადაბიჯებას.

შეგირდები რომ ბაღში დავანდნენ,
თქვა: „სული ილტვის ტანჯვის სიღრმისკენ!
თქვენ აქ დარჩებით... ამ გალავანთან
დარჩით და ჩემთან ერთად იფხიზლეთ!“

სასწაულებს და უძლეველობას
აბრუნებს, როგორც ნივთებს ნათხოვარს,
ჩვენებრ მოკვდავი და უძლურია
უკვე და გვერდით უნდა დადგომა...

ღამის სიშორე და არეალი
არარსებობად ჩანდა ყოველგან,
სამყარო იყო უკაცრიელი,
მხოლოდ ამ ბაღში ძგერდა ცხოვრება.

უმზერდა უფსკრულს, გულის შემრისხველს,
ბნელს — უთავბოლოს და უჰაეროს
და ეკვდრიდა მამას ცრემლისღვრით,
რომ სიკვდილის თასს გვერდით ჩაევლო.

ტანჯვისგან ლოცვით განიტვირთება,
გამობრუნდება უკან — ბაღისკენ, —
ძილს მისცემიან აქ შეგირდები
და მათ მაშინვე გამოაღვიძებს:

„უფალმა ღირსგყოთ, ჩემთან მოჩანდეთ,
თქვენ კი მიწაზე ჩანხართ ბელტებად,
ძისა კაცისა დაჰკრავს დრო-ჟამი,
საცაა ჩემი მზე დაბნელდება!“ —

თქვა და გამოჩნდა რკინის ჟღრიალით,
ბრბო მონათა და მაწანწალათა,
მათ წინ იუდა მოაფრიალებს
შავ დროშასავით ამბორს ღალატად.

პეტრე, მომხდურთა არად ჩამგდები,
მავანს ყურს წარკვეთს ხაფი ძახილით
და ესმის: „რკინით ვერას გახდები,
თავის ადგილას შთადევ მახვილი!

ეს რომ საჭირო იყოს, ანგელოზთ
დასს მოგზავნიდნენ ცის სამეფოდან,
მტერს დაფანტავდა ძალა განგების
და თმის ღერიც არ დამაკლდებოდა...

შლის ჟამის წიგნი ფურცელს ცრემლიანს,
რომლის სიწმინდე ჯერ არასოდეს
უნახავს თვალს და რაც დაწერილა
იქ, დაე ამინ, იგი აღსრულდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ, იგავს ჰგავს, ჟამთა წინსვლანი,
მათ შენ იხილავ უფრო ალმავალს! —
მე მის საშინელ დიდებისათვის
ჩემივე ნებით შთავალ საფლავად.

მაგრამ მესამე დღეს აღვდგები ცოცხალი,
როგორც გემები ზღვას ჩვეულებრივ,
ისე მსჯავრისთვის ჩემკენ ბნელიდან
გამოცურავენ ასწლეულები...“

1949

თარგმნა ბათუ დანელიამ

ბორის პასტერნაკი მრავალი წლის მანძილზე წერდა „ექიმ ჟივაგოს“; ეს რომანი მას თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიაჩნდა. გარკვეულ პერიოდში მწერალი იქამდეც კი მივიდა, რომ თავის შესანიშნავ პოეტურ თხზულებებს ეტიუდები უწოდა, რითაც პოეზიისადმი ერთგვარი სკეპტიციზმი გამოამჟღავნა. მას აღარ აკმაყოფილებდა ლექსები, რადგან სურდა ეპოქის კატაკლიზმების დამტევი მხატვრული მატიანე შეექმნა. ბორის პასტერნაკის შთაგონება იმ ადიდებულ მდინარეს ჰგავდა, რომელსაც გადარეცხილი ნაპირებიდან ქვა-ღორღი და ფესვებიანად ამოგლეჯილი ხეები მოაქვს. პასტერნაკს თავისი ბობოქარი ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილება მოჰქონდა. ეს გამოცდილება მოსვენებას უკარგავდა ამ უნატიფესი სულის მქონე კაცს, მას სურდა შეექმნა ვრცელი სიმფონია და არა მცირე ეტიუდი. მარბურგისდროინდელი შთაბეჭდილებები უაღრესად მაღალმხატვრულ და ორიგინალურ ესეისტიკაში აირეკლა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, არ იყო საკმარისი ადრეული მოთხრობებიც, რომელიც ცალკე წიგნადაც კი გამოიცა. აღარაფერს ვამბობთ არაჩვეულებრივ პოეტურ ციკლებზეც. ბორის პასტერნაკს რაღაც სხვა სურდა. ფილოსოფიაში კოჰენის და მუსიკაში სკრიაბინის მონაფე ეძებდა ახალი მეტაფიზიკური სამყაროს გასაღებს, ეძებდა თავმისადრეკს და განსასვენებელს თავისი მოუსვენარი შთაგონებისათვის.

და აი, დაასრულა ეპოქის ვრცელი მხატვრული მატიანე – „ჟივაგო“! დაასრულა და თვითონვე გაოგნებული დარჩა. ერთი მხრივ ეჭვის ჭია ღრღნიდა, მეორე მხრივ კი, ჩუმი კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა. ტექსტი ხელიდან ხელში გადადიოდა. რომანი მალე იტალიაში გამოიცა ორ ტომად. აზრიც იმთავითვე ორად გაიყო: ერთნი პასტერნაკის ნიჭიერებასთან შედარებით ნაწარმოებს უფერულად მიიჩნევდნენ, მეორენი კი აღიარებდნენ მის მხატვრულ ღირსებას. მკითხველ-ავტორიტეტთა აზრი მხოლოდ ერთ წერტილში დაემთხვა: ჟივაგოს ლექსებმა ყველა აღაფრთოვანა. ეს უკვე პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ პასტერნაკის შთაგონებით აღსავსე არსებაში პოეტმა დაამარცხა პროზაიკოსი. და ეს მხოლოდ „ჟივაგოს ლექსების“ მეშვეობით არ გამოხატულა. ანა ახმატოვას ძალზე საგულისხმო აზრის თანახმად „ჟივაგოს“ პროზაულ ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული თვალსაზრისით სწორედ პოეტური წიაღსვლები იყო. ამ დიდებულებოვანი ქალბატონის აზრით, პასტერნაკი იმ წუთებში იმარჯვებდა, როცა ოთახში ჩამავალი მზის ანარეკლის აღწერას იწყებდა, სხვა შემთხვევაში ის დამარცხებული იყო. კორნეი ჩუკოვსკიც იგივე აზრის გახლდათ. კერძოდ, ის საუბრობდა იმაზე, რომ რომანის საერთო სტრუქტურაში არაბუნებრივად ეწერებოდა შესანიშნავი „ჟივაგოს ლექსები“.

ძნელია განსხვავებული აზრი გქონდეს. ეს ლექსები, მართლაც, აშკარად აღემატება რომანის პროზაული ნაწილს, და არა მარტო პროზაულ ნაწილს! ცნობილი ციკლი სამართლიანად მიიჩნევა პასტერნაკის მთელი შემოქმედების ერთ-ერთ ბრწყინვალე მწვერვალად. სინათლე და სისადავე, გამჭვირვალე ლირიზმი, ბუნების უაღრესად თავისებური შეგრძნება ამ ლექსებს განუმეორებლობასა და უნიკალობას სძენს. ვრცელ სიმფონიაზე უფრო მნიშვნელოვანი ეტიუდებად წოდებული ლექსები აღმოჩნდა. და, თუმცა რომანმა მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ავტორს, მოკრძალებულმა ლირიკულმა მუზამ უზარმაზარი წრე შემოწერა თვალუწვდენელ სივრცეში – ბორის პასტერნაკი მკითხველთა ცნობიერებაში დარჩა, უპირველეს ყოვლისა, როგორც პოეტი.

ჩვენ შემოგთავაზეთ, „ჟივაგოს ლექსების“ ბათუ დანელიასეული ქართული თარგმანი. ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე საუბარი თუ რა სიძნელეები ელობებოდა მთარგმნელს. ცხადია, რომ ამ ურთულესი საქმისთვის მხოლოდ იმას შეიძლებოდა მოეკიდა ხელი, ვისაც გამოცდილება და ოსტატობა გააჩნდა. ასეც მოხდა. ამ ცნობილი, მოცულობით არცთუ ისე დიდი ციკლის თარგნისათვის ბათუ დანელიას თხუთმეტი წელი დასჭირდა, ეს იმის მანიშნელებელია, რომ მთარგმნელს იოლი გზით არ უვლია. რაც შეეხება გამოცდილებას, მას თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ანა ახმატოვას, ლეოპოლდ სტაფის, რობერტ ფროსტის, გოტფრიდ ბენის შემოქმედება. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი თარგნილი იოსიფ ბროდსკის ლექსების წიგნი „მოგესალმებით არსაიდან“. ისიც სათქმელია, რომ პასტერნაკის „ჟივაგოს ლექსები“ სრულად პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

ანდრო გუაჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ცქიტიშვილი

„...წრე გაწყდა... მარტონი დავრჩით...“

ჭეშმარიტად მაღალმხატვრული პიესებით არც ისე განებივრებულ ქართულ დრამატურგიაში, გასული საუკუნის (როგორ შორეულად ჟღერს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტს ერთი წელიც არ გვაშორებს) 80-იან წლებში მოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა (შადიმან შამანაძე, თამაზ ბაძაღუა, მამუკა დოლიძე), რომლებმაც თავიანთი პირველი ნაბიჯებით იმთავითვე დამსახურებულად მიიპყრეს ყურადღება. ცნობილი დრამატურგის, თამაზ ჭილაძის მიერ 1981 წელს დაარსებულ ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინთის (რომელსაც წელს 20 წელი შეუსრულდა და არსებობას ქობულეთში განაგრძობს) სემინარი, ერთგვარ შემოქმედებით ლაბორატორიად იქცა. სწორედ სემინარმა წარმოაჩინა ქართველ დრამატურგთა ახალი თაობა. თითოეულ მათგანს მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალობა, თვითმყოფადობა, საკუთარი ხელწერა გააჩნდა, მაგრამ ყველას აერთიანებდა საოცრად ცხოველმყოფლად განცდილ-დანახული თაობის საერთო სატკივარი. მათ თავიანთ პიესებში ხელშესახებად გადმოსცეს ის სათქმელი, რაც მთელი იმჟამინდელი ახალგაზრდობის სულიერი ჭრილობა იყო. ახალი ტალღის (ეს ტერმინი შეიძლება პირობითად ჩაითვალოს) დრამატურგთა ქმნილებებში აშკარად იგრძნობოდა გაუცხოებულ-გათიშული, გათითოკაცებული ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების ტრაგიკულამდე მტკივნეული აღქმა. თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში მათი პიესების გამოჩენით, მკითხველი თუ თეატრის მოყვარული საზოგადოების ნაწილი, სწორედ შეულამაზებელმა, დაუფარავი სიმართლით დანახულმა ყოფამ შეძრა და შეაშფოთა.

ირაკლი სამსონაძე სწორედ იმ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. დღეს, 40 წლის დრამატურგი არაერთი პიესის ავტორია, რომლებიც წარმატებით დადგმულა ქართულ თეატრში. საკმარისია გავიხსენოთ: „შუაღამისას“ (დამდგმელი რეჟისორი – მარლენ ბესტავაშვილი, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის და დამდგმელი რეჟისორი – დავით ცისკარიშვილი, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრები), „ბედნიერი ბილეთი“ (დამდგმელი რეჟისორი – გია ანთაძე, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და დამდგმელი რეჟისორი – შალვა გაწერელია, თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრები), „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ (დამდგმელი რეჟისორები: გია ბარაბაძე, გიორგი თავაძე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და დამდგმელი რეჟისორი – შალვა გაწერელია, მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრები), „იქ, სადაც ღვარად მოედინება“... (დამდგმელი რეჟისორი – გიორგი თავაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური და დამდგმელი რეჟისორი – კოტე აბაშიძე, რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრები), „ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის“ (დამდგმელი რეჟისორი – ლევან სვანაძე, რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

უმეტეს შემთხვევაში, ქართული პიესები ძალზე ხშირად სცოდავენ სქემატურობით, გარკვეულ სტერეოტიპებს მორგებული, უსიცოცხლო, აბსოლუტურად გამოფიტული მოქმედი პირებით. ირაკლი სამსონაძის პიესებში ძირითადად 10-12 სცენური პერსონაჟია, მაგრამ ყოველი მათგანი დასრულებული მხატვრული სახეა. ავტორი თითოეულ მოქმედ პირს გულმოდგინედ ძერწავს, მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული, მკვეთრად ინდივიდუალური ხასიათით ამდიდრებს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მის პიესებში ერთ კონკრეტულ პროტაგონისტს ვერ გამოჭყოფ, ყველა მთავარი გმირია. დრამატურგის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში ყოველთვის ძალუმად იგრძნობა ანსამბლურობა, მათში არაერთი ისეთი როლია შესრულებული, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ მსახიობის ბიოგრაფიას კი არა, არამედ საერთოდ – ქართულ თეატრს ამშვენებს. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებ: ზაზა პაპუაშვილისა და ბესო მეგრელიშვილის გია, ალეკო მახარობლიშვილის შოთიკო („ბედნიერი ბილეთი“), კარლო საკანდელიძისა და რევაზ თავართქილაძის ნოე, ალეკო მახარობლიშვილის ომარა, მარინე კახიანის ლიდა, გურამ საღარაძისა და ოთარ ბაღათურიას გიორგი („აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“), კახი კავსაძის მოსე, ნანა ფაჩუაშვილის ცაცა, გურამ საღარაძის დათიკო, მურმან ჯინორიას აბესალომი და

კაცი ვიოლინოს ფუტლიარით, ჯემალ ღაღანიძის გელოდი, დავით უფლისაშვილის ბიძინა („იქ, სადაც ღვარად მოედინება...").

კიდევ ერთი საერთო თვისება, რითიც გამოირჩევა ი. სამსონაძის პიესები – ისინი ყოველგვარ ხელოვნურობასა და სიყალბეს მოკლებული, უტყუარად დამაჯერებელი ქმნილებებია. დრამატურგი მხოლოდ იმაზე წერს, რასაც თავად განიცდის, რაც თავად ტკივა, რაც საკუთარ სულში გაუტარებია და მხოლოდ მის არსება გამოვლილი ნახულობს დღის სინათლეს. თუ ი. სამსონაძის შემოქმედებას მთლიანობაში მოვიაზრებთ, ესაა საოცრად ალალი, კეთილშობილი, ფაქიზი, გამჭვირვალე თვალებივით სუფთა და დაუცველი სულის მქონე ადამიანის ვრცელი მონოლოგი. ეს იმ კაცის მონოლოგია, ვაჟას მინდიასავით ბევრ ისეთ რამეს რომ ამჩნევს და განიცდის, რასაც ჩვენ, ყოფაში ყელამდე ჩაფლულნი, საკუთარი წვრილმანი პრობლემების საკეთილდღეოდ მოგვარების ჟინით შეპყრობილნი ვერც ვხედავთ და არც განვიცდით.

ირაკლი სამსონაძემ თავის სამ პიესას („აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე", 1990 წელი, „იქ, სადაც ღვარად მოედინება...", 1995 წელი, „ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის", 1996 წელი) ტრიპტიქი უწოდა. სამივე ნაწარმოები, მართალია აბსოლუტურად დამოუკიდებელია, მაგრამ მათ მაინც აერთიანებს ბიბლიური მოტივები, პარალელები თუ ასოციაციები. ბიბლიის თავისებური გააზრება მრავალმა მწერალმა სცადა. ზოგიერთის შემოქმედება ამ მცდელობის წარმატებული დაგვირგვინების ნიმუშიცაა.

საოცრად ნაცნობი და ამავე დროს, ძლიერ თავზარდამცემია „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" ბიბლიური ნოეს სამსონაძისეული ტრანსფორმაცია. პიესის მოქმედება მიტოვებულ, გაუქმებულ სასაფლაოზე მიმდინარეობს. ცოცხლები და მკვდრები აქ ერთ სამყაროში თანაარსებობენ. დრამატურგი, თითქოს მეორედ მოსვლას წინასწარმეტყველებს, ამ სახით წარმოგვიდგენს ღვთის სამსჯავროს. სასაფლაოს ცოცხალ ბინადართ გაურკვევლობა, მომავლისადმი შიში სტანჯავთ. პიესა მრავალგვარ ასოციაციას აღუძრავს მკითხველს. ავტორს იგი მრავალი სახე-სიმბოლოთი დაუსახლებია. თითოეული პერსონაჟის დრამატურგისეული გააზრება ძალზე საინტერესო და ორიგინალურია.

ჩვენი თანამედროვე ნოე უამრავი ცოდვითაა დამძიმებული. „მარტო ამ სასაფლაოზე რამდენი არის შენი ხელით ჩაწვენილი, დათვლი?.." – ეუბნება მას გიორგი.

სამსონაძისეული ნოე, საქართველოს სასულიერო ისტორიის მე-20 საუკუნის 30-იანი ხლეების ანონიმური, დამსმენი წერილების ავტორია, საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, სხვებს რომ იმეტებდა სასიკვდილოდ და ამით იმჟამინდელ ხელისუფლებას ერთგულებას უმტკიცებდა. ეს ნოე მაშინ, ულმერთობის, ურწმუნოების, ათეიზმის ჟამს სასაფლაოზე მდგარი ეკლესიის გუმბათს ანგრევდა, ახლა კი: „... გავიგე, ეკლესიის შეკეთება გადაგინყვეტია. რატომ? – იმიტომ, რომ ახლა სხვა ზღვაში მიცურავ და ასეა საჭირო", – კვლავ ბრალს სდებს გიორგი. ამ ნოეს მტრედი იმიტომ კი არ სჭირდება, რათა ნისკარტით ზეთისხილის რტო მოუტანოს და ამით წარღვნის დასრულება ამცნოს, არამედ ბიზნესისათვის. დღევანდელ ნოეს სამტრედე იმისთვის აღუმართავს, მტრედებიც იმიტომ მოუშენებია, რომ ქორწილებში ფული იშოვნოს, ფულს, რომელსაც მთელი ცხოვრება აგროვებს, სამტრედეში ინახავს. ბოლო წლებში ამგვარი ნოეები, სამწუხაროდ, არაერთი ვნახეთ და ალბათ, კვლავაც ვნახავთ.

ბოლოს და ბოლოს, მთელი ეს სამყარო – გაუქმებული სასაფლაო – ნოეს საბრძანებელია. როგორც ბიბლიურმა ნოემ დაუდო დასაბამი წარღვნის შემდგომი სამყაროს ცხოვრებას, ისე რეპრესიების სისხლის წვიმებგამოვლილი თანამედროვე ნოე გეგმავს, სათავეს უდებს პიესის ყველა პერსონაჟის ცხოვრებას. ცალკეულ საპროტესტო გაბრძოლებებს თუ არ ჩავთვლით, ნოეს მიერ დაკანონებულს ვერცერთმა ვერ დააღწია თავი. შემაძრწუნებელია ამგვარი საზოგადოების აღქმა. მაგრამ, დრამატურგი დაუფარავად წარმოგვიჩენს ცოდვილ, სულიერად დაცემულ, უსუსურ ადამიანებს.

„მინი წარღვნაა, ყველაფერს გეფიცები, ნაღდი მინი წარღვნაა..." – ამბობს ნოეს ნაშიერი ომარა. წყლის მილი წამდაუწუმ სკდება და მიტოვებული სასაფლაოს ცოცხალ ბინადართ ბიბლიური ღვთის რისხვის პაროდირებული წარღვნა ევლინებათ ხოლმე. თუმცა, ყოველი მათგანი ისეა უკვე მიჩვეული ამას, რომ ყოფის, არსებობის აუცილებელ ატრიბუტად აღიქვამს. ეს ადამიანები ცხოვრებას სამუდამოდ მიუჯაჭვავს ნოეს სამყაროზე, გაუქმებულ სასაფლაოზე. მიუხედავად მათი მცდელობისა, ხსნა არსაითაა, რადგან ყველას როლი ნოეს დაწერილია. ისინიც მორჩილად ასრულებენ საკუთარ არიას, მაგრამ „ახლა აქ ოპერის მომღერალი ამღერდება, ძალიან საცოდავად ამღერდება, ჩიტო, ისე საცოდავად, გული მოგიკვდება. მერე ჩვენც ავუბამთ ხმებს, ყველანაირი ხმა იქნება აქ, სუფთა და ძლიერი ხმის გარდა" – კვლავ ღაღადებს გიორგი, ლოთობაში რომ უპოვია წამიერი ხსნა. „იცი, რატომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთვერი ასე ულვთოდ? იმიტომ, რომ ყველაზე ძნელად სამღერი არია შემხვდა“ – ჩიტებს გამოუტყდა იგი. გიორგი 30-იანი წლების რეპრესირებული ოჯახის შვილია. მამამისიც ნოემ დაღუპა, სამაგიეროდ ობოლს ლუკმა მიაწოდა. „კი არ მაწოდებდი, მატენიდი იმ ლუკმას, მეც ვღეჭავდი და ვღეჭავდი, მადლობასაც გეუბნებოდი... განა მარტო მე, ვინც ცოცხალი გადაურჩა იმ წარღვნას, ყველასთან მაშინვე დააბანდე კაპიტალი“ – პირში მიახლის გიორგი ნოეს. მაგრამ, ამ ულონო საპროტესტო გაბრძოლებას, ყველა მთვრალის მორიგ დებოშად აღიქვამს. ლოთი მხატვრის ამგვარ გამოხდომებსაც მიეჩვივნენ ირგვლივმყოფნი. გიორგის სახით დრამატურგი რეპრესირებული ოჯახის ტიპიური წარმომადგენლის პორტრეტს ხატავს. მისთვის აუტანელი, გაუსაძლისია ასე ცხოვრება, მაგრამ რადიკალური ცვლილებებისაც ეშინია. არსებაში მკვიდრად ჩაბუდებული ცხოველური შიშიც ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრების შედეგია, რომელმაც ადამიანთა ასეთი ტიპის მთელი თაობები შვა. ცხრაბალიანი ღელვა ატორტმანებს ნოეს ხომალდს, შიშს აუტანია გიორგი, ვაუის მომავალი აწუხებს. „რაც შენ გინდა, ბაბუაშენსაც ის უნდოდა, სხვა კი არაფერი, დაიღრჩო, გაიგე, დააღრჩვეს. შენ გგონია, მამაშენს არ უნდა, რაც შენ გინდა, მაგრამ მამაშენმა იცის, რომ დამპალ ხეს უნდა მოერიდო, შენ უნდა მოერიდო, თორემ ჩემი თავი ჯანდაბას...“ მოძღვრავს იგი პატიკოს.

მიტოვებული სასაფლაოს ბინადარნი ინერციით განაგრძობენ ცხოვრებას. ნოეს თანამეცხედრე თამრო წამდაუწუმ წყევლის მეუღლეს, შვილს და საერთოდ ყველას. ნოეს შუათანა ვაჟი ომარა ამაოდ აწყდება აქეთ-იქით, ფაციფუცობს, თითქოს სულ რაღაც საქმეს ეპოტინება, – ისეთს, ერთბაშად რომ გამდიდრდეს. ფუჭად ირჯება, უაზროდ ფლანგავს წუთისოფლის მიერ მისთვის მინიჭებულ სასიცოცხლო ჟამს. ბუშტების კოოპერატივიც, რომელიც მას მუდამ ენაზე აკერია, როგორც სარფიანი საქმე, ავტორის მწარე ირონიაა, როგორც ფუჭი, ამაო, ამაღლებულისკენ ყოველგვარ ლტოლვას მოკლებული ოცნება. ფულის გულისთვის გააფთრებული ყელშიც კი სწვდება საკუთარ მამას, ლამის სასიკვდილოდ გაიმეტებს ომარა ნოეს. კვლავ ძალდაუტანებლად იბადება ბიბლიური პარალელი – ქამი და ნოე!.. თამროს ძმას საკუთარი სახელიც არ აღირსა დრამატურგმა. პიესაში იგი მენატურე კაცად მოიხსენიება, რომელიც ეროვნულ სამოსში, ჩოხაში გამოწყობილი, ცოცხალი ბუტაფორიასავით დადის. ისიც ნოეს ხიზანი და ხელის შემყურეა. „სახელოსნო ჩემი სურათებითაა თითქმის სავსე. ადრე არ დავკვირვებივარ, რატომღაც დღეს დავათვალიერე. მთელი ჩემი ცხოვრება დამიდგა თვალწინ... ისეთი გამოვყავდი, როგორც მიმინოს ფიტულები, შუშისთვალება...“ – ამბობს მენატურე კაცი, რომლის ცხოვრებაც ნოეს მიერაა განსაზღვრულ-დაგეგმილი. ყოფილი მენატურე ლიდაც მან გაურიგა ცოლისძმას. ოდესღაც ცხოვრების ფსკერის ბინადარმა ლიდამ სამყაროს ფხიზლად აღქმის უნარი შეინარჩუნა: „ჩვენ ხომ ისედაც დაწყევლილები ვართ, в нас нет веры...“ გოჩა და ნიკო მთელ დღეებს უაზროდ, უქმად ატარებენ. ორი ახალგაზრდა კაცი ასე ფუჭად, არაფრისმაქნისად გალევს საკუთარ სიცოცხლეს, ისე როგორც არაერთს გაულევია ჩვენს თვალწინ. ამის შეგრძნება ცხადად განგვაცდევინებს იმ ტკივილს, რასაც მრავალი ცოცხალი მაგალითის ძალდაუტანებლად მეხსიერებაში ამოტივტივება იწვევს. ნოეს ავკაცობის კიდევ ერთი მსხვერპლია წარსულში ოპერის მომღერალი ქალი. რესპრესიებგამოვლილს ხმა და საღი გონება დაუკარგავს. სასტიკი დროის, ადამიანთა გულქვაობის, უსამართლობის მსხვერპლის ცოცხალი სიმბოლოა იგი. იმავდროულად, უკვალოდ გამქრალი, ოდესღაც პირველქმნილი სიწმინდის, სიკეთის, ნათელის, ამაღლებულის მონატრებადაც აღიქმება. ყოველივე ამის გარეშე ხომ გაუსაძლისია ადამიანის ცხოვრება.

გიორგის შვილებს, პატიკოს და მარინეს წინა თაობების მიერ ცოდვებით დამძიმებულ სამყაროში არგუნა ცხოვრება ბედისწერამ. მათთვის თამაშის ის წესები, რასაც უფროსები სთავაზობენ, მიუღებელია. პატიკო „ცხრაბალიან ღელვაშია“ აქტიურად ჩართული, არსებულის შეცვლას ლამობს. მარინე კი ჯერ ლამის ბავშვია. „ის თუ იცი, რა თვალები აქვს ჩემს მარინეს – მოკლული შველის თვალები...“ – გიორგის ეს სიტყვები ნათლად ახასიათებს მარინეს, ყველასაგან განსხვავებით სხვა შუქით გაცისკროვნებულსა და ამაღლებულს.

ნოეს მსგავსი ადამიანები, ფიზიკურ ნაკლსაც საკუთარ სასარგებლოდ იყენებენ. დაბადებიდან მოკლე ფეხი დაჰყოლია, ამის გამო „ფეხუცა“ შეურქმევიათ, მაგრამ ამით არაფერი დაუკარგავს. „... ცხოვრებამ ბევრი რამე მასწავლა. რა, თუ იცი? არ ყოფილა მაინცდამაინც ცუდი, თუ რამე, სხვისთვის შესამჩნევი ნაკლი გაქვს. აღარა ხარ მერე იმათთვის საინტერესო, ხარ შენთვის, შენს ნაკლთან ერთად და ჩუმად, სხვას რომ არ გააგონო ისე, ხარობ ამ ცხოვრების სიამით“ – ამბობს ნოე, რომელმაც ასე, თითქოს ჩრდილში, სხვებისათვის არა თვალშისაცემად გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე, მაგრამ მაინც მრავალი ავკაცობის ჩადენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძლო. მისი ამგვარი სტრატეგია კიდევ უფრო გამოჰკვეთს იმ საშიში სოციალური მოვლენის მასშტაბებს, რაც მისი სახით წარმოაჩინა დრამატურგმა. სამსონაძისეული ნოე საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია, გარემო ცვლილებებსაც იოლად ულებს ალღოს: „ეკლესიის შეკეთება გადავწყვიტე, იქნებ ღმერთმა კეთილი თვალით გადმომხედოს". მის ბაგეთაგან ეს სიტყვები საშინელ მკრეხელობად, ღვთისგმობად, ცინიზმად აღიქმება. სამწუხაროდ, ყველა ეპოქასა თუ დროში იყვნენ, კვლავ იქნებიან ნოეები და ოპერის ყოფილი მომღერალი ქალები. „У всякого поколения свой Ной и своя мученица... ყველაფერი მეორდება, როგორც ხედავ" — მარინეს მოძღვრავს ლიდა.

„ცხრაბალიანი ღელვა" არყევს, აზანზარებს, პირისაგან მიწისა აღგვით ემუქრება ნოეს ხომალდ-საბრძანებელს. წარღვნა გარდაუვალია, რადგან ასე ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება. აღდგომა მოდის...

„მალე აღდგომა მოვა და ჩვენ ყველანი თავიდან დავიბადებით", — ამბობს ოპერის მომღერალი ქალი, ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, როგორც მას მარინე ეძახის.

„გაუქმებულ სასაფლაოზე სიცოცხლე უნდა დაიბადოს", — ეს გიორგია. ყველა რაღაც გარდაუვალი, ძირეული ცვლილებების მოლოდინშია.

გიორგი — „სისხლი დაგვეღალა, მარინე, სისხლი, ამდენი მოლოდინითა და იმედგაცრუებით..."

მარინე — „მოდის ის, ვისაც ჩვენ, ყველამ გზა უნდა მოვუსწოროთ. ყველა ტკივილი და ტანჯვა, რაც კი განგვიცდია, ყველა დამცირება რასაც ასე მტკივნეულად ვგრძნობდით და ვგრძნობთ, ყველა სისხლისღვრა, რამაც ჩვენს თავზე გადაიარა, არაფერია იმ შვებასთან, რომელიც ასე ახლოსაა..."

გიორგი — „მითხარი, შვილო, მითხარი, რომ ამ უკუნეთში ნათელ წერტილს ხედავ, მითხარი, რომ წმინდანი ხარ, მე ახლა ყველაფერს დავიჯერებ..."

მაშინ, 1990 წელს, როცა ეს პიესა დაიწერა, ყველას გვჯეროდა, რომ ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლებოდა, ჭეშმარიტ ფასეულობებს ძველებურად ცრუ ღირებულებები ვერ დაჩრდილავდნენ, მაგრამ...

ირაკლი სამსონაძემ ფეხმძიმე მარინე, რა თქმა უნდა, ღვთისმშობელი მარიამის თანამედროვე ანალოგად არ აქცია. მისი საშოდან, ჩვენდა იმედის გასაცრუებლად, მესია არ იშვა. არც მარინეს უეცრად სადღაც აორთქლებული ქმარი გამოდგა ბიბლიური იოსები, ორსული ცოლის უბინობისა ვერაფერით ირწმუნა. სულიწმინდის ნაცვლად, ნოეს ნაშიერი ომარა აღმოჩნდა ჩვილის შემქმნელი. პიესაში ძალდაუტანებლად, რამდენჯერმე გაჟღერებული ეს მოტივი, იმ წლებში მაინც შეიძლებოდა გულისყურის მიღმა დაგვრჩენოდა, რადგან იმედი, მომავლის იმედი ძალუმად იყო გამჯდარი თითოეულ ჩვენგანში. გვწამდა, გვჯეროდა, დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ხსნის გზა გარდაუვლად გამოჩნდებოდა, ამდენი მოლოდინითა და იმედგაცრუებით სისხლდაცლილებს გამოგვრჩა დრამატურგის შორსმჭვრეტელური გაფრთხილება... და მარინემ, როგორც დღეს ვხედავთ, ნოეს ნაშიერი ომარას ნაბიჭვარი შვა...

შედეგად ამისა, უბინო, სუფთა მარინე, „პედიკურშა-მანიკურშა" ბოზ მარინად მოგვევლინა, ედემის ბაღი კი „სანზონის" მყრალ, შარდის სუნით აშმორებულ, ბინძურ ბაღად იქცა. სამოქმედო ასპარეზი, მიტოვებული სასაფლაო, „კაზინოდ" ანუ სამორინედ გადასხვაფერდა. ეს უკვე ირაკლი სამსონაძის ტრიპტიქის მეორე პიესაში — „იქ, სადაც ღვარად მოედინება" — მოხდა, რომელსაც წინამორბედ ნაწარმოებთან იმედგაცრუებისა და ოცნებების მსხვრევის ხუთი ხანგრძლივი წელი აშორებს.

ბიბლიური — იქ, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი, — ამ შემთხვევაშიც ირონიულ პერიფრაზად ჟღერს. ეს სამყარო ისევე შორს დგას ბიბლიური ანალოგისაგან, როგორც თანამედროვე ნოე და მოსე (ახალი პიესის გმირი). როგორც მოქმედი პირებისგან ვიგებთ, ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული, შეშლილი მოსე ოდესღაც დიდი ძალაუფლების მქონე, გავლენიანი, შეძლებული კაცი ყოფილა. კლანის თავკაცს მრავალი წლის მანძილზე მთავარ რევიზორად უმუშავია რძესა და თაფლში. მთელი ნათესაობისა თუ ახლობლების ბატონ-პატრონი, მფარველ-დამაკვალიანებელი გახლდათ თურმე. შემდეგ, ავტოკატასტროფაში ერთადერთი ვაჟი დაღუპვია, რაც ვერ გადაუტანია. პიესის დასაწყისში მოსე უკვე შეშლილი მოხუცია, დღენიადაგ ბიბლიას რომ ჩაჰკირკიტებს, დამაწყნარებელი წამლებით გაბრუებული ხანდახან თუ გამოერკვევა და მაშინვე საკუთარი ხელით შექმნილი სამყაროს პირისაგან მიწისა აღგვას ცდილობს, როგორც უწმინდური, ცოდვით გაჟღენთილი, ოქროს კერპის სამფლობელოსი, სადაც მამონის მსახურნი ფუთფუთებენ. მაგრამ, ავადმყოფი, შეშლილი ბერიკაცი აღარავისთვისაა საშიში. ოდესღაც მოსეს მიერ შექმნილ სამფლობელოს, პირობითად სამორინეს, დღეს მისივე კლანის წევრები ეცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ყველას პირველობა, მბრძანებლის განთავისუფლებული სავარძლის ხელში ჩაგდება დაუსახავს სანუკვარ მიზნად.

მოსეს ძმა დათიკო, სტაჟიანი პოლიციელია. თავის სოციალურ სტატუსს მარჯვედ იყენებს. ზვიგენივით საშიში, დაუნდობელი მტაცებელია. მის გზაზე კი ნათესავი, ნასამართლები, ქუჩასა და შავ სამყაროში ავტორიტეტის მქონე აბესალომი აღმართულა. მათი ორთაბრძოლა ორი ძლიერი ძალის ჭიდილია პირველობისათვის, ძალაუფლების მოპოვებისათვის, არცერთი მათგანის ტოლფასი კონკურენტი არ არსებობს. გავლენის სფერო ამ ჭიდილში გამარჯვებულს უნდა დარჩეს. აბესალომი ხასიათით, სიჯიუტით, დასახული მიზნის ყველა საშუალებით მიღწევის უნარით, სისასტიკითა და დაუნდობლობით ძლიერ ჩამოჰგავს დათიკოს. დრამატურგი ამ ორი მოქმედი პირის ურთიერთობის საკმაოდ რთულ პარტიტურას გვათავაზობს. დაუნდობელი, უკომპრომისო, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა სისხლით ნათესავებს შორის. მოარული ხმების მიხედვით, აბესალომი დათიკოს არა მხოლოდ ნათესავი, არამედ უკანონო შვილია. ეს ჭორები ორივეს სმენიათ. დათიკომ ყოველივე კარგად უწყის, აბესალომმაც, მაგრამ ცდილობს საკუთარ თავთანაც არ აღიაროს ჭეშმარიტება. ნათესავებს შორის სისხლის აღრევა, მამა-შვილის სამკვდრო-სასიცოცხლო, შეუწყნარებელი დაპირისპირება, ერთმანეთის წინააღმდეგ აღმართული იარაღი და ბოლოს, ურთიერთდაღვრილი სისხლი — უღმერთო, უზნეო, ურწმუნო სამყაროს განკითხვის წინა აგონიაა.

დათიკოსა და აბესალომის ზურგს უკან, მათ ჩრდილში კიდევ ერთი მტაცებელი ჩასაფრებულა. ეს ცაცაა, მოსეს რძალი. მისი დაღუპული ვაჟის ქვრივი. ერთი შეხედვით, ჩუმ, მორჩილ, უწყინარ, მამამთილზე მზრუნველ ქალში, მოულოდნელად თავს იჩენს მრავალი წლის მანძილზე დაფარული აგრესია. თუმც, იგი ჯერ კიდევ მთელი პიესის მანძილზე ლეიბების გაუთავებელგააფთრებულ ბერტყვაში მყღავნდება. შეურაცხყოფის დაგუბებული გრძნობა შურისძიების ნეტარებაში ჰპოვებს გამოსავალს.

ირაკლი სამსონაძის პიესაში დათიკოს ვაჟის სულხანას სახით, რომელსაც აბესალომი დახლის ვირთახს ეძახის, ახალი სოციალური ფენის წარმომადგენელია გამოყვანილი. მას ფული აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ გაუბედავია, რადგან არასრულფასოვნების კომპლექსი სტანჯავს. „სულხანა დღესაა ასე თავჩარგული, იშოვნის თავის საშოვნელს და აბესალომი შეიძლება კარის დარაჯადაც კი დაიყენოს... დახლთან დგომაც შეუძლია და შეჯორვასაც უძლებს... მაგაშია მაგის ძალა... ფულზე დგას... ძლიერი ფესვი აქვს“, — ამბობს დათიკო ვაჟის თაობაზე.

ბიძინას სახით იქმნება ტიპიური პორტრეტი ყოველდღიური ცხოვრებიდან ჩვენთვის მრავალგზის ნაცნობი ხელმოკლე გაჭირვებული ადამიანისა, რომელიც პარაზიტი პატარა თევზის მსგავსად მუდამ დიდ მტაცებლებსაა მიტმასნილი, რათა მათი ნადავლის ნარჩენები მაინც შეხვდეს. იგი, როგორც ვიგებთ, ჯერ მოსეს ლამის ხელზე მოსამსახურე ყოფილა, რევიზორის მოზრდილი ჩანთა მრავალი წლის მანძილზე ადიუტანტივით ერთგულად უთრევია, ახლა იმის მიხედვით, თუ ვისგან მეტ სარგებელს ელის, ხან დათიკოსთანაა, ხან კი აბესალომთან. თუმცა, საბოლოოდ არაფრისმქონე და ნაცემი რჩება.

ბიძინას მსგავსად, ცხოვრებისაგან ნათრევია კაცი ვიოლინოს ფუტლიარით. დათიკოს სიტყვებისა არ იყოს „... რას გვიშვრება ცხოვრება, როგორ გვათამაშებს... როგორ დაგვცინის...“ კაცი ვიოლინოს ფუტლიარით ოდესლაც მუსიკოსი, მევიოლინე ყოფილა. „გაქუცული კაცი“ — ასე მონათლეს იგი კრუპიე გოგომ და ბიჭმა. ეს მოქმედი პირი, რაღაცით მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე მხატვრული მიგნების — „ნაკაცარის“ განსხეულებად წარმოგვიდგება. ყოფილი მევიოლინე, ყოფილი ქმარი (მარინას ქმარი ყოფილა ოდესლაც), დღეს „გაქუცული კაცი“ ნვრილ „ბიზნესმენად“ ქცეულა, უფრო სწორად, ნვრილმან მოვაჭრედ. „ყოფამ ყოფა მიტირა...“ — თავს იმართლებს ცოლყოფილის წინაშე, რომელიც მის გამო „სანზონის ბაღის დედოფლად“, ხოლო ქალიშვილი თამარი ერთ-ერთი რელიგიური სექტის წევრად ქცეულან. „გაქუცული კაცი“ ვიოლინოს ფუტლიარით ხან ბანქოს, ხან ხანჯალს, ხან კი საპონს დაატარებს გასაყიდად. ბოლოს, მესაფლავედაც კი მოგვევლინება.

რკინიგზელი გელოდი ამ სამყაროში, ამ საზოგადოებაში შერეკილად აღიქმება. მას სერიოზულად არც არავინ აღიქვამს, რადგან მისი მოძველებულ-გახუნებული სენტენციები დღეს, აქ აღარავის სჭირდება. „გიყვარდეს შენ და ნუ ეძებ, იმას უყვარხარ თუ არა... რატომ უნდა უყვარდე, ახლა, მაინცდამაინც, შენ ვიღაცას... რატომ გიჩნდება ეს ფიქრი თავში... აწი, შენ შეიყვარე ჯერ, შენ მიეცი მაგალითი, და იმან თუ არ შეგიყვარა ხო, მის თავს დააბრალოს, მას აკლდება შენ კი არა... თუ არადა, იფიქროს იმანაც ასე და ხომ დალაგდება მერე ყველაფერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის, ახლა ამაზე იოლი...“ – გულწრფელად უკვირს გელოდის. ზურგს უკან იმის გამოც დასცინიან, არცერთი ნათესავისა თუ ახლობლის დაბადების დღე რომ არ ავიწყდება და სადაც არ უნდა იყოს, მისალოცბარათს უგზავნის. პრაგმატიკოსებს ვერაფრით აუხსნიათ ამგვარი საქციელი. მისალოცი ბარათი ხომ პრაქტიკულად არაფერში გამოსადეგი არაა. მოყვასისადმი გამჟღავნებული სითბო, გამოჩენილი ყურადღება ყველასათვის ზედმეტია.

ისევე, როგორც ტრიპტიქის პირველ პიესაში, მეორეშიც საკმაოდ მწვავედ ჟღერს უფროსი თაობის ცოდვებისაგან დამძიმებულ სამყაროში, ახალგაზრდების მსხვერპლად ქცევა. პირველ პიესაში გიორგი ნოეს ბრალს სდებდა: „შენს გამო, ახლა ჩემი ბიჭია მიზანში ამოღებული!..“ სამორინეში კრუპიეებად ახალგაზრდა წყვილი მუშაობს. ადრე ისინი მსახიობები ყოფილან, შემდეგ უსახსრობის გამო თეატრი დახურულა და აქტიორები კრუპიეებად ქცეულან. დრამატურგი მათი პორტრეტების შექმნისას, ბუნებრივია, გაიდეალებას გაურბის. პირიქით, კრუპიე გოგო და კრუპიე ბიჭი, რომეო და ჯულიეტას თანამედროვე პაროდირებას ახდენენ. მათ აშკარად არ აკმაყოფილებთ არსებული რეალობა, მაგრამ იძულებულნი არიან ამ სამყაროში იცხოვრონ. თუმც, უკეთესზე ოცნებობენ, რაც ამაღლებული, თეატრალური ხელოვნების სახით ეცხადებათ. ორივეს სწამს, რომ ოცნება აუხდება და დღევანდელ ყოფას უკეთესი მომავალი შეცვლის. სამორინე ორთავეს დროებით თავშესაფრად მიაჩნიათ, მაგრამ რეალობა სასტიკია, საკმაოდ შორსაა ლამაზი ოცნებისაგან. კრუპიე გოგოს დათიკო აუპატიურებს, ხოლო კრუპიე ბიჭს საძულველ კარაქიან ჩაის ძალით ასმევს აბესალომი, თან მოძღვრავს: „მოგიჭერს ცოტა ცხოვრება და კარაქიან ჩაის კი არა, იმასაც შეჭამ, კამომ რომ ჭამა... შეჭამ, შეჭამ... არ შეჭამ და შენი აჯობებს...“

ბოლოს კი დათიკოსა და აბესალომის ბრმა ტყვიით იღუპებიან კრუპიე გოგო, კრუპიე ბიჭი და გელოდის მცირეწლოვანი ვაჟი, ამ ცხოვრებაში მისი ერთადერთი იმედი არველოდი. გამოუვალობის, უპერსპექტივობის მძაფრი განცდა გვიპყრობს პიესის ფინალში. სინათლის ოდნავი სხივიც არსაიდან აღწევს უკუნეთში. თუ ტრიპტიქის პირველი პიესის ფინალი მომავლის იმედით გვმსჭვალავდა, მეორეს ფინალი ყოველგვარ, ოდნავ მსგავსსაც კი პირწმინდად გვისპობს.

„... უფლის მადლშია ჭეშმარიტების შეცნობა, ჭეშმარიტების შეცნობაში კი ნამდვილი თავისუფლება... წრე გაწყდა... ბარტონი დავრჩით...“ – გაჰკივის შეშლილი მოსე...

ტრიპტიქის მეორე და მესამე პიესებს ერთი წელი აშორებს. „ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის“ დრამატურგს პუშკინისეულ შავი ჭირის მძვინვარების ჟამს გამართულ ნადიმად აქვს გააზრებული. ზნეობაშერყეული, ცოდებით დამძიმებული სამყარო თავაშვებულ ღრეობასა და ორგიაში ჩანთქმულა. მომავლის არმქონე საზოგადოება აგონიაშია, ნაძალადევად თხზავს გასართობს, რათა დარჩენილი დღეები უდარდელად გალიოს. ავტორი მოქმედების ადგილად სატელევიზიო შოუს ჩასაწერ სტუდიას ირჩევს, საიდანაც გადაცემა პირდაპირ ეთერში უნდა გავიდეს. ერთი შეხედვით, ამ აბსურდულ სამყაროში ყველააფრის ბატონ-პატრონი ტელეთამაშის პოპულარული წამყვანია, რომელიც გაცვეთილ ტექსტსა თუ უკვე ლამის ნიღბად ქცეულ, ყალბ ღიმილს ოსტატურად იყენებს სულიერი სიცარიელის დასაფარავად. იგი აუდიტორიასა და საკუთარ თავს ატყუებს (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც).

გადაცემის გენერალური სპონსორი მუდმივ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ფულსა და სიგარეტს ხშირად გამნათებლისგან სესხულობს. იგი ტიპიური ხელმოცარული ბიზნესმენია, რომელიც ყველაფერს მიედ-მოედება, სხვებს ატყუებს, მაგრამ უმეტესად თავად რჩება მოტყუებული. კოჭლი ნანას სახით დრამატურგი კრებით სახეს ქმნის. გენერალური სპონსორის მსგავსად ისიც ბიზნესმენობს. საკმაოდ გაქნილია, ყველაფერს კადრულობს, თუმც მასში სხვა სოციალური ტიპი იკითხება. კოჭლი ნანა ბიზნესის გვერდით პოლიტიკოსობს. თავისი იაფფასიანი, ყალბი, პათეტიკური, პოპულისტური გამოსვლებით ხალხის გულის მოგებას და ხელისუფლებაში მოსვლას ლამობს. სამწუხაროდ, ბოლო წლებმა ამაში არაერთგზის დაგვარწმუნა, მის მსგავსებს ბრბოში გარკვეული წარმატება აქვთ.

ირაკლი სამსონაძე სამი სხვადასხვა მოქმედი პირის სახით, ქალის ცხოვრების სამ სხვადასხვა ეტაპს გვიჩვენებს. სრულიად ახალგაზრდა წითელქუდა ჯიუტად ცდილობს დასახული მიზნის მიღწევას. მისი სურვილია პოპულარული ტელევარსკვლავი გახდეს. ამისათვის ყველა საშუალებას იყენებს. ვიდრე წამყვანის საყვარლობას მიღწევს, ჯერ გამნათებლის საწოლში აღმოჩნდება.

წამყვანის თანაშემწე, როგორც დრამატურგი აღნიშნავს ირონიულად, ბალზაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკს მიღწეული ქალია. გააფთრებით ცდილობს წამყვანის საწოლში და, აქედან გამომდინარე, გადაცემაში საკუთარი ადგილის შენარჩუნებას. მაგრამ წითელქუდას მსგავსი ახალგაზრდა გოგოები თავხედურად უტევენ. ისიც იბრძვის ყველა საშუალების გამოყენებით.

ვეტერანი ქალი სიბერეში გადასულა და ამ ასაკისათვის დამახასიათებელ საოცარ თვისებას ამჟღავნებს. დიდ ბავშვად ქცეულა, თითქოს, რაღაც ამაღლებულზე, რომანტიულზე ოცნებობს. როგორც მარადიული ქალური საწყისის სიმბოლო, პიესის ფინალში აკი მწუხარე სახის რაინდის უმშვენიერეს, საოცნებო ქმნილებად, დულსინეად იქცევა კიდეც.

ტელეთამაშზე გამარჯვების მოპოვების დაუოკებელი ჟინით მოსული მორჩილი, ერთი შებოჭილი ახალგაზრდაა, რომელიც ბავშვობიდან ამაოდ ებრძვის ყოვლისმომცველ, დამთრგუნავ არასრულფასოვნების კომპლექსს. ამიტომაც ავადმყოფურად განიცდის თამაშის დროს. ვიქტორინაში გამარჯვება მისთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთ ჩვეულებრივ, რიგით თამაშში წარმატების მიღწევა. ფართო საზოგადოების თვალწინ თავისი ღირსებების წარმოჩენა, საკუთარი პიროვნების საჯარო რეაბილიტაციაა მისი მიზანი. ავადმყოფურად აკვიატებული მესიანისტური აღმოჩენაც მორჩილის კომპლექსების შედეგია.

პიესაში განუყრელი წყვილია დონ კიხოტი და იოანე. მართლაც, რას გვიშვრება ცხოვრება, როგორ გვათამაშებს, როგორ დაგვცინის!.. წარმოიდგინეთ, ტელეშოუს მსვლელობისას სარეკლამო პაუზებში – დონ კიხოტი და იოანე... ბედის ირონია, უკუღმართი, არეული დროის აბსურდი თუ სასტიკი ცინიზმი?!. ორი განუყრელი მეგობარი სხვადასხვა სუნამოს, ტურისტული ფირმის ან პრეზერვატივის იაფფასიან რეკლამაში მონაწილეობით ირჩენს თავს... დონ კიხოტს ამგვარ გარემოში სული ეხუთება, ამაღლებულზე ოცნებობს კვლავ, რომანტიულობაც შერჩენია, რაც ირგვლივმყოფთა ირონიას, დაცინვას იწვევს, მაგრამ სწორედ დონ კიხოტია ის მარად მაძიებელი მარტოსული, რომელიც სახედანაოჭებულ ვეტერან ქალში უმშვენიერესსა და თვალწარმტაც დულსინეას აღმოაჩენს...

მისი მეგობარი იოანე ძირითადად სდუმს, პროტესტს არ გამოხატავს, ჩუმად დაეყუდება ხოლმე ყველასაგან შეუმჩნევლად, სადმე კუთხეში... თითქოს, შესჩვევია, შეგუებია ამგვარ ყოფას... თუმცა თვალი დღენიადაგ ჭაღისკენ მიუპყრია... ცდილობს ... ძვრის სულ მცირე, პირველი ბიძგიც კი არ გამორჩეს, რადგან იცის, უფრო სწორად, დარწმუნებულია, რომ ამ სამყაროს, ამ საზოგადოებას ხვალინდელი დღე, მომავალი არა აქვს... წარღვნა, განკითხვის დღე გარდუვალია...

პიესაში კიდევ ერთი მოქმედი პირია, რომელსაც ერთი შეხედვით, თანამდებობრივად, სოციალურად ყველაზე დაბალი საფეხური უკავია. მაგრამ, ეს გამნათებელი რატომღაც ყველას ძლიერ სჭირდება. ზოგი ფულს სთხოვს, ზოგი სიგარეტს, ვიღაც რჩევას, ვიღაც კი დახმარებას, ქალებიც ვერ არიან მისადმი გულგრილნი... ფინალში ირკვევა, რომ ტელეგადაცემის იდეის და სცენარის ავტორიც თავად ყოფილა... იოანე მის ჭეშმარიტ სახეს ხედავს: „ესაა – სატანა!.." სწორედ იგი მართავს მეჯლისს, ის არის დირიჟორი...

მიწისძვრის ძლიერი ბიძგები არყევენ ტელესტუდიას. ეს სამყარო დასალუპადაა განწირული... „წრე გაწყდა... მარტონი დავრჩით..." – გაჰკივის შეშლილი მოსე და ჩვენ ცოდვილნი, მარტოსულნი შიშით ვძრწით...

გამომცემლობა „მერანმა" გასულ წელს ერთ წიგნად გამოსცა ირაკლი სამსონაძის სამივე პიესა. ტრიპტიქისათვის თვალის ერთი გადავლებაც ნათლად წარმოაჩენს დრამატურგის სულიერ სამყაროში, მის მსოფლაღქმაში მომხდარ ეტაპობრივ ცვლილებებს, რაც ბოლო წლების ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, ყოველდღიური ყოფის თანახმიერია.

ძალიან ხშირად არ მესმის, თუ რატომ ვერ ამჩნევენ ჩვენი თანამედროვე რეჟისორები ირაკლი სამსონაძის პიესებს. უმეტეს შემთხვევაში ირჩევენ დაბალი მხატვრული თუ დრამატურგიული ღირსებების მქონე ნაწარმოებებს ან დგამენ პროზაული ქმნილების საკუთარ ინსცენირებებს, რომელთაც დილეტანტობის, გაუწაფავი დრამისმკეთებლობის სუნი უდის.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართული რეჟისურა „კვლავ აღმოაჩენს" ირაკლი სამსონაძის დრამატურგიას. მით უფრო, იგი ახლა ბიბლიური მოტივებიდან „ქართლის ცხოვრებას" მიუბრუნდა, რის შედეგადაც შეიქმნა, ჩემი აზრით, ქართული დრამატურგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ორი პიესა: „აბეშურა – ფარნავაზიანთა უკანასკნელი დედოფალი" და „არმაზის დაცემა".

და ბოლოს, ერთია კიდევ, ირაკლი სამსონაძის პიესები რომ დადგა, მასავით უნდა გტკიოდეს, ალბათ...

ნინო ფირცხალავა

კარნავალი-ანტიკარნავალი

ალბათ, არსად ისე მკაფიოდ არ მჟღავნდება სხვადასხვა კულტურულ სამყაროთა ურთიერთკავშირი და დაპირისპირებულობა, როგორც დღესასწაულის ფენომენისადმი მიმართებაში. ყოველი კულტურული ერის, ცხოვრების მაორგანიზებელ და დროითი სტიქიის მომწესრიგებელ ელემენტად გვევლინება ეგრეთწოდებული საკრალური თარიღები, რომლებიც დროის მონოტონურ ერთფეროვნებაში აქცენტთა სხვადასხვაგვარი დასმის წყალობით, დროისა და სამყაროს სრულიად განსხვავებულ, ყოველდღიურობის ბანალობისაგან გათავისუფლების განცდას იწვევენ, ანუ აბსოლუტურად ჰომოგენურ დროის კატეგორიას საკრალურ-ჰეტეროგენულად აქცევენ. ესაა ის მხიარულების, თავაწყვეტილობის, გიჟობის, ყურის წამღები აურზაურის პერიოდი, რომელიც თითქმის მთელ ევროპულ ლანდშაფტს, განსაკუთრებით კი რომანულ სამყაროს მოიცავს ყოველწლიურად, დიდმარხვის დადგომის წინ, აღდგომამდე ორმოცი დღით ადრე. ესაა ის ყოვლისწამლეკავი საკარნავალო სტიქია, რომელიც თავის არსში მეტად ამბივალენტურია. ის სათავეებს წარმართობაში იღებს და კალენდარული ზამთრის გაცილების ანთროპომორფულ განსახიერებად იქცევა; მაგრამ ესაა აგრეთვე თავისებური გამოთხოვება ყოველგვარ ხორციელ სიამოვნებასთან მთელი დიდმარხვის პერიოდში.

ქრისტიანულ სამყაროში რელიგიური მონანიების მძიმე პერიოდის დადგენას აჭრელებული, მოყაყანე, მხიარული საკარნავალო პროცესია სიცილით ეგებება და ამ სიცილის უნივერსალურობა მის რიტუალობაში მდგომარეობს. ამ სიცილში ზეიმობს თავის საკრალურ გამთლიანების დაბადება, სიკვდილი და კვლავგაცოცხლება, წარსული და მომავალი. კარნავალის სუბსტანციალობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მთელი ისტორიული პროცესი აღიქმება თამაშად, თავად ცხოვრებაც კი იქცევა თამაშად. [ცოტა უცნაურია ის ფაქტი, რომ იოჰან ჰაიზინგას, რომელმაც მთელი ნაშრომი უძღვნა თამაშის როლს კულტურაში და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთი ასპექტი არ გამორჩენია, კარნავალის, როგორც საკრალური თამაშის უდიდეს მნიშვნელობაზე მაინცდამაინც განსაკუთრებული ყურადღება არ გაუმახვილებია]. ევროპულ კულტურაში ამ საკრალური თამაშის გადამწყვეტ როლზე, ალბათ არავის ისე დაწვრილებით, ისეთი სიღრმითა და გაქანებით არ უმსჯელია, როგორც მიხეილ ბახტინს, რომელმაც კარნავალის რიტუალური სიცილი აღიქვა იმ ფენომენად, რომელშიც მთელი ევროპული ქრისტიანული კულტურა ახდენს თვითგანხორციელებას და თვითწარმოჩენას. ოღონდ, ვიმეორებთ, ეს ნიშანდობლივია მხოლოდ ევროპული კულტურისათვის და ეს არის ის ზღვარი, რომლის იქითაც ბახტინი აღარ მიდის; მაგრამ საგულისხმოა, რომ სიცილი ტირილთან ერთიანდება ანტონიმურ წყვილში და თუკი ვსაუბრობთ რიტუალურ სიცილზე, ისევე შეიძლება საუბარი რიტუალურ ტირილზე, რომელშიც ასევე ავლენს თავს სრულიად კონკრეტული კულტურა. საქმე ეხება იმ დღესასწაულს, რომელსაც ისლამურ-აღმოსავლური, განსაკუთრებით კი შიიტური სამყარო ზეიმობს მოჰარამის თვეში და რომელსაც აშურა ეწოდება. ესაა ფატიმასა (მოჰამადის ქალიშვილი) და ალის ვაჟების – ჰასანისა და ჰუსეინის მარტვილობისადმი მიძღვნილი „თაზიედ" წოდებული მისტერიები. ამ უჩვეულო „დღესასწაულის" კულმინაციის მომენტს წარმოადგენს ის გრანდიოზული პროცესიები, რომლებიც ევროპელ მოგზაურთა აღწერის წყალობით საქვეყნოდ ცნობილია, როგორც „შაჰსეი-ვაჰსეი", წამოძახილის „შაჰიდ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ" გამო.

საქმე ისაა, რომ საკრალური თარიღის ანუ დღესასწაულის მომენტი გადამწყვეტია და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკარნავალო რიტუალურ სიცილში ცოცხლდება წელიწადის დროთა უწყვეტი კავშირი, მზისა და მთვარის ფაზათა ურთიერთმონაცვლეობა, მცენარეულის სიკვდილი და კვლავაღმოცენება. ამ მუდმივ მონაცვლეობაში კი განსაკუთრებით წინა პლანზეა წამოწეული მკვდრეთით აღდგომის, ზრდის, განახლების იდეა. კარნავალმა, ამ წმინდა წარმართული წარმოშობის დღესასწაულმა, მკვეთრად რელიგიურ-ქრისტიანული სახე იმ დიდი კომპრომისის წყალობით შეიძინა, რომელიც შედგა ოფიციალურ ეკლესიასა და სახალხო კულტურას შორის. მისი ფესვები კი რომაული სატურნალიების ლეგალიზებული სახალხო სიცილის კულტშია საძიებელი. ოფიციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესია ცდილობდა დაემთხვია ქრისტიანული დღესასწაულები ადგილობრივი წარმართული საზეიმო თარიღებისათვის და ამით აღნევდა მათ ქრისტიანიზირებას. სწორედ ასევე მოექცა შიიტური ოფიციალური სასულიერო ელიტა ჰუსეინის დატირების რიტუალსაც, რომლის საბოლოო ამოძირკვა მას არ შეეძლო. აქაც გარკვეულ კომპრომისსა და ხერხს მიმართეს და ის დღესასწაული, რომელსაც ნიკო მარის ვაუის, იური მარის თქმით, „ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო შიიტობასთან", გარკვეულ წილად „მოარგეს საკუთარ მოძღვრებას". ვინაიდან თავად ჰუსეინის ლეგენდის დედააზრია ის, რომ მარცვალი – წყლით დაფარული, ილუპება, მაგრამ მისგან აღმოცენდება ახალი ჯეჯილი. ხელახლადაღმოცენებული მარცვალი კი ახალი სიცოცხლეა. ესაა იმ მარადიული მაგიური ფორმულის – „მოკვდი და იქმენ!" – თავისებური გამოხატულება, რაც საბოლოო ჯამში საფუძვლად უდევს თითქმის ყველა უძველეს რელიგიასა და კულტურას.

წლიდან წლამდე ჰუსეინს კრძალავენ გულგამგმირავი მოთქმითა და გოდებით და ეთხოვებიან მომავალ წლამდე ანუ იმ დრომდე, როცა ის მკვდრეთით უნდა აღდგეს იმისათვის, რომ კვლავ დაიღუპოს. ცნობიერება მთლიანად სიკვდილის იდეაზეა ორიენტირებული, მას ელოლიავება და მას განადიდებს. ამაში ვლინდება შიიზმის ძირითადი არსი. საგულისხმოა, რომ მან ტანჯვის, ვნების, განცდის სრულიად განუმეორებელი მოძღვრება შეიმუშავა მაშინ, როდესაც ქრისტეს უმძიმეს ვნებათა, ჯვარცმისა და სიკვდილის მოახლოვებას კარნავალის ფერხულში ჩაბმული ევროპის საქრისტიანო სიცილით ეგებება იმ უეჭველი ცოდნისა და ურყევი იმედის წყალობით, რომ ყველაფერ ამას ბრწყინვალე აღდგომა მოჰყვება.

ამგვარად რადიკალურად განსხვავებულად ვლინდება ამ ორ კულტურაში ღვთის იდეის, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული წრებრუნვის განცდა. ესაა ყოველი განსაზღვრული კულტურისათვის დამახასიათებელ, ტიპიურ მისტერიათა საკულტო დრამაში გაცხადებული ღვთის ან წმინდანის ბედ-იღბლისადმი საკუთარი, პირადი თანაზიარობა. ამ საკულტო დრამას კი ორი ნიღაბი გააჩნია – მცინარი და მტირალი. ესაა არსებითად ერთის ორსახოვნება. ეს ისეთი უკიდურესად კონტრასტული წყვილია, რომლის შესატყვისი კულტურფიზიონომისტური პარადიგმა ძნელი საპოვნია და ალბათ, მხოლოდ სერვანტესის ასევე უკიდურესად კონტრასტული წყვილის – სანჩო პანსასა და დონ კიხოტის, „მწუხარე სახის რაინდის" – მხატვრულ სახეთა მეტაფორა თუ მოგვცემს ანალოგიის პოვნის საშუალებას.

რიტუალურ სიცილს ჯერ კიდევ სატურნალიების ე.წ. „ოქროს ხანიდან" გააჩნია სამყაროს არაოფიციალური ასპექტის წარმოჩენის უნიკალური უნარი. ყოვლად თავაწყვეტილ, თავაშვებულ მასხარაობისა და შელაზღანდარებულ-შეხუმრებულ ზეიმის ატმოსფეროში ხდება საზოგადოებრივ-სოციალური იერარქიის სრული ინვერსია. ესაა ის მომენტი, როცა უმაღლეს საფეხურზე მდგომნი ადგილს უცვლიან ყველაზე უკანასკნელთ. ეს ის მომენტია, როცა რომაული სატუურნალიების მსგავსად ბატონი და მონა ერთად უსხედან სუფრას, ან უფრო მეტიც, როლებს ცვლიან და ბატონი ემსახურება მონას. სიცილის სტიქია არ იცნობს საზოგადოების რთულ იერარქიულ სტრუქტურირებას. იგი თუკი ცნობს მეფის ავტორიტეტს, ესაა არჩევითი „მეფე სიცილისათვის" ("roi pour rire"), რომლის ინსტიტუტს კარგად იცნობს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ევროპული კულტურა. საკარნავალო მოედანი, რომელიც რამპის ფენომენს უგულვებელყოფს, არ ცნობს აგრეთვე საზოგადოების მაყურებლებად და მონაწილეებად დაყოფას; აქ ყველა თანამონაწილეა და სიცილში გამთლიანებული სამყაროს ერთიანი სადღესასწაულო თანაგანცდით შეკავშირებული. აქ ხდება ჩვეულებრივი ყოველდღიურობისათვის განმსაზღვრელი ყველა საზოგადოებრივი, ქონებრივი თუ წოდებრივი, ოჯახური თუ ასაკობრივი ბარიერის მოშლა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს უნიკალური, ყოვლად განუმეორებელი გამამთლიანებელი უნარი სიცილის მსგავსად (და შეიძლება კიდევ უფრო ძლიერადაც), ტირილსაც გააჩნია. მუსულმანთა მკაცრად ჩამოყალიბებული და უკიდურესად ორგანიზებულ რიტუალური ტირილის აქტში ხდება აბსოლუტური ერთობლიობის განცდა საზოგადოების ლამის ლუმპენიზირებული შრეებიდან, ვიდრე ქვეყნის სულიერ ბელადამდე. დაბალი, უპოვარი სოციალური ფენებისთვის ერთგვარ მორალურ კომპენსაციას წარმოადგენს ქვეყნის უზენაესი ძალაუფლების მპყრობელთან ერთად ტირილის უფლება და მისი შებრალების შესაძლებლობა; ვინაიდან მტირალი ადამიანი, როგორც უკიდურესად შეჭირვებული, დათრგუნული და მგლოვიარე, სიბრალულს იწვევს. ამ შემთხვევაში თანაგრძნობა, თანაგანცდა მთლიანად სიბრალულთანაა გაიგივებული. ამ კონტექსტში, ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წლის წინ ინგლისელი ობივატელის კატეგორიული მოთხოვნა ინგლისის სამეფო კარის მიმართ საჯაროდ დაეტირათ კატასტროფაში დაღუპული ოჯახის წევრი – „ერთი ცრემლი მაინც გადმოაგდეთ!" ამგვარი სათაურები ხშირი იყო იმჟამინდელ პრესაში. რიტუალური ტირილის აბსოლუტური დეგრადირების, დაკნინების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს მასობრივი კულტურის ისეთი გულისშემძვრელი მრავალსერიიანი მელოდრამატული საპნის ოპერები, ხშირად მეტად ნიშანდობლივ სათაურს რომ ატარებენ – მაგალითად „მდიდრებიც ტირიან". ასევე მასობრივი კულტურის, კომერციისა და ტურისტული შოუ-ბიზნესის სფეროში მოექცა საკარნავალო სიცილის ფენომენიც. ამის უტყუარი დადასტურებაა ის სარეკლამო კლიპები, ლათინურ ამერიკაში კარნავალის ზეიმზე რომ იწვევენ მსურველთ. ამგვარად მასობრივი კულტურის ანტიკულტურულ შინაგან პათოსს თვით რიტუალური სიცილისა და ტირილის კომერციალიზების უნარიც კი შესწევს.

მართლაც, რაც უფრო ვშორდებით დროში საკრალურ დღესასწაულებს, მით უფრო გაფერმკრთალებული, რედუცირებული, გაღარიბებული წარმოჩნდება მათი ჭეშმარიტი არსი იმ ბრჭყვიალა დეკორაციის მიღმა, ამ არსის ვითომ ერთგულად მიბაძვა-კოპირებას რომ ცდილობს უშედეგოდ. ესაა ის ცალკეული ნაგლეჯები, ფრაგმენტები, რომელთა მეშვეობით მხოლოდ უდიდესი გაჭირვებით თუ მიიღწევა პირველად კულტურათა დიდი და მდიდარი სამყაროს რეკონსტრუირება.

რიტუალური ტირილი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე სიცილი. არისტოტელეს მტკიცებით, ადამიანს ცხოველისგან პირველ რიგში სიცილის უნარი განასხვავებს. ბავშვი მხოლოდ მეორმოცე დღეს იწყებს სიცილს და მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა ჭეშმარიტ ადამიანად. სიცილს ადამიანი თანდათან სწავლობს. მაშინ, როდესაც ტირილი თანდაყოლილი უნარია.

ალბათ, სწორედ ამიტომაც ენიჭება აღმოსავლეთში, ჰეგელისეული ქრონოლოგიით, კაცთა მოდგმის ბავშვობის ასაკს რომ განასახიერებს, ესოდენ გადამწყვეტი კულტურის თვითგამომავლინებელი როლი ტირილის ფენომენს. ევროპულმა კულტურამ კი როგორც უფრო გვიანდელმა და მომწიფებულმა, ძალიან მალე დაინახა ის შიშისა და სიკვდილის დამთრგუნველი ძალა, სიცილში რომაა ჩადებული; მაგრამ სრულიად უშუალო, ყოველგვარი რაციონალიზმისა და განსჯისაგან თავისუფალი სიცილით ამ კულტურამ მხოლოდ [illegible] კუნეების ადრეულ პერიოდამდე იცინა. უკვე თვით რენესანსის ეპოქაშიც კი სიცილი თანდათან ნახევრადრეფლექტირებულ-ნახევრადგაცნობიერებული ხდებოდა. ეს ეპოქა ხარბად აგროვებდა ძველი ეპოქის მოაზროვნეთა გამონათქვამებს სიცილის შესახებ. ამ დროს კარგად იყო ცნობილი მაგალითად პლინიუსის მტკიცება იმის შესახებ, რომ ამ ქვეყანას ერთადერთი ადამიანი მოევლინა სიცილით, რაც მისი ღვთიური სიბრძნის მაუწყებელი იყო. ეს კაცი გახლდათ ძველირანელი წინასწარმეტყველი და ღვთისმსახური – ზარატუსტრა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ზარატუსტრას სამშობლოში, სადაც ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია მისი მოძღვრების გავლენა, ირანში, მიიღო აშურას უძველესმა ზეიმმა განსაკუთრებით მძაფრი, შეიძლება ითქვას გახელებამდე მისული დრამატიზმი, სადაც ოფიციოზი დღეისათვის კატეგორიულად კრძალავს რიტუალის ყველაზე ფანატიკურ და სისხლიან ნაწილს ე.წ. „ღამეზანის" ანუ თავის, შუბლის ხმლით დასერვა-გაჩეხვას (თავად ამ სისხლის დადენაში ხედავს ზოგი მკვლევარი ატის-ადონისის მითოსთან უშუალო კავშირს ანუ იმას, რომ ამ მაგიური ქმედებით მიილტვიან ნანატრი მიზნისკენ, ცდილობენ მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენას.

ალბათ, იოლი წარმოსადგენია კარნავალური მხიარულების ტრადიციაზე აღზრდილ ევროპელთა აბსოლუტური გაუცხოება და შეძრწუნება აშურას ზეიმის სხვადასხვა რიტუალური ცერემონიალების ცქერისას. ყველაფერი იწყება „როუზეთი", რომელსაც როუზეხანი, თავისებური ტირილის ცერემონიალმაისტერი წარმართავს. როუზე შვიდ-რვა საათს გრძელდება და თანამედროვე ირანში ტელევიზიით ყოველდღიურად (აშურას პერიოდში) ინტენსიურად გადაიცემა. აქ ხდება ჰუსეინისა და საერთოდ ალიდთა ბრძოლისა და მოწამებრივი სიკვდილის ტრაგიკული ისტორიის თხრობა, რასაც ხშირად სრულ ისტერიულ ტირილამდე და ეგზალტაციამდე მიჰყავს მსმენელი. ამავდროულად მოჰარამის პირველივე დღეებში ქუჩებში ჩნდება თავდაპირველად მცირერიცხოვანი პროცესიები ე.წ. „დასთე", რომლებიც დღითიდღე იზრდება და მეათე დღეს ანუ აშურაზე გრანდიოზულ მასშტაბს იძენს. ესაა „სინეზანთა" (გულში მჯიღის მცემთა) და „ზანჯილზანთა" (ჯაჭვისმცემელთა) პროცესიები, რომლებიც დასარტყამი ინსტრუმენტის ყოველ რიტმულ ყრუ დაკვრაზე გარკვეულ რიტმულ მოძრაობას ასრულებენ. ყოველივეს კი ახლავს გოდებით მინამღერი ჰუსეინის დატირება და წამოძახილი „შაჰიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(რწმენისათვის თავშეწირული) ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ". ამ ყოვლად უჩვეულო რიტუალის შემყურე სხვა კულტურიდან მოსული ადამიანისთვის ყოველგვარ „დღესასწაულზე" საუბარი აბსოლუტურ მკრეხელობად ჟღერს და ამას არ შველის არც ის, რომ ბოლოს გამოაქვთ ე.წ. „ნახლ", გრანდიოზული ხის კონსტრუქცია, რომელიც ბორბლებზე შეყენებულ საკარნავალო ხომალდს (carrus navalis, საიდანაც პრინციპში წარმოიშვა სახელწოდება კარნავალი) საკულტო ნაგებობას მოგვაგონებს.

ორ კულტურას შორის უზარმაზარი კონტრასტი მართლაც ძალზე თვალშისაცემია და უზარმაზარ გადაულახავ უფსკრულად მოჩანს; მაგრამ საკმარისია უფრო ახლოს მისვლა ხალხით გადაჭედილ ბაზრის მოედანთან, აშურას ზეიმის ეპიცენტრად რომ ქცეულა და ამ შავი ძაძებით შემოსილ, ჯაჭვებისმცემ ხალხის მთელ იერსახესა და ქმედებაში შეუძლებელია იმ ამაღლებული, საოცარი სადღესასწაულო, საზეიმო განწყობის არ შემჩნევა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ სახალხო ზეიმს ახასიათებს. ალბათ, ამ უხილავი შინაგანი მუხტის წყალობით მიდის ხალხის საუკუნეების მანძილზე თავის ტირილის ანტიკარნავალურ ზეიმზე არანაკლები ხალისითა და ენთუზიაზმით, ვიდრე კარნავალის სიცილის დღესასწაულზე.

ყველაზე მთავარი ალბათ ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ხდება დროის ჩვეულებრივი დინების შეჩერება და მისი საკრალურ დროდ ტრანსფორმირება, რაც ამ დროის ნაკადის სრულიად თავისებურ საკრალურ რიტმიზირებას გულისხმობს. ამ ვითარებაში კი, ალბათ იმდენად გადამწყვეტი აღარაა რიტუალურ სიცილს თუ რიტუალურ ტირილს მიმართავს საკრალური თამაში, მთლიანად საკრალურ დროში რომ გაშლილა. ესაა სხვადასხვა კულტურაში არსობრივად ერთის ანუ სამყაროს სადღესასწაულო კონცეფციის სხვადასხვაგვარი გამოვლინების ფორმა. ესაა თეზისა და ანტითეზის, კარნავალისა და ანტიკარნავალის, მხიარულებისა და გლოვის ერთი შეხედვით შეურიგებელი ურთიერთდაპირისპირება, რაც იმ სრულიად განუმეორებელ საკრალურ აქტში მოიხსნება, რასაც კოლექტიური ჭამა, ერთობლივი პურის გატეხვა ჰქვია. ეს ისევე დამახასიათებელია ევროპული საყოველთაო თავაწყვეტილი საკარნავალო ნადიმისათვის, როგორც აშურას დამაგვირგვინებელი აუცილებელი ერთობლივი ვახშმისთვის, „შამე ღარიბან" (მდიდრების მიერ ღარიბთათვის მოწყობილი ვახშამი), რომლისათვის სამზადისს აშურას პერიოდში თეირანის ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით.

საქმე ისაა, რომ ჭამა მეტაფორათა ჯერ კიდევ უძველეს სისტემებში უშუალოდ წყვილდება შრომასთან. აგრარული კულტი ლოგიკურ კავშირს ავლენს ერთობლივ შრომასთან და მის დამაგვირგვინებელ ერთობლივ ჭამის აქტთან. ამასთან ერთად ერთობლივი პურის გატეხვა ყოველთვის სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას განასახიერებს. ამ იდეის, ალბათ ყველაზე აშკარა გამოვლინებაა თითქმის ყველა კულტურისათვის დამახასიათებელი მიცვალებულის სულის მოსახსენებელი სუფრა ნიშანდობლივია თავად რიტუალური საჭმელიც. მაგალითად, საქართველოში ქელეხის სუფრის აუცილებელი ნაწილია ბრინჯი, ლობიო, ხორბალი, ქიშმიში. ნიშანდობლივია, რომ ყველა ეს ხმელი „უსიცოცხლო" ნივთიერება მოხარშვის შემდეგ ანუ წყალთან შეხების შედეგად იზრდება, ფუვდება და რბილდება; ერთი სიტყვით მასში სიცოცხლე იღვიძებს და სიკვდილს ამარცხებს.

საგულისხმოა, რომ კოლექტიური ჭამის აქტში სიცოცხლის გამარჯვების ზეიმი კულტურათა მრავალფეროვნების შესაბამისად არაერთგვაროვანია. ქრისტიანულ სამყაროში პური და ღვინო განსაკუთრებული შინაგანი ლოგიკის, შინაგანი ბუნების წყალობით ამარცხებენ შიშს და ათავისუფლებენ სიტყვას და სწორედ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა, დღესდღეობით საბანკეტო სადღეგრძელოდ რომ იქცა ანუ დეგრადირდა, წარმოადგენს იმ ფენომენს, სადაც, ალბათ ყველაზე უკეთ გამოვლინდა ისეთი აკარნავალური კულტურა, როგორც ქართულია. საქართველო არ იცნობს არც ევროპული კარნავალის და არც აღმოსავლური ანტიკარნავალის საკრალურ თამაშს და თარიღს თავისი მყარად ჩამოყალიბებული რიტუალური კომპონენტებით – მისტერიები, პროცესიები. ყეენობისა და ბერიკაობის სახელით ცნობილი სანახაობები, დაახლოებით რუსული მასლენიცის მსგავსად, სახალხო გართობასა და მხიარულებას არ გასცდენია. მათ არ შეუძენია უნივერსალური და მთელი კულტურისთვის განმსაზღვრელი თვითგამომავლინებელი ფუნქცია და მნიშვნელობა, რაც ამ კულტურაში სიმპოსიარხის, თამადის მიერ მართული სიმპოსიონის, ნადიმის სიტყვას გააჩნია.

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ლიტერატურული ჩანახატები

აზრის განვითარების დინამიკა

საინტერესოა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ხდება აზრის ჩასახვა, ფორმირება, შემდგომი განვითარება, როგორ სახეს ღებულობს იგი საბოლოოდ (ამ დინამიკის შესწავლამ ბევრი რამ შეიძლება გვასწავლოს!).

უშუალო საბაბი აზრის ჩასახვისა შეიძლება იყოს ორი მომენტი – ეს შეიძლება აღმოჩნდეს ძლიერი შთაბეჭდილება ყოფითი, აზრობრივი, ცხოვრებისეული და ა.შ., რომლის შედეგადაც ხდება უეცარი „განათება", „გაელვება" გონებაში და ამ მოვლენის სიტყვიერი გამოხატულებაა აზრი. მეორე (ეს შემთხვევა უმეტესწილად მეცნიერებაში, საერთოდ ლოგიკური აზროვნების სფეროში გვხვდება) – შეიძლება ადამიანში ქვეცნობიერად „იჯდეს" ადრე მიტოვებული აზრი, რომელსაც დასრულებული სახე არ ჰქონდა; ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა რაიმე მოვლენის შესახებ, მაგრამ მას აშკარად გამოხატული სახე არ გააჩნდა და შემდგომ უცბად, სპონტანურად რაღაც საბაბის გამო ხდება ამ აზრის „ამოფრქვევა" და დაფიქსირება. მე მგონი, ამ მოვლენის კლასიკური მაგალითია ცნობილი ლეგენდა „ნიუტონის ვაშლის" შესახებ – ნიუტონი დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა მსოფლიო მიზიდულობის კანონის შესახებ, მაგრამ არ ჰქონდა ეს კანონი ცხადი, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და ამ უბრალო ყოფითმა შემთხვევამ (ვაშლის თავზე დაცემამ!) იგი მიიყვანა კანონის აღმოჩენამდე ანუ მისი ძველი ნაფიქრი უცბად „ამოიფრქვა" და ჩამოყალიბდა კანონის სახით!

ამ ჩამოყალიბების შემდგომ აზრი შეიძლება განვითარდეს ორი მიმართულებით: პირველი არ მოხდეს მისი შემდგომი სრულყოფა და დარჩეს პირვანდელი სახით. ეს იქნება განწყობა იმ მომენტში და როგორც შედეგი მივიღებთ აფორიზმს, მაქსიმას, ლიტერატურულ ჩანახატს, მეცნიერულ ჰიპოთეზას და ა.შ. ამ მოვლენას შეიძლება ვუწოდოთ იმპრესიონიზმი ლიტერატურაში, აზროვნებაში. აქ ერევა ავტორის სურვილი, რომ არ მოხდეს აზრის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, რადგანაც მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ღირებულია აზრი პირველადი „უშუალო" სახით. შეიძლება უფრო ღრმად დავაკვირდეთ ამ მოვლენას – მას შემდეგ, რაც აზრი დაფიქსირდება, მაგალითად აფორიზმის სახით, იგი არ მოითხოვს არავითარ „დამტკიცებას" და მას ვღებულობთ როგორც მორალურ, ზნეობრივ ან სხვა სახის (მაგალითად, მეცნიერულ) პოსტულატს, რომელიც არსაიდან არ „გამოიყვანება" და აღიქმება როგორც ეს პირველადი „განათება", მაგრამ ეს „განათება" ზოგჯერ შეიძლება ცხოვრებისეული გამოცდილების შემაჯამებელი, განზოგადებული აზრის სახით მოგვევლინოს და ამიტომ სხვა ადამიანს მისი წაკითხვისას გაუჩნდეს სურვილი „დაამტკიცოს" რატომ არის ეს აზრი მართებული (გაიხსენოს თავისი ცხოვრებიდან ეპიზოდები მის დასასაბუთებლად!), ე.ი. განვითარდეს უკუპროცესი ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. მართლაც ადამიანი სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში ცოდნას ღებულობს, ე.ი. მან თეორიულად იცის გარკვეული მორალური, ზნეობრივი და სხვა სახის პოსტულატები, რომელთაც უკვე მონიფულ ასაკში საკუთარი გამოცდილებით (იმით რაც ცხოვრებაში შეემთხვევა!) ამოწმებს და ამდიდრებს! როგორც ნათქვამია, თავიდან ხდება „ბორბლის გამოგონება", მაგრამ ეს „ჩვენი ბორბალია" და ამიტომ იგი ადამიანისათვის ძვირფასია! მაგრამ შეიძლება აზრის განვითარება მეორე მიმართულებითაც წარიმართოს. კერძოდ, მოხდეს მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა და ამ დროს შესაძლოა დაიწეროს ნოველა, მოთხრობა, ლექსი ან რომანი, პოემა (თუ აზრების რაოდენობა საკმარისია), მეცნიერებაში აზრის მრავალგზის „გამოცდის" შედეგად ყალიბდება საბოლოო მეცნიერული დებულებები, რომელთა შემოწმება მეცნიერების ზოგიერთ სფეროში ექსპერიმენტის მეშვეობით ხდება.

მას შემდეგ, რაც აზრი დასრულებულ სახეს მიიღებს, ხშირად იგი უკვე ავტორის კუთვნილება აღარ არის – „გამოდის" მისგან! ამ ერთ.ა შეხედვით „უცნაური" მოვლენის საილუსტრაციოდ მოვიყვან ორ მაგალითს: პირველს მეცნიერებიდან, მეორეს კი ლიტერატურიდან. ცნობილია, რომ დიდი გერმანელი ფიზიკოსი ვ. რენტგენი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა გარკვეული გამოსხივების აღმოჩენას, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა (რენტგენის გამოსხივება) და როდესაც მან ეს აღმოჩენა გააკეთა, დაიწყო მართლაც უცნაური მოვლენა – რენტგენს არ სჯეროდა საკუთარი აღმოჩენის და დაუწყო მას ბრძოლა! მახსენდება დიდი ფრანგი მწერლისა და ესთეტის პოლ ვალერის ასეთი გამონათქვამი: „ადამიანი საკუთარი აზრების მამაც არის და შვილიც!" ანუ სანამ რენტგენი სხივებს აღმოაჩენდა, იგი თავისი აზრების მამა იყო, ხოლო აღმოჩენის შემდეგ იგი საკუთარი აზრების შვილი გახდა – ბრძოლა დაუწყო მათ! ეს მოვლენა მეტნაკლებად მაინც გასაგებია, რადგანაც მეცნიერი ცდილობს ობიექტურ სამყაროში არსებული კანონზომიერებების დადგენას, რაც მას არ ეკუთვნის (ისინი მეცნიერის „კუთვნილებაა" მხოლოდ მათ აღმოჩენამდე, დადგენამდე!), მაგრამ თურმე ანალოგიური რამ ლიტერატურაშიც შეიძლება მოხდეს! მართლაც ა. პუშკინის „ევგენი ონეგინში", დასაწყისში ტატიანა უარს ეტყვის ონეგინს სიყვარულზე. შემდგომ პუშკინს უნდოდა შეეცვალა ეს პირვანდელი ვარიანტი, მაგრამ მან ეს ვეღარ შეძლო (ნაწარმოების „ლოგიკა" ისე ვითარდებოდა, რომ მისი გადაკეთება არაბუნებრივი იქნებოდა!) ეს იმის მაგალითია, რომ თავის მიერ შექმნილი გმირიც კი შეიძლება მწერალს არ „დაემორჩილოს"!

მას შემდეგ, რაც ნაწარმოები დაიწერება, „თამაშში შემოდის" კრიტიკოსი. კრიტიკა დამოუკიდებელი შემოქმედებაა – უბრალოდ კრიტიკოსი საწყის „მასალად" იღებს სხვა ადამიანის ნააზრევს, იმიტომ რომ მისთვის რეალობის ეს სახეობა (ბუნება, ადამიანი რეალობის დანარჩენი სახეებია!) ყველაზე უფრო საინტერესოა – ადამიანის ნააზრევი ხომ უმაღლესი ფორმაა მატერიის ორგანიზებისა, იმისა, რაც კი სამყაროში არსებობს!

ასეთ რთულ გზას გაივლის აზრი ჩასახვიდან საბოლოო, დასრულებულ სახემდე!

P.S. იმპრესიონისტული აზრი შეიძლება მთელი ერისთვისაც კი იყოს დამახასიათებელი! მაგალითად, ქართველები ხშირად რაიმე ახალი წამოწყებისას, დასაწყისში უცბად „ავენთებით" ხოლმე – დიდი ენთუზიაზმით ვიწყებთ ამა თუ იმ საქმეს, მაგრამ შემდეგ ბურბუშელასავით უცბად „ჩავქრებით" – გვიქრება ჩვენს მიერვე წამოწყებული საქმის (რომელსაც ხშირად არავინ არ „გვაძალებდა"!) გაგრძელების და ბოლომდე მიყვანის ყოველგვარი სურვილი (ჩვენ ვხდებით ე.წ. „წინასიტყვაობის ადამიანები". ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანი კითხულობს წიგნის მხოლოდ წინასიტყვაობას!) ასეთი რამ, ალბათ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ უპირატესად ვამჯობინებთ აზრის განვითარების პირველ მიმართულებას – ჩვენთვის ღირებულია აზრი იმ მომენტში, ხოლო მისი შემდგომი დახვეწა და სრულყოფა (რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ შრომას და საკუთარ თავზე „ძალდატანებას" მოითხოვს!) შედარებით უცხოა ჩვენთვის!

უკან, ბუნებრიობისაკენ!

დასაწყისშივე მინდა განვმარტო თუ რას ვგულისხმობ ბუნებრიობის ქვეშ – ჩემი აზრით, შემოქმედის გარეგნული ქცევა, ცხოვრების წესი გაგრძელება უნდა იყოს იმ მოძღვრებისა, ქადაგებისა, რასაც თავად ეწევა იგი. ამ ზოგადი განმარტების შემდეგ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ შემოქმედის ბუნებრიობის პრობლემა.

თითოეული ადამიანი ცდილობს გარე სამყაროში გარკვეული ადგილი დაიკავოს, დაიმკვიდროს (გასაგებია – ეს უნივერსალური, ყოველი ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი თვითშენახვის ინსტინქტის ადამიანური დონეა!). ამ მიზნის მისაღწევად ადამიანი ღებულობს ცოდნას, გარკვეულ პროფესიას იძენს, იწყებს მუშაობას, კარიერაზე ფიქრობს და ა.შ. მაგრამ ეს ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით „უწყინარი" გზა ადამიანის მიერ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნისა და დამკვიდრებისა, შემოქმედთან (როგორც მაინც „არასტანდარტულ", საერთოდ მასიდან გამორჩეულ ადამიანთან!) არც ისეთი „უწყინარია", ეს პრობლემა მასთან მწვავედ დგას და აი, რა გაგებით. საწყის ეტაპზე, ახალგაზრდობაში, როცა ადამიანს ჯერ კიდევ კარგად, „მთლიანად" არა ჰყავს საკუთარი თავი „ნაპოვნი" ცხოვრებაში, მისი შემოქმედებითი მოთხოვნილება და მისწრაფება გაუცნობიერებელია! მაგალითად, როცა პოეტი ლექსის წერას იწყებს, იგი სრულიად არ ფიქრობს იმაზე, თუ რისთვის „იქცევა" ამგვარად – უბრალოდ პოეტს შინაგანი მოთხოვნილება აქვს საკუთარი ემოცია, განცდები, ნააზრევი დააფიქსიროს ლექსად და იკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას ან კიდევ, ახალგაზრდა მეცნიერში „ზის" გარკვეული ცნობისმოყვარეობის, ბუნების მანამდე შეუცნობელი მოვლენების შესწავლის სურვილი და ა.შ.

გარკვეული დროის შემდეგ, ადამიანი „აღმოაჩენს", რომ საკუთარი ახალგაზრდული მისწრაფებანი მისი პროფესია „გამხდარა" და იგი უკვე მეტნაკლებად ჩამ-

ოყალიბებული შემოქმედია! ამის შემდგომ შეიძლება სხვა, არასასურველი მიმართულებით წარიმართოს მისი მოღვაწეობა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ადამიანს პირველი შემოქმედებითი წარმატებები, გარკვეული აღიარება მოპოვებული აქვს, შესაძლოა მან სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს „გარეგნულ" ეფექტებს (მატერიალურ კეთილდღეობას, რაც მის პირველ წარმატებებს მოყვა, ეცადოს ცხოვრებისეული პოზიციების განმტკიცებას, იფიქროს პოპულარობაზე და ა.შ.). რა თქმა უნდა, თავისთავად ეს ცუდი მისწრაფება არ არის, „ჯანსაღი" მისწრაფებაა (აღიარებას ყოველი შემოქმედი მოითხოვს!), მაგრამ აქ „იმალება" დიდი საშიშროება – აღიარების ამ გარეგნულმა მხარემ და ცხოვრებისეულ კიბეზე ზეასვლის ბუნებრივმა მისწრაფებამ არ გადასძლიოს, არ „ჩაახშოს" შემოქმედის პირვანდელი გულწრფელი, შეურყვნელი მისწრაფებანი!

ეს გარდატეხის მომენტი (ერთგვარი ცხოვრებისეული გზაჯვარედინი!) შეიძლება იმის მაჩვენებელი, „ინდიკატორი" იყოს, თუ ვისთან გვაქვს საქმე – უბრალო მოკვდავ ადამიანთან, თუ ნამდვილ ტალანტთან და შეიძლება გენიოსთანაც კი! (თუმცა გენიოსი მაინც ცალკე განხილვის საგანია – ეს ფენომენი, ხომ სრულად, „მთლიანად" არავის არ ესმის და ალბათ, არც უნდა ესმოდეს – მაშინ იგი ხომ „გაუბრალოვდებოდა" და დაკარგავდა იდუმალებას!). მართლაც, თუ ამ გადამწყვეტ მომენტში გარეგნული მხარე გადასძლევს, მაშინ საქმე გვაქვს „ჩვეულებრივ" ადამიანთან. ასეთი ადამიანი გაორებულია – მისი ნაწერები, მორალური ქადაგებანი, ის დარიგებანი, რომლებსაც სხვა ადამიანებს აძლევს, ეს ყველაფერი არის მეორადი, „წარმოებული" მისი მისწრაფებებისადმი, ე.ი. ამ ადამიანს უკვე გაჩენილი აქვს ზეამოცანა – ქვეცნობიერად (და არა მარტო ქვეცნობიერად!) იგი იმაზე ფიქრობს, რომ წინ „წაიწიოს", უფრო მაღალ ცხოვრებისეულ საფეხურზე ავიდეს და მისი ქადაგებანი, აზრები მეორადია ამ მისწრაფებასთან შედარებით, ხოლო თუ შემოქმედი არ „ღალატობს" საკუთარ თავს, არამედ აგრძელებს თავისი პირვანდელი მისწრაფებების, მოთხოვნილებების შემდგომ სრულყოფას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ნამდვილ შემოქმედთან. ასეთი ადამიანის გარეგნული ქცევები ლოგიკური გაგრძელებაა მისი შინაგანი სამყაროსი, მოთხოვნილებების, ე.ი. იგი საკუთარი ქადაგებების შესაბამისად ცხოვრობს (ერთადაა მოცემული ამ შემთხვევაში ადამიანის გარეგნული ქცევა და შინაგანი სამყარო!). ცხოვრების ამგვარი წესი ადამიანს საშუალებას მარება საკუთარი აზრების შემოწმებაში, დახვეწაში რადგანაც აღარ იქნება საჭირო „სპეციალურად" განეწყოს აზრების ჩამოყალიბებისათვის (აზროვნების კონცენტრაცია მოითხოვს განსაკუთრებული პირობების შექმნას და სწორედ ეს მომენტია ძნელად დასაძლევი, როგორც წმინდა ყოფითი თვალსაზრისით, ასევე ფსიქოლოგიურადაც!). ამიტომ, თუ ადამიანი „ბუნებრივად" ცხოვრობს, მაშინ აზრების ჩამოყალიბებისათვის პირობების შექმნა უმეტესწილად დაემთხვევა იმ ცხოვრების წესს, რასაც იგი ეწევა ანუ ეს აზრები „ძალდატანების" გარეშე, თვითონ წარმოიშვება და ადამიანს აღარ ექნება გაორება – ერთს ამბობდეს ხმამაღლა და სხვანაირად ცხოვრობდეს (ასეც შეიძლება ითქვას: ადამიანი „ემორჩილება" თავის აზრებს – ისეთი ცხოვრების წესს ირჩევს, რომ ხელი შეუწყოს საკუთარი აზრების ჩამოყალიბებას და დახვეწას!). ამიტომ თვით ეს ქადაგებანიც ჭეშმარიტი და გულწრფელი იქნება და არ იქნება დაქვემდებარებული სხვა არაფრისადმი! აქვე შეიძლება დავამატოთ, რომ ნამდვილად ნიჭიერ ადამიანს არ ჭირდება თამაში! თამაში და ეშმაკობა ისეთ ადამიანს ესაჭიროება, რომელსაც ინტელექტის გარკვეული „ბუნებრივი" დეფიციტი გააჩნია და ამ ქმედებით იძულებულია დამალოს ეს ნაკლი! ამ მიდგომის (ბუნებრიობის) საფუძველზე შეიძლება გავიგოთ ლ. ტოლსტოის ერთი შეხედვით ყველასათვის გაუგებარი წასვლა სახლიდან სიცოცხლის ბოლოს. მე მგონი, ტოლსტოი განიცდიდა ზემოთ ნახსენებ გაორებას – მისი ცხოვრების წესი (იგი ხომ გრაფი, მემამულე იყო!) ეწინააღმდეგებოდა თავისივე მოძღვრებას საყოველთაო სამართლიანობის შესახებ, თუმცა ტოლსტოი საკუთარ მამულში ყოფნისას ცდილობდა ხალხთან, გლეხობასთან ახლოს ყოფილიყო (ჩაცმულობაც ხშირად „გლეხური" ჰქონდა!), მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არასაკმარისად ჩათვალა მან ეს და ალბათ, ამიტომ წავიდა სახლიდან! რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება იყოს ამ მოვლენისა. აქ გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც: მეუღლესთან ცუდი ურთიერთობა, შეიძლება იყოს ალო-ძის გავლენაც (რომელიც ტოლსტოის ძალიან უყვარდა!) – ისიც ხომ ცხოვრების მიწურულს ყველაფერს განერიდა! შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ქრისტე რომ ასეთი „უბრალო" სახით მოევლინა ამ ქვეყანას, უბრალო ხალხში ცხოვრობდა, მე მგონი, არ იყო „შემთხვევითი"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ შევეხოთ ბუნებრიობის გამოვლენის საკითხს მეცნიერებაში. მე მგონი, ყველაზე ბუნებრივი, ნორმალური ქცევის ადამიანები უნდა იყვნენ საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენლები, რადგანაც მათი შესწავლის საგანი არის სინამდვილის ყველაზე მაღალი სფერო – საზოგადოებრივი ურთიერთობები და ადამიანი. სამწუხაროდ, ახლო წარსულში ამ მეცნიერებების ცრუ წარმომადგენლები ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდნენ, პირიქით, უმეტესწილად ეს ადამიანები იყვნენ ყველაზე მეტი კარიერისტები, ინტრიგანები და ა.შ. ეს, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ თვითონ თეორიული ბაზა (რასაც ისინი ეყრდნობოდნენ) – იდეოლოგიით იყო დაღდასმული! ისინი თვითონაც გრძნობდნენ ამას, მაგრამ პოლიტიკური, ყოფითი თუ სხვა მოსაზრებების გამო მაინც აგრძელებდნენ საქმიანობას. მაგალითად, ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი შეცდომა ის იყო, რომ ფილოსოფია „მეორად" დისციპლინად განიხილებოდა პროლეტარიატის ამოცანების მიმართ, ე. ი. პროლეტარიატს ფილოსოფია ისევე სჭირდებოდა, როგორც მაგალითად პოლიტეკონომია. სინამდვილეში კი, ფილოსოფია სრულიად დამოუკიდებელი სფეროა ადამიანის აზროვნებისა, იგი სამყაროში ადამიანის ადგილის გარკვევის თვალსაზრისით უმთავრესი მეცნიერებაა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაქვემდებარებული იყოს რომელიმე კლასის ინტერესებს! ასე რომ, ახლა მაინც საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენლები ყველაზე უფრო ბუნებრივი, ნორმალური ადამიანები უნდა გახდნენ (რა თქმა უნდა, ჩვენში ასეთებიც იყვნენ – ნამდვილი ფილოსოფოსები), იმიტომ რომ, როგორც აღვნიშნე ზემოთ, საზოგადოებრივი ურთიერთობების კანონები, ადამიანის ქცევის წესები ყველაზე უკეთ მათ უნდა იცოდნენ (ეს ხომ მათი უშუალო მეცნიერული კვლევის საგანია!) და უნდა ეცადონ, რომ საკუთარი ცოდნა გამოხატულებას პოულობდეს მათ გარეგნულ ქცევებში, თეორიული ცოდნა მათთვის განყენებული არ იყოს!

ზემოთ ნათქვამს ფილოსოფიის კუთხითაც შეიძლება შევხედოთ – დავსვათ შეკითხვა: სინამდვილის რომელ სფეროებში აქვს ადამიანს უფლება ჩაერიოს? თუ საქმე გვაქვს ისეთ მეცნიერებებთან, რომლებიც სინამდვილის „დაბალ", მარტივ ფორმებს შეისწავლიან (მაგალითად, ფიზიკასთან, რომელიც „მკვდარ" ბუნებას იკვლევს), მაშინ ადამიანს სრული უფლება აქვს ჩაერიოს ბუნების პროცესებში (მისი მოვალეობაც კი არის ეს!) და მართლაც, მაგალითად ფიზიკოსი ასე იქცევა – ქმნის სხვადასხვა თეორიულ მოდელებს, ცდებს ატარებს და ა.შ. ადამიანი აქ წარმმართველი ძალაა და გარდაქმნის ბუნებას (თუმცა აუცილებელია გარკვეული დაფიქრება – ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინება, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება და ა.შ.), მაგრამ სინამდვილის უფრო მაღალ სფეროებში ადამიანს შედარებით ნაკლები საშუალება აქვს ჩაერიოს იქ მიმდინარე პროცესებში და ალბათ, კარგი იქნება, თუ იგი არც კი შეეცდება ამას! მაგალითად, შემოქმედი არ „იფიქრებს" წარმატებაზე იმ გაგებით, რომ მან ეს პროცესი მართვადი გახადოს! შემოქმედმა უნდა გააგრძელოს პირვანდელი შინაგანი მოთხოვნილებების, პოტენციალის შესაბამისად მუშაობა, ბუნებრივი უნდა იყოს და შედარებით ნაკლებად იფიქროს კარიერაზე, წარმატების მოპოვებაზე და ა.შ., სწორედ ეს იქნება იმის გამოხატულება, რომ შემოქმედის გონება „ანგარების" მიზნით არ ჩაერევა თავისავე შემოქმედებით პროცესში!

დასასრულ გავიხსენოთ ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი ლოზუნგი „უკან ბუნებისაკენ!" მე დავუმატებდი: „უკან ბუნებრიობისაკენ!" ანუ ადამიანი უნდა იყოს ერთიანი, მთლიანი პიროვნება, ე.ი. მისი გარეგნული ქცევები უნდა ემთხვეოდეს იმ აზრებს, იმ მორალურ წესებს, რომელსაც იგი ქადაგებს, რადგანაც ამ დროს ადამიანი უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს სცემს პატივს, იგი არ არის გაორებული პიროვნება, მისი ქცევები გაგრძელებაა საკუთარი აზრებისა და იგი შინაგანად ჰარმონიული, ბუნებრივი პიროვნებაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორ ვთქვა ანკი ყოველი“

საქართველოს სახალხო არტისტს რევაზ თავართქილაძეს ესაუბრა ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ინესა ნასარიძე

ერთ საღამოს, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში, იმერლიშვილების ოჯახში სტუმრობისას, ჩემმა მასპინძელმა ისის იყო დააბინავა საქონელი, ახლა კი ქარს ამოვაღებინებ დაღლილ მუხლებსაო, – ჩაილაპარაკა და ტახტზე წამოწვა, რომ მეზობელმა გადმოსძახა: გულჩინ, რადიო ჩართეო. – უი, რეზო იქნებაო, – წამოიძახა გულჩინამ და წამოხტა. ისე სწრაფად მიიჭრა ფანჯრის რაფასთან, დაავლო ხელი ჯიბის რადიომიმღებს და ჩართო, რომ გაფიქრებაც ძლივს მოვასწარი, ალბათ, თანასოფლელის შესახებ არის გადაცემა-მეთქი.

რადიოდან ჩემთვისაც კარგად ნაცნობი ხმა გაისმა. აკაკი გაწერელიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი გადაცემის ტექსტს კითხულობდა რევაზ თავართქილაძე – ვისთვის რადოისა და ტელევიზიის ცნობილი მოღვაწე, ვისთვის ქართული კინოსა და თეატრის გამოჩენილი მსახიობი, დღეს უკვე საბავშვო და საყმაწვილო თეატრის ბერმუხა; ჩემთვის კი, და ბავშვობისდროინდელი ჩემი მეგობრებისთვისაც, უდარდელი ნლების ლამაზ მოგონებებთან დაკავშირებული ადამიანი.

ახლა აღარ მახსოვს, სად და როდის გავიცანით მე და ჩემმა ამხანაგებმა რევაზ თავართქილაძე. იქნებ – რადიოგაზეთ „პიონერთა დაფიონის“ ჩაწერისას ან დისპუტებზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრში რომ იმართებოდა ხოლმე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. ეს კია, იგი ჩვენი უფროსი მეგობარი გახდა. როცა წამოვიზარდეთ და, როგორც იტყვიან, წამოვეწიეთ, მხოლოდ მაშინლა მივხვდით, თურმე როგორ გვმოძღვრავდა, როგორ გვამზადებდა დიდი თეატრის მაყურებლად და გულშემატკივრად. და მიკვირს, სად პოულობდა დროს ბავშვებთან ურთიერთობისათვის სისხლსავსე თეატრალური კოლექტივის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი, კინოსტუდიასა, რადიოსა თუ ტელევიზიაში აქტიურად მოღვაწე მსახიობი...

თბილისში დაბრუნებულს ერთი სული მქონდა შევხვედროდი ბატონ რევაზს, რათა გადამეცა ჩემი მასპინძლების დანაბარები: მადლობა შენი დახვეწილი მეტყველებით, ჩვენი გაუსაძლისი ყოფისათვის ასე საჭირო სიმშვიდით ამ ხალისგამოლეულ და ნერვებდაძაბულ ადამიანებს რომ გვაწყნარებ და გვამხნევებო. დიდი სურვილი მქონდა, აგრეთვე, ქაღალდზე გადამეტანა დიალოგი, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად შედგებოდა და იქნებოდა მრავლისმთქმელი და მრავლისმომცველი. შევხვდი კიდეც, მაგრამ საუბარში ვერ ავიყოლიე. „როგორ ვთქვა ანკი ყოველი, რისგანაცა ვარ ავადო?!“ – ვაჟას ეს სიტყვები გაიხსენა და მისთვის ჩვეული ტაქტით შეხვედრა გადადო განუსაზღვრელი დროით.

მას შემდეგ სამ წელზე მეტი გავიდა... ჩვენ ვსხედვართ კულტურის ცენტრ „იმედის“ ერთ პატარა დარბაზში. აქ ამეცადინებს რევაზ თავართქილაძე ბავშვებს: ასწავლის მართლუბნობას, მხატვრულ კითხვას და შეპარვით, ფაქიზად უტარებს მორალის, ზნეობის გაკვეთილებს. ვაკვირდები ბავშვებს. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ გარდა იმისა, რის ასათვისებლადაც მოიყვანეს მშობლებმა რეზო მასწავლებელთან, სწავლობენ, აგრეთვე, რა არის კარგი და რა არის ცუდი ცხოვრებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში.

ვაკვირდები ბატონ რევაზსაც – მდიდარი და მრავალმხრივ საყურადღებო შემოქმედებითი ბიოგრაფიის მერვე ათეულში გადამდგარი ხელოვანი ახალგაზრდული ენერგიით, გადამდები ხალისით მუშაობს აღსაზრდელებთან; ისე, თითქოს სულაც არ აწუხებდეს, და საერთოდ, სრულიად უცხო იყოს მისთვის დღევანდელი საქართველოს, განსაკუთრებით მისი ინტელექტუალური სამყაროს, სატკივარი. მაგრამ, აი, ოთახს ტოვებს სამუშაო ცხრილით გათვალისწინებული ბოლო მოწაფე და სევდიანი ხდება პედაგოგის გამომეტყველებაც, ხმაც.

– ამათგან ერთიც რომ გამართულად დადგეს არჩეულ გზაზე, გახდეს საკუთარი ხედვის, ხელწერის, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი, მივიჩნევ, რომ ფუჭად არ ჩაუვლია ჩვენს შრომას, მცდელობას. ვინ იცის, ცხოვრებისეული გაკვეთილები, ქუჩა, სასწავლებელი, რა როლს შეასრულებს მათ ბიოგრაფიაში. დღეს, ამ გაურკვეველ პერიოდში, გზაგაკვალულ ადამიანებსაც კი უჭირთ თვითგამორკვევა. ბევრი უკვე „რის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობა, რა ქართველობის“ პრინციპით ცხოვრობს... და საქართველო იცლება ახალგაზრდობისაგან მხოლოდ ფიზიკურად კი არა, საუბედუროდ, სულიერადაც. ფაქტია, მომავალი თაობა იზრდება ქუჩის კანონებით: ენა ახალი, ჟარგონული, უკეთეს შემთხვევაში, საყველპურო ქართული. მეტყველება? – უცხოურისკენ მკვეთრად გადახრილი, არაქართული მახვილებით, ინტონაციით. არავითარი იდეოლოგია. ავტორიტეტების მსხვრევა. ქართული ზნე-ჩვეულებების უგულებელყოფა. ერთი სიტყვით, თითქმის არაფერი ქართული. ამგვარად აღზრდილი თაობა სასიკეთოს ვერაფერს შექმნის. ამას ყველაფერს თავისუფლებას „ვუმადლით“ და ლამის ღვთის წყალობად მივიჩნიოთ, რომ მოდის თავისუფალი თაობა და მან უნდა განაგოს დამოუკიდებელი საქართველოს ბედი...

– და ჩვენს თაობას, თქვენსას მით უმეტეს, ხშირად შეახსენოს, რომ ის დაიბადა და აღიზარდა მონობაში. საბჭოთა საქართველოს შვილებისადმი ასეთი მიდგომა, როგორ ფიქრობთ, ახლისა და ძველის უწყვეტი ჭიდილის, მამებისა და შვილების მუდმივი დაპირისპირების შედეგია თუ გამოწვეულია აგრესიული დამოკიდებულებით ყოველივე საბჭოურის მიმართ?

– მოდით, ჯერ გავიხსენოთ, რა არის თავისუფლება და როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი. თავისუფლება არის ჩემი მოქმედების, ნააზრევის გამომჟღავნების საშუალება. მაგრამ ის არ მაძლევს უფლებას ვაკეთო, ვწერო, ვილაპარაკო ყველაფერი, რაც მომესურვება. მე უნდა ვიყო მორჩილი რაღაცის (არა ვიღაცის!). ეს რაღაც გახლავთ სინდისი, ზნეობა. ადამიანი არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, სახელმწიფოს მმართველობის წესის მიუხედავად. კონსტროლსდაუქვემდებარებელი თავისუფლება სიმახინჯეს ქმნის, აწუხებს საზოგადოებას. ასეთი თავისუფლება არავის სჭირდება.

დღეს ბრმად გაკეთდა დიდი ნახტომი დასავლეთისკენ. ჩვენ ბრმად შევითვისეთ, შევისისხლხორცეთ ყველაფერი უცხო. მე არ ვაზროვნებ, არ ვფიქრობ; ბრმად ვბაძავ სხვა ერის, სხვა ქვეყნის შვილებს, მისი კულტურა, ტრადიციები, მენტალიტეტი ჩემთვის უცხოა, ხშირად – მიუღებელიც. და მგონია, ვარ თანამედროვე, პროგრესულად მოაზროვნე, თავისუფალი; ვამაყობ კიდეც, რომ მოდას მივყვები. არ ვაზროვნებ, არ ვფიქრობ, ე.ი., ვიღაც მკარნახობს. მე იმ ვიღაცის მონა ვარ. და ვარ დასაცინი, რადგან ვხდები ის, რაც არა ვარ. დიახ, ჩემთვის ასეთი ადამიანი სასაცილოა.

თავისუფალი ადამიანი თავად არის მოდის შემომტანი და ამას აკეთებს თავისი ხალხის ტრადიციების გათვალისწინებით, საკუთარი ნაკლის დაფარვით და ღირსების ხაზგასმით. მას კულტურის, საყოფაცხოვრებო და პოლიტიკის სფეროშიც კი აქვს თავისი სტილი და, თუ მოდას მიჰყვება, მიჰყვება მისი დაცვით.

– მოდის ბრმად აყოლა ძალუმად იგრძნობა კულტურის სფეროში. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ. ხომ არ ვცდებით? ან იქნებ კონსერვატორები ვართ და მრუდედ ვიყურებით?

– კონსერვატიზმში ცუდს არაფერს ვხედავ. თუმცა ამ სიტყვას, ჩვეულებრივ, განმარტავენ, როგორც დრომოჭმულის დაცვას და უარყოფით დამოკიდებულებას სიახლისადმი. კონსერვატიზმი ჩემთვის არის ტრადიციების პატივისცემა, ეროვნულ ნიადაგზე დგომა. ჩავიხედოთ ისტორიაში, გავიხედოთ იმ ქვეყნებისკენ, სადაც კონსერვატორები მძლავრობენ. – იქ ერი ერობს. ის თავისუფალია. და ეს შედეგია ტრადიციებზე დაყრდნობით სიახლისაკენ ლტოლვისა.

– ასეთი მსჯელობით, კონსერვატული რწმენის არქონაა ჩვენი საზოგადოების პირველადი დაავადება, ხოლო გამომწვევი მიზეზი – ის, რომ შვილი არ სჯობია მამას?

– უპასუხისმგებლო და ზედაპირული დამოკიდებულებით ეროვნულის მიმართ მონობასთან უფრო ახლოს ვდგავართ, ვიდრე თავის უფლობასთან. არის არაერთი გამონაკლისი, მაგრამ ეს არ ცვლის საერთო სურათს. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო – დღეს გაბატონდა ტრადიციიდან ამოვარდნილი ახალგაზრდების გემოვნება. იმოქმედე, იღვაწე მათი გემოვნებით, ანუ აჰყევი მოდას და თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, „ვარსკვლავად“ მოინათლები. მაგრამ რა ფასი აქვს ამ გზით მიღწეულ პოპულარობას – სწრაფმავალია ისევე, როგორც თავად მოდა. ის საკუთარი „მეს“ არმქონე პირთა ხვედრია. მართალია, მას საყოფაცხოვრებო კეთილდღეობაც მოაქვს და ჩვენც არავინ უნდა დავძრახოთ ოჯახის შემოსავლის გაზრდაზე ზრუნვის გამო, მაგრამ ამისათვის ხელოვანი ხელოსნად არ უნდა გადაიქცეს. ჭეშმარიტი შემოქმედი პოპულარობისკენ მიმავალ გზას არ ეძებს. ის სათქმელს ეძებს და პოულობს კიდეც.

– რომ „ეძიებდე და ჰპოვებდე“, რომ გაუძლო საკუთარი კეთილდღეობის შექმნის ცდუნებას, შენი ნამუშაკევით სხვას სიხარული რომ მოუტანო და თავადაც ისიამოვნო, თქენი აზრით, ღვთით ბოძებული ნიჭის გარდა, რა არის აუცილებელი პირობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიყვარულით მსახურება. ნათქვამია, „გონება და საქმის სიყვარული ჰქონდეს კაცს, თორემ ისე დახელოვნდება, სასწაულთმოქმედი გახდებაო". სიყვარული ხილი არ არის. ის არ იყიდება. მას ვერსად შეიძენ. ვერც ისწავლი. სიყვარული არ არის ერთფერი. რამდენი სუბიექტიცაა, იმდენგვარი სიყვარულია. მას ობიექტიც მრავალგვარი ჰყვას — სულიერიც უსულოც... ამ თემის გაშლა აღზრდის პრობლემასთან მიგვიყვანს: დედამ აკვნიდანვე თუ არ აგრძნობინა შვილს სიყვარულის მადლი, თუ არ გააგრძელა სიყვარულით აღზრდა მერეც, ის ბავშვი სულიერად მახინჯი იქნება. მას არ ეყვარება სამშობლო; ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანის სულიერ სამყაროს; ვერ შეიცნობს ბუნების სილამაზეს; არ ეყვარება საქმე, რომელსაც მისდევს; ის ყოველთვის მოკლებული იქნება იმ დიდ სიამოვნებას, რაც სიყვარულით მსახურებას მოაქვს. სამწუხაროდ, დღეს თავად მშობლები არიან აღსაზრდელები. ეს არ ეხება ტრადიციულ ინტელექტუალურ ოჯახებს. იქ აღზრდის მეთოდიკა სათანადო დონეზეა. იქ, დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, სულიერი საზრდოს მოპოვებაზეც ზრუნავენ.

— მაგრამ ადამიანი, განსაკუთრებით მოზარდი, ადვილად აღიქვამს და ითვისებს ყველაფერს ცუდს, უარყოფითს. ფაქტია, და ეს თქვენც აღნიშნეთ, არსებობს ოჯახისათვის სასურველი კალაპოტიდან ყმაწვილის ამოვარდნის ხელშემწყობი პირობები. თქვენი ნება რომ იყოს, ვის დააკისრებდით წამყვან როლს ამ სავალალო მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლაში?

— თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დღეს სულიერი და ზნეობრივი კატეგორიების ზემოქმედების ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს ტელევიზიას. როგორ იყენებს?! — ეს ცალკე თემაა. მე მგონი, დიდი ხანია დადგა დრო ამ საკითხზე საქმიანად იმსჯელოს და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგას ფსიქოლოგთა, ენათმეცნიერთა, თეატრალური და მუსიკალური სამყაროს ჯანსაღმა, სულით თავისუფალმა ნაწილმა. ჩემი თვალით დანახული ზოგადი სურათი კი ასეთია: ერთი შეხედვით, თითქოს იგნორირებულია იდეოლოგიური სამსახური. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ჩვენი ტელეარხები ამკვიდრებს იმას, რის წინააღმდეგაც უნდა იბრძოდეს. მათ არც რადიოარხები და პრესა ჩამორჩება. და ასე, არა აქვს მნიშვნელობა შეგნებულად თუ უნებლიეთ, ყველა ერთად „იღვწის" ქართველობის ყოველმხრივი დაქვეითებისათვის. ასეთი, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგიური ომის შედეგიც აშკარაა: დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფო ენა შველას ითხოვს; ქართული ჰანგები კარგავს მსმენელს; მშობლიური მაღალმხატვრული ლიტერატურა — მკითხველს და ა.შ. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს თეატრი: უნდა გამოიბას ორი ყური, ორი თვალი, დაიმუხტოს ორმაგი ენერგიით, რომ უშველოს თაობას, საზოგადოებას და პირველ რიგში მშობლებს. დღეს უნდა იქმნებოდეს სპექტაკლები, რომელთა წყალობით შესაძლებელი გახდება ადამიანთა თავებში მცირე მასშტაბის რევოლუციის მოხდენა. მაყურებელი დარბაზიდან სასარგებლო შენაძენით უნდა გამოდიოდეს. გადამდებ სიცილს თუ ცრემლს აზრი უნდა მიეცეს. ახლა არ არის გართობის დრო. თეატრი არ არის დასასვენებელი ადგილი. ამისათვის სხვა დაწესებულებები არსებობს. საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თეატრმა ეროვნული საქმე უნდა აკეთოს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს მომავალი თაობა შეისწავლის ჩვენი ცხოვრების ამ მონაკვეთს, ამ პერიოდს და იკითხავს, რას აკეთებდა ამ დროს ქართული თეატრი. გვინდა თუ არ გვინდა, იგი მაინც იდეის მატარებელი უნდა იყოს.

— საკითხავია, არის კი მზად ქართული თეატრი მაყურებელზე სასიკეთო ზეგავლენის მოსახდენად, ან სურს კი ახალგაზრდობას დაესწროს იდეის მატარებელ სპექტაკლებს?

— რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ქართული თეატრის წარმატებებზე და იმაზე, რომ ქართველი ახალგაზრდობა განათლებულია, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულია და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთებაზე ოცნებობს, სიმართლე ერთია და, სამწუხაროდ, ეს არის თქვენს შეკითხვებზე უარყოფითი პასუხი: თეატრი არ არის მზად შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება. მას უამრავი საჭირბოროტო საკითხი აქვს მოსაგვარებელი. მათ შორის უმთავრესი — მაყურებლის პრობლემა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით. ის წამოიჭრა კარგა ხნის წინ და ძალიან გამწვავდა დღეს არა მხოლოდ ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო. თეატრს დიდი წარმატებით უწევს კონკურენციას ესტრადა და ტელევიზია. კომერციულმა ინტერესებმა მათ ადვილად გამოანახვინა საერთო ენა და ის ადამიანებიც, რომელთაც ბევრის გაღების შესაძლებლობა აქვთ. ამას დაემატა ნაცნობ-მეგობრების ინტერესებიც... და შეიკრა წრე, რომლის მიღმა დარჩა თეატრი თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემებითა და ძველი დროიდან შემორჩენილი თეატრალებით, ანუ მაყურებლებით, ვის სუნთქვასა და მაჯისცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის სპექტაკლის მსვლელობისას და შემდგომაც. მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო ულმობელია, თავისი მიაქვს და მათი რიცხვიც კლებულობს. სანაცვლოდ მოსული თაობის უმრავლესობას, მაინცდამაინც, არ იზიდავს ადამიანის სულის სიღრმეზე მოსაუბრე თეატრი, თეატრი, რომელიც ცდილობს გული გაუმაგროს მაყურებელს, შეახსენოს აუცილებლად დასაცავი დაუწერელი კანონები, რათა ადამიანმა არ დაკარგოს თავაზიანობა და თავმოყვარეობა, იყოს თანამგრძნობიც და თავგანწირულიც. როცა ჯერ არს. რას იზამთ. სენსაციურ ამბებს დახარბებული საინფორმაციო საშუალებების ქვეყანაში სერიალებსა და ათასგვარ დაბალი მხატვრული ღირებულების „შედევრებზე“ აღზრდილ თაობას ბევრს ვერაფერს მოსთხოვ.

— თაობათა ცვლის პრობლემა მწვავედ დგას თავად თეატრშიც. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს დაკვირვებული მაყურებელი. გაჩნდა ეჭვი, რომ თვით აკადემიურ თეატრსაც კი გაუჭირდება შეინარჩუნოს და განამტკიცოს ქარული აქტიორული სკოლის ავტორიტეტი. ფაქტია, 50-60-იანელთა ფონზე ერთფეროვნად, საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურება ჩვენი თეატრალური დასები (ერთი-ორი მსახიობის გამოკლებით). ასეთ შეფასებებს ამაგრებს ბატონ რობერტ სტურუას უკმაყოფილება, უკვე რამდენჯერმე გამოთქმული მისი ხელმძღვანელობით დადგმულ სპექტაკლებში მონაწილე მსახიობების მიმართ. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართველები წარმოადგენენ შესანიშნავ აქტიორულ მასალას“, — როგორც იტყოდა ჯერ კიდევ ა. ლუნაჩარსკი, და იმასაც, რომ ამ „შესანიშნავ მასალას“ როგორც მასწავლებელი თუ უფროსი კოლეგა გვერდით უდგას პროფესიონალიზმით, ნიჭიერებით გამორჩეულ შემოქმედთა მთელი პლეადა (განსაკუთრებით თქვენი თაობის სახით), თეატრის გულშემატკივარმა ალბათ უნდა იკითხოს: რა ხდება, რატომ მიმდინარეობს ასე მტკივნეულად თაობათა ცვლა ქართულ თეატრში?

— რა ხდება? ახალი არაფერი. კარგა ხანია ჩვენს ქვეყანაში ადვილია წარმატების მიღწევა მცირეოდენი შრომითაც. ახალგაზრდა ისე სწრაფად ხდება პოპულარული, ვერ ასწრებს იმის სწავლას, რომ პატიოსნებით, გულწრფელობით, თავდადებით შრომის გარეშე გადადგმული ნაბიჯი განწირულია. ვერ ასწრებს, აგრეთვე, იმის შეგნებას, რომ განათლების, მეტყველებისა თუ საყოფაცხოვრებო კულტურის დაბალი დონე მძიმე დაღს ასვამს ხელოვანის შემოქმედებით ბიოგრაფიას. თეატრის სცენა, წარმოდგენა ხომ სარკეა ცხოვრებისაც, მსახიობის სულისაც.

ასევე კარგა ხანია, ყველა ნორმალურად აღზრდილი და მოაზროვნე ადამიანს აშფოთებს ამაზრზენი მოვლენა — საკუთარი დედის გინებით, ბილწსიტყვაობით ემოციების გამოხატვა. ამას დავუმატოთ აგდებული დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი, საუბრისა და სიარულის უხეში მანერა და მიიღებთ ზუსტ პასუხს შეკითხვაზე, რა ხდება.

— თქვენ გარდა საბავშვო თეატრისა ხშირად მონაწილეობთ სხვა თეატრების სპექტაკლებშიც. ასე იყო მაშინაც, როცა ერთი დასიდან მეორეში მსახიობის მიწვევა იშვიათი გამონაკლისის სახით ხდებოდა. ამდენად, ბევრმა არავინ, ალბათ, თქვენზე უკეთ, იცის როგორია მოზარდი მაყურებელი და როგორ უნდა ითამაშო მისთვის.

— საყმაწვილო თეატრში უნდა ვითამაშოთ როგორც ჩვეულებრივში, ოღონდ გაცილებით მეტი გულწრფელობით, სიფაქიზით, სიყვარულით. ეს დებულება, გითხრათ სიმართლე, იმ სამოცდაათი წლის მანძილზე სრულდებოდა. ახლა ლაპარაკია, რომ წინათ შებორკილი იყო ხელოვნება. ჩვენი თეატრი ემსახურებოდა იმას, რასაც არ სჭირდებოდა ცენზურა არავისგან. თეატრი იყო აღმზრდელი დაწესებულება. მეორე სკოლა იყო, ყოველი ოჯახის თანაშემწე. მას ჰქონდა ერთი მიზანი, მისია — ბავშვის სულიერი და ზნეობრივი აღზრდა. ამ პრინციპით იყო აგებული რეპერტუარი. ამ პრინციპით მუშაობდნენ დიდი რეჟისორები. მარტო თეატრის დამაარსებლის ალ. თაყაიშვილის სახელიც კმარა. სპექტაკლები იდგმებოდა სხვადასხვა სასკოლო ასაკის — უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. ჩვენი და, საერთოდ, ქართული თეატრის ისტორიას ამშვენებს რეჟისორების ბ. გამრეკელის, ა. გამსახურდიას, შ. გაწერელიას, თ. მაღალაშვილის, ალ. ნინუას, გ. ჟურულის შემოქმედება. ცალკე გამოვყოფთ კ. სურმავას. მისი მოღვაწეობა, ჩემი შეხედულებით, თეატრის რენესანსი იყო. ამიტომ იმ პერიოდშიც, ავადსახსენებელს რომ ვუწოდებთ, თეატრი მოღვაწეობდა გულწრფელად და მიზანსაც აღწევდა. აქ გაიარა ცხოვრების გაკვეთილები რამდენიმე თაობამ. ვფიქრობ, დღეს ეს პრინციპი უნდა დარჩეს ამ თეატრისათვის.

ცხოვრება წინ წავიდა. თეატრალურ ცხოვრებაშიც მოხდა თვისებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებები ნაწარმოების გაშუქების თვალსაზრისით გაჩნდა სცენური გადაწყვეტის სხვადასხვა ხერხი. მათ შორის უმთავრესი ე.წ. მეტაფორა გახლდათ. მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც აუცილებელი შეიქნა მაღალი ზნეობრივი პრობლემების, უშუალობისა და ემოციურობის გამოხატვა პოეტური, მეტაფორული ფორმით თუნდა იმისათვის, რომ მომავალში მომზადებული მაყურებელი გაგვეშვა მოზრდილთა თეატრებში. იყო კიდეც ამის მცდელობა. რეჟისორმა შ. გაწერელიამ, რომელმაც წლების მანძილზე არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი დადგმა განახორციელა, ჩვენი თეატრის სცენაზე მოთმინებით და მეთოდურად დაამკვიდრა მეტაფორული სპექტაკლები. ეს გახლდათ იმ დროზით შეზავებული, რომ ნორჩი მაყურებლისათვის იყო, რა თქმა უნდა, ახალი, მაგრამ სავსებით გასაგები. სამწუხაროდ, სიახლის ბოლომდე მიტანა არ მოხერხდა, რადგან თეატრმა თითქმის შეწყვიტა მოღვაწეობა. თეატრიდან წავიდნენ რიგი მსახიობები, წავიდა თავად შ. გაწერელიაც. ჩვენი კოლექტივის შემოქმედებით ცხოვრებაზე, თქმა არ უნდა, უარყოფითი გავლენა იქონია შენობის არქონამ. მძიმე პირობებმა (მოგეხსენებათ მდგმურად მყოფის არასახარბიელო მდგომარეობა) გაართულა მაყურებლის ფართო მასების მოზიდვა. და მაყურებელი დაკარგა არა მხოლოდ მოზარდ მაყურებელთა, საერთოდ თეატრმაც. დღეს დიდ თეატრს შემორჩა ის მცირერიცხოვანი აუდიტორია, რომლის აღზრდა მოასწრო თუ მოახერხა ჩვენმა თეატრმა. ახლა მაყურებელთა უმრავლესობა სპექტაკლის ავკარგიანობაზე მხატვარ-დეკორატორის ნამუშევრისა და მუსიკალური გაფორმების მიხედვით მსჯელობს, მსახიობის ხელოვნებაზე კი — მისი გარეგნული ან ვოკალური მონაცემების მიხედვით. რეჟისორთა დიდ ძალისხმევას ფსიქოლოგიური ანალიზი, ზნეობრივი პრობლემები გამოხატოს მეტაფორული ფორმით და ამ გზით მიაღწიოს სცენისა და მაყურებლის ემოციურ და სულიერ თანხმობას, იშვიათად მოაქვს სასურველი შედეგი.

დღეს ორი თეატრი, რუსული და ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრები ერთად ვართ, რომელსაც ეწოდა ნ. დუმბაძის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო თეატრი. მომრავლდა მოსაგვარებელი პრობლემები — საორგანიზაციო, სოციალურ-ეკონომიკური. აუცილებელი შეიქნა გაფართოების მიზნით შენობის შიდა სათავსების რეკონსტრუქცია. დღევანდელი სურათი ასეთია: უკვე ორ წელზე მეტია, მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ და სხვა უამრავ დაბრკოლების მიუხედავად, თეატრის ხელმძღვანელობა და რეჟისურა მაინც ახერხებს ერთი-ორი წარმოდგენის ჩვენებას, როგორც იტყვიან „მამასისხლად მოზიდულ-მოპატიჟებული" ბავშვებისათვის, არათეატრალურ და არასაზეიმო ვითარებაში. ასე რომ, თბილისის ორი თეატრი, მომავალი თაობის აღზრდის ორი უტყუარი საშუალება, შეიძლება ითქვას, დღეს სულს ღაფავს. ბევრჯერ მითქვამს და ხშირად მომიწევს კიდევ, ალბათ, გამეორება სრულიად უბრალო აქსიომისა, რომ თეატრი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლისათვის. უბრალო ლოგიკა გვკარნახობს: თეატრი არ არის საჭირო, თუ მაყურებელი არ ჰყავს.

— ეს ხომ ის პრობლემაა, რაც განათლების სისტემასთან ერთად ადვილად მოგვარდება. ასე იყო წინათ. დღეს რამ გაყო საბავშვო თეატრისა და განათლების მუშაკების ინტერესები?

— თქვენ ალბათ, გახსოვთ, მოზარდ მაყურებელთა თეატრში წინათ ხშირად დღეში ოთხი სპექტაკლიც კი იმართებოდა. ზოგი მსახიობი თითქმის ყოველდღე სცენაზე იყო. ზოგჯერ დღეში ორ სპექტაკლშიც მონაწილეობდა. ეს, რასაკვირველია, არანორმალური მდგომარეობა იყო, მაგრამ ბავშვებით გადაჭედილ დარბაზს რომ გადახედავდი, დაღლილობას გავიწყებდა იმის შეგნება, რომ შენი ნამუშაკევი ვიღაცას სჭირდება. მაშინ განათლების სისტემასთან მეგობრულ-თანამშრომლური ურთიერთობა უზრუნველყოფდა სპექტაკლებზე მოსწავლეების დასწრებას. დღეს იმ მოტივით, რომ სასწავლებლებში არაფერი არ უნდა იყიდებოდეს, მოისპო აბონემენტების პრინციპით მაყურებლის მოზიდვის საშუალება. იქნებ ბედს შევგუებოდით იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი მშობელი თავისი ბავშვებისათვის სასკოლო სახელმძღვანელობის შეძენას ვერ ახერხებს, რომ არა უამრავი მაგალითი იმისა, როგორ ესწრებიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს, თეატრალურ წარმოდგენებს სკოლის მოსწავლეები კოლექტიურად, სწორედ სკოლაში შეძენილი ბილეთებით, ხოლო ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებს — აბონემენტებით. ამის შემხედვარეს, ბუნებრივია, გებადება უსიამოვნო ეჭვნარევი კითხვა: საიდან, ვისგან და რატომ მოდის საბავშვო თეატრების უგულებელყოფა? ცუდად არ გამიგოთ. ღმერთმა ყველას მოუმართოს ხელი გადარჩენისათვის ბრძოლაში. მე სხვა რამ მადარდებს:

არ გვჭირდება საყმაწვილო თეატრი. არ გვინდა ესთეტიკა, ზნეობა, სულიერება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა! როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი?! რა ღირსების ადამიანები იცხოვრებენ ჩვენი შვილიშვილების გვერდით და როგორი ადამიანები მოხვდებიან ხვალ და ზეგ ქვეყნის სათავეში? ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა უმრავლესობისთვის თუ ეს პრობლემა გლობალურია, რატომ არის უმნიშვნელო, რატომ არ ესმის მას, ვისაც ამგვარი საკითხების მოგვარება ეხება და ძალუძს? კვლავ რატომ უნდა გამოვძერწოთ უვიცი, დაუნდობელი, უსულო და უზნეო ბუტაფორული ადამიანები? ქართველობის გასამწარებლად? რას ვერჩით მომავალ თაობას, რატომ არ გვაღელვებს მისი ბედი?

რით შევცვალოთ თეატრი? იქნებ ეკრანით, რომლითაც ბავშვი აღიქვამს და ეჩვევა ჩხუბს, ძალმომრეობას, ყაჩაღობას, მექრთამეობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს?

იქნებ საბავშვო თეატრის აუცილებლობის მოწინააღმდეგემ ბრძანოს, რომ დღეს მშობლები მძიმე ჭაპანს ეწევიან, საარსებო წყაროს ძებნის პრობლემამ ისინი ქუჩაში გაიყვანა და ბავშვებისთვის ვეღარ იცლიანო. მით უმეტეს საჭირო ყოფილა საყმაწვილო თეატრი – მათი თანაშემწე და დამხმარე დაწესებულება.

სხვათა შორის, გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ სავალალო დასკვნა გამოვიტანე: სწორედ ჩვენი თეატრის ათიოდე წლით შეჩერებამ შეუწყო ხელი ახალგაზრდობის ზნეობრივი მხარის მკვეთრად შეცვლას.

დიახ, თითქმის ათი წელია, ჩვენდა სამარცხვინოდ და საუბედუროდ, საბავშვო და საყმაწვილო თეატრის ბედი ბეწვზე ჰკიდია. და ეს იმ დროს, როცა როგორც არასდროს, საჭიროა მისი არსებობა: თბილისში ხომ დღეს, რომ აღარაფერი ვთქვათ იძულებით გადაადგილებულებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ბავშვი ცხოვრობს. განათლების სამინისტროში ალბათ უნდა დაფიქრდენ, ვინ და რას შეუძლია სასიკეთო გავლენა იქონიოს მათზე, დაეხმაროს სკოლას მოსწავლეების გონებისა და ზნეობის ამაღლებაში. უნდა დაფიქრდნენ და გზაც გამონახონ.

●

საუბარი თუმცა გაგვიგრძელდა, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ მოვახერხე ბატონი რევაზის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზისათვის ერთად გადაგვევლო თვალი. საკუთარ ნაღვაწზე საუბარი, რა კუთხითაც უნდა მიუდგე, თავის ქებას ჰგავს, თავის ქება კი ჩირადაც არ ღირსო, – მითხრა და წამით ჩაფიქრდა, სამი წლის წინ ჩვენი არშემდგარი საუბარი გაიხსენა და დააყოლა: არ ვიცი, რას შეცვლიდა, მაგრამ, ალბათ, ჯობდა მაშინ გვესაუბრა იმაზე, „რისგანაცა ვართ ავადაო“.

იმედი მაქვს, არც ახლაა გვიანი.

ვახტანგ ითონიშვილი

ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის ბრძოლა ფეოდალიზმის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

ქართული წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფიული მონაცემების და სპეციალური გამოკვლევების მიხედვით ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელება და ახალი რელიგიური მოძღვრების განმტკიცება ძლიერ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით მიმდინარეობდა. ბარის მოსახლეობასთან შედარებით ქრისტიანობას აშკარად შეურიგებელი ბრძოლით დაუპირისპირდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, რომელიც სოციალური განვითარების დონით, თემობრივი ცხოვრების წესით და წარმართული რწმენა-წარმოდგენებით ჩამორჩებოდა ფეოდალიზაციის პროცესში ჩართული ბარის საზოგადოებას.

ქრისტიანული რელიგიის იძულებითი დაკანონების შემდეგაც ქართველ მთიელებში კვლავ ძლიერად ფუნქციონირებდნენ წარმართული რწმენები და რიტუალები, რომელთა აღმოფხვრა და ქრისტიანული დოგმატიკით მისი შენაცვლება შუა საუკუნეებშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა. მრავალრიცხოვანი ქართული წერილობითი წყაროებიდან ამ შემთხვევაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემულმა დოკუმენტებმა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, XIII-XIX სს. წიგნი II, თბ; 1974; გვერდები მითითებულია ჩემი ნაშრომის ტექსტში), რომლებიც გვიჩვენებენ ერთი მხრივ მოსახლეობის ეკონომიკურ ვალდებულებებს ეკლესიისა და ფეოდალის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ ეკლესიის როლს კულტისმსახურებისა და ცხოვრების წესების რეგულირების სფეროში. გადამხდელ მხარედ ითვლებოდა ერთ შემთხვევაში სოფელი, ხოლო მეორე შემთხვევაში ოჯახი და პიროვნება. ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, ხოლო ნორმირებულ გადასახადებთან ერთად მხედველობაში მიიღებოდა წესის დარღვევისა და დანაშაულის ხასიათი.

ქრონოლოგიური პრინციპით პირველ რიგში შეიძლება დავიმოწმოთ „XII-XIII სს. ერწო-თიანეთის გარიგების წიგნი". ამ დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული იყო სასულიერო პირის უფლებები და მის წინაშე მოსახლეობის ვალდებულებანი. ეკლესიის მსახურის უფლებებს ხალხში განსაზღვრავდა ე.წ. „არდგომაჲ" ან „შედგომაჲ", ე.ი. ოჯახში მისი მიღება ან არმიღება. „არდგომაჲ"-ს მიხედვით სასულიერო პირის სადღეღამისო დგომა გამორიცული იყო, ხოლო „შედგომაჲ"-ში იგულისხმებოდა ოჯახში მისი სადღეღამისო გაჩერება. ამასთან ერთად „სარგოს გარიგების წიგნში" აღნუსხულია მრევლის გადასახადები: ქრთილი, ცხვრის ტყავი, მხარი, ვერცხლი დრამაჲ, ერთი საქალამნე შოლტი (ტყავი). ამ წესებს ასრულებდნენ ერწო-თიანეთის სოფლები: ბოდავი ჴიდარი, წობენი, ახალდაბა, ნოკორნა, ნოდოკრა, ყუდრო, დაოთი, ბუშატი, თოლეჯი, გორანა და ა.შ. (გვ. 7-8).

●

სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის შესწავლისათვის ბევრად უფრო საინტერესოა XV ს. პირველი ნახევრის დამლევსა და მეორე ნახევარში შედგენილი „სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესავლის გარიგების წიგნი" (გვ. 8-14), რომლის პირი განუახლებიათ 1673 წელს. სიგელი პირველ რიგში გვაცნობს მისი შექმნის იდეას, მიზანს და არსებულ მდგომარეობას: „სახელითა ღვთისათა შემოვიდა სამთავნელი ეფისკოფოზი გრიგოლი ქორონიკონსა რმზ (147, ე.ი. 1459 წ. ვ.ი.) პატრონის ერისთავს შალვას ბრძანებითა. მრავალი უწესო საქმე ქმნილიყო. შევიყარენით ჩუჱნ ცხრაზმისჴევისა სამისავე ჴევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვახსენეთ სამთავნელსა და ჯვარსა და ომფორსა: დღეს ამას უკანიით (sic) რამანცა ხუცესმან, ანუ სკინდიკინოზმანთა, ანუ მეყვისთა, ანუ უწესოდ მოტაცებულთა, ანუ გჯრგჯნნი უკურთხეს, ანუ ჯვარი დასწერნეს, ანუ სასჯულო დაუმალოს, რაცა ეპრიანებოდეს დაურვებინოს და შუა ვერცა პატრონი შეუვიდეს, ვერცა ქვეყანა" (გვ. 11-12).

დამოწმებული განმარტება ეხება შექმნილ რთულ სიტუაციას, საეკლესიო წესებისა და ცხოვრების ნორმების დარღვევებს, რისთვისაც საჭიროდ უცნიათ ეპისკოპოსისა და ერისთავის ერთობლივი მოქმედება. აღნიშნულ პირებთან ერთად ცხრაზმისხევის სამივე ხევის კრებულის (ხალხის) და მამასახლისების შეყრის მიზანი ყოფილა მასში ხსენებული „მრავალი უწესო საქმეთა" აღკვეთა და კანონების დამკვიდრება. საქმე ეხება ლოკალური ხასიათის ღონისძიებას, რაც ანალოგიური ხასიათის სხვა დოკუმენტებთან და სამართლის წიგნებთან ერთად შერყეული ტრადიციული ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებას და სახელმწიფო სამართლის თუ საეკლესიო კანონების ნორმალურ ფუნქციონირებას ითვალისწინებდა.

ძეგლში ნაჩვენებია ერთი მხრივ ეკლესიისა და მრევლის ურთიერთვალდებულებანი, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ, ყოფა-ცხოვრებაში მომხდარი დარღვევები. სიგელის შესავალი ნაწილიდან ნათლად ჩანს, რომ სწორედ ამ მიზეზით განუახლებიათ „ღთეების საყდრის სამწყსოს დრამისა და შესავლის ძველითგან განაჩენი წიგნი და გუჯარი". სიგელის განახლება პირველ რიგში მიზნად ისახავდა საეკლესიო გადასახადების გამოღებას სოფლების სიდიდის შესაბამისად. ამაში შედიოდა: პური, დრამა, სამარხო, ღვინო, ყველი, თივა, ქალამანი, საბელი, ხუცესს ცხვრის 1 მხარი და მირონი. მისართმეველი განისაზღვრებოდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მიხედვით: „ვინცა ვინ ამის სამწყსოშია აზნაურშვილი იყონ მართებული საწირავი მიართვას: ცხენი, იარაღი, წასახურავი და ნიშანი. და უკეთუ მსახური იყო ამგვარად: მართებულმა მსახურმა ცხენი და იარაღი, – დაბაილ«მა ერთი ჴარი მიართვას. რომელიც ხუცესი იყოს და ამისი სამწყსო ეჭიროს და მოკვდეს, თუ შეძლოს მართებულის მსახურის საწირავი მიართვას, უკეთუ არა-ერთი ჴარი: (გვ. 12).

ეკლესიისა და მრევლის ურთიერთვალდებულებების განსაზღვრასთან ერთად სამთავნელის სიგელში კვალიფიცირებულია ყოფა-ცხოვრებაში და სამღვდელოების ქმედებაში მომხდარი დარღვევები და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. სიგელის შემდგენლის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება სასჯელის აღსრულების პირობით. სიგელის მიხედვით, ტრადიციის საწინააღმდეგო ქმედებად ითვლებოდა ცოლის გაშვება, რაც დამნაშავეს საკმაოდ დიდ გადასახადს აკისრებდა. სიგელში ეს ნათლად არის ფორმულირებული: „უკეთუ ვინმე ცოლი გაუშვას, ხუთი ძროხა დაუურვოს" (გვ. 12). ეკლესია ასევე უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა უკანონო ქორწინებას: „უკეთუ ისიძოს ვინმე, ოთხი ძროხა მიართოს და ბუშიც საყდრისა არის" (გვ. 12). ამ შემთხვევაში დამნაშავე არა მარტო ჯარიმას იხდიდა, არამედ შვილის მიმართ უფლებასაც კარგავდა. კანონიერი საქორწინო ურთიერთობის საწინააღმდეგო აქტად ითვლებოდა ქალის მოტაცება და მითუმეტეს ეკლესიაში ჯვრისწერა. უქმრო თუ ქმრიანი ქალის მოტაცებისა და მღვდლის მიერ მათი დაგვირგვინების, როგორც უკანონო ქმედებისა და დანაშაულის შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ სიგელში წერია: „უკეთუ უქმრო დედაკაცი მოიტაცოს ვინმე ცოლაად, ბ(2) ძროხა მიართოს. უკეთუ ქმრიანი დედაკაცი ვინმე მოიტაცოს, დ(4) ძროხა მიართვას. უკეთუ მღვდელმან ამგვარად მოქმედს კაცთა ჯვარი დასწეროს, განიკუ©თოს და უკეთუ შეინანოს, გ(3) ძროხა მიართვას" (გვ. 13).

მოცემული კვალიფიკაციიდან არა მარტო ის ჩანს, რომ მოტაცებით ქორწინება დაუშვებელი იყო, არამედ ისიც, რომ ქმრიანი ქალის მოტაცება ორმაგ დანაშაულად ითვლებოდა. ასევე დამნაშავედ ცხადდებოდა მღვდელი, რომელიც უკანონოდ შეუღლებულთ ჯვარს დასწერდა. მას თუ განკვეთა არა, მონანიების შემთხვევაში სამი ძროხის გადახდა მაინც უწევდა. საეკლესიო კანონების დარღვევა ასევე ჯარიმას ითვალისწინებდა სხვა შემთხვევაშიც, რაც სიგელში შემდეგნაირადაა განმარტებული: „უკეთუ მღვდელმან ორსულს ჯვარი დასწეროს: გ(3) ძროხა მიართვას – თუ იცოდეს, თუ არ იცოდეს – ა(1). და მექორწინემ გ(3) ძროხა მიართვას. უკეთუ ჯვარდაუწერლად კაცმა ცოლი დააორსულოს გ(3) ძროხა მიართვას" (გვ. 13). აშკარაა, რომ ჯარიმას იხდიდა კაცი, რომელიც ჯვარდაუწერლად ცოლს დააორსულებდა და მღვდელიც, რომელიც ორსულ ქალს ჯვარს დაწერდა. განსხვავება მხოლოდ ქალის ორსულობის ცოდნა-არცოდნაში გამოიხატებოდა და მღვდელი ამის მიხედვით ჯარიმდებოდა. სიგელი საქორწინო ნორმების დაცვას ავალდებულებდა მღვდელსაც და მთავარსაც: „უკეთუ მღვდელი, ანუ მთავარი ღირს იქნას მეორედ ქორწინებაასა, ბ (2) ძროხა მღვდელმა და მთავარმან მიართვას" (გვ. 13). ამ განმარტების მიხედვით, სასულიერო პირებს ევალებოდათ არა მარტო წესების აღსრულება სხვათა ქორწინებაში, არამედ პირად ცხოვრებაშიც კანონის შესაბამისად უნდა მოქცეულიყვნენ. საქორწინო ურთიერთობის სფეროდან სიგელში შეტანილია კიდევ ერთი საყურადღებო პუნქტი: „უკეთუ ქართველმან სომეხს ქალი მისცეს ცოლად და ანუ მოიყვანოს, მონათლოს, ანუ გააშვებინოს, საკანონო გ (3) ძროხა მიართვას" (გვ. 13).

ქართველისა და სომეხის ქორწინების შემთხვევაში ეკლესიის ესოდენ აქტიური ჩარევა და მის მიერ სანქციების დაწესება შემთხვევითი არ არის. ქართული ეკლესიის მიზანს შეადგენდა მართლმადიდებლობის ინტერესების დაცვა, რისი განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად ითვლებოდა გრიგორიანი მეუღლის მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე გადაყვანა, ე.ი. ფაქტიურად გაქართველება. ქართული მართლმადიდებლობის ინტერესების შესაბამისი სანქციები ვრცელდებოდა სხვა ვითარებასთან დაკავშირებითაც: „უკეთუ მღვდელმან სომეხს უხუცოს, ანუ სახლი გაუნათლოს, ბ (2) ძროხა მიართოს" (გვ. 13). ამდენად, სამთავნელის სიგელი ერთ-ერთი დოკუმენტია სხვა ქართულ წერილობით წყაროებთან ერთად, რომელიც მართლმადიდებლობის ინტერესებს განასახიერებდა, მოითხოვდა მისი შესაბამისი წესების აღსრულებას და ამ გზით ეროვნული ინტერესების დაცვას.

ქართულმა ეკლესიამ ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო საქორწინო ურთიერთობაში არსებულ დარღვევებს, არამედ მართლმადიდებლობისათვის მიუღებელ სხვა სახის ქმედებას, სახელდობრ „კუდიანობას" და მკითხაობას, რომელთა აღკვეთის მიზნით მკაცრი სანქციები დააწესა: „უკეთუ ვინმე კუდიანობაჲ, ანუ მკითხაობაჲ ქმნას – ცხვირით გახეიბრდეს და თუ შეინანოს ორი ძროხა დაუურვოს. უკეთუ კუდიანობაზედ დადაღონ ვინმე, დამდაღავმაჲ (sic) ოთხი ძროხა მიართოს, – დადაღულმა ერთი" (გვ. 12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტირებული ადგილიდან აშკარაა, რომ კუდიანობა-მკითხაობაში შემჩნეულ პირს „ცხვირით გახეიბრება", ე.ი. ცხვირის მოჭრით დასახიჩრება უწევდა. ასე დასჯა საქართველოში სხვა სახის დანაშაულთან დაკავშირებითაც მიღებული იყო, რაც ცნობილია წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემებით. სასჯელის შემსუბუქების საფუძველი იყო მონანიება და შედეგად ორი ძროხით დაჯარიმება. მეორე სახის სასჯელად დასახელებულია დადაღვაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თვითნებურად არ უნდა მომხდარიყო. საფიქრებელია, რომ დადაღვა ეკლესიის ან მართლმსაჯულების სანქციით ხდებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა დამდაღავი რატომ იხდიდა ოთხ ძროხას. მით უფრო აუხსნელი რჩება – დადაღული რატომ იხდიდა ერთ ძროხას. აღნიშნულ გარემოებათა გამო სიგელში მოცემული ფორმულირება ბოლომდე ვერ იშიფრება.

სამთავნელის სიგელის შედგენის დროისათვის უსათუოდ დარღვევას უნდა ჰქონოდა ადგილი სასისხლო საქმეშიც. ამიტომ მკვლელობასთან დაკავშირებით აღინიშნა: „უკეთუ კაცი მოკლას ვინმე, მკულელმა ხუთი ჴარი მიართოს და მკვდრის პატრონმა ერთი" (გვ. 12). ამ განმარტების მიხედვით მკვლელი სისხლის საზღაურის ნაწილს უხდიდა ეკლესიას. იგულისხმება, რომ უფრო დიდი კომპენსაცია ევალებოდა მოკლულის ოჯახის მიმართ. ეკლესიის წინაშე მკვლელის ვალდებულება მოკლულის ოჯახისათვის განკუთვნილ საზღაურთან ერთად მკვლელობის აღკვეთის ინტერესებს შეესაბამებოდა. რაც შეეხება მკვდრის პატრონის მხრიდან ეკლესიისათვის ერთი ძროხის გადახდას, როგორც ჩანს, ეს განკუთვნილი იყო იმ წესების შესრულებისათვის, რაც ეკლესიას ევალებოდა მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვისათვის. აღნიშნულის დამადასტურებელია სიგელის კიდევ ერთი პუნქტი: „სოფლებსა ამას ვინცა აზნაურმან, ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღთებაჲს (sic) უნდაჲ (sic) მიართვას მიცვალებულის მოსახსენებლად (sic)" (გვ. 13).

ეკლესიისთვის მისაცემი ეს „მესამედი სისხლი" იმავე დანიშნულებისა იყო, როგორც ზემოხსენებული ერთი ძროხა მკვდრის პატრონის მხრიდან. ეკლესიისთვის მესამედი სისხლის გადახდა უსათუოდ იმის მაჩვენებელია, რომ მკვლელს სისხლის 2\3 მოკლულის ოჯახისათვის უნდა გადაეხადა.

მკვლელობასთან დაკავშირებით მოცემული განმარტებები აშკარად იმ გარემოებაზე მიგვანიშნებენ, რომ სიგელის შედგენის პერიოდისათვის პირდაპირი შურისძიებისა და სისხლის აღების ნაცვლად მიზანშეწონილი იყო მატერიალური ანაზაღაურება მოკლულის ოჯახისა და ეკლესიისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლისა და საეკლესიო კანონის მიხედვით ძალაში იყო კომპოზიცია, რამაც შეცვალა გვაროვნული წყობიდან მომდინარე სისხლის აღების წესი, რაც, როგორც შუა საუკუნეების საქართველოში, ისე მოგვიანო პერიოდში მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობდა და გამონაკლის შემთხვევათა სახით დღემდეც სრულდება.

სიგელის შინაარსიდან ჩანს, რომ დარღვეული იყო საეკლესიო წესებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სამთავნელს არ დასჭირდებოდა შესაბამისი ახსნა-განმარტება და სანქციების დაწესება არსებულ უკანონობათა აღსაკვეთად. შექმნილი ვითარების დამადასტურებელია სიგელის შემდეგი ადგილი: „უკეთუ მღვდელმან ანუ სამღვდელომან იპაროს, თუ მახჯლი იჴადოს – განიკუჭთოს. და უკეთუ შეინანოს გ(3) ძროხა მიართვას. უკეთუ შეაჩვენოს ვინმე და მღვდელმან უხუცოს, – განიკუჭთოს, და თუ შეინანოს გ (3) ძროხა მიართოს... უკეთუ ვინმე მარხვა ჭამოს ბ (2) ძროხა მიართვას. უკეთუ ვინმე მარხვაში ხსნილურად ქორწილი ქნას, გ (3) ძროხაჲ მიართვას. უკეთუ მღვდელმან ავადმყოფს სხჳს ჴელით საზიარებელი გაუგზავნოს, განიკუჭთოს და უკეთუ შეინანოს გ (3) ძროხაჲ მიართვას. უკეთუ მღვდელმან უსაყდროდ და უემბაზოდ ყრმასა ნათლისცეს, – განიკუჭთოს და უკეთუ შეინანოს გ (3) ძროხაჲ მიართვას. უკეთუ მღვდელმან უცოდინარობით მარხვა აჭამოს ვისმე, დ (4) ძროხაჲ მიართვას" (გვ. 13).

აღნიშნულთან ერთად, რაც საეკლესიო წესების დარღვევებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს აკისრებს სამღვდელოებას, მათსავე მოვალეობას შეადგენდა სიკვდილის წინ ადამიანის ზიარებისა და სიკვდილის შემდეგ გლოვის წესების შესრულება: „უკეთუ უზიარებელი მოკლაჲს (sic), ხუცესმა ა (1) ძროხა დაუუროს და თუ ხუცესმა ვერ შეიტყოს, მკვდრის პატრონმა ა (1) ძროხა მიართოს. უკეთუ მღვდელმან უნათლავი მოკლაჲს ვინმე (sic), ა (1) ძროხა მიართონ. უკეთუ უხუცოდ და უანდერძოდ მკვდარი ვინმე დამარხოს, ბ (2) ძროხა მიართოს" (გვ. 12-13).

განხილული მონაცემების მიხედვით სამთავნელის სიგელი ერთ-ერთი საინტერესო და სანდო წყაროა ქართველი ხალხის ცხოვრების წესის შესწავლისათვის. იგი პასუხს გვაძლევს იმის შესახებ, თუ ტრადიციულად როგორი იყო ქართული ყოფა და სულიერი კულტურა, რა სახის დარღვევებს ჰქონდა ადგილი ზნე-ჩვეულებათა სისტემიდან და რა სახის სანქციები შეიმუშავა ეკლესიამ შერყეული საყოფაცხოვრებო თუ საეკლესიო წესების აღდგენისათვის. შეუძლებელია შუა საუკუნეების ისტორიული ეთნოგრაფიის შესწავლით დაინტერესებულმა მკვლევარმა გვერდი აუაროს სამთავნელის სიგელს.

●

საოჯახო ყოფის შესწავლის ინტერესებს პასუხობს XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი „საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარი". იგი გვაცნობს როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალის ოჯახის სტრუქტურას, მის მომსახურე პერსონალს (3 მერიქიფე, 10 ფარეში, 1 მეჯინიბეთუხუცესი, 1 შიგმდეგი, 4 მეჯინიბე, 1 ბოქაულთუხუცესი, 9 იასაული), ისე ძღვენისა და სამასპინძლოს სახით არსებულ ვალდებულებათა შესრულების წესს. სოფლებზე გაწერილი გადასახადების ოდენობა განისაზღვრებოდა კომლთა რაოდენობის მიხედვით. იმის წარმოსადგენად, თუ რითი და როგორი წესით იყო დაბეგრილი მოსახლეობა, შეიძლება დავიმოწმოთ სოფელ წრაურთის მონაცემები: „ქ. უნდა გამოიღონ წრაუთრს სააღდგომო: ცხვარი შვიდი, ბატკანი ხუთი, კვერცხი ოთხმოცი. ქ. იქივ წრაურთს საშობო: ცხვარი შვიდი, თობლი ხუთი, ქათამი შვიდი. ქ. იქივ წრაურთს საყველიარო: ერბო ლიტრა ორი, ყველი ლიტრა სამი, კვერცხი ოთხმოცი. ქ. იქივ წრაურთს სახიზე: მამალი თხა სამი. ქ. იქივ წრაურთს ვინც თარხანი იყოს უნდა გამოიღონ სამასპინძლო: მთელს საკომლოზე ცხვარი ორი, პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი სამი, მარილი ლიტრა ერთი. ქ. იქივ წრაურთს ნახევარ საკომლომ უნდა გამოიღოს: ცხვარი ერთი, პური კოდი ერთნახევარი, ქერი კოდი ერთნახევარი, ქათამი ერთი, ერბო სტილი ხუთი, მარილი სტილი ათი. ქ. იქივ წრაურთს. სალორე: ღორი ორმოცზე ერთი. ქ. იქივ წრაურთს სამარხო: მუხუდო ლიტრა სამი, ოსპი ლიტრა სამი. ქ. იქივ წრაურთს ერთს პირს ცხვარზე ყველი ერთი მოთალი. ქ. იქივ წრაურთს საბაზიარო: ქათამი ექუსი. ქ. იქივ წრაურთს სასვიანო მთელს საკომლოზე: მარჩილი ერთი; ნახევარ საკომლოზე: შაური ექუსი, ამის უმცროს: შაური სამი" (გვ. 57-58).

ძირითადად ასეთი სახის გამოსაღებია ნაჩვენები ყველა სხვა სოფელში, მაგრამ სამეურნეო სპეციფიკის მიხედვით შეინიშნება ზოგიერთი სხვაობაც. მაგალითად, სოფელ იფნობს ევალებოდა „თევზი: ლიტრა ათი ქრისტეშობის მარხვისათვის, საყველიაროთ ლიტრა ხუთი, სახარებოთ ლიტრა სამი, საბზობოთ, ლიტრა სამი" (გვ. 58). ამავე სოფელს ეკისრებოდა: „მთელს ვენახზე სამასპინძლო ღვინო: ბატონის საპალნე ერთი, ნახევარზე ბატონის ცალი ერთი.

როგორც შედარება გვიჩვენებს, სოფელ წრაურთისაგან განსხვავებით სოფელ იფნობში სამასპინძლოში ღვინოც შედიოდა, რაც ამ სოფელში მევენახეობის არსებობით უნდა იყოს განპირობებული. ზოგიერთ სოფელში სამასპინძლოდ ხილიც (ლოღნოში, შინდის ჩურჩა...) არის დასახელებული, ხოლო რამდენიმე სოფელზე ერთი ან ორი ძროხაც იყო შეწერილი. საყაფლანიშვილოს აღდგომისა და შობის ძღვენი მთლიანად შეადგენდა 69 ძროხას, 611 ცხვარსა და ბატკანს, 104 სახიზე თხას (გვ. 82). მთელი ეს ძღვენი გროვდებოდა სოფლების სიდიდის შესაბამისად, ხოლო სამასპინძლოს მოცულობა განისაზღვრებოდა მოსახლეობის სოციალური კატეგორიების მიხედვით: „თარხანს კაის კვამლზე სამასპინძლო: ცხვარი ორი, კოდი პური სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი" (გვ. 82). უფრო დაბალი კატეგორიის თარხანს ყველაფერი უნახევრდებოდა.

იმის გამო, რომ ძღვენის თუ სამასპინძლოს გადახდა ყოველი კომლის ვალდებულებას შეადგენდა, ხოლო ეს თავის მხრივ ოჯახის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, „საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარი" მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს ოჯახის ეკონომიკური საფუძვლების შესწავლისათვის.

●

შინაარსობრივად საყაფლანიშვილოს დავთრის ანალოგიურია XVIII საუკუნის II ნახევრით დათარიღებული „ქსნის ხეობის გამოსავლის დავთარი" (გვ. 173-178). ამ დოკუმენტის მიხედვით, ოჯახი იხდიდა მამულზე დაწესებულ გადასახადს, რომლის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ მონაცემები რამდენიმე სოფლის მაგალითზე: „შეტაკოკარს: ქ. პავლეშვილს გვიანას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი" (გვ. 174). „პავლეთკარს: პავლეს-შვილის დათუნას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი" (გვ. 174). „კაჯრაეთს: წიკლაური გამიხარდის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი" (გვ. 176). „ქენქართკარს: ქენქაძე ივანეს მამულს აძეს: პური ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი" (გვ. 176). „გოგოლეთს: ბეჟუაშვილის მამულს აძეს მგელს და შიოსა და ბასილს ბეგარი: პური ჩანახი თხუთმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი" (გვ. 177).

ფაქტობრივი მონაცემების გამრავლების გარეშეც შეიძლება ითქვას, რომ „ქსნის ხეობის გამოსავლის დავთარიც" ერთ-ერთი საყურადღებო წყაროა საოჯახო მეურნეობისა და ოჯახის საარსებო საშუალებათა კვლევასთან დაკავშირებით.

●

საქართველოს მოსახლეობის სოციალური განვითარებისა და სულიერი კულტურის შესწავლის ამოცანას პასუხობს „1669 წ. წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების სიგელი". ამ ძეგლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანული რელიგიის მონაცემებს, სახელდობრ იმ წესებს, რაც თანმიმდევრობით სრულდებოდა მიცვალებულის გლოვისა და დაკრძალვის პროცესში. ეს წესი და რიგი გამოხატულებას პოულობდა სამღვდელოებისა და მოსახლეობის ურთიერთვალდებულებაში. ერთ მხარეზე ფიგურირებს ეკლესია, სახელდობრ ეპისკოპოსი, რომლის მოვალეობას შეადგენდა წირვის ჩატარება, ხოლო მეორე მხარეზე – მოსახლეობა, რომელსაც დადგენილი გადასახადის გამოღება ეკისრებოდა. წესის დაყენებასა და გადახდაში დაცული

იყო იერარქიის პრინციპი — ვინ ასრულებდა წირვას და ვის ევალებოდა გადასახადის გამოღება. გადასახადის, კერძოდ კი საკანონოსა და გადახურვის გამოღების საფუძველი იყო ერთ შემთხვევაში მოსახლეობის სოციალური კატეგორიები, ხოლო მეორე შემთხვევაში მიცვალებულის ვინაობა (ოჯახის უფროსი, მამაკაცი თუ ქალი). სოციალური იერარქიის მიხედვით წირვის შესრულების პროცედურა მიცვალებულის გლოვის რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რისთვისაც ამ დოკუმენტს თავისი ადგილი მიეკუთვნება სულიერი კულტურის კვლევის სფეროში.

სიგელის მიხედვით ეკლესიისადმი ვალდებულების ხასიათს განაპირობებდა კონკრეტული სიტუაცია. იქ, სადაც ქრისტიანული რელიგია უკვე განმტკიცებული იყო, შესაბამისად წირვის პროცედურაც უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა და ვალდებულების შესრულებასაც წინააღმდეგობა არ ხვდებოდა. ასეთი ვითარება ჩანს ბარის ნაწილში, მაგრამ იქ, სადაც ქრისტიანულ მოძღვრებას ჯერ კიდევ უპირისპირდებოდნენ, სამღვდელოებასაც უარს ეუბნებოდნენ სიგელით გათვალისწინებულ ვალდებულებათა აღსრულებაზე. ასეთი ვითარების დამადასტურებელია სიგელის შემდეგი ადგილი: — „ქაისხეველებს არა აძევს რა: არა დრამა, არა სახუცო, არა ჩაყენება წილკნელისა. თვინიერ ღვდელი თუ მოკვდეს, ან გამოწენილი მსახური, რაც შეძლოს საწირავი მიართონ. ქაისხეველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეპისკოპოსის შესვლას წყინობდეს, არც აღსარებისა იცოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზი წილკნელი შეგზავნა. წილკნელს ჯანყი უყვეს, არ შეუშვეს. ერისთავმა... უწყინათ, იასაულები გამოუსივათ, ავად მოეპყრა. ადგნენ და წილკნელს შეეხვეწნენ და წილკნელმა იპატივა და წილკნელისა საწირავი დაიდვეს. ამას იქით ვინც გასჯულავთ, იმათთვინაც კეთილია და მწყემსისთვინაც ბოროტი არა არის რა. მთაში შესვლა მამამთავრისა და ჯვარის მტირთველისა არ იქნების“ (გვ. 32).

არსებული ანტაგონიზმის საფუძველი იყო „მოუქცევლობა“, ე.ი. ქრისტიანობისადმი გულგრილი დამოკიდებულება. რამდენადაც ქაისხეველთა „გული კიდევ მოუქცევარი იყო“, ამდენად ეპისკოპოსსაც, როგორც ქრისტიანული რელიგიის მსახურსა და ეკლესიის წარმომადგენელს მწყრალად უხვდებოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერისთავმა ურჩ ქაისხეველებს „იასაულები გამოუსივათ“, ე.ი. ძალის გამოყენებით ისინი აიძულეს, რომ „წილკნელისა საწირავი დაიდვეს“, მაგრამ გამაფრთხილებელმა ფრაზამაც გაიჟღერა: „მთაში შესვლა მამამთავრისა და ჯვარის მტირთველისა არ იქმნების“. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეკლესიისადმი ვალდებულება და რიტუალის შესრულების წესი რწმენის შესაბამისი იყო. რელიგიის ისტორიისათვის მთავარია ის ფაქტი, რომ საეკლესიო კანონებს ყველგან არ ცნობდნენ და მისი დანერგვისათვის ძალასაც იყენებდნენ.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისათვის, ქრისტიანული მოძღვრებისა და სამღვდელოებისადმი ქართველ მთიელთა დამოკიდებულების, თვით მთიელთა რწმენისა და მთიანეთში სოციალური განვითარების დონის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა სიგელის ის ადგილი, რომელიც მოიცავს საარაგვოში შექმნილი მდგომარეობის აღწერილობას. სიგელში მოცემული ლოკალიზაციის მიხედვით ქართლის მთიანეთის ეს მონაკვეთი იწყება ანანურიდან და თავდება დარიალის ხეობით. ამ ზონაში შედიოდა რამდენიმე ტერიტორიული თემი: ჭართალი (ანანურიდან წითლიანთკარამდე), ხანდო (გვერდითი ხეობა არაგვის მარჯვენა მხარეზე მთიულეთის მისადგომებთან), გუდამაყარი (შავი არაგვის გვერდითი ხეობა თეთრი არაგვის მარცხენა მხარეზე), მთიულეთი (ქავთურთკარიდან ჯვრის უღელტეხილამდე და ღუდის ხევის სათავეებამდე; ამ ტერიტორიაზე განსახლებული იყო ცხავატის თემი და ხადის თემი, შემდეგში ამ ორი თემის გაერთიანებას ეწოდა მთიულეთი) და ხევი (ჯვრის უღელტეხილიდან დარიალის კლდეკარამდე, ოსეთის სოფელ ზემო ლარსის მისადგომებამდე). საარაგვოს ეს ტერიტორია მოიცავდა ფეოდალური სენიორიის — არაგვის საერისთავოს ფარგლებს (აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებული ხეობებისა და თემების ლოკალიზაციის შესახებ, იხ. ვახტანგ ითონიშვლი, არაგვის ხეობა, თბ., 1986; მისივე, არაგვი და არაგველები, თბ., 1989; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992).

ანანურიდან დარიალის კლდეკარამდე არსებული ტერიტორიის, მისი მოსახლეობის სოციალური განვითარებისა და შესაბამისად სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ წილკნელი წერს: „ანანურს ზევითი, ხევს გარდა, ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის. რახან წმინდის ემბაზის შვილნი შექმნილიყვნენ, იმათი ეპისკოპოსი ვინცვინ წილკნელი ყოფილან, იმათი სამწყსო ყოფილა. მცირედ ქრისტიანობა შამოეუდგიათ, ხუცესი და დიაკონი დაუდგინებიათ. წმინდის ნათლობისღების შვილობა გამრავლებულა“. არაგვის ერისთავი არავინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ შაბურიშვილის მეტი. იმას ჭერია დაბალი საერისთო. ანანურს ზევით მთიულეთს წილკნელისა არა ედვა რა: არა დრამა, არა საწირავი, არა სახუცო, არც ძუელს გუჯარში ეწერა. ახლა ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უნერჩევესმან, წილკნელ ეფისკოპოზმან რომანოზს გვიბძანა არაგვის ერისთავმან ზაალ, დამწყსა და კეთილად გარჯულვა ჩვენც არა უდებ ვქმენით ბრძანებასა მწყესმთავრისასა, რომელმან ბრძანა, წარვედით და მოიწაფენითო, და შემდგომი ამისა, წარვედით და შეუდეგით კვალსა ისე მამადმთავრისასა და მივედით მთიულეთსა. მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ქრისტიანობა და არც ნათლიღების შვილობა მართ (sic) არ ეწოდებოდა, იესევ (sic) კერპის მგზავსი იყვნენ: არც მართლა ნათლისღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვითნიერ დიდმარხვის მეტი. ფრიადითა ჭირითა ვიღვაწე. ზოგი ერისთავის ძალი მქონდა შემწეთ, ზოგი თავისი ნებით მოიქცნენ. აღსარება, ემბაზით ნათვლა გავიჩინეთ. წმინდას ზიარებას ერისკაცს მისცემდა სადმე ღვდელი და ერისკაცი სადმე აზიარებდა. ესეც ამოვკვეთეთ. ერისკაცს ღვდელი საიდუმლოს არ მისცემს – თითონ ღვდელმა უნდა აზიაროს ერისკაცი. ჩვენ, რომანოზ წილკნელი ზაალ ერისთავის დროს მთიულეთში სამჯერ ვყოფილვართ, საყდრები ვაკურთხეთ, იქაურს ღვდელს სახუცო თითო ფური დავადევით ერისთავმა და ჩვენ. სახუცო დაყოფილი არა აქვთ იქაურს ღვდელს. ორი ღვდელია: ორს ფურს მოგვცემენ, ერთია – ერთსა, ათი ღვდელი რომ გაჩნდეს მთიულეთში, სახუცო ათი ფური გამოართვით. ჩემობას ორი ხუცესი იყო. იქაურს ხეცესს მამათავრისა არა ედვათ რა, არც ერისკაცზედ დრამა ედვათ, არც ეფისკოპოზის წირვა, თუ თავისი ნებით არ უნდოდათ. ახალი მოქცეული იყვნენ, ამიტომ ვერც საეფისკოფოზო გამოსაღები ვერა დავადევით რა. ვინც ჩვენ შემგომად წილკნელი ბრძანდებოდეთ, ეცადენით კეთილად მოქცევასა და სწავლა და სარწმუნოება განამრავლეთ, ეკლესისაისა (sic) და ეფიზკოპოზის სამსახური ასწავეთ. თორემი ღმერთი ეფისკოპოზის ხელიდამ გამოიძებს თავის სამწყსოს საქმეს. ასე ბრძანებს სახარებასა შინა – ასწავებდით და მოძღვრიდითო. თქვენვე ამცენით ერთხელ, ორჯელ, და ბევრ გზისაც და ვინც თქვენი სიტყვა არ შეიწყნაროს, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთაგან და უბრალო იქნებით. ხევი ნინოს მოქცეულია, მასუკან ისე წილკნელი ყოფილა. ძველს გუჯარში ხევისთვინ საეპისკოპოზო სათხოვარი არა სახუცო, არა დრამა, არა ეწერა, არც ჩვენ დავადევით" (გვ. 35-36).

წილკნელის სიგელის ეს ნაწილი სარწმუნო მონაცემებს შეიცავს ქართლის მთიანეთის, სახელდობრ საარაგვოს მოსახლეობის სოციალური განვითარების დონისა და სარწმუნოებისადმი დამოკიდებულების შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს და ლეონტი მროველის თხზულების („ნინოს მიერ ქართლის მოქცევა") შემდეგ წილკნელის სიგელი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წყაროა იმის შესწავლისათვის, თუ რა ვითარება სუფევდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ზემოხსენებულ წყაროებსა და წილკნელის სიგელს მრავალსაუკუნოვანი პერიოდი მიჯნავს, მაგრამ სარწმუნოების ისტორიაში ერთი საერთო ტენდენცია შეინიშნება, სახელდობრ, მეტ-ნაკლები ხასიათის შეფერხებები ქრისტიანობის განვითარების გრძელ გზაზე. XVII საუკუნის სიგელის მიხედვით აშკარაა, რომ წმინდა ნინოს ქადაგებიდან ამ სიგელის შექმნამდე განვლილ პერიოდში, მთელი 13 საუკუნის სიგრძეზე, საარაგვოს მოსახლეობაში ქრისტიანობა საყოველთაოდ აღიარებული მოძღვრების სახით ვერ დამკვიდრდა. ამის საფუძველი იყო ბართან შედარებით მთიანეთის სოციალური განვითარების დაბალი დონე.

წილკნელის სიგელი ქართლის მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის წყაროა შემდეგ გარემოებათა გამო;

1. წილკნელის ჩვენებით ქართლის მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებისათვის ბრძოლა დაიწყო უძველესი დროიდან, კერძოდ წმინდა ნინოს ქადაგების პერიოდიდან. სიგელის ავტორის რწმენით, საარაგვოს მონაპირე კუთხე „ხევი ნინოს მოქცეულია, მასუკან ისე წილკნელი ყოფილა. ძველს გუჯარში ხევისათვინ საეპისკოპოზო სათხოვარი არა სახუცო, არა დრამა, არ ეწერა, არც ჩვენ დავადევით".

ნინოს სამისიონერო მარშრუტში ხევი არ იხსენიება, მაგრამ ამისგან დამოუკდებლად, გამორიცხული არ არის ნინოს იქ ქადაგების შესაძლებლობა პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ ხევს, როგორც მონაპირე კუთხეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ამასთან ერთად, სამეფო ხელისუფლება ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო იდეოლოგიით შემომტკიცებული ხევი პლაცდარმის როლს შეასრულებდა ჩრდილოეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში კი ჩრდილო კავკასიასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ურთიერთობის სფეროში. ხევის ესოდენ დიდი მნიშვნელობის გამო სახელმწიფო ხელისუფლებამ ნინოს მოღვაწეობის შემდგომ პერიოდშიც ყველაფერი იღონა მისი შემომტკიცებისათვის. ამის დამადასტურებელია ისე წილკნელის მისიონერული საქმიანობა და ყოველგვარი საეკლესიო გადასახადისა და ხარჯებისაგან მოსახლეობის განთავისუფლება. შემთხვევითი არ არის, რომ იგივე წესი და რიგი შეინარჩუნა წილკნის საეპისკოპოსომ XVII საუკუნეშიც. აღნიშნული მონაცემებით შუქი ეფინება ქართლის მთიანეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ეპიზოდებს და ჩანს, თუ რეგიონების სპეციფიკისა და სახელმწიფოში მისი როლის შესაბამისად რა სახის ურთიერთობა იქმნებოდა მოსახლეობასა და ეკლესიას შორის.

2. „ანანურს ზევითი ხევს გარდა ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის". ამ ცნობის თანახმად, ერთ-ერთი სირიელი მამის ისე წილკნელის ქადაგების ასპარეზი იყო ჭართლის, ხანდოს, გუდამაყარისა და მთიულეთის (ადრინდელი ცხავატის და ხადის თემების მერმინდელი გაერთიანების) ტერიტორია.

3. წილკნის საეპისკოპოსოს დაქვემდებარებაში შედიოდა საარაგვო ანანურიდან დარიალის კარიბჭემდე და ამ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა აღნიშნული საეპისკოპოსოს საეკლესიო იურისდიქცია. ეს უფლებამოსილება

ეფუძნებოდა რეალურ ვითარებას და ამის შესაბამისად განისაზღვრებოდა საეპისკოპოსოსა და მოსახლეობის ურთიერთვალდებულება. საეპისკოპოსო თავის უფლებამოსილებაში ითვალისწინებდა რელიგიისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას. მისთვის ცნობილი იყო, რომ ადრეულ პერიოდშიც და თვით „ძეგლის" შექმნის ეპოქაშიც წილკნის საეპისკოპოსოს მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების მდგომარეობა განსხვავებული იყო არაგვის საერისთავოს ბარისა და მთიანეთის ზონის მიხედვით. „დაბალი საერისთაოსაგან", ანუ ბარისაგან განსხვავებით, რომელიც შაბურიშვილების სახელოს განეკუთვნებოდა და მოსახლეობის მოქცევის პროცესშიც ეს ერისთავი მონაწილეობდა, ქრისტიანობის გავრცელების გზაზეც დიდი სირთულეები არ ჩანს. შედარებით სტაბილური მდგომარეობის გამო საეპისკოპოსოს წინაშე ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულებაშიც მოსახლეობის წინააღმდეგობა არ იგრძნობოდა. ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა აღწერილი მთიანეთში. სიგელში ნათქვამი, რომ „ანანურს ზევით მთიულეთს წილკნელისა არა ედვა რა: არა დრამა, არა სანირავი, არა სახუცო" და ამის შესახებ „არც ძუელს გუჯარში ეწერა", მთიანეთში არსებული სპეციფიკური ვითარების დამასტურებელია. ამგვარი კომპრომისი მიზნად ისახავდა მთიელთა მოთვინიერებას და მათ შორის სახელმწიფო რელიგიის განმტკიცებას. სახელმწიფო ხელისუფლებას რეალურ საშუალებად ესახებოდა არა იმდენად ძალოვანი ქმედება, რამდენადაც ქადაგება. ეს გზა აირჩია თვით ზაალ არაგვის ერისთავმა, რომლის რეკომენდაციით რომანოზ ეპისკოპოსის მოქმედება განისაზღვრა სამისიონერო მოღვაწეობით ისე წილკნელის ოდინდელი მარშრუტის კვალდაკვალ. იმის მიუხედავად, რომ ისე წილკნელმა აღნიშნულ რეგიონში ქრისტიანული მოძღვრება იქადაგა და ამ რელიგიას მოსახლეობა რაღაცა დოზით ეზიარა, ისე წილკნელიდან დიდი ხნის შემდეგაც რომანოზ წილკნელის თვალთახედვით აქ „მცირე რამ ქრისტიანობა იყო". ორად ორი ხუცესის ყოფნა და ის გარემოება, რომ მთიელთა ცხოვრებაში არ სრულდებოდა ქრისტიანული წესები (ნათლისღება აღსარება, მარხვა...) და ფაქტიურად „იესევ კერპის მგზავსნი იყვნენ", წილკნის საეპისკოპოსო ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამიტომ ეკლესიამ მიზნად დაისახა გაძლიერებული ქადაგება და ზოგიერთ შემთხვევაში ძალის გამოყენებაც. მართალია, არაგვის ერისთავის მიზანი იყო „კეთილად გარჯულვა", ე.ი. რწმენის განმტკიცება ქადაგების გზით, მაგრამ წილკნელი ეპისკოპოსი იძულებული შეიქმნა შთაგონებასთან ერთად ძალაც გამოეყენებინა, რაც კარგად ჩანს მისივე ნათქვამიდან: „ზოგი ერისთვის ძალი მქონდა შეეწვა, ზოგნი თავისი ნებით მოიქცნენ", რომანოზ წილკნელის სამჯერ მოგზაურობის დროს ქადაგებისა და ერისთავის შემწეობით ურჩ მთიელთა შორის აღკვეთილ იქნა საეკლესიო კანონებისათვის მიუღებელი ისეთი ქმედება, როგორიც იყო ზიარების წესის შესრულება ერისკაცის მიერ. განისაზღვრა სამღვდელოების ფუნქციები, მოხდა ეკლესიების კურთხევა და შეზღუდული სახით დაწესდა საეკლესიო გადასახადები.

წილკნელის სიგელში აღწერილი ვითარება საფუძველია დასკვნისა, რომ ქართლის მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებისათვის ბრძოლა დაიწყო IV საუკუნეში, მაგრამ იმის გამო, რომ ამ რეგიონში ქრისტიანობა ზედაპირულად გავრცელდა, მოსახლეობაში საეკლესიო წესები მხოლოდ ნაწილობრივად სრულდებოდა, ისინი კვლავ „კერპის მგზავსი იყვნენ" და მხოლოდ „მცირე რამ ქრისტიანობა იყო", XVII საუკუნეში სამეფო ხელისუფლება და ეკლესია სახელმწიფო რელიგიის განმტკიცებისათვის ზრუნვას კვლავაც თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობის გავრცელებისათვის ქადაგებასთან ერთად ხელისუფლების ძალაც გამოიყენებოდა როგორც IV, ისე XVII საკუნეში. ასეთი ვითარების საფუძველი იყო მთიელთა ყოფის კონსერვაცია, მისი სოციალური განვითარების დაბალი დონე და შესაბამისად წინაქრისტიანული სარწმუნოების თუ კულტების შემონახულობა, რაც ართულებდა ქრისტიანული რელიგიის დანერგვას და განმტკიცებას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით რომანოზ წილკნელის სიგელი შინაარსობრივად კავშირშია „მოქცევაჲ"-სთან და „ნინოს ცხოვრებასთან" და მასში აღწერილი ვითარება გვიანდელი გამოძახილია ქრისტიანობის გავრცელების პირვანდელი პერიოდისა. ერთმანეთისაგან ქრონოლოგიუად დიდი დროით დაშორებული ამ „ძეგლების" მიხედვით ქრისტიანობის გავრცელება IV საუკუნეში ან მისი განმტკიცების მცდელობა XVII საუკუნეში მისიონერთა ქადაგებით და საჭირო შემთხვევაში ურჩ მთიელებზე სამეფო ხელისუფლების ზეწოლით ხორციელდებოდა.

უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღწერის გამო წილკნელის სიგელი „მოქცევაჲ"-ს და „ნინოს ცხოვრების" შემდეგ ყველაზე უფრო საყურადღებო წყაროა ქართლის მთიანეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ისტორიის შესწავლისათვის. მთლიანობაში კი „ეკონომიური ისტორიის ძეგლები" მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფისა და სულიერი კულტურის შესახებ, რის გამო მათ თავისი ადგილი განეკუთვნება ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში.

ნომადი ბართაია

ზაბიჰოლა საფას — „ლიტერატურის ისტორია ირანში“ — ერთ აღგილთან დაკავშირებით

სპარსული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი ზაბიჰოლა საფა თავისი ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულში მწერლობის ამა თუ იმ მონაკვეთის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სათანადო ეპოქის ზოგად სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ვითარების დახასიათებას და მის ფონზე წარმოაჩენს ლიტერატურულ პროცესებს. ასე იქცევა იგი სეფიანთა ხანის ლიტერატურის მიმოხილვისას.

ირანში არაბთა შემოჭრის მერე (VII ს.), რომელსაც მოჰყვა ჯერ თურქ-სელჩუკთა, ხოლო შემდეგ მონღოლთა ბატონობა, ქვეყანამ მთელი ათასი წლის მანძილზე დაკარგა სახელმწიფოებრიობა, რომლის აღდგენაც განგებამ სეფიანებს (1501-1722 წ.წ.) არგუნა წილად.

სეფიანები თურქული მოდგმისანი იყვნენ, შესაბამისად — თურქულენოვანნი. ირანში მათ მბრძანებლობას, ბუნებრივია, თან მოჰყვა თურქული ენის გარკვეული სტატუსის განსაზღვრა. იგი კანცელარიისა და სამხედრო არისტოკრატიის ენად იქცა ქვეყანაში, ხოლო სპარსული, ძველებურად, მხატვრული სიტყვის ენად დარჩა, რომელზედაც, სპარსელებთან ერთად, როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთ, არაირანული წარმოშობის შემოქმედნიც თხზავდნენ ნაწარმოებებს და ამდიდრებდნენ სპარსულ მწერლობას.

სეფიანთა ხანას ორ პერიოდად ჰყოფენ. პირველი პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს მისი წარმოშობიდან (1501 წ.) შაჰ-აბას პირველის (1587-1629 წწ.) ზეობის წლებამდე.

მეორე პერიოდია — შაჰ-აბასის რეფორმებიდან სეფიანთა ბატონობის დაცემამდე (1722 წ.).

სეფიანები თურქმანული მოდგმისანი იყვნენ და, ბუნებრივია, პირველ პერიოდში ძლიერი იყო ამ ტომთა გავლენა ირანში, რომელთა ამირების გაუთავებელმა ურთიერთშუღლმა და თარეშმა საფრთხე შეუქმნა ერთიანი ირანის სახელმწიფოს არსებობას.

მეორე პერიოდში ირანში გაძლიერდა კავკასიური ელემენტი, კერძოდ — ქართული, რასაც საფუძვლად დაედო შაჰ-აბას პირველის პოლიტიკა. ირანის მბრძანებელმა სწორედ კავკასიურ, განსაკუთრებით ქართულ ძალებზე დაყრდნობით შესძლო ყიზილბაშ ამირათა აღვირახსნილობის ალაგმვა. ასე შექმნა მან ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის ფარგლები თითქმის ემთხვევა დღევანდელი ირანის საზღვრებს.

ირანსა და საქართველოს თავიანთ ხანგრძლივ, მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა მანძილზე, არასოდეს არ ჰქონიათ ერთმანეთთან ისეთი მჭიდრო კავშირი, როგორც სეფიანთა ხანაში და არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი ქართული ელემენტის გავლენა ირანულზე, როგორც ამ დროს. ამის დასტურად უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. ამ შემთხვევაში მარტო უნდილაძეთა გვარის ხსენებაც საკმარისია. შაჰ-აბას პირველის სამხედრო რეფორმების ავტორი და განმახორციელებელი ხომ მისი ყულარაღასი — გვარდიის სარდალი, გამაჰმადიანებული ქართველი ალავერდიხანი-უნდილაძე იყო. არას ვამბობთ იმ ქართული წარმოშობის მბეგლარბეგებზე, მხედართმთავრებზე, სატახტო ქალაქ ისფაჰანის განმგებლებსა თუ სხვა წარჩინებულ პირებზე, რომლებიც პოლიტიკურ კლიმატს ქმნიდნენ ქვეყანაში.

ამჟამად ჩვენ კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის სფერო გვაინტერესებს, სადაც, მსგავსად პოლიტიკური ასპარეზისა, მრავლად მოღვაწეობდნენ გამაჰმადიანებული ქართველები, რომელთა ვინაობასაც ირანული ლიტერატურის ანთოლოგიები გვიმხელენ.

აქვე დავუმატებდით, რომ ეს არ ეხება მხოლოდ სეფიანთა ხანას, არამედ ასეა შემდგომაც — აფშარებთან და ყაჯარებთან.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საფა, ვიდრე უშუალო ლიტერატურის მიმოხილვაზე გადავიდოდეს, საგანგებოდ წარმოაჩენს არსებული ეპოქის ზოგად სურათს. მას, ამ შემთხვევაში, არც ეპოქის ტომობრივი მრავალფეროვნება გამორჩეს მხედველობიდან. მაგალითად, იგი ხსენებული ლიტერატურის ისტორიის მეხუთე ტომის პირველ მონაკვეთში ცალკე ქვეთავებად გამოჰყოფს თურქული და ინდური წარმოშობის სპარსულენოვან პოეტებს. სწორედ აქ გაგვიჩნდა ის უკმარისობის გრძნობა, რამაც აგვალებინა ხელში კალამი.

საქართველოში, ქართველი ირანისტების მიერ (ვლ. ფუთურიძე, მ. თოდუა), მიუხედავად მათთვის ძნელად ხელმისაწვდომ ირანში არსებული წყაროებისა, არა ერთი და ორი გამაჰმადიანებული ქართული წარმოშობის სპარსულენოვანი პოეტია წარმოჩენილი, რომლებიც მოღვაწეობდნენ სეფიანთა თუ შემდგომი ხანის ირანში. მითუმეტეს, ირანში მცხოვრები ირანელი მეცნიერისთვის მათი წარმოჩენა არავითარ პრობლემებთან არ იქნებოდა დაკავშირებული.

ვფიქრობთ, ისეთ სრულფასოვან ნაშრომში, როგორიც არის ზაბიჰოლა საფას „ლიტერატურის ისტორია ირანში“, თურქული და ინდური წარმოშობის სპარსულენოვან პოეტთა გვერდით ქართული წარმოშობის სპარსული მხატვრული სიტყვის ოსტატებიც უნდა იყვნენ წარმოჩენილნი.

დავით ფოფკოლაური

ვაჟა-ფშაველა ბუნებასთან მხატვრული აზროვნების კავშირის შესახებ

ვაჟა-ფშაველა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ქმნილებებსა და ფილოსოფიურ-ლიტერატურულ წერილში ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების მრავალ ასპექტს წარმოადგენს. პოეტი განსჯისა და მხატვრული განსახიერების საგნად აქცევს ბუნებას, სოციალურ ყოფას, პიროვნების სულის მოძრაობის შესაძლებლობებს. აღნიშნული ფენომენები ცალკე და ერთიმეორესთან მუდმივი კავშირმიმართებების საფუძველზე ქმნიან ხილული სინამდვილის თვითმყოფად სურათს. მწერლის გაგებით, ბუნებისა და ცხოვრების ერთიანობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ფიზიკურ-სულიერი მოღვაწეობა. ბუნება ის უალტერნატივო უმაღლესი ღირებულებაა, რომელიც სიცოცხლის მრავალფეროვან არსებობას უზრუნველყოფს. ბუნების თავისთავადი საზრისის გარეთ ადამიანის შემოქმედებითი გარჯა გამოხატულებას ვერსად ჰპოვებდა. სამყარო – ბუნება, პოეტის განმარტებით, დროსა და სივრცეში განფენილი მარად მოძრავი კანონზომიერებების გონივრული სისტემაა, რომელშიც უმუალოდაა ჩართული ადამიანთა არსებობა, მათი აზროვნება და მხატვრული წარმოსახვა. მართალია, კოსმოსი, როგორც მთლიანობა, განსაზღვრავს სიცოცხლის მრავალსახეობას, მისი სრულყოფის პირობებს, მაგრამ სიცოცხლეს დიდი თვითმყოფადობაც აქვს. გონიერი, განმცდელი არსების გარეშე, ცხადია, ბუნება იარსებებდა, თუმცა მას სოციალურ-ესთეტიკური აზრით ვერავინ გააშინაარსებდა ისეთნაირად, როგორადაც იგი დღეს ჩვენთვის წარმოსდგება.

ბუნება, ცხოვრება, ინდივიდის ხასიათი მარადიულად ურთიერთქმედებენ. ამასთანავე, ბუნებას, კაცთა ცხოვრებას, ცალკე ინდივიდებს ეპოვებათ მოქმედების შინაგანი კანონები, რომლებიც გარედან შეთავაზებულ თეორიებს არ მიყვებიან. ვაჟა-ფშაველას სიტყვით, „თეორიების მთხზველები" ამაოდ დაშვრებიან, თუ სინამდვილის ობიექტური წესების შეცვლას მოინდომებენ, რადგან „ბუნებას და ცხოვრებას თავისი საკუთარი ნესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ გზაზე სვლას".! (ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?" თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 1964, ტ. IX, გვ. 393. * შემდგომში, ვაჟა-ფშაველას ათტომეულიდან ციტირებისას, ტომსა და გვერდს მივუთითებთ ძირითად ტექსტში) პოეტის აზრით, „ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდაც ლექსებს, დრამებს, რომანებს არ წერდეს, მაინც პოეტია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს" (IX, 393-394). მწერალს ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების შეფასების საკუთარი მრავლისმეტყველი კონცეფცია აქვს. მისი აზრით, „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია. საით, როგორც შეგვიძლია იგი თავიდან ავიშოროთ იმას გავექცეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც..." (IX, 395). მწერალი გვეუბნება, რომ ბუნება ადამიანის მხოლოდ ფიზიკურ ცხოვრება-არსებობას კი არ განსაზღვრავს, არამედ მის სულიერებასაც ასაზრდოებს. აღნიშნულის გამო „ამ პატარა არსებას – ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს რომ ეს შეუნიშნავს" (IX, 395). ვაჟა-ფშაველა გარკვევით ლაპარაკობს, რომ ობიექტურად ბუნების თვალებსა და ტვინს ვერავინ იპოვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, „... მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა, ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებითა და ნაკლით" (IX, 396). იბადება კითხვა, თუ ვის მიიჩნევდა პოეტი იმ დიდებულ ადამიანებად, რომლებიც ბუნების ზნე-ხასიათს განასახიერებდნენ. ვაჟას რწმენით, ასეთნი არიან თვით გენიოსი მწერლები და მათ მიერვე დახატული გმირები. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების უბადლო სურათები შექმნეს რუსთაველმა, შექსპირმა, სერვანტესმა, გოეთემ და საერთოდ, დიდმა მწერლებმა. ვაჟა ბრძანებს: „რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მის გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა გენიოსთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსჭვივის იმის ნაწერებში. ამ მხრივ შეჰხედეთ საგანს, ვნახოთ, თუ არ დამეთანხმოთ. შეადარეთ აგრეთვე ყველა გენიოსთაგან შექმნილი ტიპები. დააკვირდი, რამდენი მსგავსებაა მათ შორის"... (IX, 396). ვაჟა ორიგინალურ აზრს გამოთქვამს მწერლის და მწერლობის მიერ ბუნების მხატვრული ათვისების ნაირგვარი შესაძლებლობების შესახებ. მისი მრწამსით, შექსპირი, სერვანტესი, რუსთაველი თურმე ბუნებას სავსებით ხატავენ არჩეული ტიპების მეოხებით. ისინი „ბუნების თვალებით" უცქერიან ადამიანურ ცხოვრებასაც. ბუნებასთან მიმართების ასეთი გლობალური ხასიათი კი შეაპირობებს იმ გარემოებას, რომ გენიოსების მიერ შექმნილი ტიპები დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს. საერთოდ, ვაჟას გაგებით, დიდებული ადამიანის სულიერება ერთგვარი აუცილებლობით აღბეჭდავს ბუნების ზნე-ხასიათს, მისადმი მსგავსებას. ასეთი არიან „ვეფხისტყაოსნის" გმირებიც. ვაჟას სიტყვით, ბუნება განსაცვიფრებელი გონიერებაა და რაკი „ვეფხისტყაოსნის" ტარიელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილი და ფრიდონი ბუნების ზნე-ხასიათს და სიბრძნეს გამოხატავენ, ამიტომ ისინი მარადიულად იქნებიან თაობათა გრძნობა-გონების მმართველნი. წერილში „სად არის პოეზია?", მწერალმა მრავალი საყურადღებო აზრი გამოთქვა ბუნების მხატვრული ათვისების შესახებ. ვფიქრობთ, ეს ნარკვევი იძლევა ბუნების თემაზე დაწერილი პოეტის მრავალი ნაწარმოების შეფასების თავისებურ გასაღებს. აქ ვაჟამ მკაფიოდ გამოხატა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ის ასპექტები, რომლებიც უშუალოდ ერწყმიან ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებას და ხელოვანის მხატვრულ შემოქმედებას. მწერალს ორიგინალური, მწყობრი შეხედულებები ჰქონდა შემუშავებული ბუნებისა და ადამიანის კავშირზე. იგი ფიქრობდა, რომ სამყარო-ბუნება დიდი ჰარმონიაა, გონიერებაა, „მშვენიერებაა", რომლის ზემოქმედებითაც ცნობიერად თუ არაცნობიერად, შინაარსდება და წარიმართება ადამიანის სულიერება, მდიდრდება, იხვეწება მისი ემოციურ-ინტელექტუალური შესაძლებლობები. ბუნება „უნაპირო", მაგრამ შინაგანი კანონზომიერებებით სიბრძნეს მეტყველებს. ამგვარი გონიერებით ბუნება დიდებულ ადამიანს, მეოცნებე ადამიანს სრულყოფს. ვაჟა-ფშაველას აზრით, დიდებული ადამიანებისაგან თავისებურად ათვისებული სამყარო-ბუნების ნესრიგი შეიძლება გამოყენებული იქნას სოციალური ცხოვრების მოწესრიგების მიზნით, რადგან „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაში არ მოიპოვებოდეს". რაკიღა ადამიანი ბუნების ქმნილებაა, მასში უნდა განსახიერდეს დიდბუნებოვნება, საერთოდ, სიცოცხლის ბუნებასთან მსგავსება. პოეტის აზრით, ბუნებისა და ცხოვრების ბევრი მოვლენა ჰგავს ერთმანეთს და აისახება კიდევაც ერთიმეორეში, თუმცა ისინი დიდადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბუნების საგან-მოვლენებს თვითარსებობის თავისი წესები აქვს, ხოლო საზოგადოების ცხოვრებას ან მისი ცალკეული წევრის ყოფნას — საკუთარი სამოქმედო პრინციპები. ბუნება მუდმივი აწმყოა, ხოლო კაცთა ცხოვრება წარსულის, აწმყოსა და სავარაუდო მომავლის სურათებში ცხადდება. მეცნიერულ-ლოგიკური მსჯელობისას კი ბუნებისა და ადამიანის თავისთავადობათა ერთნაირი ცნებებით გამოხატვა შეუძლებელია. მხოლოდ ხელოვნებას, მხატვრულ წარმოსახვას, სიმბოლურ-ალეგორიულ პოეტურ პირობებს შეუძლიათ „წაშალონ" ზღვარი ბუნებრივ და ადამიანურ რეალობებს შორის. ცხადია, ეს მხატვრული მიზნებისათვის ხდება.

ვაჟა-ფშაველა შეუდარებელი ოსტატობით იყენებდა თავის თხზულებებში ბუნების და ცხოვრების სიმბოლურ-ალეგორიული და მეტაფორული განსახიერების უბადლო უნარს. ბევრი მისი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე სიმბოლურ-ალეგორიული და მეტაფორული განსახიერებების წესზეა დამყარებული. ამგვარი საშუალებებია გამოყენებული „გველის მჭამელსა" და „მთათა ერთობაში". დასახელებული პოემების სიუჟეტში პოეტმა უხვად შემოიტანა უძველესი მაგიური, მითოსური, რელიგიური წარმოდგენები და ისინიც სიმბოლურ-ალეგორიული პირობითობის ფორმით დაუკავშირა მთავარ მიზანს ანუ დიდებული ადამიანის სახის შექმნას, „ახალ ადამიანს" ჩვენებას. პოეტი არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში იყენებდა სიმბოლურ-ალეგორიულ და მეტაფორულ პირობითობებს, არამედ ხშირად ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებშიც. მისი ასეთი მრავალი წერილიდან აღსანიშნავია „საგაზაფხულო ფიქრები". აქ მწერალმა სამყარო-ბუნებისა და ადამიანის სიცოცხლის დიადი ერთიანობის ნათელი სურათი დახატა, ცხადჰყო მათი კავშირ-მიმართებების ის უღრმესი ღირებულებითი შინაარსი, რაც მხატვრულად „გველის მჭამელსა" და „მთათა ერთობაშიც" გამოითქვა.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, კოსმოსი, მზისა და დედამიწის გონივრული კავშირი, მათი მარადიული კანონზომიერებები სიცოცხლისა და მისი მრავალფეროვნების საფუძველია. ეს მრავალფეროვანი სიცოცხლე თავისი ცხოველმყოფელობით, შემოქმედებითი ძალმოსილებით, მშვენიერებით ყველაზე სრულად გაზაფხულზე ნარმოსდგება. პოეტის შეხედულებით, გაზაფხული სამყარო-ბუნების სულიერების, მისი შემოქმედებითი თავისუფლების, ბედნიერების, სილამაზისა და სიკეთის გამომხატველი ფენომენია. იგი გარეგნული მშვენიერებისა და სურნელების გამოხატვის გარდა, პოეტის მრწამსით, თავისთავში შინაგანი მოქმედების საზრისის საიდუმლოსაც ინახავს: „ეს დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა. მიზანი მისი, ალბათ დიდებულია, თორე ასე დიდებულად, ასე საამოდ, სულისა და გულის დამატყვევებულ სურათებში არ იქნებოდა გახვეული!.. ლამაზი, მიმზიდველი არაფერია სხვა, თვინიერ სიცოცხლისა; ტურფა, მშვენიერი, ბუნების ამოდენა გარდაქმნა-ცვალებადობაში, არა რა არს გარეშე გაზაფხულისა.

მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა: უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს" (IX, 384).

ვაჟა-ფშაველა გვეუბნება, რომ სამყარო-ბუნების საზრისსა და მთლიანობით ხასიათს ყველაზე სრულად გაზაფხული გამოხატავს. ბუნებისა და კერძოდ, გაზაფხულის დიდებული მიზანი სიცოცხლის განგრძობაში ვლინდება. გაზაფხული სიცოცხლეს უმაღლესი მშვენიერების სახით ძერწავს, ამიტომაც იგი დიადი სიცოცხლის გარეშე არც არსებობს. რაკიღა სიცოცხლისა და გაზაფხულის ძალას მათი ურთიერთკავშირის გარეშე ვერ ვიგრძნობთ, ამიტომ უნდა ვიწამოთ მათი ერთბუნებოვნებაც. ვაჟა-ფშაველას აზრით, „გაზაფხული მქმნელია, მშობელია სიცოცხლისა", ხოლო მის მიერ შექმნილი სიცოცხლე თავის მხრივ, მსგავსია თვით შემმქმნელისა. ეს მსჯელობა, უნებლიედ გვაგონებს მინდიას გაზაფხულთან მუდმივი საზეიმო შეგებების ეპიზოდს პოემა „გველის მჭამელიდან". პოეტის წარმოდგენით, სამყაროს დიადი ერთიანობის, მისი გონივრული ქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სიცოცხლის დამკვიდრება და მისი მრავალფეროვნების შენარჩუნებაა, რაც ყველაზე კარგად გაზაფხულმა უნდა განასახიეროს. ამიტომაც, ვაჟას სიტყვით, „ეს დრო ბუნების უაღრესი ბედნიერების დროა. ვფიქრობ, ბუნება, როგორც გაზაფხულზე, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა დროს არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად" (IX, 385). მაშასადამე, ბუნების შემოქმედების, თავისუფლებისა და ბედნიერების საზრისი სიცოცხლის მრავალფეროვნების დამკვიდრება ყოფილა.

ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ სამყარობუნების გონიერება გაზაფხულის ფენომენში იძერწება. ადამიანის სულიც უსაზღვროებაა, თავისებური სამყაროა, რომელშიც ბუნების გაზაფხულების მსგავსი შინაარსი მოქმედებს.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, დიდებული ადამიანის სიცოცხლე, მისი სულის მოძრაობა უსათუოდ გულისხმობს ისეთ გაზაფხულს, რომელიც თავისუფალ შემოქმედებით გარჯაში, სიყვარულსა და ბედნიერებაში გამოიხატება. სულის გაზაფხულს ადამიანი ეზიარება მაშინ, თუ იგი სიყვარულით, ბედნიერებითა და შინაგანი თავისუფლების მადლით არის მოსილი, ხოლო ამ მადლს მთელი ძალ-ღონით ერის სასიცოცხლოდ, მისი თვითცნობიერების ასამაღლებლად წარმართავს. სულიერ თვისებათა სიმაღლე კი ბუნების ჰარმონიის, მისი გონიერი ქმედების და რაფინირებული წესრიგის ზეგავლენით მკვიდრდება ადამიანში. ბუნების თავისუფალი მოქმედება და ადამიანის შემოქმედებითი გატაცება პოეტს თავისებურ სინონიმებად ესახება. იგი აღნიშნავს: „უპირველეს ყოვლისა სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქმნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე, ახალგაზრდა და ამასთან ერთად, უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება" (IX, 385). მწერლის მსოფლაღქმის მიხედვით, ერთიმეორისაგან დაუცილებელია ბუნებრივი და სოციალური ქმედების არსი. სიცოცხლე ბუნების პირმშოა, მისი საზრუნავია და ამიტომ იგი ბუნებაშია ჩაქსოვილი, ხოლო ბუნების წესრიგი მასზე მუდმივად უნდა ზემოქმედებდეს. „ყოველი მოვლენა, ყოველი ძალი ბუნებისა ცალ-ცალკე და ერთად, ცდილობს მიეშველოს სიცოცხლეს, სრულყოს სიცოცხლე. ასეთივეა სული ადამიანისა, როცა მას დაუდგება გაზაფხული" (IX, 385-386). მაშასადამე, პოეტის შეხედულებით, ბუნება, როგორც მთლიანი და ადამიანი, როგორც მისი ნაწილი ერთნაირი პრინციპით მოქმედებენ, სრულქმნიან ღირებულებებს, სიცოცხლეს, თანაც, თავიანთი თვითმყოფადი შინაგანი კანონზომიერებების მიხედვით, რომელთა შორის ასოციაციური მსგავსებების პოვნა მუდმივად შეიძლება. ვაჟა-ფშაველა ბუნების, მისი შინაგანი რაფინირებული მოქმედების ზომას ადამიანურ მოქმედებაზე, კაცთა ცხოვრების წესრიგზე მაღლა აყენებს. ბუნება გონიერი და კეთილი ფენომენია, რომელიც ბუნებითი სიმართლის ნიმუშს აძლევს მაღალი სულის, მოაზრე, მეოცნებე და სიახლის მაძიებელ ადამიანს. ბუნების ჰარმონიით შთაგონებული დიდებული ადამიანები სასარგებლონი არიან ბუნებისთვისაც და კაცთა ცხოვრებისთვისაც. მაგრამ, პოეტის სიტყვით, ისტორია ნათელყოფს, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა მაღალი სულიერებისგან შორსაა. ძალიან ბევრი ადამიანი განსხვავებასაც კი ვერ ხედავს „სულით გაზაფხულისა და [illegible] ხულის მფლობელთა შორის". უფრო მეტიც, ხშირად ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანს, ვაფუფუნებულს, გასუქებულს და ღორულ განცხრომას თავმიცემულს ჰგონია, რომ სულის გაზაფხულებას განიცდის, სინამდვილეში კი, ვაჟას აზრით, „... ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვიღია ადამიანებს, იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს ჰმატებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს" (IX, 386). ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, ადამიანთა ცხოვრების ბევრი უბედურება და უკეთესმართობა გამონვეულია იმით, რომ ხშირად ურთიერთობათა ჟამს დავიწყებულია დასაბამიერი ბუნებისეული ზომა და „სიმართლე". ბუნების ღრმა წვდომა-გაგებით, მხოლოდ დიდებული, მოაზრე ადამიანები გამოირჩევიან. მათ ძალუძთ შეუწონასწორონ ბუნების გონიერებას საკუთარი პიროვნული სწრაფვები. პიროვნებები გრძნობენ, რომ ნების თავისუფლებას საზოგადოებისათვის სიკეთის მოტანაც შეუძლია და ვნების მიყენებაც. პოეტის მრწამსით, ბუნებრივ სამართლიანობასა და სიკეთეს ის ადამიანები ამრუდებენ, რომელნიც ღირებულებათა შეფასებისას „ზერელედ მგრძნობელნი" არიან, მხოლოდ „საკუთარ ჯამს ჩასცქერენ" და მაღალ სულიერ-იდეალურ მოვლენებს ვერ სცნობენ, ბუნებრივ მარადიულ ზომას ვერ ითვალისწინებენ.

მწერლის თვალსაზრისით, თუ ყოველი ერის ცხოვრებას, კულტურას წარმართავენ „ბუნების თვალებით" მაცქერალი, ბუნების სიბრძნისა და ზომიერების ამთვისებელი ადამიანები, მაშინ საყოველთაო ბედნიერება და პროგრესი შორს არ იქნება. ამგვარ ვითარებაში სრულად გამოვლინდება პიროვნებათა და ხალხის სულის გაზაფხულების ჭეშმარიტი შინაარსი, განუზომლად ამაღლდება ეროვნული თვითმყოფადობის ზოგადი ღირებულება. აქედან პოეტი მიდის უფრო ღრმა განზოგადებისაკენ და მიიჩნევს, რომ ამაღლებული, განვითარებული, სრულქმნილი ურთიერთობებით ცნობილი ერები ქმნიან კაცობრიობის ერთიანი წინსვლის საწინდარს. ყოველი ერის შემოქმედებითი პოტენციალი თუ ბუნებრივ ზომას დაემორჩილება, საკუთარ ბუნებრივ-სოციალურ გარემოში განვითარდება, მაშინ იგი ბევრ ფასეულობას მიამატებს კაცობრიობის ცხოვრებას. ვაჟა-ფშაველას მრწამსით, თუ ერს მრავლად ჰყავს ბუნების გაზაფხულების მსგავსი თავისუფალი, ამაღლებული სულის ადამიანები, მაშინ ხალხის ცხოვრებაში, მისი სულის გაზაფხულებაშიც წარმოჩნდება ბუნების დიადი ჰარმონია, სიკეთე, სიბრძნე და სილამაზე.

მისი „საგაზაფხულო ფიქრები" ცხადყოფს, თუ რა ღრმად სწვდებოდა და განიცდიდა პოეტი ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების მრავალ სასიცოცხლო და ძირეულ მოვლენას. მას მიაჩნია, რომ ბუნება უბადლო ჰარმონიაა, გონიერება ზომიერებაა და ამის გამო მასში დიდი მშვენიერებაცაა ჩაკირული. ბუნებიდან შეუძლიათ აითვისონ ადამიანებმა ნიმუში თავისუფლების, ბედნიერებისა და სიცოცხლის ნამდვილი საზრისისა. პოეტი ამგვარსავე აზრს გამოთქვამს წერილში „საზაფხულოდ" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიულ ნაფიქრს აქვე ლექსადაც აფორმებს:

ყველა კარგია, ყველა ტურფაა
რასაც კი აწყობს, ან შლის ბუნება;
„მუდამ მშრომელი, დაუცხრომელი
ერთი საგნისკე მიეშურება.
გაგვაგებინოს სიტკბო სიცოცხლის,
რომ შეგვაყვაროს მან თავი თვისი,
ამისთვის ზრუნავს, ამისთვის იღვწის, —
ეს უმთავრესი ფიქრია მისი“ (IX, 140).

ვაჟა-ფშაველა საკუთარი მსოფლმხედველობისა და პოეტური იდეალის ძალით გვაუწყებს, რომ ბუნება მბრძანებელია, კეთილი და მშვენიერი საქმის მკეთებელი. მას დაუდგომელი შემოქმედების მიზნად არა მხოლოდ სიცოცხლის განგრძობა, არამედ ისიც დაუსახავს, რომ ადამიანებს გაგვაგებინოს სიტკბო სიცოცხლის, შეგვაყვაროს თავიც და ბუნებრივი გარემოც. პოეტის მრწამსით, სამყარო-ბუნების ერთ-ერთი უძირითადესი დანიშნულებაა სიცოცხლის განგრძობა, მაგრამ ეს სიცოცხლე თავის მხრივ საბედისწეროდ არ უნდა დაშორდეს ბუნების ჰარმონიას, მისეულ ზომა-წონას, „სიმართლესა“ და მშვენიერებას. მოაზროვნე, მდიდარი ფანტაზიის ადამიანი ყოველთვის პოულობს ბუნებაში ისეთ მოვლენას, რომელიც ან პოზიტიური, ანაც ნეგატიური თვალსაზრისით არის შესაფასებელი. ბუნება, როგორც დიადი ერთიანობა სიცოცხლისათვის, უფრო მეტად კარგის მთქმელი და კარგის მოქმედია. მისი ცალკეული საგნებიც თითქოს სხვისთვის სიკეთე-სიამოვნების მისანიჭებლად იღვწიან და ადამიანებსაც ამას შთააგონებენ. პოეტის სიტყვით, „კაი ცხენი ბევრჯერ დაიღლება, ბევრჯერ გაიბანება ოფლში, ბევრს ტანჯვასა ჰნახავს, მაგრამ მხედარს კი ბევრს ასიამოვნებს. სანთელიც იმითია კარგი, რომ თვით ინვება და სხვას კი გზას უნათებს, წყვდიადს აქარნყლებს, ნათელს გვფენს, უხილავს მიდამოს ხილულადა ჰქმნის და სხვანი. ერთი სიტყვით, კარგს რასაც ვხედავთ, ბუნებაში ყოფილა თავისთვის, უსარგებლო. ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მისს განაჩენს“ (IX, 189). ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებიდან უნდა ითვისებდეს სხვისთვის სიკეთის მოტანის პრინციპს, მას უნდა ჰბაძავდეს, რათა საკუთარი არსება სრულქმნას. „კაი საქმე“ და „კაი კაცი“, რომელიც ერს, კაცობრიობას გამოადგება, პოეტს საფიქრალად გახდომია და ამიტომ, ბუნებასაც მოუხმობს საშველად, შთამაგონებლად, თუმცა სწამს ისიც, რომ თვით კაცთა სოციალურ ცხოვრებაშიც ბევრი რამ წარმოშობილა სანიმუშო. პოეტის შეხედულებით, ბუნება და სოციალური ყოფის თავისებურებები ზემოქმედებენ პიროვნებაზე, მაგრამ პიროვნება აგრეთვე ღრმად უნდა ჩაუკვირდეს თავის სულიერ უნარებს, განსაჯოს მათი დახვეწის გზები. პიროვნებამ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს თვითგაუმჯობესების სულიერ-გონით შესაძლებლობებს. რაფინირებული გრძნობა-გონებისა და ხასიათის ადამიანები, ავტორის გაგებით, წარმოსდგებიან ერისა და კაცობრიობის ნუგეშად. თუმც მაღალი გრძნობა და გონი წინააღმდეგობებისა და შინაგანი ბრძოლის გარეშე თითქმის არ არსებობენ.

ბუნება ცვალებადობა-მოძრაობის, ქმნისა და გარდაქმნის საფუძველზე წარმოქმნილი მრავალფეროვანი ფენომენების უალტერნატივო საგანძეა. თუ მასთან შევადარებთ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობის თავისებურებებს, ვირწმუნებთ, რომ საკუთრივ ადამიანის სულიერი შესაძლებლობების ასპარეზიც განუზომლად ფართოა. თავისებურ მხატვრულ შედარებას ახდენს ვაჟა-ფშაველა მრავალ თხზულებაში, როცა ბუნების ქმნილებათა თვითმოქმედებისა და ადამიანის ქცევის შეწონასწორების საფუძველზე სხვადასხვა მოვლენის შეფასებას იძლევა. ამ შედარება-შეფასების პროცესს კი საძირკვლად უძევს სიცოცხლის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება. პოეტის რწმენით, ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობების რეალიზებამ უნდა გამოავლინოს მთელი სპექტრი იმ ღირებულებებისა, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით იქმნება ნებისმიერი მხატვრული ტიპი. საერთოდ კი, ადამიანის შემოქმედების კარგი ნაყოფი, მისი ღირებულებითი ძალმოსილება, შემოქმედის სასრული ცხოვრების შემდეგაც აგრძელებს მოქმედებას, ასაზრდოებს ახალ იდეალებს. სიბრძნის, სიკეთისა და მშვენიერების ფუნდამენტზე აღმართული მხატვრული სახეები კი, მრავალი თაობის სულის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგების მიხედვით, სიცოცხლე არის ის უბადლო ღირებულება, რომლის საფუძველზედაც განსახიერდება, საერთოდ, ადამიანების და მათი ცხოვრების წესის ბუნებასთან მიმართების ყველა ასპექტი. სიცოცხლემ საკუთარი არსობრივი შესაძლებლობები მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის დიადი ერთიანობის პირობებში უნდა გამოკვეთოს. ადამიანი თავის შესაძლებლობებს ვერ ცხადჰყოფს, თუკი იგი ერთიმეორეს დააცილებს არსებობის ნატურალისტურ-ბიოლოგიურ და სულიერ-იდეალურ მხარეებს. ამ კავშირში ადამიანმა აუცილებლად უნდა იპოვოს იდეალური ქმედებისათვის საჭირო ოქროს კვეთი, ისეთი ზომა, რომელიც მას დაიცავს მავნე უკიდურესობებში გადავარდნისაგან. მაშასადამე, მწერლის აზრით, ადამიანი თავისთავს ვერც ნატურალისტურ-ბიოლოგიურ არსებობაში ჩაკეტავს და ვერც მისგან მონყვეტილი მხოლოდ მაღალი სულიერი სწრაფვებით დაკმაყოფილდება. ცალმხრივად გაბატონებული აღნიშნული ტენდენციები მხოლოდ ზიანს მოუტანს სინამდვილეს. მათი ჰარმონიისთვისაც ზომა უნდა იქნეს ნაპოვნი.

ბიოლოგიურ-ცხოველური ვნებებით შეპყრობილი ადამიანი არა მარტო აჩანაგებს ბუნებას, არამედ მეორე ამაღლებული სულიერების პატრონ ადამიანსაც მხოლოდ მომხმარებლური ინტერესით უცქერის. მისთ-

ვის ყველაფერი დაგროვება-მოხვეჭის სურვილით განისაზღვრება და ამიტომაც იგი ზნეობრივი სიმდაბლისაკენ მიექანება.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ეს არ არის მხოლოდ პიროვნული პრობლემა, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების სახეს ასეთი თუ ისეთი უნარის მქონე პიროვნებები ქმნიან.

ვაჟა-ფშაველამ თავის შემოქმედებით მემკვიდრეობაში მრავალი თვალსაზრისით დაახასიათა ბუნებასა და ცხოვრებასთან ადამიანის, როგორც ჩვეულებრივი, ასევე ესთეტიკურ-მხატვრული მიმართების ნიშნები, ხილულ სინამდვილეში ადამიანისათვის საყურადღებო უთვალავი ფასეულობა იპოვება, რომლებიც კაცთა სულის მოძრაობას თავისებურად აწესრიგებენ. სამყარო-ბუნებასა და ცხოვრებაში ბევრი სიბრძნეა ჩაქსოვილი. მაგრამ ადამიანი მაინც ყოველთვის ცდილობს იქ იპოვოს უფრო მეტი, ვიდრე მათს თავისთავადობაში ჩანს. ამის გამოც ადამიანი დასაბამიდანვე იშველიებდა სინამდვილის ნვდომა-გაგებისათვის სიმბოლური, ალეგორიული და მეტაფორული განსახიერების საშუალებებს. რეალობის მხატვრული აღქმა კი, ყოველთვის სრულქმნიდა ცხოვრებას.

ვაჟა-ფშაველა თვითონ იყო ბუნებრივი ღირებულებების მხატვრული განსახიერებით გატაცებული ხელოვანი. ამიტომ მთელი სიღრმით სწავლობად ბუნებასთან პოეტური მიმართების თავისებურებებს. იგი გვაუწყებს, რომ ბუნებაში მოსანონი და დასაწუნი საგნის დანახვა ყველა ადამიანს შეუძლია, ხოლო ამ ბაზაზე მხატვრული ფასეულობის შექმნა კი, მხოლოდ ერთეულების, კერძოდ, პოეტური ტალანტით დაჯილდოებული ანუ „იდეალისტი" ადამიანის ხვედრია. მწერალი ცხადჰყოფდა, რომ სინამდვილეს ადამიანი ასახავდა მაგიურ-მითოსური და რელიგიურ-მეცნიერული მიმართებების საშუალებით, თუმცა რეალობის მხატვრული ათვისება უფრო ფართო მასშტაბის მოვლენად მიაჩნდა. მას აინტერესებდა ბუნებაში ნაპოვნის მხატვრულ ფასეულობად გადაქცევის პროცესი, ე.ი. „სულიერ ქურაში" საგან-მოვლენათა გადადუღების ან „სულის ჩაბერვის" ტექნოლოგია.

მწერლის ფილოსოფიურ-ლიტერატურული ნააზრევი ცხადჰყოფს, რომ სამყაროს მთლიანობა, ჰარმონია და ბრძნული პოლარული წყობა, მასზე მოფიქრალი გენიოსის სულს თავისებური სახით აყალიბებს. ამიტომ გენიოსები კოსმიურ სიბრძნეს თავის გმირთა ხასიათებში განასახიერებდნენ. ისინი ღირსებებითა და ნაკლით ბუნების მსგავსი დიდებული ადამიანების სახეებს ქმნიდნენ. ასეთ მწერლებად ვაჟა მიიჩნევდა რუსთაველს, შექსპირს, გოეთესა და სერვანტესს. მისი შეხედულებით, ნიჭიერი შემოქმედნი ბუნების სიბრძნით საზრდოობდნენ გმირის სახის ძერწვისას, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან, ცდილობენ თვითონ ბუნებაც გაგვაცნონ ცხოვრებაში ნაპოვნი ტიპების მეშვეობით. ეს საინტერესოა იმიტომ, რომ საგან ადამიანი ბუნების თვითმყოფადობის მატარებელი არსებაა და მისი ხასიათის მხატვრული გახსნა ბუნებისეული საწყისების გამოკვეთასაც გულისხმობს. პოეტის გაგებით, ბევრი ბუნებრივი ღირებულება ადამიანისათვის „შვების მომცემია ნივთიერად, გრძნობა ცხოველური, მაგრამ იდეალური მისწრაფებაც არის აქ დართული". მაშასადამე, ბუნებრივი მოვლენები ია, ქუჩი, მთის წყარო და სხვანი, ადამიანის სულიერ უნარების გასაგნების საშუალებადაც გამოდიან; მართალია, ია არის ია, ხოლო მთის წყარო არის მთის წყარო, მაგრამ მხატვრულ პირობითობებში გაცხადებულმა პოეტურმა ნიჭმა მათ რაღაც შეჰმატა, ადამიანური სულიერი ძალებით დაჯილდოვა. მათი სიხარული და ტკივილი ბუნებისა და კაცთა ცხოვრების საერთო, ყოვლისმომცველ მთელზე განფინა. ეს კი გულისხმობს, რომ ბუნებასა და ადამიანს შორის ახლებური კავშირი დამყარდა, შეიქმნა პირობა განუმეორებელი მხატვრული ფასეულობების, ვაჟასეული სახე-იდეების დაბადებისა. აქ შემოქმედებითი პროცესი და მისი მატერიალური შედეგი, ე.ი. სახე-იდეა არ დაიყვანება არც სუბიექტურობაზე და არც ობიექტურობაზე. მათი ურთიერთქმედებისას, იბადება ახალი რეალობა, სულიერი ნათესაობის, სიმპათიის ან მძაფრი დაპირისპირების განცდები, მკვიდრდება მხატვრული ღირებულებები. ბუნებისა და ცხოვრების ასეთი კავშირი, ერთიანობა ვაჟას მრავალ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში იხატება. ამ თვალსაზრისით მწერლის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური მრწამსი სრულად ეხამება მის მხატვრულ ქმნილებებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მწერალი ანიჭებდა იმას, თუ როგორ უზიარებდნენ ინდივიდუალურ ნიშნებს ერთიმეორეს აღმქმელი პიროვნება და აღსაქმელი მოვლენები. ამ პროცესში, როგორც პოეტი იტყოდა, „თავი და თავი" ხელოვანია, რომელმაც ახალი ღირებულებების სამყარო უნდა დაამკვიდროს. პოზიტიური გაგებით, ცხადია, ბუნებაში გრძნობების, განცდების, აზროვნების მიზნის დასახვის პირობა არ არსებობს. ბუნებას მხოლოდ ხელოვანი სთავაზობს სასურველს, ჩვენთვის მისაღებ და მოსაწონ პოეტურ პირობითობებს.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ბუნება შეუვალი, დაურღვეველი კანონზომიერებების იდეალური კავშირია. ამიტომ არც ხელოვანს აძლევს უფლებას, მის შესახებ დაუჯერებელი რამ თქვას. ზომას მოქმედებისას თვითონ ბუნება უჩვენებს. „ალბათ ბუნებას ესეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს გონივრად აკეთებს, მოსაზრებით აწყობს და შლის". მრავალსახეობა, ჰარმონია თუ დისჰარმონია, პოლარობა თუ რაღაცის ერთსახეობა ბუნების სიბრძნეა და მშვენება, რამაც ადამიანის სულის მოძრაობაც უნდა გაამრავალფეროვნოს.

სელმა დე ვიეირა ველჰო*

„სევდის ხე“

ინდურ-პორტუგალიური ფოლკლორის ისტორიიდან

ბუნების რეგენერაციის ძალამ კაცობრიობას ოდითგანვე გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ციკლის არსებობაზე. მცენარეთა მითოსური ფუნქცია შესაბამისად ხელს უწყობდა ადამიანის წარმოსახვითი უნარის განვითარებას. პირველყოფილი და უძველესი ხანის კულტურებში „ხე“ ამ კულტურათა ფასეულობების სიმბოლიზირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. მაგალითად, „ხე“ იყო ნაყოფიერების, სიბრძნის, დიდების, მშვიდობის, წინასწარმეტყველებისა და უკვდავების სიმბოლური განსხეულება. ინდოეთში „ხე“ დღესაც კი ღვთის რანგშია აყვანილი. მაგალითად, „სომას ხეს“ (Asclepias Acida) ინდოეთში ძველთაგანვე აღმერთებენ, ანუ „სომას ნექტარს“, რომელიც ინდურ მითოლოგიაში „ამრიტას“ სახელითაა ცნობილი. მეორე ინდური „ხე“ – „აშვათჰა“ (Ficus veligiosa) ასევე კლასიკურ ინდურ მითოლოგიასთან არის დაკავშირებული. ძველ ინდოეთში მას უწოდებდნენ „ციურ ხეს“, რომელსაც ფესვები ცაში აქვს გადგმული, ხოლო მისი შტამბი დედამიწის ცენტრისკენაა მიმართული.

ხის სიმბოლიკა ძალიან ხშირად გამოხატავდა ძველი ინდოეთის სოციალურ-კულტურული ცხოვრების ფასეულობათა რთულ კომპლექსს. ამჯერად ვისაუბრებთ ინდურ-პორტუგალიურ ფოლკლორში გავრცელებული „სევდის ხის“ სიმბოლიკაზე.

ინდურ-პორტუგალიური სუბკულტურა შეიძლება განხილული იქნას, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი შემოქმედებითი ინდური სიმბიოზი, რომელშიც გასაოცრად არის შერწყმული დასავლური და აღმოსავლური ფასეულობები, მისი ლოკალური და უცხოური ფორმულები.

ინდურ-პორტუგალიურ ცხოვრებაში ადგილობრივი, მემკვიდრეობითი და უცხო კულტურის ურთიერთზემოქმედებისა და შერწყმის დაძაბული პროცესი თანდათან გადადიოდა ერთიან საერთო დინებაში, რომლის ორგანულ ნაყოფსაც წარმოადგენს მცენარეების გადაქცევა შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ.

სახელდობრ, ამ ფენომენს ეხება წინამდებარე გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ლოკალური (ინდური) და უცხოური – პორტუგალიური ფლორა, რომლის ესა თუ ის სახე, ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიის საგანი ხდებოდა დედამიწის მთელ ტროპიკულ სარტყელში.

ინდოეთით და ინდური კულტურით მრავალი პორტუგალიელი მწერალი და მოღვაწე მოხიბლულა, დაწყებული ვასკო დე გამათი, რომლის ამ ქვეყნით აღტაცება ნათლად ჩანს ალვარო ველჰოს დღიურებში, გილ ვიცენტეს – სამეფო დრამებში, გარსია და ორტას „საუბრებში“, კამეოს „ოსლუციადაში“ და სხვა.

მეთექვსმეტე საუკუნის შუა პერიოდში, პორტუგალიის სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, უდიდესი ზეგავლენა იქონია ამ ქვეყნის ინტელექტუალურ სპექტრზე. ეს იყო, პორტუგალიაში, სასტიკი მმართველობითი რეჟიმის, მასების ცნობიერების შეცვლისა და შინაგანი გაუცხოების ხანა. მაგრამ, მიუხედავად ამგვარი ინტელექტუალური და სულიერი კრიზისისა, პორტუგალიელ მწერლებში მაინც ღვიოდა ღრმა ინტერესი ინდოეთისა და ინდური სულიერი ცხოვრებისადმი. ამ პერიოდში ისინი ქმნიდნენ ნაწარმოებებს, თუმცა ისეთ რთულ ენაზე და ისეთი რთული სიმბოლიკის გამოყენებით, რომ მათი ლიტერატურულ ქმნილებათა შინაარსში ჩაწვდომა, მკვლევართათვის დღესაც დიდ თავსატეხს წარმოადგენს. ინდურ-პორტუგალიური ფოლკლორის ამ სპექტრის შესწავლას ართულებს ისიც, რომ შუასაუკუნეების მრავალი პორტუგალიური მანუსკრიპტის ორიგინალი თუ მათი პირველი სტამბური გამოცემები ან დაკარგულია ან მაშინდელი ცენზორული ინტერპოლაციის შედეგად დამახინჯებულია. პორტუგალიური ლიტერატურის ისტორიაში არსებობს თემა, რომელიც პერიოდულად მეორდება. სახელდობრ, ასეთ თემათა შორის, ინდოეთსა და ინდურ კულტურაზე, განსაკუთრებით საყურადღებოა "Arvore Triste" ანუ – „სევდის ხის“ თემა. „სევდის ხე“ ინდურ გარემოში „პარიჯატის“ სახელით გვხვდება. პორტუგალიელი მკვლევარის გარსია და ორტას წყალობით "Arvore Tristis" (სევდის ხე) გვხვდება მის მიერ დამკვიდრებული მეცნიერული ფორმითაც – "Nictathes Arbor Tristis".

როგორც გარსია და ორტამ, ასევე სხვა პორტუგალიელმა მწერლებმაც „სევდის ხის“ თემა თავისებურად დაამუშავეს. ყოველი მათგანი „სევდის ხის“ საკუთარ ვერსიას გვთავაზობს, მაგრამ მთლიანობაში ყოველი მათგანი საზრდოობს გოას ზღვისპირა რეგიონებში „სევდის ხის“ გარშემო გავრცელებული ფოლკლორული წყაროებით. ამდენად, ერთ-

*ინდოეთი – გოას უნივერსიტეტის პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ რთულ ამოცანას წარმოადგენს თავად „ხის“ იდენტიფიკაცია მის მრავალ ტიპს შორის, რომელიც ასე თუ ისე, გარეგნულად თუ თვისებებით ახლოსაა „სევდის ხესან“. ცნობილია ამგვარ ხეთა გარეგნული აღწერილობაც, მაგრამ მათი ზოგი დეტალი არ შეესაბამება ფოლკლორულ „სევდის ხეს“, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში მიესადაგება მას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, რაც უფრო ვუღრმავდებით „სევდის ხის“ პრობლემათა სპექტრის შესწავლას, ამ „ხის“ ამა თუ იმ ნიმუშისადმი, მით უფრო იბადება ეჭვებიც. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თითოეული ავტორი „სევდის ხეს“ არაბუნებრივ, შეუსაბამო თვისებებს მიაწერს. თუმცა, შესაძლებელია, რომ ეს „არასასურველი მკითხველის“ თვალის ასახვევად კეთდებოდა, ანუ, რათა ავტორი დაცული ყოფილიყო დევნისა და ცენზორის ზეწოლისაგან, ვინაიდან მათი შემოქმედება, იმ ჟამს, აღიქმებოდა, როგორც ზიანის მომტანი და „საშიში“ რამ საზოგადოებისათვის.

კლასიკურ ინდურ მითოლოგიაში „პარიჯატი“ სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი სურნელის მქონე „ზეციური ხეა“.

პირველი პორტუგალიური ტექსტი „პარიჯატისა“ და თავად „სევდის ხის“ ლეგენდისა – ("Coloquio Sexto do A'rvore Triste") ეკუთვნის გარსია და ორტას კალამს. ეს ტექსტი გოაში გამოქვეყნდა 1563 წელს, თუმცა მწერლისა და მეცნიერის გ.დ. ორტას ხელნაწერების ორიგინალი დაწვეს (Auto da Fe'-ს) გოას ინკვიზიციის დროს.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ვითარდებოდა „სევდის ხის“ თემა ორტას შემოქმედებაში: – დიდი ხნის წინათ, შუასაუკუნეების ევროპელმა ნმინდანმა, დოქტორმა რუანომ ევროპა დატოვა, რათა ოკეანეების გადაღმა დაუფლებოდა სამედიცინო სიბრძნეს და შეესწავლა ინდოეთის სამკურნალო ბალახები და მცენარეები. რუანო (Ruano) თავის ნაშრომში ("Coloquio") („საუბრები") გვამცნობს: „– ღვთის წყალობით დავეწაფე ცოდნის შეძენას, შესწავლას იმ ინდური ჰერბებისა, რომლებიც ევროპაში ჯერაც არ გვინახავს და არცა რა ვიცით მათ შესახებ. თუნდაც რა ხეა ის, რომელიც აფრქვევს ასეთ ტკბილ და საამო სურნელს მზის ამოსვლიდან ჩასვენებამდე? განა ვის შეუძლია მითხრას, გამოიყენება თუ არა ეს ხე სამკურნალოდ? არ მეგულება ისეთი მომჯადოები სურნელის მქონე სხვა ხე, როგორც ეს ხეა“.

ჩანს ამ კითხვებზე პასუხს თავად ამ „ხის“ თვისებები იძლევა, რომ თურმე იგი ღამით ანათებს და ინდოელთათვის ამ „პარიჯატის“ (სევდის ხის) სურნელის კლასიკური დანიშნულებაა ადამიანს მიანიჭოს „სულიერი სიმშვიდე“. გ.დ. ორტამ ფრთხილად გამოიყენა ტექნიკური ტერმინი "Cordial" „გულის“ თუ „ვილაც“, ან „რაღაცა ნაზი“, ან როგორც სამედიცინო სუბსტანცია – გამაჯანსაღებელი წყალი (ნექტარი).

მწერლის მიერ დასმული კითხვები გ. ორტამ გამოიყენა როგორც დოკუმენტური მტკიცებები, იმ ხის, „ყვავილის სურნელის“ კლასიკური ინდური დეფინიციისა და – „სულისმარგებელი-დამამშვიდებელი“. და რაც საყურადღებოა, მწერალმა მოახდინა „სევდის ხის“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ერთ სემანტიკაში შერწყმა. ორტამ ამგვარი ხერხი გამოიყენა, რათა დაეფიქსირებინა „სევდის ხის“ არსებობა გოას ტრადიციულ ფოლკლორში, საპირისპიროდ კლასიკური ინდური სიმბოლიკისა. ზემოთ მოტანილი პასაჟი საინტერესოა იმითაც, რომ, ვიმეორებ, ხის ორი თვისება თუ მისი სახელის მნიშვნელობა, ავტორმა ჩააქსოვა ერთ სახელწოდებაში. ამასთანავე მწერალმა თავისი ნაწარმოები – "Coloquios" – შექმნა ინდოეთის სუბკონტინენტზე ოცდაათი წლის მანძილზე მოგზაურობის შედეგად. ამიტომაც ექსკლუზიურობაც მას ეკუთვნის – სწორედ მან შეიძინა ცოდნა „პარიჯატისა“ და „მალაკას“ შესახებ; „მალაკა“ სავარაუდოდ იმ მიწას ნიშნავს, სადაც პირველად აღმოცენდა „სევდის ხე“. ორივე ეს ტერმინი მნიშვნელოვანია დოკუმენტურობის თვალსაზრისით, მათთვის, ვინც დაინტერესებულია ინდური სულიერი კულტურის შესწავლით.

„სევდის ხის“ მრავალი ინტერპრეტაცია, არსებითად შეიცავს სამ დამატებით მითოლოგიურ სიუჟეტს: 1. „სევდის ხის“, ანუ იგივე „პარიჯატის“ ზღვის ფსკერიდან გადმოერგვა. 2. კონფლიქტი ინდრასა და კრიშნას შორის. 3. „პარიჯატის“ ხის სამუდამოდ დარგვა განსაკუთრებულ „მიწიერ სამოთხეში“, რაც ერთადერთი საშუალება იყო ღმერთებისა, რათა თავიდან აეცილებინათ უბედურება, რომელიც შესაძლოა დატრიალებულიყო ინდრასა და კრიშნას დაპირისპირების შემთხვევაში.

გ. ორტას ტექსტში ნათლად ჩანს, რომ ავტორი გოას აიგივებს „განსაკუთრებულ სამოთხესთან“, რომელიც „პარიჯატის“ (სევდის ხის) ახალ მიწიერ სამყოფელად იქცა. ამასთანავე ტერმინ „მალაკას“, რომელიც პორტუგალიელთათვის ხელსაყრელ სამფლობელოს წარმოადგენდა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ავტორი იყენებს, როგორც მითიური „ზღვის ფსკერის“ „სევდის ხის“ და ინდრას სამოთხის ალეგორიას. ეს არის ერთადერთი ხალხური ლეგენდა, რომელიც ორტამ აღადგინა, იმის საშუალებითაც, რაც თვითონ გოამ რეგიონის სოფლის კრელკრებისაგან მოისმინა, როგორც ტრადიციული ზეპირსიტყვიერების ნიმუში. ტერმინები „პარუ“ და „პარვუ“ (Parva) წარმოიშვა „პრაბჰუ“-დან (Prabhu), რაც ნიშნავს „უცხო ტომისა“-ს (თუმცა მას მრავალი სხვა მნიშვნელობაც გააჩნია). ტერმინი "Parvoice' (პარვოისი) გამოყენებულია "Parvus" მნიშვნელობით, ამდენად „პარვუსი“ გოას რეგიონის ერთ-ერთი თემის სახელწოდებაა. ეს ტერმინი აგრეთვე შეგვიძლია მივიჩნიოთ მეტაფორადაც, რადგანაც გ. ორტა სიტყვა „პარვუსში“ აქსოვს საკუთარ შთაბეჭდილებასაც.

ტერმინი „პარვუს“ ავტორმა გადააკეთა „პარვოდ“, რაც „სულელს“ ნიშნავს, რადგან ამ სოფლის კლერკები ავტორზე ასეთ ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ამდენად, დ. ორტა იყო პირელი, ვინაც დააფიქსირა გოას ფოლკლორის არსებობა: – „ამბობენ ოდესღაც „სევდის ხე“ დიდი გამგებლის პარიზატაცოს ქალიშვილი იყო. ქალიშვილს თურმე „მზის ღმერთი“ შეჰყვარებია, რომელთანაც ურთიერთობა თითქმის არასოდეს ჰქონია. ამიტომაც „მზის ღმერთმა“ ქალიშვილის სიყვარული უარყო. ამის გამო ქალიშვილმა თავი მოიკლა, ხალხმა მისი ცხედარი ტრადიციისამებრ კოცონზე დაწვა. მის ფერფლზე ამოვიდა ხე, რომლის ყვავილებს მზე ისე სძულდათ, რომ მის ყოველ ამობრწყინებაზე, ყვავილები მყისვე ჭკნებოდნენ“.

ფერნაო ალვარეს და ორიენტემ სევდის ხის საკუთარი ვერსია შექმნა: – „ლუციტანის გარდასახვა“, რომელიც პოეტური დიალოგის სახითაა დაწერილი. ავტორი არ განმარტავს თუ „რა“ „რად“ უნდა გარდაქმნილიყო, როდესაც პორტუგალიური ლუციტანის პოეტურ სახეს გვიხატავს. პოემაში დიალოგი იმართება მეფე სალადინოს ტრაგიკული სიყვარულის ფონზე: სალადინოს უსაყვარლესმა ცოლმა – გრისალდიმ უღალატა. ამის გამო მეფე სალადინომ თავი მოიკლა. ხელმწიფის დასახიჩრებული ცხედარი ხალხმა მიწას მიაბარა ჭმუნვით, გრისალდა კი ცოცხლად დაწვა კოცონზე. ქვეყანას ორივე გარდაცვლილი მცენარეებად მოევლინა. მაგრამ თითოეული მცენარე ადამიანის თვისებებს ავლენდა. სალადინო ლამაზ „სევდის ხედ“ იქცა, ხოლო გრისალდა შხამიან ბუჩქად, ვინაიდან იგი ფაქტობრივად იყო მკვლელი იმ არსებისა, ვისაც იგი ყველაზე მეტად უყვარდა, თავად მკვლელი. ამ მცენარის პირველი მსხვერპლი ხდება უცხო პილიგრიმი, რომელსაც ეს ბუჩქი შეუყვარდა, რამეთუ მის დანახვაზე მუდამ მომაჯადოებელ გრისალდას ხედავდა. ტექსტის ფაბულა ერთგვარად ისტორიულ მოვლენათა ალეგორიას წარმოადგენს. მაგალითად, შემდეგი პასაჟი: – „ყმაწვილს გულუბრყვილობითა თუ სიმამამაცის გამოჩენის მიზნით მიუტოვებია მშობლიური მხარე, რის შემდეგაც მთელი მისი ცხოვრების გზა ომებსა და მშვიდობას შორის გადიოდა. არადა, სხვა მებრძოლთა შორის, ყმაწვილი გულჩვილი ბუნებისა და მეტად თავმდაბალი იყო“: – ისტორიულად გოას უკანასკნელი მუსლიმი მმართველი – აბდულ მუსაფარ ადილ შახი იყო შვილიშვილი თურქი სულთან აღა მურადისა (ამურათიის). 1451 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ ყმაწვილი აბდულა დედამ ინდოეთში გაამგზავრა. დედას სურდა უმცროსი შვილი მაინც გადაერჩინა უფროსი ვაჟის მკვლელთა ხელყოფისაგან. სულთანის წული ინდოეთში იშვილა მუჰამედ გავანმა, რომელსაც მუჰამედ შახის კარზე მთავარი მინისტრის თანამდებობა ეკავა. მამობილმა აბდულას ხანის ტიტული უბოძა. როცა აბდულ ხანისაგან ნამდვილი მეომარი დადგა, მალე ბიჯაპურისა და გოას ტერიტორიების გამგებელი გახდა. აბდულ ხანი გოას ხელმეფეთა ვისა და მისადმი ისეთი სიყვარულით განიმსჭვალა, რომ გოას თავისი გვირგვინის უძვირფასეს მშვენებად თვლიდა. ეს ისტორიული მომენტი პოემაში მეტაფორულადაა აღწერილი: – „სალადინოს ბედმა უმუხთლა, მოუსპრ ბედნიერება – ციური პლანეტა მზეთუნახავ ქალად იქცა. მომჯადოები სილამაზისა და ბოროტი სულის პატრონი გრისალდი ნამდვილ მნგრეველად გადაიქცა. მისი სურვილით ყოველივე კეთილი უფსკრულისაკენ მიექანებოდა. სწორედ ამ ქალური დემონიური სილამაზით მოხიბლა უცხო პილიგრიმი, რომელსაც ქალწულობა დაუთმო და თავი შეაყვარა“.

გოას მკვიდრთა პირველი შეხება პორტუგალიელებთან, დაკავშირებულია ვასკო დე გამას ანგედივის კუნძულზე მცირე ხნით დაბანაკებასთან, რათა სასმელი წყლით მომარაგებულიყო და შემდგომ გზა გაეგრძელებინა პორტუგალიისაკენ. ამ ფაქტის შემდეგ რამდენიმე წელმა განვლო და 1510 წლის 17 თებერვალს პორტუგალიელებმა გოა დაიპყრეს:. – პორტუგალიის ფლოტის ადმირალმა ალფონსო ალბუკერკემ გოას ერთ-ერთი რეგიონის სოფლის თემის მეთაურ ტიმიჯასაგან მიიღო შეტყობინება, რომ თუკი ადმირალი გოას დასაპყრობად ჩამოვიდოდა, რეგიონის სოფლის მოსახლეობა მუსლიმანთა წინააღმდეგ, მის მხარეზე იბრძოლებდა. ყოველივე, მართლაც ასე მოხდა: მოვლენები სწრაფად განვითარდა – ჯერ ადილშახმა დიდი ბრძოლის შემდეგ გოა დაიბრუნა, მაგრამ 1510 წლის ნოემბერში ა. ალბუკერკემ გოა დაიპყრო. ადილ შახი გარდაიცვალა. გოას სილამაზით მოხიბლულმა ალფონსო ალბუკერკემ აქ საფუძველი ჩაუყარა ლეგიტიმურობას, იურისპრუდენციას, სენატს. გახსნა საქველმოქმედო დაწესებულებები, ჰოსპიტალი, უპატრონოთა თავშესაფარი, ე.წ. „გოას ოქროს“ ბაზაზე შექმნა ოცდაოთხი დასახელების სინდიკატი და სხვა.

ზემოთ ხსენებულ პოემაში ნათქვამია, რომ სალადინო მაღალი პალმის ხიდან გადმოხტა და თავი მოიკლა. სალადინოს თვითმკვლელობა შეიძლება მივიჩნიოთ ეპიტიმიის უკიდურეს ფორმად დანაშაულის გამო ისეთი ცოლისა, რომელიც სალადინოს საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. რაკი მას გრისალდა სილამაზის სრულყოფილებად მიაჩნდა, ჩათვალა რომ თუ ცოლს მოკლავდა, ამით ცოლის სილამაზის სრულყოფილებას დაარღვევდა. ეს მხატვრული დეტალი შეგვიძლია ორგვარად ავხსნათ: 1. როგორც დაცვა საინკვიზიციო კანონებისა, რომლებიც იმ დროს კათოლიკურ გოაში მოქმედებდა და 2. როგორც მეტაფორა-ალეგორია აღმოსავლეთში პორტუგალიის არამდგრადი რეჟიმისა, რომელიც გოას ნგრევას უქადდა. ასევე „გრისალდის“ კოცონზე დაწვა შეიძლება გავიგოთ, როგორც „სატის“ წესის აღსრულება, რომელიც ა. ალბუკერკემ გოაში კატეგ-

ორიულად აკრძალა და როგორც მეტაფორა-ალეგორია („აუტო დაფე") საშინელი საინკვიზიციო კოცონისა, რომელიც დაამკვიდრეს გოაში პორტუგალიის მეფის ნაცვლებმა. ეს მხატვრულ კომბინირებული ხერხი „გრისალდის" კოცონზე დაწვის გზით მოკვდინებისა, საბოლოოდ უნდა გავიგოთ, როგორც სიმბოლო „საბედისწერო სიკვდილისა", სულერთია ეს იქნება ე.წ. „სატის" წესით თუ საინკვიზიციო კოცონზე დაწვის გზით. ტექსტში გამოყენებულია მრავალი სხვა ერთმანეთის შემცვლელი მხატვრული ხერხი.

ლეგენდის საინტერესო ასპექტია აგრეთვე, სალადინოსა და გრისალდის მცენარეებად გადაქცევა: სალადინო გადაიქცა „სევდის ხედ", რომლის ყვავილები მყისვე ჭკნება, როგორც კი მას ქალის ხელი შეეხება, რამეთუ ნიშნად იმისა, რომ სალადინოს მუდამ ახსოვს, რომ უსაყვარლესმა ცოლმა უღალატა. ხოლო გრისალდა გადაიქცა „დატურას" (Datura) ბუჩქად": — „მე-16 საუკუნეში „დატურას ბუჩქისაგან" ამზადებდნენ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ნარკოტიკს, რომელსაც ვანსაკუთრებით გოას რეგიონში მოიხმარდნენ. ამ ბუჩქის ერთ-ერთი სახეობის ("Datura fostuosa") — „დატურას ბუჩქის" მუქი იასამნისფერი ღეროები და სწორი, მოგრძო ყვავილები მკვეთრად განსხვავდება ამ მცენარის სხვა სახეობისაგან. სახელდობრ, ამ მცენარის თვისებები უნდა მივიჩნიოთ ავტორის შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ. რაც შეეხება საკუთარ სახელს „გრისადა" — იგი შედგება ორი სიტყვისაგან: — „გრის" (Gris), რაც მუქი იასამნისფერს ნიშნავს და „ალდა"-საგან, რაც ნიშნავს ძველს". ამდენად ეს საკუთარი სახელი შეგვიძლია გავიგოთ, როგორც სიმბოლო უძველესი მიწისა, რომელიც დასახლებულია ამაყი მუქკანიანი ადამიანებით, რაც თამამად შეიძლება ითქვას გოას მკვიდრ მოსახლეობაზე.

მეორე საინტერესო დეტალია ის, რომ „სალადინო" ალკოჰოლოიდია, რომელსაც ამზადებენ „დატურას" ბუჩქისაგან. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „სალადინო" ასევე კომპოზიტური ანაგრამაა სიტყვებისა „ადილლშახი"-ს და „ადილხანი"-ისა, ორივე კი სახელებია იმ ისტორიული პირებისა, რომლებიც გოას მართავდნენ.

ეს მითოლოგიური ტექსტი შეიცავს მრავალ საინტერესო გადმოცემას ძველი გოას შესახებ, მათ შორის ყველაზე საინტერესოა — ლეგენდა თუ როგორ გადაიქცა ველური პალმის ხე ტყის ფინიკის ხედ , როდესაც პალმის ხის გულს „ტრაგიკული სალადინოს" ცრემლები მოხვდა.

ფრანჩესკო როდრიგოს ლობო (1580-1627) ავტორია მრავალი პუბლიკაციისა. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა, ცხოვრებისეული ენითა და წერის დახვეწილი მანერით. რაც შეეხება მის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ ქმნილებას „სევდის ხე", იგი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალებიდან თითქმის საუკუნის შემდეგ — 1721 წელს. სინამდვილეში ფ. ლობომ მხატვრულად ასახა ნაამბობი თავისი პორტუგალიელი მეგობრისა, რომელიც ინდოეთში ცხოვრობდა და, რომელსაც ლეგენდა „სევდის ხის" შესახებ, უამბო მისმა ახლობელმა ბრაჰმანმა. ამ უკანასკნელს კი მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონია გოაში მცხოვრებ პორტუგალიელებთან.

ფ.რ. ლობოს ეს ნაწარმოები საკმაოდ რთულია და გამოირჩევა მრავალი ორაზროვანი გამონათქვამით, მსგავსი მნიშვნელობების მქონე სიტყვების ურთიერთშენაცვლებით, ანუ ანაგრამიებით. მაგალითად, პოემაში აღწერილია ამბავი, რომელიც ვითარდება მდ. განგის მიმდებარე მიდამოებში, ანუ მეფის ნაცვლის ქალაქის გარეუბანში. გეოგრაფიულად ეს უბანი შეიძლება იყოს „ხუთი მდინარის შესართავი" (ანუ „პანჩაგანგა") ნაროაა რაიონის, რომელიც ცნობილია „საპტაკოტეშვარის", იგივე „საპტანათჰის" სახელწოდების უძველესი ტაძრით, რომელსაც „შვიდი რიშის" (შვიდი განდეგილის) ტაძარსაც ეძახიან. მართალია, ეს ტაძარი ინკვიზიციის მიერ დარბეული იქნა, მაგრამ მასთან დაკავშირებული „ტირთჰას" (განბანვის წესი) დღესასწაული დღესაც აღინიშნება აგვისტო-სექტემბერში. ამ ტრადიციის გადარჩენას მიანერენ გოაში იმყამინდელი ქალაქის პორტუგალიის მეფის ნაცვალთა ლიბერალობას, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო, რომ ხალხს ეს რიტუალი შეესრულებინა.

ეს პოეტური ლეგენდა მოგვითხრობს ტრაგიკულ ისტორიას ორი საგვარეულოსი, რომელთა შორის ჩამოვარდნილი შუღლის შედეგადაც ეს ტრაგედია დატრიალდა: ერთ-ერთ მხარეზე იყო სოლარული (მზის) დინასტიის მეფის ქალწული-ღვთაება „ჩაპელი" მეორეზე კი ლუნარული (მთვარის) დინასტიის მეფის წული „მანდელი". გარდა იმისა, რომ ეს ორი დინასტია გენეალოგიურ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან, ასევე მათი საერთო ნათესავი იყო „დედოფალი მელია". ლეგენდის ფაბულა ვითარდება მინის ბებერი ქალღმერთის ჩამპელისადმი სიძულვილისა და ეჭვიანობის ფონზე, რამეთუ მეფის ქალწულმა ჩემპელმა დაარბია მიწის ქალღმერთის ტაძრები და მოსპო რიტუალების ჩატარების საშუალება და სანაცვლოდ საკუთარი რიტუალები დანერგა. პოემაში გამოყენებული სიტყვები „ვიჰერა" (Vihera) (ვიჰერა, იგივე „ვიჰარა" სანსკრიტზე ბუდისტურ სალოცავს ნიშნავს) და „ბონზოსი" (Bonzos) (ბონზოსი — სანსკრიტზე „ბოდჰ" (ბუდჰ-გასხივოსნება) მიუთითებს „ჩამპელის" ლეგენდის კავშირს ბუდიზმთანაც.

მიუხედავად „ჩამპელის სარწმუნოების" მშვიდობიანი ბუნებისა, მეფის ქალწულ ჩამპელის მიერ მთიანი სამხრეთის ქალაქების დაპყრობა, ხანგრძლივი საბრძოლო შეტევები „მელიას" სამეფოზე, აღსავსე იყო ადამიანთა დიდი მსხვერპლითა და სისხლისმღვრელი ძალადობით.

პოემაში ტრაგედიის მიზეზად აღწერილია ის, რომ მეფისწულ მანდელს შეუყვარდა მტრის ანუ დამპყრობის მეფის ქალწული ჩამპელი, რომელიც მასაც ისეთივე ქედმაღლური სიძულვილით უმზერდა, როგორც ჩვეულებრივ სხვა დაპყრობილთ. ამით ჩამპელი ხაზს უსვამდა თავის შეუქცევად უპირატესობას და ცდილობდა ყველა დაერწმუნებინა, რომ მისი სიყვარულის ღირსი ქვეყნად არავინ იყო. მაგრამ თუკი ბოლოს და ბოლოს გათხოვებაზე თანხმობას განაცხადებდა, მისი ერთადერთი პირობა იყო შემდეგი: „ჯასპერის ქვის სვეტი“, რომელიც მელიას შადრევნებთან იდგა, ერთ დღეში უნდა გადაქცეულიყო ისეთ ხედ, რომლის პატარა თეთრი ყვავილები მხოლოდ ღამის წყვდიადში გაიშლებოდა. „ჯასპერის ქვის სვეტის“ ფაქტი და ის, რომ მანელმა ქვის სვეტის გარშემო საკურთხეველი მიუთითებს ამ გმირის შივაიტობაზე და შივალინგამის კულტის თაყვანისცემაზე. ასევე ნაწარმოების ეს პასაჟი მიანიშნებს მეფის ქალწულ ჩამპელისა და უძველესი ინდური ფალოსის კულტის შივალინგამის თაყვანისმცემელთა შორის იმჟამინდელ ანტაგონიზმზე. მაგრამ პოემაში ნათქვამია ისიც, რომ მთვარემ, როგორც კეთილშობილმა მშობელმა, დააკმაყოფილა „ჩამპელის მოთხოვნა“, მაგრამ როდესაც ჩამპელმა „ჯასპერის ქვის სვეტი“ „ხედ“ გადაქცეული იხილა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ხანჯალი იშიშვლა, მკერდში დაიკრა და ამგვარად მეფისწულ მანდელის ცოლობას, სიკვდილი ამჯობინა. ხოლო, რაკი მანდელს ჩამპელი საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, მანაც იმავე ხანჯლით მოიკლა თავი. ამდენად პოემაში სისხლიანი ხანჯალი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საშინელი სიმბოლო, სისხლიანი გზით შეუღლებისა. ამ შემთხვევაში „ხე“ მშობლების უძვირფასესი საჩუქარია და სიმბოლო მარადიული სევდისა, რომელიც წარმოშვა მათში ამ ტრაგიკულმა წყვილმა. ამდენად „სევდის ხე“ „მარადიული სევდის“ სიმბოლური განსხეულებაა.

„ჩამპელისა“ და „მანდელის“ სახელწოდების მრავალი ხე დღესაც არსებობს, მაგრამ სახელდობრ რომელია მათ შორის „სევდის ხე“, დადგენა ძნელია, ვინაიდან არსებობს სულ ცოტა ორმოცდაათამდე სახეობა ხისა, რომელსაც უწოდებენ „ჩამპელს“ (ჩამპა). ასეთებია, მაგალითად: Michelia Champa, Michelia Cathacortii და ა.შ. გარდა ამ ჩამოთვლილი ხეებისა, არსებობს მრავალი სხვა სახე მცენარისა, რომელსაც ასევე ეწოდება „ჩამპა“, ასეთებია: mesun Ferrea, Magnola Grandiflora და ა.შ.

მაგალითად, Plumelia alba ისხამს ყვავილს, რომლის შუაგული წითელია, ხოლო ფოთოლი რძესავით თეთრი, რაც თანდათან ოქროსფერში გადადის, აქვს იშვიათად საამო სურნელი. ასევე მცენარე „მიქელია ჩამპა“, რომლის ყვავილი მთლიანად ოქროსფერია და მომცრო ფოთლები აქვს, განსხვავებით ზემოხსენებული ყვავილისაგან, აფრქვევს მძაფრ, მაგრამ მეტად საამო სურნელს. თუ „ჩამპელის ოქროსფერ თმებს“ მანდელის „უიმედო სიყვარულის“ სიმბოლოდ მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ Michelia Campa (მიქელია ჩამპა) სახელდობრ ის ხეა, რომელ ხედაც ჩამპელი გადაიქცა. მაგრამ თუ სხვა დეტალებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ მას სხვაგვარი ინტერპრეტაციაც შეიძლება მიეცეს, რადგან ლეგენდაში ყურადღებას იპყრობს ურთიერთშეუსაბამო მხატვრული დეტალები: მაგალითად, დაჭრილი „მანდელის“ მხატვრულ ასახვაში, რომელშიც საუბარია „ხუთფურცლიან ყვავილზე“ – “Passiflora Cearula”-ზე ანუ „ვნების ყვავილზე“, როდესაც ტექსტში მართლაც ჩანს, რომ „მანდელი“ გადაიქცა „ხედ“, რომელსაც მისივე სახელი დაარქვეს ანუ „პანგო“ “Erythrinia Indica”.

ყველა განხილულ ლეგენდაში ადგილი აქვს საყვარელი „არსებისა“ თუ საგნის გადაქცევას „სევდის ხედ“. აქედან გამომდინარე, პოტუგალიელი მწერლების მიერ გადამუშავებული ფოლკლორული ნაწარმოებები მთლიანად დაკავშირებულია ინდოეთთან, არსებითად უძველეს ინდურ ძეგლთან „ვიშნუპურანასთან“ ანუ მის ტექტსს შეესატყვისება, ვიდრე ტრადიციულ ინდურ მითოლოგიას. ყველა ინდურ-პორტუგალიური ვერსია „სევდის ხის“ ლეგენდისა დოკუმენტურად განეკუთვნება მე-16 საუკუნის გოას ფოლკლორულ წყაროებს, რაც არა მარტო ინდურ-პორტუგალიური კულტურების დიალოგის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, არამედ იშვიათ წყაროს გოას კულტურის საიდუმლოს ამოსაცნობად.

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკოლოზ კენჭოშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა თევზაძე

სცენური სივრცის ათვისების პირველი ცდები ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში

სცენური სივრცის პრობლემა თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული და თეორიული პრობლემაა. თეატრალური პლასტიკა ყოველგვარ სიახლეს აერთიანებს – სივრცით, ფაქტურულ, კინეტიკურ, არქიტექტურულ აღმოჩენებს, რადგან სცენა სწორედ ის ადგილია, სადაც თავს იყრიან ადამიანები, რომელთაც რაღაც აქვთ საზოგადოებისათვის სათქმელი. ამგვარად იქმნება ახალი ფორმები, ახალი ენა, რეჟისორისა და მხატვრის მიერ განსაკუთრებული კანონებით ორგანიზებული სამყარო, რომელიც თანდათან გარდაიქმნება სპექტაკლის ბუნებრივ პლასტიურ გარემოდ – მსახიობთა საარსებო სივრცედ. იგი თანდათან იხსნება, თანამონაწილედ იხდის მაყურებელს და მის გარეშე წარმოუდგენელია სპექტაკლის გმირთა არსებობა. დეკორაციის პლასტიკური სახე მაყურებელს საშუალებას აძლევს შეიგრძნოს მოქმედების განწყობილება. იგი სპექტაკლის სამოქმედო ღერძი ხდება და როგორც ცოცხალი ორგანიზმი გამუდმებულ კონტაქტშია მაყურებელთან, იწვევს ასოციაციათა რიგს, სცენაზე მიმდინარე დრამატურგიულ აქტებში სუნთქავს და ვითარდება, დროსა და სივრცეში ახალ ფერებს იძენს. სცენური დრო კი მხოლოდ სცენურ სივრცეში არსებობს. სპექტაკლის განმავლობაში იგი თავისი კანონების მიხედვით ვითარდება – ხან ჩქარდება, ხან ჩერდება, ხან საერთოდ ქრება, მაშინ, როცა მაყურებელი თავის რეალურ დროში ცხოვრობს, დაახლოებით ორი-სამი საათის განმავლობაში. მსახიობი და სპექტაკლის ყველა ელემენტი სცენურ დროს ემორჩილება და ამავე დროს რეალურ დროშიც არსებობს. დროის განვითარების ნიშნით მოძრაობისა და დეკორაციის დროში უძრაობის პრობლემის დასაძლევად რეჟისორები და მხატვრები, 20-იან წლებშიც და დღესაც, ცდილობენ მთელი დეკორაციის თუ მისი ცალკეული ნაწილების ამოძრავებას.

სცენური სივრცის ათვისების საკითხი უძველესი დროიდან აინტერესებდათ სცენის პრაქტიკოსებს. მისი გადაჭრის გზები იცვლებოდა თეატრის ისტორიის მანძილზე, მაგრამ თვით პრობლემა მუდამ რჩებოდა, რადგან იგი სასცენო ხელოვნების არსში ძევს.

სანდრო ახმეტელისა და ირაკლი გამრეკელის მიერ შექმნილი სცენური სივრცე გარკვეული ეტაპია ქართული სცენოგრაფიის განვითარების გზაზე; კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე 20-30-იან წლებში მათ სრულიად ახალი, მკვეთრად ეროვნული და ამავდროულად ზოგადად თეატრალური სამყარო შექმნეს, რომელიც თავისი სცენური სახიერებით სივრცის გადაწყვეტის იმგვარ მოდელს ეფუძნებოდა, მსოფლიო სცენოგრაფიული აზროვნებისათვის რომ არის საინტერესო. სცენური გადაწყვეტის ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით ბევრი რამ მათ მიერ მოძიებული თითქმის ეტალონად იქცა. სამწუხაროდ, ეს მიგნებები ათეული წლების მანძილზე ჩრდილში დარჩა რეჟისორ სანდრო ახმეტელის ტრაგიკული ცხოვრებისა და სამყაროს „რკინის ფარდით" გათიშულობის გამო. მაგრამ ჩვენთვის სავსებით ნათელია, თუ რა მნიშვნელობისაა თეატრალური აზროვნების რეფორმაციაში მათი თანაშემოქმედების ყოველი კონკრეტული საეტაპო სპექტაკლი. მათში ხომ თავისებური სივრცე შეიქმნა – მხოლოდ ამ სპექტაკლის თეატრალური სამყაროს აზროვნებიდან გამომდინარე და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი.

დღეს მიზანი მხოლოდ ერთია – ნებისმიერი საშუალებებით, იმ მასალებით, რაც კი არქივებსა და საცავებში შეიძლება მოვიძიოთ, აღდგეს სპექტაკლი, მისი სამყარო, მისი სივრცე, მისი დრო... ამ სპექტაკლების დრო და სივრცე ინტუიტიურად დღევანდელ ქართულ თეატრში არსებობს და მის დიდებულ წარმატებას უძევს საფუძვლად. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საინტერესოა დროისა და სივრცის იმ თავისებურებათა კვლევა, რომელიც ასე თუ ისე შემოინახა ქართული თეატრის ისტორიამ. მათ გარეშე წარმოუდგენელია თეატრის დღევანდელობის გაგება ამ პოზიციიდან. არანაკლებ საინტერესოა რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებითი ურთიერთობების გარკვევაც. ახმეტელისა და გამრეკელის ერთობლივ სპექტაკლებს წინ უძღოდა მარჯანიშვილისა და გამრეკელის ერთობლივი სპექტაკლები და მიუხედავად ამ ორი რეჟისორის მკვეთრად განსხვავებული ნიშან-თვისებებისა, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ მათი საერთო მიზანსწრაფვა, რასაც თეატრალური რეფორმაცია ჰქვია.

მეოცე საუკუნე იმ მისწრაფებებითა და მღელვარებით შემოიჭრა საქართველოში, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების სრული გარდაქმნა და ადამიანთა შორის საბედისწერო დაპირისპირებები მოჰყვა.

იმდენად ძლიერი, ყოვლისმომცველი და წინააღმდეგობრივი იყო რევოლუციური ბრძოლის ძალა, რომ იდეა, რომლის სახელითაც იგი განხორციელდა – თანასწორუფლებიანობა და კაცთმოყვარეობა – სისხლმა და რეპრესიებმა დათრგუნა. თეატრს, როგორც პროპაგანდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ მასობრივ საშუალებას ტრიბუნის განსაკუთრებული მოვალეობა დაეკისრა; საზოგადოებრივი აზრის ცვლილებანი მეტნაკლებად წარმოჩნდა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. საქართველოს ისტორიულ ბედიღბალს სისხლხორცეულად დაკავშირებული ქართული თეატრი, ქვეყნის სატკივარს იმთავითვე ეპასუხებოდა. ქართული თეატრის სცენაზე აფრიალებული ქართული დროშები არასოდეს აღუქვამს საზოგადოებას მხოლოდ თეატრალურ რეკვიზიტად. ყოველგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმაცია ადეკვატურ ცვლილებებს იწვევდა ქართულ თეატრში; სწორედ ამგვარ ცვლილებების გზას დაადგა იგი 1917 წელს, როდესაც საქართველომ ნაოცნებარი დამოუკიდებლობა მიიღო. თავისუფლების რამდენიმე წელიწადმა, მიუხედავად გაჭირვებისა და კრიზისისა, ბევრი შედეგი გამოიღო და ქართული თეატრის საკეთილდღეოდ კი, უპირველესად: „თეატრს მიენიჭა სახელმწიფოს სტატუსი; მოხდა თეატრის რეორგანიზაცია. თეატრმა მიიღო შენობა. ქართველ მსახიობთა დღე გაიმართა – იანვრის 2-ს მთელ საქართველოში“ [1] და ა.შ.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქართულ თეატრში ბრძოლა ახალი სათეატრო ესთეტიკის დამკვიდრებისათვის, რადგან: „დამოუკიდებელმა საქართველომ მემკვიდრეობად მიიღო ისეთი თეატრი, რომელიც იბრძოდა განახლებისათვის, ეძებდა კრიზისული მოვლენებიდან თავის დაღწევის გზებს“. [2] პირველი სპექტაკლები „გუშინდელნი“, „ოიდიპოს მეფე“, „სიცრუეა“, „ოტელო“, „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „მსხვერპლი“, „უბედურება“, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ და არაერთი წერილი, სტატია დაიბეჭდა იმ დროის პერიოდულ პრესაში. დიდი იყო სიხარული, თუმცა ისიც ნათლად ჩანდა, რომ საჭირო იყო სრული რეფორმა, დროის შესატყვისი დრამატურგიის მიხედვით ახალ ფორმათა ძიება. საჭირო იყო იმ ფუნდამენტის შექმნა, რომელზედაც დაფუძნდებოდა ახალი ქართული თეატრალური ხელოვნება. გაზეთი „ლომისი“ წერდა: „თეატრის შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა პირველ რიგში რეპერტუარის გარდაქმნა-გადმოყვანა თანამედროვეობის რელსებზე“-ო.[3] საჭირო იყო პიროვნება, რომელიც აქტიურად ჩაერეოდა ქართული თეატრის ცხოვრებაში, წარმოაჩენდა ქართველი მსახიობის ნიჭის მასშტაბს, გასდებდა ხიდს ძველსა და ახალს შორის და დროისა და ეპოქის შესატყვის ხელოვნებას შექმნიდა. ასეთი შემოქმედი კოტე მარჯანიშვილი იყო.

მარჯანიშვილის მიერ რუსეთში სხვადასხვა დროს დადგმული სპექტაკლების მხატვრული გაფორმებაც იმ ძიების მანიშნებელია, რომელმაც თეატრალური ხელოვნებისადმი დამოკიდებულება და ესთეტიკა ჩამოაყალიბა. ეპოქის თანადროული ფანტაზია აქტიურად ეხმარებოდა მღელვარების საგნად ქცეულ პრობლემებს და ამის მიხედვით [illegible] ლებსაც ერთხანს ახასიათებთ, როგორც თავად წერს, „რეალიზმი, რომელიც ნატურალიზმამდე აღწევდა“ [4], ხოლო შემდეგ სიმბოლისტური პიესების მომხიბლაობისთვის დამახასიათებელი, ხაზგასმით მკვეთრი პირობითობა.

ახალი ქართული დეკორატიული ხელოვნება კი მხოლოდ იწყებდა სიცოცხლეს. ის არ შეიძლება ყოფილიყო უკვე გამოკვეთილი სახისა და მიმართულების მქონე.

საქართველოში ახლადჩამოსული მარჯანიშვილის პირველივე აღმოჩენა ირაკლი გამრეკელი იყო. 1922 წელს ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე მისმა „სალომეას“ თემაზე შესრულებულმა რამდენიმე ტილომ რეჟისორის ყურადღება მიიპყრო.

სწორედ „სალომეას“ არარეალისტური ქარგა იყო გრძნობათა ის ამაღლებული პათოსი, რომელიც მარჯანიშვილის წარმოსახვაში ხილვათა და ასოციაციათა მთელ რიგს იწვევდა. გამომცემლობის დაკვეთით პიესისათვის შესრულებული ირ. გამრეკელის ექსპრესიონისტული ტილოები: „სალომეას ცეკვა“, „სალომეა იოქანაანის თავით“ და „სალომეა“ დაედო საფუძვლად მომავალ სპექტაკლს.

ღამის სიბნელეში, მთვარის მომწვანო შუქით, ასევე მომწვანო ელფერით გაშუქებული სალომეას სხეულის წაგრძელებული, ოდნავ კუთხოვანი ფორმების გაზნექილი მოქნილობა, ხაზგასმით მკვეთრი ჟესტი, ფერის ლაკონური გამომსახველობა გამოჰყოფს „სალომეას ცეკვას“ ორი დანარჩენი სურათისაგან. აქ პიესის ზუსტი ემოციური განწყობილებაა შექმნილი. გარინდებული სალომეა თითქოს მთვარის შუქს გაუბრუებია, ხოლო გზნებით დაჭიმულ მის ტანში, მოხრილ ხელებში ის საბედისწერო როკვა სუნთქავს, რომელიც რამდენიმე წამში მის სხეულს შეარხევს და ერთ რიტმად ქცეულს აატორტმანებს.

ასეთივე ექსპრესიულ მოძრაობაშია „სალომეა იოქანაანის თავით“. მწვანე დეკორატიული ფოთლების ფონზე, ყვითელ სიღრმეში იოქანაანის პირს დაჰკონებია სალომეა, ხოლო მომწვანო ხალებიანი მოსასხამი მის სხეულს შემოხვევია და გრძელ კუდად მოსდევს. თითქოსდა აქაც როკვა ჩასახლებულა მასში, ერთ ჟინს შეუპყრია მისი არსება და უკანასკნელ სურვილად ქცეული, კიდეც დასრულებულა.

ცხადია, რომ სწორედ ეს „სალომეა“ იქნებოდა წინამორბედი „ახალი თეატრის“ სცენაზე განხორციელებული წარმოდგენის მხატვრული სახისა.

სპექტაკლი ჩინებულად წასულა და მაყურებელსაც აღტაცებით მიუღია იგი. „... აღსანიშნავია ჩვეულებრივი დეკორაციების ნაცვლად ფერადების გამოყენება. პიესა, საერთოდ გათამაშებული იყო თეჯირებში. უკანა ფარდა კი წარმოადგენდა თითქოს ფერად ნაჭრებისაგან შეკერილ ფონს. ცისფერი, წითელი და შავი ფერები ზოლებად და ნაჭრებად ერთმანეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეული მოქმედების განვითარებასთან ერთად შესაფერი ხელოვნური განათებით იცვლებოდა და უსათუოდ ხელს უწყობდა შთაბეჭდილებას, ისე როგორც მუსიკა. ჩვეულებრივ დეკორაციებზე შეჩვეულ თვალს, რა თქმა უნდა, არ მოეწონება ასეთი „დეკორაცია" ფერადებისა, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რა მიზანი დაუსახავს რეჟისორს, აჩვენოს მაყურებელს ადგილი, სადაც მოქმედება სწარმოებს თუ ხელი შეუწყოს ძლიერი და მთლიანი შთაბეჭდილების შექმნას. მარჯანიშვილს აუღია მეორე მიზანი „სალომეას" დადგმის დროს და მხატვარ გამრეკელის მიერ შეზავებული ფერადები, რომლებიც ასე ჯადოსნურად იცვლება დრამის განვითარებასთან ერთად, უეჭველ მიზანს აღწევს და შთაბეჭდილებას აძლიერებს"...[5]

როგორც ვხედავთ, ამ პირველსავე სპექტაკლში გამოიკვეთა სახე თეატრალური მხატვრისა, რომელიც შესანიშნავად გრძნობს არა მხოლოდ პიესის ბუნებას, არამედ სცენურ სივრცეს და მის თვისებებს. ამ პირველი სპექტაკლით განისაზღვრა მისი, როგორც მხატვრის განსაკუთებული ფუნქცია რეჟისორთან ერთობლივი მუშაობისას.

სალომეა პირველად მთვარის შუქით მოსილი გამოჩნდება და მომაკვდავი, მთვარის უკანასკნელი სხივით ნათდება.

ირაკლი გამრეკელის მიერ ამ სპექტაკლისათვის შექმნილი დეკორაციები, თეატრის პოეტური საწყისის გამოვლენას ემსახურებოდნენ. რამდენიმე ესკიზი და რეცენზენტთა შეფასება ერთი შეხედვით ზოგად შთაბეჭდილებას გვიქმნის, მაგრამ მათში ბევრია საყურადღებო და კონკრეტულიც.

მარჯანიშვილის ჩანაფიქრით, პიესის დასაწყისში, სალომეა უნდა ყოფილიყო თითქოსდა მთვარის სხივებით ნაქსოვი. ამიტომაც მსახიობ ქალს მთვარის ტანსაცმელი ჩააცვეს — ბრჭყვიალა ვერცხლისფერი გულისპირი, წინსაფარი, იუდეველთა დიადემა თავზე. გრძელ, აფრიალებულ, მოთეთრო კრებდეშინის კაბაში ილანდებოდა სხეული. ფეხზეც დიადემასავით აბრჭყვიალებული სანდლები ეცვა. ამას გარდა, სალომეა ატარებდა გამჭვირვალე, მოცისფრომომწვანო მოსასხამს, რომლითაც ოდნავ იფარავდა შავგვრემან სახეს. სალომეას კოსტიუმის ესკიზი, ისევე როგორც ყველა სხვა კოსტიუმის ესკიზი დღესდღეობით არ მოიძებნა და მხოლოდ ასეთი აღწერით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იყო.

მეორე აქტში სალომეა ცეკვავდა შვიდი მოსასხამის ცეკვას. ასე ეწოდებოდა მის ცეკვას აბრეშუმის შვიდფერა ნაჭრებით. თუმცა კი სპექტაკლის რეცენზენტები კმაყოფილნი არ დარჩენილან მსახიობის ცეკვით, მაგრამ უდავოა, რომ შვიდი ფერის ნაჭრის მკვეთრი აფრიალება ჰაერში, შთამბეჭდავი სანახაობა იქნებოდა. სალომეა თანდათანობით იხსნიდა ამ შვიდ მოსასხამს და პირისფერ სარტყელსა და წინსაფარში დარჩენილი ცეკვას აგრძელებდა. მის ცეკვასთან ერთად ფონი სულ უფრო და უფრო სისხლისფერდებოდა, ფრთებიც სულ უფრო სწრაფად მოძრაობდნენ და მთელი სცენა სისხლისფრად იღებებოდა. სალომეას სიკვდილთან ერთად სცენაზე წყვდიადი მეფდებოდა.

როგორც ვხედავთ, სრულიად ახალგაზრდა მხატვარმა თავის გადაწყვეტაში დეკორაციის ლაკონური ფორმები პირობით, სიმბოლურ განათებას შეუთავსა და ამით შექმნა ის აუცილებელი განწყობილება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპექტაკლის არსებობისათვის, პიესის იდეის გამოსაკვეთად. რაც მთავარია, იგი ჩასწვდა რეჟისორის ამოცანას, სურვილს და ყოველგვარი მხატვრული შესაძლებლობა პიესის ფსიქოლოგიურ არსს დაუმორჩილა. ამ პირველი სპექტაკლით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა რეჟისორის და მხატვრის ურთიერთშეთანხმებულ, გაწონასწორებულ მოქმედებას, რომელიც მიზნად მხოლოდ მაღალმხატვრულ ხელოვნების შექმნას ისახავდა.

ამგვარად, კოტე მარჯანიშვილისა და ირაკლი გამრეკელის შემოქმედებითი ურთიერთობით დაიწყო ახალი ეტაპი ქართული თეატრალური მხატვრობის ისტორიაში. რეჟისორმა გამოაჩინა მხატვარი, რომელიც სწვდებოდა პიესის იდეას, ხვდებოდა რეჟისორის ჩანაფიქრს და ქმნიდა ახალი დროის შესატყვის თეატრალურ-დეკორატიულ სახეს. ახალი თეატრის მხატვარი ირაკლი გამრეკელი უკვე კი არ ხატავდა თეატრში, არამედ აშენებდა, აგებდა. მისი შემოქმედება ხურთომოძღვრის და მხატვარ-ფერმწერის შემოქმედების სინთეზი იყო, რომელშიც ხუროთმოძღვარი ჭარბობდა ფერს და მის სიმბოლიკას იმორჩილებდა.

შენიშვნები

1. ვ. კიკნაძე, „თავისუფალი საქართველოს თეატრი". გ. „ქართული თეატრი", 1993 წ. გვ. 107
2. იქვე. გვ. 24
3. გ. „ლომისი", 1922 წ. 17/IX
4. კ. მარჯანიშვილი, „მემუარები და წერილები". თბ., „ხელოვნება", 1949 წ. გვ. 8
5. გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ. 12/XI, N 343

გვანცა ღვინჯილია

ქართული კლასიკური რომანის როგორც მუსიკალური ჟანრისა და სტილური პლასტის თავისებურებანი

საქართველოში, ევროპის მრავალი ქვეყნის მსგავსად, ეროვნული ახალი პროფესიული მუსიკალური შემოქმედება ზოგადევროპული, რომანტიზმის ეპოქის წიაღში იშვა.

ამ ეპოქამ, როგორც ცნობილია, მრავალი ეროვნული (მათ შორის ქართული), საკომპოზიტორო სკოლის წარმოქმნას შეუწყო ხელი. ქართულმა მუსიკამ სწრაფად, ორგანულად შეითვისა და ეროვნულ მუსიკალურ აზროვნებაზე დააფუძნა ევროპული რომანტიკული მუსიკის მხატვრულ-სააზროვნო და სტილური სისტემა.

ამგვარი მზაობა ევროპული მუსიკალური რომანტიზმის ტრადიციის ასათვისებლად ქართულ კულტურაში უდავოდ არსებობდა. მას ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ქართული მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვანი დარგების განვითარების მანძილზე სავსებით მკაფიოდ გამოვლენილმა რომანტიკულმა ტენდენციამ, რომანტიკული იდეალისკენ მუდმივმა სწრაფვამ, რაც ქართული ცნობიერების თანდაყოლილ თვისებად, თავისებურ გენეტიკურ კოდად მოიაზრება.

ევროპული რომანტიკული მუსიკის მხატვრულ-სააზროვნო და სტილური სისტემის ათვისება საქართველოში პირველ რიგში სწორედ რომანსის ჟანრში მოხდა, რომელიც თავისთავად, გენეტიკურად შეიცავდა რომანტიკულ ტენდენციას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რომანტიკული მიმართულების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ბევრ ევროპულ ქვეყანაში მიენიჭა უპირატესობა კამერული ვოკალური ლირიკის ჟანრებს, მათ შორის რომანსს, რაც შემთხვევითი არ იყო. რომანტიკული, პიროვნულ-ინტიმური გრძნობების გამოვლენისთვის არსებითად ყველაზე ნაყოფიერი კამერულ-ვოკალური ლირიკის სფერო აღმოჩნდა და, თუკი გერმანიამ კამერული ლირიკის მრავალრიცხოვანი ჟანრებით, ახალი, რომანტიკული მიმართულების დაწყების შესახებ გვამცნო, ზოგმა ქვეყანამ, მაგალითად რუსეთმა, საქართველომ ახალი საკომპოზიტორო სკოლის ფორმირებას დაუდო სათავე. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს რომანტიზმის ეპოქაში კამერულ-ვოკალური ლირიკისადმი ზოგადად დიდი, საქართველოში კი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებაზე. პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ანიჭებდა გარკვეულ უპირატესობას რომანტიკული საუკუნე კამერულ-ვოკალურ ლირიკას, განსაკუთრებით ამ მიმართულების ადრეულ ეტაპზე, თავად რომანტიზმის ევროპული ესთეტიკა გვაძლევს. მე-19 საუკუნეს ხელოვნებათა სინთეზის იდეა ხიბლავს, აქედან გამომდინარე კი მუსიკალური შინაარსის ხელოვნების სხვა დარგებით, მათ შორის, უმთავრესად ლიტერატურით და პოეზიით ურთიერთგამდიდრების შესაძლებლობა. „გარდა ამ ხელოვნების ორი დარგის სახეობრივი კავშირისა, ყველა ვოკალურ ნაწარმოებში არსებობს მუსიკალური და პოეტური კომპოზიციის, სამეტყველო და მუსიკალური ინტონაციის, მუსიკალური და პოეტური რიტმის ურთიერთგავლენა (ვ. ვასინა-გროსმანი. „მუსიკა და პოეტური სიტყვა". I ტომი, რუსულ ენაზე, „მუსიკა", მ., 1972, გვ. 5). პოეზიას აქვს მუსიკასთან შეხების წერტილები მხატვრული შემოქმედების ამ ორ სფეროში არსებული ინტონაციურობის ფაქტორის წყალობით, რაც სწორედ კამერულ-ვოკალური ლირიკის ჟანრებს აძლევს საშუალებას, ასახოს მუსიკაში რომანტიკული პოეტური ლექსთწყობის, მხატვრულ სახეთა სიმბოლიკის თავისებურება. ეს ზოგადად რომანტიკული მუსიკის სტილურ-ინტონაციურ, სახეობრივ-ემოციურ სამყაროს აყალიბებს და ძლიერ ზეგავლენას სხვა, უფრო დიდი ფორმის ჟანრებზე ახდენს.

ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფორმირების პროცესში რომანსის ჟანრის ისტორიული მნიშვნელობის საკითხი საგრძნობლად სცილდება კერძო პრობლემის ვიწრო ჩარჩოებს, რამეთუ საკითხთა ფართო წრეს მოიცავს. მათ შორის გამოვყოფდით რამდენიმეს: — ახალი ქართული პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის გენეზისის და შემდგომი განვითარების თავისებურებათა დადგენა; ჟანრთა რომანტიკულ იერარქიაში რომანსისადმი დიდი მნიშვნელობის მინიჭების მიზეზთა კვლევა; რომანსის, როგორც რომანტიკული მუსიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრის მახასიათებლების დადგენა ქართულ სარომანსო შემოქმედებასთან მიმართებაში; რომანტიკული მუსიკის სააზროვნო და სტილურ-ინტონაციური სისტემის ფორმირებისას ზოგადად კამერულ-ვოკალური ლირიკის და კონკრეტულად რომანსის მნიშვნელობის მიზეზთა გამოყოფა, რომლებიც საერთოა მრავალი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვის; ქალაქური ფოლკლორის სტილური წყაროების შესწავლა, რომლებიც წარმოიქმნენ სხვადასხვა, მეტწილად თავისი ინტონაციური ბუნებით თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი წყაროებიდან, — აღმოსავლური

ნაკადიდან, იტალიური საოპერო კანტილენიდან, პოეტ-მგოსანთა შემოქმედებიდან, რუსული საყოფაცხოვრებო რომანსიდან; მუსიკალური თვალსაზრისით სტილურად მრავალფეროვანი ნაკადების საფუძველზე თვითმყოფი ქართული სარომანსო კულტურის ჩამოყალიბების მიზეზთა გამოყოფა, ქართული სარომანსო და ახალი, რომანტიკული პოეტური სტილის წარმოქმნის პარალელურ პროცესთა კვლევა, რომანსის მუსიკალური ინტონაციურობის ჩამოყალიბებისათვის უმთავრესად მე-19 საუკუნის პოეტური სახეების მნიშვნელობის შესწავლა, რომანსის როლის განსაზღვრა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის სხვა ჟანრთა, უმთავრესად კი ოპერის სააზროვნო და სტილურ-ინტონაციურ სათავედ, ეროვნული ცნობიერების თავისებურებათა კვლევა ზემოთ დასმულ საკითხებთან მიმართებაში.

რომანტიკული საუკუნის ზემოაღნიშნული ტენდენციები თავისებურად გამოვლინდა ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში. რომანსმა გავლენა მოახდინა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის მეორე ცენტრალურ ჟანრზე, — ოპერაზე, სადაც მან ამ ჟანრის ლირიკულ-რომანტიკული სახეობრივ-ინტონაციური სფეროს სტილური საფუძველი განსაზღვრა და მთელ რიგ შემთხვევებში გარკვეული დრამატურგიული ფუნქცია შეასრულა. სარომანსო სტილისტიკა ოპერებში ზოგადად ლირიკულ ხაზს უკავშირდება, იგი უმთავრეს შემთხვევებში სწორედ ლირიკული გმირების მუსიკალურ დახასიათებას განსაზღვრავს, მიუხედავად ოპერის ჟანრული ნაირსახეობისა, იქნება ეს ზ. ფალიაშვილის ლირიკულ-ეპიკური „აბესალომ და ეთერი" თუ ლირიკული დრამა „დაისი", ვ. დოლიძის ლირიკულ-კომიკური „ქეთო და კოტე", თუ მ. ბალანჩივაძის ლირიკულ-პატრიოტული „დარეჯან ცბიერი" და, მით უფრო, დ. არაყიშვილის ლირიკული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე".

კამერულ-ვოკალური ლირიკის ჟანრის ზემოქმედება დიდ მუსიკალურ ფორმებზე ზოგადევროპული მნიშვნელობის ტენდენციაა. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, კლასიციზმის სიმფონიური მუსიკის თემატიზმი იმ ეპოქის ოპერასაც ასაზრდოებდა, როგორც თავის მხრივ საოპერო მღერადობა სიმფონიას, კამერული ვოკალური მუსიკის ჟანრები ურთიერთგავლენის ამ ორბიტაში არ ერთვებოდა. რომანტიზმის ეპოქაში კი კამერული ვოკალური ლირიკის ჟანრები ახდენენ გავლენას უფრო დიდი ზომის ნაწარმოებებზე. ვოკალიზაციის ამ პროცესმა ე.წ. „სიმღერადობა", „რომანსულობა" აზროვნების მეთოდადაც კი აქცია, რამაც თავის მხრივ, როგორც ცნობილია, ჟანრთა ლირიზაციას შეუწყო ხელი.

ქართულმა რომანსმა გაითავისა რომანტიკული სახეობრივ-ინტონაციური სიმბოლოები ეროვნულ ნიადაგზე, ერთის მხრივ, რომანტიკოსთა ან რომანტიკული ტენდენციების შემცველი პოეტური ტექსტების, მეორეს მხრივ, საკუთრივ ევროპული რომანტიკული მუსიკალური სისტემის ათვისების წყალობით. გლეხურ ფოლკლორთან ერთად რომანსი, როგორც აღინიშნა, ქართული ოპერის უმნიშვნელოვანეს სტილურ-ინტონაციურ სათავედ იქცა.

რომანსი კლასიკური პერიოდის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის უწყვეტი ტრადიციის უქონლობის პირობებში, ერთგვარი ლაბორატორიის როლს ასრულებდა არა მხოლოდ რომანტიკული სახეობრიობის, არამედ ასევე, ზოგადად, ეროვნული ახალი საკომპოზიტორო სტილის ჩამოყალიბების მხრივ. ევროპის მრავალი ქვეყნის მუსიკალური კულტურის წინაშე რომანტიზმის ეპოქაში შესაძლოა იდგა სხვადასხვა ჟანრთა რომანტიკული კონცეფციის შექმნის პრობლემა, მაგრამ არა ზოგადად საკომპოზიტორო სისტემისა. ამ მხრივ რომანსის ჟანრი ქართულ კულტურაში, მართლაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი ზოგადად ეროვნული საკომპოზიტორო სტილის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა, რომელმაც, როგორც აღინიშნა, თავდაპირველად საოპერო, მოგვიანებით თვით სიმფონიურზე ჩამოყალიბების პროცესში იჩინა თავი. ასე რომ, ქართული რომანსის სტილური ხაზი არც შემდგომ პერიოდში არ იკარგება და ახალ თვისობრიობაში გარდაქმნილი აგრძელებს არსებობას ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრებში. ხშირად პირდაპირ სარომანსო ციტატებსაც ვხვდებით. ეს ყოველივე მიუთითებს რომანსის როლზე ქართული ახალი საკომპოზიტორო სტილის ჩამოყალიბებაში, მით უფრო, საწყის ეტაპზე. ბუნებრივია, რომ ქალაქური რომანსის და თავად საკომპოზიტორო სტილის ფორმირება მოხდა მოყვარული, ნახევრად პროფესიონალი მუსიკოსების შემოქმედებაში, რომანსმა თავისი ლირიკულ-რომანტიკული ბუნებით სწორედ პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის წარმოქმნამდე მოიპოვა წამყვანი ჟანრის მნიშვნელობა სალონური მუზიცირების პირობებში, ასევე კომპოზიტორების — ანდრია ყარაშვილის, ალოიზ მიზანდარის, ია კარგარეთელის შემოქმედებაში.

სარომანსო სტილის ჩამოყალიბება საქართველოში მიმდინარეობდა ეროვნულ რომანტიკულ პოეზიაში ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების პარალელურად. ქართველმა რომანტიკოსმა პოეტებმა ლექსთწყობის სრულიად ახალი ნორმები დაამკვიდრეს, მნიშვნელოვნად განაახლეს პოეტური ენის არსენალი. მაგალითისთვის, ლიტერატურათმცოდნეობა ახალ სალიტერატურო ნორმად ნიკოლოზ ბარათაშვილის არქაიზმებს მიიჩნევს. არანაკლებ საგულისხმოა მე-19 საუკუნის სამოციანელთა პოეზიის გავლენა ქართული რომანსის მუსიკალურ სტილისტიკაზე. მუსიკისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური ინტონაციურობის მნიშვნელოვანი ურთიერთგავლენით აღნიშნულ, ახალი ქართული პოეტური ენის ფორმირების პროცესს ისინი, როგორც ცნობილია, მოგვიანებით შეუერთდნენ.

მეტად საგულისხმოა ქართულ სამუსიკო კულტურაში ქვეყნის გეო-პოლიტიკური მდებარეობის მიზეზით გამოწვეული პროცესები. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ემოციურ-ინტონაციური სამყარო ქართულ რომანსში შემოიტანა რუსული და სპარსული პოეზიის თარგმნილმა თუ ორიგინალურმა ნიმუშებმა. გეო-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც, მართალია, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და, აქედან გამომდინარე, თვით კულტურულ განვითარებას მტრის პერმანენტული შემოსევის პირობებში, მეორე მხრივ, აყალიბებდა კიდეც ეროვნული კულტურის ცნობიერების თავისებურებებს. შემთხვევით არ განიხილება ქართული მხატვრული შემოქმედებითი მემკვიდრეობა ხან ევროპის, რუსეთის, ხან აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურულ პროცესთა ჭრილში. მრავალი ეროვნული კულტურის მსგავსად ქართული კულტურის დამახასიათებელ თვისებასაც წარმოადგენს აბსოლუტური მზაობა უცხო ქვეყნის მხატვრული შემოქმედების ტენდენციათა შეთვისებისათვის, რასაც პირველ რიგში, როგორც აღინიშნა, გეო-პოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს. ჭარბი ინტერესი და გატაცება აღმოსავლური პოეზიით ქვეყნის ისტორიის გარკვეულ პერიოდში, სწორედ ქართული კულტურის განსაკუთრებულ მგრძნობიარობაზე მიუთითებს უცხო, თვით დამპყრობთა კულტურების პროცესთა მიმართ. ეს ზოგ მკვლევარს არასწორი დასკვნის გაკეთების საფუძველს აძლევდა და ქართულ კულტურას აზიურ-აღმოსავლურად მოიხსენიებდა. სწორედ მე-19 საუკუნეში გაჩნდა განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესი ეროვნული კულტურის ორიენტირების დადგენის მიმართ. მის ირგვლივ წამოჭრილ საკითხთა სიმწვავემ ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედებითი თუ კრიტიკული მოღვაწეობა ეროვნული ცნობიერების სამსახურში ჩააყენა. სტატიაში ქართული მუსიკის შესახებ ი. ჭავჭავაძემ ქართული მუსიკა არც დასავლურ, არც აღმოსავლურ, არამედ თვითმყოფი ეროვნული მეობის მქონე მოვლენად აღიარა.

ეროვნული ცნობიერების ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი მეტად მკაფიოდ ვლინდება ქართულ სარომანსო კულტურაშიც.

მეტად მნიშვნელოვანია იტალიური მუსიკალური კულტურის გავლენა ქართულ სარომანსო და ზოგადად სამუსიკო ხელოვნების განვითარებაზე. საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით გივი ორჯონიკიძე – „ჩვენი მუსიკა“, სამწუხაროდ, მხოლოდ XX საუკუნის დამდეგიდან ეზიარა „დიადი ევროპული მუსიკალური ეპოქების მიღწევებს, თანაც ამ მონაპოვრებს იგი ეზიარა არა ქრონოლოგიური შესატყვისობის გზით, არამედ იმ თანმიმდევრობით, როგორითაც იგი ჩვენში შემოდიოდა. პირველი დიდი შთაბეჭდილება მან იტალიური ოპერისგან მიიღო, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც თბილისში იტალიურმა საოპერო დასმა დაიწყო მოღვაწეობა. ამ პერიოდში ჩვენ არ გაგვაჩნდა პროფესიული საკომპოზიტორო სკოლა და იტალიურმა მუსიკამ მიაშურა პირდაპირ ყოფას, სადაც ჰპოვა თავსაყუდელი. იტალიური მუსიკა თბილისის მრავალძარღვა ფოლკლორის ორგანული ნაწილი გახდა, ქართული ეროვნული თავისებურებებით განიმსჭვალა და ქალაქური მუსიკის ერთ-ერთ განშტოებად იქცა“ (გივი ორჯონიკიძე, „თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგიის შუქზე“, „ხელოვნება“, თბ., 1985, გვ. 188-189).

როგორც ცნობილია, ქართულ რომანსზე გავლენა მოახდინა ქალაქური რომანსის როგორც ევროპულმა, განსაკუთრებით იტალიურმა, ისე აღმოსავლურმა ნაკადმა და რუსულმა საყოფაცხოვრებო რომანსმა. ამ თავისთავად ურთიერთგამომრიცხავი ინტონაციური ნაკადების სიმბიოზის მიუხედავად, შეიქმნა თვითმყოფი ეროვნული ქართული რომანსი, რომელშიც უცხო კულტურებიდან შემოსული ჰარმონიული, მელოდიური ენის თავისებურებანი, სახეობრივ-ინტონაციური სამყარო ეროვნული მუსიკალური აზროვნების პარამეტრებს დაეფუძნა, რაც პირველ რიგში სწორედ ეროვნული ცნობიერების მდგრადობით და სტაბილურობით იყო განპირობებული.

ქართული რომანსი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ეროვნული ახალი საკომპოზიტორო სტილის და, ასევე, სკოლის ჩამოყალიბებას, იმას თუ როგორ ხდება კომპოზიტორის შემოქმედებით ლაბორატორიაში რომანტიკული მსოფლაღქმის და მხატვრული მეთოდის ფარგლებში სახეობრივ-ემოციური, ჰარმონიული სტილისტიკის ჩამოყალიბება.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ახალი ქართული პროფესიული მუსიკალური სკოლის ფორმირებისას რომანსის როლის ხაზგასმამ, ბუნებრივია, არ უნდა დაჩრდილოს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროს – გლეხური ფოლკლორის მნიშვნელობა, რაც საკითხის ცალმხრივ კვლევასთან მიგვიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული საერო-საკომპოზიტორო სკოლის წარმოქმნამდე სალონური მუზიცირების პირობებში არ მომხდარა გლეხური ფოლკლორული პლასტის ათვისება, ეროვნული საკომპოზიტორო სტილის ფორმირებისას იგი უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა რომანსთან ერთად. თავად რომანსს, ცხადია, არა გლეხური, არამედ ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი ედო საფუძვლად. „შუბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტის ვოკალურ ლირიკას ქალაქურ ფოლკლორთან ერთად გლეხური სიმღერები ასაზრდოებდა, მაგრამ საქართველოში ამ მხრივ თავისებური მდგომარეობა იყო, რადგან ქართული სოფლური სიმღერა ძირითადად მრავალხმიანია და ამდენად უშუალოდ ვერ დაედებოდა საფუძვლად ქართულ რომანსს, თუმცა საერთო სტილისტური და ინტონაციურ-ჰარმონიული გავლენა ქართულმა სოფლურმა მუსიკალურმა ფოლკორმაც, ცხადია, მოახდინა ქართულ ვოკალურ ლირიკაზე" (მეგი წერეთელი, „ქართული პოეზიის და მუსიკის ურთიერთობის საკითხისათვის", „მეცნიერება", თბ., 1973, გვ. 19).

საგულისხმოა, რომ თავად პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის წარმომადგენლებს მიუძღვით უზარმაზარი წვლილი ხალხური სიმღერების ჩაწერაში, პოპულარიზაციასა და პირველი ფოლკლორული ლიტერატურულ-თეორიული ნაშრომების შექმნაში. ამგვარად, გლეხური ფოლკლორული პლასტის ათვისება საკომპოზიტორო სკოლის წარმომადგენლებთა უმთავრესად საოპერო და საგუნდო თხზულებებში მოხდა. მე-19 საუკუნეში კი სტილისტური საყრდენის ფუნქციას ასრულებდა ქალაქური სიმღერა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა მეცნიერული ინტერესი გლეხური ფოლკლორის მიმართ. თავდაპირველად ეროვნული საკომპოზიტორო სტილის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ რომანსმა ითამაშა, რასაც პროფესიული ახალი საკომპოზიტორო სკოლის ფორმირებისას ფოლკლორული პლასტიც დაემატა.

ამგვარად, საერთო პროფესიული საკომპოზიტორო სტილის მეტად თვითმყოფი ფენომენის ჩამოყალიბება განაპირობა რუსულ-ევროპული მუსიკის სტილურ-ინტონაციურ სისტემაზე დაფუძნებულმა ქალაქური რომანსის დასავლურმა და, ასევე, აღმოსავლურმა ნაკადმა, ეროვნული ცნობიერების ფარგლებში არსებულ ქართულ მხატვრულ მუსიკალურ აზროვნებაზე დაფუძნებით.

რეცენზია

ფიქრი ერთი კრებულის გამო

გიგი სულაკაურის წიგნს რომ კითხულობ („ქუჩის ბიჭების გასაგონად") პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ავტორმა ეძება და მიაგნო იმ გრაფიკულ გამოსახულებას, რომლითაც საკმაოდ თავისებური მსოფლშეგრძნება უნდა გადმოეცა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გიგი სულაკაურს კარგად აქვს მორგებული თავისი „პოეტური ენა", – ლექსიკა, სინტაქსი, მეტაფორული სტრუქტურა. იქნებ ყოველივე ეს თავისთავად, ბუნებრივად, თვითდინებით მოხდა, შეიძლება, მაგრამ ხომ არსებობს გამოცდილებაც, ალღო, პროფესიული ჩვევები, არსებობს ლექსწერის ინდივიდუალური ტექნიკა, რომელიც დროთა მანძილზე იხვეწება, დახვეწა კი ამ შემთხვევაში ფოკუსის გასწორებას ნიშნავს, ნიშნავს სათქმელის მხედველობის არეში მოქცევას. გიგი სულაკაურის პროფესიული ოსტატობა თვალსაჩინოა იმ ნიშნით, რომ ის არ ამბობს არც მეტს, არც ნაკლებს, თითქოს განცდაშივე ეძლევა არა მარტო ლექსის მოცულობა, არამედ მისი უცნაური ლოგიკაც: „მზე ბრონეულის მარცვლებივით გაბნეულია ზღვის ზედაპირზე და მოტორტმანე სიშორეები არ ხსნიან მინის დაღვენთილ ფარდას, ჯერ არ ელიან მხსნელ საღამოს, საღამოს მიღმა – ღამის სიგრილეს, როცა ბნელი დანთქავს ყველაფერს და სიშორეც – მთვარის ამოსვლამდე – იკარგება წარმოსახვის სიბნელეებში, რომ იქიდან ილუზიების ვარსკვლავებით გამოანათოს..."

ეს ლექსი, ისევე როგორც სხვა ლექსები („ანგელოზი", „კენტავრი" და სხვ.) მართლაც უცნაურ ლოგიკას არის დაქვემდებარებული. ეს ვიზიონის, ხილვის, ცნობიერების სიღრმეში დაძრული სურათების „ლოგიკაა", აქ თითქოს მეტაფორის მეშვეობით ემპირიული, ფიზიკურად ხელშესახები სამყაროს შტრიხი იჭრება („მზე ბრონეულის მარცვლებივით გაბნეულია ზღვის ზედაპირზე") და მერე ისევ განიბნევა მკაფიო ხილვადობის და შემოსაზღვრულობას მოკლებულ სივრცეში.

გიგი სულაკაურის ლექსებზე წერილობით გამოთქმულ შენიშვნებში ადრეც თქმულა, რომ მისი პოეტური სახეები ვიზიონების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ვიზიონი ყოველთვის ერთნაირი არ არის, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის ლექსები, სადაც სახეები სურათოვნებას მთლიანად მოკლებულია და თვითონ პოეტის შინაგანი მდგომარეობაა ვიზიონერული: „თვალდახუჭული, როდესაც მზეს შევხედავ, ჯერ სისხლისფერ ფარდას დავინახავ. ცოტა ხანში კი ლურჯი, მწვანე და იისფერი მოძრავი ლაქებიც გამოჩნდებიან. ასე საათობით ვერთობოდი ბავშვობაში". ეს ლექსი მართლაც ნიშანდობლივია, რადგან გიგი სულაკაურის პოეტურ ნიმუშებთან ზიარება თითქმის ყოველთვის აღძრავს აზრს, რომ პოეტი იმას აფიქსირებდა ლექსად, რაც თვალდახუჭულმა იხილა. ვფიქრობ, ლექსის სტრუქტურასაც მისი ვიზიონით განსაზღვრული ბუნება აპირობებს. მხოლოდ ეს უკანასკნელი ნიმუში ამავე დროს რეფლექსიაა, აქ ავტორი საუბრობს იმაზე, თუ როგორ წერს ლექსს; აქ ლიტერატორი, ანალიტიკოსი საუბრობს შემოქმედებით პროცესზე. საერთოდ, განსჯითი ელემენტი უცხო არ არის გიგი სულაკაურის ლექსებისთვის, მაგრამ განსჯაც თავისებურია. პოეტი თითქოს კომენტარს უკეთებს თავის ხილვებს და ზოგჯერ ეჭვიც შეაქვს ამ ხილვების რეალობაში: „მე ვხედავ შავ ხეს და ძველებურ სახლს ჟამისაგან განაცრისფერებულს, მძიმე ფიფქებით სავსე ღამეებს ან იქნებ ნისლი ან სითეთრე მატყუებს ასე".

ჩემი აზრით, კრებულში „ქუჩის ბიჭების გასაგონად" ლექსების ქრონოლოგია მეტყველებს იმაზე, რომ დროთა განმავლობაში „ვიზიონმა" იკლო და „ემპირიკამ" იმატა. გავიხსენოთ ისეთი ლირიკული ნიმუშები, როგორებიცაა „ნიშანი", „ღამე" და სხვ. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ მეტამორფოზამ (შეიძლება ღრმა მსოფლმხედველობრივი ცვლილებებით გამოწვეულმა) სისადავე და სიმკვეთრე შესძინა ამ ნიმუშებს. აქა-იქ გაჩნდა ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსებიც, სადაც უაღრესად ფაქიზი სტილიზაციის კვალიც გამოსჭვივის: „მთა ბევრი გადავიარე, ბევრს შევეშვირე მთვარესა, დავკარგე ძმადნაფიცები, ყველა სხვადასხვა მხარესა, მშვიდობით, მივალ საძებრად, გავხურავ სახლის კარებსა". ან ასეთი: „დავთვრები, დამავიწყდება ნაოჭი ამ ჩემს სახეზე, ვიფიქრებ, – ხომ არ წავიღე, შენ, – აქ დარჩიო, – მაქეზებ... დავრჩები, არ დაბრუნდება ძაღლი – ღიმილი ბაგეზე".

ვფიქრობ, საგანგებო, ცალკე საუბრის თემაა საგნების და მოვლენების ხატვა გიგი სულაკაურის ლექსებში. აქ ლაპარაკია მხა-

---

გიგი სულაკაური „ქუჩის ბიჭების გასაგონად"
თბილისი, 2001, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"

ტვრის თვალზე, მის უშუალო მიმართებაზე საგნებთან. ვიზიონერობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი საგნობრივი, ხელშესახები სამყაროს მიმართ გულგრილი იყოს, – პირიქით. ძალზე შთამბეჭდავია მშვენიერი ესკიზი „კვირა დღე“: „ფერებმა მთებზე გადაინაცვლეს. დაბა სველია მკვეთრი. უფორმო. ჟანგისფერი ფოთოლი ფარავს ფარდულს. ფარდულთან იზლაზნებიან დაბის კაცები. თავები უდევთ ერთმანეთის კისრებზე ცხენებს, სასადილოსთან ჭიდაობენ ჭრელი ლეკვები. სველი და მთვრალი ბუშლატი სველ ხეს ეყრდნობა. თან ვერ გაიგებ, საყრდენი რომელს უფრო სჭირდება – დაბრეცილი ხე – მთვრალს თუ პირიქით, მთვრალი და სველი ბუშლატი... საღამო, ნელა იშლის ქვეშაგებს“.

პოეტურ კრებულში „ქუჩის ბიჭების გასაგონად“ გაერთიანდა სხვადასხვა დროს ცალკე წიგნებად გამოსული ციკლები: „საგნები თოვლში“, „ზოდიაქოს ბორბალი“, „კედელი“, „ხეები, ბიჭი და სხვ.“ გაერთიანდა და ერთიანობა ბედნიერი გამოდგა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს ერთიანობა, სისრულე, შემოსაზღვრულობა ეჭდილება სწორედ განსხვავებული მოტივების, ნიშნების, ლექსწერის ხერხების სიმრავლემ დაბადა. კრებული შინაარსობრივად შეავსო მიძღვნითმა ლექსებმა. ბოლო დროს დაწერილმა ვრცელმა ლირიკულმა ნიმუშებმა (როგორიცაა, ვთქვათ, „ღამე“ ან „ნიშანი“) ხედვის ახალი პერსპექტივა გახსნა და ახალი ყოფით-ცხოვრებისეული ანტურაჟი შემოიტანა პოეტურ სივრცეში. „ზოდიაქოს ბორბალი“ ლაკონიზმის და ლექსიკური ერთეულის სიზუსტის ნიმუშად დარჩა. კაფე „თბილისი“ და სხვა რითმიანი ლექსები კონვენციური ლექსის ირონიზირების შტრიხით ავსებენ მთელ კრებულს. საერთოდ, ირონია სხვადასხვაგვარად ვლინდება გიგი სულაკაურის წიგნში, – მთელი წიგნის ინტონაციურ წყობაშია განფენილი...

ჩემთვის პირადად, კრებული „ქუჩის ბიჭების გასაგონად“ ვრცელი საუბრის სურვილს აღძრავს. მე მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მომენტს შევეხე, რაც საუბრის მხოლოდ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

ანდრო ბუაჩიძე

აღმოსავლეთის ფილოსოფია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრა (გამგე აკად. გურამ თევზაძე) ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი კათედრაა. დიდია კათედრის როლი როგორც სპეციალური ფაკულტეტის, ისე მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტების ფილოსოფიურ სიბრძნესთან ზიარების საქმეში. აღნიშნული კათედრა უპირველესად სტუდენტების სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება. კათედრის ძალებით უნივერსიტეტში იკითხება როგორც ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი, ისე ცალკეული პერიოდების კურსები და სპეციკურსები გამოჩენილ ფილოსოფოსთა შემოქმედების შესახებ.

პედაგოგიურ საქმიანობას ფილოსოფიის ისტორიის კათედრა კარგად უთავსებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას, რაც ნათლად დასტურდება გამოქვეყნებული ნაშრომებით. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში კათედრის ძალებით მომზადდა და გამოიცა ფუნდამენტური კურსი – „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები" (ნაწ. I, 1981 და ნაწ. II, 1984), ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი კურსი – „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში (1993). ასევე კათედრის წევრების თანამონაწილეობით შეიქმნა და გამოიცა „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია. XX საუკუნის მეორე ნახევარი" (1988) და „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია", ტ. I (1996). გარდა ამისა, გამოიცა კათედრის გამგის გ. თევზაძის „ანტიკური ფილოსოფია" (1995) და „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია" (1996), კათედრის წევრის, პროფ. მერი ჭელიძის „ელინიზმის ფილოსოფია ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში" (1993) და „ელინიზმის ფილოსოფია" (1999). გასულ წელს კი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ამავე კათედრის წევრების – მერი ჭელიძისა და რევაზ გორდეზიანის ერთობლივი წიგნი – „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)".

მ. ჭელიძისა და რ. გორდეზიანის ეს ახალი წიგნი მრავალმხრივ არის საყურადღებო. გარდა იმისა, რომ ეს წიგნი საკითხებისა და პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს, არკვევს მიმართებებს აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებას შორის და სხვ. რაც მთავარია, ეს არის პირველი, თითქმის სრულყოფილი ნაშრომი ქართულად აღმოსავლურ ფილოსოფიაზე. დღემდე ქართულ ენაზე არ გვქონია ასე ყოვლისმომცველი კურსი აღმოსავლურ სიბრძნეზე, საერთოდ აღმოსავლურ კულტურაზე. მართალია, გვქონდა თარგმანები ინდურ სიბრძნესა და ფილოსოფიაზე, ახალი ინდოეთის მოაზროვნეებზე, ბუდას მოძღვრებაზე, ცალკეული სტატიები აღმოსავლეთის ფილოსოფიურ სკოლებსა და რელიგიურ მიმდინარეობებზე, მაგრამ ეს იყო და ეს. ახლა კი სახეზეა მრავალმხრივი გამოკვლევა ინდოეთისა და ჩინეთის ფილოსოფიაზე დასაბამიდან დღევანდელ გამოძახილამდე. თუ ამას დავამატებთ წიგნში მოცემულ აღმოსავლური ფილოსოფიის მრავალრიცხოვან პარალელებს პლატონიზმთან, ექსისტენციალიზმთან, იასპერსისა და ჰაიდეგერის ფილოსოფიასთან ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ აღმოსავლეთის თანამედროვე მოაზროვნეთა (მაგ. რადჰაკრიშნანი, სუძუკი და სხვ.) შეფასებებს, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა მოცულობის კვლევა-ძიებანი შეუსრულებიათ ავტორებს.

მკითხველს მიახლოებითი წარმოდგენა მაინც რომ შეექმნას წიგნის ავტორების შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე, მოკლედ გადმოვცემთ მის შინაარსს. წიგნი შედგება შესავლის, სამი ნაწილისა და ბოლოსიტყვაობისგან. მას თან ერთვის 196 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ლიტერატურაზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ აღმოსავლური კულტურით დაინტერესებული მკითხველისა თუ მომავალი მკვლევარისათვის იგი უდავოდ შეასრულებს გზამკვლევის როლს.

წიგნის პირველ ნაწილში, რომელიც ორი თავისაგან შედგება, განხილულია ძველი

მ. ჭელიძე, რ. გორდეზიანი, „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)", თბ., 2001, უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთის ფილოსოფია. ავტორებს ძველი ინდოეთის ფილოსოფია ორ — არაორთოდოქსულ და ორთოდოქსულ მონაკვეთად გაუყვიათ, რაც ვითარებას უფრო ნათლად წარმოადგენს და ამასთანავე მკითხველს უადვილებს მის აღქმას.

წიგნის მეორე ნაწილი ძველი ჩინეთის ფილოსოფიას ეძღვნება და მასში განხილულია ძველი ჩინეთის ფილოსოფიური სკოლები: დაოიზმი, კონფუძიანელობა, მოიზმი, მინძია (ნომინალისტური სკოლა), ფაძია (კანონიკური სკოლა), ინი და იან-ძი (ნატურალისტური სკოლა). წიგნის ეს ნაწილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იხსნება შესავალი სტატიით — „ჩინური კულტურისა და ფილოსოფიის ადგილი კ. იასპერსის „ღერძული დროის" თეორიის მიხედვით", რასაც მკითხველის ორიენტაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამავე დროს მეთოდოლოგიურადაც გამართლებულია.

მესამე ნაწილი მოიცავს ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფიის თანამედროვე სახესხვაობებს (ნეოვედანტიზმი, რამანუჯას ვედანტიზმი, ნეოკონფუძიანელობა და სხვ.). წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით ამ ნაწილში (და საერთოდ წიგნშიც) გამოვყოფდით ქვეთავებს: „ვედანტიზმი და პლატონიზმი" და „ძენბუდიზმი და გერმანული ეგზისტენციალიზმი".

ზოგად მიმოხილვაში აღვნიშნავთ იმის თაობაზეც, რომ წიგნში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი აღმოსავლური, კერძოდ, ინდური ფილოსოფიის საკითხებს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. სათანადოდ არის შეფასებული ქართველ სწავლულთა (ა. ჯორჯაძე, ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ა. გვახარია, რ. თვარაძე) წვლილი ბუდიზმის, ინდური რელიგიისა და ფილოსოფიის, „ბალაჰვარიანის" შესწავლის საქმეში.

მ. ჭელიძისა და რ. გორდეზიანის სარეცენზიო წიგნის ერთი უდავო ღირსება არის ის, რომ მასში უხვად არის ისტორიული და ბიოგრაფიული ექსკურსები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დაინტერესებული მკითხველის ფართო წრისთვის. თუმცა ადგილი აქვს განმეორებებსაც (მაგ. ბუდას ბიოგრაფიის განხილვისას და აგრეთვე „ბალაჰავარიანზე" საუბრისას).

როცა იწერება წიგნი აღმოსავლურ სიბრძნეზე, აღმოსავლურ ფილოსოფიასა და საერთოდ აღმოსავლურ კულტურაზე, გარკვეული სიძნელეებია გადასალახავი, მით უმეტეს, თუ ავტორები დასავლური ფილოსოფიის ტრადიციებზე არიან აღზრდილნი (აქ სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე). საქმე ის არის, რომ განსხვავებით დასავლური აზროვნებისაგან, სადაც დომინირებს რაციონალიზმი, აღმოსავლეთში რელიგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ერთმანეთზე გადაწნულია და მათი შეფასებისას მკვლევარს ბეწვის ხიდზე უხდება გავლა. ჩვენმა ავტორებმა დასახულ ამოცანას კარგად გაართვეს თავი და აჩვენეს როგორც აღმოსავლური აზროვნების თავისებურება, ისე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კავშირები და მათ შორის განსხვავებაც. ამ საკითხებზე მსჯელობისას ავტორები ემყარებიან ცნობილ ავტორიტეტებს (მაგ. კარლ იუნგს) და დამაჯერებლად აჩვენებენ, რომ პრობლემებისადმი თავისებური მიდგომა განაპირობებს აღმოსავლური და დასავლური აზროვნების განსხვავების თავისებურებას.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბუდიზმს და ეს ბუნებრივია, რადგანაც ბუდიზმს, როგორც მსოფლმხედველობას (რელიგიურს და გარკვეულად ფილოსოფიურს) დიდი გავლენები ჰქონდა და აქვს აღმოსავლეთის კულტურაზე. აღმოსავლეთის სამი დიდი ქვეყნის — ინდოეთის, ჩინეთისა და იაპონიის კულტურა ძირითადად ბუდიზმის მსოფლმხედველობით არის ნასაზრდოები. ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ დიდი კულტურის ქვეყნებში ბუდიზმი თავისებურად გამოვლინდა. წიგნში ამ მომენტზე ხაზგასმულია და აღნიშნულია ბუდიზმის სახესხვაობებზე ამ ქვეყნებში.

ქართული ფილოსოფიის ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის მონაკვეთი, სადაც განხილულია ბუდისტური მისტიკა და ნირვანის მოსამზადებელი საფეხურები (გვ. 62-64). ეს ინტერესი კი იმით არის განპირობებული, რომ შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია ნეოპლატონიზმის დიდ გავლენას განიცდის და საერთოდ ნეოპლატონური ხასიათისაა. ნეოპლატონიზმისთვის კი აღმოსავლურ სიბრძნეს, კერძოდ, მის მისტიციზმს და როგორც ეს განსახილველი წიგნიდანაც ჩანს, სულიერი ამაღლების საფეხურებზე მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილ ამ საკითხებს ეცნობი და მას უდარებ შესაბამის მომენტებს ნეოპლატონიზმში, ცხადი ხდება მათ შორის სიახლოვე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნეოპლატონიზმში ეს საკითხები უფრო სრულყოფილი და ფილოსოფიური ხასიათისაა. აქვე შევნიშნავთ, რომ წიგნში ამ მომენტზე სათანადო ყურადღება არ არის გამახვილებული. საერთოდ წიგნში გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები აღმოსავლური სიბრძნის დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა ნეოპლატონიზმისათვის. განსხვავებით ამისაგან, დამაჯერებელია მსჯელობა პითაგორასა და პლატონის მეტემფსიქოზის თეორიის აღმოსავლურ წარმომავლობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ნაწილის მეორე თავში ძველი ინდოეთის ორთოდოქსული ფილოსოფიის საკითხებია განხილული. აქ წარმოდგენილია ვედანტას, სანქჰიასა და სხვა სკოლები. ნაჩვენებია თითოეული სკოლის თავისებურება და ამასთანავე ის საერთო პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ამ სკოლებისათვის (მაგ. ეთიკური პრობლემა, თავისუფლების პრობლემა და სხვ.).

ამავე თავში საგანგებოდ არის განხილული იოგას პრობლემატიკა. იოგას დონეების განხილვისას კი ნათლად იკვეთება ამ ფენომენის თავისებურება: მსოფლმხედველობასთან ერთად იოგა, როგორც ცხოვრების წესი. რაც შეეხება ძე-ნისა და იოგას მსგავსებას ექსისტენციალიზმთან, რასაც სათანადო ადგილი უკავია წიგნში, ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას სათანადო არგუმენტაცია სჭირდება. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ექსისტენციალიზმი მაინც დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის კრიზისის საფუძველზე წარმოიშვა, მაშინ როცა, ძე-ნისა და იოგას ფესვები სრულიად განსხვავებულ კულტურულ გარემოში აქვთ.

მეორე ნაწილს, როგორც უკვე აღინიშნა, წამძღვარებული აქვს იასპერსის „ღერძული დროის" პოზიციიდან ჩინური კულტურის არსის შეფასება. ამასთანავე, კარგად არის ნაჩვენები იასპერსის წინასწარმეტყველური დასკვნები ჩინეთისა და ინდოეთის როლზე კაცობრიობის ისტორიაში (გვ. 228). თუკი აღნიშნულს დღევანდელი ვითარებიდან გადავხედავთ, როცა დიდად იზრდება ინდოეთისა და ჩინეთის როლი, მაშინ წიგნში წარმოდგენილი იასპერსის პოზიცია და მისი ანალიზი უფრო მეტ ღირებულებას შეიძენს.

მეორე ნაწილის დასასრულს საუბარია დაოიზმის (ლაო ძი-ს) ყალბ ეთიკურ პრინციპებზე (გვ. 256). კარგი იქნებოდა, რომ ამ მიმართებით პარალელი გავლებულიყო თანამედროვე ევროპულ აზროვნებასთან, რომელშიც ასე აქტუალურია ეს საკითხები. ამის შესანიშნავი მაგალითი ამავე წიგნში გვხვდება, კერძოდ, მის მესამე ნაწილში არის სპეციალური ქვეთავი – „ძენ-ბუდიზმი და გერმანული ეგზისტენციალიზმი" (გვ. 340-374). აქვე შევნიშნავთ, რომ წიგნში არასწორად არის მოხსენიებული ექსისტენციალიზმი. კერძოდ, ავტორები წერენ „ეგზისტენციალიზმს". სწორი ფორმა კი არის „ექსისტენციალიზმი" (შდრ. გვიანლათინური – ex(s)istentia და გერმანული – Existentialismus).

წიგნის მესამე ნაწილი მოიცავს ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფიის თანამედროვე სახესხვაობებს (ნეოვედანტიზმს, ნეოკონფუციანელობას, რამანუჯას ვედანტიზმს, ძენის მოძღვრებას სატორზე, შანკარას მოძღვრება ადამიანისა და თავისუფლების შესახებ და სხვ.). ამ ნაწილიდან ფილოსოფიური თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებით საყურადღებოა ქვეთავები: „ვედანტიზმი და პლატონიზმი" და „ძენ-ბუდიზმი და გერმანული ეგზისტენციალიზმი".

„ვედანტიზმი და პლატონიზმი" უპირველესად ყურადღებას იმსახურებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის აზროვნების მიმართების თვალსაზრისით. ამ კუთხით საყურადღებოა ვედანტიზმის ცენტრალური პრობლემის – ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის ავტორისეული შეფასება. ვედანტიზმის თანახმად „ყველაფერში ყველაფერია" ან „ღმერთი ყველაფერშია", „ყველაფერი ღმერთშია!" ერთი შეხედვით ეს პანთეისტური დებულება, ავტორის – მ. ჭელიძის აზრით, სულაც არ არის პანთეისტური ან პანენთეისტური, იგი მის ავტორებთან უნივერსალური რელიგიის ამოსავალ დებულებად არის მიჩნეული (გვ. 304).

ვედანტიზმის წარმომადგენელთა აზრით, აღნიშნავს მ. ჭელიძე, ვედანტას შეუძლია დაიკავოს ცენტრალური ადგილი იუდაიზმს, ქრისტიანობას, ისლამსა და ინდუიზმს შორის. ნეოვედანტისტებმა ამ მიზნით გამოიყენეს ჰეგელის ფილოსოფია, რომელიც ერთობ პოპულარული იყო ინდოეთის უნივერსიტეტებში.

წიგნის ამ მონაკვეთში საყურადღებოა ავტორის მიერ ხაზგასმული პარალელები, მსგავსი მომენტები და ანალოგიები აღმოსავლეთისა და დასავლეთის აზროვნებას შორის. სხვადასხვა მკვლევარის თვალსაზრისთა განხილვისა და ანალიზის საფუძველზე მ. ჭელიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „აღმოსავლეთსა და დასავლეთში ფილოსოფიური აზროვნების დამწყები უძველესი კულტურის ქვეყნებს შორის ურთიერთობა არსებითად ელინიზმის დროიდან განვითარდა, თავიდან ისინი ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ და საკუთარი მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენითი აზროვნების წიაღიდან შპენგლერისეული ჩაკეტილი კულტურების სახით ვითარდებოდნენ" (გვ. 311).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გავითვალისწინებთ, რომ მ. ჭელიძე ანტიკური და ელინიზმის ფილოსოფიაში რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევის ავტორია, მაშინ მისი დასკვნა უფრო მეტ დამაჯერებლობას შეიძენს.

საერთოდ ამ მონაკვეთში აღმოსავლეთისა და დასავლეთის აზროვნებას შორის ანალოგიებისა და პარალელების გარდა, დიდი ინტერესით იკითხება დასესხების კონცეფციის ნიუანსები და პლატონის ფილოსოფიის კავშირი ინდურ ფილოსოფიასთან, რომელსაც კვლევა-ძიების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ყველაფერ ამას კი მ. ჭელიძე ქართველი მკითხველისთვის მახლობელს ხდის და ამასთანავე მას საკუთარი მოსაზრებებითაც ავსებს და ამაგრებს.

წიგნში ასევე მრავალმხრივ საყურადღებოა ძენ-ბუდიზმისა და გერმანული ექსისტენციალიზმის მიმართების საკითხები, სადაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები იასპერსის, ჰაიდეგერისა და ბუბერის თვალსაზრისების სიახლოვე აღმოსავლურ აზროვნებასთან, კერძოდ, სუძუკის ძენ-ბუდიზმის ფილოსოფიასთან. ავტორი (რ. გორდეზიანი) არ იზიარებს ქართველ ფილოსოფოსთა საერთო აზრს, რომლის თანახმადაც ექსისტენციალიზმი უფრო ირაციონალური მოძღვრებაა. თავისთავად ეს თვალსაზრისი მართებული უნდა იყოს, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის სასურველი იყო ამ საკითხის უფრო ვრცლად განხილვა.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რ. გორდეზიანის მიერ იაპონელი ფილოსოფოსის სუძუკის (1870-1966) ცხოვრების გზის და მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპების გადმოცემა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სუძუკის სახელი და მისი მსოფლმხედველობა ჩვენში თითქმის უცნობია, მაშინ როცა, მისი როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიის დაკავშირებაში უმნიშვნელოვანესი ყოფილა.

რ. გორდეზიანი ალაგებს სუძუკის მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპებს და ამავე დროს ცდილობს ავტორის ფილოსოფიის სიღრმისეული ფენების ჩვენებას, რასაც აღწევს კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო წიგნში მრავალმხრივად წარმოდგენილი სუძუკის ფილოსოფია, მკითხველს მიახლოებით წარმოდგენას მაინც შეუქმნის XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის შემოქმედებაზე.

ამავე ქვეთავში გრძელდება საუბარი აღმოსავლეთ-დასავლეთის მსოფლმხედველობრივ მიმართებაზე. ამაზე საუბარია განსახილველი წიგნის სხვა ადგილებშიც, მაგრამ აქ განმეორებას სულაც არა აქვს ადგილი და აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლმხედველობრივ მიმართებების სრულიად ახალი ნიუანსებია წარმოჩენილი (გვ. 360-362).

განსახილველი წიგნი ღრმამეცნიერული გამოკვლევაც არის და სახელმძღვანელოც აღმოსავლური ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

წიგნი კარგი ქართულით, ფილოსოფიური სიღრმით, გასაგებად მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელად არის დაწერილი. იმის მიუხედავად, რომ წიგნს ორი ავტორი ჰყავს, მასში ერთიანი ხაზია გატარებული და არც სტილური განსხვავება შეინიშნება.

რეცენზიას დავასრულებთ იმის აღნიშვნით, რომ მ. ჭელიძისა და რ. გორდეზიანის წიგნი – „აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)" ბოლო ხანების ქართული ფილოსოფიური მეცნიერების მნიშვნელოვანი მიღწევაა.

მიხეილ მახარაძე

№ 173
173 2002

n 3522/2
2002 – 173
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125